ვ. ი. ლენინი

ანალგაზრდობის შესახებ

[illegible]
1950

5 Classics of Marxism

Marx Engels Lenin Stalin Hoxha

PROLETARIAN OF ALL COUNTRIES, UNITE!
PROLETARIAN, UNITE THE ALL COUNTRIES!

★ ★ ★

MARX—ENGELS—LENIN—STALIN' INSTITUTE OF CENTRAL COMMITTEE OF CPSU(B)

STALINIST-HOXHAISTS COMMUNIST INTERNATIONAL — COMINTERN (SH)

GEORGIAN SECTION OF COMINTERN (SH)

© WORLD PROLETARIAT
For Free Use and Distribution

ვ. ი. ლენინი

ახალგაზრდობის შესახებ

1956

სახელგამი

გამომცემლობისაგან

ამ კრებულში შეტანილია ვ. ი. ლენინის სიტყვები, სტატიები და წერილები ახალგაზრდობის შესახებ, აგრეთვე ვლადიმერ ილიას-ძის ის ნაწარმოებნი, რომლებშიც გაშუქებულია ახალგაზრდობასთან დაკავშირებული და მისი შესახები საკითხები.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი, როგორც წესი, ქვეყნდება მთლიანად, და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა გამონათქვამები ახალგაზრდობაზე მოცემულია დიდი მოცულობის ნაშრომებში, ამ ნაშრომებიდან მოტანილია ნაწყვეტები, რომლებსაც დასრულებული ხასიათი აქვთ.

კრებულის უფრო მოხერხებულად გამოყენების მიზნით ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი განაწილებულია შემდეგ ოთხ განყოფილებად:

«ბავშვებისა და ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ კაპიტალიზმის დროს», «მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ მეფის რუსეთში», «მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ რევოლუციურ ბრძოლაში, ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდის შესახებ», «სოციალისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობისა და ახალი ადამიანის აღზრდის შესახებ».

განყოფილებათა შიგნით დოკუმენტები განლაგებულია ქრონოლოგიურად, დოკუმენტების დაწერის ან ვ. ი. ლენინის გამოსვლების თარიღების მიხედვით, ხოლო თუ ასეთი თარი-

ღები დადგენილი არ არის, — გამოქვეყნების თარიღების მიხედვით.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი იბეჭდება თხზულებათა მე-4 გამოცემის მიხედვით. გამონაკლისს შეადგენს შემდეგი დოკუმენტები: თეზისები «პოლიტიკური განათლების შესახებ» — იბეჭდება თხზულებათა მე-3 გამოცემის მიხედვით, სტატია «პარტიულობის საკითხი დემოკრატიულ სტუდენტობაში» — ჟურნალ «კომუნისტში» გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, მისალმება «გაზეთ «პუტ მოლოდიოჟის» რედაქციისადმი» — კრებულის მიხედვით: «ვ. ი. ლენინი. 1922 — 1923 წლების სტატიები და სიტყვები».

კრებულის ბოლოს მოცემულია საცნობარო ხასიათის მოკლე შენიშვნები და ამ კრებულში შესულ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ქრონოლოგიური საძიებელი.

ბავშვებისა და ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ კაპიტალიზმის დროს

გიმნაზიის მეურნეობანი
და გამასწორებელი გიმნაზიები

(«რუსსკოე ბოგატსტვო»)

დიდი ხანია ვიცით, თუ როგორ სურთ ნაროდნიკებს გადასწყვიტონ საკითხი კაპიტალიზმის შესახებ რუსეთში; უკანასკნელ დროს ამ საკითხის ყველაზე რელიეფურ გადაწყვეტას გვიჩვენებს «რუსსკოე ბოგატსტვო»[1]. ნაროდნიკები არ უარჰყოფენ კაპიტალიზმის არსებობას, იძულებული არიან აღიარონ მისი განვითარება, მაგრამ ამასთანავე ჩვენს კაპიტალიზმს სთვლიან არა ბუნებრივ და აუცილებელ პროცესად, რომელიც აგვირგვინებს სასაქონლო მეურნეობის საუკუნეობრივ განვითარებას რუსეთში, არამედ შემთხვევით მოვლენად, რომელსაც მტკიცე ფესვები არა აქვს და რომელიც ნიშნავს მხოლოდ გადახრას ერის მთელი ისტორიული ცხოვრებით ნაკარნახევი გზიდან. «ჩვენ — ამბობენ ნაროდნიკები, — სამშობლოსათვის სხვა გზები უნდა ავირჩიოთ», კაპიტალიზმის გზას უნდა გადავუხვიოთ და წარმოება «გავათემობრივოთ», რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ არსებული ძალები «მთელი» «საზოგადოებისა», რომელიც უკვე რწმუნდება კაპიტალიზმის უძლურებაშიო.

ცხადია, თუ შესაძლებელია სამშობლოსათვის სხვანაირი გზის არჩევა, თუ მთელი საზოგადოება იწყებს ამის აუცილებლობის შეგნებას, მაშინ წარმოების «გათემობრივება» დიდ სიძნელეებს აღარ წარმოადგენს და განსაზღვრულ მოსამზადებელ ისტორიულ პერიოდს აღარ მოითხოვს. საკმარისია მხოლოდ ასეთი გათემობრივების გეგმა შევიმუშავოთ, დავარწმუნოთ, ვისაც ეს ეხება, მისი განხორციელების შესაძლებ-

ლობაში, — და «სამშობლოც» კაპიტალიზმის მცდარი გზიდან განსაზოგადოების გზისაკენ გადაუხვევს.

ყველას ესმის, თუ რა უდიდეს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ამგვარი გეგმა, რომელიც ასეთ წარმტაც პერსპექტივებს გვიქადის, და ამიტომაც რუსეთის საზოგადოება დიდად მადლობელი უნდა იყოს «რუსსკოე ბოგატსტვოს» ერთ-ერთი მუდმივი თანამშრომლის ბ-ნ იუჟაკოვისა იმისათვის, რომ მან ამგვარი გეგმის შემუშავება იკისრა. «რუსსკოე ბოგატსტვოს» მაისის წიგნში ჩვენ ვხედავთ მის სტატიას: «საგანმანათლებლო უტოპია» ქვესათაურით: «საყოველთაო-სახალხო სავალდებულო საშუალო განათლების გეგმა».

რა დამოკიდებულება აქვს ამას წარმოების «გათემობრივებასთან»? — იკითხავს მკითხველი. ფრიად უშუალო, რადგანაც ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა ძალიან ფართოა. ავტორის პროექტით ყოველ თემში უნდა დაარსდეს გიმნაზია, რომელშიც უნდა მოთავსდეს სასკოლო ასაკის მთელი მოსახლეობა მამრობითი და მდედრობითი სქესისა (8—20 წლისა, **maximum** 25 წლამდეც). ასეთი გიმნაზიები უნდა წარმოადგენდნენ მწარმოებელ ასოციაციებს, რომლებიც სამიწათმოქმედო და ზნეობრივ მეურნეობას მისდევენ და თავიანთი შრომით ინახავენ არა მარტო გიმნაზიების მოსახლეობას (რომელიც, ბ-ნ იუჟაკოვის აზრით, მთელი მოსახლეობის მ ე ხ უ თ ე დ ნ ა წ ი ლ ს შეადგენს), არამედ, გარდა ამისა, ბ ა ვ შ ვ თ ა მ თ ე ლ ი მ ო-ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს შენახვის საშუალებებსაც იძლევიან. დაწვრილებითი გაანგარიშება, რომელიც ავტორს მოუხდენია ერთი ტიპიური გიმნაზია-თემისათვის (იგივე — «გიმნაზია-ფერმა», «გიმნაზიის მეურნეობა» ანუ «სამიწათმოქმედო გიმნაზია»), გვიჩვენებს, რომ გიმნაზია შეინახავს სულ დიდი მ თ ე ლ ი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი ასეთი გიმნაზია (პროექტით რუსეთში 20 000 ასეთი ორმაგი გიმნაზია უნდა დაარსდეს, ე. ი. 20 000 ვაჟთა და 20 000 ქალთა) მომარაგდება მიწით და წარმოების საშუალებებით (გათვალისწინებულია მთავრობის გარანტიით ერობების მიერ ობლიგაციების გამოშვება $4^1/_2$%-ის გადახდით და $^1/_2$%-ის

გახაღდებით), — მაშინ მივხვდებით, თუ მართლაც რამდენად «უზარმაზარია» ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმა». ხდება წარმოების განსაზოგადოება მოსახლეობის მთელი ნახევრისათვის. მაშასადამე, ერთბაშად გამონახულია სხვა გზა სამშობლოსათვის! და ეს მიღწეული იქნება «მთავრობის, ერობისა და ხალხის მხრივ რაიმე ხარჯის გაუწევლად (sic! *)». ეს «უტოპიად გვეჩვენება მხოლოდ ერთი შეხედვით», ნამდვილად კი «მისი განხორციელება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე საყოველთაო-სახალხო დაწყებითი განათლებისა». ბ-ნი იუჟაკოვი გვარწმუნებს, რომ ამისათვის აუცილებელი საფინანსო ოპერაცია «ქიმერასა და უტოპიას არ წარმოადგენს», და მისი მიღწევა შეიძლება, როგორც უკვე დავინახეთ, არა მარტო ხარჯის, ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად, არამედ «დაწესებული სასწავლო გეგმების» შეუცვლელადაც კი!! ბ-ნი იუჟაკოვი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ «ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სურვილი გვექნება მარტო ცდას კი არ დავჯერდეთ, არამედ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო განათლებას მივაღწიოთ». მართალია, იგი ამბობს, «მიზნად არ დამისახავს შესრულების პროექტი შემედგინაო», მაგრამ მის გადმოცემაში მოცემულია თვითეულ გიმნაზიაში მოსწავლე ვაჟებისა და ქალების ნავარაუდევი რიცხვიც, გიმნაზიების მთელი მოსახლეობის შესანახად საჭირო სამუშაო ძალის გაანგარიშებაც, ჩამოთვლილია პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალიც, ნაჩვენებია როგორც გიმნაზიის წევრთა კმაყოფა ნატურით, ისე პედაგოგების, ექიმების, ტექნიკოსებისა და ხელოსნების ფულადი ჯამაგირიც. ავტორი დაწვრილებით ანგარიშობს სამიწათმოქმედო სამუშაოთათვის საჭირო სამუშაო დღეების რიცხვს, თვითეული გიმნაზიისთვის საჭირო მიწის რაოდენობას და თავდაპირველი მოწყობისათვის საჭირო ფულად სახსრებს. მას გათვალისწინებული აქვს, ერთის მხრივ, უცხოტომელთა და სექტანტთა ბედი, რომელნიც საყოველთაო-სახალხო საშუალო განათლების სიკეთით ვერ ისარგებლებენ, და, მეორე მხრივ, იმ პირთა ბედიც, რომლებიც

* — ასეა! რ ე დ.

გიმნაზიიდან გაირიცხებიან ცუდი ყოფაქცევისათვის. ავტორის გაანგარიშება მხოლოდ ერთი ტიპიური გიმნაზიით არ განისაზღვრება. არავითარ შემთხვევაში. იგი აყენებს ყველა 20 000 ორმაგი გიმნაზიის განხორციელების საკითხს და გვიჩვენებს, როგორ იქნას შეძენილი საამისოდ საჭირო მიწა და როგორ იქნას უზრუნველყოფილი «მასწავლებელთა, ადმინისტრატორთა და მეურნეთა დამაკმაყოფილებელი პერსონალი».

გასაგებია, რამდენად წარმტაც ინტერესს წარმოადგენს ასეთი გეგმა, — ინტერესს არა მარტო თეორიულს (ცხადია, წარმოების გათემობრივების ესოდენ კონკრეტულად შემუშავებულმა გეგმამ საბოლოოდ უნდა დაარწმუნოს ყველა სკეპტიკოსი და გააცამტვეროს ყველა ისინი, ვინც ამგვარი გეგმების განხორციელების შესაძლებლობას უარყოფს), არამედ ცხოველ პრაქტიკულ ინტერესსაც. უცნაური იქნებოდა, რომ საყოველთაო-სახალხო სავალდებულო საშუალო განათლების ორგანიზაციის პროექტისათვის უმაღლეს მთავრობას ყურადღება არ მიექცია, მეტადრე როცა ამ წინადადების ავტორი გადაჭრით ამტკიცებს, რომ საქმე «ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად» მოეწყობა და მას «დაბრკოლებები გადაეღობება არა იმდენად ამოცანის საფინანსო და ეკონომიური პირობების მხრივ, რამდენადაც კულტურული პირობების მხრივ», რომლებიც თუმცაღა «დაუძლეველი არ არისო». ასეთი პროექტი უშუალოდ ეხება არა მარტო სახალხო განათლების სამინისტროს, არამედ ამდენადვე შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, მიწათმოქმედების სამინისტროს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სამხედრო სამინისტროსაც კი. ალბათ, იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში უნდა გადავიდეს პროექტით ნავარაუდევი «გამასწორებელი გიმნაზიები». ეჭვი არ არის, სხვა სამინისტროებიც დაინტერესდებიან ამ პროექტით, რომელიც, ბ-ნ იუჟაკოვის სიტყვით, «დააკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ (ე. ი. განათლებისა და შენახვის) მოთხოვნილებას და, ალბათ, კიდევ მრავალ სხვას».

ამიტომ დარწმუნებული ვართ, მკითხველი არ დაგვემდურება, თუ ამ დიდად შესანიშნავი პროექტის დაწვრილებითს განხილვას შევუდგებით.

ბ-ნ იუჟაკოვის ძირითადი აზრი შემდეგში მდგომარეობს: ზაფხულის დრო სრულიად თავისუფლდება სასწავლო მეცადინეობისაგან და ხმარდება სამიწათმოქმედო მუშაობას. შემდეგ, გიმნაზიადამთავრებული მოწაფეები რანდენიმე ხნით იქვე რჩებიან მომუშავეებად; ისინი ზამთრის სამუშაოებს ასრულებენ და გამოიყენებიან სარეწაო სამუშაოებზე, რომლებიც სამიწათმოქმედო სამუშაოებს შეავსებენ და თვითეულ გიმნაზიას საშუალებას აძლევენ თავიანთი საკუთარი შრომით შეინახონ ყველა მოწაფე და მუშა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მთელი პერსონალი და დაფარონ განათლების ხარჯები. ასეთი გიმნაზიები — სამართლიანად ამბობს ბ-ნი იუჟაკოვი — დიდი სამიწათმოქმედო არტელები იქნებოდნენ. ეს უკანასკნელი გამოთქმა, სხვათა შორის, ოდნავ ეჭვსაც აღარ სტოვებს, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა განვიხილოთ, როგორც წარმოების ნაროდნიკული «გათემობრივების» პირველი ნაბიჯები, როგორც ნაწილი იმ ახალი გზისა, რომელიც უნდა აირჩიოს რუსეთმა, რათა თავიდან აიცილოს კაპიტალიზმის პერიპეტიები.

«ამჟამად — მსჯელობს ბ-ნი იუჟაკოვი — გიმნაზიას 18 — 20 წლის ასაკში ამთავრებენ, ზოგჯერ კი 1 — 2 წლითაც იგვიანებენ. სავალდებულო სწავლების დროს... დაგვიანება უფრო ხშირი გახდება. უფრო გვიან დაამთავრებენ, ხოლო სამ უფროსს კლასში 16 — 25 წლისანი იქნებიან, თუ კურსდაუმთავრებლად გარიცხვისათვის სახელდობრ 25 წელიწადი იქნება უკიდურეს ასაკად დაწესებული. ამრიგად, თუ ამ დიდასაკოვან მეხუთე კლასელთა დამატებითს კონტინგენტს მივიღებთ მხედველობაში, გიმნაზიის მოსწავლეთა დაახლოებით ერთი მესამედი თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ... სამუშაო ასაკში». ეს პროცენტი მეოთხედამდეც რომ დავიყვანოთ, როგორც შემდეგ ვარაუდობს ავტორი, თუ გიმნაზიის 8 კლასს დავუმატებთ 2 კლასს დაწყებითი მოსამზადებელი სკოლი' ოვის (მიღებული იქნებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარი რვა ის ბავ-

შვები), — მაინც მივიღებთ დიდძალ მუშებს, რომლებიც, ნახევარმუშების დახმარებით, საზაფხულო სამუშაოს დასძლევენო. მაგრამ «ათკლასიანი გიმნაზია-ფერმისათვის— საფუძვლიანად შენიშნავს ბ-ნი იუჟაკოვი — აუცილებლად საჭირო იქნება ზამთრის მუშების განსაზღვრული კონტინგენტი». სად უნდა ვიშოვოთ ისინი? ავტორი ორ გამოსავალს მიგვითითებს: 1) მუშების დაქირავება («მათგან ზოგიერთი დამსახურებული მუშა შეიძლება შემოსავლის მონაწილეც გახდეს»). გიმნაზიის მეურნეობა შემოსავლიანი მეურნეობა უნდა იყოს და ასეთი დაქირავება უნდა გაამართლოს. მაგრამ ავტორს «უფრო საყურადღებოდ მიაჩნია მეორე გამოსავალი»: 2) გიმნაზიის კურსდამთავრებულნი ვალდებული იქნებიან იმუშაონ იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც მათს სწავლასა და შენახვას დასჭირდა უმცროს კლასებში. ეს მათი «პირდაპირი მოვალეობაა», — დასძენს ბ-ნი იუჟაკოვი, — იგულისხმება, მოვალეობა მხოლოდ იმათთვის, ვისაც საშუალება არა აქვს სწავლის ღირებულება გადაიხადოს. აი სწორედ ესენი შეადგენენ ზამთრის მუშებისა და ზაფხულის დამატებითი მუშების აუცილებელ კონტინგენტს.

ასეთია პირველი ნიშანდობლივი თვისება ნავარაუდევი ორგანიზაციისა, რომელმაც სამიწათმოქმედო არტელებად უნდა «გაათემობრივოს» მოსახლეობის ერთი მეხუთედი ნაწილი. უკვე აქედან შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა ღირსება ექნება სამშობლოსათვის სხვა გზის არჩევას. დაქირავებულ შრომას, რომელიც ამჟამად ცხოვრების ერთადერთი წყაროა იმ პირთათვის, ვისაც «საშუალება არ ექნება გადაიხადოს სწავლის ფული» და შესანახი ხარჯების ღირებულება, ცვლის სავალდებულო მუქთი შრომა. მაგრამ ამან არ უნდა შეგვაკრთოს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამის სამაგიეროდ მოსახლეობა საყოველთაო საშუალო განათლების სიკეთით ისარგებლებს.

გავყვეთ ქვევით. ავტორის პროექტით ცალ-ცალკე უნდა დაარსდეს გიმნაზიები ვაჟებისა და ქალებისათვის, რადგან იგი ანგარიშს უწევს ევროპის კონტინენტზე გაბატონებულ ცრუშეხედულებას ქალ-ვაჟთა ერთად სწავლის წინააღმდეგ,

რომელიც, კაცმა რომ თქვას, უფრო რაციონალური იქნებოდაო. «50 მოსწავლე თითო კლასში ანუ 500 ყველა ათ კლასში ანუ 1 000 გიმნაზიის მეურნეობაში (500 ვაჟი და 500 ქალი) სრულიად ნორმალური შემადგენლობა იქნება» საშუალო გიმნაზიისა. მასში იქნება 125 «წყვილი მუშა» და სათანადო რიცხვი ნახევარმუშებისა. «თუ ვიტყვი, — ამბობს იუჟაკოვი, — რომ მუშათა ამ რიცხვს შეუძლია დაამუშაოს, მაგალითად, მალოროსიაში 2 500 დეს. კულტურული საყანე მიწა, მაშინ ყველა მიხვდება, რამდენად დიდ ძალას წარმოადგენს გიმნაზიის შრომა»!..

მაგრამ ამ მუშებს გარდა იქნებიან «მუდმივი მუშებიც», რომლებმაც უნდა იმუშაონ განათლებისა და შენახვის ხარჯების «ასანაზღაურებლად». რამდენი იქნებიან ისინი? ყოველწლიურად კურსს დაამთავრებს 45 მოწაფე ქალი და ვაჟი. მოწაფეთა ერთ მესამედს გაიწვევენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად (ამჟამად ბეგარას იხდის მეოთხედი. ავტორი ამ რიცხვს ერთ მესამედამდე ადიდებს, რადგანაც სამსახურის ვადას 3 წლამდე ამცირებს) 3 წლის განმავლობაში. «უსამართლობა არ იქნება, თუ დანარჩენ ორ მესამედსაც ასეთსავე პირობებში ჩავაყენებთ, ე. ი. გიმნაზიაში დავტოვებთ იმისათვის, რომ აანაზღაურონ საკუთარი განათლების, აგრეთვე იმ ამხანაგების განათლების ფასი, რომლებიც ჯარში წავიდნენ. ყველა ქალიც შეიძლება დავტოვოთ ამავე მიზნით».

ორგანიზაცია ახალი წესებისა, რომლებიც ეწყობა სხვა გზის ამომრჩევ სამშობლოში, უფრო მეტი გარკვეულობით ისახება. ამჟამად რუსეთის ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია სამხედრო ბეგარა მოიხადოს და, რადგანაც ჯარში გასაწვევი ასაკის პირთა რიცხვი საჭირო მეომრებზე უფრო მეტია, ამიტომ არჩევანი კენჭის ყრით ხდება. გათემობრივებულ წარმოებაში ახალწვეულთ კენჭის ყრითვე აირჩევენ, მაგრამ განზრახულია დანარჩენებიც «ასეთსავე პირობებში ჩააყენონ», ე. ი. ვალდებულება დააკისრონ სამი წელიწადი დაჰყონ სამსახურში, მართალია, არა სამხედრო სამსახურში, არამედ გიმნაზიისათვის სამუშაოდ. მათ უნდა იმუშაონ ჯარში გაწვეული

ამხანაგების შესანახი ფასის ასანაზღაურებლად. ყველამ უნდა იმუშაოს ამისათვის? არა. მხოლოდ იმათ, ვისაც არ შეუძლია სწავლის ღირებულება გადაიხადოს. ავტორმა უკვე ზევით წამოაყენა ეს შენიშვნა, ქვევით კი დავინახავთ, რომ იმ პირთათვის, რომელთაც შეუძლიათ სწავლის ფასი გადაიხადონ, იგი აპროექტებს განსაკუთრებულ გიმნაზიებს, რომლებიც ძველ ტიპს ინარჩუნებენ. საკითხავია, ჯარში წასული ამხანაგების შენახვის ფასის ანაზღაურება რათ ეკისრება იმათ, ვისაც არ შეუძლია სწავლის ღირებულება გადაიხადოს? და არა იმათ, ვისაც შეუძლია? ადვილად გასაგებია, თუ რატომ. გიმნაზიელებს თუ დავყოფთ ფასით და უფასოდ მოსწავლეებად, მაშინ ცხადია, რეფორმა საზოგადოების თანამედროვე აგებულებას არ ეხება: ეს კარგად ესმის თვით ბ-ნ იუჟაკოვსაც. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ სახელმწიფოს საერთო ხარჯებს (ჯარისკაცებზე) გასწევენ ისინი, ვისაც ცხოვრების სახსრები არა აქვს*, — სწორედ ისევე, როგორც ახლაც იხდიან ამ ხარჯებს, მაგ., არაპირდაპირი გადასახადების სახით და სხვ. მაშ რაში მდგომარეობს ახალი წყობილების განსხვავება? იმაში, რომ ამჟამად სახსრების უქონელთ შეუძლიათ სამუშაო ძალა გაჰყიდონ, ახალ წყობილებაში კი ისინი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იქნებიან იმუშაონ მ უ ქ თ ა დ (ე. ი. მხოლოდ შენახვისათვის). ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთი ამრიგად თავს აღწევს კაპიტალისტური წყობილების ყველა პერიპეტიას. თავისუფლად დაქირავებული შრომა, რომელიც «პროლეტარიატის წყლულით» იმუქრება, გამოიდევნება და ადგილს უთმობს... მუქთ სავალდებულო შრომას.

არაფერი გასაკვირველიც არ არის, რომ ადამიანები, ჩაყენებულნი მუქთი სავალდებულო შრომის ურთიერთობაში, ვარდებიან ისეთ პირობებში, რომლებიც ამ ურთიერთობას შეესაბამება. მოისმინეთ, თუ რას გვეუბნება ნაროდნიკი («ხალხის მეგობარი») უშუალოდ ზემოთქმულის შემდეგ:

«თუ ამასთანავე ერთად ნებადართული იქნება ასეთს კურსდამთავრებულ და გიმნაზიაში 3 წლით დატოვებულ

---

* თორემ პირველნი გაბატონებული არ იქნებოდნენ უკანასკნელებზე.

ახალგაზრდებს შორის დაქორწინება; თუ ცოლშვილიანი მუშებისათვის ცალკე ბინები მოეწყობა; და თუ გიმნაზიის შემოსავალი საშუალებას მისცემს მას გიმნაზიიდან მათი წასვლის დროს მცირეოდენი დახმარება მაინც აღმოუჩინოს ფულით და ნატურით, მაშინ გიმნაზიაში ასეთი სამწლიანი ყოფნა გაცილებით უფრო ნაკლებად სამძიმო იქნება, ვიდრე სამხედრო ბეგარა»...

განა ცხადი არ არის, რომ ასეთი შეღავათიანი პირობები მოსახლეობას აიძულებენ მთელი ძალ-ღონით ეცადოს, რომ გიმნაზიაში მოხვდეს. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ჯერ ერთი, ნებადართული იქნება დაქორწინება. მართალია, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კანონების მიხედვით ასეთი ნებართვა (უფროსებისაგან) საერთოდ საჭირო არ არის. მაგრამ მიიღეთ მხედველობაში, რომ ისინი ხომ გ ი მ ნ ა ზ ი ე ლ ე ბ ი იქნებიან, — მართალია, 25 წლის ასაკს მიღწეულნი, მაგრამ მაინც გიმნაზიელები. თუ უნივერსიტეტის სტუდენტებს არა აქვთ დაქორწინების ნება, განა შეიძლებოდა ამის ნება მისცემოდა გიმნაზიელებს? ამასთანავე ნებართვა ხომ დამოკიდებული იქნება გიმნაზიის უფროსებზე, მაშასადამე, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებზე: ცხადია, მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შიში არ უნდა გვქონდეს. მაგრამ გიმნაზიადამთავრებულნი და მუდმივ მუშებად იქ დარჩენილნი უკვე გიმნაზიელები არ არიან. მიუხედავად ამისა, დაქორწინების ნებართვის აღებაზე ლაპარაკია იმათ შესახებაც — 21 — 27 წლის ადამიანების შესახებაც. არ შეგვიძლია არ გამოვტყდეთ, რომ სამშობლოს მიერ არჩეული ახალი გზა იწვევს რუს მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობის ერთგვარ შეზღუდვას, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ საყოველთაო საშუალო განათლების სიკეთენი უმსხვერპლოდ ვერ მოიპოვება. მეორე, ცოლშვილიანი მუშებისათვის მოეწყობა ცალკე ბინები, ალბათ, არა უარესი იმ სენაკებზე, რომლებშიც ამჟამად ფაბრიკის მუშები ცხოვრობენ. და მე-3, მუდმივი მუშები ამისთვის იღებენ «მცირე დახმარებას». ეჭვს გარეშეა, რომ მოსახლეობა უფროსების ფრთებქვეშ მშვიდობიანად ცხოვრების ამ შეღავათებს ამჯობინებს, ვიდრე კაპიტალიზმის შფოთსა და მღელვა-

რებას, ამჯობინებს იმდენად, რომ ზოგიერთი მუშა სამუდამოდ გიმნაზიაში დარჩება (ალბათ, ნიშნად მადლობისა, რომ დაქორწინების ნება დართეს): «მცირე კონტინგენტი მუდმივი მუშებისა, რომლებიც გიმნაზიაში სამუდამოდ დარჩნენ და მას შეესისხლხორცნენ (sic!!), გიმნაზიის მეურნეობის ამ სამუშაო ძალას ავსებს. ასეთია ჩვენი სამიწათმოქმედო გიმნაზიის შესაძლებელი და სრულიადაც არა უტოპიური სამუშაო ძალები».

რა ბრძანებაა! რა არის აქ «უტოპიური»? მუდმივი მუქთი მუშები, «შესისხლხორცებულნი» მეპატრონეებთან, რომლებიც მათ დაქორწინების ნებასაც რთავენ, — აბა ერთი ჰკითხეთ რომელიმე მოხუც გლეხს, და ის თავისი საკუთარი გამოცდილებით გიამბობთ, რომ ყოველივე ეს სავსებით განსახორციელებელია.

(გაგრძელება იქნება) *.

დაწერილია 1895 წლის შემოდგომაზე. დაიბეჭდა გაზეთ «სამარსკი ვესტნიკის»[2] 254 ნომერში, 1895 წლის 25 ნოემბერს, კ. ტ. — ინ-ის ხელმოწერით

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 2, გვ. 75 — 84.

* — გაგრძელება გაზეთ «სამარსკი ვესტნიკაში» აღარ ყოფილა. რ ე დ.

რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები[3]

შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს წერილი მისწერა. წერილი დაწერილია 1895 წლის 18 მარტს 2603 ნომრით, და ზედ წარწერა აქვს: «სრულიად საიდუმლოდ». მაშასადამე, მინისტრს უნდოდა, რომ ეს წერილი ფრიად საიდუმლოდ დარჩენილიყო. მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც არ იზიარებენ ბატონ მინისტრის შეხედულებას, რომ რუსმა მოქალაქეებმა არ უნდა იცოდნენ მთავრობის განზრახვები, და აი ახლა ეს წერილი ხელიდან ხელში გადადის ხელნაწერი ასლის სახით.

რასღა სწერდა ბ-ნი დურნოვო ბ-ნ პობედონოსცევს!

იგი მას სწერდა საკვირაო სკოლების შესახებ. წერილში ნათქვამია: «ამ ბოლო წლებში მიღებული ცნობები მოწმობს, რომ პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირები, აგრეთვე გარკვეული მიმართულების მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილი, 60-იანი წლების მაგალითისამებრ, მიისწრაფვიან საკვირაო სკოლებში მოეწყონ მასწავლებლებად, ლექტორებად, ბიბლიოთეკარებად და სხვ. ასეთი სისტემატური მისწრაფება, რომელიც საარსებო სახსრის გამოძებნის სურვილითაც კი არ მართლდება, ვინაიდან ასეთ სკოლებში მოვალეობის ასრულება არ ნაზღაურდება, ამტკიცებს, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა წარმოადგენს მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტების მხრივ რუსეთში არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ ლეგალურ (კანონიერ) ნიადაგზე ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას».

აი როგორ მსჯელობს ბ-ნი მინისტრი! განათლებულ ხალხში მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც სურთ თავიანთი ცოდნა მუშებს გაუზიარონ, სურთ, რომ სწავლამ მარტო მათ კი არ მოუტანოს სარგებლობა, არამედ ხალხსაც, — და მინისტრი მაშინვე ასკვნის, აქ «მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტები» არიანო, ე. ი. ვიღაც შეთქმულნი აქეზებენ ადამიანებს საკვირაო სკოლაში იმუშაონო. ნუთუ წაუქეზებლად არ შეიძლებოდა ზოგიერთ განათლებულ კაცს დაბადებოდა სხვისი სწავლების სურვილი? მაგრამ მინისტრის შეშფოთებას ის იწვევს, რომ საკვირაო სკოლების მასწავლებლები ჯამაგირს არ იღებენ. ის მიჩვეულია იმას, რომ მისი ჯაშუშები და მოხელეები მხოლოდ ჯამაგირისთვის მსახურობენ, ემსახურებიან იმას, ვინც მეტ ფულს მისცემს, აქ კი რას ხედავს — ადამიანები მუშაობენ, მსახურობენ, ასწავლიან და ყოველივე ამას... მუქთად აკეთებენ. საეჭვოაო! ფიქრობს მინისტრი, და ჯაშუშებს გზავნის საქმის დასაზვერად. წერილში შემდეგ ნათქვამია: «შემდგომი ცნობებით» (იმ ჯაშუშების ცნობებით, რომელთა არსებობაც ჯამაგირის მიღებით მართლდება) «ირკვევა, რომ არა მარტო მასწავლებელთა შემადგენლობაში გვხვდებიან მავნე მიმართულების პირნი, არამედ ხშირად თვით სკოლები არაკეთილსაიმედო პირთა მთელი წრის ფარულ ხელმძღვანელობაში იმყოფებიან; ასეთი წრის წევრები, რომელნიც მოსამსახურეთა ოფიციალურ პერსონალს სრულებით არ ეკუთვნიან, მათგანვე დაყენებულ მასწავლებელ მამაკაცთა და ქალთა მიწვევით საღამოობით კითხულობენ ხოლმე ლექციებს და მოსწავლეებთან მეცადინეობენ... ისეთი წესი, რომელიც შესაძლებლად ხდის გარეშე პირთა მიერ ლექციების წაკითხვას, სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ ლექტორთა რიცხვში მოჰყვნენ აშკარად რევოლუციური წრის ადამიანები».

ამრიგად, თუ «გარეშე ადამიანებს», რომლებიც მოწონებული და შემოწმებული არ არიან ხუცებისა და ჯაშუშების მიერ, მუშებთან მეცადინეობა სურთ, — ეს პირდაპირი რევოლუცია ყოფილა! მინისტრს მუშები თოფისწამლად მიაჩნია, ხოლო ცოდნა და განათლება — ნაპერწკლად; მინისტრი დარწმუნე-

ბულია, რომ თუ ნაპერწკალი თოფისწამალში ჩავარდა, მაშინ აფეთქება უწინარეს ყოვლისა მთავრობის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ჩვენ არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ ამ იშვიათ შემთხვევაში ჩვენ სავსებით და უთუოდ ვიზიარებთ მისი მაღალადმატებულების შეხედულებებს.

მინისტრს წერილში შემდეგ მოყავს თავისი «ცნობების» სისწორის «დამამტკიცებელი საბუთები». კარგი საბუთები კია!

ჯერ ერთი, «წერილი ერთ-ერთი საკვირაო სკოლის მასწავლებლისა, რომლის გვარი ჯერაც გამოურკვეველია». ეს წერილი გაჩხრეკის დროს არის ჩამორთმეული. წერილში ლაპარაკია ისტორიის ლექციების პროგრამაზე, წოდებათა ყმობის დამყარებისა და ყმობიდან განთავისუფლების იდეაზე, მოხსენებულია რაზინისა და პუგაჩოვის ამბოხება.

ალბათ, ამ უკანასკნელმა სახელებმა თუ დააფრთხეს «ს კეთილი მინისტრი: მას მაშინვე, ალბათ, ფიწლები მოელანდ».

მეორე საბუთი:

«შინაგან საქმეთა სამინისტროში მოიპოვება ფარული გზით მიღებული მოსკოვის ერთ-ერთი საკვირაო სკოლის საჯარო ლექციის პროგრამა შემდეგი შინაარსისა: «საზოგადოების წარმოშობა. პირველყოფილი საზოგადოება. საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარება. სახელმწიფო და რისთვისაა იგი საჭირო. წესრიგი. თავისუფლება. სამართლიანობა. სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები. აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქია. შრომა საერთო კეთილდღეობის საფუძველია. სარგებლიანობა და სიმდიდრე. წარმოება, გაცვლა და კაპიტალი. როგორ ნაწილდება სიმდიდრე. საკუთარი ინტერესის დაცვა. საკუთრება და მისი აუცილებლობა. გლეხთა განთავისუფლება მიწიანად. რენტა, მოგება, ხელფასი. რაზეა დამოკიდებული ხელფასი და მისი სახეები. დაზოგვა».

სახალხო სკოლისთვის ამ აშკარა უვარგისი პროგრამით ლექციის კითხვა ლექტორს სრულ შესაძლებლობას აძლევს თანდათანობით გააცნოს მსმენელებს კარლ მარქსის, ენგელსის და სხვ. თეორიებიც, ხოლო საეპარქიო ხელისუფალთა მიერ

დანიშნული დამსწრე პირი ძნელად თუ შენიშნავს ლექციაში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის ჩანასახებს».

როგორც ეტყობა, ბ-ნ მინისტრს ძალიან ეშინია «მარქსისა და ენგელსის თეორიებისა», თუკი ამ თეორიების «ჩანასახებს» ხედავს თვით ისეთ პროგრამაში, სადაც ამის ნიშანკვალიც კი არ არის. რა ნახა მინისტრმა მასში «უვარგისი»? ალბათ, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმებისა და კონსტიტუციის საკითხი.

აიღეთ, ბ-ნო მინისტრო, გეოგრაფიის რომელი სახელმძღვანელოც გნებავთ და იქ იპოვით ამ საკითხებს! ნუთუ მოწიფულ მუშებს აკრძალული აქვთ იმის ცოდნა, რასაც ბავშვებს ასწავლიან?

მაგრამ ბ-ნ მინისტრს საეპარქიო უწყების პირთა იმედი არა აქვს: «ალბათ, ვერ მიხვდებიან, რაზეა ლაპარაკიო».

წერილი თავდება პროხოროვის სამანუფაქტურო ამხანაგობის მოსკოვის ფაბრიკასთან არსებულ საეკლესიო-სამრევლო საკვირაო სკოლის, ქ. ელცის საკვირაო სკოლისა და ქ. თბილისში გასახსნელად განზრახული სკოლის «არაკეთილსაიმედო» მასწავლებლების ჩამოთვლით. ბ-ნი დურნოვო ბ-ნ პობედონოსცევს ურჩევს «გულმოდგინედ შეამოწმოს ის პირნი, რომელთაც სკოლებში სამეცადინოდ უშვებენ». ახლა, როდესაც მასწავლებლების სიას კითხულობ, თმები ყალყზე დგება: სულ ყოფილი სტუდენტი და ყოფილი სტუდენტი, და კიდევ ყოფილი კურსისტი ქალი. ბ-ნ მინისტრს სურს, რომ მასწავლებლებად ყოფილი უნტერები იყვნენ.

განსაკუთრებული ძრწოლით ამბობს ბ-ნი მინისტრი, რომ ქ. ელცში სკოლა «მოთავსებულია მდინარე სოსნას გაღმა, სადაც უპირატესად უბრალო» (ჰოი, საშინელებავ!) «და ხელოსანი ხალხი ცხოვრობს და სადაც რკინიგზის სახელოსნოა».

შორს, შორს უნდა იყვნენ სკოლები «უბრალო და ხელოსანი ხალხისაგან».

მუშებო! თქვენ ხედავთ, რომ სიკვდილსავით ეშინიათ ჩვენს მინისტრებს იმისი, რომ ცოდნა და მუშა ხალხი არ შეერთდნენ! მაშ დაანახვეთ ყველას, რომ ვერავითარი ძალა ვერ წაართმევს მუშებს შეგნებას! ცოდნის გარეშე მუშები უმწეონი არიან, ხოლო ცოდნით აღჭურვილნი — ძალას წარმოადგენენ!

დაწერილია 1895 წლის დამლევს გაზეთ «რაბოჩეე დელოსთვის». პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 2, გვ. 93 — 97

სტატიიდან «ნაროდნიკული პროჟექტეროების» მარგალიტები»

(ს. ნ. იუჟაკოვი. განათლების საკითხები. პუბლიცისტური ცდები. — საშუალო სკოლის რეფორმა. — უმაღლესი განათლების სისტემები და ამოცანები. — გიმნაზიის სახელმძღვანელოები.—საყოველთაო-სახალხო სწავლების საკითხი. — ქალი და განათლება. სპბ. 1897. გვ. VIII+283... ფასი 1 მან. 50 კაპ.)[4]

I

ასეთი სათაურით ბ-მა იუჟაკოვმა გამოუშვა კრებული თავისი სტატიებისა, რომლებიც 1895 — 1897 წლებში «რუსსკოე ბოგატსტვოში» იბეჭდებოდა. ავტორი ფიქრობს, რომ მისმა სტატიებმა «მოიცვეს უმთავრესნი ამ საკითხებიდან», ე. ი. «განათლების საკითხებიდან», და «ყველა ერთად წარმოადგენს ჩვენი გონებრივი კულტურის ყველაზე მეტად მომწიფებულ და საჭირბოროტო, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ ნაკლებად დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებათა რაღაც მიმოხილვის მსგავსს». (წინასიტყვაობა, გვ. V.) მე-5 გვერდზე ერთხელ კიდევ ხაზგასმულია, რომ ავტორი ფიქრობს შეჩერდეს «უმთავრესად პრინციპის საკითხებზე». მაგრამ ყველა ეს ფრაზა მხოლოდ ცხადყოფს, რომ ბ-ნ იუჟაკოვს უყვარს ფართო გაქანება აზროვნებისა, ისიც აზროვნებისა კი არა, არამედ კალმისა. წიგნის სათაურიც მეტისმეტად ფართოა: ნამდვილად, — როგორც ეს თხზულების ქვესათაურში მოთავსებული სტატიათა სიიდანაც ჩანს, — ავტორი ეხება სრულიაღაც არა «განათლების საკითხებს», არამედ მხოლოდ სკოლის საკითხებს, ისიც მხოლოდ საშუალო და უმაღლესი სკოლისას. წიგნის ყველა

სტატიიდან ყველაზე საქმიანია სტატია ჩვენი გიმნაზიის სახელმძღვანელოთა შესახებ. ავტორი აქ დაწვრილებით განიხილავს რუსული ენის, გეოგრაფიისა და ისტორიის გავრცელებულ სახელმძღვანელოებს და ცხადყოფს მათს სრულ უვარგისობას. ეს სტატია უფრო მეტი ინტერესით წაიკითხებოდა, იგიც რომ არ ღლიდეს კაცს ავტორის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობით. ჩვენ ვფიქრობთ მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ წიგნის მხოლოდ ორ სტატიაზე, სახელდობრ, სტატიაზე საშუალო განათლების რეფორმისა და საყოველთაო-სახალხო სწავლების შესახებ, ვინაიდან ეს სტატიები მართლაც პრინციპულ საკითხებს ეხებიან და «რუსსკოე ბოგატსტვოს» სანუკვარ იდეათა ნათელსაყოფად განსაკუთრებით დამახასიათებელნი არიან. ეს ხომ ბატონ გრინევიჩებსა და მიხაილოვსკებს სჭირდებათ — იმისათვის, რათა მტრული დოქტრინის საშინლად სულელურ დასკვნათა მაგალითები გამონახონ, — რუსული ლექსების მაკულატურის ნაგავი ჰქექონ. სათანადო მიზნისათვის ჩვენ ესოდენ უსიამო ქექვა როდი გვჭირდება: ჩვენთვის საკმარისია მივმართოთ ჟურნალ «რუს. ბოგატსტვოს» და მის ერთ-ერთ ეჭვმიუტანელ «ბურჯთაგანს».

II

II პარაგრაფი სტატიისა «საშუალო განათლების რეფორმის საფუძვლების» შესახებ ბ-ნ ფუჟაკოვს ასე აქვს დასათაურებული: «საშუალო სკოლის ამოცანები. კლასობრივი ინტერესები და კლასობრივი სკოლა» (იხ. სარჩევი). თემა, როგორც ხედავთ, წარმტაც ინტერესს წარმოადგენს, გვპირდება რა განგვიმარტოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი არა მარტო განათლებისა, არამედ საზოგადოდ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, და მასთან სწორედ ის საკითხი, რომელიც ნაროდნიკებსა და «მოწაფეთა»[5] შორის ერთ-ერთ უმთავრეს უთანხმოებას იწვევს. ვნახოთ ერთი, რა წარმოდგენა აქვს «რუსსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომელს «კლასობრივ ინტერესებსა და კლასობრივ სკოლაზე».

ავტორი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ფორმულა: «სკოლამ ადამიანი ცხოვრებისათვის უნდა მოამზადოსო»

სრულიად უშინაარსოა, რომ საკითხი ის არის, თუ ცხოვრებისათვის რაა საჭირო და «ვის ესაჭიროებაო» (6). «ვის ესაჭიროება საშუალო განათლება — ეს ნიშნავს: ვის ინტერესს შეადგენს, ვისი სიკეთისა და სარგებლობისათვის ეძლევათ განათლება საშუალო სკოლის მოწაფეებს?» (7). საკითხის მშვენიერი დაყენებაა, და ჩვენც გულითადად მივესალმებოდით ავტორს, რომ... რომ მთელი ეს პრელუდიები შემდგომ გადმოცემაში ცარიელ ფრაზებად არ იქცეოდეს: «ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოს, ერის, ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის, თვით გასანათლებელი ინდივიდის სიკეთისა და სარგებლობის ინტერესები». იწყება დომხალი: იძულებული ვხდებით დავასკვნათ, რომ კლასებად დაყოფილი საზოგადოება შეიძლება შეეთავსოს უკლასო სახელმწიფოს, უკლასო ერს, კლასთა გარეშე მდგომ ინდივიდებს! ახლავე დავინახავთ, რომ ბ-ნ იუჟაკოვს ეს სრულიადაც არ წამოსცდენია, რომ იგი სწორედ ასეთ აბსურდულ აზრს ადგას. «სასკოლო პროგრამის შემუშავების დროს თუ მხედველობაში აქვთ კლასობრივი ინტერესები, მაშასადამე, ლაპარაკიც არ შეიძლება სახელმწიფო საშუალო სკოლის ერთ ზოგად ტიპზე. ასეთ შემთხვევაში სასწავლებლები აუცილებლად წოდებრივნი არიან და მასთან არა მარტო საგანმანათლებლონი, არამედ აღმზრდელობითნიც, ვინაიდან მათ უნდა მისცენ არა მარტო წოდების სპეციალურ ინტერესებსა და ამოცანებთან შეგუებული განათლება, არამედ წოდებრივი ჩვევებიც და წოდებრივი კორპორაციული სულისკვეთებაც» (7). ამ ტირადის პირველი დასკვნა ისაა, რომ ბ-ნ იუჟაკოვს არ გაეგება განსხვავება წოდებათა და კლასთა შორის და ამიტომ უღმერთოდ ურევს ერთმანეთში ამ სრულიად სხვადასხვაგვარ ცნებებს. მისი სტატიის სხვა ადგილებში (იხ. მაგალითად, გვ. 8) ასეთივე გაუგებლობა აშკარავდება, და ეს მით უფრო საკვირველია, რომ ამავე სტატიაში ბ-ნი იუჟაკოვი თითქმის პირისპირ მიადგა ამ ცნებათა არსებითს განსხვავებას. «უნდა გვახსოვდესო, — მოგვითხრობს ბ-ნი იუჟაკოვი მე-11 გვ., — რომ ხშირად (მაგრამ სრულიადაც არა აუცილებლად) პოლიტიკური, ეკონომიური და სულიერი ორგანიზაციები შეადგენენ მოსახლეობის ცალკე ჯგუფთა ხან იურიდიულ პრი-

ვილეგიას, ხან კი ფაქტიურ კუთვნილებას. პირველ შემთხვევაში ეს არის წოდებანი; მეორეში — კლასები». აქ სწორადაა აღნიშნული ერთ-ერთი განსხვავება კლასსა და წოდებას შორის, სახელდობრ ის, რომ კლასები ერთმანეთისაგან განირჩევიან არა იურიდიული პრივილეგიებით, არამედ ფაქტიური პირობებით, რომ მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოების კლასები იურიდიულ თანასწორობას გულისხმობენ. ბ-ნი იუჟაკოვი თითქოს არ უგულებელყოფს წოდებათა და კლასთა შორის არსებულ სხვა განსხვავებასაც: «...ჩვენ... მაშინ (ე. ი. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ) ხელი ავიღეთ... ნაციონალურ ცხოვრების ბატონყმურ და წოდებრივ წყობილებაზე, მათ შორის წოდებრივი კარჩაკეტილი სკოლის სისტემაზეც. ამჟამად კაპიტალისტური პროცესის დანერგვა რუს ერს ანაწილებს არა იმდენად წოდებებად, რამდენადაც ეკონომიურ კლასებად...» (8). აქ სწორად არის აღნიშნული მეორე ნიშანიც, რომელიც ევროპისა და რუსეთის ისტორიაში წოდებებს კლასებისაგან განასხვავებს, სახელდობრ ის, რომ წოდებები — ბატონყმური, ხოლო კლასები — კაპიტალისტური საზოგადოების კუთვნილებაა *. ბ-ნი იუჟაკოვი თუნდ ოდნავ რომ ჩაჰკვირვებოდა ამ განსხვავებებს და ასე ზერელედ არ აჰყოლოდა თავის მარჯვე კალამსა და თავის **Kleinbürger**-ულ** გულისთქმას, იგი ვერც ზემომოყვანილ ტირადას დაწერდა, ვერც იმის მსგავს სხვა აბდაუბდას, რომ სკოლების კლასობრივმა პროგრამებმა უნდა დაანაწილონ პროგრამები ღარიბთა და მდიდართათვის, რომ დასავლეთ ევროპაში კლასობრივ პროგრამებს წარმატება არა აქვთ, რომ კლასობრივი სკოლა კლასობრივ კარჩაკეტილობას გულისხმობსო და სხვ. და სხვ.. ყოველივე ეს ცხადზე უცხადესად ააშკარავებს, რომ, მიუხედავად მრავლისმეტყველი სათაურისა, მიუხედავად მაღალფარდოვანი ფრაზებისა, ბ-ნ იუჟაკოვს სრულიად ვერ გაუგია, თუ

---

* წოდებები გულისხმობენ საზოგადოების კლასებად დაყოფას, რადგან წოდება კლასობრივ განსხვავებათა ერთ-ერთი ფორმაა. როდესაც უბრალოდ კლასებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ კაპიტალისტური საზოგადოების უწოდებრიო კლასებს.

** — წვრილბურჟუაზიულ. რ ე დ.

რა შეადგენს კლასობრივი სკოლის დედაარსს. ეს დედაარსი, ფრიად პატივცემულო ბ-ნო ნაროდნიკო, იმაში მდგომარეობს, რომ განათლება თანაბრად მოწყობილია და თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს. მხოლოდ ამ უკანასკნელ სიტყვაშია მოცემული კლასობრივი სკოლის დედაარსი წოდებრივი სკოლისაგან განსხვავებით. ამიტომ ბ-მა იუჟაკოვმა მტკნარი სისულელე თქვა ზემომოყვანილ ტირადაში, თითქოს სკოლის კლასობრივი ინტერესების დროს «ლაპარაკიც კი შეუძლებელია სახელმწიფო საშუალო სკოლის ერთ ზოგად ტიპზე». სწორედ რომ პირიქით: კლასობრივი სკოლა,— თუ იგი თანმიმდევრულად არის გატარებული, ე. ი. თუ იგი განთავისუფლებულია წოდებრიობის ყველა და ყოველგვარი ნაშთისაგან, — აუცილებლად გულისხმობს სკოლის ერთ ზოგად ტიპს. კლასობრივი საზოგადოების (და, მაშასადამე, კლასობრივი განათლებისაც) დედაარსს შეადგენს სრული იურიდიული თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა, ყველა მოქალაქის სრული თანასწორუფლებიანობა, შეძლებულთათვის განათლების სრული თანასწორობა და ხელმისაწვდომობა. წოდებრივი სკოლა მოწაფისაგან მოითხოვს, რომ ის განსაზღვრულ წოდებას ეკუთვნოდეს. კლასობრივი სკოლა წოდებებს არ იცნობს, ის მხოლოდ მოქალაქეებს იცნობს. იგი ყველა და ყოველგვარი მოწაფისაგან მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ს რ ა ს მ ე მოითხოვს: რომ მან სწავლის ფული გადაიხადოს. პროგრამების სხვადასხვაობა მდიდართა და ღარიბთათვის კლასობრივ სკოლას სრულიადაც არ ესაჭიროება, ვინაიდან იმათ, ვისაც სწავლის ფულის გადახდისათვის, სახელმძღვანელოების შესაძენი ხარჯებისათვის, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში მოწაფის შენახვისათვის საშუალებანი არ მოეპოვება, — იმათ კლასობრივი სკოლა არც მიუშვებს საშუალო განათლებამდე. კლასობრივი სკოლა კლასობრივ კარჩაკეტილობას სრულიადაც არ გულისხმობს: პირიქით, წინაღმდეგ წოდებებისა, კლასები ყოველთვის სრულიად თავისუფალს ხდიან ცალკეულ პიროვნებათა ერთი კლასიდან მეორეში გადასვლას. კლასობრივი სკოლა კარს არ უხშობს არავის, ვისაც კი სწავლისათვის საშუალებები აქვს. იმის თქმა, რომ დასავლეთ ევროპაში «ნახევარგანათლე-

ბისა და ხალხის სხვადასხვა ფენის კლასობრივი მორალურ-ინტელექტუალური განკერძოების ამ საშიშარ პროგრამებს წარმატება არა აქვსო» (9), — ეს სინამდვილის სრული დამახინჯებაა, ვინაიდან ყველამ იცის, რომ დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც საშუალო სკოლა, არსებითად, — კლასობრივია და იგი ემსახურება მოსახლეობის მხოლოდ ფრიად და ფრიად მცირე ნაწილს. ცნებათა იმ წარმოუდგენელი აღრევის გამო, რასაც ბ-ნი იუჟაკოვი იჩენს, ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია მისთვის ერთი დამატებითი განმარტება კიდევ მოვიყვანოთ: თანამედროვე საზოგადოებაში ის საშუალო სკოლაც, რომელიც სწავლის ფულს სულ არ იღებს, ამით სრულიადაც არ ჰკარგავს თავის კლასობრიობას, რადგან მოწაფის შესანახი ხარჯები 7 — 8 წლის განმავლობაში განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე სწავლის ფული; ხოლო ამ ხარჯების გაწევა შეუძლია მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას. ბ-ნი იუჟაკოვს თუ სურს საშუალო სკოლის თანამედროვე რეფორმატორების პრაქტიკული მრჩეველი იყოს, თუ მას სურს საკითხი თანამედროვე სინამდვილის ნიადაგზე დააყენოს (იგი კი მას სწორედ ასე აყენებს), — მან უნდა ილაპარაკოს მხოლოდ იმაზე, რომ წოდებრივი სკოლა კლასობრივი სკოლით შეიცვალოს, ილაპარაკოს მ ხ ო ლ ო დ ამაზე, ანდა სულ გაჩუმდეს «კლასობრივ ინტერესთა და კლასობრივი სკოლის» ამ საჩოთირო საკითხზე. ისიც სათქმელია: არცთუ ისე დიდია ამ პრინციპული საკითხების კავშირი ძველი ენების ახლებით შეცვლასთან, რასაც ბ-ნი იუჟაკოვი თავის სტატიაში გვირჩევს. ის რომ მარტო ამ რჩევას დასჯერებოდა, — ჩვენ მას აღარ შეევედავებოდით და მზადაც კი ვიქნებოდით მიგვეტევებინა მისთვის მისი თავშეუკავებელი მჭევრმეტყველება. მაგრამ რაკი მან თ ვ ი თ ო ნ ვ ე დასვა საკითხი «კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი სკოლის» შესახებ, — დაე მანვე იკისროს პასუხისმგებლობა ყველა თავისი სულელური ფრაზებისათვის.

მაგრამ ხსენებულ თემაზე ბ-ნ იუჟაკოვის ფრაზები სრულიადაც არ განისაზღვრება ზემოხსენებულით. «სოციოლოგიაში სუბიექტური მეთოდის» ძირითადი იდეების ერთგული ბ-ნი იუჟაკოვი, ეხება რა კლასების საკითხს, «ფართო თვალსაზ-

რისზე» დგება (12, შეად. 15), ისეთ ფართოზე, საიდანაც მას შეუძლია მედიდურად უგულებელჰყოს კლასობრივი განსხვავებანი, ისეთ ფართოზე, რომ მას საშუალება ეძლევა ილაპარაკოს არა ცალკეულ კლასებზე (ფუი, რა შეზღუდულობაა!), არამედ მთელ ერზე საზოგადოდ. თვალსაზრისის ამ საუცხოო «სიფართოვეს» ის აღწევს ყველა მორალისტისა და პაწია მორალისტის, განსაკუთრებით **Kleinbürger**-მორალისტების გაცვეთილი ხერხით. ბ-ნი იუჟაკოვი სასტიკად ჰგმობს საზოგადოების ამ დაყოფას კლასებად (და განათლებაზე ამ დაყოფის ანარეკლს) და დიდი მჭევრმეტყველებითა და უბადლო პათოსით ლაპარაკობს ამ მოვლენის «საშიშროებაზე» (9); ლაპარაკობს იმაზე, რომ «განათლების კლასობრივი სისტემა ყველა მისი სახითა და ფორმით, თავისი საფუძვლით, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს, ერისა და გასანათლებელ პიროვნებათა ინტერესებსაო» * (8); სკოლაში კლასობრივ პროგრამათა «მიზანშეუწონლობასა და საშიშროებაზე სახელმწიფოებრივი და ნაციონალური თვალსაზრისით» (9); იმაზე, რომ ისტორიის მაგალითები მხოლოდ ცხადჰყოფს «კლასობრივი წყობილებისა და კლასობრივ ინტერესთა იმ განსაკუთრებულ ანტინაციონალურ განვითარებას, რაზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ და რაც ჩვენ უკვე ნაციონალური კეთილდღეობისა და თვით სახელმწიფოსათვის საშიშარ რადმე ვაღიარეთო» (11); იმაზე, რომ «ყველგან მმართველობის კლასობრივი მოწყობა ასე თუ ისე გაუქმებულია» (11); იმაზე, რომ «საშიშარი» დანაწილება კლასებად «მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთა შორის ანტაგონიზმს» იწვევს და თანდათანობით აღმოფხვრის ხოლმე «ნაციონალური სოლიდარობისა და საერთო-სახელმწიფოებრივი

---

* ორში ერთი, ფრიად პატივცემულო ბ-ნო **Kleinbürger**-ო: ილაპარაკეთ ან ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც კლასებადაა დაყოფილი, ან ისეთზე, რომელიც კლასებად არაა დაყოფილი. პირველ შემთხვევაში შეუძლებელიცაა არა-კლასობრივი განათლება. უკანასკნელ შემთხვევაში არც კლასობრივი სახელმწიფოა შესაძლებელი, არც კლასობრივი ერი, არც ისეთი პიროვნებანი, რომელნიც ერთ-ერთ კლასს ეკუთვნიან. ორივე შემთხვევაში ფრაზა მოკლებულია აზრს და მხოლოდ იმ **Kleinbürger**-ის უწყინარ სურვილს შეიცავს, რომელიც ლაჩრულად ხუჭავს თვალს თანამედროვე სინამდვილის ყველაზე მკვეთრ თვისებებზე.

პატრიოტიზმის გრძნობას» (12); იმაზე, რომ «ფართოდ, მართებულად და შორსმჭვრეტელურად გაგებული ინტერესები ერისა, როგორც მთელისა, სახელმწიფოსი და საერთოდ ცალკეული მოქალაქეებისა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთსო (თანამედროვე სახელმწიფოში მაინც)» (15) და სხვ. და სხვ.. ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე სიყალბეა, მხოლოდ ცარიელი ფრაზებია, რომლებიც **Kleinbürger**-ის ყოველგვარ აზრს მოკლებულ «სურვილთა» საშუალებით აფუჩეჩებენ თანამედროვე სინამდვილის თვით არსს, იმ სურვილთა, რომელნიც უჩინრად იქცევიან იმის დახასიათებადაც, რაც არსებობს. ანალოგია რომ გამოვნახოთ მსგავსი მსოფლმხედველობისა, რომლიდანაც ასეთი ფრაზები გამომდინარეობს, უნდა მივმართოთ დასავლეთ ევროპის იმ «ეთიკური» სკოლის წარმომადგენლებს, რომელიც იქაური ბურჟუაზიის თეორიული სილაჩრისა და პოლიტიკური დაბნეულობის ბუნებრივი და აუცილებელი გამოხატულება იყო.

ჩვენ კი დავჯერდებით იმას, რომ ამ საუცხოო მჭევრმეტყველებასა და გულკეთილობას, ამ შესანიშნავ გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობას დავუპირისპირებთ შემდეგს პატარა ფაქტს. ბ-ნი იუჟაკოვი შეეხო წოდებრივი და კლასობრივი სკოლის საკითხს. პირველ საკითხზე შეიძლება ზუსტი სტატისტიკური მონაცემების გამოძებნა, ყოველ შემთხვევაში, ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებზე და რეალურ სასწავლებლებზე. აი ეს მონაცემები, ამოკრეფილნი ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს გამოცემიდან: «რუსეთის მწარმოებელი ძალები» (სპბ. 1896. განყ. XIX. სახალხო განათლება, გვ. 31).

«მოსწავლეთა წოდებრივი დაყოფა (%%-ბით მათი საერთო რიცხვის მიმართ) სჩანს 30 გვ.-ზე მოთავსებული ცხრილიდან.

ეს პატარა ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ მოურიდებლად მოიქცა ბ-ნი იუჟაკოვი, როდესაც სთქვა, თითქოს ჩვენ უცებ და გადაჭრით (??) «ხელი აგვეღოს წოდებრივ სკოლაზე». პირიქით, წოდებრიობა ახლაც კი სჭარბობს ჩვენს საშუალო სკოლებში, თუ გიმნაზიებშიც კი (პრივილეგიურ სათავადაზნაურო სასწავლებელთა და სხვ. შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ) მოწაფეთა 56%— თავადაზნაურთა და მოხელე-

შვილები	სახ. განათლ. სამინისტროს ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 1880	1884	1892	რეალურ სასწავლებლებში 1880	1884	1892
მკვიდრ და პირად აზნაურთა და მოხელეთა	47,6	49,2	56,2	44,0	40,7	38,0
სასულიერო წოდებისა	5,1	5,0	3,9	2,6	1,8	0,9
ქალაქის წოდებისა	33,3	35,9	31,3	37,0	41,8	43,0
სოფლის წოდებისა (სხვა ერებისა და დაბ. მოსამსახურეების შვილებიანად)	8,0	7,9	5,9	10,4	10,9	12,7
უცხოელთა	2,0	2,0	1,9	3,0	4,8	5,4
სხვა წოდებისა.....	2,6	ზემოხს.	ერთად	3,0	ზემოხს.	ერთად
	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

თა შვილები არიან. მათი ერთადერთი სერიოზული მეტოქე ქალაქის წოდებანი არიან, რომელთაც რეალურ სასწავლებლებში უპირატესობისათვის მიუღწევიათ. ხოლო სოფლის წოდებათა მონაწილეობა, — განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ დანარჩენ წოდებათა მიმართ მათს უზარმაზარ რიცხვობრივ სიჭარბეს — სრულიად უმნიშვნელოა. მაშასადამე, ეს პატარა ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რომ იმან, ვისაც სურს თანამედროვე ჩვენი საშუალო სკოლის ხასიათზე ილაპარაკოს, მტკიცედ უნდა შეითვისოს, რომ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ წოდებრივ და კლასობრივ სკოლაზე და რომ, რამდენადაც «ჩვენ» მართლაც უარს ვამბობთ წოდებრივ სკოლაზე, — ამას მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი სკოლის გულისთვის ჩავდივართ. თავისთავად ცხადია, რომ ამით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, რომ წოდებრივი სკოლის კლასობრივი სკოლით შეცვლისა და ამ უკანასკნელის გაუმჯობესების საკითხი უმნიშვნელო ან სულერთი იყოს იმ კლასებისათვის, რომლებიც ვერ სარგებლობენ და ვერც ისარგებლებენ საშუალო სკოლით: პირიქით, მათთვისაც ეს საკითხი სულერთი როდია, ვინაიდან წოდებრიობა ცხოვრებაშიც და სკოლაშიც მათ განსაკუთრებით მძიმე ლოდად აწევთ, რადგან წოდებრივი სკოლის კლასობრივით შეცვლა — ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი რუსეთის საერთო და ყოველმხრივი ევროპიზაციის პროცესისა. ჩვენ გვინდა მხოლოდ ცხადვყოთ, თუ როგორ დაამახინჯა საქმე ბ-მა იუჟაკოვმა და მისი ვითომდა

«ფართო» თვალსაზრისი ნამდვილად რა განუზომლად უფრო დაბლა დგას ამ საკითხზე ბურჟუაზიულ თვალსაზრისთან შედარებითაც კი. რახან სიტყვამ მოიტანა, ბურჟუაზიულობის შესახებაც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. აი ბ-ნი ა. მანუილოვი ვერასგზით ვერ მიმხვდარა, რატომ არის, რომ პ. ბ. სტრუვე, რომელმაც ასე გარკვევით დაახასიათა შულცე-გეევერნიცის ცალმხრიობა, მიუხედავად ამისა «ქადაგებს მის ბურჟუაზიულ იდეებს» («რ. ბოგატსტვო» № 11, გვ. 93). ბ-ნ ა. მანუილოვის მიუხვედრელობა მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ იქიდან წარმოდგება, რომ მას ვერ გაუგია არა მარტო რუს, არამედ ყველა დასავლეთ-ევროპელ «მოწაფეთა» ძირითადი შეხედულებანი, არა მარტო მოწაფეთა, არამედ მასწავლებლისაც. ან, ბ-მა ა. მანუილოვმა, იქნებ მოინდომოს იმის უარყოფა, რომ «მასწავლებლის» ძირითად შეხედულებათა რიცხვს, — იმ შეხედულებათა, რაც წითელ ზოლად გადის მთელ მის თეორიულ, ლიტერატურულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში, — ეკუთვნის შეურიგებელი მტრობა «ფართო თვალსაზრისთა» იმ მოყვარულთადმი, რომელნიც მოთაფლული ფრაზებით აფუჩეჩებენ თანამედროვე საზოგადოების კლასობრივ დაყოფას? რომ მის ძირითად შეხედულებათა რიცხვს ეკუთვნის აშკარა და თანმიმდევრული «ბურჟუაზიული იდეების» პროგრესულობისა და უპირატესობის გადაჭრით ცნობა შედარებით იმ Kleinbürger-ების იდეებთან, რომელთაც კაპიტალიზმის შეფერხება და შეჩერება სწყურიათ? თუ ბ-ნ მანუილოვისათვის ეს ცხადი არ არის, დაე თავისი თანამოეურნალე ამხანაგის ბ-ნ იუჟაკოვის ნაწარმოებთ მაინც ჩაუფიქრდეს. დაე წარმოიდგინოს, რომ იმ საკითხზე, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს, ბ-ნ იუჟაკოვის გვერდით ჩვენ ვხედავთ «ბურჟუაზიულ იდეათა» აშკარა და თანმიმდევარ წარმომადგენელს, რომელიც თანამედროვე სკოლის სწორედ კლასობრივ ხასიათს იცავს და ამტკიცებს, რომ ეს არის საუკეთესო რამ, რის წარმოდგენაც კი შესაძლებელიაო, და მიისწრაფვის წოდებრივი სკოლის სრული განდევნისა და კლასობრივი სკოლის ხელმისაწვდომობის გაფართოებისაკენ (ამ ხელმისაწვდომობის ზემოხსენებული მნიშვნელობით). მართლაც-და, ასეთი იდეები

ბ-ნ იუჟაკოვის იდეებზე ბევრად მაღლა იდგებოდა; ამავე დროს ყურადღება მიექცეოდა თანამედროვე სკოლის რეალურ საჭიროებებს, სწორედ მისი წოდებრივი კარჩაკეტილობის მოსპობას და არა **Kleinbürger**-ის რაღაც უსახო «ფართო თვალსაზრისს». თანამედროვე სკოლის ცალმხრივი ხასიათის აშკარა გამორკვევა და დაცვა სინამდვილის სწორი დახასიათება იქნებოდა და უკვე თვით თავისი ცალმხრივობით მეორე მხრის შეგნებას გაანათლებდა*. ბ-ნ იუჟაკოვის «ფართო» ლათაიები კი, პირიქით, მხოლოდ რყვნის საზოგადოებრივ შეგნებას. დასასრულ, საკითხის პრაქტიკული მხარე... მაგრამ ბ-ნი იუჟაკოვიც ხომ ოდნავადაც ვერ სცილდება კლასობრივი სკოლის ფარგლებს არა მარტო ამ სტატიაში, არამედ იმ თავის «უტოპიაშიც», რომელზედაც ჩვენ ახლა გადავდივართ.

III

ბ-ნ იუჟაკოვის სტატიას, რომელიც «საყოველთაო-სახალხო სწავლების საკითხს» (იხ. წიგნის სათაური) განიხილავს, ასე ეწოდება: «საგანმანათლებლო უტოპია. საყოველთაო-სახალხო სავალდებულო საშუალო განათლების გეგმა». უკვე სათაურიდანვე ჩანს, რომ ბ-ნ იუჟაკოვის ეს ფრიად საგულისხმო სტატია ძალიან ბევრ რასმე გვპირდება. მაგრამ ნამდვილად ბ-ნ

---

* ჩვენ მშვენივრად ვგრძნობთ, რომ «რ. ბოგატსტვოს» თანამშრომლებს ფრიად და ფრიად გაუძნელდებათ ასეთი ხასიათის არგუმენტის გაგება. ესეც კვლავ იმაზეა დამოკიდებული, რომ მათ ვერ გაუგიათ არა მარტო «მოწაფეები», არამედ «მასწავლებელიც».

აი, მაგ., როგორ ამტკიცებდა ჯერ კიდევ 1845 წელს ერთ-ერთი «მასწავლებელი» იმ სარგებლობას, რომელსაც მიიღებდნენ ინგლისელი მუშები პურის კანონების გაუქმებით. ამ კანონების გაუქმებაო, — სწერდა ის, — ფერმერებს «ლიბერალებად, ე. ი. შეგნებულ ბურჟუებად» გადააქცევს, ხოლო ერთი მხარის შეგნებულობის ეს ზრდა აუცილებლად იწვევს მეორე მხარის შეგნების ასეთსავე ზრდასაო (**Fr. Engels. «The condition of the working class in England in 1844». New York.** 1886, **p.** 179) (ფ. ენგელსი. «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში 1844 წ.». ნიუ-იორკი, 1886, გვ. 179[6]. რ ე დ.). რატომაა, ბ-ნო «რ. ბოგატსტვოს» თანამშრომლებო, რომ «მასწავლებელთა» წინაშე თქვენ მხოლოდ ქედს იხრით და «ბურჟუაზიულ იდეათა პროპაგანდაში» არ ამხილებთ მათ?

იუჟაკოვის «უტოპია» შეუდარებლად უფრო მეტს გვპირდება. «არა, ამაზე ნაკლები შეუძლებელია, ძვირფასო მკითხველნო, არავითარი დათმობა ან კომპრომისი»... — ასე იწყებს ავტორი თავის სტატიას. — «სრული გიმნაზიური განათლება ორივე სქესის მთელი მოსახლეობისათვის, ყველასათვის სავალდებულო და სახელმწიფოს, ერობისა და ხალხის მხრივ ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად, — ასეთია ჩემი უდიდესი საგანმანათლებლო უტოპია»! (201). კეთილი ბ-ნი იუჟაკოვი, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ ამ საკითხის დედაარსს «ხარჯები» წარმოადგენს; ამავე გვერდზე იგი კვლავ იმეორებს, რომ საყოველთაო-სახალხო დაწყებითი განათლება ხარჯებს მოითხოვს, ხოლო საყოველთაო-სახალხო საშუალო განათლება მისი «გეგმის» მიხედვით არავითარ ხარჯებს არ მოითხოვს. ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა რომ არავითარ ხარჯებს არ მოითხოვს, ეს კიდევ არაფერი: იგი მთელი ხალხის საშუალო განათლებაზე ბევრად დიდ რასმე გვპირდება. რათა ცხადვყოთ მთელი მოცულობა იმისა, რასაც «რ. ბოგატსტვოს» თანამშრომელი გვპირდება, საჭიროა წინასწარ მოვიყვანოთ ავტორის საკუთარი აღფრთოვანებული სიტყვები, რომლებსაც ამბობს მას შემდეგ, როცა უკვე დაამთავრა მთელი თავისი გეგმის გადმოცემა და აღტაცებით შეჰყურებს მას. ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ გიმნაზიურ განათლებას უერთდება იმ გიმნაზიელთა ნაყოფიერი შრომა, რომელნიც თვითონვე ინახავენ თავის თავს: «...მიწის ნაკვეთის დამუშავება... უზრუნველჰყოფს მთელი ახალგაზრდა თაობის უხვს, გემრიელსა და საღ სურსათს დაბადებიდან გიმნაზიის კურსის დამთავრებამდე, აგრეთვე იმ ახალგაზრდობის სურსათს, რომელიც შრომით იხდის სწავლის ფასს (იუჟაკოვის **Zukunftsstaat**-ის * ამ ინსტიტუტზე დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ), და ადმინისტრატორთა, მასწავლებელთა და მეპატრონეთა მთელი პერსონალის სურსათსაც. ამასთან ყველა ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან ფეხსაცმლითაც, აგრეთვე ტანისამოსის შეკერვით. გარდა ამისა, ზემოხსენებული ნაკვეთიდან მი-

* — მომავლის სახელმწიფოს. რ ე დ.

ვიღებთ 20 ათასამდე მანეთს, სახელდობრ, 15 ათასს ზედმეტი რძისა და გაზაფხულის ხორბლისაგან... ხოლო დაახლოებით 5 ათას მან. ტყავის, ჯაგრის, ბუმბულისა და სხვა დამხმარე პროდუქტების გაყიდვით» (216). ერთი ჩაუფიქრდით, მკითხველო, მ თ ე ლ ი ახალგაზრდა თაობის რჩენა გიმნაზიის კურსის დამთავრებამდე, ე. ი. 21 — 25 წლამდე (გვ. 203)! ეს ხომ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნ ა ხ ე ვ რ ი ს რჩენას ნიშნავს *. ათეული მილიონობით მოსახლეობის რჩენა და განათლება, — ეს ხომ «შრომის» ნამდვილი «ორგანიზაციაა»! ცხადია, ბ-ნი იუჟაკოვი ძალიან გაჯავრებულა იმ ბოროტ ადამიანებზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ «შრომის ორგანიზაციის» ნაროდნიკული პროექტები ფუჭი მოლაყბეების ფუჭი ფრაზებია, და გადაუწყვეტნია სავსებით მოსპოს ეს ბოროტი ადამიანები იმით, რომ გამოაქვეყნოს მთელი «გეგმა» ასეთი «შრომის ორგანიზაციისა», რომელიც «ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად» ხორციელდება... მაგრამ საქმე ამით არ თავდება: «...გზადაგზა ჩვენ გავაფართოვეთ ამოცანა; ჩვენ ამ ორგანიზაციას დავაკისრეთ ბავშვთა მთელი მოსახლეობის რჩენაც; ჩვენ ვიზრუნეთ იმისათვის, რომ ახალგაზრდები უზრუნველგვეყო სოფლის პირობების შესაფერი სერიოზული მზითვით გიმნაზიის დამთავრებისას; ჩვენ შესაძლებლად დავინახეთ იმავე სახსრებით თვითეულ გიმნაზიაში, ე. ი. თვითეულ თემში დაგვენიშნა თითო ექიმი, ბეითალი, სწავლული აგრონომი, სწავლული მებაღე, ტექნოლოგი და ექვს-ექვსი ხელოსანი, არა ნაკლები (რომელნიც კულტურას აამაღლებენ და მთელი მხარის სათანადო მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ)... და ყველა ეს ამოცანა ფინანსურად და ეკონომიურად წყდება ჩვენი გეგმის განხორციელებისას...»**. როგორ შერცხვენილნი იქნებიან ახლა ის ბოროტი ენები,

---

* ბუნიაკოვსკის ცნობებით, რუსეთის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა შემდეგნაირია: 1 000 მცხოვრებზე მოდის 485 0 — 20 წლიანნი და 576 0 — 25 წლიანნი.

** გვ. 237. ორივე მრავალმეტყველი მრავალწერტილი ამ ტირადაში ბ-ნ იუჟაკოვს ეკუთვნის. ჩვენ ვერ გავბედავდით აქ თუნდ ერთი ასო გაზოგვეტოვებინა.

რომელნიც გაიძახოდნენ: განთქმული ნაროდნიკული «ჩვენ» ეს არის «ფარული უცნობი», ეს — ორარახჩინიანი ებრაელია და სხვ.! რა უღირსი ცილისწამებაა! ამიერიდან საკმარისი იქნება მივუთითოთ ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმაზე», რათა დავამტკიცოთ ამ «ჩვენ»-ის ყოვლისშემძლეობა და აგრეთვე «ჩვენი» პროექტების განხორციელების შესაძლებლობა.

შეიძლება მკითხველს ეჭვი დაებადოს ამ სიტყვების: «განხორციელების შესაძლებლობის» გამო? მკითხველმა შეიძლება თქვას, რაკი ბ-მა იუჟაკოვმა თავის ქმნილებას უტოპია უწოდა, ამით მან უკუაგდო განხორციელების შესაძლებლობის საკითხი? — ეს ასე იქნებოდა, თვით ბ-ნ იუჟაკოვს რომ სიტყვა «უტოპიის» გამო მეტად არსებითი განმარტება არ დაერთო და მთელ თავის გადმოცემაში მრავალჯერ ხაზი არ გაესვა თავისი გეგმის განხორციელების შესაძლებლობისთვის. «ვბედავ და ვფიქრობ, — აცხადებს იგი სტატიის დასაწყისშივე, — რომ ასეთი საყოველთაო-სახალხო საშუალო განათლება მხოლოდ პირველი შეხედვით სჩანს უტოპიად» (201)... მეტი რაღა გნებავთ?.. «კიდევ უფრო მეტი გაბედულება მაქვს ვამტკიცო, რომ ასეთი განათლება მთელი მოსახლეობისთვის გაცილებით უფრო ადვილი განსახორციელებელია, ვიდრე საყოველთაო-სახალხო დაწყებითი განათლება, თუმცა იგი უკვე განახორციელეს გერმანიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, შეერთებულმა შტატებმა და განხორციელებასთან ფრიად ახლოა რუსეთის ზოგიერთი გუბერნია» (201). ბ-ნი იუჟაკოვი იმდენად დარწმუნებულია თავისი გეგმის განხორციელების შესაძლებლობაში (ცხადია, ზემოთქმულის შემდეგ, რომ სიტყვა «გეგმა» უფრო მართებულია, ვიდრე უტოპია), რომ იგი ამ გეგმის დამუშავების დროს არ უგულებელჰყოფს სულ წვრილმან «პრაქტიკულ ხელსაყრელ გარემოებებსაც» კი, განგებ სტოვებს რა, მაგ., ორი გიმნაზიის, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების სისტემას, რადგან ანგარიშს უწევს «ევროპის კონტინენტზე» ორივე სქესის «ერთად სწავლების წინააღმდეგ არსებულ აზრს», — და გაძლიერებით უსვამს ხაზს იმას, რომ მისი გეგმა «საშუალებას იძლევა არ დაირღვეს ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების დამკვიდრე-

ბული სასწავლო გეგმები, მეტს სამუშაოს და, მაშასადამე, მეტს გასამრჯელოსაც აძლევს მასწავლებელთა პერსონალს»... «ყველაფერ ამას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს, თუ სურვილი გვექნება მარტოოდენ ცდას კი არ დავჯერდეთ, არამედ ნამდვილ საყოველთაო-სახალხო განათლებას მივაღწიოთ» (205—206). ბევრნი ყოფილან ქვეყნად უტოპისტები, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ თავის უტოპიათა მიმზიდველობით, სიმწყობრით, — მაგრამ ძნელად თუ გამოინახება მათ შორის თუნდაც ერთი ისეთი, რომელიც ესოდენი ყურადღებით ეკიდებოდეს «დამკვიდრებულ სასწავლო გეგმებს» და მასწავლებელთა პერსონალისთვის გასამრჯელოს გაღებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შთამომავლობა კიდევ დიდხანს მოიგონებს ბ-ნ იუჟაკოვს, როგორც ჭეშმარიტად პრაქტიკულსა და ჭეშმარიტად საქმიან «უტოპისტს».

ცხადია, ავტორის ასეთ დაპირებათა გამო მისი საყოველთაო-სახალხო სწავლების გეგმა დიდი ყურადღებით განხილვის ღირსია.

IV

პრინციპი, რომელსაც ბ-ნი იუჟაკოვი ემყარება, იმაში მდგომარეობს, რომ გიმნაზია ამასთანავე სამიწათმოქმედო მეურნეობაც უნდა იყოს და თავისი მოწაფეების საზაფხულო მუშაობით მან უნდა უზრუნველყოს საკუთარი არსებობა. ასეთია მისი გეგმის ძირითადი აზრი. «ეს აზრი რომ მართებულია, ამაში ძნელია დაეჭვება» (237), — ფიქრობს ბ-ნი იუჟაკოვი. ჩვენც ვეთანხმებით მას, რომ აქ მართლაც არის მართებული აზრი; მხოლოდ იგი არ შეიძლება მივატმასნოთ არც უსათუოდ «გიმნაზიებსა» და არც მოწაფეთა შრომით გიმნაზიების «შენახვის» შესაძლებლობას. ეს მართებული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი უიმისოდ, თუ ახალგაზრდა თაობის სწავლება ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული: ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნება აყვანილი იმ სიმაღლეზე, რომელსაც ტექნი-

კის თანამედროვე დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს. ეს აზრი გამოთქვეს ჯერ კიდევ ძველმა დიდმა უტოპისტებმა; მას სავსებით იზიარებენ ის «მოწაფეებიც», რომლებიც სწორედ ამ მიზეზის გამო, სხვებს შორის, პრინციპულად წინააღმდეგნი არ არიან ქალთა და მოზარდთა სამრეწველო შრომისა, რეაქციონერობად თვლიან ამ შრომის სავსებით აკრძალვის ცდას და მხოლოდ იმას მოითხოვენ, რომ ეს შრომა სავსებით ჰიგიენურ პირობებში იქნეს ჩაყენებული. ამიტომ ბ-ნი იუჟაკოვი ამაოდ ამბობს: «მე მხოლოდ მსურდა აზრი მომეცა» (237)... ეს აზრი უკვე დიდი ხანია მოცემულია, და ჩვენ ვერ გაგვიბედნია დავუშვათ (ვიდრე საწინააღმდეგო დამტკიცებული არ არის), რომ ბ-ნი იუჟაკოვი მას არ იცნობდეს. «რუს. ბოგატსტვოს» თანამშრომელს სურდა მოეცა და მოგვცა კიდევაც ამ აზრის გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს სრულიად დამოუკიდებელი გ ე გ მ ა. მხოლოდ ამ მხრივ შეიძლება იგი ორიგინალურად მივიჩნიოთ, მაგრამ სამაგიეროდ მისი ორიგინალობა აქ უკვე აღწევს... უკიდურეს საზღვარს.

საყოველთაო ნაყოფიერი შრომა საყოველთაო სწავლებას რომ შევუერთოთ, ამისათვის, ცხადია, აუცილებლად საჭიროა ყ ვ ე ლ ა ს დაეკისროს მოვალეობა მონაწილეობა მიიღოს ნაყოფიერ შრომაში. ეს თითქოს თავისთავად ცხადია? — მაგრამ თურმე ასე როდია. ჩვენი «ნაროდნიკი» ამ საკითხს სწყვეტს ისე, რომ ფიზიკური შრომის მოვალეობა მართლაც უნდა დაწესდეს როგორც ზოგადი პრინციპი, მ ა გ რ ა მ ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს, ა რ ა მ ე დ მ ხ ო ლ ო დ ხ ე ლ მ ო კ ლ ე თ ა თ ვ ი ს.

მკითხველმა იქნებ იფიქროს, რომ ჩვენ ვხუმრობთ? ღმერთმანი, არა.

«წმინდა საქალაქო გიმნაზიებს იმ შეძლებულთათვის, რომელნიც მზად არიან განათლების მთელი ფასი ფულად გაიღონ, შეეძლოთ ახლანდელი ტიპი შეენარჩუნებინათ» (229). 231-ე გვ. «შეძლებულნი» საერთოდ პირდაპირ შეტანილნი არიან «მოსახლეობის იმ კატეგორიათა» რიცხვში, რომელთაც არ ეხებათ სავალდებულო განათლების მიღება «სამიწათმოქმედო გიმნაზიებში». სავალდებულო ნაყოფიერი შრომა, მაშა-

სადამე, ჩვენი ნაროდნიკისთვის ადამიანის საყოველთაო და ყოველმხრივი განვითარების პირობა კი არაა, არამედ გიმნაზიაში სწავლის უბრალო ქირაა. სწორედ ასეა. თავისი სტატიის დასაწყისშივე ბ-ნი იუჟაკოვი განიხილავს იმ ზამთრის მუშების საკითხს, რომლებიც სამიწათმოქმედო გიმნაზიისათვის საჭირონი არიან. ყველაზე «ლოგიკურად» მას ზამთრის მუშებით გიმნაზიის უზრუნველყოფის ამნაირი წესი მიაჩნია. უმცროს კლასთა მოწაფეები არ მუშაობენ და, მაშასადამე, უფასოდ სარგებლობენ სწავლითა და რჩენით, არაფერს იხდიან გიმნაზიის მიერ ამაზე გაწეული ხარჯებისათვის. «ხოლო თუ ეს ასეა, განა მისი პირდაპირი მოვალეობა არ არის ეს დანახარჯი გაისტუმროს კურსის დამთავრების შემდეგ მუშაობით? ეს მოვალეობა, კარგად მოფიქრებული და მტკიცედ დაწესებული ყველასათვის, ვისაც არ შეუძლია სწავლის ღირებულება გადაიხადოს, გიმნაზიის მეურნეობას მიაწვდის ზამთრის მუშათა საჭირო კონტინგენტს და ზაფხულის მუშათა დამატებითს კონტინგენტს... თეორიულად ეს ფრიად მარტივი, ადვილი გასაგები და სრულიად უდავოა» (205, ხაზგასმა ჩვენია). გეთაყვათ, რაღა შეიძლება ამაზე «მარტივი» იყოს? ფული გაქვს — გადაიხადე, არა გაქვს ფული — იმუშავე — ყოველი მედუქნე, დაგეთანხმებათ, რომ ეს უაღრესად «ადვილი გასაგებია». და თანაც, რა შესანიშნავად პრაქტიკულია! — ოღონდ... ოღონდ, რა შუაშია აქ «უტოპია»? რატომ სვრის ბ-ნი იუჟაკოვი ასეთი გეგმებით იმ დიადს ძირითად აზრს, რომელიც მას სურდა თავისი უტოპიისათვის საფუძვლად დაედო?

შრომამიგება ღარიბ მოწაფეთა მხრივ — ბ-ნ იუჟაკოვის მთელი გეგმის საფუძველია. მართალია, მას დასაშვებად მიაჩნია ზამთრის მუშების შოვნის სხვა საშუალებაც — დაქირავება *, მაგრამ მას უკანა რიგში აყენებს. შრომამიგება კი

---

* «გიმნაზიის მეურნეობა, გამოცდილი და სწავლული მეურნის ხელმძღვანელობით ყოველგვარი გაუმჯობესებული მოწყობილობით მომარაგებული, დახელოვნებული განათლებული მუშების კონტინგენტით, შემოსავლიანი მეურნეობა უნდა იყოს; მან უნდა გაამართლოს დაქირავება მუშების აუცილებელი კონტინგენტისა, რომელთაგან ზოგიერთი

სავალდებულოა სამი წლის განმავლობაში (საჭიროების შემთხვევაში კი ოთხი წლისაც) ყველა იმათთვის, ვინც სამხედრო სამსახურში არ მიდის, ე. ი. მოწაფე ვაჟთა $^{2}/_{3}$-ისა და ყველა ქალიშვილისთვის. «მხოლოდ ეს სისტემა იძლევაო, — პირდაპირ აცხადებს ბ-ნი იუჟაკოვი, — გასაღებს საყოველთაო-სახალხო განათლების ამოცანის გადასაჭრელად, და ისიც არა დაწყებითისა, არამედ საშუალო განათლებისა» (207 — 208). «მცირეოდენი კონტინგენტი მუდმივი მუშებისა, რომლებიც გიმნაზიაში სავსებით დარჩენილან და მას ზიარებულან (!?), შეავსებს გიმნაზიის მეურნეობის ამ სამუშაო ძალებს. ასეთია ჩვენი სამიწათმოქმედო გიმნაზიის შესაძლებელი და სრულიადაც არა უტოპიური სამუშაო ძალები» (208). რასაკვირველია, სხვა სამუშაოებსაც — განა ცოტაა ასეთი მეურნეობაში? — ისინივე შეასრულებენ: «მზარეულებისა და მრეცხავების დამხმარე პერსონალი, აგრეთვე საქმისმწარმოებლები ადვილად შეიძლება ამორჩეულ იქნან გიმნაზიადამთავრებული სამწლიანი მუშების შემადგენლობიდან» (209). გიმნაზიას ხელოსნებიც დასჭირდება: მკერავები, მეჩექმეები, დურგლები და სხვ. რა თქმა უნდა, მათ შეიძლება «მიეცეთ თანაშემწენი სამწლიანი შრომის ბეგარის მომხდელთაგან». (210).

მერე რას მიიღებენ თავიანთ შრომაში ეს მოჯამაგირეები (თუ მიწათმოქმედი გიმნაზიელები? ალარც კი ვიცი, რა ვუწოდო მათ)? ისინი მიიღებენ ყველაფერს, რაც კი საჭიროა საცხოვრებლად, «უხვსა და გემრიელ საზრდოს». ბ-ნ იუჟაკოვს ყველაფერი ეს ზუსტად აქვს გამოანგარიშებული, იღებს რა პროდუქტების ისეთ ნორმებს, რაც «ჩვეულებრივ ეძლევა სოფლის მუშას». მართალია, იგი «არ ფიქრობს გიმნაზია ამ წესით კვებოს» (210), მაგრამ ამ ნორმებს მაინც სტოვებს, ვინაიდან გიმნაზიელები თავიანთი მიწიდან ხომ მიიღებენ კარტოფილს, ცერცვს, მუხუდოს, დასთესენ კანაფს და მზისუმზირას საჭმელი ზეთისათვის, შემდეგ სახსნილო დღეებში

დამსახურებული მუშა (sic!) (ასეა! რ ე დ.) შეიძლება შემოსავლის მონაწილეებადაც გახდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ალბათ, მართლაც მოგვიხდებოდა ამ ზომისათვის მიგვემართნა, განსაკუთრებით ამავე გიმნაზიის კურსდამთავრებულ უმიწაწყლოთა მიმართ» (204).

მიიღებენ ნახევარ-ნახევარ გირვანქა ხორცსა და ორ-ორ ჭიქა რძეს. ნუ იფიქრებთ, მკითხველო, რომ ბ-ნი იუჟაკოვი ამ საკითხს მხოლოდ ოდნავ შეხებოდეს, მხოლოდ მაგალითისათვის ჩამოეთვალოს. არა, მან ყველაფერი დაწვრილებით იანგარიშა — ერთწლიანი და ორწლიანი ხბოების რიცხვიც, ავადმყოფთა შენახვაც, ფრინველთა საკვებიც. მას არ დავიწყნია არც სამზარეულოს ნარეცხი, არც შიგნეულობა, არც ბოსტნეულის ნაფცქვენი (212). მას არაფერი არ გამოუტოვებია. შემდეგ — ტანისამოსი და ფეხსაცმელი გიმნაზიაში შეიძლება საკუთარი საშუალებით დავამზადოთო. «მაგრამ ბამბის ქსოვილი საცვლებისა, ლოგინისა და სუფრისათვის და საზაფხულო ტანისამოსისათვის, უფრო სქელი ქსოვილი საზამთრო ტანისამოსისათვის და ბეწვიანი ტყავი, თუნდაც ცხვრისა, ზედა საზამთრო ტანსაცმლისათვის, რა თქმა უნდა, უნდა ვიყიდოთ. რასაკვირველია, პედაგოგთა და მოსამსახურეთა მთელმა პერსონალმა ოჯახებითურთ თვითონვე უნდა უზრუნველყოს თავისი თავი მასალით, თუმცა შეიძლება ნება მიეცეთ სახელოსნოებით ისარგებლონ. ხოლო თვით მოწაფეებისა და სამწლიანი მუშებისათვის ეს ხარჯი შეიძლება ხელმოუჭერლად ვიანგარიშოთ წელიწადში 50 მანეთი ანუ 60 000 მანეთამდე წლიურად მთელი სასწავლებლისათვის» (213).

ჩვენ პირდაპირ გულაჩვილებული ვართ ჩვენი ნაროდნიკის პრაქტიკულობით. ერთი წარმოიდგინეთ: «ჩვენ», «საზოგადოებას», შრომის ასეთი გრანდიოზული ორგანიზაცია შემოგვაქვს, ხალხს საყოველთაო-საშუალო განათლებას ვაძლევთ, და ყველაფერს ამას ვაკეთებთ ხარჯების სრულიად გაუწევლად, და მერე რა უზარმაზარი მორალური შენაძენით! რა მშვენიერი გაკვეთილი იქნება ეს «ჩვენი» ახლანდელი სოფლის მუშებისათვის, რომელნიც, მიუხედავად მთელი თავიანთი უვიცობისა, თავხედობისა და ველურობისა, არ თანხმდებიან წელიწადში 61 მანეთზე ნაკლებ იმუშაონ და ისიც მეპატრონის ხარჯზე *, — როდესაც ისინი დაინახავენ, რომ

* მიწათმოქმედებისა და სოფლის მრეწველობის დეპარტამენტის მონაცემებით, სოფლის წლიური მუშის ხელფასი ევროპულ რუსეთში შეადგენს 61 მ. 29 კ. (10 წლის მანძილზე — 1381 — 1891), ამას გარდა კვება— 46 მანეთს.

განათლებული გიმნაზიელი მოჯამაგირენი წელიწადში 50 მანეთად იმუშავებენ! შეიძლება დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ახლა თვით კორობოჩკაც კი დაეთანხმება ბ-ნ იუჟაკოვს, რომ მისი გეგმის თეორიული საფუძვლები მეტისმეტად «ადვილი გასაგებია».

V

როგორი იქნება გიმნაზიათა მეურნეობის გაძღოლა და მათი მართვა? მეურნეობა, როგორც უკვე დავინახეთ, შერეული იქნება: ნაწილობრივ ნატურალური, ნაწილობრივ ფულადი. ბ-ნი იუჟაკოვი, რასაკვირველია, ამ მნიშვნელოვან საკითხზე ფრიად დაწვრილებითს ცნობებს იძლევა. 216-ე გვერდზე იგი ზედმიწევნით, მუხლობრივად ანგარიშობს, რომ თვითეულ გიმნაზიას დასჭირდება ფულად 160 — 170 ათასი მანეთი; ასე რომ ყველა 15 — 20 ათასი გიმნაზიისათვის სულ რაღაც სამი მილიარდი მანეთი იქნება საჭირო. რასაკვირველია, მიწათმოქმედების პროდუქტებს გაჰყიდიან და ამით ფულს მიიღებენ. ჩვენი ავტორი იმდენად წინდახედულია, რომ ამასთან მხედველობაში იღებს თანამედროვე სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის საერთო პირობებს: «გიმნაზიები, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის ან რკინიგზის სადგურების ახლოს, იმ ხაზებზე, რომელნიც დიდ ცენტრებს დაშორებულნი არ არიან, სრულიად სხვანაირი ტიპის უნდა იყვნენ. მებოსტნეობას, მებაღეობას, მერძეობას და ხელოსნობას აქ შეუძლიათ სავსებით შეცვალონ მემინდვრეობა» (228). მაშასადამე, ვაჭრობა სახუმარო როდი იქნება. ვინ მოჰკიდებს ამას ხელს — ავტორი არ გვეუბნება. უნდა ვიფიქროთ, რომ გიმნაზიათა პედაგოგიური საბჭოები ნაწილობრივ საკომერციო საბჭოებიც იქნებიან. — სკეპტიკოსები, ალბათ, იმის გაგებასაც მოისურვებენ, როგორ მოვიქცეთ გიმნაზიების გაკოტრების შემთხვევებში და შეძლებენ კი ისინი საერთოდ სავაჭრო საქმის გაძღოლას? — მაგრამ, ცხადია, ეს უსაფუძვლო ახირება იქნებოდა: თუკი ახლა გაუნათლებელი ვაჭრები

ეწევიან ვაჭრობას, განა შეიძლება დავეჰვდეთ წარმატებაში, როდესაც ამ საქმეს ჩვენი ინტელიგენტური საზოგადოების წარმომადგენელნი მოჰკიდებენ ხელს?

გიმნაზიებს მეურნეობისათვის, ბუნებრივია, მიწა დასჭირდებათ. ბ-ნი იუჟაკოვი სწერს: «მე მგონია..., თუ ამ აზრს პრაქტიკული გამოცდა უწერია, ცდისათვის პირველ ასეთ სამიწათმოქმედო გიმნაზიებს უნდა მიეცეთ მიწა 6-დან 7 ათას დესეტინამდე» (228). 109 მილიონ მოსახლეობაზე — 20 000 გიმნაზიას — დასჭირდებოდა 100 მილიონ დესეტინამდე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სამიწათმოქმედო შრომას ეწევა მხოლოდ 80 მილიონი. «მხოლოდ მათმა შვილებმა უნდა გაიარონ სამიწათმოქმედო გიმნაზიები».

გარდა ამისა დაახლოებით 8 მილიონი უნდა მივაკუთვნოთ მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიას * — დარჩება 72 მილიონი. მათთვის საჭიროა მხოლოდ 60 — 72 მილიონი დესეტინა. «და ეს, რა თქმა უნდა, ბევრია» (231), მაგრამ ბ-ნ იუჟაკოვს ეს გულს როდი უტეხს. ხაზინასაც ხომ დიდძალი მიწა აქვს, ოღონდ ამ მიწის ადგილმდებარეობა არ არის საკვლევით ხელსაყრელი. «ძაგალითად, ჩრდილოეთ პოლესიეში ასეთი მიწებია 127,6 მილიონი დესეტ., და აქ, განსაკუთრებით თუ მივმართავთ, სადაც ეს საჭირო იქნება, კერძო და თვით გლეხთა მიწების სახაზინო მიწებზე გაცვლის სისტემას იმ მიზნით, რომ პირველნი სკოლებს მივცეთ, ალბათ, ძნელი როდი იქნებოდა ჩვენი სამიწათმოქმედო გიმნაზიების მუქთად უზრუნველყოფა მიწით. ასევე კარგადაა საქმე»... სამხრეთ-აღმოსავლეთშიც (231). ჰმ... «კარგადაო»! მაშასადამე, ისინი არხანგელსკის გუბერნიაში უნდა გავგზავნოთ, — მართალია, აქამდე ეს გუბერნია უფრო გადასახლების ადგილი იყო, და სახაზინო ტყეების უმეტესი ნაწილი იქ «მოწყობილიც» კი არაა, — მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. როგორც

---

* ეი სრული სია სამიწათმოქმედო გიმნაზიათაგან განთავისუფლებულ ბედნიერთა ამ კატეგორიებისა: «შეძლებულნი, გასასწორებელნი, მაჰმადიანი გოგონები, წვრილი სხვა ერისანნი, ფანატიკური სექტანტები, ბრმები, ყრუ-მუნჯნი, იდიოტები, ქრონიკულნი, გადამდებსენიანნი და დამნაშავენი»

კი იქითკენ გიმნაზიელებსა და მათს განათლებულ მასწავლებლებს გაგზავნიან, ისინი მთელ ამ ტყეს გასჩეხენ, მიწას გასწმენდენ და კულტურას დანერგავენ!

ხოლო ცენტრალურ ოლქში შეიძლება მიწის გამოყიდვა მოვაწყოთ: 80 მილიონ დესეტინაზე მეტი ხომ არაა. გამოვუშვათ «გარანტირებული ობლიგაციები», ხოლო მათი გამოყიდვა, თავისთავად იგულისხმება, უნდა დაევალოს «გიმნაზიებს, რომლებმაც მიწები მუქთად მიიღეს» (232) — და საქმეც გაჩარხულია! ბ-ნი იუჟაკოვი გვარწმუნებს: ნურას გაშინებთ «ფინანსური ოპერაციის გრანდიოზულობა. იგი ქიმერასა და უტოპიას როდი წარმოადგენს» (232). ეს, «არსებითად, ჩინებულად უზრუნველყოფილი ჰიპოთეკა» იქნებაო. მართლაცდა, ამაზე მეტი უზრუნველყოფა რაღა გნებავთ! მაგრამ ერთხელ კიდევ: რა შუაშია აქ «უტოპია»? და ნუთუ ბ-ნი იუჟაკოვი ჩვენებურ გლეხებს სერიოზულად იმდენად დაბეჩავებულად და განუვითარებლად თვლის, რომ ჰგონია მათგან ასეთ გეგმაზე თანხმობას მიიღებს?? ინებე და მიწის გამოსაყიდი ფულიც გადაიხადე, «პირველ ხანებში მოწყობისათვის აღებული სესხის გადახდაც» იკისრე*, ინებე და მთელი გიმნაზიაც შეინახე, ჯამაგირიც აძლიე ყველა მასწავლებელს; ხოლო ყოველივე ამის დამატებით (ე. ი. იმისათვის რომ მასწავლებლები ხელფასზე დაიქირავეს?) ინებე და იმუშავე კიდევ. სამ-სამი წელიწადი! ძალიან ბევრი ხომ არ გამოდის, ბ-ნო განათლებულო «ნაროდნიკო»? ჩაუფიქრდით თუ არა, როდესაც 1897 წელს გადმობეჭდეთ თქვენი ქმნილება, გამოქვე-

---

(231). ეს სია რომ წავიკითხეთ, გული ტკივილით შეგვეკუმშა: ღმერთო, გავიფიქრეთ ჩვენ, ნეტა მოვახერხებდეთ, რომ ახლობელნი მაინც მოვაოავსოთ განთავისუფლებულთა სიაში! — პირველი კატეგორიით? — ალბათ, ფინანსები არ გვეყოფა! იქნებ შევძლოთ და მდედრობითი სქესი რაიმე ეშმაკობით მაჰმადიან გოგონებში ჩავრიცხოთ, მაგრამ მამრობითს რაღა ვუყოთ? ერთადერთი იმედი მე-3 კატეგორიაა. ბ-ნ იუჟაკოვის თანამოეურნალე თანამშრომელმა ბ-მა მიხაილოვსკიმ, როგორც ვიცით, ბ. ბ. სტრუვე უკვე ჩარიცხა სხვა ერებში, იქნებ კეთილინებოს და ჩვენ ყველანი «წვრილ სხვა ერებს» მაინც მიგვაკუთვნოს ჩვენთა ახლობელთა გასათავისუფლებლად სამიწათმოქმედო გიმნაზიებისგან!

* გვ. 216. 10 000 მან. გიმნაზიაზე.

ყნებული ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოში» 1895 წელს,—საით მიჰყავხართ სხვადასხვა საფინანსო ოპერაციისა და გამოსყიდვისადმი სიყვარულს, რომელიც ყველა ნაროდნიკს მოსდგამს? მკითხველო, გაიხსენეთ, რომ ჩვენ დაგვპირდნენ საყოველთაო-სახალხო განათლებას «სახელმწიფოს, ერობისა და ხალხის მხრივ ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად». და ჩვენი გენიალური ფინანსისტი, მართლაც, გროშსაც არ მოითხოვს არც სახელმწიფოსაგან, არც ერობისაგან. მაგრამ «ხალხისაგან»? ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შ ე უ ძ ლ ო გ ლ ე ხ თ ა გ ა ნ?* მათი ფულით მიწასაც ყიდულობენ, გიმნაზიებსაც აწყობენ (ვინაიდან ისინი პროცენტებს იხდიან და საამისოდ დახარჯულ კაპიტალებს ნაწილ-ნაწილ ისტუმრებენ), ისინივე აძლევენ ხელფასს მასწავლებლებს და ყველა გიმნაზიასაც ინახავენ. ამას ზედ ერთვის მუშაობით ანაზღაურებაც. მერე რისთვის?—იმისათვისო,—გვიპასუხებს ულმობელი ფინანსისტი, — რომ უმცროს კლასებში გიმნაზიელები თავის განათლებასა და რჩენაში არას იხდიდნენო (204). მაგრამ, ჯერ-ერთი, არასამუშაო ასაკში ჩათვლილნი არიან მხოლოდ «მოსამზადებელი და ორი პირველი კლასი გიმნაზიისა» (206), ხოლო შემდგომ უკვე ნახევარმუშები არიან. მეორე, ამ ბავშვებს ხომ მათივე უფროსი ძმები ინახავენ; ისინივე აძლევენ ხელფასს მასწავლებლებს უმცროსთა სწავლებისათვის. არა, ბ-ნო იუჟაკოვ, არათუ ახლა, არაკჩეევის დროსაც კი მსგავსი გეგმა სრულიად გ ა ნ უ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ლ ი იქნებოდა, ვინაიდან იგი მართლაც ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი «უტოპიაა».

რაც შეეხება გიმნაზიების გამგებლობას, ბ-ნი იუჟაკოვი ამაზე ძალიან ცოტა ცნობებს იძლევა. მართალია, მასწავლებელთა პერსონალი მან ზუსტად ჩამოთვალა და ყველა მათ «შედარებით ზომიერი» ჯამაგირი დაუნიშნა (ვინაიდან მათ აქვთ მზამზარეული ბინა, ბავშვების რჩენა, «ტანისამოსის ხარჯის ნახევარი») — შეიძლება, თქვენ ფიქრობთ წელიწად-

* ვინაიდან შეძლებულნი ხომ გამორიცხულნი არიან. ბ-ნი იუჟაკოვი თვითონაც ეჭვობს: «ერთგვარი პროცენტი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობისაც ამჯობინებს თავისი ბავშვები ქალაქის ფასიან საშუალო სკოლებში მიაბაროს» (230). მოდი და ნუ ამჯობინებენ!

ში 50 მანეთი თვითეულს? არა, ცოტა უფრო მეტი: «დირექ-ტორს, დირექტრისას და მთავარ აგრონომს თითოს 2 400, ინსპექტორს» და სხვებს ჩინის საიერარქიო კიბის მიხედვით, დაბალ მოსამსახურეებს 200 მანეთამდე (214). როგორც ხე-დავთ, ცუდი კარიერა როდია განათლებული საზოგადოების იმ წარმომადგენელთათვის, რომელთაც სამიწათმოქმედო გიმ-ნაზიას ქალაქის ფასიანი სკოლები «ამჯობინეს»! ყურადღება მიაქციეთ «ტანისამოსის ხარჯის ნახევარს», რომელიც ბ-ნ მას-წავლებელთათვის უზრუნველყოფილია: ჩვენი ნაროდნი-კის გეგმით ისინი ისარგებლებენ სახელოსნოებით (როგორც უკვე ვიცით), ე. ი. «გიმნაზიელებს» მისცემენ ტანისამოსს შე-საკეთებლად და შესაკერავად. მართლაც-და, როგორ ზრუ-ნავს ბ-ნი იუჟაკოვი... ბ-ნ მასწავლებლებზე? თუმცა ის «გიმ-ნაზიელებზედაც» ზრუნავს, — ისე. როგორც კეთილი მეპატ-რონე ზრუნავს პირუტყვზე: მას უნდა აჭამო, ასვა, დააბინავო და... და დააგრილო. აი ინებეთ:

«თუ... ნებადართული იქნება ქორწინება კურსდამთავრე-ბულთა და გიმნაზიასთან სამი წლით დარჩენილ ახალგაზრდა-თა შორის..., მაშინ გიმნაზიასთან სამი წლით დარჩენა ბევრად უფრო მსუბუქი იქნება სამხედრო ბეგარაზე» (207). «თუ ნე-ბადართული იქნება ქორწინება»!! მაშასადამე, შეუძლიათ არც ნებადართონ ნება? მაგრამ ამისთვის ხომ ახალი კანონია საჭირო, პატივცემულო ბ-ნო პროგრესისტო, კანონი, რომელიც გ ლ ე ხ-თ ა სამოქალაქო უფლებებს ზ ღ უ დ ა ვ ს. მაგრამ შეიძლება განა გაგვიკვირდეს ბ-ნ იუჟაკოვის ასეთი «წამოცდენა» (?), როცა მას მთელ თავის «უტოპიაში», მასწავლებელთა ჯამაგი-რის, გიმნაზიელების მხრივ შრომამიგების და სხვ. საკითხების ფრიად დაწვრილებითი განხილვის დროს ერთხელაც არ გახ-სენებია, რომ ცოდვა როდი იქნებოდა — «უტოპიაში» მაინც— ზოგიერთი უფლება მიენიჭებინა «გიმნაზიის» მმართველობისა და მეურნეობის გაძღოლის საქმეში თვით «მოწაფეთათვის», ისინი ხომ თვითონ ინახავენ მთელ სასწავლებლებს და ამთავ-რებენ მას 23—25 წლის ასაკში, ისინი ხომ არა მარტო «გიმნაზი-ელები», არამედ მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი ც არიან. ეს წვრილმანი ჩვენს ნაროდნიკს მთლად დავიწყებია! სამაგიეროდ აი ცუდი

ყოფაქცევის «მოწაფეთა საკითხი მას ზედმიწევნით დაუმუშავებია. «მეოთხე ტიპი (გიმნაზიებისა) უნდა დავაარსოთ იმ მოწაფეთათვის, რომელნიც ცუდი ყოფაქცევისათვის ჩვეულებრივი გიმნაზიებიდან გაირიცხებიან. ვალდებულად ვხდით რა მთელ ახალგაზრდა თაობას გაიაროს საშუალო განათლების კურსი, რაციონალური არ იქნებოდა მისგან გაგვეთავისუფლებინა ცუდი ყოფაქცევისათვის. უფროსი კლასებისათვის ეს შეიძლება ცთუნებად და ცუდი ყოფაქცევის წახალისებად გადაიქცეს. (ღმერთმანი, სწორედ ასეა დაბეჭდილი 229 გვერდზე!!) ცუდი ყოფაქცევის გამო გარიცხულთათვის განსაკუთრებული გიმნაზიების დაარსება მთელი სისტემის ლოგიკური დამატება იქნებოდა». მათ «გამასწორებელი გიმნაზიები» დაერქმეოდათ (230).

მართლაცდა, რა უებროა რუსული ყაიდის ეს «საგანმანათლებლო უტოპია» გამასწორებელი გიმნაზიებით იმ ავაზაკებისთვის, რომლებიც შეიძლება «აცთუნოს»... განათლებისაგან «განთავისუფლების» პერსპექტივამ!?

VI

მკითხველებს, შეიძლება, არ დავიწყებიათ მრეწველობის ხელმძღვანელობის ერთი პროექტი, რომელიც სამართლიანად დახასიათებულია როგორც მერკანტილიზმის აღორძინება, როგორც «მშობლიური მრეწველობის ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიულ-სოციალისტური ორგანიზაციის» პროექტი (გვ. 238). ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმის» დასახასიათებლად კიდევ უფრო რთული ტერმინის ხმარება გვიხდება. ჩვენ გვიხდება ამ გეგმას ვუწოდოთ — ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ-ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ-ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ექსპერიმენტი. საკმაოდ უშნო, ოთხსართულიანი ტერმინია, მაგრამ რას იზამთ? თვით გეგმაც ხომ უშნოა. სამაგიეროდ ეს ტერმინი ზ უ ს ტ ა დ გადმოგვცემს ბ-ნ იუჟაკოვის «უტოპიის» ყველა დამახასიათებელ თვისებას. დავიწყოთ განხილვა მე-4 სართულიდან. «სოციალიზმის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი გაგების ერთ-ერთი ძირითადი ნიშნეულობაა» — საზოგადოებრივი წარმოების გეგმაშეწონილი მოწესრიგება» — სამართლიანად ამბობს ზემოხსენებული

ავტორი*. «უტოპიაში» არის ეს ნიშნეულობა, ვინაიდან ათეულ მილიონობით მუშათა მეურნეობა იქ წინასწარ ეწყობა ერთი საერთო გეგმით. უტოპიის ბურჟუაზიული ხასიათი ეჭვს გარეშეა: ჯერ-ერთი, საშუალო სკოლა ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმით» კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ს კ ო ლ ა დ რ ჩ ე ბ ა. და ეს ყველა იმ მაღალფარდოვანი ფრაზების შემდეგ, რასაც ბ-ნი იუჟაკოვი ისროდა თავის პირველ სტატიაში კლასობრივი სკოლის «წინააღმდეგ»! შეძლებულთათვის ერთი სკოლა, ხელმოკლეთათვის — მეორე; ფული გაქვს — სწავლის ფული გადაიხადე, არა გაქვს — მაშ იმუშავეო. ესეც ცოტაა: შეძლებულთათვის, როგორც დავინახეთ, დატოვებულია «ახლანდელი ტიპი». ახლანდელ საშუალო სკოლებში, მაგალითად, სახ. განათლების სამინისტროს სკოლებში, სწავლის ფული ჰფარავს მთელი ხარჯების მხოლოდ 28,7%-ს, 40,0%-ს — ხაზინა იძლევა; 21,8% — დახმარება ცალკე პირთა, დაწესებულებათა და საზოგადოებათაგან; 3,1% — კაპიტალის პროცენტი და 6,4%— დანარჩენი წყაროები («საწარმოო ძალები», განყ. XIX, გვ. 35). მაშასადამე, ბ-მა იუჟაკოვმა საშუალო სკოლის კლასობრივი ხასიათი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ კ ი დ ე ვ უ ფ რ ო გ ა ა ძ ლ ი ე რ ა: მისი «გეგმით» შეძლებულნი გადაიხდიან თავიანთი სწავლის ღირებულების მხოლოდ 28,7%-ს, ხოლო ხელმოკლენი — თავიანთი სწავლის მ თ ე ლ ღირებულებას და ამას გარდა დამატებით შრომამიგებითაც! განა ცუდია ეს «ნაროდნიკული» უტოპიისათვის? მე-2, გეგმით გათვალისწინებულია გიმნაზიის მიერ ზამთრის მუშების დაქირავება — განსაკუთრებით უმიწაწყლო გლეხებისა. მე-3, დატოვებულია დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის — შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ეს საფუძველი. რაკი ბ-ნი იუჟაკოვი იცავს საზოგადოებრივი შრომის გეგმაზომიერ ორგანიზაციას, რაკი ის წერს «უტოპიას» სწავლებისა და ნაყოფიერი შრომის შეერთებაზე, — ამ დაპირისპირებულობის შენარჩუნება აბსურდია, მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენს ავტორს არა გაეგება რა იმ საგნისა, რომლის გან-

* «ნოვოე სლოვო», 1897 წ. აპრილი. შინაური მიმოხილვა.

ხილვაც უკისრნია. არა თუ ახლანდელ მოსწავლეთა «მასწავლებლებს» უწერიათ ამ აბსურდის წინააღმდეგ, არამედ ძველ უტოპისტებსაც, და ჩვენს რუს დიდ უტოპისტსაც კი[7]. ბ-ნ იუჟაკოვს ამასთან არა ესაქმება რა! მეოთხე, — და ეს ყველაზე ღრმა საფუძველია იმისათვის, რომ «უტოპიას» ბურჟუაზიული ვუწოდოთ, — მასში საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერი ორგანიზაციის ცდის გ ვ ე რ დ ი თ დატოვებულია სასაქონლო წარმოებაც. გიმნაზიები პროდუქტებს აწარმოებენ ს ა ბ ა ზ რ ო დ. მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების გამგებელი იქნება ბაზრის კანონები, რომელთაც «გიმნაზიებიც» უნდა დაემორჩილონ! ბ-ნ იუჟაკოვს ამასთან არა ესაქმება რა! საიდან მოჭორეთო, — შეიძლება თქვას მან, — რომ წარმოების გამგებელი ბაზრის რაღაც კანონები იქნებაო? ეგ ყველაფერი ლათაიებია! წარმოების გამგებელი იქნება არა ბაზრის კანონები, არამედ სამეწარმოქმედო გიმნაზიების ბბ. დირექტორთა განკარგულებებიო. **Voilà tout** *. — ბ-ნ იუჟაკოვის უტოპიური გიმნაზიების წმინდა ბიუროკრატიულ მოწყობაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ნება გვიბოძეთ იმედი ვიქონიოთ, რომ «საგანმანათლებლო უტოპია» სასარგებლო სამსახურს გაუწევს რუს მკითხველ საზოგადოებას, უჩვენებს რა მას, თუ რამდენად ღრმაა თანამედროვე ნაროდნიკების «დემოკრატიზმი». — ბატონყმურ ნიშანს ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმაში» წარმოადგენს ხელმოკლეთა მხრივ სწავლის ფულის მუშაობით ანაზღაურება. ამგვარი პროექტი რომ თანმიმდევარ ბურჟუას დაეწერა, მას არც 1-ლი, არც მე-2 სართული არ ექნებოდა, პროექტიც ასეთ ნაროდნიკულ უტოპიაზე განუზომლად უფრო მაღლა იდგებოდა და განუზომლად უფრო სასარგებლოც იქნებოდა. მუშაობით ანაზღაურება — ბატონყმური წყობილების სამეურნეო დედაარსია. კაპიტალისტურ წყობილებაში ხელმოკლე ადამიანმა თავისი სამუშაო ძალა უნდა გაჰყიდოს, რათა საარსებო საშუალებანი იყიდოს. ბატონყმურ წყობილებაში ხელმოკლემ მუშაობით უნდა მოიპოვოს ის საარსებო საშუალებანი, რაც მას მემამულისაგან მიულია. მუშა-

* — ესაა და ეს. რ ე დ.

ობით აწაზღაურება აუცილებლად მოითხოვს აიძულო იმუშაოს, მომუშავის არასრულუფლებიანობას, იმას, რასაც «კაპიტალის» ავტორი «**ausserökonomischer Zwang**»-ს* უწოდებს (III, 2, 324). ამიტომ რუსეთშიც, რამდენადაც დარჩენილა და რჩება მუშაობით ანაზღაურება — მისი აუცილებელი დამატებაა გლეხის მოქალაქობრივი არასრულუფლებიანობა, მიწაზე მიმაგრება, ფიზიკური სასჯელი, სამუშაოდ გაგზავნის უფლება. ბ-ნ იუჟაკოვს მუშაობით ანაზღაურებასა და არასრულუფლებიანობას შორის ეს. არსებული კავშირი არ ესმის, მაგრამ «პრაქტიკული» ადამიანის ალღო უკარნახებს მას, რომ გიმნაზიელთა მხრივ მუშაობით ანაზღაურების დროს ცუდი არ იქნება გამასწორებელი გიმნაზიების შემოღება იმათთვის, ვინც გაბედავს და განათლებას თავს აარიდებს; რომ დიდწლოვანი «გიმნაზიელი»-მუშები ბიჭუნა-მოწაფეთა მდგომარეობაში უნდა დარჩნენ.

და საკითხავია, რისთვის დასჭირდა ჩვენს უტოპისტს მისი ქმნილების პირველი სამი სართული? დაეტოვებინა მარტო მეოთხე სართული,—მაშინ ვერავინ კრინტსაც ვერ დასძრავდა მის წინააღმდეგ, ვინაიდან მან ხომ თვითონვე პირდაპირ და წინასწარ თქვა, «უტოპიას» ვწერო! მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი მისმა **Kleinbürger**-ულმა ბუნებამ. ერთი მხრივ, «უტოპიაც» — კარგი რამაა, მეორე მხრივ, მასწავლებელთა ჰონორარებიც ქალბატონ ინტელიგენციისათვის — ცუდი საქმე როდია. ერთი მხრივ — «ხალხის მიერ ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად», — ხოლო მეორე მხრივ — არა, ჩემო ძამია, პროცენტები და დასაფარავი თანხებიც მთლიანად გადაიხადე, და გარდა ამისა სამ წელიწადსაც იმუშავეო. ერთი მხრივ — მაღალფარდოვანი დეკლამაციები კლასობრივი დაქუცმაცების საშიშროებისა და მავნეობის შესახებ, მეორე მხრივ — წმინდა კლასობრივი «უტოპია». სწორედ ეს მარადი

---

* — **გარეეკონომიური იძულება. რ ე დ.**

ჭერყეობა ძველსა და ახალს შორის, ეს კურიოზული პრეტენზიები საკუთარ თავს გადახტომისა, ე. ი. ყოველგვარ კლასზე ძალლა დადგომისა — ყოველგვარი **Kleinbürger**-ული მსოფლმხედველობის დედაარსია.

დაწერილია გადასახლებაში 1897 წ. დამლევს.

პირველად დაიბეჭდა 1898 წ. კრებულში: ვლადიმირ ილინი — «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები»

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 2, გვ. 567 — 598

სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის*

(დამატებანი სახალხო განათლების საკითხისათვის)

ჩვენი სახალხო, უკაცრაული პასუხია, «განათლების» სამინისტრო მეტისმეტად იკვეხნის იმას, რომ მისი ხარჯები განსაკუთრებით სწრაფად იზრდება. პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის განმარტებითს ბარათში 1913 წლის ხარჯთაღრიცხვის გამო ვპოულობთ რევოლუციის შემდგომი წლების მონაცემთა შეჯამებას ვითომდა სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ეს ხარჯთაღრიცხვა 1907 წლის 46 მილიონი მანეთიდან 1913 წელს 137 მილიონამდე გადიდდა. გადიდება უზარმაზარია: თითქმის ერთისამად ექვსიოდე წლის განმავლობაში!

მხოლოდ ტყუილად ივიწყებენ რუსეთის პოლიციური «წესების» თუ უ წ ე ს ო ე ბ ა თ ა ჩვენი ოფიციალური მაქებარნი, რომ სასაცილოდ მცირე ციფრები მათი ზრდის პროცენტული გაანგარიშებისას ყოველთვის «უ დ ი დ ე ს ი» სისწრაფით იზრდება. თუ მათხოვარს, რომელსაც სამი კაპიკი აქვს, შაურს მისცემთ, მისი «ქონება» უცებ «უდიდესად» გაიზრდება, მთელი 167%-ით!

სამინისტრო რომ მიზნად არ ისახავდეს ხალხის გონების დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა ს და რუსეთში სახალხო განათლების უბადრუკი მდგომარეობის დ ა ფ ა რ ვ ა ს, განა მას ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი არ უნდა მოეყვანა? სახელდობრ, განა ისეთი მონაცემები არ უნდა მოეყვანა, რომლებიც ჩვენს დღევანდელ

შაურს კი არ შეადარებდა გუშინდელ ჩვენს სამ კაპიკს, არამედ იმას, რაც ჩვენა გვაქვს, შეადარებდა იმას, რაც ცივილიზებულ სახელმწიფოს ესაჭიროება? ყველამ, ვისაც არა სურს თავი მოიტყუოს და ხალხიც მოატყუოს, უნდა აღიაროს, რომ სამინისტრო ვალდებული იყო ასეთი მონაცემები მოეყვანა, — და რადგან ასეთი მონაცემები არ მოიყვანა, სამინისტრომ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა. იმის მაგივრად, რომ ხალხისა და ხალხის წარმომადგენლებისთვის განემარტა ჩვენი სახელმწიფოებრივი საჭიროებანი, სამინისტრო აბუნდოვანებს ამ საჭიროებებს, თავს ირთობს ციფრების სულელური უგულო თამაშით, ძველი არაფრისმთქმელი ციფრების უგულოდ გადაღეჭვით.

რა თქმა უნდა, ჩემს განკარგულებაში მეასედი ნაწილიც არ არის სახალხო განათლების საქმის გაცნობის იმ საშუალებებისა და წყაროებისა, რაც სამინისტროს მოეპოვება. მაგრამ მე მაინც შევეცადე ზოგიერთი წყარო მაინც მეშოვნა. და თამამად ვამტკიცებ, რომ შემიძლია მოგიყვანოთ უდავო ოფიციალური მონაცემები, რომლებიც ნამდვილად არკვევენ ჩვენი კაზიონური სახალხო «დაბნელების» მდგომარეობას.

ხელთა მაქვს მთავრობის ოფიციალური «ეჟეგოდნიკ როსსიი» 1910 წლისათვის, — შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცემა (ს.-პეტერბურგი. 1911).

მის 211-ე გვერდზე ვკითხულობ, რომ რუსეთის იმპერიის მოსწავლეთა მთელი რიცხვი, თუ შევაერთებთ ყველა სახის დაბალ, საშუალო და უმაღლეს სკოლებსა და სასწავლებლებს, 1904 წელს შეადგენდა 6 200 172 კაცს, ხოლო 1908 წელს — 7 095 351 კაცს. ზრდა აშკარაა. 1905 წელმა, რუსეთის ხალხთა მასების დიდი გამოღვიძების წელმა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით თავისუფლებისათვის დიდი სახალხო ბრძოლის წელმა, ამ წელმა ჩვენი სახაზინო უწყებაც კი აიძულა მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო.

მაგრამ ნახეთ, რა უბადრუკ მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი ისევ კაზიონურობის ბატონობის გამო, მებატონეთმემამულეთა ყოვლისშემძლეობის გამო, «საუწყებო» პროგრესის უდიდესი სისწრაფის პირობებშიც კი.

იგივე «ეჟეგოდნიკ როსსიი» იქვე ანგარიშობს, რომ რუსეთში 1 000 მცხოვრებზე მოდის 46,7 მოსწავლე 1908 წელს (1904 წელს იყო 44,3 მოსწავლე 1 000 მცხოვრებზე).

რას გვიჩვენებს ეს ციფრი, რომელიც სახალხო განათლების სამინისტრომ დაიზარა ეცნობებინა სათათბიროსთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცემიდან? რას გვიჩვენებს ეს პროპორცია: 50-ზე ნაკლები მოსწავლე 1 000 მცხოვრებზე?

იგი გვიჩვენებს, ბატონო კაზიონური სახალხო დაბნელების დამცველნო, რუსეთის წარმოუდგენელ ჩამორჩენილობას და ველურობას ჩვენს სახელმწიფოში მებატონე-მემამულეთა ყოვლისშემძლეობის გამო. რუსეთში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა რიცხვი შეადგენს 20%-ზე მეტს. ე. ი. მთელ მცხოვრებთა რიცხვის მეხუთედზე მეტს. ამ ციფრის გაგება არ გაუჭირდებოდათ თვით ბატონ კასოსა და კოკოვცოვსაც კი თავიანთ დეპარტამენტთა მოხელეების მეშვეობით.

ამრიგად, სასკოლო ასაკის ბავშვებია 22%, მოსწავლეები კი 4,7%, ესე იგი თითქმის ხუთჯერ ნაკლები!! ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ბავშვთა და მოზარდთა დაახლოებით **ოთხი მეხუთედი მოკლებულია** სახალხო განათლებას!!

ასეთი ველური ქვეყანა, სადაც ხალხის მასა ამდენად **გაძარცული** იყოს განათლების, სინათლისა და ცოდნის მხრივ,— ასეთი ქვეყანა ევროპაში არც ერთი არ დარჩენილა, გარდა რუსეთისა და ხალხის მასების, განსაკუთრებით გლეხების, ეს სიველურე შემთხვევითი კი არ არის, არამედ გარდუვალია იმ მემამულეების უღლის დროს, რომლებსაც ხელში ჩაუგდიათ ათეული მილიონობით დესეტინა მიწა, ხელში ჩაუგდიათ სახელმწიფო ძალაუფლებაც როგორც სათათბიროში, ისე სახელმწიფო საბჭოში, და არა მარტო ამ, შედარებით კიდევ დაბალ, დაწესებულებებში...

ახალგაზრდა თაობის ოთხი მეხუთედის ხვედრია უცოდინარი დარჩეს რუსეთის ბატონყმური სახელმწიფო წყობილების გამო. მემამულეთა ხელისუფლების წყალობით ხალხის გონების დაჩლუნგებას შეესაბამება წერა-კითხვის უცოდინარობა რუ-

სეთში. მთავრობის იმავე «ეჟეგოდნიკ როსსიის» ანგარიშით (88-ე გვერდზე) რუსეთში სულ წერა-კითხვის მცოდნეა მოსახლეობის 21%, ხოლო თუ (მოსახლეობას) გამოვაკლებთ ს კ ო ლ ა მ დ ე ლ ი ასაკის ბავშვებს, ე. ი. ბავშვებს 9 წლამდე, სულ 27%.

ცივილიზებულ ქვეყნებში კი წერა-კითხვის უცოდინარნი სრულიად არ არიან, როგორც, მაგალითად, შვეიცარია და დანიაში, ან წერა-კითხვის უცოდინარია სულ 1 — 2%, როგორც, მაგალითად, შვეიცარიასა და გერმანიაში. თვით ჩამორჩენილმა ავსტრია-უნგრეთმაც კი თავის სლავურ მოსახლეობას გ ა ნ უ ზ ო მ ლ ა დ უფრო კულტურული ცხოვრების პირობები შეუქმნა, ვიდრე ბატონყმურმა რუსეთმა: ავსტრიაში წერა-კითხვის უცოდინარია 39%, უნგრეთში—50%. ამ ციფრებს უნდა ჩ ა ჰ ფ ი ქ რ ე ბ ო დ ნ ე ნ ჩვენი შოვინისტები, მემარჯვენეები, ნაციონალისტები და ოქტიაბრისტები, ისინი რომ თავიანთ «სახელმწიფოებრივ» მიზნად არ ისახავდნენ — თვითონაც გადაეჩვიონ ფიქრს და ხალხიც გადააჩვიონ. მაგრამ თუ თვითონ ისინი უკვე გადაეჩვივნენ, რუსეთის ხალხი სულ უფრო მეტად ს წ ა ვ ლ ო ბ ს ფიქრს, ფიქრს იმაზედაც, თუ რომელი კლასი არგუნებს ხვედრად რუსეთის გლეხებს მატერიალურ სიღატაკეს და სულიერ სიღატაკეს სახელმწიფოში თავისი ბატონობით.

ამერიკა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის მიხედვით მოწინავე ქვეყნებს არ ეკუთვნის, იქ წერა-კითხვის უცოდინარია თითქმის 11%, ზანგებში კი 44%. მაგრამ ამერიკელი ზანგები მაინც ო რ ჯ ე რ უ ფ რ ო კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან «სახალხო განათლების» მხრივ, ვიდრე რუსეთის გლეხები. ამერიკელი ზანგები, თუმცა, ამერიკის რესპუბლიკის სამარცხვინოდ ძალიან დაბეჩავებული არიან, მაგრამ რუსეთის გლეხებზე მაინც ბედნიერი არიან, — ხოლო უფრო ბედნიერი იმიტომ არიან, რომ ამერიკელი მონათმფლობელნი ხალხმა ნახევარი საუკუნის წინათ სასტიკად დაამარცხა, გასრისა ეს საძაგლობა, პირწმინდად აღგავა მონათმფლობელობა და მონათმფლობელური სახელმწიფო წყობილება, მონათმფლობელური პოლიტიკური პრივილეგიები ამერიკაში.

ბატონი კასოები, კოკოვცოვები და მაკლაკოვები რუს ხალხ-საც შეასწავლიან, რომ მან ამერიკის მაგალითს მიჰბაძოს.

ამერიკაში 1908 წელს იყო **17 მილიონი** მოსწავლე, ესე იგი 192 მოსწავლე ათას მცხოვრებზე — **ოთხჯერ უფრო მეტი**, ვიდრე რუსეთში. ორმოცდა სამი წლის წინათ, 1870 წელს, როცა ამერიკა ის-ის იყო იწყებდა თავისუფალი ცხოვრების შენებას, მონათმფლობელი ზუბრებისაგან ქვეყნის გაწმენდის შემდეგ, — ორმოცდა სამი წლის წინათ ამერიკაში იყო 6 871 522 მოსწავლე, ე. ი. მეტი, ვიდრე რუსეთში 1904 წელს და **თითქმის** იმდენივე, რამდენიც რუსეთში 1908 წელს. მაგრამ მაშინაც კი, 1870 წელს, ამერიკაში 1 000 მცხოვრებზე მოდიოდა 178 (ას სამოცდა თვრამეტი) მოსწავლე, ე. ი. ცოტაღა აკლდა, რომ ოთხჯერ უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე თანამედროვე რუსეთში.

აი, ბატონებო, ახალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, **რომ** რუსეთს **ჯერ კიდევ** მართებს ხალხის შეუპოვარი, რევოლუციური ბრძოლით მოიპოვოს ის თავისუფლება, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ მოიპოვეს ამერიკელებმა.

რუსეთში სახალხო დაბნელების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა 1913 წლისთვის განსაზღვრულია 136.7 მილიონი მანეთით. ეს ერთ მცხოვრებზე (170 მილიონი იყო 1913 წ.) შეადგენს სულ 80 კაპიკს. მაშინაც კი, თუ ავიღებთ «განათლებაზე ხაზინის ხარჯების საერთო ჯამის» იმ ციფრს, რომელსაც იძლევა ბ-ნი ფინანსთა მინისტრი ხარჯთაღრიცხვის განმარტებითი ბარათის 109-ე გვერდზე, სახელდობრ, 204,9 მილიონ მანეთს, მაინც მივიღებთ ერთ მცხოვრებზე მხოლოდ 1 მან. 20 კაპიკს. ბელგიაში, ინგლისსა და გერმანიაში სახალხო განათლების ხარჯების ჯამი შეადგენს 2 — 3 მანეთს და 3 მან. 50 კაპიკსაც კი ერთ მცხოვრებზე. ამერიკაში 1910 წელს სახალხო განათლებაზე იხარჯებოდა 426 მილიონი დოლარი, ე. ი. 852 მილიონი მანეთი, ე. ი. 9 მან. 24 კაპ. ერთ მცხოვრებზე. ორმოცდა სამი წლის წინათ,1870 წელს, ამერიკის რესპუბლიკა სახალხო განათლებაზე ხარჯავდა 126 მილიონ მანეთს წლიურად, ე. ი. **3 მან. 30 კაპ.** ერთ მცხოვრებზე.

ჩვენ გვიპასუხებენ, რა თქმა უნდა, ოფიციალური კალმოსნები და ოფიციალური მსახურნი, რუსეთი ღარიბია, მას ფული არა აქვსო. ჰო, დიახ, რუსეთი არათუ ღარიბია, იგი ღატაკია, როდესაც სახალხო განათლებაზეა ლაპარაკი. სამაგიეროდ რუსეთი მეტად «მდიდარია» თავისი ხარჯებით ბატონყმურ სახელმწიფოზე, რომელსაც მემამულეები განაგებენ, თავისი ხარჯებით პოლიციაზე, ჯარზე, იჯარებზე და ათიათასობით ჯამაგირიან მემამულეებზე, რომელთაც «მაღალ» ხარისხამდე მიუღწევიათ, თავისი ხარჯებით ავანტიურისა და ძარცვის პოლიტიკაზე გუშინ კორეაში ან მდინარე იალუზე, დღეს მონღოლეთსა და თურქეთის სომხეთში. რუსეთი მ უ დ ა მ ღარიბი და ღატაკი იქნება ხალხის განათლებაზე ხარჯების მხრივ, ვ ი დ რ ე ხალხი იმდენად არ განათლდება, რომ კისრიდან გადაიგდოს მებატონე-მემამულეთა უღელი.

რუსეთი ღარიბია, როდესაც ლაპარაკია სახალხო მასწავლებელთა ჯამაგირზე. მათ რაღაც გროშებს უხდიან. სახალხო მასწავლებლები შიმშილობენ და იყინებიან საცხოვრებლად თითქმის სრულიად უვარგის ქოხებში, რომელთაც არც კი ათბობენ. სახალხო მასწავლებლები ცხოვრობენ პირუტყვთან ერთად, რომელიც ზამთრობით გლეხს ქოხში მიჰყავს. სახალხო მასწავლებლებს სდევნის ყოველი ურიადნიკი, სოფლის ყოველი შავრაზმელი ან მოხალისე ჯაშუში და მაძებარი, ხელისუფალთა შარის მოდებასა და დევნაზე რომ არაფერი ვთქვათ. რუსეთი ღარიბია, რომ გასამრჯელო აძლიოს სახალხო განათლების პატიოსან მუშაკებს, მაგრამ რუსეთი მეტად მდიდარია, რომ მილიონები და ათეული მილიონები ფანტოს მუქთახორა თავადაზნაურებზე, სამხედრო ავანტიურებზე, შაქრის მექარხნეებისა და ნავთობის მეფეების მოწყალებაზე და სხვ.

კიდევ ერთი, უკანასკნელი ციფრი ამერიკის ცხოვრებიდან, ბატონებო, — რათა რუსეთის მემამულეებისა და მ ა თ ი მთავრობის მიერ დაჩაგრულ ხალხს დავანახვოთ, თ უ რ ო გ ო რ ცხოვრობს ის ხალხი, რომელმაც რევოლუციური ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება. 1870 წელს ამერიკაში ითვლებოდა 200 515 მასწავლებელი, რომელთა ჯამაგირი შეადგენდა 37,8 მილიონ დოლარს, ე. ი. წლიურად ერთ მასწავლებელზე

საშუალოდ მოდიოდა 189 დოლარი ანუ 3 7 7 მ ა ნ ე თ ი. ეს იყო ო რ მ ო ც ი წ ლ ი ს წინათ! ახლა კი ამერიკაში 5 2 3 2 1 0 მასწავლებელია, რომელთა ჯამაგირი შეადგენს 253,9 მილიონ დოლარს, ე. ი. ერთ მასწავლებელზე წლიურად მოდის 483 დოლარი ანუ **966 მანეთი**. რუსეთშიც, მისი საწარმოო ძალების ახლანდელ დონეზედაც კი, სავსებით შესაძლებელია უკვე ამჟამადაც უზრუნველყოთ არა ნაკლებ დამაკმაყოფილებელი ჯამაგირით იმ სახალხო მასწავლებელთა არმია, რომელნიც ეხმარებიან ხალხს თავი დააღწიოს უმეცრებას, სიბნელეს და სიბეჩავეს, — რომ... რომ რუსეთის მთელი სახელმწიფო წყობილება, თავიდან ბოლომდე გადაკეთდეს ისევე დემოკრატიულად, როგორც ამერიკისა.

ან სიღატაკე და გაველურება მებატონე-მემამულეთა ყოვლისშემძლეობის დროს, სამი ივნისის წესების თუ უწესოებათა პირობებში—ან თავისუფლება და ცივილიზაცია თავისუფლების მოპოვების უ ნ ა რ ი ს ა და გ ა მ ბ ე დ ა ო ბ ი ს შემთხვევაში, აი ის თვალსაჩინო **გაკვეთილი**, რომელსაც ასწავლის რუსეთის მოქალაქეებს სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

მაგრამ აქამდე მე ვეხებოდი საკითხის თითქმის მხოლოდ მატერიალურ მხარეს ან ფინანსურ მხარესაც კი. განუზომლად უფრო სავალალოა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, **უფრო** საზიზღარია რუსეთის მოსწავლეთა და მასწავლებელთა სულიერი სიბეჩავის, დაკნინების, დაჩაგრულობის, უუფლებობის სურათი. ამ მხრივ სახალხო განათლების სამინისტროს მთელი საქმიანობა — ერთიანად აბუჩად აგდებაა მოქალაქეთა უფლებებისა, ხალხისა. პოლიციისაგან დევნა, პოლიციის თვითნებობა, პოლიციის მხრივ დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ე ბ ი ს შექმნა საერთოდ ხალხისა და განსაკუთრებით მუშების განათლების საქმეში, პოლიციის მხრივ იმის **დანგრევა**, რასაც თვითონ ხალხი აკეთებს თავისი განათლებისათვის, — აი რას წარმოადგენს იმ სამინისტროს მ თ ე ლ ი საქმიანობა, რომლის ხარჯთაღრიცხვასაც მოიწონებენ ბატონი მემამულეები, მემარჯვენეებით დაწყებული ოქტიაბრისტებით გათავებული.

და რომ დ ა გ ი მ ტ კ ი ც ო თ, ბატონო IV სათათბიროს წევრნო, ჩემი სიტყვების სისწორე, დავასახელებ მოწმეს, რომელსაც თ ქ ვ ე ნ ც კი, ბატონო მემამულეებო, ვერ მისცემთ აცილებას. ეს მოწმეა: III და IV სახ. სათათბიროს წევრი ოქტიაბრისტი ბ-ნი კ ლ ი უ ჟ ე ვ ი, სამარის მე-2 და მე-3 ქალთა გიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს წევრი, სამარის საქალაქო თვითმმართველობის სასკოლო კომისიის წევრი, სამარის საგუბერნიო ერობის სარევიზიო კომისიის წევრი, სახალხო სასწავლებელთა ყოფილი ინსპექტორი. მე ჩამოვთვალე (III სათათბიროს ოფიციალური ცნობარის მიხედვით) ამ ოქტიაბრისტის ხარისხები და წოდებანი, რათა დ ა გ ი მ ტ კ ი ც ო თ, რომ თ ვ ი თ ო ნ მთავრობამ, თ ვ ი თ ო ნ ჩვენი მემამულური ერობის მემამულეებმა დააყენეს ბ-ნი კლიუჟევი უაღრესად თვალსაჩინო ადგილებზე ჩვენი სახალხო გაბრიყვების სამინისტროს «მუშაობის» (სამძებრო და საჯალათო «მუშაობის») სფეროში.

თუკი ვინმემ განვლო კანონის მორჩილი და ღვთისმოშიში მოსამსახურე-მოხელის მთელი კარიერა, ეს, რა თქმა უნდა, ბ-მა კლიუჟევმა. თუკი ვინმემ თავისი ერთგული სამსახურით ადგილობრივ, პროვინციაში, მოიპოვა ბატონ თავადაზნაურთა და მემამულეთა ნდობა ეს, რა თქმა უნდა, ბ-მა კლიუჟევმა.

და აი მე მოგიყვანთ რამდენიმე ციტატს ამ უაღრესად კეთილსაიმედო (ბატონყმური თვალსაზრისით) მოწმის მიერ სახალხო განათლების ხარჯთაღრიცხვის გამო **მესამე** სათათბიროში წარმოთქმული სიტყვიდან.

სამარის ერობამ — ამბობდა III სათათბიროში ბ-ნი კლიუჟევი — ე რ თ ხ მ ა დ მიიღო ბ-ნ კლიუჟევის წინადადება — აღიძრას შუამდგომლობა ზოგიერთი ორკლასიანი სასოფლო სასწავლებლის ოთხკლასიან სასწავლებლად გადაკეთების შესახებ. ოლქის მზრუნველი—ამბობს კანონის მორჩილი და ღვთისმოშიში ბ-ნი კლიუჟევი — **უარზეა**. რატომ? ოფიციალური განმარტება: «ს ა ს კ ო ლ ო ა ს ა კ ი ს ბ ა ვ შ ვ თ ა მ ც ი რ ე რ ი ც ხ ვ ი ს გ ა მ ო».

და აი ბ-ნ კლიუჟევს მოჰყავს შემდეგი შედარება: ჩ ვ ე ნ-შ ი (ამბობს ის მემამულეების მიერ დაბეჩავებულ რუსეთზე),

ჩვენში სამარის სოფლების 6 000 მცხოვრებზე **არც ერთი** ოთხკლასიანი სასწავლებელი არ არისო. ქალაქ სერდობოლში (ფინეთი) 2 8 0 0 მცხოვრებზე ო თ ხ ი საშუალო (და საშუალოზე მაღალი) სკოლა არისო.

ასეთია შედარება, მოყვანილი ბ-ნ ოქტიაბრისტისა და დიდად დამსახურებული პერედონოვის *... უკაცრავად, წამომ-ცდა... დიდად დამსახურებული ბ-ნ კლიუჟევის მიერ III სა-თათბიროში. დაუფიქრდით ამ შედარებას, ბატონო წარმომად-გენელნო, თუ სახალხო არა, მემამულეთა წარმომადგენელნო მაინც! ვინ აღძრა შუამდგომლობა სასწავლებელთა გახსნის შესახებ? მემარცხენეებმა? გლეხობამ? მუშებმა? ღმერთმა **დაგვიფაროს!!** ე რ თ ს უ ლ ო ვ ა ნ ი შუამდგომლობა აღძრა **სამარის** ერობამ, ე. ი. სამარის **მემამულეებმა,** მათ შორის ყველაზე შავრაზმელებმაც. ხოლო მთავრობა, **მზრუნველის** სახით, უარს ეუბნება იმ საბაბით, რომ სასკოლო ასაკის ბავშვთა რიცხვი «მ ც ი რ ე ა ო»!! განა მთლად და ყოველმხრივ მართალი არ ვიყავი, როცა ვთქვი, რომ მთავრობა რუსეთში ხ ე ლ ს უ შ-ლ ი ს სახალხო განათლებას-მეთქი? — რომ მთავრობა რუ-სეთში სახალხო **განათლების** უდიდესი მტერია-მეთქი?

თუ ფინეთში ჩვენ ვხედავთ კულტურას, ცივილიზაციას, თავისუფლებას, **წერა-კითხვის** მცოდნეობას, განათლებულ ქალებსა და სხვ., ე ს მ ხ ო ლ ო დ **დ ა** მ ხ ო ლ ო დ **იმიტომ,** რომ ფინეთში **არ არის** ისეთი «საზოგადოებრივი უბედურება», როგორიცაა რუსეთის მთავრობა. ახლა უნდათ ფინეთ-საც მოახვიონ თავს ეს უბედურება და ფინეთი მონურ ქვეყ-ნად გახადონ. ვერ ეღირსებით ამას, ბატონებო!! თქვენი ცდე-ბით — ძალით შემოიღოთ ფინეთში პოლიტიკური მონობა — მხოლოდ დააჩქარებთ რუსეთის ხალხთა პოლიტიკური მონო-ბისგან გამოღვიძებას!

მოვიყვან კიდევ ოქტიაბრისტი მოწმის ბ-ნ კლიუჟევის ერთ ჩვენებას. «როგორ აგროვებენ პედაგოგებს?» — იკითხა თავის სიტყვაში ბ-მა კლიუჟევმა და თავის კითხვას თვითონვე გასცა შემდეგი პასუხი:

---

* პერედონოვი — ჯაშუში და ყეყეჩი მასწავლებლის ტიპი სოლოგუბის **რომანში «წვრილფეხა ჭინკა».**

«ერთმა განსვენებულმა სამარელმა მოღვაწემ, პოპოვმა, ანდერძით დასტოვა კაპიტალი ქალთა საოსტატო სემინარიის მოსაწყობად». და როგორ ფიქრობთ, ვინ დანიშნეს სემინარიის უფროსად? აი რას წერს განსვენებული პოპოვის ანდერძის აღმსრულებელი: «ხოლო უფროსის ადგილზე დანიშნეს გვარდიის გენერლის ქვრივი, რომელმაც, როგორც თვითონ აღიარა, პირველად გაიგონა, რომ არსებობდა სასწავლებელი ქალთა საოსტატო სემინარიის სახელწოდებით»!!

არ იფიქროთ, ბატონებო, რომ ეს ფაქტი აღებული მაქვს დემიან ბედნის იგავ-არაკთა კრებულიდან, ისეთი იგავ-არაკიდან, რომლის გულისთვის «პროსვეშჩენიე» დააჯარიმეს, ხოლო რედაქტორი საპყრობილეში ჩასვეს. არა. ეს ფაქტი აღებულია ოქტიაბრისტ კლიუჟევის სიტყვიდან, რომელსაც ასე ეშინია (როგორც ღვთისმოშიშ და პოლიციის მოშიშ ადამიანს) ჩაუფიქრდეს ამ ფაქტის მნიშვნელობას, ვინაიდან ეს ფაქტი ისევ და ისევ უდავოდ ამტკიცებს, რომ რუსეთში სახალხო განათლების ყველაზე ბოროტი, ყველაზე შეურიგებელი მტერი რუსეთის მთავრობაა. ხოლო სახალხო განათლებისთვის კაპიტალების ბატონმა შემწირველებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ფუჭად ფანტავენ ფულს, სრულიად ფუჭად. მათ სურთ შეწირულება გაიღონ ხალხის განათლებისთვის, ნამდვილად კი ფულს აძლევენ გვარდიის გენერლებს და მათს ქვრივებს. ასეთმა შემწირველებმა, თუ არ უნდათ გაანიავონ ფული, უნდა გაიგონ, რომ ფული უნდა შესწირონ სოციალ-დემოკრატებს, რადგან მხოლოდ ისინი შესძლებენ ამ ფულით ხალხს შესძინონ ნამდვილი განათლება, რომელიც მართლაც არ იქნება დამოკიდებული «გვარდიის გენერლებზე»... და მშიშარა და კანონისმორჩილ ბატონ კლიუჟევებზე.

კიდევ ერთი ციტატი იმავე ბ-ნ კლიუჟევის სიტყვიდან:

«ფუჭი იყო ჩვენი სახ. სათათბიროს (მესამე სათათბიროს) სურვილი — სემინარიელების უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. სამინისტრომ შესაძლებლად არა სცნო გამოხმაურებოდა ჩვენს სურვილს». «ესეც კია, მთავრობა უმაღლესი განათლების გზას უღობავს არა მარტო სემინარიელებს, არამედ საერთოდ გლეხთა და მდაბიო მოქალაქეთა წოდების შვილებს. ეს ლამაზი ფრაზა კი არ არის — ამბობდა სახალხო განათლების სამინისტროს ოქტიაბრისტი მოხელე — **არამედ სი-**

ქართლეაო. გიმნაზიებში მოსწავლე 119 000 მოწაფიდან გლეხია მხოლოდ 18 000. ხოლო სახალხო განათლების სამინისტროს ყველა სასწავლებელში გლეხები მხოლოდ 15 პროცენტია. სასულიერო სემინარიებში 20 500 მოწაფიდან გლეხი სულ 1 300 კაცია. კადეტთა კორპუსებსა და მათ მსგავს სასწავლებლებში გლეხებს სულაც არ ღებულობენ» (ეს ციტატები კლიუჩევის სიტყვიდან, სხვათა შორის, მოყვანილია კ. დობროსერდოვის სტატიაში, 1912 წლის «ნევსკაია ზვეზდა», № 6, 1912 წლის 22 მაისი).

ასე ლაპარაკობდა III სათათბიროში ბ-ნი კლიუჩევი. ამ მოწმის ჩვენებას ვერ უარყოფენ IV სათათბიროს ბატონი მეუფენიც. მოწმე კი, თავისი ნების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და თავისი სურვილის მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, მთლიანად ადასტურებს საერთოდ რუსეთისა და განსაკუთრებით სახალხო განათლების თანამედროვე მდგომარეობის **რევოლუციურ** შეფასებას, ვინაიდან, მართლაც, რისი ღირსია ის მთავრობა, რომელიც, მთავრობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოხელისა და ოქტიაბრისტების მმართველი პარტიის მოღვაწის თქმით, განათლების **გზას უღობავს** მდაბიო მოქალაქეებსა და გლეხებს?

აბა მოისაზრეთ, ბატონებო, რისი ღირსია ასეთი მთავრობა და მდაბიო მოქალაქეთა და გლეხთა თვალსაზრისით!

ნუ დაივიწყებთ, რომ მდაბიო მოქალაქენი და გლეხები რუსეთის მოსახლეობის 88 პროცენტს, ე. ი. ხალხის **ცხრა მეათედზე** ცოტა ნაკლებს შეადგენენ. თავადაზნაურები კი სულ **ერთნახევარი პროცენტია.** და აი, მთავრობა ართმევს ფულს ხალხის ცხრა მეათედს ყველა სახის სკოლებისა და სასწავლებლებისათვის დ ა ა მ ფ უ ლ ი თ ასწავლის თავადაზნაურთ, ხოლო მდაბიო მოქალაქეებსა და **გლეხებს გზას უღობავს!!** ნუთუ ცხადი არ არის, რისი ღირსია ეს თავადაზნაურთა მთავრობა? — ეს მთავრობა, რომელიც ჩაგრავს მოსახლეობის ცხრა მეათედს მოსახლეობის ე რ თ ი მ ე ა ს ე დ ი ს პრივილეგიების დაცვის გულისთვის??

ბოლოს, აი უკანასკნელი ციტატი ჩემი მოწმის, სახალხო განათლების სამინისტროს ბ-ნი ოქტიაბრისტი მოხელის, III და (IV) სათათბიროს წევრის კლიუჩევის სიტყვიდან:

«1906 — 1910 წლების ხუთწლეულის განმავლობაში — ამბობს ბ-ნი კლიუჟევი — ყაზანის ოლქში სამსახურიდან დათხოვნილია საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების 21 დირექტორი, სახალხო სასწავლებლების—32 ინსპექტორი, საქალაქო სასწავლებლების—1054 მასწავლებელი, ხოლო ერთნიც და მეორენიც გადაყვანილ-გადმოყვანილია 870 კაცი. აბა იფიქრეთ, — ამბობდა ბ-ნი კლიუჟევი — როგორ შეუძლია ჩვენს მასწავლებელს მშვიდად იძინოს? ასტრახანში დაძინებული, ის დარწმუნებული არ არის, რომ ხვალ ვიატკაში არ ამოყოფს თავს. წარმოიდგინეთ კურდღელივით დაშინებული პედაგოგის ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა!»

ამას ამბობს არა ვინმე «მემარცხენე» მასწავლებელი, არამედ ოქტიაბრისტი. ეს მონაცემები მოჰყავს ბეჯით მოხელეს. ეს **თქვენი** მოწმეა, ბატონო მემარჯვენეებო, ნაციონალისტებო და ოქტიაბრისტებო!! და ეს «თქვენი» მოწმე იძულებულია აღიაროს მთავრობის ფრიად აღვირახსნილი, ფრიად ურცხვი, ფრიად საძაგელი თვითნებობა მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში!! ეს თ ქ ვ ე ნ ი მოწმე, IV სათათბიროს და სახ. საბჭოს ბატონო მეუფენო, იძულებულია აღიაროს ის ფაქტი, რომ რუსეთში მასწავლებლები კურდღელივით **«შეშინებული»** არიან რუსეთის მთავრობის მიერ!!

და, ვეყრდნობით რა რუსეთის სინამდვილის ამ ფაქტს, მრავალი ათასი ასეთი ფაქტიდან, ვეკითხებით რუს ხალხს და რუსეთში მოსახლე ყველა ხალხს: განა მთავრობა იმისთვის გვესაჭიროება, რომ თავადაზნაურთა პრივილეგიები დაიცვას და სახალხო მასწავლებლები **«დააშინოს»?** განა ასეთი მთავრობა ღირსი არ არის იმისა, რომ იგი ხალხმა **გააგდოს?**

დიახ, რუსეთის სახალხო მასწავლებლები კურდღლებივით დაშინებული არიან! დიახ, რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედს მთავრობა განათლების გზას უღობავს. დიახ, ჩვენი სახალხო განათლების სამინისტრო არის პოლიციის დევნის, ახალგაზრდობის მასხარად აგდების, ცოდნისადმი ხალხის მისწრაფების შებილწვის სამინისტრო. მაგრამ რუსეთის გლეხები და განსაკუთრებით რუსეთის მუშები, ბატონო IV სათათბიროს წევრებო, ყველანი კ უ რ დ ღ ე ლ ს როდი ჰგვანან, სულაც არა. მუშათა კლასმა ეს დაამტკიცა 1905 წელს, და კიდევ შესძლებს დაამტკიცოს და დაამტკიცოს ბევრად უფრო

დამაჯერებლად, ბევრად უფრო საფუძვლიანად, ბევრად უფრო სერიოზულად, რომ უნარი შესწევს რევოლუციური ბრძოლისა ნამდვილი თავისუფლებისათვის და ნ ა მ დ ვ ი ლ ი არაკასოვისებური და არა-თავადაზნაურული, **სახალხო** განათლებისათვის!

დაწერილია არა უგგიანეს 1913 წ. 2 (15) ივნისისა
პირველად დაიბეჭდა 1930 წ. ვ. ი. ლენინის თხზულებათა 2 — 3 გამოცემებში, ტომი XVI

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 146 — 158

ბავშვის შრომა გლეხურ მეურნეობაში

იმ პირობების სწორად შესაფასებლად, რომლებშიც ჩაყენებულია წვრილი სამიწათმოქმედო წარმოება კაპიტალიზმის დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი მუშაკის მდგომარეობის, მისი ხელფასის, შრომის რაოდენობის, ცხოვრების ვითარების შესახებ, — შემდეგ პირუტყვის შენახვისა და მისი მოვლის ხარისხის შესახებ, — ბოლოს, მიწის დამუშავების წესების, მისი განოყიერების, მის ძალთა განიავების შესახებ და სხვ.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ, თუ ამ საკითხებს გვერდს ავუვლით (როგორც ამას ხშირად სჩადის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია), სრულიად ყალბ წარმოდგენას მივიღებთ გლეხურ მეურნეობაზე, რადგან მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი «ცხოველმყოფელობა» დამოკიდებულია სწორედ მუშაკის მდგომარეობაზე, პირუტყვის შენახვისა და მიწის მოვლის პირობებზე. უსაფუძვლოდ იმის დაშვება, რომ ამ მხრივ წვრილი და მსხვილი წარმოება ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული, იმას ნიშნავს, რომ დამტკიცებულად მიიჩნიო სწორედ ის, რის დამტკიცებაც საჭიროა, — იმას ნიშნავს, რომ ერთბაშად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დადგე.

ბურჟუაზიას სურს დაამტკიცოს, რომ გლეხი ნამდვილი და ცხოველუნარიანი «მეურნეა» და არა კაპიტალის მონა, ისევე დაჩაგრულია, როგორც დაქირავებული მუშა, ოღონდ უფრო შებოჭილია, მისი მდგომარეობა უფრო აწეწილია, ვიდრე

დაქირავებული მუშისა. თუ სერიოზულად და კეთილსინდისიერად მოვძებნით მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ს სადავო საკითხის გადასაჭრელად, უნდა გავარკვიოთ როგორია ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა და შ რ ო მ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი ს სისტემატური და ობიექტური მაჩვენებლები წვრილსა და მსხვილ წარმოებაში.

ასეთ — ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვან — მაჩვენებელთა რიცხვს ეკუთვნის ბ ა ვ შ ვ ი ს შრომის გამოყენებადობა. რაც უფრო ძლიერია ბავშვის შრომის ექსპლოატაცია, მით უფრო, უეჭველად, უარესია მუშაკის მდგომარეობა, მით უფრო მძიმეა მისი ცხოვრება.

ავსტრიისა და გერმანიის სასოფლო-სამეურნეო აღწერანი ცნობებს იძლევიან ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის შესახებ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ პირთა საერთო რიცხვთან ერთად. ამასთან ავსტრიაში ცალკე არის გამოთვლილი ორივე სქესის ყველა მუშაკი 16 წ ლ ი ს ა ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი ასაკისა. ასეთები აღმოჩნდა 1,2 მილიონი 9 მილიონიდან, ე. ი. 13%. გერმანიაში კი გამოცალკევებული არიან მცირეწლოვანი მხოლოდ 14 წ ლ ა მ დ ე, და ასეთები აღმოჩნდა ექვსასი ათასი (601 637) თხუთმეტი მილიონიდან (15 169 549), ე. ი. 3,9%.

ცხადია, ავსტრიისა და გერმანიის მონაცემები შეუსადარია. მაგრამ სავსებით შესადარია ამასთანავე გამოაშკარავებული დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა პროლეტარულ, გლეხურ და კაპიტალისტურ მეურნეობებს შორის.

პროლეტარულ მეურნეობებს ჩვენ ვაკუთვნებთ ისეთ მეურნეობებს, რომელთაც აქვთ მიწის ერთი ბეწო ნაკვეთები (ორ ჰექტარამდე, ე. ი. თითქმის ორი დესეტინა მეურნეობაზე), — რაც დამატებითს შემოსავალს აძლევს დაქირავებულ მუშებს. გლეხურ მეურნეობებს ვაკუთვნებთ ისეთ მეურნეობებს, რომელთაც აქვთ 2-დან 20 ჰექტარამდე; აქ ოჯახური შრომა ხჭარბობს დაქირავებულს. ბოლოს, კაპიტალისტური მეურნეობები, უფრო მსხვილი მეურნეობებია, სადაც დაქირავებული შრომა სჭარბობს ოჯახურს.

აი მონაცემები ამ სამი ტიპის მეურნეობებში ბავშვის შრომის შესახებ:

მეურნეობები:	მეურნეობების ჯგუფები	სოფლის მეურნეობაში ას პირზე ბავშვი ოდის: 16 წლამდე ავსტრიაში	14 წლამდე გერმანიაში
პროლეტარული	1/2 ჰექტარამდე	8,8	2,2
	1/2-დან 2 ჰექტარამდე	12,2	3,9
გლეხური	2 » 5 »	15,3	4,6
	5 » 10 »	15,6	4,8
	10 » 20 »	12,8	4,5
კაპიტალისტური	20 » 100 »	11,1	3.4
	100 და მეტი	4,2	3,6
	სულ	13,0	3,9

აქედან ვხედავთ, რომ ორივე ქვეყანაში ბავშვის შრომის ექსპლოატაცია ყ ვ ე ლ ა ზ ე ძ ლ ი ე რ ი ა, საერთოდ, სწორედ გ ლ ე ხ უ რ მეურნეობებში და, კერძოდ, სწორედ ს ა მ უ ა ლ ო გ ლ ე ხ უ რ მეურნეობებში (5 — 10 ჰექტარი, ე. ი. 4 1/2 — 9 დესეტინა მიწა).

ამრიგად, გარდა იმისა, რომ წვრილი წარმოება მსხვილზე უფრო ცუდადაა დაყენებული, ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ სპეციალურად გლეხური მეურნეობა დაყენებულია არა მარტო კაპიტალისტურ მეურნეობაზე უარესად, არამედ პროლეტარულ მეურნეობაზე უარესადაც.

რით აიხსნება ეს მოვლენა?

პროლეტარულ მეურნეობაში მიწათმოქმედება წარმოებს მიწის ისეთ უმნიშვნელო ნაჭერზე, რომ ნამდვილ «მეურნეობაზე» სერიოზული ლაპარაკი არც კი შეიძლება. მიწათმოქმედება აქ დ ა მ ხ მ ა რ ე მოსაქმეობაა; მთავარი კი არის დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში. მრეწველობის გავლენა საერთოდ ამაღლებს მუშაკის საარსებო დონეს და კერძოდ ამცირებს ბავშვის შრომის ექსპლოატაციას. მაგალითად, გერმანიის მრეწველობაში აღწერამ მოგვცა მუშაკთა მხოლოდ 0,3% 14 წლის ასაკამდე (ე. ი. მიწათმოქმედების მიმართ ერთიანათად ნაკლები) და მხოლოდ 8% 16 წლის ასაკამდე.

გლეხურ მეურნეობაში კი მრეწველობის გავლენა ყველაზე სუსტია, ხოლო კონკურენცია კაპიტალისტურ მიწათმოქმედებასთან ყველაზე ძლიერია. გლეხი ვერ იარსებებს, თუ ქანცი არ გაიწყვიტა მუშაობით თვითონაც და ბავშვებიც არ აიძულა ორკეცად უფრო მძიმედ იმუშაონ. გაჭირვება გლეხს აიძულებს საკუთარი ზურგით აინაზღაუროს კაპიტალისა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა ნაკლებობა. ხოლო თუ გლეხის მეურნეობაში ყველაზე მძიმე მუშაობა უხდებათ ბავშვებს, ეს იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ მძიმე სამუშაოს ასრულებს და ცუდად იკვებება გლეხის პირუტყვი: მთელი ძალღონის დაძაბვა და ყველაფერზე «მომჭირნეობა» უცილობლად მოქმედებს მეურნეობის ყველა მხარეზე.

გერმანიის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ დაქირავებულ მუშებში ბავშვები ყველაზე მეტია (თითქმის 4% — 3,7%) მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებში (100 და მეტი დესეტინა). ხოლო შინაურ მუშებში ბავშვებს ყველაზე მეტად იყენებენ გლეხები, სახელდობრ: დაახლოებით 5% (4,9% — 5,2%). დ რ ო ე ბ ი თ ს დაქირავებულ მუშებში ბავშვების პროცენტი 9-მდე აღწევს მსხვილ კაპიტალისტებთან, ხოლო დროებითს შ ი ნ ა უ რ მუშებში ეს პროცენტი გლეხებთან აღწევს 16,5% — 24,4%-ს!!

გახურებული მუშაობის დროს გლეხს არ ჰყოფნის მუშახელი; მუშების დაქირავება მას შეუძლია მხოლოდ მცირე რაოდენობით; იძულებული ხდება ყოველნაირად გამოიყენოს საკუთარი ბავშვების მუშაობა. შედეგად ვღებულობთ იმ ფაქტს, რომ გერმანიის მიწათმოქმედებაში საერთოდ ბავშვთა პროცენტი შინაურ მუშებში თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ნ ა ხ ე ვ ა რ ჯ ე რ აღემატება ამ პროცენტს დაქირავებულ მუშებში. ბავშვები შინაურ მუშებში 4,4 პროცენტია, ხოლო დაქირავებულებში — 3,0%.

გლეხს მ ე ტ ი ძალღონის დახარჯვა უხდება მუშაობაში, ვიდრე დაქირავებულ მუშას. ეს ფაქტი, ათასგვარი ცალკეული დაკვირვებით დადასტურებული, ახლა სავსებით დამ-

ტკიცებულია მთელი რიგი ქვეყნების სტატისტიკით. კაპიტალიზმი გლეხებს უმზადებს უდიდეს დაბეჩავებას და დაღუპვას. სხვა ხსნა არ არის, გარდა დაქირავებული მუშების კლასობრივ ბრძოლასთან შეერთებისა. მაგრამ ამ დასკვნის შესაგნებად გლეხმა ცრუ ბურჟუაზიულ ლოზუნგებზე გულის გატეხა უნდა განიცადოს მრავალი წლის განმავლობაში.

«პრავდა» № 133, 1913 წ.
12 ივნისი ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 238 — 242

პროსტიტუციასთან ბრძოლის მეხუთე საერთაშორისო ყრილობა

ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონში დამთავრდა «ქალიშვილებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მ ე ხ უ თ ე საერთაშორისო ყრილობა».

სიტყვების კორიანტელი დააყენეს ჰერცოგებისა და გრაფების ცოლებმა და ასულებმა, ეპისკოპოსებმა, პასტორებმა, რაბინებმა, პოლიციის მოხელეებმა და ყოველი ჯურის ბურჟუაზიულმა ფილანთროპებმა! რამდენი საზეიმო სადილი და ბრწყინვალე ოფიციალური წვეულება მოეწყო! რამდენი საზეიმო სიტყვა წარმოითქვა პროსტიტუციის მავნებლობისა და უმსგავსობის შესახებ!

მერე ბრძოლის რა საშუალებებს მოითხოვდნენ ყრილობის ეს კოპწია ბურჟუაზიული დელეგატები? უმთავრესად ორ საშუალებას: რელიგიასა და პოლიციას. ყველაზე უტყუარსა და საიმედო საშუალებასაო პროსტიტუციის წინააღმდეგ. როგორც ლაიფციგის «სახალხო გაზეთის»[9] ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება, ერთი ინგლისელი დელეგატი იკვეხნიდა თურმე, პარლამენტს გ ა შ ო ლ ტ ვ ა მივაღებინე მაჭანკლობისთვისაო. აი როგორია თანამედროვე «ცივილიზებული» გმირი პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლისა!

ერთი კანადელი ბანოვანი აღტაცებული იყო პოლიციით და «ზნედაცემული» ქალების მიმართ პოლიციელ ქალთა მეთვალყურეობით, ხელფასის გადიდების შესახებ კი ამ ბანოვანმა აღნიშნა, მუშაქალები უკეთესი ხელფასის ღირსნი არ არიანო.

ერთი გერმანელი პასტორი აცამტვერებდა თანამედროვე მატერიალიზმს, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება ხალხში და ხელს უწყობს თავისუფალი სიყვარულის გავრცელებასო.

როდესაც ავსტრიელმა დელეგატმა გერტნერმა სცადა აღეძრა საკითხი პროსტიტუციის სოციალური მიზეზების, მუშათა ოჯახების გაჭირვებისა და სიღატაკის, ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის, აუტანელი საბინაო პირობებისა და სხვ. შესახებ, — ორატორი ჩააჩუმეს მტრული წამოძახილებით!

სამაგიეროდ დიდკაცებზე ლაპარაკობდნენ — დელეგატთა ჯგუფებში — საგულისხმო და დიდ ამბებს. მაგალითად, როდესაც გერმანიის დედოფალი ეწვევა ხოლმე ბერლინის რომელიმე სამშობიარო სახლს, «უკანონო» ბავშვთა დედებს თითებზე ბეჭდებს აცმევენ, — რომ ჯვარდაუწერელი დედების ხილვით არ შებღალონ გვირგვინოსნის გრძნობა!!

ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, რა საზიზღარი ბურჟუაზიული ფარისევლობა უნდა იყოს გამეფებული ამ არისტოკრატიულ ბურჟუაზიულ კონგრესებზე. ქველმოქმედების აკრობატები და გაჭირვებისა და სიღატაკის აბუჩად აგდების პოლიციელი დამცველები იკრიბებიან «პროსტიტუციასთან საბრძოლველად», პროსტიტუციასთან, რომელსაც ხელს უწყობენ სწორედ არისტოკრატია და ბურჟუაზია...

«რაბოჩაია პრავდა» № 1,
1913 წ. 13 ივლისი
ხელმოწერა: W.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 302 — 303

•

ებრაული სკოლის ნაციონალიზაცია

მთავრობის პოლიტიკა მთლიანად გაჟღენთილია ნაციონალიზმის სულით. ცდილობენ ყოველგვარი პრივილეგიები მიანიჭონ «გაბატონებულ», ე. ი. ველიკორუსულ ეროვნებას, — თუმცა რუსეთში ველიკორუსები მოსახლეობის უმ ც ი რ ე ს ო ბ ა ს შეადგენს, სახელდობრ, მხოლოდ 43%-ს.

ცდილობენ სულ უფრო და უფრო შეკვეცონ რუსეთში მოსახლე ყველა დანარჩენი ეროვნების უფლებები, გააცალკეონ ერთიმეორისაგან და გაალვიონ მტრობა მათ შორის.

თანამედროვე ნაციონალიზმის უკიდურესი გამოხატულება — ეს არის ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. ეს პროექტი დაებადა ოდესის სასწავლო ოლქის მზრუნველს, და სახალხო «განათლების» სამინისტროც თანაგრძნობით შეხვდა მას. რაში მდგომარეობს ეს ნაციონალიზაცია?

იმაში, რომ სურთ ებრაელები გამოჰყონ ებრაელთა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ (საშუალო) სასწავლებლებში. ყველა დანარჩენი, როგორც კერძო, ისე მთავრობის, სასწავლებლის კარი კი სურთ დაუკეტონ ებრაელებს. ამ «გენიალური» გეგმის დასაგვირგვინებლად განზრახულია ებრაულ გიმნაზიებში მოსწავლეთა რიცხვის შეზღუდვა განთქმული «პროცენტული ნორმით»!

ყველა ევროპულ ქვეყანაში ებრაელთა წინააღმდეგ ასეთი ზომები და კანონები არსებობდა მხოლოდ შუა საუკუნეების, ინკვიზიციის, ერეტიკოსთა დაწვისა და სხვა მშვენიერებათა შავბნელ ეპოქაში. ევროპაში ებრაელებს დიდი ხა-

ნია სრული თანასწორუფლებიანობა მიენიჭათ . და ისინი სულ უფრო და უფრო ითქვიფებიან იმ ხალხში, რომლის შორისაც ცხოვრობენ.

საერთოდ ჩვენს პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი აღნიშნულ პროექტში, ებრაელთა შევიწროებისა და ჩაგვრის გარდა ყველაზე მავნებელია მისწრაფება ნაციონალიზმის გაღვივებისა, სახელმწიფოში ერთ-ერთი ეროვნების მეორისაგან განცალკევებისა, მათი განმარტოების გაძლიერებისა, მათი სკოლების გამოყოფისა.

მუშათა კლასის ინტერესები — როგორც საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების ინტერესები, — პირიქით, მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს გამოუკლებლივ ყველა ეროვნების უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას და ერთა შორის ყოველგვარი ზღუდის მოშლას, ყოველგვარ ერთა ბავშვების შეერთებას ერთიან სკოლებში და სხვ.. მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ შეუძლია ძალას წარმოადგენდეს, გაუმკლავდეს კაპიტალს და სერიოზულად გაიუმჯობესოს ცხოვრება, თუ უკუაგდებს ყველა ველურ და უგუნურ ნაციონალურ ცრურწმენას და გააერთიანებს ყველა ერის მუშებს ერთ კავშირად.

შეხედეთ კაპიტალისტებს: ისინი ცდილობენ გაღვივონ ნაციონალური მტრობა «უბრალო ხალხში», თვითონ კი ჩინებულად აჭახრაკებენ თავიანთ საქმეებს: ერთ და იმავე სააქციო საზოგადოებაში რუსებიც არიან, უკრაინელებიც, პოლონელებიც, ებრაელებიც და გერმანელებიც. მუშების წინააღმდეგ გაერთიანებული არიან ყველა ერისა და სარწმუნოების კაპიტალისტები, ამავე დროს კი ცდილობენ მუშები დაანაწილონ და დაასუსტონ ნაციონალური მტრობით!

ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის უაღრესად მავნე პროექტი, სხვათა შორის, ცხადყოფს, რა მცდარია ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» გეგმა, ე. ი. სასკოლო საქმის სახელმწიფოსათვის ჩამორთმევისა და თვითეული ცალკეული ერის ხელში გადაცემის გეგმა. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ სრულიადაც არა ამას, არამედ ყველა ერის მუშათა შეერთებას ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ნა-

ციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნამდვილი დემოკრატიული ს ა ე რ თ ო სკოლისა და საერთოდ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მთელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მაგალითი — თუნდაც შვეიცარიისა და დასავლეთ ევროპაში ანდა ფინეთისა აღმოსავლეთ ევროპაში — გვიჩვენებს, რომ მხოლოდ თანამიმდევრად დემოკრატიული საერთოსახელმწიფოებრივი დაწესებულებები უზრუნველყოფენ სხვადასხვა ეროვნების ყველაზე მშვიდობიან და ადამიანურ (და არა მხეცურ) თანაცხოვრებას ისე, რომ სასკოლო საქმე ხელოვნურად და მავნედ ა რ გ ა ი ყ ო ს ეროვნებათა მიხედვით.

«სევერნაია პრავდა» № 14,
1913 წ. 18 აგვისტო
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 360 — 362

მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში

უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ გვქონდეს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» გეგმაზე, რომელიც წარმოადგენს სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფას, სასარგებლო იქნება ავიღოთ რუსული სკოლების მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობის კონკრეტული მონაცემები. პეტერბურგის სასწავლო ოლქის მიმართ ასეთი მონაცემები შეკრებილია სკოლების 1911 წლის 18 იანვრის აღწერით.

აი მონაცემები, თუ როგორ არიან მოსწავლეები დაყოფილი სახალხო განათლების სამინისტროს დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა დ ე დ ა ე ნ ი ს მიხედვით. მონაცემები ეხება ს.-პეტერბურგის მთელ სასწავლო ოლქს, ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ შ ი კი მოგვყავს ც ი ფ რ ე ბ ი ს.-პეტერბურგის შ ე ს ა ხ ე ბ. როცა ამბობენ «რუსულ ენას», მოხელეები მუდამ ურევენ ველიკორუსულ, ბელორუსულ და უკრაინულ («მალოროსულ», ოფიციალური სახელწოდებით) ენებს. სულ არის 265 660 (48 076) მოსწავლე.

რუსული ენა — 232 618 (44 223); პოლონური — 1 737 (780); ჩეხური — 3 (2); ლიტვური — 84 (35); ლატვიური — 1 371 (113); ებრაული — 1 (0); ფრანგული — 14 (13); იტალიური — 4 (4); რუმინული — 2 (2); გერმანული — 2 408 (845); შვედური — 228 (217); ნორვეგიული — 31 (0); დანიური — 1 (1); ჰოლანდიური — 1 (0); ინგლისური — 8 (7); სომხური — 3 (3); ბოშური — 4 (0); ებრაული — 1 196 (396); ქართული — 2 (1); ოსური — 1 (0); ფინური — 10 750 (874);

კარელური — 3 998 (2); ჩუდთა — 247 (0); ესტონური — 4 723 (536); ლოპართა — 9 (0); ზირიანთა — 6008 (0); სამოედთა — 5 (0); თათრული — 63 (13); სპარსული — 1 (1); ჩინური — 1 (1); უცნობი — 138 (7).

ასეთია შედარებით ზუსტი მონაცემები. ისინი ცხადყოფენ მოსახლეობის უდიდეს ეროვნულ სიჭრელეს, — თუმცა ეხება რუსეთის ერთ-ერთ უაღრესად ველიკორუსულ რაიონს. ერთბაშად ჩანს დიდი ქალაქის, ს.-პეტერბურგის, უდიდესი ეროვნული სიჭრელე. ეს არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ კაპიტალიზმის კანონი ყველა ქვეყანაში და მსოფლიოს ყველა კუთხეში. დიდი ქალაქები, საფაბრიკო, სამთამადნოსაქარხნო, სარკინიგზო, საერთოდ სავაჭრო და სამრეწველო დაბები უცილობლად განსხვავდებიან მოსახლეობის უდიდესი ეროვნული სიჭრელით და სწორედ ამგვარი დაბები ყველაზე სწრაფად იზრდებიან, მუდამ იზიდავენ რა მიყრუებული სოფლების სულ უფრო და უფრო მეტ მცხოვრებლებს.

ახლა სცადეთ ცოცხალი სინამდვილის ამ მონაცემებს მიუმატოთ ნაციონალისტ მეშჩანთა ის მკვდარი უტოპია, რომელსაც ეწოდება «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ანუ (ბუნდელების ენაზე) ნაციონალური კულტურის საკითხების, ე. ი. პირველ რიგში სასკოლო საქმის «ამოღება სახელმწიფოს გამგებლობიდან».

«სახელმწიფოს გამგებლობიდან ამოიღება» სასკოლო საქმე და გადაეცემა 23 (პეტერბურგის მიმართ) «ნაციონალურ კავშირს», რომელთაგან თვითეული ავითარებს «თავის» «ნაციონალურ კულტურას»!!

სასაცილოც კია სიტყვების დახარჯვა ასეთი «ნაციონალური პროგრამის» უაზრობისა და რეაქციულობის დასამტკიცებლად.

დღესაკით ნათელია, რომ ასეთი გეგმის ქადაგება ნამდვილად ნიშნავს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და კლერიკალიზმის იდეების გატარებას ან მხარის დაჭერას. საერთოდ დემოკრატიის ინტერესები და განსაკუთრებით მუშათა კლასის ინტერესები სწორედ წინააღმდეგს მოითხოვს: უნდა ვეცადოთ, რომ ყველა ეროვნების ბავშვები შეერ-

თ დ ნ ე ნ ამა თუ იმ ადგილის ე რ თ ი ა ნ სკოლებში; საჭიროა, რომ ყველა ეროვნების მუშებმა ს ა ე რ თ ო ძალ-ღონით გააატარონ სასკოლო საქმეების ის პროლეტარული პოლიტიკა, რომელიც ასე კარგად გამოხატა ვლადიმირელი მუშების დეპუტატმა სამოილოვმა სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის სახელით[10]. ჩვენ ფრიად გადაჭრით უნდა გავილაშქროთ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით ყოველგვარი დაყოფის წინააღმდეგ.

ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, რომ სასკოლო საქმეში ასე თუ ისე გავმიჯნოთ ერები, არამედ, პირიქით — იმაზე, რომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შევქმნათ ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ძირითადი დემოკრატიული პირობები. «ნაციონალური კულტურა» კი არ უნდა ავწიოთ ჩვენ ფარზე, არამედ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური (საერთაშორისო) კულტურის გულისთვის უნდა ვამხილოთ ამ ლოზუნგის კლერიკალური და ბურჟუაზიული ხასიათი.

მაგრამ განა შესაძლებელიაო, შეგვეკითხებიან, უზრუნველყოთ, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ე რ თ ი ქართველი ბავშვის ინტერესები პეტერბურგის 48 076 მოწაფეშიო? ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: პეტერბურგში განსაკუთრებული ქართული სკოლის შექმნა, ქართული «ნაციონალური კულტურის» საფუძვლებზე — შეუძლებელია, ასეთი გეგმის ქადაგება კი არის მ ა ვ ნ ე იდეების შეტანა ხალხის მასებში.

მაგრამ ჩვენ არ დავიცავთ არაფერს საზიანოს და არ მოვითხოვთ არაფერს შეუძლებელს, თუ ამ ბავშვისთვის მოვითხოვთ უფასო სახაზინო აუდიტორიას ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და სხვ. ლექციებისთვის, მისთვის ქართული წიგნების გადატანას ცენტრალური ბიბლიოთეკიდან, ხაზინის მიერ ხარჯების ნაწილის გადახდას ქართველი მასწავლებლის გასამრჯელოდ და სხვ.. ნამდვილი დემოკრატიის პირობებში, თუ სკოლიდან სავსებით განდევნილი იქნება ბიუროკრატიზმი და «პერედონოველობა»[11], ამის მიღწევას სავსებით შესძლებს მოსახლეობა. ხოლო ამ ნამდვილი დემოკ-

რატიის მოპოვება სხვაფრივ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა, თუ ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშები არ შეერთდნენ.

ყოველი «ნაციონალური კულტურისთვის» განსაკუთრებული ეროვნული სკოლების მოთხოვნის ქადაგება რეაქციულია. მაგრამ ნამდვილი დემოკრატიის პირობებში სავსებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სწავლების ინტერესები მშობლიურ ენაზე, მშობლიური ისტორიისა და სხვა ეროვნებათა მიხედვით სკოლების დ ა უ ყ ო ფ ლ ა დ. ხოლო სრული ადგილობრივი თვითმმართველობა იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია რაიმე ძალით მოვახვიოთ თავს — მაგალითად რომ ვთქვათ — კემის მაზრის (სადაც მხოლოდ 514 რუსი ბავშვია) 713 კარელიელ ბავშვს ან პეჩორის მაზრის 681 ზირიანელ ბავშვს (153 რუსია), ან ნოვგოროდის მაზრის 267 ლატვიელს (7 000-ზე მეტი რუსია), და სხვ. და სხვ.

განუხორციელებელი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ქადაგება უაზრობაა, ის ახლავე მხოლოდ იდეურად აქუცმაცებს მუშებს. ყველა ეროვნების მუშების შეერთების ქადაგება აადვილებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის წარმატებას, რასაც შეუძლია უზრუნველყოს ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობა და რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი თანაცხოვრება.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 7, 1913 წ. 14 დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 636 — 639

ბროშურიდან «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის» *

რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს:

1. ხალხის თვითმპყრობელობა; სახელმწიფოში მთელი უმაღლესი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხის წარმომადგენლებს, რომელთაც ირჩევს და ყოველ დროს გადააყენებს ხოლმე ხალხი და რომლებიც შეადგენენ ერთ სახალხო კრებას, ერთ პალატას.

1. ხალხის თვითმპყრობელობა, ე. ი. მთელი უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრა ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი საკანონმდებლო კრების ხელში, საკანონმდებლო კრებისა, რომელიც ერთ პალატას შეადგენს.

2. საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება როგორც საკანონმდებლო კრების, ისე თვითმმართვე-

---

* ბროშურაში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: «მკითხველისათვის რომ უფრო ადვილი და მოსახერხებელი გავხადოთ პროგრამის ძველი და ახალ« ტექსტის შედარება, ორივე ტექსტი ერთად იბეჭდება შემდეგნაირად:

ჩვეულებრივი შრიფტით აწყობილია ძველი პროგრამის ის ნაწილი, რომელიც უცვლელად რჩება ახალშიც;

ხაზგასმით აწყობილია პროგრამის ის ნაწილი, რომელიც სრულიად ამოღებულია ახალ პროგრამაში;

შავი შრიფტით აწყობილია პროგრამის ის ნაწილი, რომელიც სრულიად არ იყო ძველში».

ლობის ყველა ადგილობრივი ორგანოს არჩევნებში ორივე სქესის ყველა მოქალაქისათვის, ვინც ოცი წლის ასაკს მიაღწია; ფარული კენჭისყრა არჩევნებში; თვითეულ ამომრჩეველს უფლება აქვს არჩეულ იქნეს ყველა წარმომადგენლობითს დაწესებულებაში; ორწლიანი პარლამენტები; ჯამაგირი ხალხის წარმომადგენლებს; **პროპორციული წარმომადგენლობა ყოველგვარ არჩევნებში; გამოუკლებლივ ყველა დელეგატისა და არჩეული პირის გადაყენება ყოველ დროს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.**

3. ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ ადგილებისთვის, რომლებიც განსხვავდებიან თავისებური საყოფაცხოვრებო პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით; **გადაყენება სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ყველა ადგილობრივ და საოლქო ხელისუფალთა.**

4. პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა.

5. სინდისის, სიტყვის, პრესის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების შეუზღუდველი თავისუფლება.

6. მიმოსვლისა და მოსაქმეობის თავისუფლება.

7. წოდებათა მოსპობა და ყველა მოქალაქის სრული თანასწორუფლებიანობა **განურჩევლად** სქესისა, **სარწმუნოებისა,** რასისა და ეროვნებისა.

8. მოსახლეობის უფლება დედა ენაზე განათლების მიღებისა, რაც უზრუნველყოფილი იქნება საამისოდ საჭირო სკოლების დაარსებით სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; უფლება თვითეული მოქალაქისა ილაპარაკოს დედა ენაზე კრებების დროს; დედა ენის შემოღება სახელმწიფო ენის თანაბრად ყველა ადგილობრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში; **სავალდებულო სახელმწიფო ენის გაუქმება.**

9. თვითგამორკვევის უფლება ყველა იმ ერისათვის, რომლებიც სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან.

9. თავისუფალი გამოყოფისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება ყველა იმ ერისათვის, რომლებიც სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან. რუსი ხალხის რესპუბლიკა

სხვა ერებს თუ ეროვნებებს უნდა იზიდავდეს არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით საერთო სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ყველა ქვეყნის მუშების ერთიანობა და ძმური კავშირი ვერ ურიგდება ვერც პირდაპირ და ვერც არაპირდაპირ ძალდატანებას სხვა ეროვნებათა მიმართ.

10. ყოველ პირს უფლება აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე ჩვეულებრივი წესით პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე.

11. მოსამართლეთა არჩევა ხალხის მიერ.

11. როგორც სამოქალაქო სამსახურში, ისე ჯარში მოსამართლეთა და თანამდებობის პირთა არჩევა ხალხის მიერ; ყველა ამ პირის გადაყენება ყოველ დროს მათი ამომრჩევლების უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

12. მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.

12. პოლიციისა და მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; მუშები და მოსამსახურეები ჩვეულებრივ ხელფასს უნდა ღებულობდნენ კაპიტალისტებისაგან იმ დროის განმავლობაში, რომელსაც ისინი საყოველთაო-სახალხო მილიციაში საზოგადოებრივ სამსახურს მოანდომებენ.

13. სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფა; **სრული საერო ხასიათი სკოლისა.**

14. უფასო და სავალდებულო საერთო და პროფესიული სწავლა-განათლება ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 16 წლამდე; ღარიბი ბავშვების მომარაგება საზრდოთი, ტანისამოსით და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე.

14. უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში წარმოების ყველა მთავარ დარგს აცნობს) სწავლა-განათლება ორივე სქესის ყველა ბავშვისთვის 16 წლამდე; სწავლების მჭიდრო კავშირის დამყარება ბავშვთა საზოგადოებრივ-ნაყოფიერ შრომასთან.

15. ყველა მოსწავლის მომარაგება საზრდოთი, ტანისამოსით და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე.

16. სახალხო განათლების საქმის გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ორგანოების ხელში; ცენტრალური ხელისუფლების ჩამოშორება სასკოლო პროგრამების დადგენასა და მასწავლებელთა პერსონალის შერჩევის საქმეში ყოველგვარი ჩარევისაგან; მასწავლებელთა არჩევა უშუალოდ თვით მოსახლეობის მიერ და მოსახლეობის უფლება გადააყენოს არასასურველი მასწავლებლები.

ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის დემოკრატიზაციის ძირითად პირობად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს: ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმებას და პროგრესიული გადასახადის დაწესებას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე.

ერთი მხრივ, საბანკო საქმეში და მრეწველობის ტრესტირებულ დარგებში კაპიტალიზმის განვითარების უკვე მიღწეული მაღალი საფეხური, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიალისტური ომით გამოწვეული ნგრევა, რომელიც ყველგან იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების მოთხოვნას უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ, აიძულებს პარტიას მოითხოვოს ბანკების, სინდიკატების (ტრესტების) და სხვათა ნაციონალიზაცია.

მუშათა კლასის ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენებისაგან დასაცავად, აგრეთვე მისი უნარის განსავითარებლად განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის პარტია მოითხოვს:

1. სამუშაო დღის რვა საათით შეზღუდვას დღე-ღამეში ყველა დაქირავებული მუშისათვის.

1. სამუშაო დღის შეზღუდვას ყველა დაქირავებული მუშისათვის რვა საათით დღე-ღამეში; ამაში უნდა შედიოდეს განუწყვეტელი მუშაობისას ერთი საათის შესვენება მაინც საჭმლის მისაღებად. საშიშ და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებაში სამუშაო დღე უნდა შემცირდეს 4 — 6 საათამდე დღე-ღამეში.

2. დაკანონდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ორივე სქესის დაქირავებული მუშებისათვის ყოველკვირეული, შეუწყვეტელი დასვენება არა ნაკლებ 42 საათისა.

3. სრულიად აიკრძალოს საზეგანაკვეთო მუშაობა.

4. აიკრძალოს ღამით მუშაობა (საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გარდა იმ დარგებისა, სადაც ღამით მუშაობა აუცილებლად საჭიროა ტექნიკური მოსაზრებებით, რაც მოწონებულია მუშათა ორგანიზაციების მიერ.

4. აიკრძალოს ღამით მუშაობა (საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გარდა იმ დარგებისა, სადაც ღამით მუშაობა აუცილებლად საჭიროა ტექნიკური მოსაზრებებით, რაც მოწონებულია მუშათა ორგანიზაციების მიერ, — ამასთან ისე, რომ ღამით მუშაობა არ აღემატებოდეს 4 საათს.

5. აეკრძალოთ მეწარმეთ სასკოლო ასაკის ბავშვების (16 წლამდე) შრომით სარგებლობა და მოზარდთა (16 — 18 წლისა) სამუშაო დრო განისაზღვროს ექვსი საათით.

5. აეკრძალოთ მეწარმეთ სასკოლო ასაკის ბავშვების (16 წლამდე) შრომით სარგებლობა, განისაზღვროს ახალგაზრდების (16 — 20 წლისა) სამუშაო დრო ოთხი საათით და აიკრძალოს მათი ღამით მუშაობა ჯანმრთელობისათვის საშიშ წარმოებებსა და შაღაროებში.

6. აიკრძალოს ქალის შრომა იმ დარგებში, სადაც ეს მავნებელია ქალის ორგანიზმისთვის; განთავისუფლდნენ ქალები მუშაობისაგან ოთხი კვირით ადრე მშობიაროობამდე და ექვსი კვირით მშობიაროობის შემდეგ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვეულებრივი ხელფასის შენახვით.

6. აიკრძალოს ქალის შრომა იმ დარგებში, სადაც ეს მავნებელია ქალის ორგანიზმისათვის; აიკრძალოს ქალის ღამით მუშაობა; განთავისუფლდნენ ქალები მუშაობისაგან 8 კვირით ადრე მშობიარობამდე და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ სრული ხელფასის შენახვით მთელი ამ ხნის განმავლობაში, ამასთან უფასოდ გაეწიოს მათ საექიმო დახმარება და დახმარება წამლებით.

7. მოეწყოს ყველა ქარხანასთან, ფაბრიკასთან და სხვა საწარმოსთან, სადაც კი ქალები მუშაობენ, ბაგები ძუძუმწოვარი და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის; ძუძუმწოვარ ბავშვთა დედები განთავისუფლდნენ სამუშაოდან ყოველ სამ საათში მაინც. ნახევარ საათზე არანაკლები დროით.

7. მოეწყოს ყველა ქარხანასთან, ფაბრიკასთან და სხვა საწარმოსთან, სადაც კი ქალები მუშაობენ, ბაგები ძუძუმწოვარი და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის და ოთახი ძუძუს მოსაწოვებლად; ძუძუმწოვარ ბავშვთა დედები განთავისუფლდნენ სამუშაოდან ყოველ სამ საათში მაინც, ნახევარ საათზე არანაკლები დროით; მიეცეთ დახმარება ძუძუს მაწოვებელ დედებს და შეუმცირდეთ მათ სამუშაო დღე 6 საათამდე.

8. მუშების დაზღვევას სახელმწიფოს მიერ მოხუცებულობისა და შრომის უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში იმ სპეციალური ფონდის ხარჯზე. რომელიც შედგება კაპიტალისტებზე დაწესებული საგანგებო გადასახადებისაგან.

8. მუშების სრულ სოციალურ დაზღვევას:

ა) ყველა სახის დაქირავებული შრომისათვის;

ბ) შრომისუნარიანობის დაკარგვის ყველა შემთხვევაში, სახელდობრ: ავადმყოფობის, დასახიჩრების, ინვალიდობის, მოხუცებულობის, პროფესიული ავადმყოფობის, დედობის, ქვრივობის და ობლობის, აგრეთვე უმუშევრობისა და სხვა შემთხვევაში;

გ) დაზღვეულთა სრულ თვითმმართველობას ყველა დამზღვევ დაწესებულებაში;

დ) დაზღვევის ხარჯების ანაზღაურებას კაპიტალისტების ხარჯზე;

ე) უფასო საექიმო დახმარებას და უფასო დახმარებას წამლით; საექიმო საქმის გადაცემას მუშების მიერ არჩეული თვითმმართველი საავადმყოფო სალაროებისთვის.

9. აიკრძალოს ხელფასის საქონლით გაცემა; დაწესდეს ყოველკვირეული ანგარიშის გასწორება ნაღდი ფულით მუშების დაქირავების გამოუკლებლივ ყველა ხელშეკრულების მიხედვით და ხელფასის გაცემა სამუშაო დროს.

10. აეკრძალოს მეწარმეთ ხელფასიდან ფულადი გამორიცხვა, რა საბაბითაც და რა დანიშნულებისათვისაც უნდა ხდებოდეს ეს (ჯარიმები, დაწუნება და სხვ.).

11. დაინიშნოს საფაბრიკო ინსპექტორების საკმაო რაოდენობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობა გავრცელდეს ყველა იმ საწარმოზე, სადაც კი დაქირავებულ შრომას იყენებენ, სახაზინო საწარმოების გამოუკლებლივ (შინამოსამსახურეთა შრომაც ამ ზედამხედველობის სფეროში შედის); დაინიშნოს ინსპექტორი ქალები იმ დარგებში, სადაც ქალის შრომას იყენებენ; საფაბრიკო კანონების შესრულების, აგრეთვე შეფასებათა შედგენის, მასალისა და მუშაობის შედეგების მიღება-დაწუნების მეთვალყურეობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მუშების მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფო ჯამაგირს იღებენ.

9. დაწესდეს მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეული შრომის ინსპექცია და გავრცელდეს იგი ყველა სახის საწარმოებზე, სადაც კი იყენებენ დაქირავებულ შრომას, შინამოსამსახურეთა გამოუკლებლივ; ინსპექტორ-ქალთა ინსტიტუტის შემოღებას იმ დარგებში, სადაც ქალის შრომას იყენებენ.

12. დაწესდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ზედამხედველობა მუშებისწარმომადგენლების მონაწილეობით იმ საცხოვრებელი სახლების სანიტარულ მდგომარეობაზე, რომელთაც მეწარმენი აძლევენ მუშებს, აგრეთვე ამ სადგომების შინაგან წესრიგსა და მათი გაქირავების პირობებზე,—რათა მეწარმენი არ ჩაერიონ დაქირავებული მუშების, როგორც კერძო პირთა და მოქალაქეთა, ცხოვრებასა და საქმიანობაში.

13. დაწესდეს წესიერად მოწყობილი სანიტარული ზედამხედველობა ყველა იმ საწარმოში, სადაც კი დაქირავებულ შრომას იყენებენ, მთელი საექიმო და სანიტარული საქმის ორგანიზაცია სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს მეწარმეთაგან; უფასო საექიმო დახმარება მუშებისთვის მეწარმეთა ხარჯზე ავადმყოფობის დროს ჯამაგირის შენახვით.

14. შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის დაწესდეს დამქირავებელთა პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით.

10. გამოიცეს სანიტარული კანონმდებლობა შრომის ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად და მუშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ყველა იმ საწარმოში, სადაც კი დაქირავებულ შრომას იყენებენ; სანიტარული საქმე გადაეცეს მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეულ სანიტარულ ინსპექციას.

11. გამოიცეს საბინაო კანონმდებლობა და დაწესდეს — საცხოვრებელი სახლების სანიტარული მდგომარეობის სამეთვალყურეოდ — მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეული საბინაო ინსპექციები. მაგრამ ბინის საკითხის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მიწის კერძო, საკუთრების მოსპობას და იაფი და ჰიგიენური ბინების მოწყობას.

12. დაარსდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო სასამართლოები.

15. დაარსდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო სასამართლოები, რომლებშიც თანაბარი რაოდენობით შევლენ მუშათა და მეწარმეთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

16. დაევალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დააარსონ წარმოების ყველა დარგისთვის ადგილობრივი და ჩამოსული მუშების დაქირავების საშუამავლო კანტორები (შრომის ბირჟები); ამ კანტორების მართვა-გამგეობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მუშათა და მეწარმეთა წარმომადგენლები.

13. უმუშევართათვის სამუშაოს შოვნის საქმის წესიერად დასაყენებლად არსდება შრომის ბირჟები. შრომის ბირჟები უნდა წარმოადგენდნენ კლასობრივ პროლეტარულ (და არა პარიტეტულ) ორგანიზაციებს, უახლოესი კავშირი უნდა ჰქონდეთ პროფესიულ კავშირებთან და მუშათა სხვა ორგანიზაციებთან და სახსრებს უნდა ღებულობდნენ საზოგადოებრივი თვითმმართველობებისაგან...

დაწერილია 1917 წ. აპრილ-მაისში.
დაიბეჭდა 1917 წ. ივნისში ბროშურაში «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის. გამომცემლობა «პრიბოი». პეტროგრადი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 571 — 579

მოსწავლე ახალგაზრდობაში
რევოლუციური მოძრაობის შესახებ
მეფის რუსეთში

183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად*

11 იანვარს გაზეთებში გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა — სახალხო განათლების სამინისტროსაგან—კიევის უნივერსიტეტის 183 სტუდენტის ჯარისკაცად გაგზავნის შესახებ «იმ უწესოებათა გამო, რაც მათ ერთად მოახდინეს». 1899 წლის 29 ივლისის დროებითი წესები[12] — ეს მუქარა სტუდენტობისა და საზოგადოების მიმართ — სისრულეში მოჰყავთ თითქმის წელიწად-ნახევრის შემდეგ მათი გამოცემის დროიდან; მთავრობა თითქოს იჩქარის თავი იმართლოს ამ გაუგონარი დამსჯელი ღონისძიების გამოყენებისთვის და იგი გამოდის მთელი საბრალდებლო ოქმით, არ ზოგავს საღებავებს სტუდენტების ავაზაკობათა დასასურათებლად.

ავაზაკობა ერთიმეორეზე უსაშინელესია. ზაფხულზე ოდესაში შედგა სტუდენტთა საერთო ყრილობა რუსეთის მთელი სტუდენტობის დარაზმვის პროგრამით ყოველგვარი პროტესტების გამოსახატავად აკადემიური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის გამო. ამ დანაშაულებრივი პოლიტიკური მიზნების გამო ყველა დელეგატი-სტუდენტი დააპატიმრეს, დოკუმენტები ჩამოართვეს. მაგრამ მღელვარება არამცთუ ცხრება, არამედ იზრდება და დაჟინებით იჩენს თავს მ რ ა ვ ა ლ უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტებს უნდათ თავისუფლად და დამოუკიდებლად განსაჯონ და განაგონ თავიანთი საერთო საქმეები. მათი უფროსები, — იმ უსულგულო ფორმალიზმით, რომლითაც დასაბამიდან განთქმულია რუსეთის მოხელეობა, — ამაზე წვრილმანი შარის

* ნომერი შეკრული იყო, როდესაც მთავრობის ცნობა გამოქვეყნდა.

მოდებით უპასუხებენ, უკმაყოფილება უკიდურეს ზომამდე მიჰყავთ და უნებლიეთ ბურჟუაზიული მცონარეობის წუმპეში ჯერ კიდევ ჩაუფლელი ახალგაზრდობის თავში ბადებს აზრს — პროტესტი განაცხადონ პოლიციური და მოხელეური თავნებობის მთელი სისტემის წინააღმდეგ.

კიეველი სტუდენტები მოითხოვენ იმ პროფესორის გაძევებას, რომელმაც წასული ამხანაგის ადგილი დაიკავა. ადმინისტრაცია წინააღმდეგია, რაც იწვევს ახალგაზრდობის «კრებებსა და დემონსტრაციებს», და... უთმობს. სტუდენტები კრებას მართავენ, რომ განიხილონ — რატომ არის შესაძლებელი ისეთი სისაძაგლენი, როგორც ორ «თეთრსარჩულიანთა» მიერ ერთი ქალიშვილის გაუპატიურება (ასეთია ხმები). ადმინისტრაცია მთავარ «დამნაშავეთ» კარცერით სჯის. ისინი არ ემორჩილებიან. მათ რიცხავენ. ხალხი დემონსტრაციულად აცილებს გამორიცხულებს ვაგზალზე. იმართება ახალი კრება, სტუდენტები საღამომდე რჩებიან, უარს ამბობენ დაშლაზე, სანამ რექტორი არ გამოცხადდება. მოდიან ვიცე-გუბერნატორი და ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ჯარისკაცთა რაზმით, რომელიც გარს ერტყმის უნივერსიტეტს და აუდიტორიაში შესულთ, და — იწვევენ რექტორს. სტუდენტები მოითხოვენ — იქნებ, თქვენ ფიქრობთ, კონსტიტუციას? — არა, ისინი მოითხოვენ კარცერით დასჯის გაუქმებას და გამორიცხულთა უკანვე მიღებას. კრების მონაწილეთ ჩასწერენ და შინ უშვებენ.

ჩაუფიქრდით ამ განსაცვიფრებელ შეუსაბამობას სტუდენტების ამ მცირე და უწყინარ მოთხოვნებსა — და მთავრობის მიერ ატეხილ აურზაურს შორის, ისე რომ იქცევა, თითქოს უკვე აღიმართა ხმალი მისი ბატონობის ბურჯთა შესამუსრად. არაფრით ისე არ ამჟღავნებს თავის თავს ჩვენი «ყოვლადძლიერი» მთავრობა, როგორც ამ აურზაურით. ამით ის ყოველგვარ «დანაშაულებრივ მოწოდებაზე» უკეთ უჩვენებს ყველას, ვისაც თვალნი აქვს ხედვად და ყურნი სმენად, — რომ მთავრობა თვითონ გრძნობს თავის სრულ უძლურებას და იმედს ამყარებს მხოლოდღა ხიშტებსა და მათრახებზე, ხალხის აღშფოთებისაგან რომ იცავენ მას. ათეული წლების გა-

მოცდილებით გამობრძმედილი მთავრობა მტკიცედ დარწმუნდა იმაში, რომ ის გარემოცულია ცეცხლსაშიში მასალით, რომ საკმარისია მცირეოდენი ნაპერწკალი, საკმარისია პროტესტი კარცერის წინააღმდეგ, რომ ხანძარი ავარდეს. და თუ ასეა, გასაგებია, რომ ანგარიშის გასწორებაც სამაგალითო უნდა იყოს: ასობით სტუდენტები ჯარისკაცებად გაიგზავნოს! «ერთ ჩემს ფელდფებელს მოგცემთ ვოლტერად»[13] — ეს ფორმულა სულაც არ დაძველებულა. პირიქით, XX საუკუნეს უწერია იხილოს მისი ნამდვილი განხორციელება.

ბევრ ფიქრსა და შედარებას აღგვიძრავს ეს ახალი დამსჯელი ღონისძიება, ახალი თავისი ცდით—აღადგინოს ძველისძველი, დრომოჭმული წარსული. სამი თაობის წინათ, ნიკოლოზის დროს, ჯარისკაცად მიცემა ბუნებრივი სასჯელი იყო, რომელიც სრულიად შეესაბამებოდა რუსეთის ბატონყმური საზოგადოების მთელ წყობილებას. თავადაზნაურთა შვილებს გზავნიდნენ ჯარისკაცებად, რათა ისინი აეძულებინათ ემსახურნათ და დაემსახურებინათ ოფიცრობა თავადაზნაურობის თავისუფლებათა სანაცვლოდ. გლეხი ჯარისკაცად მიჰყავდათ, როგორც ხანგრძლივ კატორღაში, სადაც მას მოელოდა «მწვანე ქუჩის»[14] არაადამიანური წამება და სხვ.. მაგრამ აი უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენში არსებობს «საყოველთაო» სამხედრო ბეგარა, რომლის შემოღებას ქება-დიდება უძღვნეს თავის დროზე, როგორც დიდ დემოკრატიულ რეფორმას. სამხედრო ბეგარა, რომელიც საყოველთაოა არა მხოლოდ ქაღალდზე, არამედ სინამდვილეშიც, უეჭველია, დემოკრატიული რეფორმაა: ის ბოლოს უღებს წოდებრიობას და აწესებს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას. მაგრამ ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ ჯარისკაცად მიცემა განა სასჯელი იქნებოდა? და თუ მთავრობა სამხედრო ბეგარას სასჯელად აქცევს, განა ამით ის არ ამტკიცებს, რომ ჩვენ უფრო ახლოს ვართ «რეკრუტობასთან», ვიდრე ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო სამხედრო ბეგარასთან? 1899 წლის დროებითი წესები ფარისევლურ ნიღაბს აგლეჯენ და ააშკარავებენ თვით იმ ჩვენი დაწესებულებების აზიურ დედაარსს, რომლებიც ყველაზე მეტად წააგავან ევროპულს. სინამდვილეში ჩვენ არ გვქონდა და

არცა გვაქვს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, იმიტომ რომ დიდგვაროვნობისა და სიმდიდრის პრივილეგიები უამრავ გამონაკლისს ქმნიან. სინამდვილეში ჩვენ არ გვქონია და არც არაფერი გვაქვს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის მსგავსი სამხედრო სამსახურში. პირიქით, ყაზარმა სულ მთლად გაჟღენთილია უაღრესად აღმაშფოთებელი უუფლებობის სულისკვეთებით. მუშების ან გლეხების წრიდან გამოსული ჯარისკაცის სრული უმწეობა, ადამიანური ღირსების გათელვა, გამოძალვა, ცემა, ცემა და ცემა. ხოლო იმათთვის კი, ვისაც გავლენიანი ნაცნობობა და ფული მოეპოვება, — შეღავათები და გამონაკლისები. რაღა გასაკვირველია, რომ ამ თვითნებობისა და ძალადობის სკოლაში მიცემა სასჯელი იყოს და ძლიერ მძიმე სასჯელიც, რაც უფლებათა აყრას უახლოვდება. მთავრობა იმედოვნებს ამ სკოლაში დისციპლინა ასწავლოს «მეამბოხეებს». ვითომ არ მოტყუვდება ის თავის ანგარიშში? არ გახდება ვითომ რუსული სამხედრო სამსახურის სკოლა რევოლუციის სამხედრო სკოლად? რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტი ვერ გაუძლებს ამ სკოლის სრული კურსის გავლას. ზოგს გასტეხს მძიმე ჯაფა, დაღუპავს სამხედრო უფროსებთან შეჯახება, ზოგს, — სუსტებს და მოდუნებულთ — დააფრთხობს ყაზარმა, მაგრამ ზოგს ის გამოაწრთობს, გაუფართოებს ჰორიზონტს, აიძულებს ჩაუფიქრდეს და შეიგრძნოს განმათავისუფლებელი მისწრაფებანი. ისინი თავიანთ თავზე გამოცდიან ახლა თვითნებობისა და ჩაგვრის მთელ სიმძიმეს, როცა მთელი მათი ადამიანური ღირსება მიგდებული იქნება ფელდფებელის ნებასურვილზე, ხშირად განზრახ რომ მასხარად იგდებს «განათლებულთ». ისინი დაინახავენ, რანაირია სინამდვილეში მდაბიო ხალხის მდგომარეობა, იმათ გული ეტკინებათ იმ დამცირებისა და ძალმომრეობისთვის, რომელთა ყოველდღიურ მოწმეებად გახდიან მათ, და შეიგნებენ, რომ ის უსამართლობანი და შარის მოდება, რითაც სტუდენტები იტანჯებიან, — წვეთია ხალხის ჩაგვრის ზღვაში. ვინც ამას შეიგნებს, ის სამხედრო სამსახურიდან გამოვა ჰანიბალის ფიცით[15], რომ იბრძოლებს ხალხის მოწინავე კლასთან ერთად დესპოტიზმისაგან ხალხის განთავისუფლებისთვის.

ახალი სასჯელის სისასტიკეზე ნაკლებ აღშფოთებას როდი იწვევს მისი დამამცირებლობა. მთავრობის მოქმედება გამომწვევია ყველას მიმართ, ვისაც კიდევ შერჩენია რიგიანობის გრძნობა, იგი აცხადებს თვითნებობის წინააღმდეგ საპროტესტოდ გამოსულ სტუდენტებს უბრალო შფოთის ამტეხ ადამიანებად, — სწორედ ისევე, როგორც მან გადასახლებული გაფიცული მუშები მანკიერი ყოფაქცევის ადამიანებად გამოაცხადა. დააკვირდით მთავრობის ცნობას: ის აჭრელებულია სიტყვებით: უწესობა, ჩხუბი, აურზაური, უტიფრობა, აღვირახსნილობა. ერთი მხრივ, აღიარება დანაშაულებრივი პოლიტიკური მიზნებისა და მისწრაფებისა პოლიტიკური პროტესტებისადმი; მეორე მხრივ — სტუდენტების აბუჩად აგდება, როგორც უბრალო აყალმაყალის ამტეხთა, რომელთაც დისციპლინის გაკვეთილები ესაჭიროებათ. ეს სილის გაწნევაა რუსეთის საზოგადოებრივი აზრისთვის, რომლის სიმპათიებიც სტუდენტობისადმი მთავრობისათვის კარგადაა ცნობილი. და ერთადერთი ღირსეული პასუხი ამაზე სტუდენტობის მხრივ იქნებოდა კიეველთა მუქარის შესრულება, ყველა უმაღლესი სასწავლებლის ყველა . მოსწავლის ურყევი და მტკიცე გაფიცვის მოწყობა 1899 წლის 29 ივლისის დროებითი წესების გაუქმების მოთხოვნით.

მაგრამ მთავრობისთვის პასუხის გაცემა მარტო სტუდენტობის მოვალეობას როდი შეადგენს. მთავრობამ თვითონ იზრუნა იმაზე, რომ ამ შემთხვევიდან რაღაც უფრო დიდი რამ შეექმნა, ვიდრე წმინდა სტუდენტური ისტორია. მთავრობა მიმართავს საზოგადოებრივ აზრს, თითქოს თავი მოაქვს ანგარიშის გასწორების ენერგიულობით, თითქოს მასხარად იგდებს ყოველგვარ გამათავისუფლებელ მისწრაფებებს. და ხალხის ყველა ფენის შეგნებული ელემენტები მოვალენი არიან პასუხი გასცენ ამ გამოწვევას, თუ მათ არ სურთ ჩამოქვეითდნენ უტყვი მონების მდგომარეობამდე, რომლებიც უხმოდ იტანენ ყოველგვარ შეურაცხყოფას. ხოლო ამ შეგნებულ ელემენტებს სათავეში უდგანან მოწინავე მუშები და მათთან განუყრელად დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. მუშათა კლასი მუდამ განიცდის გაცილებით უფრო

მეტ ჩაგვრასა და შეურაცხყოფას პოლიციის იმ თავნებობისაგან, რომელსაც ასე მკვეთრად შეეჯახნენ ახლა სტუდენტები. მუშათა კლასმა უკვე დაიწყო ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის. და მას უნდა ახსოვდეს, რომ ეს დიადი ბრძოლა დიად მოვალეობებს აკისრებს, რომ მას არ შეუძლია გაითავისუფლოს თავი, თუ მთელი ხალხი არ გაათავისუფლა დესპოტიზმისაგან, რომ ის მოვალეა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ეხმაურებოდეს ყოველგვარ პოლიტიკურ პროტესტს და მხარს უჭერდეს მას ყოველნაირად. ჩვენი განათლებული კლასების საუკეთესო წარმომადგენლებმა დაამტკიცეს და მთავრობის მიერ ათასობით წამებულ რევოლუციონერთა სისხლით აღბეჭდეს თავისი უნარი და მზადყოფნა—შემოიბერტყონ ფეხთაგან ბურჟუაზიული საზოგადოების მტვერი და ჩადგნენ სოციალისტების რიგებში. და სოციალისტის სახელწოდების ღირსი არ არის ის მუშა, რომელსაც გულგრილად შეუძლია უცქიროს იმას, თუ როგორ გზავნის მთავრობა ჯარს მოსწავლე ახალგაზრდობის წინააღმდეგ. სტუდენტი ეხმარებოდა მუშას,—მუშა უნდა დაეხმაროს სტუდენტს. მთავრობას სურს გამოაყეყეჩოს ხალხი, როცა აცხადებს, პოლიტიკური პროტესტისადმი მისწრაფება უბრალო უწესოებაა. მუშებმა საჯაროდ უნდა გაანაცხადონ და განუმარტონ უაღრესად ფართო მასებს, რომ ეს სიცრუეა, რომ ძალმომრეობის, უწესოებისა და აღვირახსნილობის ნამდვილი კერა — ეს რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობაა, პოლიციისა და მოხელეების თავნებობაა.

თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს პროტესტი, ეს ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და მუშათა ჯგუფებმა უნდა გადაწყვიტონ. ფურცლების დარიგება, დაყრა, გაკვრა, გამართვა კრებებისა, რომლებზედაც შეძლებისამებრ მოწვეულ უნდა იქნეს საზოგადოების ყველა კლასი, — ასეთია პროტესტის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი ფორმები. მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ იქ, სადაც მაგარი და მტკიცედ მოწყობილი ორგანიზაციებია, უფრო ფართო და აშკარა პროტესტის ცდას მოახდენდნენ საჯარო დემონსტრაციების სახით. ასეთი ცდის კარგ ნიმუშად შეიძლება

ჩაითვალოს ხარკოვის გასული წლის 1 დეკემბრის დემონსტრაცია «იუჟნი კრაის» რედაქციის წინ. დღესასწაულობდნენ ამ მეურტალი გაზეთის იუბილეს, რომელიც დევნის ყოველგვარ მისწრაფებას სინათლისა და თავისუფლებისაკენ, აქებს და ადიდებს ჩვენი მთავრობის ყოველგვარ სიმხეცეს. რედაქციის წინ თავი მოიყარა ხალხმა, რომელიც ზეიმით ხევდა და ფხრეწდა «იუჟნი კრაის» ნომრებს, ცხენების კუდზე აბამდა მათ, ძაღლებს ახვევდა შიგ, რედაქციის ფანჯრებში ქვებსა და გოგირდწყალბადიან ბოთლებს ისროდა და თან იძახდა: «ძირს მოსყიდული პრესაო!» აი ჭეშმარიტად როგორი ზეიმის ღირსია არა მარტო მოსყიდული გაზეთების რედაქციები, არამედ მთავრობის ყველა დაწესებულებაც. ადმინისტრაციული ქეთილმოწყალების იუბილეებს ისინი იშვიათად დღესასწაულობენ, — ხოლო ხალხის მხრივ მათთან ანგარიშის გასწორების იუბილეს ღირსნი კი ისინი ყოველთვის არიან. მთავრობის თავნებობისა და ძალმომრეობის ყოველგვარი გამოვლინება კანონიერი საბაბია ასეთი დემონსტრაციისათვის. მაშ და მთავრობის საჯარო განცხადებაც სტუდენტებთან ანგარიშის გასწორების შესახებ ნუ ჩაივლის აშკარა პასუხის გაუცემლად ხალხის მხრივ!

დაწერილია 1901 წლის იანვარს
დაიბეჭდა 1901 წლის თებერვალს
გაზეთ «ისკრის» № 2-ში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 4, გვ. 510 — 516

დემონსტრაციების დასაწყისი

ორი კვირის წინათ ჩვენ აღვნიშნეთ 25 წლისთავი რუსეთის პირველი სოციალურ-რევოლუციური დემონსტრაციისა, რომელიც 1876 წლის 6 დეკემბერს გაიმართა ყაზანის მოედანზე პეტერბურგში[16] და მივუთითეთ სადემონსტრაციო მოძრაობის დიდ აღმავლობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის დამდეგს. ჩვენ ვამბობდით, რომ დემონსტრანტებმა უფრო გარკვეული პოლიტიკური ლოზუნგი უნდა წამოაყენონ, ვიდრე «მიწა და თავისუფლება» (1876 წ.), — უფრო ფართო მოთხოვნა, ვიდრე «დროებითი წესების გაუქმება» (1901 წ.). ასეთი ლოზუნგი უნდა იყოს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, ასეთი საერთო სახალხო მოთხოვნა უნდა იყოს ხ ა ლ ხ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა მ ო წ ვ ე ვ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ა.

და აი ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ დემონსტრაციები სულ სხვადასხვა საბაბით ახლდება ნიჟნშიც, მოსკოვშიც, ხარკოვშიც. მღელვარება ყველგან იზრდება,—და თანდათან აუცილებელი ხდება მისი გაერთიანება ერთ დიდ ნიაღვრად თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომელიც ყველგან თვითნებობას, ჩაგვრასა და ძალადობას თესავს. ნიჟნში 7 ნოემბრის პატარა, მაგრამ მარჯვედ ჩატარებული დემონსტრაცია გამოწვეული იყო მაქსიმ გორკის გაცილებით. მთელ ევროპაში სახელგანთქმულ მწერალს, რომლის ერთადერთი იარაღი, — როგორც სამართლიანად აღნიშნა ნიჟნი-ნოვგოროდის დემონსტრაციის ორატორმა, — თავისუფალი სიტყვა იყო, თვითმპყრობელური მთავრობა გაუსამართლებლად დ»

გამოუძიებლად ასახლებს თავისი სამშობლო ქალაქიდან. ბაში-ბუზუკები მას ბრალად სდებენ ცუდ გავლენას ჩვენზე, — ამბობდა ორატორი ყველა იმ რუსთა სახელით, ვისაც ოდნავ მაინც მოეპოვება ლტოლვა სინათლისა და თავისუფლებისადმი. — ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ეს კარგი გავლენა იყო. ოპრიჩნიკები ფარულად თარეშობენ, ჩვენ კი მათ თარეშს საზოგადოებას ვაცნობებთ, გამოვააშკარავებთ. ჩვენში სცემენ მუშებს, რომელნიც იბრძვიან უკეთესი ცხოვრების უფლებებისათვის, ჩვენში სცემენ სტუდენტებს, რომელნიც პროტესტს აცხადებენ თვითნებობის წინააღმდეგ, ჩვენში ახშობენ ყოველ პატიოსან და გაბედულ სიტყვას! — დემონსტრაცია, რომელშიც მუშებიც მონაწილეობდნენ, დამთავრდა სტუდენტის საზეიმო დეკლამაციით: «დაემხობა თვითნებობა, და აღსდგება ხალხი, თავისუფალი და ძლიერი!».

მოსკოვის ვაგზალზე გორკის ასობით მოსწავლე ახალგაზრდობა ელოდებოდა, და შეშინებულმა პოლიციამ გორკი გზაში, ვაგონშივე დააპატიმრა. აუკრძალა მოსკოვში შესვლა (მიუხედავად წინათ საგანგებოდ მიცემული ნებართვისა) და აიძულა პირდაპირ გადასულიყო ნიჟნი-ნოვგოროდის გზიდან კურსკის გზაზე. დემონსტრაცია ვორკის გადასახლების გამო ვერ მოეწყო, მაგრამ 18 ნოემბერს, გენერალ-გუბერნატორის სახლის წინ, სრულიად მოუმზადებლად გაიმართა სტუდენტთა და «გარეშე პირთა» (როგორც ჩვენი მინისტრები ამბობენ) პატარა დემონსტრაცია ნ. ა. დობროლიუბოვის მოსაგონარი საღამოს აკრძალვის გამო, რომლის გარდაცვალების დღიდან 17 ნოემბერს 40 წელი გავიდა, მოსკოვში თვითმპყრობელური ხელისუფლების წარმომადგენელს ესტვინეს ინ ადამიანებმა, რომელთაც, ისე როგორც მთელ განათლებულ და მოაზროვნე რუსეთს, უყვართ მწერალი, ვისაც ასე უსაზღვროდ სძულდა თვითნებობა და მოუთმენლად ელოდა ხალხის აჯანყებას «შინაური თურქების» — თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ. მოსკოვის სტუდენტთა ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი სამართლიანად აღნიშნავდა თავის 23 ნოემბრის ბიულეტენში, რომ ეს

წინასწარ მოუმზადებელი დემონსტრაცია უკმაყოფილებისა და პროტესტის აშკარა მაჩვენებელიაო.

ხარკოვში სტუდენტთა საქმეებით გამოწვეული დემონსტრაცია გადაიქცა ქუჩის ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო სტუდენტებმა. გასული წლის გამოცდილებას სტუდენტებისთვის ამაოდ არ ჩაუვლია. მათ დაინახეს, რომ მხოლოდ ხალხის და უმთავრესად მუშების მხრივ მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს მათი გამარჯვება, ხოლო ასეთი მხარდაჭერის მოპოვებისათვის ისინი უნდა გამოვიდნენ საბრძოლველად არა მარტო აკადემიური (სტუდენტური) თავისუფლებისათვის, არამედ მთელი ხალხის თავისუფლებისათვის, პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ხარკოვის სტუდენტთა ორგანიზაციების კავშირის საბჭომ ეს უკვე პირდაპირ აღიარა თავის ოქტომბრის პროკლამაციაში. და პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, რიგისა და ოდესის სტუდენტებიც ხვდებიან, როგორც ეს მათი ფურცლებიდან და პროკლამაციებიდან ჩანს, — აკადემიურ თავისუფლებაზე «ოცნების უაზრობას» ხალხის შავბნელი მონობის დროს. მოსკოვში წარმოთქმული საზიზღარი სიტყვა გენ. ვანოვსკისა, რომელმაც უარყო «ხმები», თითქოს ის ოდესმე ვისმე რასმე დაჰპირებოდეს; პეტერბურგში ჯაშუშის (რომელიც ჩაეჭიდა სტუდენტს ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, რომ წაერთმია მისთვის შიკრიკის ხელით მიღებული წერილი) გაუგონარი თავხედობა; პოლიციის მიერ იაროსლავლის სტუდენტების მხეცური ცემა-ტყეპა ქუჩაში და პოლიციის ნაწილში,—ყველა ეს და ათასი სხვა ფაქტი ღაღადებდა ბრძოლას, ბრძოლას და ბრძოლას მთელი თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. მოთმინების ფიალა აავსო ხარკოველი ვეტერინარების ამბავმა. პირველი კურსის სტუდენტებმა პეტიცია წარადგინეს პროფ. ლაგერმარკის დათხოვნის შესახებ, უჩიოდნენ საქმიანადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, ყოვლად აუტანელ უხეშობას, რაც იქამდეც კი მიდიოდა, რომ პროგრამას ახლიდა სტუდენტებს სახეში! მთავრობამ საქმის გამოუძიებლად

სტუდენტებს იმით უპასუხა, რომ ინსტიტუტიდან გამოყარა მთელი კურსი და თანაც თავის განცხადებაში ცილი დასწამა სტუდენტებს, თითქოს უკანასკნელნი პროფესორების დანიშვნის უფლებას მოითხოვდნენ. მაშინ ფეხზე დადგა მთელი ხარკოვის სტუდენტობა და დაადგინა გაფიცვისა და დემონსტრაციის მოწყობა. 28 ნოემბერს — 2 დეკემბერს ხარკოვი მეორედ გადაიქცა ამ წელს საომარ ასპარეზად, სადაც «შინაური თურქები» ებრძვიან ხალხს, რომელიც პროტესტს აცხადებდა თვითმპყრობელური თვითნებობის წინააღმდეგ ერთი მხრივ, შეძახილები: «ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!». მეორე მხრივ — ხმლის რტყმევ», მათრახის ცემა, ცხენებით ხალხის გაქელვა. პოლიციამ და კაზაკებმა, რომელნიც დაუნდობლად სცემდნენ ყველას, სქესისა და ასაკის განურჩევლად, გაიმარჯვეს უიარაღო ხალხზე და ზეიმობენ...

ნუთუ ჩვენ მათ ზეიმობის საშუალებას მივცემთ?

მუშებო! თქვენ ძალიან კარგად იცნობთ იმ მტრის ძალას, რომელიც აბუჩად იგდებს რუს ხალხს. ეს მტრის ძალა ხელფეხს გიბოჭავთ მეპატრონეთა წინააღმდეგ თქვენს ყოველდღიურ ბრძოლაში უკეთესი ცხოვრებისა და ადამიანური ღირსებისათვის. ეს მტრის ძალა ატყვევებს ასობით და ათასობით თქვენს საუკეთესო ამხანაგს, ყრის მათ საპყრობილეებში, ასახლებს და, თითქოს დაცინვით, «მანკიერი ყოფაქცევის პირებადაც» კი აცხადებს. ამ მტრის ძალამ ტყვია დაუშინა 7 მაისს პეტერბურგში ობუხოვის მუშებს, რომელნიც გამოვიდნენ ძახილით: «ჩვენ თავისუფლება გვინდა!», — მერე კი გასამართლების კომედია მოაწყო, რათა კატორღაში გადაეკარგა ის გმირები, რომელთაც ტყვიამ ბოლო ვერ მოუღო. ეს მტრის ძალა, რომელიც დღეს სტუდენტებს ცემა-ტყეპით უმასპინძლდება, ხვალ კიდევ უფრო მეტი გამხეცებით გეკვეთებათ თქვენ, მუშებს, და აგაწიოკებთ. ნუ კარგავთ დროს! გახსოვდეთ, რომ თქვენ მხარი უნდა დაუჭიროთ ყოველ პროტესტს და ბრძოლას თვითმპყრობელური მთავრობის ბაშიბუზუკების წინააღმდეგ! ყოველნაირი საშუალებით ეცადეთ შეუთანხმდეთ დემონსტრანტ-სტუდენტებს, მოაწყეთ წრეები

ცნობების სასწრაფოდ გადასაცემად და მოწოდებათა გასავრცელებლად; განუმარტეთ ყველას და თვითეულს, რომ თქვენ გამოდიხართ საბრძოლველად მთელი ხალხის თავისუფლებისათვის.

როდესაც აქა-იქ ენთება ხალხის აღშფოთებისა და აშკარა ბრძოლის ცეცხლი, — უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად საჭიროა ახალმა ჰაერმა ძლიერად დაუბეროს, რათა ეს ცეცხლი ძლიერ ალად ავარდეს

«ისკრა» № 13, 1901 წლის
20 დეკემბერი

ბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 5, გვ. 399 — 403

გაკოტრების ნიშნები

მხოლოდ ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც კარპოვიჩის ტყვიამ მიაწვინა ბოგოლეპოვი[17] და ადგილი გაუწმინდა «ახალ კურსს» მთავრობის საუნივერსიტეტო პოლიტიკის სფეროში. ამ წლის განმავლობაში ჩვენ თანამიმდევრობით ვამჩნევდით საზოგადოებრივი აღშფოთების არაჩვეულებრივ აღმავლობას, არაჩვეულებრივ ალერსიან ტონს ჩვენი მმართველების სიტყვებში, საზოგადოების, სამწუხაროდ, ფრიად ჩვეულებრივ გატაცებას ამ ახალი სიტყვებით, გატაცებას, რომელიც მოედო სტუდენტობის განსაზღვრულ ნაწილსაც, და, ბოლოს, ვანოვსკის მაღალფარდოვან დაპირებათა განხორციელების უმალვე — სტუდენტთა პროტესტის ახალ აფეთქებას. იმათთვის, ვინც განვლილ გაზაფხულზე ელოდა «ახალ ერას» და ვისაც სერიოზულად სჯეროდა, რომ მეფის ფელდფებელი თუნდაც მცირე დოზით განახორციელებდა სტუდენტებისა და საზოგადოების იმედებს, — ერთი სიტყვით, რუსეთის ლიბერალებისათვის ახლა ნათელი უნდა იყოს, თუ რამდენად არ იყვნენ მართალნი ისინი, როდესაც მთავრობას ერთხელ კიდევ უბოძეს კრედიტი, თუ რამდენად ნაკლები საბუთი ჰქონდათ შეეჩერებინათ გაზაფხულზე რეფორმის სასარგებლო მოძრაობა, რომელიც სერიოზულ ფორმებს იღებდა, და აჰყოლოდნენ მთავრობის სირინოზთა ტკბილ ნანინას. იმის შემდეგ, რაც დაარღვიეს დაპირება, რომ უნივერსიტეტებში დააბრუნებდნენ ყველა შარშანდელ დაზარალებულს, იმის შემდეგ, რაც მთელი რიგი ახალი რეაქციული ზომებით საბრძოლველად გამოიწვიეს ყველა ის,

ვინც მოითხოვდა სასწავლო წესების ნამდვილ რეფორმას, იმის შემდეგ, რაც ახალ-ახალი მუშტიკრივით გაუმასპინძლდნენ დემონსტრანტებს, რომლებიც ბოროტი ბანკროტისაგან მოითხოვდნენ მის მიერ მიცემულ ვალდებულებათა შესრულებას, — ყოველივე ამის შემდეგ «გულითადი მზრუნველობის» მთავრობა აქვეყნებს «დაწყნარების» მიზნებით მოფიქრებულ «დროებით წესებს» სტუდენტთა ორგანიზაციების შესახებ და... ნაცვლად «დაწყნარებისა» იღებს «არეულობის» იმ საერთო ხანძრის სურათს, რომელიც ზელახლად მოედო ყველა სასწავლებელს.

ჩვენ, რევოლუციონერებმა, ერთი წუთითაც არ დავიჯერეთ ვანოვსკის მიერ აღთქმულ რეფორმათა სერიოზულობა. ჩვენ განუწყვეტლივ ვეუბნებოდით ლიბერალებს, რომ «გულითადი» გენერლის ცირკულარები და ნიკოლოზ ობმანოვის რესკრიპტები წარმოადგენენ მხოლოდ იმავე ლიბერალური პოლიტიკის ახალ გამოვლინებას, რომელშიც თვითმპყრობელობამ მოასწრო დახელოვნება «შინაურ მტერთან», ე. ი. რუსეთის ყველა პროგრესულ ელემენტთან 40 წლის ბრძოლის პერიოდში. ჩვენ ვაფრთხილებდით ლიბერალებს იმ «უაზრო ოცნებათაგან», რომელთაც ისინი ეძლეოდნენ მთავრობის პირველივე ნაბიჯების შემდეგ, რაც გადაიდგა «ახალი კურსის» მიხედვით; ჩვენ ვამხელდით მთავრობის დაპირებათა აშკარა სიყალბეს და ვეუბნებოდით საზოგადოებას: თუ შენი მოწინააღმდეგე თავზარდაცემულია პირველი სერიოზული შეტევით, დაჰკარ და დაჰკარ ლახვარი, გააორკეცე ამ დარტყმის ძალა და სიხშირე... ორგანიზაციათა უფლების იმ კარიკატურას, რომელიც ახლა სტუდენტებს მიერთვათ «დროებითი წესებით», რევოლუციონერები წინასწარმეტყველებდნენ თავიდანვე, როგორც კი ლაპარაკი დაიწყო მთავრობის ამ ახალ საჩუქარზე. ჩვენ ვიცოდით, თუ რის მოლოდინი შეიძლებოდა გვქონოდა და უნდა გვქონოდა თვითმპყრობელობისაგან და მისი რეფორმატორული ჭაპანწყვეტისაგან. ჩვენ ვიცოდით, რომ ვანოვსკი ვერავის და ვერაფერს «დააწყნარებდა», რომ იგი ვერავითარ პროგრესულ

იმედებს ვერ დააკმაყოფილებდა და რომ «არეულობა» აუცილებლად განახლდებოდა ამა თუ იმ ფორმით.

წელიწადი გავიდა, და საზოგადოება იმავე მკვდარ წერტილთან დგას. უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც კეთილმოწყობილ სახელმწიფოში უნდა არსებობდნენ, კვლავ უარს ამბობენ ფუნქციონირებაზე. კვლავ ათი ათასობით ახალგაზრდა ამოვარდნილია ჩვეულებრივი კალაპოტიდან, და საზოგადოების წინაშე კვლავ იგივე საკითხი დგას: «რა იქნება შემდეგ?»

სტუდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა უარს ამბობს «დროებითი წესებისა» და ამ წესებით ნებადართული ორგანიზაციების მიღებაზე. პროფესორები უფრო მეტი გარკვეულობით, ვიდრე ეს მათში მიღებულია, გამოხატავენ აშკარა უკმაყოფილებას მთავრობის ამ საჩუქრის გამო. და, მართლაც, საჭირო არაა რევოლუციონერი იყო, საჭირო არაა რადიკალი იყო, რომ აღიარო — ეს, უკაცრავად პასუხია, «რეფორმა» არათუ არ აძლევს სტუდენტებს თავისუფლების რაიმე მინაგვარს, არამედ ყოვლად უვარგისიც არის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში რაიმე სიმშვიდის შეტანის თვალსაზრისით. და განა პირველ შეხედვისთანავე აშკარა არაა, რომ ამ «დროებითი წესების» საშუალებით წინასწარ იქმნება მთელი რიგი საბაბი სტუდენტებსა და ხელისუფალთა შორის შეხლა-შემოხლისათვის? განა ცხადი არაა, რომ ამ წესების ცხოვრებაში შემოღება იმის საფრთხეს ჰქმნის, რომ ყოველი კრება, ლ ე გ ა ლ უ რ ა დ მოწვეული სრულიად მშვიდობიანი საკითხის გამო, გადაიქცეს ახალ «არეულობათა» გამოსავალ წერტილად? განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ, მაგ., პოლიციური ფუნქციების აღმასრულებელი ინსპექცია თავისი თავმჯდომარეობით კრებებზე ყოველთვის ზოგს გააღიზიანებს, ზოგს პროვოკაციას გაუწევს და საპროტესტოდ გამოიწვევს, ზოგს კი თრთოლას მოჰგვრის და პირს აუკრავს? და განა ნათელი არაა, რომ რუსეთის სტუდენტობა ვერ მოითმენს, რომ ამ კრებებზე კამათის შინაარსი უხეშად განისაზღვრებოდეს უფროსთა «შეხედულებით»?

ამავე დროს კი მთავრობის ნაჩუქარი «უფლება» კრებებისა და ორგანიზაციებისა იმ უგვანო სახით, რომლითაც იგი შექმნილია «დროებითი წესებით», მაქსიმუმია იმისა, რის მიცემაც თვითმპყრობელობას შეუძლია სტუდენტებისთვის, თუ იგი თვითმპყრობელობად რჩება. ყოველივე შემდგომი ნაბიჯი ამ მიმართულებით იქნებოდა იმ წონასწორობის თვითმკვლელობითი დარღვევა, რომელზედაც დაფუძნებულია «ქვეშევრდომებთან» ხელისუფლების დამოკიდებულება. ან უნდა შეურიგდნენ მთავრობისათვის ამ შესაძლებელ მაქსიმუმს, ან გააძლიერონ თავისი პროტესტის პოლიტიკური, რევოლუციური ხასიათი, — აი დილემა, რომლის გადაწყვეტაც სტუდენტებს უხდებათ და მათი უმრავლესობა მეორე გადაწყვეტილებას იღებს. სტუდენტების მოწოდებებსა და რეზოლუციებში წინანდელზე უფრო მკვეთრად გაისმის რევოლუციური ხმა. მხეცური დათრგუნვისა და იუდას ამბორის რიგრიგობის პოლიტიკა თავის საქმეს აკეთებს და არევოლუციურებს სტუდენტთა მასას.

დიახ, სტუდენტებმა ასე თუ ისე გადაწყვიტეს მათ წინაშე დაყენებული საკითხი და განაცხადეს, რომ კვლავ მზად არიან აიღონ გვერდზე გადადებული (საძილისპირო სიმღერების გავლენით) იარაღი. მაგრამ რას აპირებს საზოგადოება, რომელმაც უკვე ჩასთვლიმა კიდეც ამ გამცემლური სიმღერების ჰანგზე? რატომ განაგრძობს იგი დუმილს და «მალულად თანაუგრძნობს»? რატომ არაფერი ისმის მის პროტესტებზე, მის აქტიურ მხარდაჭერაზე განახლებული მღელვარებისთვის? ნუთუ ის მზად არის «გულდამშვიდებით» ელოდოს იმ გარდუვალ ტრაგიკულ მოვლენებს, რომლებიც დღევანდლამდე თან სდევდნენ სტუდენტთა ყოველგვარ მოძრაობას? ნუთუ ის ფიქრობს დასჯერდეს ბრძოლის მსხვერპლთა აღმრიცხველისა და ამ ბრძოლის შემაძრწუნებელ სურათთა პასიური მაყურებლის უბადრუკ როლს? რატომ არ ისმის «მამების» ხმა იმ დროს, როდესაც «შვილებმა» არაორაზროვნად განაცხადეს თავისი განზრახვა ახალი მსხვერპლი მიიტანონ რუსეთის თავისუფლების სამსხვერპლოზე? რატომ მხარს არ უჭერს ჩვენი საზოგადოება სტუდენტებს თუნდაც ისე, როგორც მათ უკვე მხარი

დაუკარგა მუშებმა? მათი, პროლეტარების, შვილები და ძმები ხომ არ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, და მაინც მუშებმა კიევშიც, ხარკოვშიც, ეკატერინოსლავშიც უკვე აშკარად განუცხადეს თავისი თანაგრძნობა პროტესტანტებს, მიუხედავად პოლიციელ ხელისუფალთა მთელი რიგი «გამაფრთხილებელი ზომებისა», მიუხედავად მათი მუქარისა, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოქმედებენ შეიარაღებულ ძალას. ნუთუ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური იდეალიზმის ეს გამოხატულება გავლენას არ მოახდენს საზოგადოების ყოფაქცევაზე, რომელიც სისხლხორცეულად და უშუალოდ დაინტერესებულია სტუდენტთა ბედით, და არ დასძრავს მას ენერგიული პროტესტისათვის?

მიმდინარე წლის სტუდენტური «არეულობა» იწყება საკმაოდ ხელსაყრელი ნიშნებით. «მასების» «ქუჩის» თანაგრძნობა მისთვის უზრუნველყოფილია. ლიბერალური საზოგადოების დანაშაულებრივი შეცდომა იქნება, თუ იგი ყველა ღონეს არ იხმარს იმ მიზნით, რომ სტუდენტთათვის დროზე მხარდაჭერით მოახდინოს მთავრობის საბოლოო დემორალიზაცია და აიძულოს იგი წავიდეს ნამდვილ დათმობებზე.

უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად ძალუძს ჩვენს ლიბერალურ საზოგადოებას ამ როლის შესრულება. ამ საკითხის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტუდენტთა ახლანდელი მოძრაობის შედეგი. მაგრამ რანაირიც უნდა იყოს ეს შედეგი, ერთი რამ უეჭველია: სიმშვიდის ესოდენ მოკლე პერიოდის შემდეგ სტუდენტთა საერთო არეულობის განახლება თანამედროვე წყობილების პოლიტიკური გაკოტრების ნიშანია. სამი წლის განმავლობაში საუნივერსიტეტო ცხოვრება ვერ ჩამდგარა კალაპოტში, მეცადინეობა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სწარმოებს, სახელმწიფო მექანიზმის ერთ-ერთი ბორბალი აღარ მოქმედებს და, ერთხანს საცოდავად რომ შემოტრიალდება, კვლავ დიდი ხნით ჩერდება. და ახლა არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებში არ არსებობს ამ სატკივრის რადიკალური განკურნების საშუალება. განსვენებულმა ბოგოლეპოვმა სცადა სამშობლოს ხსნა «გმი-

რული» საშუალებით, რომელიც ნასესხები იყო ადამისდროინ-
დელი, ნიკოლოზისეული, მედიცინის არსენალიდან. ცნობილია,
თუ რა შედეგი მოიტანა ამ საშუალების გამოყენებამ. ცხადია,
რომ ამ მიმართულებით შემდგომი სვლა აღარ შეიძლება.
სტუდენტებთან ლაქუცის პოლიტიკამ ახლა ფიასკო განიცადა.
ხოლო ძალადობისა და ლაქუცის გარდა მესამე გზა ხომ არ არ-
სებობს. და თანამედროვე რეჟიმის ამ უეჭველი გაკოტრების
ყოველი ახალი გამოვლინება სულ უფრო და უფრო ღრმად
გამოუთხრის მას საფუძველს, ინდიფერენტულ ობივატელთა
თვალში დაუკარგავს მთავრობას ყოველივე ავტორიტეტს, გა-
ამრავლებს იმ პირთა რიცხვს, რომელთაც შეგნებული აქვთ
მთავრობასთან ბრძოლის აუცილებლობა.

დიახ, თვითმპყრობელობის გაკოტრება უეჭველია, და იგი
იჩქარის მთელ ქვეყნიერებას აუწყოს ეს. განა გაკოტრების
გამოცხადებას არ წარმოადგენს იმპერიის თითქმის მთელ მე-
სამედ ნაწილში «გაძლიერებული დაცვის წესების» შემოღე-
ბა და იმავე დროს რუსეთის ყველა კუთხეში ადგილობრივ
ხელისუფალთა გამოსვლა «სავალდებულო დადგენილებე-
ბით», რომლებიც გაძლიერებულ სასჯელთა მუქარით კრძა-
ლავენ რუსეთის კანონებით ისედაც აკრძალულ მოქმედე-
ბებს? თავისი არსებით ყოველი განსაკუთრებული წესი,
რომელიც აუქმებს საერთო კანონების მოქმედებას, იგულის-
ხმება მოქმედების ძალის მქონედ დროისა და ადგილის გან-
საზღვრულ ფარგლებში. იგულისხმება, რომ საგანგებო პი-
რობანი მოითხოვენ საგანგებო ზომების დროებით გამოყენე-
ბას განსაზღვრულ ადგილას იმისათვის, რომ აღდგენილ იქ-
ნას ის დარღვეული წონასწორობა, რომლის დროსაც შესაძ-
ლებელია საერთო კანონების შეუფერხებელი მოქმედება.
ასეთია თანამედროვე რეჟიმის წარმომადგენელთა მსჯელო-
ბა. აი უკვე 20 წელზე მეტია, რაც შემოღებულია გაძლიერე-
ბული დაცვის წესები. იმპერიის მთავარ ცენტრებში მისი
20 წლის მოქმედებას არ მოჰყოლია შედეგად ქვეყნის «დაწყ-
ნარება», საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა. ამ ძლიერად
მოქმედი საშუალების 20 წლის განმავლობაში გამოყენების
შემდეგ აღმოჩნდა, რომ — «არაკეთილსაიმედობის» სენი, რო-

მელთან საბრძოლველადაც შექმნილია იგი, ისე ფართოდ გავრცელებულა და ისე ღრმად გაუდგამს ფესვები, რომ მისი გამოყენება აუცილებლად უნდა გავრცელდეს ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ქალაქსა და საფაბრიკო ცენტრებზე! განა ეს გაკოტრება არ არის, რომელსაც აშკარად აცხადებს თვით გაკოტრებული? თანამედროვე წყობილების თავგამოდებული დამცველები (ასეთები, ეჭვი არაა, მოიპოვებიან) ძრწოლით უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ თანდათან ეჩვევა მოსახლეობა ამ ძლიერად მოქმედ საშუალებას და ველარ გრძნობს მის ახალ დოზათა შეშხაპუნებას.

ამავე დროს კი, უკვე მთავრობის უნებურად, აშკარავდება მისი ეკონომიური პოლიტიკის გაკოტრება. თვითმპყრობელობის მტაცებლური მეურნეობა დაფუძნებული იყო გლეხობის საშინელ ექსპლოატაციაზე. ეს მეურნეობა გულისხმობდა, როგორც აუცილებელ შედეგს, ამა თუ იმ ადგილის გლეხთა დროდადრო განმეორებულ შიმშილობას. ამ მომენტებში ონავარი სახელმწიფო ცდილობდა მოსახლეობის წინაშე წარმდგარიყო მის მიერვე გაძარცული ხალხის მოამაგე მრჩენელის ბრწყინვალე როლში. 1891 წლიდან შიმშილობა მსხვერპლთა რაოდენობის მხრივ გიგანტური შეიქმნა. ხოლო 1897 წლიდან შიმშილობა თითქმის განუწყვეტლივ მოსდევდა ერთი მეორეს. 1892 წელს ტოლსტოი გესლიანი დაცინვით ამბობდა, რომ «პარაზიტი აპირებს გამოჰკვებოს ის მცენარე, რომლის წვენითაც თვითონ იკვებება»[18]. ეს, მართლაც, სულელური იდეა იყო. ახლა დროება გამოიცვალა, და რაც შიმშილობა სოფლის ნორმალურ მდგომარეობად იქცა, ჩვენი პარაზიტი იმდენად იმ უტოპიურ აზრს კი არ უტრიალებს, რომ დააპუროს გაძარცული გლეხობა, რამდენადაც თვით ამ აზრს სახელმწიფოებრივ დანაშაულად აცხადებს. მიზანი მიღწეულია — ახლანდელი გრანდიოზული შიმშილობა მიმდინარეობს ისეთ სამარისებურ სიჩუმეში, რომელიც ჩვენშიც კი უჩვეულოა. არ ისმის დამშეული გლეხების კვნესა, არა ჩანს შიმშილობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი ინიციატივის ცდა, გაზეთები სდუმან იმის შესახებ, რაც სოფელში ხდება. სახარბიელო დუმილია, მაგრამ ხომ არა გრძნო-

ბენ ბატონი სიპიაგინები, რომ ეს სიმშვიდე ძალიან წააგავს სიჩუმეს ჭექა-ქუხილის წინ?

სახელმწიფო წყობილებამ, რომელიც ოდითვე დამყარებული იყო გლეხთა მილიონების პასიურ მხარდაჭერაზე, ეს გლეხობა იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, როდესაც მას არ ძალუძს თავი გამოიკვებოს წლიდან წლამდე. ბატონ ობმანოვების მონარქიის ეს სოციალური გაკოტრება ნაკლებად არ არის ჭკუის მასწავლებელი, ვიდრე მისი პოლიტიკური გაკოტრება.

როდისღა მოხდება ჩვენი ბოროტი ბანკროტის საქმეთა ლიკვიდაცია? კიდევ დიდხანს მოახერხებს თუ არა იგი დღიდან დღემდე იცხოვროს ისე, რომ თავისი პოლიტიკური და ფინანსური ბიუჯეტის ჭუჭრუტანები დაფაროს ხალხის ორგანიზმის ცოცხალი სხეულის ტყავით? მრავალ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული იმ ვადის მეტნაკლები ხნით გადადება, რომელსაც ისტორია ჩვენს ბანკროტს მისცემს; მაგრამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება რევოლუციური აქტივობის ის ოდენობა, რომელსაც გამოიჩენენ ადამიანები, ვისაც შეგნებული აქვს თანამედროვე რეჟიმის სრული გაკოტრება. მისი გახრწნა ძალიან შორს წავიდა, მან მნიშვნელოვნად გაუსწრო იმ საზოგადოებრივ ელემენტთა პოლიტიკურ მობილიზაციას, რომელთაც მისი მესაფლავეობა უხდებათ. ამ პოლიტიკურ მობილიზაციას ყველაზე მარჯვედ მოახდენს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ერთადერთს ძალუძს სახიკვდილო ლიხვარი ჩასცეს თვითმპყრობელობას. სტუდენტთა ახალი შეტაკება მთავრობასთან ჩვენ ყველას შესაძლებლობას გვაძლევს და ვალდებულებას გვაკისრებს დავაჩქაროთ თვითმპყრობელობისადმი ყველა მტრულ საზოგადოებრივ ძალთა მობილიზაციის ეს საქმე. პოლიტიკურ ცხოვრებაში ომიანობის დროის თვეებს ისტორია წლებად ითვლის. ხოლო ის დრო, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ჭეშმარიტად ომიანობის დროა.

«ისკრა» № 17, 1902 წ.
15 თებერვალი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 84 — 92.

საშუალო სკოლების მოსწავლეებს[19]

მთელი სულითა და გულით მივესალმებით მოსწავლეთა ენერგიულ თაოსნობას და ჩვენი მხრივ ვაძლევთ მათ ასეთ ამხანაგურ რჩევას. ეცადეთ თქვენი ორგანიზაციის მთავარ მიზნად გახადოთ თვითგანათლება, დარწმუნებულ, მტკიცე და გამობრძმედილ სოციალ-დემოკრატებად ჩამოყალიბება. რაც შეიძლება უფრო მტკიცედ განასხვავეთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა უშუალო პრაქტიკული საქმიანობისაგან. ეცადეთ მოქმედი არმიის რიგებში შესვლისას (და შ ე ს ვ ლ ა მ დ ე) გააბათ უაღრესად მჭიდრო (და უაღრესად კონსპირაციული) კავშირურთიერთობა ადგილობრივს ორგანიზაციებთან ან საერთო-რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, რათა არ მოგიხდეთ საქმის ცალ-ცალკე დაწყება, რათა უკვე შეგეძლოთ დაიწყოთ არა თავიდან, არამედ განაგრძოთ წინათ გაკეთებული, ერთბაშად ჩადგეთ რიგებსა და რაზმებში, წინ წასწიოთ მოძრაობა და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოთ **იგი.**

«ისკრა» № 29, 1902 წ.
1 დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 348

პროექტი რსდმპ II ყრილობის რეზოლუციისა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ[20]

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა 'მიესალმება მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური თვითმოქმედების გამოცოცხლებას, წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ ახალგაზრდობას 'შეკავშირების მისწრაფებაში და ურჩევს მოსწავლეთა ყველა ჯგუფსა და წრეს, ჯერ ერთი, თავიანთ საქმიანობაში პირველ ადგილზე დააყენონ თავის წევრთა შორის მთლიანი და თანამიმდევარი სოციალისტური მსოფლმხედველობის შემუშავება, სერიოზულად გაცნობა, ერთი მხრივ, მარქსიზმთან, ხოლო მეორე მხრივ, რუსულ ნაროდნიკობასთან და დასავლეთ ევროპის ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ მიმდინარეობებთან თანამედროვე მებრძოლ მოწინავე მიმართულებათა შორის; მეორეც, თავი აარიდონ ახალგაზრდობის იმ ყალბ მეგობრებს, რომლებიც აშორებენ მას სერიოზულ რევოლუციურ აღზრდას ფუჭი რევოლუციური თუ იდეალისტური ფრაზეოლოგიით და ფილისტერული გოდებით იმის შესახებ, თითქოს მავნებელია და საჭირო 'არ არის მკვეთრი პოლემიკა რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმართულებათა შორის, რადგან ეს ყალბი მეგობრები ნამდვილად ავრცელებენ მხოლოდ უპრინციპობას და ფუქსავატურ დამოკიდებულებას რევოლუციური მუშაობისადმი; მესამეც, ეცადონ პრაქტიკულ საქმიანობაზე 'გადასვლისას წი-

ნასწარ გააბან კავშირურთიერთობა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რათა გამოიყენონ მათი მითითებანი და, შეძლებისდაგვარად, თავიდან აიცილონ დიდი შეცდომები მუშაობის დასაწყისშივე.

დაწერილია 1903 წ. ივნისი—ივლისში
პირველად დაიბეჭდა 1904 წელს «რსდმპ მეორე მორიგი ყრილობის ოქმების» ჟენევის გამოცემაში
იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 584 — 585

სიტყვა რსდმპ II ყრილობაზე მოსწავლეთა ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხზე 10 (23) აგვისტო

ფორმულას «ყალბი მეგობრები» მარტო რეაქციონერები როდი ხმარობენ, ხოლო ასეთი ყალბი მეგობრები რომ არიან — ამას ჩვენ ვხედავთ ლიბერალებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების სახით. სწორედ ეს ყალბი მეგობრები ცდილობენ დაარწმუნონ ახალგაზრდობა, რომ მისთვის საჭირო არ არის სხვადასხვა მიმდინარეობაში ერკვეოდეს. ჩვენ კი მთავარ მიზნად ვისახავთ მთლიანი რევოლუციური მსოფლმხედველობის შემუშავებას, ხოლო შემდგომი პრაქტიკული ამოცანა ის არის, რომ ახალგაზრდობა, როცა ირაზმება, ჩვენს კომიტეტებს მიმართავდეს.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 631

გეგმა წერილებისა რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ

წერილები რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ შეიძლებოდა ასეთი გეგმით განაწილებულიყო:

I. რას წარმოადგენს თანამედროვე სტუდენტობა და რაში მდგომარეობს მისი იდეური გაერთიანების ამოცანა?

II. მარქსიზმის მნიშვნელობა სტუდენტობის გარევოლუციურების საქმეში (რევოლუციურ მოძრაობაში).

III. სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები რუსეთში. მათი თეორიული და ტაქტიკური განსხვავებანი. ტერორი.

IV. სტუდენტური ორგანიზაციის საკითხები «სტუდენტობის გარევოლუციურების» თვალსაზრისით.

V. სტუდენტობა და მუშათა კლასი (?).

იდეური გაერთიანება = ერთგვარი უიდეობა. ზოგადი მოსაზრება — სხვადასხვა ჯგუფი სტუდენტობაში. განხილვა, რა ჯგუფებია, მათი შემთხვევითობა **respective*** აუცილებლობა.

მეკულტუროსნეები საზოგადოების სხვადასხვა კლასში.

« ლიბერალების ბაზისი.

ექვსი ჯგუფის არასაკმაო კლასობრივი განსაზღვრულობა: თვითმპყრობელობა ყველაზე მეტად განსაზღვრავს (რეაქციონერები — მეკულტუროსნეები — ლიბერალები). წვრილი ბურ-

* — შესაბამისად. რ ე დ.

ქუაზია, მუშები, ბურჟუაზია — უკვე ისახება **კლასობრივი*** დაჯგუფებები.

კლასობრივი (და პოლიტიკური) დიფერენციაციის პროგრესული მნიშვნელობა. მაგალითი. აკადემისტები და მათი გამოყოფა «ლიბერალებისაგან». ეს გამოყოფა ხელს კი არ უშლის, არამედ ეხმარება პოლიტიკურ უტილიზაციას (განვითარებას, ზრდას).

«იდეური გაერთიანება». **Quid est?** ** ვინ ვისთან? აკადემისტები + ლიბერალები? ლიბერალები + სოციალისტები?

მხოლოდ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები?

იდეური გაერთიანება = განსაზღვრული იდეების გავრცელება, კლასობრივი შეგნების გამორკვევა, იდეური გამიჯვნა.

იდეური გაერთიანება = წინწაყვანის უნარის მქონე იდეების, მოწინავე კლასის იდეების გავრცელება.

რევოლუციური მარქსიზმი, მისი გამოსვლა ევროპაში 1848 წლის წინ, მისი როლი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

ჩაემატოს: «superkluge»* მსჯელობის შესახებ თითქოს ბურჟუაზიულ სტუდენტობას არ შეუძლია სოციალიზმით გაიმსჭვალოს.

დაწერილია 1903 წლის აგვისტო-სექტემბერში. პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «კრასნაია მოლოდიოჟ» № 1

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 33 — 34

---

* არა «უკანასკნელი დღეების» (ქმნილება — სოციალისტური ინტელიგენცია), არამედ ნახევარი საუკუნის ქმნილება, დაახლოებით, პეტრაშევეველთა 21 წრით დაწყებული.

** — რა არის ეს? რ ე დ.

*** — «ზეკკეიანური». რ ე დ.

რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები

წერილი პირველი [22]

გაზეთ «სტუდენტის»[23] სარედაქციო განცხადება, რომელიც, თუ არ ვცდებით, პირველად დაიბეჭდა «ოსვობოჟდენიეს»[24] № 4 (28)-ში და აგრეთვე «ისკრამაც» მიიღო, მოწმობს, ჩვენი აზრით, იმას, რომ რედაქციის შეხედულებებში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული «სტუდენტის» № 1-ის გამოშვების შემდეგ. ბ-ნი სტრუვე არ შემცდარა, როცა საჩქაროდ განაცხადა — არ ვეთანხმები განცხადებაში გამოთქმულ შეხედულებებსო: ეს შეხედულებები, მართლაც, ძირფესვიანად არ ეთანხმება ოპორტუნიზმის იმ მიმართულებას, რომელსაც ასე თანამიმდევრად და გულმოდგინედ ადგია ლიბერალურ-ბურჟუაზიული ორგანო. რადგან «სტუდენტის» რედაქციამ აღიარა, რომ «მ ა რ ტ ო ო დ ე ნ რევოლუციური გრძნობა ვერ გააერთიანებს სტუდენტობას იდეურადო», რომ «საამისოდ აუცილებელია სოციალისტური იდეალი, რომელიც უნდა ემყარებოდეს ამა თუ იმ სოციალისტურ მსოფლმხედველობას», და თან «გარკვეულ, მთლიან», მსოფლმხედველობასო, ამით მან პრინციპულად უკვე უარჰყო იდეური გულგრილობა და თეორიული ოპორტუნიზმი და სწორ ნიადაგზე დააყენა სტუდენტობის გარევოლუციურების საშუალებათა საკითხი.

ისიც მართალია, რომ ვულგარული «რევოლუციონიზმის» გაცვეთილი თვალსაზრისით სტუდენტობის იდეური გაერთია-

ნება მთლიან მსოფლმხედველობას არ მოითხოვს, არამედ გამორიცხავს მას, იდეური გაერთიანება ნიშნავს «შემწყნარებლობას» სხვადასხვაგვარი რევოლუციური იდეების მიმართ, გულისხმობს თავშეკავებას ერთი რომელიმე გარკვეული რიგის იდეათა გადაჭრით აღიარებისაგან, ერთი სიტყვით, იდეური გაერთიანება, პოლიტიკანობის ამ ბრძენთა თვალსაზრისით, გულისხმობს ერთგვარ უიდეობას (რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად ოსტატურად დაფარულს გაცვეთილი ფორმულებით შეხედულებათა სიფართოვეზე, აუცილებელი და დაუყოვნებლივი ერთიანობის დიდმნიშვნელობაზე და სხვ. და ა. შ.). საკითხის ასე დაყენების საკმაოდ თვალსაჩინო და, ერთი შეხედვით, მეტად დამაჯერებელ საბუთს ყოველთვის წარმოადგენს ის საყოველთაოდ ცნობილი და უდავო ფაქტი, რომ სტუდენტობაში არის და არც შეიძლება არ იყოს ფრიად სხვადასხვაგვარი ჯგუფები მათი პოლიტიკურ-სოციალური შეხედულებების მიხედვით, ამიტომ მსოფლმხედველობის მთლიანობისა და გარკვეულობის მოთხოვნა უცილობლად ჩამოგვაშორებს ზოგიერთ ამ ჯგუფსო, — მაშასადამე, ხელს შეუშლის გაერთიანებას, მაშასადამე, ერთსულოვანი მუშაობის ნაცვლად უთანხმოებას გამოიწვევს, მაშასადამე, შეასუსტებს საერთო პოლიტიკური იერიშის ძალასო და ა. შ. დაუსრულებლივ.

დავუკვირდეთ ამ მოხდენილ მსჯელობას. ავიღოთ, მაგალითად, «სტუდენტის» № 1-დან სტუდენტობის დაყოფა ჯგუფებად—ამ პირველ ნომერში გარკვეული და მთლიანი მსოფლმხედველობის მოთხოვნა ჯერ კიდევ არ იყო წამოყენებული რედაქციის მიერ, ამიტომ მას ვერ დავწამებთ მიკერძოებას სოციალ-დემოკრატიული «შეზღუდულობისადმი». «სტუდენტის» № 1 სარედაქციო სტატია თანამედროვე სტუდენტობას ჰყოფს ოთხ დიდ ჯგუფად: 1) გულგრილი მასა — «ის პირნი, რომელნიც სრულიად ინდიფერენტულად არიან განწყობილი სტუდენტთა მოძრაობის მიმართ»; 2) «აკადემისტები» — მომხრენი სტუდენტთა მოძრაობისა მხოლოდ და მხოლოდ აკადემიურ ნიადაგზე; 3) «სტუდენტთა მოძრაობის მოწინააღმდეგენი საერთოდ — ნაციონალისტები, ანტისემიტები და სხვ.»; 4) «პოლიტიკოსები» — მეფის დესპო-

ტიზმის დამხობისათვის ბრძოლის მომხრენი. «ეს ჯგუფი, თავის მხრივ, შესდგება ორი მოპირდაპირე ელემენტისაგან — რევოლუციურად განწყობილი წმინდა ბურჟუაზიული პოლიტიკური ოპოზიციისაგან და — უკანასკნელი დღეების (და განა მარტო უკანასკნელი დღეებისა? ნ. ლ ე ნ ი ნ ი) ქმნილებისაგან— სოციალისტურად განწყობილი რევოლუციური ინტელიგენტური პროლეტარიატისაგან». თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი ქვეჯგუფი, როგორც ყველას მოეხსენება, იყოფა სოციალისტ-რევოლუციონერ სტუდენტებად და სოციალ-დემოკრატ სტუდენტებად, მაშინ დავინახავთ, რომ თანამედროვე სტუდენტობა იყოფა ე ქ ვ ს პოლიტიკურ ჯგუფად: რეაქციონერები, ინდიფერენტულნი, აკადემისტები, ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები.

იბადება კითხვა: შემთხვევითი ხომ არ არის ასეთი დაჯგუფება? ხომ არ არის ეს სულიერ განწყობილებათა დროებითი ხასიათის განაწილება? საკმარისია პირდაპირ დაისვას ეს კითხვა, რომ მას მაშინვე უარყოფითი პასუხი გასცეს ყველამ, ვინც კი რაოდენადმე გაცნობილია საქმის ვითარებას. ჩვენს სტუდენტობაში სხვანაირი დაჯგუფება არც კი შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ რომ სტუდენტობა ინტელიგენციის ყველაზე გულისხმიერი ნაწილია, ხოლო ინტელიგენციას იმიტომაც ჰქვია ინტელიგენცია, რომ ის ყველაზე შეგნებულად, ყველაზე გაბედულად და ყველაზე ზედმიწევნით ასახავს და გამოხატავს კლასობრივ ინტერესთა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა განვითარებას მთელ საზოგადოებაში. სტუდენტობა არ იქნებოდა ის, რაც არის, მისი პოლიტიკური დაჯგუფება რომ არ შეეფერებოდეს მთელი საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას, — «შეეფერებოდეს» არა სტუდენტთა და საზოგადოებრივი ჯგუფების სრული პროპორციულობის აზრით მათი ძალისა და რაოდენობის მიხედვით, არამედ სტუდენტობაში იმ ჯგუფების აუცილებელი და გარდუვალი არსებობის აზრით, როგორნიც საზოგადოებაში არსებობენ. და დამახასიათებელია მთელი რუსი საზოგადოებისათვის, მისი კლასობრივი ანტაგონიზმის ჩანასახი (შედარებით) განვითარებით, მისი

პოლიტიკური ყრმობით, მოსახლეობის უდიდესი და უზარმაზარი მასების დაბეჩავებით და დათრგუნვით პოლიციური დესპოტიზმის მხრივ 'სწორედ ასეთი ექვსი ჯგუფი: რეაქციონერები, ინდიფერენტულნი, მ ე კ უ ლ ტ უ რ ო ს ნ ე ე ბ ი, ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები. «აკადემისტების» ნაცვლად მე აქ ჩავსვი «მეკულტუროსნეები», ე. ი. მომხრენი ლეგალური პროგრესისა პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, პროგრესისა თვითმპყრობელობის ნიადაგზე. ასეთი მეკულტუროსნეები რუსი საზოგადოების ყველა ფენაშია და ისინი ყველგან, სტუდენტ «აკადემისტთა» მსგავსად, კმაყოფილდებიან პროფესიული ინტერესების ვიწრო ფარგლით, სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ან სახელმწიფო და ადგილობრივი მართვა-გამგეობის გაუმჯობესებით, ისინი ყველგან 'შიშით თავს არიდებენ «პოლიტიკას», ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ (როგორც ვერ არჩევენ აკადემისტებიც) სხვადასხვა მიმართულების «პოლიტიკოსებს» და პოლიტიკას უწოდებენ ყოველივეს და ყველაფერს, რაც... მართვა-გამგეობის ფორმას ეხება. მეკულტუროსნეების ფენა ყოველთვის ჩვენებური ლიბერალიზმის ფართო საფუძველი იყო და დღესაც არის: «მშვიდობიან» 'დროს (ე. ი., «რუსულად» თუ ვთარგმნით, პოლიტიკური რეაქციის დროს) მეკულტუროსნის და ლიბერალის ცნება თითქმის სრულიად ერთდება; ომიანობის დროსაც კი, საზოგადოებრივი განწყობილების აღმავლობის დროს, თვითმპყრობელობაზე მზარდი შეტევის დროს, განსხვავება ამ ცნებათა შორის ხშირად ბუნდოვანი რჩება. რუსი ლიბერალი, მაშინაც კი, როცა ის თავისუფალ საზღვარგარეთულ გამოცემაში საზოგადოების წინაშე გამოდის და პირდაპირ და აშკარად პროტესტს აცხადებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაინც ყველაზე უფრო მეტად მეკულტუროსნედ გრძნობს თავს, არ იშლის თავისას და ისევ მონურად, ან, თუ გნებავთ, ლეგალურად, ლოიალურად, უქვეშევრდომილესად იწყებს მსჯელობას: იხილე «ოსვობოჟდენიე».

რუსი საზოგადოების მთელი პოლიტიკური დაჯგუფების დამახასიათებელია საერთოდ მეკულტუროსნეებსა და ლიბერალებს შორის გარკვეული და ყველასათვის ნათლად

დასანახი მიჯნის უქონლობა. ჩვენთვის თითქოს შეეძლოთ ეთქვათ, რომ ზემომოყვანილი ექვს ჯგუფად დაყოფა სწორი არ არის, რადგან იგი არ შეესაბამება რუსი საზოგადოების კლასობრივ დაყოფასო. მაგრამ ასეთი აზრი უსუსური იქნებოდა. რა თქმა უნდა, კლასობრივი დაყოფა პოლიტიკური დაჯგუფების უაღრესად ღრმა საფუძველია; ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი-შ ი თ ეს დაყოფა ყოველთვის განსაზღვრავს, რა თქმა უნდა, ამ დაჯგუფებას. მაგრამ ეს ღრმა საფუძველი აშკარავდება მხოლოდ ისტორიული განვითარების მსვლელობის მიხედვით და ამ განვითარების მონაწილეთა და შემოქმედთა შეგნებულობის მიხედვით. ამ «უჯანასკნელი ანგარიშის» შეჯამება ხდება მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლით, — ზოგჯერ ხანგრძლივი, შეუპოვარი, წლობით და ათწლობით წარმოებული ბრძოლის შედეგით, ბრძოლის, რომელიც ხან მძაფრად იჩენს თავს სხვადასხვა პოლიტიკურ კრიზისში, ხან ნელდება და თითქოს დროებით სწყდება კიდეც. ტყუილად კი არ არის, რომ, მაგალითად, გერმანიაში, სადაც განსაკუთრებით მწვავე ფორმებს იღებს პოლიტიკური ბრძოლა და სადაც განსაკუთრებით შეგნებულად გამოდის მოწინავე კლასი — პროლეტარიატი, — ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი პარტიები (და მძლავრი პარტიები), როგორიცაა ცენტრი, რომელიც თავის მრავალგვაროვან (და საერთოდ უსათუოდ ანტიპროლეტარულ) კლასობრივ შინაარსს ფარავს საარწმუნოებრივი განმასხვავებელი ნიშნით. მით უფრო ნაკლებ უნდა გვიკვირდეს, რომ რუსეთში თანამედროვე პოლიტიკური ჯგუფების კლასობრივი წარმოშობა უაღრესად იჩქმალება მთელი ხალხის პოლიტიკური უუფლებობით, ჩინებულად ორგანიზებული, იდეურად შემჭიდროებული, ტრადიციულად კარჩაკეტილი ბიუროკრატიის ბატონობით ხალხზე. უფრო ის უნდა გვიკვირდეს, რა დიდი კვალი დააჩნია უკვე რუსეთის ევროპულ-კაპიტალისტურმა განვითარებამ, მიუხედავად მისი აზიური პოლიტიკური წყობილებისა, საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას.

სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით, იმ პროგრამის დროშით, რომელიც უკვე დიდი ხანია მთელი საერთაშორისო

შეგნებული პროლეტარიატის პროგრამა გახდა, ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის მოწინავე კლასი, სამრეწველო პროლეტარიატი უკვე ჩვენშიც გამოვიდა მასობრივი, ორგანიზებული მოძრაობის გზაზე. პოლიტიკის მიმართ გულგრილთა თანრიგი რუსეთში, რა თქმა უნდა, განუზომლად უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, მაგრამ უკვე ჩვენშიც შეუძლებელია ლაპარაკი ამ თანრიგის პრიმიტიულ და პირველყოფილ ყრმობაზე: შეუგნებელი მუშების — ნაწილობრივ გლეხებისაც — გულგრილობას სულ უფრო და უფრო ხშირად სცვლის პოლიტიკური მღელვარებისა და აქტიური პროტესტის უეცარი ნაკადი, რაც თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ამ გულგრილობას არაფერი აქვს საერთო მაძღარი ბურჟუებისა და წვრილი ბურჟუების გულგრილობასთან. ეს უკანასკნელი კლასი, რომელიც რუსეთში განსაკუთრებით ხალხმრავალია რუსეთის კაპიტალიზმის შედარებით ჯერ კიდევ სუსტი განვითარების გამო, ერთი მხრივ, უკვე უცილობლად იწყებს შეგნებული და თანამიმდევარი რეაქციონერების წარმოშობასაც, — მეორე მხრივ, და ბევრად უფრო ხშირად, ის ჯერ კიდევ სუსტად განირჩევა უბრალო და დაბეჩავებული «მშრომელი ხალხის» მასისგან, ხარისხნაირი ინტელიგენციის ფართო ფენებში პოულობს იდეოლოგებს, რომელთაც სრულიად არავითარი გარკვეული მსოფლმხედველობა არ გააჩნიათ და შეუგნებლად აქვთ არეული ერთმანეთში დემოკრატიული და პრიმიტიული სოციალისტური იდეები. სწორედ ეს იდეოლოგია ახასიათებს რუსეთის ძველ ინტელიგენციას, მისი ლიბერალურ-ნაროდნიკული ნაწილის მემარჯვენე ფრთასაც და ყველაზე მემარცხენესაც: «სოციალისტ-რევოლუციონერებს».

მე ვთქვი: რუსეთის «ძველ» ინტელიგენციას-მეთქი. ჩვენში უკვე ჩნდება ა ხ ა ლ ი ც, რომლის ლიბერალიზმი თითქმის სავსებით გაიწმინდა (რუსული მარქსიზმის დახმარებით, რა თქმა უნდა) პრიმიტიული ნაროდნიკობისა და ბუნდოვანი სოციალიზმისაგან. ჩვენში ნამდვილი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის შექმნა გიგანტური ნაბიჯით მიდის, განსაკუთრებით იმის მეოხებით, რომ ამ პროცესში მონაწილეობას

იღებენ ოპორტუნიზმის ყოველგვარი ახალმოდური მიმართულებისადმი გულისხმიერი და ესოდენ მოქნილი ადამიანები, როგორიც არიან ბატონი სტრუვეები, ბერდიაევები, ბულგაკოვები და კომპ... დასასრულ, რაც შეეხება რუსი საზოგადოების იმ ლიბერალურ და რეაქციულ ფენებს, რომელნიც ინტელიგენციას არ ეკუთვნიან, მათი კავშირი ჩვენი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელთა ამა თუ იმ ჯგუფების კლასობრივ ინტერესებთან საკმაოდ ნათელია ყველასთვის, ვინც რაოდენადმე მაინც იცნობს, მაგალითად, ჩვენი ერობების, ქალაქთა თვითმმართველობის, საბირჟო, საბაზრო კომიტეტებისა და სხვათა მოღვაწეობას.

ამრიგად, ჩვენ იმ უეჭველ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი სტუდენტობის პოლიტიკური დაჯგუფება შემთხვევით კი არა, არამედ აუცილებლად და გარდუვალად სწორედ ისეთია, როგორც ის ჩვენ ზემოთ დავასურათეთ, გაზეთ «სტუდენტის» № 1 თანახმად. რაკი ეს ფაქტი დავადგინეთ, ჩვენ უკვე ადვილად შეგვიძლია გავერკვეთ სადავო საკითხში, თუ სახელდობრ რა უნდა ვიგულისხმოთ «სტუდენტობის იდეურ გაერთიანებად», მის «გარევოლუციურებად» და სხვ.. ერთი შეხედვით, მეტისმეტად უცნაურიც კია, როგორ გახდა სადავოდ ასეთი უბრალო საკითხი. თუ სტუდენტობის პოლიტიკური დაჯგუფება შეესაბამება საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას, ხომ არ ნიშნავს ეს თავისთავად, რომ სტუდენტობის «იდეურ გაერთიანებად» უნდა ვიგულისხმოთ ორში ერთი: ან სტუდენტთა რაც შეიძლება მეტი რიცხვის მიზიდვა სავსებით განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური იდეებისკენ, ანდა რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ დაახლოება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის სტუდენტებისა და სტუდენტობის გარეშე არსებული ამ ჯგუფის წარმომადგენლებისა? განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ სტუდენტობის გარევოლუციურებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სავსებით გარკვეული შეხედულება არსებობს ამ გარევოლუციურების შინაარსსა და ხასიათზე? მაგალითად, სოციალ-დემოკრატისთვის ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი,

სოციალ-დემოკრატიულ რწმენათა გავრცელებას სტუდენტობაში და ბრძოლას იმ შეხედულებებთან, რომელთაც თუმცა «სოციალისტურ-რევოლუციურს» უწოდებენ, მაგრამ რევოლუციურ სოციალიზმთან საერთო არაფერი აქვთ, მეორე, ეს ნიშნავს მისწრაფებას — გააფართოო, უფრო შეგნებული და უფრო გაბედული გახადო სტუდენტობის ყოველგვარი დემოკრატიული, მათ შორის აკადემიური მოძრაობაც.

როგორ მოხდა, რომ ასეთი უბრალო და ნათელი საკითხი დაიხლართა და სადავო აღმოჩნდა, — ეს მეტად საინტერესო და მეტად დამახასიათებელი ეპიზოდია. დავა გაჩაღებული იყო «რევოლუციონნაია როსსიასა» (№№ 13 და 17) და «ისკრას» (№№ 31 და 35) შორის გაერთიანებულ სათვისტომოთა და სტუდენტთა ორგანიზაციების კიევის კავშირის საბჭოს «ღია წერილის» გამო (დაიბეჭდა «რევოლუციონნაია როსსიას» № 13-ში და «სტუდენტის» № 1-ში). კიევის კავშირის საბჭომ «ვიწროდ» მიიჩნია სტუდენტთა 1902 წლის სრულიად რუსეთის II ყრილობის დადგენილება იმის შესახებ, რომ სტუდენტთა ორგანიზაციებს ურთიერთობა ჰქონდეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტებთან, ამავე დროს სრულიად აშკარა ფაქტი ზოგიერთი ადგილის სტუდენტობის ერთი ნაწილის თანაგრძნობისა «სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისადმი» მოხერხებულად მიჩქმალულ იქნა ფრიად «პირუთვნელი» და ფრიად უმწეო მსჯელობით იმ თემაზე, რომ «სტუდენტობას, როგორც ასეთს, არ შეუძლია მთლიანად მიეკედლოს არც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას და არც სოციალ-დემოკრატთა პარტიას». «ისკრამ» აღნიშნა ასეთი მსჯელობის უმწეობა, ხოლო «რევოლუციონნაია როსსიამ», რასაკვირველია, თავგამოდებით დაიწყო მისი დაცვა და «დაქსაქსვისა და გათიშვის» ისკრელ «ფანატიკოსებს» «უტაქტობა», პოლიტიკური მოუმწიფებლობა დასწამა.

ზემოთქმულის შემდეგ ასეთი მსჯელობის შეუსაბამობა უკვე მეტისმეტად ცხადია. ლაპარაკია სტუდენტობის ამა თუ იმ პოლიტიკურ როლზე. და აი ჯერ საჭირო ყოფილა თვალის დახუჭვა იმაზე, რომ სტუდენტობა არ არის მოწყვეტილი და-

ნარჩენ საზოგადოებას და ამიტომ მუდამ და უცილობლად გამოხატავს საზოგადოების მთელ პოლიტიკურ დაჯგუფებას. შემდეგ კი, თვალდახუჭულნი, იწყებენ ლაყბობას სტუდენტობაზე, როგორც ასეთზე, ანდა სტუდენტობაზე საერთოდ. ვღებულობთ დასკვნას... რომ მავნებელია განცალკევება და გათიშვა, რასაც იწვევს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან შეერთება. დღესავით ნათელია, რომ ამ კურიოზული მსჯელობის ბოლომდე მისაყვანად საჭირო იყო პოლიტიკური ნიადაგიდან პროფესიულ ან სასწავლო ნიადაგზე გადახტომა. და «რევოლუციონნაია როსსიაც» სტატიაში «სტუდენტობა და რევოლუცია» (№ 17) სწორედ ასეთს სალტო-მორტალეს აკეთებს და თან იმოწმებს, ჯერ-ერთი, სტუდენტობის საერთო ინტერესებს, სტუდენტობის საერთო ბრძოლას, ხოლო, მეორეც, სტუდენტობის სასწავლო მიზნებს, მომავალი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადების ამოცანებს, შეგნებულ პოლიტიკურ მებრძოლთა აღზრდის ამოცანებს. ორივე ეს დამოწმება ფრიად სამართლიანია, — მხოლოდ ეს საქმეს არ ეხება და საკითხს კი აბუნდოვანებს. საკითხი დგას პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მოღვაწეობის შესახებ, რაც, თავისი არსებით, განუყრელად დაკავშირებულია პარტიათა ბრძოლასთან და გარდუვალად მოითხოვს ერთი განსაზღვრული პარტიის ა რ ჩ ე ვ ა ს. მაშ როგორ შეიძლება ასეთ არჩევანს თავი აარიდო იმით, რომ ყ ო ვ ე ლ ი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საჭიროა ფრიად სერიოზული მეცნიერული მომზადება, მტკიცე რწმენის «გამომუშავებაო», ანდა იმით, რომ ყ ო ვ ე ლ ი პოლიტიკური მუშაობა მარტოოდენ ამა თუ იმ მიმართულების პოლიტიკოსთა წრეებით კი არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ უნდა შეიჭრას მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ფენებში, უნდა დაუკავშირდეს თვითეული ფენის პროფესიულ ინტერესებს, პროფესიული მოძრაობა უნდა შეუერთოს პოლიტიკურ მოძრაობას, პირველი უნდა აამაღლოს მეორემდე?? მარტო ის ფაქტი, რომ თავიანთი პოზიციის დასაცავად ადამიანებს უხდებათ ასეთს მომიზეზებას მიმართონ, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენად მოკლებულნი არიან თვით ისინი გარკვეულ მეცნიერულ რწმენასაც და მტკიცე

პოლიტიკურ ხაზსაც! რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ საქმეს, თქვენ ხედავთ იმ ძველი ჭეშმარიტების ახალ და ახალ დადასტურებას, რომელსაც დიდი ხანია ჰქადაგებენ სოციალ-დემოკრატები, როდესაც ებრძვიან სოციალისტ-რევოლუციონერთა ეკვილიბრისტიკას მეცნიერულ-თეორიულადაც და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც, — ებრძვიან ქანაობას, ერთი მხრივ, მარქსიზმსა, მეორე მხრივ, დასავლეთ-ევროპულ «კრიტიკულ» ოპორტუნიზმსა და, მესამე მხრივ, წვრილბურჟუაზიულ ნაროდნიკობას შორის*.

მართლაც, წარმოიდგინეთ რაოდენადმე განვითარებული პოლიტიკური ურთიერთობანი და შეხედეთ ჩვენი «სადავო საკითხის» პრაქტიკულ დაყენებას. დავუშვათ, რომ ჩვენს წინაშეა კლერიკალების, ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების პარტიები. ისინი მოქმედებენ განსაზღვრულ ადგილებში, ვთქვათ, სტუდენტობის და თუნდაც მუშათა კლასის ზოგიერთ ფენაში. ისინი ცდილობენ თავის მხარეზე გადაიბირონ ორივე ფენის ყველაზე გავლენიან წარმომადგენელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. იბადება კითხვა, შესაწყნარებელია განა ასეთი ამბავი, რომ ამ წარმომადგენელთა მიერ ერთი რომელიმე გარკვეული პარტიის არჩევის წინააღმდეგ გაილაშქრონ ამ პარტიებმა იმ მოსაზრებით, რომ არსებობს მთელი სტუდენტობის და მთელი მუშათა კლასის საერთო სასწავლო და პროფესიული ინტერესებიო? ეს იმას ემსგავსებოდა, რომ პარტიათა ბრძოლის აუცილებლობა სადავოდ გაეხადათ წიგნის ბეჭდვის ხელოვნების დამოწმებით, რასაც ესოდენი სარგებლობა მოაქვს განურჩევლად ყველა პარტიისთვის. არ არსებობს არც ერთი პარტია ცივილიზებულ ქვეყნებში, რომელსაც არ ესმოდეს რაც შეიძლება ფართოდ და მტკიცედ დაყენებული სასწავლო და პროფესიული კავშირების უდიდესი სარგებლობა, მაგრამ ყოველი პარტია იმას ცდი-

---

* თავისთავად ცხადია, რომ დებულება სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამისა და ტაქტიკის არათანამიმდევრობისა და შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ მოითხოვს განსაკუთრებულ საფუძვლიან განმარტებას. ჩვენ ვიმედოვნებთ ერთ-ერთ შემდგომ წერილში ვრცლად შევჩერდეთ ამ საკითხზე.

ლობს, რომ ამ კავშირებში სწორედ მისი გავლენა სჭარბობ-
დეს. ვინ არ იცის, რომ ამა თუ იმ დაწესებულების უპარტი-
ულობის დამოწმება მხოლოდ თვალთმაქცური ფრაზაა მმართ-
ველ კლასთა მხრივ, რომელთაც სურთ მიჩქმალონ ის გარე-
მოება, რომ არსებული დაწესებულებები ასიდან 99 შემთხვე-
ვაში გარკვეული პოლიტიკური სულისკვეთებით არიან გამსჭვა-
ლული? ხოლო ჩვენი ბატონი სოციალისტ-რევოლუციონე-
რები ხომ არსებითად სწორედ «უპარტიულობას» უმღერიან
დიფირამბებს. აიღეთ, მაგალითად, «რევოლუციონნაია როს-
სიას» (№ 17) ასეთი მგრძნობიარე ტირადა: «ეს რა ბეცი
ტაქტიკაა, როცა რევოლუციურ ორგანიზაციას ყოველი სხვა
დამოუკიდებელი, მისდამი დაუქვემდებარებელი ორგანიზა-
ცია სურს წარმოიდგინოს კ ო ნ კ უ რ ე ნ ტ ა დ, რომელიც გა-
ნადგურებულ უნდა იქნას და რომელშიც უსათუოდ შეტანილ
უნდა იქნას გათიშვა, გაყოფა, დეზორგანიზაცია?». ეს ნათქვა-
მია მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის 1896
წლის მოწოდების გამო, ორგანიზაციისა, რომელიც სტუ-
დენტობას უსაყვედურებს, რომ ის უკანასკნელ წლებ-
ში ჩაიკეტა თავისი საუნივერსიტეტო ინტერესების ვიწ-
რო რკალშიო, და რომელსაც «რევოლუციონნაია როსსია» ჭკუ-
ას ასწავლის, სტუდენტთა ორგანიზაციის არსებობა არასდროს
არ უშლის ხელს იმათ, «ვინც გარკვეული რევოლუციური სახე
მიიღო», რომ თავისი ძალღონე მუშათა საქმეს მოახმაროსო.

დაუკვირდით, რამდენი არევ-დარევაა აქ. კონკურენცია
შესაძლებელია (და აუცილებელია) მხოლოდ პოლიტიკურ
ორგანიზაციასა და პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის, პოლი-
ტიკურ მისწრაფებასა და პოლიტიკურ მისწრაფებას შორის.
ურთიერთდამხმარე საზოგადოებასა და რევოლუციურ წრეს
შორის კონკურენცია შეუძლებელიაო, და როცა «რევოლუ-
ციონნაია როსსია» უკანასკნელს მიაწერს პირველის უეჭველი
მოსპობის სურვილს, იგი აშკარა სისულელეს ლაპარაკობს.
მაგრამ თუ იმავე ურთიერთდამხმარე საზოგადოებაში თავი
იჩინა გარკვეულმა პოლიტიკურმა მისწრაფებამ, — მაგალი-
თად, არ დაეხმარონ რევოლუციონერებს ან ბიბლიოთეკები-
დან ამოიღონ არალეგალური წიგნები, — მაშინ კონკურენცია

და პირდაპირი ბრძოლა ყოველი პატიოსანი «პოლიტიკოსისთვის» ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა. თუ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც წრეებს ზღუდავენ უნივერსიტეტის ვიწრო ინტერესებით (ასეთი ადამიანები კი უეჭველად მოიპოვებიან, ხოლო 1896 წელს ისინი ბევრად მეტი იყვნენ!), მაშინ ბ რ ძ ო ლ ა მათსა და იმ ადამიანებს შორის, რომელნიც ჭეადაგებენ ინტერესების არა შევიწროებას, არამედ გაფართოებას, ასევე აუცილებელი და სავალდებულოა. ხოლო კიევის საბჭოს ღია წერილში, რომელმაც «ისკრასთან» «რევოლუციონნაია როსსიას» პოლემიკა გამოიწვია, ლა. პარაკი იყო არჩევანზე არა სტუდენტთა და რევოლუციურ ორგანიზაციებს შორის, არამედ სხვადასხვა მიმართულების რევოლუციურ ორგანიზაციებს შორის. მაშასადამე, ა რ ჩ ე ვ ა სწორედ იმათ დაიწყეს, ვინც უკვე «გარკვეული რევოლუციური სახე მიიღო», ხოლო ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერები» უ კ ა ნ ე წ ე ვ ი ა ნ მათ იმ საბაბით, რომ კონკურენცია რევოლუციურ და წმინდა სტუდენტურ ორგანიზაციას შორის სიბეცეაო... ეს დიდი აბდაუბდაა, ბატონებო!

სტუდენტობის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ მ ა ნაწილმა არჩევანი დაიწყო ორ რევოლუციურ პარტიას შორის, მას კი ასეთი ჭკუის სწავლებით უმასპინძლდებიან: «ამ გავლენას», ე. ი. სტუდენტობის სოციალისტური ნაწილის გავლენას დანარჩენ ნაწილზე, «აღწევდნენ არა გარკვეული» (რა თქმა უნდა, უმჯობესია გაურკვევლობა...) «პარტიული იარლიყის» (ზოგისთვის იარლიყია და ზოგისთვის — დროშა) «თავზე მოხვევით», «არა ამხანაგ-სტუდენტთა გონებრივ სინდისზე ძალადობითო» (ყველა ქვეყნის მთელი ბურჟუაზიული პრესა სოციალ-დემოკრატიის ზრდას მუდამ იმით ხსნის, რომ წინამძღოლნი და წამსისიანებელნი ძალადობას ახდენენ მშვიდობიან ამხანაგთა სინდისზეო...). მე ვფიქრობ, ყოველი რიგიანი სტუდენტი ღირსეულად შეაფასებს ამ ბრალდებას სოციალისტების მიმართ — იარლიყებს «ახვევენ თავს» და «ძალადობას ახდენენ სინდისზეო». და ასეთ უხასიათო, მოდუნებულ

და უპრინციპო სიტყვებს ამბობენ რუსეთში, სადაც ჯერ კიდევ ასე უსაზღვროდ სუსტია პარტიული ორგანიზაციის, პარტიული სიმტკიცისა და პატიოსნების, პარტიული დროშის ცნებები!

ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერები» რევოლუციურ სტუდენტობას ნიმუშად უყენებენ წინანდელ სტუდენტთა ყრილობებს, რომელნიც «სოლიდარობას» უცხადებდნენ «საერთო-პოლიტიკურ მოძრაობას და სრულიად უგულებელყოფდნენ რევოლუციურ ბანაკში არსებულ ფრაქციულ უთანხმოებას». რა არის «საერთო-პოლიტიკური» მოძრაობა? ეს არის სოციალისტური მოძრაობა პლუს ლიბერალური მოძრაობა. ამ განსხვავების უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ დადგე უშუალო და უახლოესი, ე. ი. სწორედ ლიბერალური მოძრაობის მხარეზე. და აქეთკენ მოგვიწოდებენ «სოციალისტ-რევოლუციონერები»! პარტიული ბრძოლისაგან ჩამოშორებისაკენ მოგვიწოდებენ ის ადამიანები, რომელნიც თავიანთ თავს ცალკე პარტიას უწოდებენ! განა ეს იმის მაჩვენებელი არ არის, რომ ასეთს პარტიას არ ძალუძს თავისი პოლიტიკური საქონელი თავისი საკუთარი ბაირაღით გაატაროს და იძულებულია კონტრაბანდას მიმართოს? განა აქედან ცხადი არ არის, რომ ეს პარტია მოკლებულია თ ა ვ ი ს რაიმე გარკვეულ პროგრამულ ბაზისს? ამას ახლავე დავინახავთ.

სტუდენტობასა და რევოლუციაზე სოციალისტ-რევოლუციონერების მსჯელობის შეცდომები არ შეიძლება აიხსნას მარტო ულოგიკობით, რომლის დამტკიცებას ჩვენ ზემოთ ვცდილობდით. რაოდენადმე შეიძლება ამის საწინააღმდეგოს მტკიცება: მათი მსჯელობის ულოგიკობა მათი ძირითადი შეცდომიდან გამომდინარეობს. როგორც «პარტიამ», მათ თავიდანვე ისეთი შინაგანად წინააღმდეგობრივი, ისეთი მოლიპული პოზიცია დაიკავეს, რომ სავსებით პატიოსან და პოლიტიკური აზროვნების სავსებით უნარმქონე ადამიანებს ამ მოლიპულ პოზიციაზე თავის შემაგრება არ შეეძლოთ, მუდამ რყევაში იყვნენ და წარამარა ეცემოდნენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალ-დემოკრატია ამა თუ იმ მწერლების, ამა

თუ იმ მოღვაწეების სხვადასხვა შეცდომით კი არა ხსნის იმ ზიანს, რომელსაც «სოციალისტ-რევოლუციონერები» აყენებენ სოციალიზმის საქმეს, არამედ, პირიქით, ყველა ამ შეცდომას იგი თვლის ყალბი პროგრამული და პოლიტიკური პოზიციის აუცილებელ შედეგად. ისეთ საკითხში, როგორც სტუდენტთა საკითხია, ეს სიყალბე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აშკარავდება და ცხადი ხდება წინააღმდეგობა ბ ურ ჟ უ ა-ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ თვალსაზრისსა და რევოლუციური სოციალიზმის ზიზილ-პიპილებიან სამოსელს შორის. მართლაც, ჩაუკვირდით «რევოლუციონნაია როსსიას» პროგრამული სტატიის — «სტუდენტობა და რევოლუცია» — აზრის მსვლელობას. ავტორი სტატიას საფუძვლად უდებს «ახალგაზრდობის» «მისწრაფებათა უანგარობას და უმწიკვლობას», «იდეალური მოტივების ძალას». სწორედ ამაში ეძებს ავტორი ახალგაზრდობის «ნოვატორულ» პოლიტიკურ მისწრაფებათა ახსნას და არა რუსეთის საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების იმ რეალურ პირობებში, რომლებიც, ერთი მხრივ, წარმოშობენ შეურიგებელ წინააღმდეგობას თვითმპყრობელობასა და მოსახლეობის ფრიად ფართო და ფრიად სხვადასხვაგვაროვან ფენებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, — მეტისმეტად აძნელებენ (მალე უკვე უნდა ვთქვათ ხოლმე: აძნელებდნენ) პოლიტიკური უკმაყოფილების სხვაგვარად გამოხატვას, თუ არა უნივერსიტეტების საშუალებით.

ავტორი შემდეგ ილაშქრებს სოციალ-დემოკრატების ცდების წინააღმდეგ, რომ შეგნებულად მოეკიდონ სტუდენტობის შიგნით პოლიტიკური ჯგუფების სხვადასხვაობას, უფრო. შეამჭიდროონ ერთგვაროვანი პოლიტიკური ჯგუფები და გააცალკეონ ის, რაც პოლიტიკურად სხვადასხვაგვაროვანია. ავტორი ამა თუ იმ ცდის უსწორობას კი არ აკრიტიკებს, — სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ყველა ეს ცდა ყველაფერში ყოველთვის სწორი იყოს. არა, ავტორისთვის სრულიად უცხოა თვით იდეა, რომ კლასობრივი ინტერესების სხვადასხვაობამ აუცილებლად გავლენა უნდა მოახდინოს პოლიტიკურ დაჯგუფებაზეც, რომ სტუდენტობა არ შეიძლება გამონაკლისს შეადგენდეს მთელ საზოგადოებაში, მიუხედა-

ვად მთელი თავისი უანგარობისა, უმწიკვლობისა, იდეალურობისა და სხვ., რომ სოციალისტის ამოცანას შეადგენს არა ამ განსხვავების მიფუჩეჩება, არამედ, პირიქით, მისი განმარტება რაც შეიძლება უფრო ფართო მასისთვის და მისი დამკვიდრება პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ავტორი საგნებს განიხილავს ბურჟუაზიული დემოკრატის იდეალისტური თვალსაზრისით და არა სოციალ-დემოკრატის მატერიალისტური თვალსაზრისით.

ამიტომ ავტორს არ რცხვენია წამოაყენოს და გაიმეოროს რევოლუციური სტუდენტობის მოწოდება «საერთო-პოლიტიკური მოძრაობისაკენ». მისთვის სიმძიმის ცენტრი ძევს სწორედ საერთო-პოლიტიკურ, ე. ი. საერთო-დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელიც ერთიანი უნდა იყოს. ეს ერთიანობა არ უნდა დაარღვიონ «წმინდა რევოლუციურმა წრეებმა», რომლებიც უნდა ჯგუფდებოდნენ «სტუდენტთა საერთო ორგანიზაციის პარალელურად». ამ ფართო და ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის ინტერესთა თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დანაშაულობაა პარტიული იარლიყების «თავზე მოხვევა» ამსანაგებისთვის და მათს გონებრივ სინდისზე ძალდატანება. სწორედ ასე უყურებდა საქმეს ბურჟუაზიული დემოკრატია 1848 წელსაც, როცა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობაზე მითითების ცდები «განცალკევებისა და გათიშვის ფანატიკოსთა» «საყოველთაო» გაკიცხვას იწვევდა. სწორედ ასეთი შეხედულებისაა ბურჟუაზიული დემოკრატიის უახლესი სახესხვაობაც, —ოპორტუნისტები და რევიზიონისტები, ესენი მოუთმენლად ელოდებიან ერთიან დიდ დემოკრატიულ პარტიას, რომელიც მშვიდობიანად გასწევს წინ რეფორმების გზით, კლასთა თანამშრომლობის გზით. ყველა ესენი ყოველთვის იყვნენ და არც შეიძლება არ იყვნენ «ფრაქციული» უთანხმოების მტრები და «საერთო-პოლიტიკური» მოძრაობის მომხრენი.

ხომ ხედავთ: სოციალისტ-რევოლუციონერების მსჯელობანი, სასაცილოდ შეუსაბამო და წინააღმდეგობის შემცველი სოციალისტის თვალსაზრისით, სავსებით გასაგები და თანა-

მიმდევარი ხდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისით. ეს იმიტომ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია არსებითად ბურჟუაზიული დემოკრატიის ფრაქციაა, და მეტი არაფერი, ფრაქცია, რომელიც თავისი შემადგენლობით უმთავრესად ინტელიგენტურია, თვალსაზრისით — უმთავრესად წვრილბურჟუაზიული, თეორიული მრწამსით — უახლესი ოპორტუნიზმისა და მამაპაპური ნაროდნიკობის ეკლექტიკურად შემაერთებელი.

ბურჟუაზიული დემოკრატის გამაერთიანებელი ფრაზეოლოგიის საუკეთესო უარყოფას წარმოადგენს თვით პოლიტიკური განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობა. რუსეთში ნამდვილი მოძრაობის ზრდამ უკვე მიგვიყვანა ასეთ უარყოფამდე. მე მხედველობაში მაქვს «აკადემისტების» გამოყოფა სტუდენტობის ცალკე ჯგუფად. ვიდრე ნამდვილი ბრძოლა არ იყო, აკადემისტები არ განირჩეოდნენ «სტუდენტთა საერთო» მასიდან, და სტუდენტობის მთელი «მოაზროვნე ნაწილის» «ერთიანობა» თითქოს ურღვევი ჩანდა. როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, — სხვადასხვაგვაროვან ელემენტთა გათიშვა უცილობელი გახდა*.

პოლიტიკური მოძრაობისა და თვითმპყრობელობაზე პირდაპირი იერიშის პროგრესი მაშინვე აღინიშნა პოლიტიკური დაჯგუფების გარკვეულობის პროგრესით, — მიუხედავად ყოველგვარი ლაყბობისა ყველას და თვითეულის გაერთიანების შესახებ. არა მგონია ვინმემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ აკადემისტებისა და პოლიტიკოსების გაყოფა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს გაყოფა იმას, რომ სოციალ-დემოკრატი სტუდენტები «კავშირს გაწყვეტენ» აკადემისტებთან? «რევოლუციონნაია როსსიას» ჰგონია, რომ ამას ნიშნავს (იხ. № 17, გვ. 3).

* თუ ზოგიერთ ცნობას დავუჯერებთ, უკანასკნელ დროს უფრო და უფრო ძლიერ იჩინა თავი სტუდენტობის სხვადასხვაგვაროვან ელემენტთა შემდგომმა გათიშვამ, სახელდობრ, სოციალისტების გამოყოფამ პოლიტიკოს-რევოლუციონერებისაგან, რომელთაც სოციალიზმის ხსენებაც კი არა სურთ. ამბობენ, ციმბირში გადასახლებულ სტუდენტებს შორის ამ უკანასკნელ მიმართულებას მეტად გარკვეულად უჩენია თავი. ვნახოთ, დადასტურდება თუ არა ეს ცნობა.

მაგრამ ეს მას ჰგონია იმ აბნეულობის გამო, რომელიც ჩვენ ზემოთ გამოვააშკარავეთ. პოლიტიკურ მიმართულებათა სრული გამიჯვნა სრულიადაც არ ნიშნავს პროფესიული და სასწავლო კავშირების «გათიშვას». სოციალ-დემოკრატი, რომელიც ამოცანად დაისახავს სტუდენტობაში მუშაობას, უ ს ა თ უ ო დ შეეცდება შეიჭრას თვითონ ან თავისი აგენტების საშუალებით რაც შეიძლება უფრო ფართო «წმინდა სტუდენტურ» და თვითგანათლების რაც შეიძლება მეტ წრეში, შეეცდება გააფართოოს მათი ჰორიზონტი, ვინც მოითხოვს მხოლოდ აკადემიურ თავისუფლებას, შეეცდება -გასწიოს სწორედ სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროპაგანდა» იმათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ეძებს რაიმე პროგრამას.

დასკვნა. სტუდენტობის განსაზღვრულ ნაწილს სურს შეიმუშაოს გარკვეული და მთლიანი სოციალისტური მსოფლმხედველობა. ამ მოსამზადებელი მუშაობის საბოლოო მიზანი შეიძლება იყოს რევოლუციურ წრეში ამჟამად ჩამოყალიბებული ორი მიმართულებიდან ერთ-ერთის მხოლოდ შეგნებულად და მტკიცედ არჩევა იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც სურთ პრაქტიკულად მიიღონ მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში. ვინც პროტესტს აცხადებს ასეთი არჩევანის წინააღმდეგ სტუდენტობის იდეური გაერთიანების გულისთვის, საერთოდ მისი გარევოლუციურების გულისთვის და სხვ., — ის აბნელებს სოციალისტურ შეგნებას, ნამდვილად ის მხოლოდ უიდეობას ჰქადაგებს. სტუდენტობის პოლიტიკური დაჯგუფება არ შეიძლება არ ასახავდეს მთელი საზოგადოების პოლიტიკურ დაჯგუფებას, და ყოველი სოციალისტის მოვალეობაა — მიისწრაფოდეს სხვადასხვაგვაროვან პოლიტიკურ ჯგუფთა რაც შეიძლება უფრო შეგნებული და თანამიმდევარი გამიჯვნისაკენ. სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის მოწოდება, მიმართული სტუდენტობისადმი — «სოლიდარობა გამოუცხადონ საერთო-პოლიტიკურ მოძრაობას და სრულიად აერიდონ ფრაქციულ განხეთქილებას რევოლუციურ ბანაკში», — არსებითად არის მოწოდება — დ ა ვ ი ხ ი ო თ უ კ ა ნ, სოციალისტური თვალსაზრისიდან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისისაკენ და მეტი არაფერი. ამაში გასა-

კვირველი არაფერია, ვინაიდან «სოც.-რევ. პარტია» მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის ფრაქციაა რუსეთში. სოციალ-დემოკრატ სტუდენტის გათიშვა ყველა სხვა მიმართულების რევოლუციონერებთან და პოლიტიკოსებთან სრულიადაც არ ნიშნავს სტუდენტობის საერთო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან კავშირის გაწყვეტას; პირიქით, მხოლოდ სრულიად გარკვეული პროგრამის თვალსაზრისზე დგომით შეიძლება და უნდა ვიმუშაოთ სტუდენტობის უფართოეს წრეებში აკადემიური ჰორიზონტის გაფართოებისათვის და მეცნიერული სოციალიზმის, ე. ი. მარქსიზმის პროპაგანდისათვის.

P. S.* შემდგომ წერილებში მე მინდა ვესაუბრო «სტუდენტის» მკითხველებს მარქსიზმის მნიშვნელობაზე მთლიანი მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სოც.-რევ. პარტიის პრინციპულ და ტაქტიკურ განსხვავებაზე, სტუდენტთა ორგანიზაციის საკითხებზე და სტუდენტობის დამოკიდებულებაზე საერთოდ მუშათა კლასისადმი.

დაიბეჭდა 1903 წლის სექტემბერს
გაზეთ «სტუდენტის» № 2—3-ში
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 7, გვ. 35—53

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

რევოლუციური რიგის ულტიმატუმი

გერმანული გაზეთები, რომელნიც ჩვეულებრივ დიდ ყურადღებას აქცევენ ოსტზეის მხარის ამბებს, შემდეგს საგულისხმო ფაქტს მოგვითხრობენ. რიგის პოლიტექნიკუმში საქმე ისე მიდის, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში: სტუდენტთა კრებები პოლიტიკურ მიტინგებად გადაიქცნენ. სტუდენტები რევოლუციის მებრძოლ ძალად ირაზმებიან. ლიბერალური ბობოლები იღრიჯებიან და ბუზღუნებენ თავისთვის მთავრობის სისუსტის გამო. მაგრამ ლიფლანდიაში ბატონ მემამულეებს იმდენად გაუჭირდათ, რომ გადაჭრით შეუღგნენ თავიანთი მამულების შეიარაღებული დაცვის ორგანიზაციას, რადგან იმედი აღარა აქვთ მთავრობისა, რომელიც ვერ უმკლავდება ვერც გლეხებს, ვერც მუშებს, ვერც სტუდენტებს. ოსტზეის ბარონები სერიოზულად აწყობენ სამოქალაქო ომს: ისინი პირდაპირ ქირაობენ მთელ რაზმებს, აიარაღებენ მათ კარგი თოფებით და ანაწილებენ თავიანთ ვეებერთელა მამულებში. და აი, აღმოჩნდა, რომ ოსტზეის მხარის გერმანელ სტუდენტ-კორპორანტთა ნაწილი ასეთ რაზმებში ჩაეწერა! რასაკვირველია, ლატვიელმა და რუსმა სტუდენტობამ არათუ ბოიკოტი გამოუცხადა ამ სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილ შავრაზმელებს, არამედ საგანგებო კომისიაც კი დანიშნა საქმის გამოსაძიებლად მემამულეთა შავ რაზმებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ. ამ კომისიის ორი წევრი გაიგზავნა სოფლად გლეხებში ცნობების შესაკრებად. მთავრობამ დააპატიმრა ორივე დელეგატი და რიგის საპყრობილეში გადაგზავნა.

ზაშინ ლატვიელი და რუსი სტუდენტები ფეხზე დადგნენ. გაიმართა უზარმაზარი კრება. მიიღეს უაღრესად გადამწყვეტი რეზოლუცია. მოიწვიეს პოლიტექნიკუმის დირექტორი და მოსთხოვეს დაუყოვნებლივ ზომების მიღება დაპატიმრებულთა გასათავისუფლებლად. რეზოლუცია დაასრულეს პირდაპირი ულტიმატუმით: თუ სამი დღის განმავლობაში დანიშნულ საათზე დაპატიმრებულნი არ იქნებიან განთავისუფლებული, მაშინ სტუდენტები რიგის მუშების დახმარებით შესძლებენ მათს განთავისუფლებას ყოველგვარი საშუალებით.

ამ დროს გუბერნატორი რიგაში არ იყო, ის წასული იყო პიტერში გენერალ-გუბერნატორის რწმუნებათა გამოსათხოვაღ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი შეშინდა და დიპლომატიურად «დაიძვრინა» თავი. მან გამოიწვია (ასე მოგვითხრობს «Vossische Zeitung»-ი* 20 ოქტომბრის თარიღით ახ. სტ.) დირექტორი და ორივე დაპატიმრებული ღა ჰკითხა უკანასკნელთ, იცით თუ არა თქვენი მოქმედების უკანონობაო. მათ, რა თქმა უნდა, უპასუხეს, რომ არაფერს უკანონოს არ ხედავენ მასში. მაშინ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, ვითომ რიგის ერთი გაზეთის სიტყვით, დაჟინებით ურჩევია მათთვის თავი შეეკავებინათ ესოდენ უკანონო მოქმედებისაგან და — ორივე გაუთავისუფლებია.

«სტუდენტობის თვალში,— სევდიანად დასძენს ოსტზეელი ბარონების მოყვარული კორესპონდენტი, — და მათ უკან მდგომი მასის თვალშიც მთავრობამ ქედი მოიხარა ულტიმატუმის წინაშე. არც გარეშე მაყურებლებს შეეძლოთ ასეთივე შთაბეჭდილება არ გამოეტანათ».

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 502 — 503

---

* — «ფოსის გაზეთი». რ ე დ.

მდგომარეობის გაფფვავება რუსეთში

ამ სათაურით ბერლინის ლიბერალური გაზეთი «Vossische Zeitung»-ი* ათავსებს შემდეგს საკმაოდ საინტერესო ცნობას:

«შეუზერებელი ძალით ვითარდება ამბები მეფეთა იმპერიაში. ყოველი პირუთვნელი მეთვალყურისათვის აშკარაა, რომ არც მთავრობა და არც რომელიმე ოპოზიციური თუ რევოლუციური პარტია არ არის მდგომარეობის ბატონ-პატრონი. უდროოდ გარდაცვლილი თავადი ტრუბეცკოი და უმაღლეს სასწავლებელთა სხვა პროფესორები ამაოდ ცდილობდნენ დაეჯერებინათ რუსეთის სტუდენტობა არ დასდგომოდა იმ სახიფათო გზას, რომელზე სვლითაც მან გადაწყვიტა უნივერსიტეტები გადააქციოს პოლიტიკური სახალხო კრებების ადგილებად. სტუდენტებმა ენთუზიაზმით სცეს პატივი ტრუბეცკოის ხსოვნას, მასობრივად გააცილეს მისი ნეშტი სასაფლაოზე, მისი გასვენება დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადააქციეს, მაგრამ მისი რჩევა, რომ არ შეეშვათ გარეშე ელემენტები უნივერსიტეტში, არ შეისმინეს. როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისე სამთო აკადემიასა და პოლიტექნიკუმში იმართება გიგანტური სახალხო კრებები, რომლებზედაც სტუდენტები ხშირად უმცირესობას შეადგენენ და რომლებიც დილაადრიან იწყება და გვიან საღამომდე გრძელდება. წარმოთქვამენ მხურვალე, მგზნებარე სიტყვებს, ამბობენ რევოლუციურ სიმღერებს. გარდა ამისა, იქ საშინლად აგინებენ ლიბერალებს, განსაკუთრებით მათი «ორჭოფობისათვის», რომელიც შემთხვევით კი არ მოსდგამს რუსულ ლიბერალიზმს, არამედ ვითომც განპირობებულია მარადიული ისტორიული კანონებითო.

ამ საყვედურში რაღაც დიდად ტრაგიკული რამ იმალება. მიუხედავად მისი ისტორიული დასაბუთებისა, იგი ნამდვილად უკვე იმიტომაა სრულიად არაისტორიული, რომ რუსეთის ლიბერალებს არავითარი შესაძლებლობაც კი არა აქვთ გამოიჩინონ რაიმე ორჭოფობა, რომელსაც ოდ-

* — «ფოსის გაზეთი». რ ე დ.

ნავ მაინც შეეძლოს ავნოს განთავისუფლების საქმეს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ყველა პარტიისთვის. არა ლიბერალების საქმეები, არამედ მათი ტანჯვანი აფერხებენ მათი ცხოვრების გზას. მთავრობა ისევე უმწეოა (ხაზგასმა ორიგინალისაა) ამ ამბების წინაშე, როგორც უმწეოა იგი მუშათა არეულობის წინაშეც და საერთო მღელვარების წინაშეც. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, იგი კვლავ აპირებს ძლიერ სისხლისღვრას, და უცდის მხოლოდ იმ მომენტს, როცა მოძრაობა მომწიფდება კაზაკთა იერიშისათვის. მაგრამ საქმე აქამდეც რომ მივიდეს, მაინც ხელისუფალთაგან არავინ არაა დარწმუნებული, რომ ეს არ გამოიწვევს უკმაყოფილების კიდევ უფრო ძლიერ აფეთქებას. გენერალ ტრეპოვსაც კი აღარა სწამს უკვე თავისი საქმე. თავის მეგობრებს ის აღარ უმალავს, რომ თავს სასიკვდილოდ განწირულად თვლის და არავითარ დადებითს შედეგს არ მოელის თავისი მართვა-გამგეობისაგან. ის ამბობს: «მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ და ბოლომდე შევასრულებ მასაო».

ცუდად ყოფილა მეფის ტახტის საქმე, თუ პოლიციის მეთაური ასეთ დასკვნებამდე მიდის. და მართლაც, არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ, მიუხედავად ტრეპოვის ყოველგვარი ცდისა, მიუხედავად დაუსრულებელი კომისიებისა და კონფერენციების გახურებული მუშაობისა, დაძაბული მდგომარეობა წარსული წლიდან არათუ არ დაწყნარებულა, არამედ, პირიქით, გაძლიერდა. საითაც უნდა გაიხედოთ, მდგომარეობა ყველგან გაუარესდა და უფრო საშიშარი გახდა, საქმე ყველგან შესამჩნევად გამწვავდა».

ბევრი სიმართლეა ამ შეფასებაში, მაგრამ ბევრი ლიბერალური ჭკუანაკლებობაცაა. «ლიბერალებს არ შეეძლოთ გამოეჩინათ საქმისთვის მავნებელი ორჭოფობაო». აი თურმე რა ყოფილა! რატომღა შ ე ს ძ ლ ე ს მიუხედავად ამისა ამ საბრალო ლიბერალებმა თავის გამოჩენა უფრო აშკარად და თავისუფლად, ვიდრე სხვა პარტიებმა? არა! სტუდენტებს ამოქმედებს ჯანსაღი რევოლუციური ინსტინქტი, განმტკიცებული პროლეტარიატთან მათი ურთიერთობით, როცა ისინი გულმოდგინედ ემიჯნებიან კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს და სახელს უტეხენ ამ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს ხალხის თვალში. ხვალინდელ დღეს ჩვენთვის მოაქვს დიადი, მსოფლიო-ისტორიული ბრძოლები თავისუფლებისათვის. შესაძლებელია, თავისუფლებისათვის მებრძოლებმა ჯერ კიდევ არა ერთხელ განიცადონ დამარცხება. მაგრამ დამარცხებანი მხოლოდ უფრო და უფრო ღრმად შეანჯღრევენ მუშებსა და გლეხებს, კიდევ უფრო გაამწვავებენ კრიზისს,

კიდეკ უფრო მრისხანედ გახდიან თავისუფლების საქმის აუცილებელ საბოლოო გამარჯვებას. და ჩვენც ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ამ გამარჯვებას არ მიეტმასნონ მონარქისტული მემამულური ლიბერალიზმის ბურჟუაზიული წურბელები, რომ ამ გამარჯვებით არ ისარგებლონ უმთავრესად ბატონმა მსხვილმა ბურჟუებმა, როგორც არა ერთხელ მომხდარა ევროპაში. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ მუშებისა და გლეხების ეს გამარჯვება მიყვანილ იქნას ბოლომდე, თვითმპყრობელობის, მონარქიის, ბიუროკრატიის, სამხედრო ხროვის, ბატონყმობის ყველა საძულველ დაწესებულებათა სრულ განადგურებამდე. მხოლოდ ასეთი გამარჯვება მისცემს ხელში პროლეტარიატს ნამდვილ იარაღს, და მაშინ ჩვენ ცეცხლს დავანთებთ ევროპაში, რათა რუსეთის დემოკრატიული რევოლუცია ევროპის სოციალისტური გადატრიალების პროლოგად გადავაქციოთ.

«პროლეტარი» № 23,
1905 წ. 31 (18) ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 506 — 508

სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა[25]

პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტების გაფიცვა გამოცხადდა. გაფიცვას მთელი რიგი სხვა სასწავლებლები შეუერთდნენ. მოძრაობა უკვე მოედო მოსკოვსა და ხარკოვს. ყველა ცნობის მიხედვით, რაც კი მოიპოვება საზღვარგარეთულ თუ რუსულ გაზეთებში, აგრეთვე რუსეთიდან გამოგზავნილ კერძო წერილებში, ჩვენ საკმაოდ ფართო აკადემიური მოძრაობის ფაქტის წინაშე ვდგევართ.

უკან, წარსულისაკენ! უკან, რევოლუციამდელი რუსეთისაკენ, — აი უწინარეს ყოვლისა რას მოწმობენ ეს ამბები. მთავრობის რეაქცია წინანდებურად ავიწროებს უნივერსიტეტებს. თვითმპყრობელურ რუსეთში სტუდენტთა ორგანიზაციებთან მუდმივმა ბრძოლამ მიიღო ფორმა «პრემიერ» სტოლიპინის სრული თანხმობით მოქმედი შავრაზმელი მინისტრის შვარცის ლაშქრობისა 1905 წლის შემოდგომაზე სტუდენტებისათვის დაპირებული ავტონომიის წინააღმდეგ (რა არ «აღუთქვა» მაშინ თვითმპყრობელობამ რუსეთის მოქალაქეებს რევოლუციური მუშათა კლასის იერიშის ზეგავლენით!), — იმ ავტონომიის წინააღმდეგ, რომლითაც სტუდენტები სარგებლობდნენ, ვიდრე თვითმპყრობელობას «სტუდენტებისათვის არ ეცალა», და რომლის წართმევას არ შეეძლო არ შესდგომოდა თვითმპყრობელობა, რჩებოდა რა იგი თვითმპყრობელობად.

წინანდებურად სწუხს და ბუზღუნებს ლიბერალური პრესა, — ამჯერად ზოგიერთ ოქტიაბრისტთან ერთად, — სწუხან და წუწუნებენ ბატონი პროფესორები, ემუდარებიან მთავრობას — ნუ დაადგება რეაქციის გზას, გამოიყენოს საუცხოო

შემთხვევა იმისათვის, რომ «რეფორმებით უზრუნველყოს მშვიდობა და წესრიგი» «მღელვარებით განაწამებ ქვეყანაში»; — ემუდარებიან სტუდენტობას — არ მიმართოს მოქმედების უკანონო საშუალებებს, რომელნიც მხოლოდ რეაქციისათვის არის ხელსაყრელნიო და ა. შ., ა. შ. და ა. შ. რა ძველისძველი, გაცვეთილი ჰანგებია ყოველივე ეს და რა ცოცხლად წარმოგვიდგენენ ეს ჰანგები იმას, რაც იყო ამ ოციოდე წლის წინათ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს! მაშინდელი დროის მსგავსება ახლანდელ დროსთან განსაკუთრებით საოცარი ჩანს, თუ თანამედროვე მომენტი ავიღეთ ცალკე, რევოლუციის განვლილ სამ წელთან დაუკავშირებლად, ვინაიდან სათათბირო (პირველი შეხედვით) მხოლოდ ოდნავ სხვანაირად გამოხატავს ძალთა სავსებით იმავე რევოლუციამდელ თანაფარდობას: ბატონობას ველური მემამულისას, რომელსაც ურჩევნია ურთიერთობა სასახლესთან და ზემოქმედება თავის მოძმე მოხელის საშუალებით, ვიდრე ყოველგვარი წარმომადგენლობა; იმავე მოხელის მხარის დაჭერას სოვდაგრობის მიერ (ოქტიაბრისტებბ), რომელიც ვერ ბედავს დაშორდეს კეთილმყოფელ მამებს; — «ოპოზიციას» ბურჟუაზიული ინტელიგენციისას, რომელიც ყველაზე მეტად ზრუნავს თავისი ლოიალობის დამტკიცებისათვის და ამა ქვეყნის ძლიერთა შეგონებახ თვლის ლიბერალიზმის პოლიტიკურ მოღვაწეობად. სათათბიროს მუშათა დეპუტატები ძალიან, ძალიან სუსტად მოგვაგონებენ იმას, თუ რა როლი შეასრულა ახლახან პროლეტარიატმა თავისი აშკარა მასობრივი ბრძოლით.

კითხვა იბადება, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ასეთ პირობებში მივაკუთვნოთ მნიშვნელობა სტუდენტობის პრიმიტიულ-აკადემიური ბრძოლის ძველ ფორმებს? თუ ლიბერალები დაეშვნენ 80-იანი წლების «პოლიტიკამდე» (აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაცინვით შეიძლება პოლიტიკაზე ლაპარაკი), ხომ არ იქნება სოციალ-დემოკრატიის მხრივ თავისი ამოცანების დაკნინება, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს ასე თუ ისე მხარი დაუჭიროს აკადემიურ ბრძოლას?

ასეთ საკითხს, როგორც ეტყობა, აყენებენ აქა-იქ სოციალ-დემოკრატი სტუდენტები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გაზე-

თის რედაქციას მოუვიდა სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა ჯგუფის ერთი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

«13 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებამ დაადგინა — მოუწოდოს სტუდენტებს სტუდენტთა სრულიად რუსეთის გაფიცვისაკენ და თავისი მოწოდება დაასაბუთა შვარცის აგრესიული ტაქტიკით; გაფიცვის პლატფორმა აკადემიურია, კრება მიესალმება კიდეც მოსკოვისა და პეტერბურგის პროფესორთა საბჭოების «პირველ ნაბიჯებს» ავტონომიისათვის ბრძოლის საქმეში. ჩვენ საგონებელში გვაგდებს აკადემიური პლატფორმა, წამოყენებული პეტერბურგის კრების მიერ, და მიგვაჩნია იგი ახლანდელ პირობებში შეუწყნარებლად და ისეთ მოვლენად, რასაც არ შეუძლია გააერთიანოს სტუდენტობა აქტიური, ფართო ბრძოლისათვის. სტუდენტთა გამოსვლა ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს მხოლოდ როგორც საერთო პოლიტიკურ გამოსვლასთან კოორდინებული და ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოგვიდგენია განცალკევებულად. არ მოიპოვებიან ის ელემენტები, რომლებიც შესძლებდნენ სტუდენტობის გაერთიანებას. ამის გამო ჩვენ აკადემიური გამოსვლის წინააღმდეგი ვართ».

შეცდომას, რასაც სჩადიან წერილის ავტორები, გაცილებით მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რადგან ავტორების მსჯელობა არსებითად ეხება შეუდარებლად უფრო ფართო და მნიშვნელოვან თემას, ვიდრე არის ამ გაფიცვის მონაწილეობის საკითხი.

«სტუდენტთა გამოსვლა ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს მხოლოდ როგორც საერთო პოლიტიკურ გამოსვლასთან კოორდინებული. ამის გამო ჩვენ აკადემიური გამოსვლის წინააღმდეგი ვართ».

ასეთი მსჯელობა ძირფესვიანად შემცდარია. რევოლუციური ლოზუნგი — უნდა მიისწრაფვოდე, რათა სტუდენტთა პოლიტიკური გამოსვლა კოორდინებული იყოს პროლეტარიატთან, და ა. შ. — აქ იქცევა უფრო და უფრო ფართო, ყოველმხრივი, საბრძოლო აგიტაციის ცოცხალი სახელმძღვანელოს ნაცვლად მკვდარ დოგმად, რომელიც მექანიკურად შეეფარდება მოძრაობის სხვადასხვა ფორმის სხვადასხვა ეტაპს. საკმარისი როდია მხოლოდ გამოაცხადო პოლიტიკური კოორდინებული გამო-

სვლა და ამით გაიმეორო რევოლუციის გაკვეთილების «უკანასკნელი სიტყვა». უნდა შ ე გ ე ძ ლ ო ს გასწიო აგიტაცია პოლიტიკური გამოსვლისათვის და გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ამ აგიტაციისათვის ყველა შესაძლებლობა, ყველა პირობა და, უწინარეს ყოვლისა, ყველაზე მეტად ამა თუ იმ მოწინავე ელემენტების ყოველგვარი მასობრივი კონფლიქტები თვითმპყრობელობასთან. საქმე, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ ჩვენ წინასწარ გავყოთ სტუდენტთა ყოველგვარი მოძრაობა სავალდებულო «სტადიებად» და აუცილებლად ვადევნოთ თვალყური თვითეული სტადიის წესიერად გავლას იმის შიშით, ვაი, თუ «უდროოდ» გადავიდეთ პოლიტიკაზე და სხვ.. ამგვარი შეხედულება უაღრესად მავნე პედანტობა იქნებოდა და მხოლოდ ოპორტუნისტულ პოლიტიკამდე მიგვიყვანდა. მაგრამ ასევე მავნეა პირუკუ შეცდომა, როდესაც არ სურთ ანგარიში გაუწიონ ფაქტიურად შექმნილ მდგომარეობას და მოცემული მასობრივი მოძრაობის პირობებს ყალბად გაგებული გაქვავებული ლოზუნგის გულისათვის: ლოზუნგის ასეთი გამოყენება აუცილებლად გადაიქცევა რევოლუციურ ფრაზად.

შესაძლებელია ისეთი პირობები, როდესაც აკადემიური მოძრაობა აკნინებს პოლიტიკურ მოძრაობას ან ქსაქსავს მას ან გვაშორებს მისგან, და — მაშინ სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რა თქმა უნდა, ვალდებული არიან წარმართონ თავიანთი აგიტაცია ასეთი მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ ყველა ხედავს, რომ ახლანდელი მომენტის ობიექტური პოლიტიკური პირობები სხვანაირია: აკადემიური მოძრაობა გამოხატავს იმ მოსწავლე ახალგაზრდობის ახალი «ცვლის» მოძრაობის დ ა ს ა წ ყ ი ს ს, რომელიც მეტნაკლებად უკვე შეეჩვია ვიწრო ავტონომიას, ამასთან ეს მოძრაობა იწყება ისეთ ვითარებაში, როცა ამჟამად არ არის მასობრივი ბრძოლის სხვა ფორმები, იწყება დროებითი სიწყნარის ვითარებაში, როდესაც ფართო მასები განაგრძობენ რევოლუციის სამი წლის გამოცდილების მ ო ნ ე ლ ე ბ ა ს ჯერ ისევ ჩუმად, დაკვირვებით, ნელა.

ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატია დიდ შეცდომას ჩაიდენდა, თუკი იგი «აკადემიური გამოსვლის წინააღმდეგ»

გილაშქრებდა. არა, იმ სტუდენტთა ჯგუფებმა, რომლებიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან, მთელი ძალღონე უნდა მიმართონ მოცემული მოძრაობის მხარის დაჭერისა, გამოყენებისა და გაფართოებისაკენ. ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიის მიერ მოძრაობის პრიმიტიული ფორმებისათვის ყოველგვარი მხარის დაჭერა, ეს მხარის დაჭერაც უნდა მდგომარეობდეს ყველაზე მეტად და უმთავრესად იდეურ და ორგანიზაციულ ზეგავლენაში უფრო ფართო ფენებზე, რომელნიც აგზნებული არიან კონფლიქტით და კონფლიქტის ამ ფორმაში ძალიან ხშირად განიცდიან პ ი რ ვ ე ლ პოლიტიკურ კონფლიქტს. ეს იმიტომ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც უნივერსიტეტებში შესულია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, თითქმის სავსებით ცხოვრობდა პოლიტიკისაგან მოწყვეტილი ცხოვრებით და იზრდებოდა ვიწრო აკადემიური ავტონომიზმის სულისკვეთებით, იზრდებოდა არა მარტო ოფიციალური პროფესორებისა და მთავრობის პრესის მიერ, არამედ ლიბერალური პროფესორებისა და კადეტთა მთელი პარტიის მიერაც. ასეთი ახალგაზრდობისათვის ფართო გაფიცვა (თუკი ეს ახალგაზრდობა შეძლებს ფართო გაფიცვის მოწყობას! ჩვენ ყველაფერი უნდა მოვიმოქმედოთ, რომ დავეხმაროთ მას ამაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ, სოციალისტები, როდი ვთავდებებთ ამა თუ იმ ბურჟუაზიული მოძრაობის წარმატებას!) წარმოადგენს პოლიტიკური კონფლიქტის დასაწყისს, სულ ერთია, შეგნებული აქვთ ეს მებრძოლებს თუ არა. ჩვენი ამოცანაა განვუმარტოთ «აკადემიური» პროტესტანტების მასას ამ კონფლიქტის ობიექტური მნიშვნელობა, შევეცადოთ გავხადოთ ეს კონფლიქტი შ ე გ ნ ე ბ უ ლ პოლიტიკურ კონფლიქტად, გავაათკეცოთ სტუდენტობის სოც.-დემოკრატიული ჯგუფების სააგიტაციო მუშაობა და წ ა რ ვ მ ა რ თ ო თ მ თ ე ლ ი ეს მუშაობა იქითკენ, რომ შეითვისონ 3 წლის ისტორიის რევოლუციური დასკვნები, რომ შეიგნონ ახალი რევოლუციური ბრძოლის გარდუვალობა, რომ ჩვენი ძველი — მაგრამ მაინც სავსებით თანამედროვე — ლოზუნგები თვითმპყრობელობის დამხობისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისა

კვლავ გადაიქცნენ განხილვის საგნად და დემოკრატიის ახალ თაობათა პოლიტიკური კონცენტრაციის საშუალებად.

სოციალ-დემოკრატ სტუდენტებს არავითარ შემთხვევაში არა აქვთ უფლება უარი თქვან ასეთ მუშაობაზე,— და, რაც უნდა ძნელი იყოს ეს მუშაობა ამჟამად, რაც უნდა მარცხი შეემთხვეს ამა თუ იმ აგიტატორს ამა თუ იმ უნივერსიტეტში, სათვისტომოში, კრებაზე და ა. შ., ჩვენ ვიტყვით: უკაკუნებდეთ და განგეღოთ! პოლიტიკური აგიტაციის მუშაობა არასოდეს არ დაიკარგება ამაოდ. მისი წარმატება განიზომება არა მარტო იმით, შევძელით თუ არა ჩვენ ახლავე და ერთბაშად მიგვეღო უმრავლესობა ან კოორდინებული პოლიტიკური გამოსვლის თანხმობა. შესაძლოა, ჩვენ ამას ერთბაშად ვერ მივაღწევთ: იმიტომაც ვართ ორგანიზებული პროლეტარული პარტია, რომ დროებითმა წარუმატებლობამ არ შეგვაკრთოს, არამედ დაჟინებით, განუხრელად, მტკიცედ ვ ა წ ა რ მ ო ო თ ჩ ვ ე ნ ი მ უ შ ა ო ბ ა უაღრესად მძიმე პირობებშიც კი.

სანკტ-პეტერბურგის სტუდენტთა კოალიციური საბჭოს მოწოდება, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, გვიჩვენებს, რომ სტუდენტობის ყველაზე აქტიური ელემენტებიც კი დაჟინებით იცავენ წმინდა აკადემიზმს და ჯერ ისევ კადეტურ-ოქტიაბრისტულ ჰანგებს იმეორებენ. და ეს იმ დროს, როდესაც კადეტურ-ოქტიაბრისტული პრესა გაფიცვის მიმართ მეტისმეტად საზიზღრად იქცევა და გაჩაღებული ბრძოლის დროს ამტკიცებს, რომ გაფიცვა მავნებელია, დანაშაულებრივია და ა. შ.. ჩვენ არ შეგვიძლია არ მივესალმოთ იმ მტკიცე პასუხს, რომელიც ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა საჭიროდ ცნო გაეცა კოალიციური საბჭოსათვის (იხ. «პარტიიდან» [26]).

აშკარაა, თანამედროვე სტუდენტობისათვის, იგი რომ «აკადემიკოსებიდან» «პოლიტიკოსებად» გადაიქცეს, ჯერ კიდევ საკმარისი არ არის შვარცის მათრახი, ახალი კადრების სრული რევოლუციური განსწავლისათვის მას ესაჭიროება კიდევ ახალი და ახალი შავრაზმელი ფელდფებელების მორიელები. ამ კადრებთან, რომლებსაც წვრთნის მთელი სტოლიპინური პოლიტიკა, წვრთნის კონტრრევოლუციის თვითეული ნაბიჯი, დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ ჩვენც, სოციალ-დემოკრატებმაც,

რომლებიც ნათლად ვხედავთ, რომ ობიექტურად გარდუვალია ახალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონფლიქტები ნაციონალური მასშტაბით თვითმპყრობელობასთან, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა შავრაზმულ-ოქტიაბრისტულ სათათბიროს.

დიახ, ნაციონალური მასშტაბით, რადგან შავრაზმული კონტრრევოლუცია, რუსეთს რომ უკან ეზიდება, არათუ აწრობს რევოლუციური პროლეტარიატის რიგების ახალ მებრძოლებს, არამედ გარდუვალად გამოიწვევს არაპროლეტარული, ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატიის ახალ მოძრაობასაც (აქ ჩვენ ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, არა მ თ ე ლ ი ო პ ო ზ ი ც ი ი ს მონაწილეობას ბრძოლაში, არამედ ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის ნამდვილად დემოკრატიული, ე. ი. ბრძოლის უნარის მქონე ელემენტების ფართო მონაწილეობას). სტუდენტთა მასობრივი ბრძოლის დაწყება 1908 წელს რუსეთში არის პოლიტიკური სიმპტომი, კონტრრევოლუციით შექმნილი მთელი თანამედროვე მდგომარეობის სიმპტომი. ათასი და მილიონი ძაფი აკავშირებს მოსწავლე ახალგაზრდობას საშუალო და დაბალ ბურჟუაზიასთან, წვრილ მოხელეობასთან, გლეხობის, სამღვდელოების გარკვეულ ჯგუფებთან და ა. შ. თუ 1908 წლის გაზაფხულზე ცდილობდნენ აღედგინათ «განთავისუფლების კავშირი», უფრო მემარცხენე, ვიდრე ძველი კადეტური, ნახევრადმემამულური კავშირია, რომელსაც პეტრე სტრუვე წარმოადგენდა, — თუ შემოდგომაზე იწყებს მღელვარებას ახალგაზრდობის მასა, რომელიც ყველაზე ახლო დგას რუსეთის დემოკრატიულ ბურჟუაზიასთან, — თუ გაათკეცებული გაბოროტებით კვლავ ღმუილი მორთეს მოქრთამულმა მჯღაბნელებმა სკოლებში რევოლუციის წინააღმდეგ, — თუ გოდებენ და ტირიან საზიზღარი ლიბერალური პროფესორები და კადეტთა ბელადები უდროო, სახიფათო, დამღუპველი გაფიცვების გამო, რომლებიც არასასიამოვნოა საყვარელი ოქტიაბრისტებისათვის და რომლებსაც შეუძლიათ «ჩამოგვაშორონ» ოქტიაბრისტები, გაბატონებული ოქტიაბრისტებიო, — მაშინ ახალი დენთი ემატება საპირისწამლეს!

მაშინ მ ა რ ტ ო სტუდენტობაში ა რ იწყება რეაქცია — რეაქციის წინააღმდეგ.

და რაც უნდა სუსტი და ჩანასახ მდგომარეობაში იყოს ეს დასაწყისი, მუშათა კლასის პარტიამ უნდა გამოიყენოს იგი და გამოიყენებს კიდეც. ჩვენ უნარი შეგვწევდა გვემუშავნა წლებისა და ათეული წლების განმავლობაში რევოლუციის წინ; შეგვქონდა ჩვენი რევოლუციური ლოზუნგები ჯერ წრეებში, შემდეგ მუშათა მასებში, შემდეგ ქუჩაში, შემდეგ ბარიკადებზე. ჩვენ უნდა შევძლოთ ა ხ ლ ა ც მოვაწყოთ უწინარეს ყოვლისა ის, რაც დღევანდელი დღის ამოცანას წარმოადგენს, ურომლისოდაც ფუჭი სიტყვები იქნება ლაპარაკი კოორდინებულ პოლიტიკურ გამოსვლაზე, — სახელდობრ: მტკიცე პროლეტარული ორგანიზაცია, რომელიც ყველგან გასწევს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა გ ი ტ ა ც ი ა ს მასებში თავისი რევოლუციური ლოზუნგების გულისათვის. ამ ორგანიზაციას თავის სტუდენტურ წრეში, ამ აგიტაციას მოცემული მოძრაობის ნიადაგზე უნდა მოჰკიდონ ხელი ჩვენმა საუნივერსიტეტო ჯგუფებმაც.

პროლეტარიატი საქმეს არ დააყოვნებს. იგი ხშირად უთმობს გამოსვლების პირველობას ბურჟუაზიულ დემოკრატიას ბანკეტებზე, ლეგალურ კავშირებში, უნივერსიტეტების კედლებში, საწარმომადგენლო დაწესებულებათა ტრიბუნაზე. მაგრამ იგი არასოდეს არა სთმობს და არ დასთმობს პირველობას მასების სერიოზულ, დიად რევოლუციურ ბრძოლაში. არც ისე სწრაფად და არც ისე ადვილად მწიფდება ყველა პირობა ამ ბრძოლის აფეთქებისათვის, როგორც ეს სურს რომელიმე ჩვენგანს, — მაგრამ ეს პირობები განუწყვეტლივ მწიფდება და მზადდება. და პატარა აკადემიური კონფლიქტების პატარა დასაწყისი დიდი დასაწყისია, რადგან მას დღეს თუ არა, ხვალ, ხვალ თუ არა, ზეგ — დიდი გაგრძელება მოჰყვება.

«პროლეტარი» № 36,
1908 წ. 3 (16) ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 15, გვ. 251 — 259

პარტიულობის საკითხი დემოკრატიულ სტუდენტობაში

ჩვენ აღვნიშნეთ ამ დღეებში «პრავდაში» (იხ. №)* სტუდენტ მ-ის სტატია, რომელიც შესანიშნავად ძვირფას მასალას გვაძლევს «სტუდენტთა განწყობილების» საკითხზე. სტუდენტთა პარტიულობის შესახებ ავტორი ამბობს:

> «რასაკვირველია, მემარცხენე ორგანიზაციების შემადგენლობაში შედის სტუდენტობის შედარებით შეზღუდული ნაწილი. ახლანდელ პირობებში სხვანაირად არც შეიძლება იყოს, და საერთოდაც: ორგანიზაციების ძალა განისაზღვრება არა წევრთა რიცხვით, არამედ მასაზე გავლენით. ძნელია მომავალზე მკითხაობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახლა მემარცხენე ორგანიზაციები მხარდამხარ მიჰყვებიან სტუდენტთა მასას» («ზაპრ. ჟ.» [27] № 47).

ავტორი სავსებით მართალია, რომ ჩ ვ ე ნ შ ი, რუსეთში, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ახლანდელ პოლიტიკურ პირობებში, «ორგანიზაციების ძალა განისაზღვრება ა რ ა წევრთა რიცხვით, ა რ ა მ ე დ მასაზე გავლენით». ევროპისათვის ეს სწორი არ იქნებოდა; 1905 წლის შემოდგომის რუსეთისათვისაც სწორი არ არის; მაგრამ ახლანდელი რუსეთისათვის ეს იმდენად სწორია, რომ შეიძლება გავბედოთ ასეთი მოჩვენებითი პარადოქსიც კი: ორგანიზაციის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ მინიმუმს ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ მასაზე მისი გავლენა ფართო და მტკიცე იყოს!

მაგრამ როგორია ამ «მემარცხენე» ორგანიზაციების პარტიულობა სტუდენტობაში? სტუდენტი მ. წერს:

---

* «პრავდაში» სტატია არ დაბეჭდილა.

«განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არ იგრძნობა უთანხმოება ცალკეულ მემარცხენე ორგანიზაციებს შორის. ასეთი უთანხმოება განსაკუთრებით ძლიერი იყო სამი წლის წინათ, უმოქმედობისა და მიწყნარების ჟამს. იყო შემთხვევები, რომ სასადილო და სხვ. კომისიებში არჩევნები პარტიული სიებით ეწყობოდა. ახლა ეს შუღლი თითქმის გაქრა, — ნაწილობრივ იმიტომ, რომ ყველასათვის ცხადია საერთო მოქმედებისათვის ძალთა შეერთების აუცილებლობა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ძველი პარტიული პოზიციები შერყეულია, ახლები კი ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა».

უეჭველია, რომ ამ მხრივაც სტუდენტობაზე აისახა საერთო-რუსული მასშტაბის მოვლენა. ყველგან, მთელ დემოკრატიაში, აგრეთვე მუშათა შორისაც, «ძველი პარტიული პოზიციები შერყეულია, ახლები კი ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა». რა არის ლიკვიდატორობა? ეს არის სწორედ ან სულმოკლე დათმობა დროების სულისკვეთებისათვის, ძველი პარტიული პოზიციების «შერყეულობის» სულისკვეთებისათვის, ან ამ შერყეულობის ღვარძლიანი სიხარულით გამოყენება ლიბერალების მიერ.

მ თ ე ლ ი დემოკრატიის ამოცანაა მთელი ძალღონით იბრძოლოს ამ «შერყეულობის» წინააღმდეგ და მიაღწიოს «ახალი პოზიციების» ზუსტ, ნათელ, გარკვეულ, მოფიქრებულ «განმტკიცებას». პარტიული (და შინაპარტიული) პლატფორმების გამო დავის, დისკუსიის «შუღლსა» და მტრობასთან აღრევა უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

«ძალთა შეერთება საერთო მოქმედებისათვის» სავსებით აუცილებელია, მათ შორის, მაგალითად, მარქსისტებისა და ნაროდნიკების ძალთა შეერთება. მაგრამ ეს კი არ სპობს პარტიულ გარკვეულობას, არამედ მ ო ი თ ხ ო ვ ს მას. მოქმედების შეერთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც არსებობს რწმენის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ერთიანობა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ეს მოქმედება. ეს ნათელია, როგორც ნათელია ნათელი დღე. რუსეთის დემოკრატიას ზიანი მოსდიოდა იმის გამო, რომ იგი ცდილობდა «შეეერთებინა ძალები» დ ე მ ო კ რ ა ტ ი-უ ლ ი მოქმედებისათვის არა დემოკრატებთან, ლიბერალებთან!

აბა სცადეთ, ვთქვათ, პოლიტიკური გაფიცვების მომხრეთა «ძალები შეაერთოთ» მათი მოწინააღმდეგეების «ძალებთან»: ცხადია, ეს «მოქმედებისათვის» ს ა ზ ი ა ნ ო გამოვა. არა, ჯერ მიაღწიეთ «პოზიციების», პლატფორმებისა და პროგრამების ნათელ, გარკვეულ, ზუსტ, მოფიქრებულ გამიჯვნას—და შემდეგ შ ე ა ე რ თ ე თ ისეთი ძალები, რომლებსაც შ ე უ ძ ლ ი ა თ ერთად იარონ თავიანთი რწმენის, თავიანთი სოციალური ბუნების მიხედვით, შეაერთეთ ისინი მ ხ ო ლ ო დ იმ მოქმედებაში, რომელშიც შეიძლება ერთსულოვნებას მოველოდეთ. მაშინ და მხოლოდ მაშინ გამოვა სარგებლობა წამოწყებიდან.

ვ. ი.

დაწერილია 1912 წ. ნოემბრის დამლევს

იბეჭდება ჟურნალ «საქართველოს კომუნისტ»-ში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, 1954 წ. № 5, გვ. 14 — 15

მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ რევოლუციურ ბრძოლაში, ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდის შესახებ

წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ[26]

ძვირფასო ამხანაგო! სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას — მოგცეთ «ს.-პეტერბურგის რევოლუციური პარტიის ორგანიზაციის» თქვენი პროექტის კრიტიკა. (თქვენ, ალბათ, მხედველობაში გქონდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის მუშაობის ორგანიზაცია.) თქვენ მიერ აღძრული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ს.-პეტერბურგის კომიტეტის ყველა წევრმაც და საერთოდ ყველა რუსმა სოციალ-დემოკრატმაც კი.

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავ ჩემს სრულ სოლიდარობას «კავშირის» წინანდელი («კავშირული», როგორც თქვენ უწოდებთ მას) ორგანიზაციის უვარგისობის იმ ახსნასთან, რომელსაც თქვენ იძლევით. თქვენ აღნიშნავთ, რომ მოწინავე მუშებს არა აქვთ სერიოზული მომზადება და რევოლუციური აღზრდა, აღნიშნავთ ეგრეთწოდებულ საარჩევნო სისტემას, რომელსაც ასე ამაყად და დაჟინებით იცავენ რაბოჩეე დელოელები «დემოკრატიული» პრინციპების გულისათვის, აღნიშნავთ მუშების განზე დგომას აქტიური საქმიანობისაგან.

სწორედ ასე: 1) სერიოზული მომზადებისა და რევოლუციური აღზრდის უქონლობა (არა მარტო მუშებში, არამედ ინტელიგენტებშიც), 2) არჩევითი საწყისის უადგილო და უზომო გამოყენება და 3) მუშების განზე დგომა აქტიური *რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი* საქმიანობისაგან, — მართლაც, ეს არის მთავარი ნაკლი ჩვენი პარტიის არა მარტო ს.-პეტერბურგის, არამედ ბევრი სხვა ადგილობრივი ორგანიზაციისაც.

Ს ა ვ ს ებ ი თ ვ ი ზ ი ა რ ებ რ ა თ ქ ვ ე ნ ს ძ ი რ ი თ ა დ შ ე ხ ე დ ულ ებ ას ორგანიზაციულ ამოცანებზე, ვუერთდები აგრეთვე თქვენს ორგანიზაციულ პროექტს, რამდენადაც მისი მთავარი ნიშნები ჩემთვის აშკარავდება თქვენი წერილიდან.

Სახელდობრ, სავსებით გეთანხმებით, რომ საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობისა და საზოგადოდ მთელი პარტიის ამოცანებს; ეს თქვენ იმით გაქვთ გამოხატული, რომ პროექტის პირველი პუნქტი ამბობს: «პ ა რ ტ ი ი ს (და არა მარტო კომიტეტის ან რაიონის) ხელმძღვანელ ცენტრს წარმოადგენს გაზეთი «ისკრა», რომელსაც მუდმივი კორესპონდენტები ჰყავს მუშებს შორის და რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციის შინაგან მუშაობასთან». მე შევნიშნავდი მხოლოდ, რომ გაზეთს შეუძლია იყოს და უნდა იყოს პარტიის ი დ ე უ რ ი ხელმძღვანელი, შეუძლია განავითაროს და უნდა განავითაროს თეორიული ჭეშმარიტებანი, ტაქტიკური დებულებანი, საერთო ორგანიზაციული იდეები, მთელი პარტიის საერთო ამოცანები ამა თუ იმ მომენტში. მოძრაობის უშუალო პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ხელმძღვანელი კი შეიძლება იყოს მხოლოდ განსაკუთრებული ცენტრალური ჯგუფი (ვუწოდოთ მას თუნდაც ცენტრალური კომიტეტი), რომელიც პ ი რ ა დ ა დ გააბამს კავშირს ყველა კომიტეტთან, შეიცავს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის მთელ საუკეთესო რევოლუციურ ძალებს და გ ა ნ ა გ ე ბ ს ყველა საერთო-პარტიულ საქმეს, როგორიცაა: ლიტერატურის განაწილება, ფურცლების გამოცემა, ძალთა განაწილება, პირებისა და ჯგუფების დანიშვნა განსაკუთრებული საქმეების გასაძღოლად, საერთო-რუსეთის მასშტაბით დემონსტრაციებისა და აჯანყების მომზადება და ა. შ. როცა აუცილებელია უსასტიკესი კონსპირაცია და მოძრაობის თანამომდევნობის დაცვა, — ჩვენს პარტიას შეიძლება და უნდა ჰყავდეს ო რ ი ხელმძღვანელი ცენტრი: ც. ო. (ცენტრალური ორგანო) და ც. კ. (ცენტრალური კომიტეტი). პირველი უნდა ხელმძღვანელობდეს იდეურად, მეორე — უშუალოდ და პრაქტიკულად. ამ ორი ჯგუფის მოქმედების ერთიანობას და აუცილებელ სოლიდარობას უნდა უზ-

რუნველყოფდეს არა მარტო ერთიანი პროგრამა პარტიისა, არამედ ორივე ჯგუფის შემადგენლობაც (საჭიროა, რათა ორივე ჯგუფში, ცენტრალურ ორგანოშიც და ცენტრალურ კომიტეტშიც, იყვნენ ერთმანეთთან სავსებით შეხმატკბილებული ადამიანები) და მათი რეგულარული და მუდმივი თათბირების გამართვაც. მხოლოდ მაშინ, ერთი მხრივ, ც. ო. მოექცევა რუსეთის ჟანდარმთა მოქმედების გარეთ და უზრუნველყოფილი იქნება მისი სიმტკიცე და თანამომდევნობა,— მეორე მხრივ კი, ც. კ. ყოველთვის სოლიდარული იქნება ც. ო-სთან ყოველსავე არსებით საკითხში და საკმაოდ თავისუფალი იქნება მოძრაობის მთელი პრაქტიკული მხარის უშუალო გამგებლობისათვის.

ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ წესდების პირველი პუნქტი (თქვენი პროექტის შესაბამისად) მიგვითითებდეს არა მარტო იმას, თუ პარტიის რომელი ორგანო არის აღიარებული ხელმძღვანელ ორგანოდ (ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელი მითითებაა); არამედ აგრეთვე იმასაც, რომ მოცემული ადგილობრივი ორგანიზაცია თავის ამოცანად ისახავს აქტიურად იმუშაოს იმ ცენტრალურ დაწესებულებათა შესაქმნელად, მხარდასაჭერად და განსამტკიცებლად, ურომლისოდაც ჩვენს პარტიას არ შეუძლია იარსებოს, როგორც პარტიას.

შემდეგ, მეორე პუნქტში თქვენ ამბობთ კომიტეტზე, რომ იგი უნდა «ხელმძღვანელობდეს ადგილობრივ ორგანიზაციას» (იქნებ, უკეთესია ითქვას: «მთელ ადგილობრივ მუშაობას და პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას», მაგრამ არ შევჩერდები ფორმულირების დეტალებზე), და რომ იგი უნდა შესდგებოდეს მუშებისგანაც და ინტელიგენტებისგანაც, — მათი ორ კომიტეტად გაყოფა კი მავნებელიაო. ეს სავსებით და უსათუოდ მართალია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტი ერთი უნდა იყოს, და ამ კომიტეტში უნდა იყვნენ სავსებით შეგნებული სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავიანთ თავს მთლად სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას უნდა ანდომებდნენ. განსაკუთრებით უნდა ვცდილობდეთ, რომ რაც შეიძლება მეტი მუშა გახდეს სავსებით შეგნებული და პროფესიონალი

რევოლუციონერი და მოხვდეს ხოლმე კომიტეტის შემადგენლობაში*. ერთიანი, და არა ორმაგი, კომიტეტის არსებობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხს, რომ კომიტეტის წევრები პირადად იცნობდნენ მრავალ მუშას. ყოველივე იმას, რომ უხელმძღვანელო, რაც მუშათა წრეში ხდება, შესაძლებლობა უნდა გქონდეს ყველგან მოხვდე, ძალიან ბევრს უნდა იცნობდე, ყველა ასავალ-დასავალი უნდა იცოდე და სხვ. და სხვ. ამიტომ კომიტეტში, შეძლებისდაგვარად, უნდა იყვნენ მუშათა მოძრაობის ყველა მთავარი წინამძღოლნი თვით მუშების წრიდან, კომიტეტი უნდა ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი მოძრაობის ყველა მხარეს და განაგებდეს პარტიის ყველა ადგილობრივ დაწესებულებას, ძალებსა და სახსრებს. იმაზე, თუ როგორ უნდა შესდგეს ხოლმე კომიტეტი, თქვენ არაფერს ამბობთ,— ალბათ, ჩვენ აქაც შევთანხმდებით, რომ ამის შესახებ არა გვგონია განსაკუთრებული წესები იყოს საჭირო. როგორ უნდა შესდგეს კომიტეტი, — ეს უკვე ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების საქმეა. იქნებ მხოლოდ საჭირო იყოს იმის აღნიშვნა, რომ კომიტეტი შეივსება მის წევრთა უმრავლესობის (ან ორი მესამედის და სხვ.) გადაწყვეტილებით, რომ კომიტეტი უნდა ზრუნავდეს, რათა თავისი კავშირურთიერთობა გადასცეს საიმედო (რევოლუციური მხრივ) და დაცულ (პოლიტიკური მხრივ) ადგილას და წინასწარ მოამზადოს თავისი კანდიდატები. როდესაც ჩვენ გვექნება ც. ო. და გვეყოლება ც. კ., — ახალი კომიტეტები უნდა შეიქმნას მხოლოდ მათი მონაწილეობითა და მათი თანხმობით. კომიტეტის წევრთა რიცხვი შეძლებისდაგვარად ძალიან დიდი არ უნდა იყოს (რათა ამ წევრთა დონე უფრო მაღალი და მათი სპეციალიზაცია რევოლუციურ პროფესიაში უფრო სრული იყოს), მაგრამ ამავე დროს საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ განაგოს საქმის

---

* უნდა ვეცადოთ კომიტეტში შევიყვანოთ მუშა-რევოლუციონერები, რომლებსაც ყველაზე მეტი კავშირურთიერთობა და საუკეთესო «სახელი» აქვთ მუშათა მასაში.

ყ ვ ე ლ ა მხარე და უზრუნველჰყოს თათბირთა სისრულე და გადაწყვეტილებათა სიმტკიცე. თუ აღმოჩნდება, რომ წევრთა რიცხვი საკმაოდ დიდია და მათი ხშირად შეკრება საშიშია, — მაშინ შეიძლება საჭირო გახდეს გამოვყოთ კომიტეტიდან კიდევ ცალკე, ფრიად მცირე (ვთქვათ, ხუთი კაცი, ან უფრო ნაკლებიც) გ ა ნ მ კ ა რ გ უ ლ ე ბ ე ლ ი ჯგუფი, და მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა მოექცნენ მდივანი და ისეთი პირნი, რომელთაც ,ყველაზე მეტად შესწევთ უნარი — იყვნენ საერთოდ მთელი მუშაობის პრაქტიკული განმკარგულებელნი. ამ ჯგუფისათვის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი იქნება, რომ ჩავარდნის შემთხვევისათვის უზრუნველჰყოს თავისთვის კანდიდატები, რათა მუშაობა არ ჩერდებოდეს. კომიტეტის საერთო კრებები დაამტკიცებდნენ განმკარგულებელი ჯგუფის მოქმედებას, განსაზღვრავდნენ მის შემადგენლობას და სხვ.

შემდეგ, კომიტეტის მ ე რ ე თქვენ ასახელებთ, როგორც მისდამი დაქვემდებარებულთ, შემდეგ დაწესებულებებს: 1) დისკუსიას («საუკეთესო» რევოლუციონერთა თათბირს), 2) რაიონულ წრეებს 3) პროპაგანდისტთა წრით თვითეულ რაიონულ წრესთან, 4) საქარხნო წრეებს და 5) მოცემული რაიონის საქარხნო წრეების დელეგატთა «წარმომადგენლობითს კრებებს». სავსებით გეთანხმებით, რომ ყ ვ ე ლ ა შემდგომი დაწესებულება (ხოლო ისინი ძალიან ბევრნი და ფრიად მრავალნაირნი უნდა იყვნენ, გარდა თქვენ მიერ დასახელებულთა) უნდა დაექვემდებაროს კომიტეტს, და რომ საჭიროა რაიონული (ძალიან დიდი ქალაქებისათვის) და საქარხნო (ყოველთვის და ყველგან) ჯგუფები. მაგრამ ზოგიერთ დეტალში, მგონია, მთლად ვერ დაგეთანხმებით. მაგალითად, «დისკუსიის» შესახებ ვფიქრობ, რომ ასეთი დაწესებულება ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა რ ი ს ს ა ჭ ი რ ო. «საუკეთესო რევოლუციონერები» ყველანი კომიტეტში უნდა იყვნენ ან ცალკეულ ფუნქციებს ასრულებდნენ (სტამბა, ტრანსპორტი, მოძრავი აგიტაცია, ორგანიზაცია, ვთქვათ, საპასპორტო ბიუროსი, ან რაზმისა ჯაშუშებთან და პროვოკატორებთან საბრძოლველად, ან ჯგუფებისა ჯარში და ა. შ.).

«თათბირები» გაიმართება კომიტეტშიც, თვითეულ რაიონშიც, თვითეულ საქარხნო, პროპაგანდისტულ, პროფესიულ (ფეიქრების, მექანიკოსების, დაბაღების და სხვ.), სტუდენტთა, ლიტერატურულ და სხვ. წრეში. რა საჭიროა ცალკე დაწესებულება თათბირებისათვის?

შემდეგ, თქვენ სავსებით სამართლიანად მოითხოვთ, რომ «ყველა მსურველს» შესაძლებლობა მიეცეს უშუალოდ ჰგზავნოს კორესპონდენციები «ისკრაში». ოღონდ «უშუალოდ» ისე კი არ უნდა გვესმოდეს, რომ «ყველა მსურველს» მიეცეს რედაქციის გზა და მისამართი, არამედ ისე, რომ ყველა მსურველისაგან წერილები აუცილებლად გადაეცეს (ან გადეგზავნოს) რედაქციას. მისამართები კი საკმაოდ ფართოდ უნდა მიეცეთ. მაგრამ მაინც არა ყველა მსურველს, არამედ მხოლოდ საიმედო და კონსპირაციული მოხერხებულობის მხრივ გამოჩენილ რევოლუციონერებს,— იქნებ რაიონზე თითოს კი არა, როგორც თქვენ გინდათ, არამედ რამდენიმეს; საჭიროა აგრეთვე, რათა მუშაობის ყველა მონაწილეს, ყველა და ყოველგვარ წრეს უფლება ჰქონდეს თავისი გადაწყვეტილებანი, სურვილები, შეკითხვები აცნობოს როგორც კომიტეტს, ისე ცენტრალურ ორგანოს და ცენტრალურ კომიტეტს. თუ ჩვენ ამას უზრუნველვყოფთ, მაშინ ყველა პარტიულ მუშაკთა თათბირების სისრულე მიღწეული იქნება ისე, რომ არ შეიქმნას ისეთი ვეება და არაკონსპირაციული დაწესებულებანი, როგორიც არის «დისკუსია». რა თქმა უნდა, საჭიროა აგრეთვე ვეცადოთ მოვაწყოთ ყველა და ყოველგვარ მოღვაწეთა რაც შეიძლება მეტი შემადგენლობის პირადი თათბირები,— მაგრამ აქ ხომ მთელი საქმე კონსპირაციაა. საერთო კრებები და თავის მოყრა რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ იშვიათად, გამონაკლისის სახით, და უაღრესად ფრთხილი უნდა ვიყოთ ამ კრებებზე «საუკეთესო რევოლუციონერთა» დაშვების დროს, რადგან პროვოკატორს საზოგადოდ უფრო ადვილად შეუძლია მოხვდეს საერთო კრებებზე და ჯაშუშს შეეძლება თვალყური ადევნოს ერთ-ერთ მონაწილეს. მე ვფიქრობ, იქნებ აჯობებდა ასე მოვქცეულიყავით: როდესაც შეიძ-

ლება დიდი (ვთქვათ, 30 — 100 კაცის) საერთო კრებების მოწვევა (მაგ., ზაფხულობით ტყეში ან საგანგებოდ გამონახულ კონსპირაციულ ბინაზე), მაშინ კომიტეტი იქ გაგზავნის 1 — 2 «საუკეთესო რევოლუციონერს» და ი ზ რ უ ნ ა ვ ს კრების კარგი შემადგენლობისათვის, ე. ი. მაგ., იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იქნან მოწვეულნი საქარხნო წრეების საიმედო წევრები და სხვ. მაგრამ საჭირო არ არის ამ კრებების გაფორმება, საჭირო არ არის მათი შეტანა წესდებაში, საჭირო არ არის მათი რეგულარულ კრებებად გადაქცევა; ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ კრების ყველა წევრი იცნობდეს ყველა მონაწილეს, ე. ი. რომ იცოდნენ, ყველანი წრეების «წარმომადგენელნი» არიან, და სხვ.; აი რატომ ვარ მე წინააღმდეგი არა მარტო «დისკუსიებისა», არამედ წინააღმდეგი ვარ «წარმომადგენლობითი კრებებისაც». მე წინადადებას შემოვიტანდი ორივე ამ დაწესებულების ნაცვლად დაგვედგინა დაახლოებით ასეთი წესი. კომიტეტი ზრუნავს იმისათვის, რომ მოაწყოს მოძრაობის პრაქტიკულ მონაწილეთა რაც შეიძლება მეტი შემადგენლობის და საერთოდ ყველა მუშის დიდი კრებები. კრების დროს, ადგილს, საბაბს და შემადგენლობას განსაზღვრავს კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი საქმეების კონსპირაციულად დაყენებისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ ამით ოდნავადაც არ იზღუდება უფრო ნაკლებად გაფორმებული კრებების მოწყობა მუშების მიერაც სეირნობის დროს, ტყეში და სხვ. ეგებ სჯობდეს, რომ წესდებაში ამაზე ლაპარაკი არ იყოს.

შემდეგ, რაც შეეხება რაიონულ ჯგუფებს, მათ თაობაზე საკვლევით გეთანხმებით, რომ ამ ჯგუფების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ლიტერატურის გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს სწორად მოწყობა. მე ვფიქრობ, რომ რაიონული ჯგუფები უმთავრესად შ უ ა მ ა ვ ლ ე ბ ი უნდა იყვნენ კომიტეტებსა და ქარხნებს შორის, შუამავლები და უმთავრესად — გ ა დ ა მ ც ე მ ე ბ ი ც კი. კომიტეტიდან მიღებული ლიტერატურის სწორად გავრცელების კონსპირაციულად მოწყობა უნდა იყოს მათი მთავარი ამოცანა. და ეს ამოცანა უაღრესად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ, თუ უზრუნველვყოფთ დამტარებელ-

თა განსაკუთრებული რაიონული ჯგუფის რეგულარულ კავშირს რაიონის ყ ვ ე ლ ა ქ ა რ ხ ა ნ ა ს თ ა ნ, რაიონის მ უ შ ა თ ა ბ ი ნ ე ბ ი ს რაც შეიძლება მეტ რაოდენობასთან, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება დემონსტრაციებისთვისაც და აჯანყებისთვისაც. ლიტერატურის, ფურცლების, პროკლამაციებისა და სხვ. სწრაფი და წესიერი გადაცემის საქმე რომ მოვაგვაროთ, მოვაწყოთ, ამას რომ მივაჩვიოთ აგენტთა მთელი ქსელი — ეს ნიშნავს მომავალში დემონსტრაციების ან აჯანყების მომზადების საქმის ნახევარზე მ ე ტ ი ს გაკეთებას. აღელვების, გაფიცვის, მოძრაობის გაცხოველების მომენტში უკვე გვიანაა ლიტერატურის დატარების მოგვარება — ამას შეიძლება მივაჩვიოთ მხოლოდ თანდათან, ეს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა ვაკეთოთ თვეში ორჯერ, სამჯერ. თუ გაზეთი არ არის, მაშინ ეს შეიძლება და უნდა გაკეთდეს ფურცლების მიმართ, მაგრამ არასგზით ნება არ უნდა მივცეთ ამ გამავრცელებელ აპარატს, რომ უმოქმედოდ იყოს. უნდა ვეცადოთ მივიყვანოთ ეს აპარატი ისეთ სრულყოფამდე, რომ შეიძლებოდეს ერთ ღამეში ს.-პეტერბურგის მთელ მუშათა მოსახლეობას მოვფინოთ ესა თუ ის ცნობა და, ასე ვთქვათ, მოვახდინოთ მისი მობილიზაცია. და ეს სრულიადაც არ არის უტოპიური ამოცანა, თუ ფურცლებს ცენტრიდან სისტემატურად გადავცემთ უფრო ვიწრო საშუამავლო წრეებს და ამ წრეებიდან — დამტარებლებს. რაიონული ჯგუფის მოვალეობის ფარგლების გაფართოება სხვა ფუნქციების მინიჭებით, გარდა წმინდა საშუამავლო და საგადამცემო ფუნქციებისა, ჩემი აზრით, საჭირო არ არის, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უნდა მოხდეს მხოლოდ უაღრესი სიფრთხილით — ამას შეუძლია მხოლოდ ავნოს მუშაობის კონსპირაციულობასაც და მთლიანობასაც. თათბირები ყველა პარტიულ საკითხზე, რა თქმა უნდა, რაიონულ წრეებშიც გაიმართება, მაგრამ ადგილობრივი მოძრაობის ყველა საერთო საკითხს მხოლოდ კომიტეტი უნდა წ ყ ვ ე ტ დ ე ს. რაიონული ჯგუფის დამოუკიდებლობა უნდა დავუშვათ მხოლოდ გადაცემისა და გავრცელების ტექნიკის საკითხებში. რაიონული ჯგუფის შემადგენლობას კომიტეტი უნდა განსაზღვრავდეს, ე. ი. კომიტეტი ნ ი შ-

ნავს თავის ერთ-ორ წევრს (ან არა წევრსაც კი) დელეგატებად ამა თუ იმ რაიონში და ამ დელეგატებს ავალებს შეადგინოს რაიონული ჯგუფი, რომლის ყველა წევრს ისევ კომიტეტი ამტკიცებს, ასე ვთქვათ, თანამდებობაზე. რაიონული ჯგუფი კომიტეტის ფილიალური განყოფილებაა, რომელიც მხოლოდ მისგან იღებს თავის რწმუნებულებას.

გადავდივარ პროპაგანდისტთა წრეების საკითხზე. მათი ცალკე მოწყობა თვითეულ რაიონში არა მგონია შესაძლებელი იყოს პროპაგანდისტთა ძალების სიმცირის გამო და არც სასურველი მგონია. პროპაგანდას მთელი კომიტეტი უნდა ეწეოდეს ერთი მიმართულებით, და საჭიროა მისი სასტიკად ცენტრალიზება; ამიტომ მე ასე წარმომიდგენია საქმე: კომიტეტი თავის რამდენიმე წევრს ავალებს მოაწყონ პროპაგანდისტთა ჯგუფი (რომელიც იქნება კომიტეტის ფილიალური განყოფილება ან კომიტეტის ერთ-ერთი დაწესებულება). ეს ჯგუფი, კონსპირაციის მხრივ გამოიყენებს რა რაიონული ჯგუფების სამსახურს, პროპაგანდას უნდა ეწეოდეს მთელ ქალაქში, მთელ ადგილას, რომელიც კომიტეტს «ექვემდებარება». თუ საჭირო იქნება, ამ ჯგუფს შეუძლია შეადგინოს კიდევ ქვეჯგუფები, თავისი ფუნქციების ესა თუ ის ნაწილი, ასე ვთქვათ, გადაანდოს სხვას, მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა მოხდეს, რომ კომიტეტმა დაამტკიცოს, კომიტეტს ყოველთვის და უსათუოდ უნდა ჰქონდეს უფლება თავისი დელეგატი გაგზავნოს თვითეულ ჯგუფში, ქვეჯგუფში ან წრეში, რომელსაც კი რაიმე კავშირი აქვს მოძრაობასთან.

დავალებათა ამავე ტიპის მიხედვით, კომიტეტის ფილიალურ განყოფილებათა ან მის დაწესებულებათა ტიპის მიხედვით, უნდა მოეწყოს ყველა სხვადასხვაგვარი ჯგუფი, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოძრაობას, — სტუდენტი და გიმნაზიელი ახალგაზრდობის ჯგუფებიც, ვთქვათ, ხელისშემწყობ მოხელეთა ჯგუფებიც, ტრანსპორტის, სტამბის, პასპორტის ჯგუფებიც, კონსპირაციული ბინების მომწყობი ჯგუფებიც, ჯაშუშების მეთვალყურე ჯგუფებიც, სამხედრო პირთა ჯგუფები, იარაღის მომმარაგებელი ჯგუფები,

ჯგუფები, მაგ., «შემოსავლიანი ფინანსიური საქმის» მოსაწყობად და ა. შ. კონსპირაციული ორგანიზაციის მთელი ოსტატობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გამოვიყენოთ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე დ ა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, «მივცეთ სამუშაო ყველას და თვითეულს» და ამავე დროს შევინარჩუნოთ მთელი მოძრაობის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა, შევინარჩუნოთ, რა თქმა უნდა, არა ძალაუფლების მეოხებით, არამედ ავტორიტეტის ძალით, ენერგიის, უფრო მეტი გამოცდილების, უფრო მეტი მრავალმხრიობის, უფრო მეტი ნიჭიერების ძალით. ეს შენიშვნა შეეხება იმ შესაძლებელ და ჩვეულებრივ შემოდავებას, რომ სასტიკ ცენტრალიზაციას ძალიან ადვილად შეუძლია დაღუპოს საქმე, თუ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ცენტრში აღმოჩნდება უდიდესი ძალაუფლებით აღჭურვილი უ უ ნ ა რ ო პირი. ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ამის საწინააღმდეგო საშუალებად ვერ გამოდგება არჩევითობა და დეცენტრალიზაცია, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია რამდენადმე ფართო მასშტაბით და პირდაპირ მავნებელიც კი» რევოლუციურ მუშაობაში თვითმპყრობელობის დროს. ამის საწინააღმდეგო საშუალებას ვერავითარი წესდება ვერ მოგვცემს, მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ «ამხანაგური ზეგავლენის» ზომებს, დაწყებული ყველა და ყოველგვარი ქვეჯგუფის რეზოლუციებით, განგრძობილი ცენტრალური ორგანოსადმი და ცენტრალური კომიტეტისადმი მათი მიმართვით და გათავებული (უარეს შემთხვევაში) სრულიად უუნარო ძალაუფლების დ ა მ ხ ო ბ ი თ. კომიტეტი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება სრულად გ'აატაროს შრომის განაწილება, რადგან მას უნდა ახსოვდეს, რომ რევოლუციური მუშაობის სხვადასხვა მხარისათვის სხვადასხვანაირი უნარია საჭირო, რომ ზოგჯერ ადამიანი, სრულიად უვარგისი როგორც ორგანიზატორი, შეიძლება უბადლო აგიტატორი იყოს, ან ადამიანი, რომელსაც არ შესწევს უსასტიკესი კონსპირაციული თავდაჭერილობის უნარი, შეიძლება საუცხოო პროპაგანდისტი იყოს და სხვ.

სხვათა შორის, პროპაგანდისტების შესახებ მე მინდოდა კიდევ რამდენიმე სიტყვა მეთქვა იმის წინააღმდეგ, რომ ამ პროფესიას ჩვეულებრივ ა ა ვ ს ე ბ ე ნ ხოლმე ნაკლებადუნა-

რიანი ადამიანებით და ამით დაბლა სწევენ პროპაგანდის დონეს. ჩვენში ზოგჯერ ყველა სტუდენტი ხელაღებით პროპაგანდისტად ითვლება, და მთელი ახალგაზრდობა მოითხოვს, რომ მას «წრე მისცენ» და სხვ. ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგან ამას ძალიან დიდი ზიანი მოაქვს. პრინციპულად ნამდვილად გამობრძმედილი და ნიჭიერი პროპაგანდისტები ძალიან ცოტანი არიან (და ასეთი რომ გახდე, საჭიროა ბევრი ისწავლო და გამოცდილება შეიძინო), და ასეთი ადამიანები უნდა დავასპეციალოთ, მთლიანად ჩავაბაროთ საქმეში და უაღრესად გავუფრთხილდეთ. საჭიროა კვირაში რამდენიმე ლექცია მოვაწყოთ ასეთი პირებისათვის და შეგვეძლოს მათი დროზე გაწვევა სხვა ქალაქებში, საერთოდ უნდა მოვაწყოთ სხვადასხვა ქალაქის შემოვლა დახელოვნებული პროპაგანდისტების მიერ. ხოლო დამწყები ახალგაზრდობის მასა უფრო უნდა მივუჩინოთ პრაქტიკულ საქმეებს, რომლებიც ჩვენში მივიწყებულია ხოლმე წრეებში სტუდენტთა იმ სიარულთან შედარებით, რასაც ოპტიმისტურად «პროპაგანდას» უწოდებენ. რა თქმა უნდა, სერიოზული პრაქტიკული საქმეებისთვისაც საფუძვლიანი მომზადებაა საჭირო, მაგრამ აქ მაინც უფრო ადვილია საქმის გამონახვა «დამწყებთათვისაც».

ახლა საქარხნო წრეებზე. მათ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: მოძრაობის მთელი მთავარი ძალა ხომ დიდი ქარხნების მუშათა დარაზმულობაშია, რადგან დიდი ქარხნები (და ფაბრიკები) შეიცავენ მთელი მუშათა კლასის იმ ნაწილს, რომელიც არა მარტო რიცხობრივად არის უპირატესი, არამედ კიდევ უფრო უპირატესია თავისი გავლენით, განვითარებით, ბრძოლის უნარით. ყოველი ქარხანა ჩვენი ციხე-სიმაგრე უნდა იყოს. ამისათვის კი მუშათა «საქარხნო» ორგანიზაცია ისეთივე კონსპირაციული უნდა იყოს თავის შიგნით, ისეთივე «განშტოებული» გარეთ, ე. ი. თავის გარეურთიერთობაში, ისევე შორს უნდა აწვდენდეს, ამასთან სულ სხვადასხვა მხარეს აწვდენდეს, თავის ხელს, როგორც ყოველი რევოლუციური ორგანიზაცია. მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აქაც აუცილებლად რევოლუციონერ-მუშათა ჯგუფი უნ-

და წარმოადგენდეს ბირთვსა და ხელმძღვანელს, «ბატონ-პატ-რონს». წმინდა მუშური ან პროფესიული ტიპის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების, მათ შორის ა გ რ ე თ ვ ე «საქარხნო» წრეების ტრადიციასთან სრულიად უნდა გაეწყვიტოთ კავშირი. საქარხნო ჯგუფი ან საქარხნო (საფაბრიკო) კომიტეტი (რათა განვასხვაოთ იგი სხვა ჯგუფებისაგან, რომელთა რიცხვიც ძალიან დიდი უნდა იყოს) უნდა შესდგებოდეს ფრიად მცირერიცხოვან რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა-გ ა ნ, რომელნიც უ შ უ ა ლ ო დ კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა გ ან იღებენ დავალებებსა და რწმუნებებს — აწარმოონ მთელი სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ქარხანაში. საქარხნო კომიტეტის ყველა წევრი თავისთავს უნდა უყურებდეს, როგორც კომიტეტის აგენტს, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს კომიტეტის ყველა განკარგულებას, ვალდებულია დაიცვას იმ «მოქმედი არმიის» ყველა «კანონი და ჩვეულება», რომელშიც ის შევიდა და რომლიდანაც ომის დროს გამოსვლის უფლება უფროსების ნებადაურთველად არა აქვს. ამიტომ საქარხნო კომიტეტის შემადგენლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, და კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ სწორად მოაწყოს ეს ქვეკომიტეტები. ეს საქმე მე ასე წარმომიდგენია: კომიტეტი თავის ამა თუ იმ წევრებს (პლუს, ვთქვათ, ესა და ეს პირები მუშათა წრიდან, პირები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ შესულან კომიტეტში, მაგრამ რომელთაც შეუძლიათ სასარგებლონი იყვნენ თავიანთი გამოცდილებით, ადამიანთა ცნობით, ჭკუა-გონებით, ნაცნობობით) ავალებს მოაწყონ ყველგან საქარხნო ქვეკომიტეტები. კომისია თათბირობს რაიონულ რწმუნებულებთან, ნიშნავს მთელ რიგ შეხვედრებს, კარგად გამოსცდის საქარხნო ქვეკომიტეტთა წევრობის კანდიდატებს, აწყობს მათს ჯვარედინსა და «მიკერძებით» დაკითხვას, თუ საჭიროა, ამოწმებს მათ, ამასთან ცდილობს თვითონ ნახოს და უშუალოდ გამოსცადოს მოცემული ქარხნის საქარხნო ქვეკომიტეტის წევრობის კანდიდატთა რაც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი რიცხვი და, დასასრულ, წინადადებას აძლევს კომიტეტს დაამტკიცოს თვითეული საქარხნო წრის ესა და ეს შემადგენლობა ან რწმუნება

მისცეს ამა და ამ მუშას — შეადგინოს, დასახოს, შეარჩიოს მთელი ქვეკომიტეტი. ამრიგად, კომიტეტივე განსაზღვრავს, თუ ამ აგენტებიდან რომელს უნდა ჰქონდეს მასთან ურთიერთობა და რ ო გ ო რ უნდა ჰქონდეს ეს ურთიერთობა (საერთო წესით რაიონულ რწმუნებულთა საშუალებით, მაგრამ შეიძლება ეს წესი შეივსოს ან შეიცვალოს). ამ საქარხნო ქვეკომიტეტების დიდი მნიშვნელობის გამო, ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ, შეძლებისდაგვარად, რომ თ ვ ი თ ე უ ლ ქვეკომიტეტს ჰქონდეს მისამართიც ცენტრალურ ორგანოში მიმართვისათვის და თავისი კავშირურთიერთობის მ ა ს ა ლ ა ც დაცულ ადგილას (ე. ი. რომ ცნობები, რომლებიც საჭიროა ქვეკომიტეტის დაუყოვნებლივი აღდგენისათვის ჩავარდნის შემთხვევაში, რაც შეიძლება რეგულარულად და უხვად გადაეცემოდეს პარტიის ცენტრს იქ შესანახად, სადაც რუს ჟანდარმებს ხელი ვერ მიუწვდებათ). თავისთავად გასაგებია, რომ მისამართების ამ გადაცემას უნდა განსაზღვრავდეს კომიტეტი თავისი მოსაზრებებისა და ცნობების მიხედვით, და არა ამ მისამართთა «დემოკრატიული» განაწილების არარსებული უფლების მიხედვით. დასასრულ, ეგებ ზედმეტი არ იყოს დავძინოთ, რომ ზოგჯერ რამდენიმე წევრისაგან შემდგარი საქარხნო ქვეკომიტეტის მაგივრად საჭირო იქნება ა ნ უ ფ რ ო მ ო ხ ე რ ხ ე ბ უ ლ ი ი ქ ნ ე ბ ა დავჯერდეთ კომიტეტის მიერ ერთი აგენტის (და მისი კანდიდატის) დანიშვნას. როცა საქარხნო ქვეკომიტეტი ჩამოყალიბდება, იგი უნდა შეუდგეს მთელი რიგი საქარხნო ჯგუფებისა და წრეების შექმნას, რომლებსაც ექნებათ სხვადასხვა ამოცანები, კონსპირაციულობისა და გაფორმების სხვადასხვა ხარისხი, მაგ., უნდა შეიქმნას წრეები ლიტერატურის დასატარებლად და გასავრცელებლად (ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ისევ უნდა იყოს დაყენებული, რომ ჩვენ ნამდვილი საკუთარი ფოსტა გვქონდეს, რომ შემოწმებული და გამოცდილი იყოს არა მარტო გავრცელების ხერხები, არამედ ბინებზე დატარებაც, რომ აუცილებლად ვიცოდეთ ყველა ბინა და მათი შესავალ-გამოსავალი), წრეები არალეგალური ლიტერატურის საკითხ-

ვად, წრეები ჯაშუშების სათვალთვალოდ*, წრეები პროფესიული მოძრაობისა და ეკონომიური ბრძოლის სპეციალური ხელმძღვანელობისათვის, წრეები აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისა, რომლებსაც შეეძლებათ ლაპარაკის დაწყება და დიდხანს განგრძობა ს ა ვ ს ე ბ ი თ ლ ე გ ა ლ უ რ ა დ (მანქანების, ინსპექციის და სხვ. შესახებ) ისე, რომ ილაპარაკონ უშიშრად და საჯაროდ, რომ გაიცნონ ადამიანები და მოსინჯონ ნიადაგი და ა. შ.**. საქარხნო ქვეკომიტეტი უნდა ცდილობდეს, რათა ყოველნაირი წრეების (ან აგენტების) ქსელში ჩაებას მთელი ქარხანა, მუშათა რაც შეიძლება მეტი ნაწილი. ქვეკომიტეტის საქმიანობის წარმატება უნდა განიზომებოდეს ამ წრეების სიუხვით, იმით, რომ მიმომსვლელ პროპაგანდისტს შეეძლოს ამ წრეებთან მისვლა და, რაც მთავარია, მართებული რეგულარული მუშაობით ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს ა და ცნობების და კორესპონდენციების მიღების დარგში.

ამრიგად, ორგანიზაციის საერთო ტიპი, ჩემი აზრით, ასეთი უნდა იყოს: მთელი ადგილობრივი მოძრაობის, მთელი ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის სათავეში კომიტეტი დგას. კომიტეტისაგან გამომდინარეობენ მისდამდაქვემდებარებული დაწესებულებანი და ფილიალური განყოფილებანი: ჯერ ერთი, ა მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ა გ ე ნ ტ ებ ი ს ქ ს ე ლ ი, რომელიც მოიცავს მუშათა მთელ (შეძლებისდაგვარად) მასას და მოწყობილია რ ა ი ო ნ უ ლ ი ჯგუფებისა

---

* ჩვენ უნდა ჩავაგონოთ მუშებს, რომ ჯაშუშების, პროვოკატორებისა და გამცემლების მოკვლა, რა თქმა უნდა, ზოგჯერ აუცილებლად საჭიროა, მაგრამ რომ ფრიად არასასურველი და შემცდარი იქნებოდა ამის სისტემად გადაქცევა, რომ უნდა ვცდილობდეთ შეექმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება ა რ ა რ ა დ ა ქ ც ი ო ს ჯაშუშების მუშაობა მათი გამოაშკარავებით და დევნით. ჯაშუშების ამოხოცვა შეუძლებელია, ხოლო ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მათ თვალყურს ადევნებს და მუშათა მასას ა ღ ზ რ დ ი ს, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ც ა რ ი ს დ ა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ც.

** საჭიროა მებრძოლი წრეებიც, რომლებიც გამოიყენებენ ჯარში ნამსახურთ ან ძალიან ღონიერ და მარჯვე მუშებს დემონსტრაციებისათვის, საპატიმროებიდან განთავისუფლებისათვის და სხვ.

და საქარხნო (საფაბრიკო) ქვეკომიტეტების სახით. ეს ქსელი მშვიდობიანობის დროს გაავრცელებს ლიტერატურას, ფურცლებს, პროკლამაციებს და კომიტეტის კონსპირაციულ ცნობებს; ომიანობის დროს მოაწყობს დემონსტრაციებს და სხვა ამგვარ კოლექტიურ მოქმედებას. მეორეც, კომიტეტისაგანვე გამომდინარეობენ მთელი რიგი წრეები და ჯგუფები (პროპაგანდა, ტრანსპორტი, ყოველგვარი კონსპირაციული საქმე და ა. შ.), რომლებიც მომსახურებას უწევენ მთელ მოძრაობას. ყველა ჯგუფი, წრე, ქვეკომიტეტი და სხვა უნდა იყოს კომიტეტის დაწესებულებათა ან კომიტეტის ფილიალურ განყოფილებათა მდგომარეობაში. ზოგი მათგანი პირდაპირ განაცხადებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შესვლის სურვილს და, თუ კომიტეტი დაამტკიცებს, შევა მის შემადგენლობაში, იკისრებს (კომიტეტის დავალებით ან მასთან შეთანხმებით) განსაზღვრულ ფუნქციებს, ვალდებული გახდება დაემორჩილოს პარტიის ორგანოთა განკარგულებებს, მიიღებს პარტიის ყველა წევრის უფლებებს, ჩაითვლება კომიტეტის წევრობის უახლოეს კანდიდატად და ა. შ.. ზოგნი არ შევლენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და იქნებიან წრეების მდგომარეობაში, რომლებიც მოწყობილია პარტიის წევრების მიერ, ანდა რომლებიც ემხრობიან პარტიის ამა თუ იმ ჯგუფს და ა. შ..

ყველა თავის შ ი ნ ა უ რ საქმეში ყ ვ ე ლ ა ამ წრის წევრები, რა თქმა უნდა, ისევე თანასწორუფლებიანნი არიან, როგორც კომიტეტის წევრები ერთმანეთს შორის. აქედან ერთადერთი გამონაკლისი ის იქნება, რომ ადგილობრივ კომიტეტთან (აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტთან და ცენტრალურ ორგანოსთან) პ ი რ ა დ ი ურთიერთობის უფლება ექნება მხოლოდ იმ პირს (ან პირებს), რომელიც ამ კომიტეტის მიერ არის დანიშნული. სხვა მხრივ ეს პირი ყოველნაირად თანასწორუფლებიანი იქნება დანარჩენებთან, რომლებსაც ისეთივე უფლება აქვთ განცხადებებით მიმართონ (მაგრამ არა პირადად) ადგილობრივ კომიტეტსაც, ცენტრალურ კომიტეტსაც და ცენტრალურ ორგანოსაც. ამგვარად, აღნიშნული გამონაკლისი არსებითად სრულიადაც არ იქნება თანასწორუფლებია-

ნობის დარღვევა, არამედ იქნება მხოლოდ აუცილებელი დათმობა კონსპირაციის უსათუო მოთხოვნების მიმართ. კომიტეტის წევრი, რომელიც «თავისი» ჯგუფის განცხადებას არ გადასცემს კომიტეტს, ცენტრალურ კომიტეტს ან ცენტრალურ ორგანოს, პასუხისმგებელი იქნება პარტიული მოვალეობის აშკარა დარღვევისათვის. შემდეგ, რაც შეეხება სხვადასხვაგვარი წრეების კონსპირაციულობას და გაფორმებას, ეს დამოკიდებული იქნება მათი ფუნქციების ხასიათზე: ამის მიხედვით აქ იქნებიან სულ სხვადასხვანაირი ორგანიზაციები (დაწყებული ყველაზე «მკაცრით», ვიწროთი, კარჩაკეტილით და გათავებული ყველაზე «თავისუფალით», ფართოთი, აშკარათი, ნაკლებად გაფორმებულით). მაგალითად, დამტარებელთა ჯგუფისათვის საჭიროა უდიდესი კონსპირაცია და სამხედრო დისციპლინა. პროპაგანდისტთა ჯგუფისათვის კონსპირაცია ასევე საჭიროა, სამხედრო დისციპლინა კი — გაცილებით ნაკლებ. იმ მუშების ჯგუფისათვის, რომლებიც ლეგალურ ლიტერატურას კითხულობენ ან საუბრებს მართავენ პროფესიულ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, უფრო ნაკლები კონსპირაციაა საჭირო და ა. შ. დამტარებელთა ჯგუფები უნდა ეკუთვნოდნენ რსდმპ და იცნობდნენ მის წევრთა და მის თანამდებობის პირთა განსაზღვრულ რიცხვს. ჯგუფი, რომელიც სწავლობს შრომის პროფესიულ პირობებს და იმუშავებს პროფესიულ მოთხოვნათა სახეებს, სავალდებულო არ არის რსდმპ ეკუთვნოდეს. იმ სტუდენტთა, ოფიცერთა, მოსამსახურეთა ჯგუფმა, რომლებიც თვითგანვითარებას ეწევიან პარტიის ერთი ან ორი წევრის მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ, ზოგჯერ სრულიადაც არ უნდა იცოდეს, რომ პარტიის ხსენებული წევრი პარტიას ეკუთვნის, და სხვ. მაგრამ ერთ შემთხვევაში ჩვენ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა მოვითხოვდეთ საქმის მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ გ ა ფ ო რ მ ე ბ ა ს ყველა ამ ფილიალურ ჯგუფში, სახელდობრ: პარტიის ყოველ წევრს, რომელიც ამ ჯგუფებში მონაწილეობს, ეკისრება ფორმალური პასუხისმგებლობა ხსენებულ ჯგუფებში საქმის წარმართვისათვის, ეკისრება აგრეთვე ვალდებულება მიიღოს ყ ვ ე ლ ა ზომა, რომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს წინაშე რ ა ც შ ე ი ძ-

ლ ე ბ ა ა შ კ ა რ ა იყოს თვითეული ასეთი ჯგუფის შემადგენ-ლობაც, მისი მუშაობის მთელი მექანიზმიც და ამ მუშაობის მთელი შინაარსიც. ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ცენტრს მთელი მოძრაობის ს რ უ ლ ი სურათი ჰქონდეს, იმისთვისაც, რომ შესაძლებელი იყოს ადამიანთა რაც შეიძ-ლება ფართო წრიდან მოხდეს სხვადასხვა პარტიული თანამ-დებობისათვის შერჩევა, იმისთვისაც, რომ ერთი ჯგუფისაგან (ცენტრის საშუალებით) შეეძლოს მთელ რუსეთში არსებულ ყველა ამგვარ ჯგუფს ისწავლოს, იმისთვისაც, რომ წინასწარი ზომები იქნას მიღებული პროვოკატორებისა და საეჭვო პირე-ბის გამოჩენის წინააღმდეგ, — ერთი სიტყვით, ეს უსათუოდ საჭიროა და ყველა შემთხვევაში გადაჭრით აუცილებელია.

როგორ უნდა გაკეთდეს ეს? რეგულარული მოხსენებანი უნდა წარედგინოს კომიტეტს, უნდა ეცნობოს ცენტრალურ ორგანოს ამ მოხსენებათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის შინაარსის რაც შეიძლება მეტი ნაწილი, ცენტრალური კომი-ტეტისა და ადგილობრივი კომიტეტის წევრებმა უნდა ინახუ-ლონ ხოლმე ყოველგვარი წრეები, დასასრულ, ამ წრესთან კავშირი, ე. ი. ამ წრის რამდენიმე წევრის სახელი და მისამარ-თი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ გადაცემულ უნდა იქნას დაცულ ადგი-ლას (და პარტიის ბიუროში ცენტრალურ ორგანოსთან და ცენტრალურ კომიტეტთან). მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხსე-ნებებს აცნობენ და კავშირურთიერთობას გადასცემენ, შეიძ-ლება აღიარებულ იქნას, რომ თავისი მოვალეობა შეასრულა პარტიის წევრმა, რომელიც ამა თუ იმ წრეში მონაწილეობს; მხოლოდ მაშინ შეეძლება მთლიანად პარტიას ი ს წ ა ვ ლ ო ს თვითეული წრისაგან, რომელიც პრაქტიკულ მუშაობას ეწევა; მხოლოდ მაშინ არ იქნება საშიში ჩვენთვის ჩავარდნები, რად-გან სხვადასხვაგვარ წრეებთან კავშირურთიერთობის დროს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის დელეგატს ყოველთვის ადვი-ლად შეეძლება მ ა შ ი ნ ვ ე მონახოს შემცვლელები და აღად-გინოს საქმე. მაშინ კომიტეტის კრახი მთელ მანქანას კი არ დაამსხვრევს, არამედ მხოლოდ მოსწყვეტს ხელმძღვანელებს, რომლებსაც მზად ჰყავთ კანდიდატები. და დაე ნუ ამბობენ, რომ მოხსენებათა და კავშირურთიერთობის შეტყობინება

შეუძლებელია კონსპირაციული პირობების გამო: საჭიროა მხოლოდ მონდომება, ცნობებისა და კავშირურთიერთობის გადაცემის (ან გადაგზავნის) შესაძლებლობა კი ყოველთვის არის და ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ი ქ ნ ე ბ ა, ვიდრე გვეყოლება კომიტეტები, ვიდრე არის ცენტრალური კომიტეტი ან ცენტრალური ორგანო.

ჩვენ მივადექით მთელი პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული მოღვაწეობის ფრიად მნიშვნელოვან პრინციპს: თუ პროლეტარიატის მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის იდეური და პრაქტიკული ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი ს მხრივ საჭიროა რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა, სამაგიეროდ პარტიის ცენტრისათვის (და, მაშასადამე, საერთოდ მთელი პარტიისთვისაც) მოძრაობის შესახებ ც ნ ო ბ ე ბ ი ს მ ი წ ო დ ე ბ ი ს მხრივ, პარტიის წინაშე პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს მხრივ საჭიროა რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი დ ე ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა. მოძრაობას უნდა ხელმძღვანელობდეს რაც შეიძლება ნაკლები რიცხვი რაც შეიძლება უფრო ერთგვაროვანი ჯგუფებისა, რომლებიც დახელოვნებულნი არიან პროფესიონალ რევოლუციონერთა გამოცდილებით. მოძრაობაში უნდა მონაწილეობდეს პროლეტარიატის (და ხალხის სხვა კლასების) სულ სხვადასხვანაირი ფენების რაც შეიძლება მრავალფეროვან და მრავალგვაროვან ჯგუფთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი. და თვითეული ასეთი ჯგუფის მიმართ პარტიის ცენტრს ყოველთვის თვალწინ უნდა ჰქონდეს არა მარტო ზუსტი ცნობები მათი საქმიანობის შესახებ, არამედ რაც შეიძლება სრული ცნობებიც ამ ჯგუფთა შემადგენლობის შესახებ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ მოძრაობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. ჩვენ აგრეთვე უნდა მოვახდინოთ (და უნდა მოვახდინოთ ა მ ი ს ა თ ვ ი ს, რადგან ცნობების უქონებლად ცენტრალიზაცია შეუძლებელია) პარტიის თვითეული წევრის, მუშაობის თვითეული მონაწილის, პარტიაში შემავალი ან პარტიის მომხრე თვითეული წრის პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა შ ე პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს რაც შეიძლება მეტი დ ე ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა. ეს დეცენტრალიზაცია რევოლუციური ცენტრალი-

ზაციის აუცილებელი პირობა და მისი აუცილებელი კორექტივია. სახელდობრ, როცა ცენტრალიზაცია ბოლომდე იქნება მიყვანილი და ჩვენ გვექნება ცენტრალური ორგანო და გვეყოლება ცენტრალური კომიტეტი, მაშინ თვითეული სულ უმცირესი ჯგუფის მათდამი მიმართვის შესაძლებლობა, — და არა მარტო მიმართვის შესაძლებლობა, არამედ მრავალი წლის პრაქტიკით შემუშავებული რეგულარობაც ცენტრალური ორგანოსადმი და ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვისა — თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ ადგილობრივი კომიტეტის შემადგენლობის შემთხვევითი უვარგისობის სამწუხარო შედეგების შესაძლებლობას. ახლა, როდესაც ჩვენ უშუალოდ ვუახლოვდებით პარტიის ფაქტიურ გაერთიანებას და ნამდვილი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნას, განსაკუთრებით მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ცენტრი უძლური იქნება, თუ ჩვენ ამავე დროს არ გავატარებთ მაქსიმალურ დეცენტრალიზაციას მის წინაშე პასუხისმგებლობის საქმეშიც და პარტიული მანქანის ყველა დიდი და პატარა ბორბლის შესახებ მისთვის ცნობების მიწოდების საქმეშიც. ასეთი დეცენტრალიზაცია სხვა არა არის რა, თუ არა მეორე მხარე შრომის იმ განაწილებისა, რომელიც საყოველთაო აღიარებით შეადგენს ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად საარსებო პრაქტიკულ საჭიროებას. ვერავითარი ოფიციალური აღიარება ამა თუ იმ ორგანიზაციისა ხელმძღვანელ ორგანიზაციად, ვერავითარი შექმნა ფორმალური ცენტრალური კომიტეტისა ჯერ კიდევ ვერ გახდის ჩვენს მოძრაობას ნამდვილად ერთიან მოძრაობად, ჯერ კიდევ ვერ შექმნის მტკიცე მებრძოლ პარტიას, თუ პარტიული ცენტრი წინანდებურად დაშორებული იქნება უშუალო პრაქტიკული მუშაობისაგან ძველი ტიპის ადგილობრივი კომიტეტების მიერ, ე. ი. ისეთი კომიტეტების მიერ, სადაც, ერთი მხრივ, შედის პირთა მთელი გროვა, რომელთაგან თვითეული განაგებს ყველა და ყოველგვარ საქმეს, და ყურადღებას არ აქცევს რევოლუციური მუშაობის ცალკეული ფუნქციების შესრულებას, პასუხისმგებელი არ არის სპეციალური საქმეებისათვის, ბოლომდე არ მიჰყავს ხოლმე. ერთხელ

დაწყებული, კარგად მოფიქრებული და მომზადებული საქმე, აუარებელ დროსა და ძალას ხარჯავს რადიკალურ ფუსფუსზე, — ხოლო მეორე მხრივ, მოიპოვება სტუდენტთა და მუშათა მრავალი წრე, რომლებსაც სანახევროდ სულაც არ იცნობს კომიტეტი, რომელნიც სანახევროდ ისევე ვეებაა, არასპეციალიზებულია, არ იმუშავებენ პროფესიულ გამოცდილებას, არ იყენებენ სხვათა გამოცდილებას და სწორედ ისევე, როგორც კომიტეტი, გართულნი არიან დაუსრულებელი თათბირებით «ყველაფერზე», გართულნი არიან არჩევნებით და წესდებათა შედგენით. იმისათვის, რომ ცენტრმა შეძლოს კარგად მუშაობა, ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა გ ა რ დ ა ქ მ ნ ა ნ თ ა ვ ი ს თ ა ვ ი, ისინი უნდა გახდნენ სპეციალიზებულ და უფრო «საქმიან» ორგანიზაციებად, რომლებიც ნამდვილ «სრულყოფას» აღწევენ ხან ერთ, ხან მეორე პრაქტიკულ ფუნქციაში. იმისათვის, რომ ცენტრს შეეძლოს არა მარტო რჩევა-დარიგება, დაჯერება, დავა (როგორც ეს დღემდე ხდებოდა), არამედ ორკესტრის ნამდვილი დირიჟორობა, ამისათვის აუცილებელია მან ზუსტად იცოდეს, თუ ვინ, სად და რა საკრავს უკრავს, სად, როგორ და რა ინსტრუმენტის დაკვრას სწავლობდა და სწავლობს, ვინ, სად და რატომ ყალბობს (როდესაც მუსიკა ყურსა სჭრის) და ვინ, როგორ და სად უნდა გადავიყვანოთ დისონანსის გამოსასწორებლად და სხვ. ამჟამად, — პირდაპირ უნდა ითქვას, — ჩვენ ან არაფერი ვიცით კომიტეტის ნ ა ი ღ ვ ი ლ შ ი ნ ა გ ა ნ მუშაობაზე, გარდა მისი პროკლამაციებისა და საერთო კორესპონდენციებისა, ანდა ვიცით მეგობრებისაგან და პირადად კარგი ნაცნობებისაგან. მაგრამ სასაცილოა იმის ფიქრი, რომ ამას შეიძლება დასჯერდეს უზარმაზარი პარტია, რომელსაც უნარი შესწევს უხელმძღვანელოს რუსეთის მუშათა მოძრაობას და რომელიც ამზადებს საერთო შეტევას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. კომიტეტის წევრთა რიცხვის შემცირება, თვითეული მათგანისათვის, შეძლებისდაგვარად, გარკვეული, განსაკუთრებული საქვეანგარიშო და პასუხსაგები ფუნქციის მინდობა, განსაკუთრებული, ფრიად მცირერიცხოვანი, განმკარგულებელი ცენტრის შექმნა, ამსრულებელ აგენტთა ქსელის შექმნა, რომლებიც კომიტეტს დააკავშირებენ

თვითეულ დიდ ქარხანასა და ფაბრიკასთან, რეგულარულად გაავრცელებენ ლიტერატურას და ცენტრს მისცემენ ამ გავრცელებისა და მუშაობის მთელი მექანიკის ზუსტ სურათს, დასასრულ, მრავალრიცხოვანი ჯგუფებისა და წრეების შექმნა, რომლებიც კისრულობენ სხვადასხვა ფუნქციას ან აერთიანებენ იმ პირთ, ვინც ემხრობა სოციალ-დემოკრატიას, ეხმარება მას, ემზადება იმისათვის, რომ გახდეს სოციალ-დემოკრატი, იმ ვარაუდით, რომ კომიტეტმა და ცენტრმა ყოველთვის იცოდნენ ამ წრეების საქმიანობა (და შემადგენლობა), — აი რაში უნდა მდგომარეობდეს პარტიის ს.-პეტერბურგისა და ყველა სხვა კომიტეტის რეორგანიზაცია, და აი რატომ აქვს ასეთი მცირე მნიშვნელობა წესდების საკითხს.

მე დავიწყე წესდების მონახაზის განხილვით, რათა უფრო თვალსაჩინოდ დამენახვებინა, თუ საით არის მიმართული ჩემი წინადადებანი. და იმედი მაქვს, ამის შედეგად მკითხველისათვის ნათელი გახდა, რომ არსებითად, კაცმა რომ თქვას, შეიძლება წ ე ს დ ე ბ ა ს ა ც შეველიოთ და შევცვალოთ იგი რეგულარული ანგარიშით თვითეული წრის შესახებ, მუშაობის თვითეული ფუნქციის შესახებ. რა შეიძლება დაიწეროს წესდებაში? კომიტეტი ყველას ხელმძღვანელობს (ეს ისედაც ნათელია). კომიტეტი ირჩევს განმკარგულებელ ჯგუფს (ეს ყოველთვის როდია საჭირო, ხოლო როდესაც საჭიროა, საქმე წესდება კი არ არის, არამედ ისაა, რომ ცენტრს ე ც ნ ო ბ ო ს ამ ჯგუფის შემადგენლობა და მისი კანდიდატები). კომიტეტი თავის წევრთა შორის ანაწილებს მუშაობის ცალკეულ მხარეებს და თვითეულს ავალებს რეგულარულად მოახსენოს კომიტეტს და აცნობოს ცენტრალურ ორგანოს და ცენტრალურ კომიტეტს საქმის მსვლელობა (და აქ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ცენტრს ეცნობოს ესა და ეს განაწილება, ვიდრე ის, რომ წესდებაში დაიწეროს წესი, რომელიც ჩვენი ძალების სიმცირის გამო ხ შ ი რ ა დ გამოუყენებელი დარჩება). კომიტეტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ ვინ არის მისი წევრი. კომიტეტი შეივსება კოოპტაციით. კომიტეტი ნიშნავს რაიონულ ჯგუფებს, საქარხნო ქვეკომიტეტებს, ამა და ამ ჯგუფს (თუ დავიწყებთ სასურველი ჯგუფების ჩამოთვლას, სულ ერ-

თია, ვერასოდეს ვერ გავათავებთ ამ ჩამოთვლას, ხოლო დააბ-ლოებითი ჩამოთვლა წესდებაში საჭირო არ არის; საკმარისია ცენტრს ეცნობოს დაარსება). რაიონული ჯგუფები და ქვეკო-მიტეტები ჰქმნიან ასეთსა და ასეთს წრეებს... ასეთი წესდების შედგენა მით უფრო ნაკლებად სასარგებლოა ამჟამად, რომ ჩვენ თითქმის არ გაგვაჩნია (მრავალ ადგილას სრულიად არა გვაქვს) ასეთი სხვადასხვა ჯგუფისა და ქვეჯგუფების საქმიანო-ბის საერთო-პარტიული გამოცდილება, ასეთი გამოცდილების შესამუშავებლად კი საჭიროა არა წესდება, არამედ, თუ შეიძ-ლება ასე ითქვას, პარტიული ინფორმირების მოწყობა: ჩვენში თვითეული ადგილობრივი ორგანიზაცია სულ ცოტა რამდენიმე საღამოს ანდომებს წესდებას. ეს დრო თვითეულმა თავისი სპეციალური ფუნქციის მიხედვით რომ მოახმაროს ამ ფუნ-ქციის შესახებ დაწვრილებითსა და მოფიქრებულ ანგარიშს მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა შ ე, საქმე ერთიასად მოიგებდა.

და მარტო იმიტომ კი არ არის წესდება უსარგებლო, რომ რევოლუციური მუშაობა ყოველთვის როდი იძლევა გაფორმე-ბის შესაძლებლობას. არა, გაფორმება საჭიროა, და ჩვენ უნდა ვცდილობდეთ გ ა ვ ა ფ ო რ მ ო თ, შეძლებისდაგვარად, მთე-ლი მუშაობა. და გაფორმება გაცილებით მეტი მასშტაბით არის დასაშვები, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ, მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება არა წესდებით, არამედ მხოლოდ და მარ-ტოოდენ (ვიმეორებთ ამას კიდევ და კიდევ) პარტიის ცენტრის ზუსტი ინფორმირებით: მხოლოდ მაშინ იქნება ეს რეალური გაფორმება, დაკავშირებული რეალურ პასუხისმგებლობასთან და (პარტიული წესით) გამოქვეყნებასთან. და ვინ არ იცის ჩვენში, რომ ს ე რ ი ო ზ უ ლ ი კონფლიქტები და უთანხმოება-ნი ჩვენთან არსებითად წყდება სრულიადაც არა კენჭისყრით «წესდების მიხედვით», არამედ ბრძოლით და «გასვლის» მუ-ქარით? ასეთი შინაგანი ბრძოლით აღსავსეა ჩვენი კომიტეტე-ბის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ამ უკანასკნელი 3 — 4 წლის პარ-ტიული ცხოვრების ისტორია. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ბრძოლა არ იყო გაფორმებული: ის მაშინ გაცილებით მეტს მოგვცემდა პარტიის ჭკუის სასწავლებლად, ჩვენი მემკვიდ-რეების გამოცდილებისათვის. მაგრამ ა ს ე თ სასარგებლო და

აუცილებელ გაფორმებას არავითარი წესდება არ ქმნის, არამედ მარტოოდენ პარტიული წესით გამოქვეყნება. ჩვენში თვითმპყრობელობის დროს არ შეიძლება იყოს პარტიული წესით გამოქვეყნების სხვა საშუალება და იარაღი, გარდა იმისა, რომ პარტიული ცენტრი რეგულარულად იქნას ინფორმირებული.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვისწავლით ამ საჯაროდ გამოქვეყნების ფართოდ გამოყენებას, ჩვენში ნამდვილად შემუშავდება ამა თუ იმ ორგანიზაციის ფუნქციონირების გამოცდილება, მხოლოდ ასეთი ფართო და მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს წესდებები, რომლებიც მარტო ფარატინა ქაღალდი არ იქნება.

დაწერილია 1902 წ. სექტემბერში
პირველად დაიბეჭდა 1902 წ.
ჰექტოგრაფზე

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 285 — 308

წერილი ა. ა. ბოგდანოვსა და ს. ი. გუსევს

11. II. 1905.

გუშინ გამოგიგზავნეთ დეპეშა, რომ თანახმა ვარ თქვენს ცვლილებებზე, თუმცა სრულიად არ ვეთანხმები იმას, რის გაგებაც კი შემეძლო თქვენი წერილიდან. მაგრამ მე ისე მომბეზრდა საქმის ეს გაჭიანურება და ჩემს ისეთ დაცინვად გაისმოდა თქვენი კითხვები, რომ ხელი ჩავიქნიე: ოღონდ კი თუნდაც რამე გააკეთოთ! ოღონდ კი გამოუშვათ რ ა ნ ა ი რ ი ც უ ნ დ ა ი ყ ო ს ცნობა ყრილობის შესახებ, მაგრამ გ ა მ ო უ შ ვ ა თ, და არა ლაპარაკობდეთ მის შესახებ! თქვენ გაგიკვირდებათ სიტყვა: დაცინვა. მაგრამ, მართლაცდა, დაუფიქრდით: ორი თვის წინათ მე გამოვუგზავნე ჩემი პროექტი ბიუროს ყ ვ ე ლ ა წევრს*. ერთ მათგანსაც არ აინტერესებს იგი და საჭიროდ არ მიაჩნია შეხედულებათა გაზიარება!! ახლა კი: ტელეგრაფით... ე-ეჰ, ვლაპარაკობთ ორგანიზაციაზე, ცენტრალიზმზე, ნამდვილად კი ცენტრის ყველაზე უახლოეს ამხანაგებს შორის ისეთი დაქსაქსულობაა, ისეთი კუსტარულობაა, რომ გინდა მიაფურთხო. აი ბუნდელები არ ენამრუშობენ ცენტრალიზმის შესახებ, მაგრამ თ ვ ი თ ე უ ლ ი მათგანი სწერს ცენტრს ყოველკვირეულად და კავშირი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მყარდება. და საკმარისია ხელში ავიღოთ მათი «პოსლედნიე იზვესტია», რომ დავინახოთ ეს კავშირი. ჩვენში კი გამოდის «ვპერიოდის» მე-6 ნომერი და რედაქციის წევრისაგან (რახმეტოვისაგან) ერთი სტრიქონიც არ მიგვიღია არც

* იხ. თხზულებანი, ზე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 674 — 677. რ ე დ.

«ვპერიოდზე», არც «ვპერიოდისათვის». ჩვენში «ლაპარაკობენ» მდიდარი ლიტერატურული კავშირის შესახებ ს.-პეტერბურგშიც და მოსკოვშიც, უმრავლესობის ახალგაზრდა ძალებზე, ჩვენ კი აქ, სამუშაოდ მოწოდების ორი თვის შემდეგ (ანონსი «ვპერიოდზე» და წერილი მის შესახებ), ჩამიჩუმიც არ გვსმენია. ხოლო რუსეთის კომიტეტებს (კავკასია, ნიჟნი, უკვე აღარაფერს ვამბობ ვოლგისპირეთზე, სამხრეთზე) ბიურო მთლად «მითად» მიაჩნიათ და ამის სრული უფლებაცა აქვთ. მენშევიკების ჯგუფთან უმრავლესობის ს.-პეტერბურგის კომიტეტის რაღაც კავშირზე ჩვენ «გავიგონეთ» უცხო ადამიანებისაგან,—ჩვენებისაგან კი ერთი სიტყვაც არ გაგვიგონია. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ასეთი თვითმკვლელური და სულელური ნაბიჯის გადადგმა შეეძლოთ ბოლშევიკებს. სოციალ-დემოკრატების კონფერენციისა და «ბლოკის» შესახებ «გავიგონეთ» უცხოთაგან, ხოლო ჩვენებისაგან კრინტიც კი არა, თუმცა ამბობენ, რომ ეს არის **fait accompli***. ჩანს, ბოლშევიკებს ერთხელ კიდევ მოესურვათ, რომ ყინულზე გააცურონ.

ჩვენი ერთადერთი ძალაა — აშკარა პირდაპირობა და შემჭიდროება, შეტევის ენერგია. ხოლო ადამიანები, ვგონებ, მოდუნდნენ «რევოლუციის» **გამო**!! როდესაც ორგანიზებულობა ასჯერ უფრო საჭიროა, ისინი **ხელში** უვარდებიან დეზორგანიზატორებს. დეკლარაციისა და **ყრილობის** პროექტის შესწორებებიდან (რომლებიც წერილში მეტისმეტად ბაუგებრად არის მოყვანილი) ჩანს, რომ გადაყოლილი არიან «ლოიალობას»: პაპაშა პირდაპირ **წერს** ამ სიტყვას და დასძენს: ცენტრები რომ არ მოვიხსენიოთ, ყრილობაზე არავინ მოვაო! ერიჰა, ბატონებო; სანაძლეოს ვდებ, რომ თუ თქვენ **ასე** იმოქმედებთ, ვერასოდეს ვერ ეღირსებით ყრილობას და ვერასოდეს ვერ დააღწევთ თავს ცენტრალური ორგანოს და ცენტრალური კომიტეტის ბონაპარტისტთა ზეგავლენას. ყრილობის შეკრება წინააღმდეგ ცენტრებისა, რომელთაც უნდობლობა აქვთ გამოცხადებული, ყრილობის შეკრება რევოლუციური ბიუროს სახელით (არარსებულისა და ფიქციურისა, თუ ლო-

* — მომხდარი ფაქტი. რედ.

იალური წესდების წინაშე მუცლით ხოხვას დაიწყებთ) და ყრილობაზე 9 ბონაპარტისტისაც, ლიგისაც (ჰა-ჰა!) და ბონაპარტისტული კრეატურებისაც (ახლადგამომცხვარი კომიტეტები) ყრილობაზე ყოფნის უ თ უ ო უფლების აღიარება,— ეს ნიშნავს საკუთარი თავის გამასხარავებას და საკუთარი თავისადმი ყოველგვარი პატივისცემის ძირის გამოთხრას. შეიძლებოდა და საჭიროც იყო მოგვეწვია ცენტრები, მაგრამ მათი გადამწყვეტი ხმის აღიარება, ეს, ვიმეორებ, უგუნურებაა. რასაკვირველია, ცენტრები სულ ერთია არ მოვლენ ჩ ვ ე ნ ს ყრილობაზე, მაგრამ რა საჭიროა ერთხელ კიდევ ზედმეტად მივცეთ საბაბი პირში შემოგვაფურთხონ? რა საჭიროა პირმოთნეობა და კეკემალულობა. ეს პირდაპირ სამარცხვინოა. ჩვენ გამოვაცხადეთ ბ ა თ ი შ ვ ა, ჩვენ ვიწვევთ ყრილობაზე ვ პ ე რ ი ო დ ე ლ ე ბ ს, ჩვენ გვსურს მოვაწყოთ ვ პ ე რ ი ო დ უ ლ ი პარტია და ვწყვეტთ, დაუყოვნებლივ ვწყვეტთ ყ ვ ე ლ ა დ ა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ურთიერთობას დეზორგანიზატორებთან,— ჩვენ კი გვეჩიჩინებიან ლოიალობის შესახებ, თვალთმაქცობენ, ვითომც შეიძლებოდეს «ისკრისა» და «ვპერიოდის» საერთო ყრილობა. რაღაც კომედია გამოდის! რასაკვირველია, ყრილობის (თუკი იგი იქნება) პირველივე დღე, პირველი საათი გაფანტავს ამ კომედიას, მაგრამ ყრილობამდე ამგვარი სიყალბე ათჯერ და ასჯერ გვავნებს.

სწორე გითხრათ, მე ხშირად ვფიქრობ, რომ ბოლშევიკებში 9/10 ნამდვილად ფორმალისტია. ან ჩვენ შევამჭიდროებთ ნამდვილი რკინისებური ორგანიზაციით მათ, ვისაც სურს ითმოს, და ამ პატარა, მაგრამ მტკიცე პარტიით ლახვარს ლახვარზე ჩავცემთ ახალისკრელთა ჭრელი ელემენტების დონდლო ურჩხულს, ან ჩვენი საქციელით დავამტკიცებთ, რომ ღირსნი ვიყავით დაღუპვისა, როგორც საზიზღარი ფორმალისტები. როგორ არ ესმით ადამიანებს, რომ ბ ი უ რ ო მ დ ე და «ვ პ ე რ ი ო დ ა მ დ ე» ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ ლოიალობის გადასარჩენად, ერთიანობის გადასარჩენად, კონფლიქტის მოგვარების ფორმალური, ე. ი. უმაღლესი მეთოდების გადასარჩენად!?!? ხოლო ახლა, ბიუროს შ ე მ დ ე გ, «ვპერიოდის» შ ე მ დ ე გ გათიშვა ფაქტია. და როდესაც გათიშვა ფაქტად იქცა,

გამოჩნდა, რომ ჩვენ მატერიალურად მრავალჯერ უფრო სუსტნი ვართ. ჩვენთვის ჯერ კიდევ საჭიროა ჩვენი მორალური ძალა მატერიალურ ძალად გადავაქციოთ. მენშევიკებს უფრო მეტი აქვთ ფული, მეტი აქვთ ლიტერატურა, მეტი აქვთ ტრანსპორტი, მეტი ჰყავთ აგენტები, მეტი ჰყავთ «სახელები», მეტი ჰყავთ თანამშრომლები. მიუტევებელი ბავშვობა იქნებოდა ამის არდანახვა. და თუ ჩვენ არა გვსურს ვუჩვენოთ ქვეყნიერებას უსაზიზღრესი ნიმუში დამჭკნარი და ანემიური მოხუცი ქალწულისა, რომელიც ამაყობს თავისი უნაყოფო მორალური სიწმინდით, უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ გვჭირდება ომი და სამხედრო ორგანიზაცია. მხოლოდ ხანგრძლივი ომის შემდეგ და მხოლოდ იმ პირობით, თუ საუცხოო ორგანიზაცია გვექნება, ჩვენს მორალურ ძალას შეუძლია მატერიალურ ძალად იქცეს.

საჭიროა ფული. უაღრესად უაზროა გეგმა ყრილობის მოწვევისა **ლონდონში,** რადგან ეს ერთიორად უფრო მეტი დაჯდება. ჩვენ არ შეგვიძლია «ვპერიოდის» შეჩერება, ხოლო ლიდი ხნით წასვლა მას შეაჩერებს. ყრილობა უნდა იყოს უბრალო, ხანმოკლე, არამრავალრიცხოვანი. ეს არის — ყრილობა ომის მოსაწყობად. ყველაფრიდან ჩანს, რომ თქვენ ამ მხრივ ილუზიებს აჰყოლიხართ.

საჭიროა თანამშრომლები «ვპერიოდისათვის». ჩვენ ცოტანი ვართ. თუ არ დავუმატებთ 2—3 მუდმივ თანამშრომელს რუსეთიდან, მაშინ საჭიროც არ არის სისულელის ყბედობა «ისკრასთან» ბრძოლაზე. საჭიროა ბროშურები და ფურცლები, უკიდურესად საჭიროა.

საჭიროა ახალგაზრდა ძალები. ჩემი რჩევა იქნებოდა პირდაპირ ადგილზევე დაიხვრიტონ ისინი, ვინც თავის თავს ნებას აძლევს და ამბობს, ადამიანები არა გვყავსო. რუსეთში ადამიანები უამრავია, საჭიროა მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ უფრო ფართოდ და ერთხელ კიდევ უფრო გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ გვეშინოდეს მისი. ომია-

ნობის დროა. ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს, სტუდენტი ახალგაზრდობაც და კიდევ უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც. უკუაგდეთ უმოძრაობის, ხარისხის პატივისცემისა და ყველა სხვა მსგავსი ძველი ჩვეულება. ახალგაზრდობისაგან დააარსეთ ვპერიოდელთა **ასობით** წრე და წააქეზეთ ისინი რაც ძალი და ღონე აქვთ იმუშაონ. ე რ თ ი ს ა მ ა დ გააფართოეთ კომიტეტი ახალგაზრდობის მიღებით, შეჰქმენით ხუთიოდე ან ათიოდე ქვეკომიტეტი, «კოოპტაციის» წესით მიიღეთ ყოველი და თვითეული პატიოსანი და ენერგიული ადამიანი. უფლება მიეცით თვითეულ ქვეკომიტეტს წეროს და გამოსცეს ფურცლები საქმის სრულიად გაუჭიანურებლად (არაფერია, თუ შეცდომას დაუშვებს: ჩვენ «ვპერიოდში» «რბილად» შევასწორებთ). საჭიროა უდიდესი სისწრაფით გავაერთიანოთ და ავამოქმედოთ ყველა რევოლუციურად ინიციატივიანი ადამიანი. ნუ შეგეშინდებათ მათი მოუმზადებლობისა, ნუ აცახცახდებით მათი გამოუცდელობისა და განუვითარებლობის გამო. ჯერ-ერთი, თუ თქვენ ვერ შესძლებთ მათ დარაზმვას და ამოქმედებას, ისინი გაჰყვებიან მენშევიკებსა და გაპონებს და იმავე თავისი გამოუცდელობით ხუთჯერ უფრო მეტ ზიანს მოიტანენ. მეორე, ახლა მოვლენები გაწვრთნიან ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ა დ. მოვლენები უკვე წვრთნიან ყველას და თვითეულს სწორედ ვპერიოდისებურად.

მხოლოდ აუცილებლად უნდა მოაწყოთ, მოაწყოთ და მოაწყოთ ა ს ო ბ ი თ წრეები და სულ უკანასკნელ ადგილზე გადასწიოთ ჩვეულებრივი კომიტეტური (იერარქიული) სისულელეები. ომიანობის დროა. ან **ახალი**, ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიული სამხედრო ორგანიზაციები ყველგან ყოველგვარი, ყველა სახის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის ყველა ფენაში, — ან თქვენ დაიღუპებით ბეჭედდასმულ «კომიტეტელთა» სახელით.

მე ამის შესახებ დავწერ ხოლმე «ვპერიოდში» და ვილაპარაკებ ყრილობაზე. გწერთ თქვენ, რათა კვალად და კვალად შ ე ვ ე ც ა დ ო გამოგიწვიოთ აზრთა გაცვლისათვის, გამოგიწვიოთ იმისათვის, რათა რედაქციას უ შ უ ა ლ ო დ დ ა უ-

კ ა ვ შ ი რ ო თ მუშათა (და სხვა) ათეული **ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე** წრეები, თუმცა... თუმცა, ჩვენს შორის დარჩეს, არავითარი იმედი არა მაქვს, რომ ეს კადნიერი სურვილები განხორციელდება. იქნებ ორიოდე თვის შემდეგ შემეკითხოთ, რათა ტელეგრაფით გიპასუხოთ, თანახმა ვარ თუ არა «გეგმის» ასეთ და ასეთ ცვლილებაზე... წინასწარ გიპასუხებთ, რომ ყველაფერზე თანახმა ვარ... ყრილობაზე ნახვამდის. ლენინი.

P. S.* საჭიროა ამოცანად დაისახოთ «ვპერიოდის» რუსეთში გადაზიდვის რევოლუციონიზირება. უფართოესი პროპაგანდა გასწიეთ, რომ პიტერიდან ხელმოწერა გაძლიერდეს. დაე სტუდენტებმა და განსაკუთრებით მ უ შ ე ბ მ ა ათობით და ასობით გამოიწერონ თავიანთი საკუთარი მისამართებით. ახლანდელ დროში ამის შიში სასაცილოა. ყველაფრის ხელში ჩაგდებას პოლიცია ვერასოდეს ვერ შესძლებს. თუ მიაღწევს ½ — ⅓, ესეც უკვე ძალიან ბევრია. მიეცით ეს აზრი ახალგაზრდობის ყ ო ვ ე ლ წრეს, რომელიც საზღვარგარეთისაკენ იპოვნის ასობით თავის გზასაც. ფართოდ, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელეთ მისამართები წერილების საგზავნად «ვპერიოდში».

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 4 (39)	**იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 156 — 161**

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

ს. ი. გუსევს
ხარიტონს

15. II. 05.

ძვირფასო მეგობარო! წერილებისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. კვლავაც აუცილებლად ასევე მოიქეცით, მხოლოდ აი კიდევ რა: 1) ნურასოდეს ნუ დასჯერდებით თქვენთვის გადმოცემული წერილებისა თუ ცნობების დაკონსპექტებას, არამედ აუცილებლად **მთლიანად** გვიგზავნეთ ისინი (თქვენი წერილების გარდა); 2) აუცილებლად დაგვაკავშირეთ **უშუალოდ** ახალ ძალებთან, ახალგაზრდობასთან, ახალ წრეებთან. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რევოლუციური ორგანიზაციის ძალას მის კავშირთა რაოდენობა შეადგენს. რუსეთში გაბმული იმ ახალი კავშირების რაოდენობის მიხედვით, რომელთა შესახებაც ცნობებს მივიღებთ, უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მეგობრების ქმედუნარიანობა და მათი მუშაობის შედეგები. დღემდე **ყველა** პიტერელს (სირცხვილი მათ) არ გამოუგზავნია ცნობა რუსეთში გაბმული არც ერთი ახალი კავშირის შესახებ (არც სერაფიმას, არც სისოიკას, არც ზემლიაჩკას, არც ნიკ. ივ — ს). ეს სკანდალია, ყელის გამოჭრაა, საქმის ჩაფუშვაა! ისწავლეთ მენშევიკებისაგან, ღვთის გულისათვის. «ისკრის» № 85-ში აუარებელი კორესპონდენციებია. აი თქვენ ხომ წაუკითხეთ ახალგაზრდობას «ვპერიოდი», რატომ არ დაგვაკავშირეთ ვინმესთან ამ ახალგაზრდობიდან? გახსოვდეთ, რომ საკმარისია თქვენ ჩავარდეთ, და ჩვენ გარიყული დავრჩებით, სანამ არ შეგვძენთ «ვპერიოდის» ათიოდე ახალ, ახალგაზრდა, ერთგულ მეგობარს, რომლებმაც იციან მუშაობა, იციან კავშირის გაბმა, რომლებიც შეძლებენ მიწერ-მოწერას უთქვენოდაც. გახსოვდეთ ეს!!

პროფესიონალი რევოლუციონერი ყოველ ადგილას ათობით უნდა ამყარებდეს ახალ კავშირებს, თავისი მეთვალყურეობით აკეთებინებდეს იმათ, ვისაც დაუკავშირდება, მთელ სამუშაოს, ასწავლიდეს მათ და ახალისებდეს არა ჭკუის სწავლებით, არამედ მუშაობით. შემდეგ უნდა წავიდეს სხვა ადგილას და ერთი-ორი თვის შემდეგ დაბრუნდეს ახალგაზრდა მოადგილეების შესამოწმებლად. გარწმუნებთ, რომ ჩვენში არის ახალგაზრდობის რაღაც იდიოტური, ფილისტერული, ობლომოვური შიში. გემუდარებით: მთელი ძალ-ღონით ებრძოლეთ ამ შიშს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 332 — 333

სანქტ-პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მებრძოლ კომიტეტს

1905 წ. 16 ოქტომბერი.

ძვირფასო ამხანაგებო! დიდად გმადლობთ, რომ გამომიგზავნეთ 1) მებრძოლი კომიტეტის ანგარიში და 2) ბარათი აჯანყების მომზადების ორგანიზაციის საკითხზე+3) ორგანიზაციის სქემა. როცა ეს დოკუმენტები წავიკითხე, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე პირდაპირ მიმემართა მებრძოლი კომიტეტისთვის. აზრთა ამხანაგური გაცვლა-გამოცვლისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მე არ ვკისრულობ საქმის პრაქტიკულად დაყენების განხილვას. ყველაფერი რომ კეთდება, რაც კი შესაძლებელია რუსეთის ძძიმე პირობებში, ამაზე ეჭვის მიტანა შეუძლებელია. მაგრამ, დოკუმენტების მიხედვით თუ განვსჯით, საქმეს კანცელარიული გადაგვარება მოელის. მებრძოლი კომიტეტის ორგანიზაციის ყველა ეს სქემა, ყველა ეს გეგმა საქმის კანცელარიული გაჭიანურების შთაბეჭდილებას ახდენს, — გთხოვთ მომიტევოთ გულახდილობა, მაგრამ ვიმედოვნებ შარის მოდების სურვილს არ დამწამებთ. ასეთ საქმეში ყველაზე ნაკლებ გამოსადეგია სქემები, დავა და დაუსრულებელი ლაპარაკი მებრძოლი კომიტეტის ფუნქციებსა და უფლებებზე. აქ საჭიროა გააფთრებული ენერგია და კიდევ ენერგია. მე საშინელებად, ღმერთმანი საშინელებად, მიმაჩნია, როცა ვხედავ, რომ ნ ა ხ ე ვ ა რ წ ე ლ ი წ ა დ ზ ე მ ე ტ ი ა ყუმბარებზე ლაპარაკობენ და ჯერ ერთიც არ გაუკეთებიათ! ლაპარაკობენ კი უაღრესად განსწავლული ადამიანები... მიმართეთ ახალგაზრდობას, ბატონებო! აი ერთადერთი, ყოვლისმხსნელი საშუალება. თორემ, ღმერთმანი, დაიგვიანებთ (მე ამას ყველაფრით ვხედავ) და ხელში

შეგრჩებათ «მეცნიერული» ბარათები, გეგმები, ნახაზები, სქემები, სანაქებო რეცეპტები, მაგრამ ორგანიზაცია, ცოცხალი საქმე კი არ გექნებათ. მიმართეთ ახალგაზრდობას. ახლავე მოაწყეთ მებრძოლი რაზმები ყველგან და ყოველ ადგილას სტუდენტებშიც, განსაკუთრებით მუშებშიც და სხვ. და სხვ.. დაე ახლავე მოეწყოს რაზმები 3-დან 10, 30-მდე კაცის შემადგენლობით თვითეული. დაე ახლავე შეიარაღდნენ ისინი თვითონ, ვის როგორ შეუძლია, ზოგი რევოლვერით, ზოგი დანით, ზოგი ნავთიანი ჩვრით ცეცხლის წასაკიდებლად და სხვ.. დაე ახლავე აირჩიონ ამ რაზმებმა თავიანთი ხელმძღვანელები და შეძლებისდაგვარად დაუკავშირდნენ პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მებრძოლ კომიტეტს. ნუ მოითხოვთ ნურავითარ ფორმალობას, მიაფურთხეთ, თუ ღმერთი გწამთ, ყოველგვარ სქემას, ღვთის გულისათვის, ყველა «ფუნქცია, უფლება და პრივილეგია» ეშმაკს გაატანეთ. ნუ მოითხოვთ აუცილებლად რსდმპ წევრობას — ეს აბსურდული მოთხოვნა იქნებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის. უარს ნუ იტყვით ყოველ წრესთან დაკავშირებაზე, თუნდაც იგი სამი კაცისაგან შესდგებოდეს, მხოლოდ იმ ერთადერთი პირობით, რომ პოლიციის მხრივ საფრთხეს არ წარმოადგენდეს და მზად იყოს მეფის ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაე წრეები, რომელთაც ეს სურთ, შევიდნენ რსდმპ ან მიემხრონ რსდმპ, ეს ჩინებულია; მაგრამ ამის მოთხოვნას უსათუოდ შეცდომად ჩავთვლიდი.

პეტერბურგის კომიტეტთან არსებული მებრძოლი კომიტეტის როლი უნდა იყოს — დახმარების გაწევა რევოლუციური არმიის ამ რაზმებისთვის, დამაკავშირებელი «ბიუროს» ფუნქციის შესრულება და სხვა. თქვენს სამსახურს სიამოვნებით მიიღებს ყოველი რაზმი, მაგრამ თუ თქვენ ასეთ საქმეს დაიწყებთ სქემებით, სიტყვებით მებრძოლი კომიტეტის «უფლებათა» შესახებ, გარწმუნებთ, მთელ საქმეს დაღუპავთ, დაღუპავთ სამუდამოდ.

უნდა იმოქმედოთ ფართო ქადაგების გაჩაღებით. დაე 5 — 10 კაცმა კვირაში მუშათა და სტუდენტთა ასეული წრეები შემოიარონ, შეძვრნენ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია,

და ყველგან შესთავაზონ ცხადი, მოკლე, პირდაპირი და მარტივი გეგმა: ახლავე მოაწყეთ რაზმი, შეიარაღდით, რითაც შეგიძლიათ, მთელი ძალღონით იმუშავეთ, რითაც შეგვეძლება დაგეხმარებით, ოღონდ ჩ ვ ე ნ ი ლ ო დ ი ნ ი ნ უ გ ე ქ ნ ე ბ ა თ, თვითონ იმუშავეთ.

ასეთ საქმეში სიმძიმის ცენტრია — უამრავი წვრილი წრის ინიციატივა. ისინი ყველაფერს გააკეთებენ. მათ დაუხმარებლად მთელი ‘თქვენი მებრძოლი კომიტეტი ‘არარაა. მე ‘ზადა ‘ვარ მებრძოლი კომიტეტის მუშაობის ‘ნაყოფიერება ‘გავზომო მასთან დაკავშირებული ასეთი რაზმების რიცხვის ‘მიხედვით. თუ მებრძოლ კომიტეტს პიტერში 1 — 2 თვეში **minimum*** 200 — 300 რაზმი არ ეყოლება, მაშინ ეს მკვდარი მებრძოლი კომიტეტია. მაშინ ის უნდა ‘დავასაფლავოთ. თუ ახლანდელ მშფოთვარე დროს რამდენიმე ‘ასეულ რაზმს ‘ვერ შევქმნით,— მაშ ‘ცხოვრების ‘გარეთ ‘ვყოფილვართ.

მქადაგებლებმა თვითეულ რაზმს ‘ყუმბარების მოკლე და ‘მარტივი რეცეპტები უნდა მისცენ, ფრიად ‘ელემენტარულად ‘უნდა ‘უამბონ სამუშაოთა ‘მთელი ‘ტიპის ‘ამბავი და შემდეგ ‘მთელი ‘მუშაობა ‘თვითონ ‘მათ ‘მიანდონ. ‘რაზმებმა ‘ ‘ ‘

რომ შეგვძენს რამდენიმე ასეულ ახალ მებრძოლთ, რომლებიც ხვალ ასეულ ათასებს გაუძღვებიან.

მაგრად გართმევთ ხელს, ამხანაგებო, და გისურვებთ წარმატებას. ჩემს შეხედულებას სრულიადაც არ გახვევთ თავს, მაგრამ მოვალედ ვრაცხ თავს ს ა თ ა თ ბ ი რ ო ხმა მოგაწოდოთ.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 423 — 426

მოსკოვის ამბების გაკვეთილები

მოსკოვის პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა, რომელიც ასე მკაფიოდ გამოიხატა პოლიტიკურ გაფიცვასა და ქუჩის ბრძოლაში, ჯერ კიდევ არ დამცხრალა. გაფიცვა გრძელდება. იგი მოედო ნაწილობრივ პეტერბურგსაც, სადაც გაიფიცნენ ასოთამწყობნი თავიანთი მოსკოველი ამხანაგების თანაგრძნობის ნიშნად. ჯერ კიდევ არ ვიცით, დაცხრება დღევანდელი მოძრაობა სანამ მას შემდგომი ზვირთი მოუსწრებდეს, თუ იგი ხანგრძლივ სახეს მიიღებს. მაგრამ მოსკოვის ამბების ზოგიერთმა, მეტად საგულისხმო შედეგმა უკვე თავი იჩინა, და ამ შედეგებზე ღირს შეჩერება.

საერთოდ და მთლიანად, მოძრაობას მოსკოვში ცარიზმის ძალების წინააღმდეგ, რევოლუციური მუშების გადამწყვეტი ბრძოლის ხასიათი არ მიუღია. ეს იყო მხოლოდ პატარა შეჯახებანი ფორპოსტებზე, ნაწილობრივ, შეიძლება, სამხედრო დემონსტრაცია სამოქალაქო ომში, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი ბრძოლა იმ ბრძოლათაგანი, რომელნიც განსაზღვრავენ ომის შედეგს. ჩვენ მიერ ერთი კვირის წინათ გამოთქმული ორი ვარაუდიდან თითქოს პირველი მართლდება, სახელდობრ ის, რომ ჩვენს წინაშეა არა გადამწყვეტი იერიშის დასაწყისი, არამედ მხოლოდ მისი რეპეტიცია. მაგრამ რეპეტიციამ მაინც ისტორიული დრამის ყველა მოქმედი პირი მთელი სიგრძე-სიგანით დაგვანახვა და ამრიგად ნათელი მოჰფინა თვით დრამის მოსალოდნელ მსვლელობას, ნაწილობრივ აუცილებელსაც კი.

მოსკოვის ამბების საბაბი გახდა, პირველი შეხედვით, წმინდა აკადემიური ხასიათის მოვლენები. მთავრობამ უბოძა ნაწილობრივი «ავტონომია», თუ ვითომდა ავტონომია, უნივერსიტეტებს. ბატონმა პროფესორებმა თვითმმართველობა მიიღეს. სტუდენტებს კრებების უფლება მიეცათ. თვითმპყრობელურ-ბატონყმური ჩაგვრის საერთო სისტემას, ამრიგად, პატარა ნაპრალი გაუჩნდა. და ამ ნაპრალში მაშინვე მოულოდნელი ძალით ახალი რევოლუციური ნაკადები შეიჭრა. უმნიშვნელო დათმობამ, ერთი ციცქნა რეფორმამ, რომელიც იმ მიზნით იყო გატარებული, რომ შეერბილებინა პოლიტიკური წინააღმდეგობანი და «შეერიგებინა» ავაზაკები გაძარცულებთან, სინამდვილეში ბრძოლის უზარმაზარი გამწვავება და მის მონაწილეთა შემადგენლობის გაფართოება გამოიწვია. სტუდენტების კრებებს მუშებმა მიაშურეს. გამოდიოდა რევოლუციური სახალხო მიტინგები, რომლებზედაც სჭარბობდა თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწინავე კლასი — პროლეტარიატი. მთავრობა აღშფოთდა. «დარბაისელი» ლიბერალები, რომლებმაც პროფესორთა თვითმმართველობა მიიღეს, აწრიალდნენ და რევოლუციური სტუდენტებისაგან პოლიციურ მთავრობასთან, მათრახის მთავრობასთან გაიქცნენ. ლიბერალებმა თავისუფლება გამოიყენეს, რათა ეღალატნათ თავისუფლებისათვის, რათა შეეკავებინათ სტუდენტები ბრძოლის გაფართოებისა და გამწვავებისაგან, რათა ექადაგნათ «წესიერი საქციელი» — ბაშიბუზუკებისა და შავრაზმელების, ბატონ ტრეპოვისა და რომანოვის წინაშე! ლიბერალებმა თვითმმართველობა იმისთვის გამოიყენეს, რომ განეგოთ ხალხის ჯალათთა საქმეები, დაეხურათ უნივერსიტეტი, ეს მათრახოსანთა მიერ ნებადართული «მეცნიერების» საკურთხეველი, რომელიც სტუდენტებმა შებილწეს იმით, რომ «საძაგელი ბრბო» შეუშვეს თვითმპყრობელური ბანდის მიერ «ნებადართველი» საკითხების განსახილველად. თვითმმართველი ლიბერალები ღალატობდნენ ხალხს და ღალატობდნენ თავისუფლებას, ვინაიდან მათ ეშინოდათ უნივერსიტეტის კედლებში ხოცვა-ჟლეტისა. და ისინიც სამაგალითოდ დაისაჯნენ თავიანთი საძაგელი სილაჩრისთვის. რევოლუციური

უნივერსიტეტის დახურვით მათ ქუჩის რევოლუციას გაუღეს კარი. ეს უბადრუკი პედანტები თითქოს უკვე ზეიმობდნენ, არამზადა გლაზოვებთან ერთად, ხანძრის ჩაქრობას სკოლაში. სინამდვილეში კი მათ მხოლოდ გააღვივეს ხანძარი უზარმაზარ სამრეწველო ქალაქში. ამ ორჩოფეხა კაცუნებმა მუშებს აუკრძალეს სტუდენტობასთან მისვლა; ამით მხოლოდ წაუბიძგეს სტუდენტობას რევოლუციური მუშებისკენ. ისინი ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს თავიანთი, საუკუნოვანი კაზიონურობით გაჟღენთილი საქათმის თვალსაზრისით აფასებდნენ; ისინი ემუდარებოდნენ სტუდენტებს შეეხრალებინათ ეს საქათმე. საკმაო იყო პირველი გრილი ნიავი, თავისუფალი და ნორჩი რევოლუციური სტიქიონის შემოჭრა, — რომ ყველას დავიწყებოდა ფიქრიც კი საქათმეზე, ვინაიდან ნიავი ძლიერდებოდა და იქცეოდა ქარიშხლად, რომელიც მიმართული იყო მთელი კაზიონურობისა და რუსი ხალხის აბუჩად აგდების ძირითადი სათავის წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და დღესაც კი, როცა პირველმა საფრთხემ განვლო, როცა ქარიშხალი აშკარად დაცხრა, თვითმპყრობელობის ლაქიები შიშით კიდევ ცახცახებენ, როცა აგონდებათ ის უფსკრული, რომელიც გააშალა მათ წინაშე მოსკოვის სასხლის ღვრის დღეებში: «ეს ჯერ კიდევ არაა ხანძარი, მაგრამ უკვე უეჭველი ცეცხლის წაკიდებაა», ლუღლუღებს ბ-ნი მენშიკოვი ლაქიურ «ნოვოე ვრემიაში» (30 სექტემბერი)—«ეს ჯერ კიდევ რევოლუცია არაა... მაგრამ უკვე რევოლუციის პროლოგია». ««იგი მოდის», ვამტკიცებდი მე (ბ-ნი მენშიკოვი) აპრილში, და მას შემდეგ რა საშინელი ნაბიჯები გადადგა «მან»!.. ხალხის სტიქიონი ააფორიაქა თვით უფსკრულამდე»...

დიახ, კარგ მუხრუჭში მოექცნენ ტრეპოვები და რომანოვი მოღალატე ლიბერალურ ბურჟუებთან ერთად. უნივერსიტეტს გახსნი — ტრიბუნას მისცემ სახალხო რევოლუციურ კრებებს, დაუფასებელ სამსახურს გაუწევ სოციალ-დემოკრატიას. უნივერსიტეტს დახურავ — ბრძოლას გაუღებ კარს ქუჩაში. და აი, აქეთ-იქით ეხეთქებიან კბილთა ღრჭენით მათრა-

ხის ეს რაინდები: ისინი ხელახლა ხსნიან მოსკოვის უნივერსიტეტს, თავს ისე იჭერენ, თითქოს სურთ ნება მისცენ სტუდენტებს თვითვე დაიცვან წესრიგი ქუჩის პროცესიების დროს, ისინი თვალს არიდებენ სტუდენტების რევოლუციურ თვითმმართველობას, სტუდენტებისა, რომელნიც აფორმებენ დაყოფას სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სხვ. პარტიებად, ქმნიან სწორ პოლიტიკურ წარმომადგენლობას სტუდენტთა «პარლამენტში» (ჩვენ დარწმუნებული ვართ, სტუდენტები არ დასჯერდებიან რევოლუციურ თვითმმართველობას და დაუყოვნებლივ და სერიოზულად შეუდგებიან რევოლუციური არმიის რაზმების ორგანიზაციასა და შეიარაღებას). ხოლო ტრეპოვთან ერთად აწრიალდნენ ლიბერალი პროფესორებიც, რომელნიც დღეს სტუდენტებს არწმუნებენ ზომიერება დაიცავითო, ხვალ მათრახსანთ, უფრო ლმობიერი იყავითო. მათი ეს მოუსვენრობა უდიდეს სიამოვნებას გვგვრის: ჩანს, კარგად ქრის რევოლუციური ნიავი, თუ პოლიტიკური კომანდირები და პოლიტიკური მოღალატეები ასე მაღლა ხტებიან ზედა გემბანზე.

მაგრამ კანონიერი სიამაყისა და კანონიერი სიამოვნების გარდა, ჭეშმარიტმა რევოლუციონერებმა რაღაც მეტი უნდა მიიღონ მოსკოვის ამბებიდან: ესაა გარკვევა იმისა, თუ რა სოციალური ძალები მოქმედებენ და, სახელდობრ, როგორ მოქმედებენ რუსეთის რევოლუციაში, — უფრო გარკვეული წარმოდგენა ამ ძალების მოქმედების ფორმებზე. წარმოიდგინეთ მოსკოვის ამბების პოლიტიკური თანამიმდევრობა და თქვენ დაინახავთ მთელი რევოლუციის შესანიშნავ ტიპიურ და კლასობრივად დამახასიათებელ სურათს. აი ეს თანამიმდევრობა: ძველი წესწყობილება ცოტათი იბზარება; მთავრობა ცდილობს შეაკეთოს ეს ბზარი მცირე დათმობებით, მაცთური «რეფორმებით» და სხვ.; დამშვიდების ნაცვლად ისევ ბრძოლის ხელახლა გამწვავება და გაფართოება; ლიბერალური ბურჟუაზია მერყეობს და აქეთ-იქით აწყდება, რევოლუციონერებს ურჩევს თავი დაანებონ რევოლუციას, ხოლო პოლიციელებს — რეაქციას; ასპარეზზე გამოდის რევოლუციური ხალხი პროლეტარიატის მეთაურობით და აშკარა ბრძოლა

ახალ პოლიტიკურ სიტუაციას ქმნის; დაპყრობილ უფრო შაღალ და ფართო ბრძოლის ველზე მტრის სიმაგრეში ხელ-ჭხლა ნაპრალი ჩნდება და მოძრაობა 'იმავე გზით უფრო და უფრო ზევით მიიწევს. ჩვენ თვალწინ მთელ ხაზზე 'ხდება მთავრობის უკანდახევაო, — სამართლიანად შენიშნავდა ამას წინათ «მოსკოვსკიე ვედომოსტი». ხოლო ერთი ლიბერალური გაზეთი[29] საკმაოდ მოსწრებულად უმატებდა: უკან დახევა საარიერგარდო ბრძოლითაო. ბერლინის ლიბერალური გაზეთის «Vossische Zeitung»-ის * პეტერბურგელმა კორეს-პონდენტმა 3 (16) ოქტომბერს ტელეგრაფით გადასცა რედაქციას თავისი საუბარი ტრეპოვის კანცელარიის უფროსთან. «მთავრობისაგან, — უთხრა კორესპონდენტს პოლიციის ვირთაგვამ, — არ უნდა ველოდეთ რაიმე თანამიმდევრული გეგმის გატარებას, ვინაიდან ყოველდღე ისეთი ამბები ხდება, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელია. მთავრობა იძულებულია მიკიბულ-მოკიბულად იმოქმედოს; ძალით ვერ ჩაახშობ ახლანდელ მოძრაობას, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ორ თვესაც და ორ წელსაც».

დიახ, მთავრობის ტაქტიკა სავსებით გამოირკვა. ეს, უეჭველად, მიკიბ-მოკიბვა და უკანდახევაა საარიერგარდო ბრძოლით. და ეს სავსებით სწორი ტაქტიკაა თვითმპყრობელობის ინტერესების თვალსაზრისით: რევოლუციონერების მხრივ კი უდიდესი შეცდომა, საბედისწერო ილუზია იქნებოდა იმის დავიწყება, რომ მთავრობას შეუძლია კიდევ ძალიან, ძალიან დიდხანს დაიხიოს უკან ისე, რომ არ დაკარგოს ყველაზე არსებითი. გერმანიის 1848 წლის დაუმთავრებელი, უდღეური ნახევარ-რევოლუციის მაგალითი, — (მაგალითი, რომელსაც კიდევ დავუბრუნდებით «პროლეტარის» შემდგომ ნომერში და რომელსაც ყოველთვის გავიხსენებთ), — გვიჩვენებს, რომ მთავრობა დამფუძნებელი (ს ი ტ უ ვ ი ე რ ა დ) კრების მოწვევამდე უკან დახევის დროსაც კი შეინარჩუნებს საკმაო ძა-

* — «ფოსის გაზეთი». რ ე დ.

ლებს რევოლუციის დასამარცხებლად უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაში. აი ამიტომაა, რომ, როცა ვსწავლობთ მოსკოვის ამბებს, ამ ბოლონდელ ბრძოლას ჩვენი სამოქალაქო ომის მთელ რიგ ბრძოლათა შორის, ჩვენ ფხიზლად უნდა ვუყურებდეთ მოვლენათა განვითარებას, უდიდესი ენერგიითა და უდიდესი შეუპოვრობით უნდა ვემზადოთ ხანგრძლივი, თავგანწირული ომისათვის, უნდა ვერიდოთ იმ მოკავშირეებს, რომელნიც უკვე მტრის მხარეზე გადასული მოკავშირეები არიან. როცა ჯერ კიდევ არავითარი გადამწყვეტი მონაპოვარი არა გვაქვს, როცა მტერს კიდევ უზარმაზარი გასაქანი აქვს შემდგომი, ხელსაყრელი და უხიფათო უკან დახევისათვის, როცა სულ უფრო და უფრო სერიოზული ბრძოლები წარმოებს, — მაშინ ასეთი მოკავშირეების მინდობა, მათთან შეთანხმების დადების ცდა ან მათთვის მხარისდაჭერა განსაზღვრული პირობებით, შეიძლება არა მარტო სისულელე ალმოჩნდეს, არამედ ღალატიც პროლეტარიატის მიმართ.

მართლაც, ნუთუ შემთხვევითი მოვლენაა ლიბერალური პროფესორების საქციელი მოსკოვის ამბების წინ და ამ ამბების დროს? გამონაკლისია ეს, თუ საერთო წესი მთელი კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიისთვის? გამოხატავს ეს საქციელი ლიბერალური ბურჟუაზიის ამა თუ იმ ჯგუფის ნაწილობრივ თავისებურებებს, თუ მთელი კლასის ძირითად ინტერესებს საერთოდ და მთლიანად? შეუძლებელია სოციალისტებს შორის ორი აზრი არსებობდეს ამ საკითხებზე, მაგრამ ყველა სოციალისტს როდი შეუძლია თანამიმდევრობით გაატაროს ჭეშმარიტად სოციალისტური ტაქტიკა.

რათა საქმის ვითარება უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ავიღოთ ლიბერალური ტაქტიკის განმარტება თვით ლიბერალების მიერ. რუსეთის პრესის ფურცლებზე ისინი გაურბიან პირდაპირ ლაპარაკს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატების შესახებ პირდაპირ ლაპარაკსაც კი. მაგრამ აი ბერლინის «**Vossische Zeitung**»-ის საინტერესო ცნობა, რომელიც უსათუოდ უფრო გულახდილად გამოხატავს ლიბერალების შეხედულებებს:

«სტუდენტთა არეულობა პეტერბურგსა და მოსკოვში სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მეტისმეტად მძაფრად განახლდა, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს ავტონომია ებოძა, — თუმცა, დიდი დაგვიანებით. მოსკოვში ამას ერთვის აგრეთვე მუშათა ფართო მოძრაობა. ეს არეულობა გვიჩვენებს, რომ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ახალი ფაზა დაიწყო. სტუდენტთა კრებების მიმდინარეობა და მათი რეზოლუციები ცხადყოფს, რომ სტუდენტობამ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ბელადების პაროლი: უნივერსიტეტების გადაქცევა სახალხო კრებების ადგილად და ამრიგად რევოლუციის შეტანა მოსახლეობის ფართო ფენებში. თუ როგორ ხორციელდება ეს პაროლი, მოსკოვის სტუდენტებმა უკვე გვიჩვენეს: მათ უნივერსიტეტის შენობაში მოიწვიეს მუშები და სხვა პირნი, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ უნივერსიტეტთან, და ისიც ისეთი რაოდენობით, რომ თვით სტუდენტები უმცირესობაში დარჩნენ. თავისთავად ცხადია, ასეთი მოვლენა არსებულ პირობებში შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს. მთავრობა ამჯობინებს დახუროს უნივერსიტეტები, ვიდრე ასეთი კრებები დაუშვას. ეს იმდენად ნათელია, რომ პირველი შეხედვით გაუგებარიცაა, როგორ შეეძლოთ სოციალ-დემოკრატ ბელადებს ასეთი პაროლის მიცემა. მათ მშვენივრად იცოდნენ, რა მოჰყვებოდა ამას; მათ სწორედ ის უნდოდათ, რომ მთავრობას უნივერსიტეტები დაეხურა. და მერე რის გულისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ცდილობენ ყოველი შესაძლებელი საშუალებით ხელი შეუშალონ ლიბერალურ მოძრაობას. ისინი გრძნობენ, რომ მათ არ ძალუძთ თავიანთი საკუთარი ძალებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოქმედება განახორციელონ; ამიტომ დაე ნურც ლიბერალები და რადიკალები ბედავენ რისამე გაკეთებას, ვინაიდან ეს, თურმე ნუ იტყვით, მხოლოდ ზიანს მოუტანს სოციალისტურ პროლეტარიატს. მან თვითონ უნდა ეჩიპოვოს თავისი უფლებებიო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას შეუძლია ძალიან იამაყოს ამ «მტკიცე» («unbeugsame» — მოუდრეკავი) ტაქტიკით, მაგრამ ყოველ პირუთვნელ მეთვალყურეს იგი უკიდურეს სიბეცედ უნდა ეჩვენოს; საეჭვოა მან რუსეთის სოციალ-დემოკრატია გამარჯვებამდე მიიყვანოს. სავსებით გაუგებარია, რას მოიგებს იგი უნივერსიტეტების დახურვით, რაც აუცილებელია, თუ ასეთი ტაქტიკა გაგრძელდა. ამავე დროს მეცადინეობის განგრძობას უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრესის ყოველი პარტიისათვის. სტუდენტებისა და პროფესორების ხანგრძლივმა გაფიცვებმა რუსეთის კულტურას უკვე დიდი ზიანი მიაყენეს. აკადემიური მუშაობის განახლება აუცილებლად საჭიროა. ავტონომიამ შესაძლებელი გახადა, რომ პროფესორებმა თავისუფლად აწარმოონ მეცადინეობა. ამიტომ ყველა უნივერსიტეტისა და უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები თანახმანი არიან, რომ საჭიროა კვლავ ენერგიულად შეუდგნენ მეცადინეობას.

ისინი მთელ თავიანთ გავლენას იყენებენ, რათა სტუდენტებს უარი ათქმევინონ სოციალ-დემოკრატიული პაროლის გატარებაზე».

ამრიგად, ბრძოლა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსა (კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებსა) და სოციალ-დემოკრატებს შორის სავსებით გამოისახა. ნუ უშლით ხელს ლიბერალურ მოძრაობას! აი ლოზუნგი, შესანიშნავად გამოსახული მოყვანილ სტატიაში. ხოლო რაში მდგომარეობს ეს ლიბერალური მოძრაობა? — უკუსვლითს მოძრაობაში, ვინაიდან პროფესორები უნივერსიტეტის თავისუფლებას იყენებენ და სურთ გამოიყენონ არა რევოლუციური, არამედ რევოლუციის საწინააღმდეგო ქადაგებისათვის, არა ხანძრის გასაღვივებლად, არამედ მის ჩასაქრობად, არა ბრძოლის ველის გასაფართოებლად, არამედ გადამწყვეტ ბრძოლაზე ხელის ასაღებად და ტრეპოვებთან მშვიდობიან თანამშრომლობაზე გადასასვლელად. «ლიბერალური მოძრაობა» ბრძოლის გამწვავების დროს რევოლუციონერებიდან რეაქციონერებისაკენ გადასვლად გადაიქცა (ჩვენ ეს სინამდვილეში დავინახეთ). ლიბერალებს, რა თქმა უნდა, ერთგვარი სარგებლობა მოაქვთ ჩვენთვის, რამდენადაც რყევა შეაქვთ ტრეპოვებისა და რომანოვის სხვა მსახურთა რიგებში, მაგრამ ამ სარგებლობას მხოლოდ მაშინ ვერ გადააჭარბებს მათ მიერ ჩვენს რიგებში შემოტანილი მერყეობით გამოწვეული ზიანი, თუ ჩვენ გადაჭრით გავემიჯნებით კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს და ულმობლად დავგმობთ ყოველ მათს მერყევ ნაბიჯს. ლიბერალები, რომელთაც შეგნებული აქვთ ანდა უფრო ხშირად გრძნობენ თავიანთ ბატონობას თანამედროვე სამეურნეო წყობილებაში, მიისწრაფიან ბატონ-პატრონნი გახდნენ რევოლუციაშიც, და, კონკების დაკერების გარდა, რევოლუციის ყოველგვარ განგრძობას, გაფართოებასა და გამწვავებას ლიბერალური მოძრაობის «დაბრკოლებად» თვლიან. მათ დღეს ეშინიათ არ დაკარგონ ტრეპოვის მიერ ნებადართული უნივერსიტეტის ვითომდა თავისუფლება და ებრძვიან დღეს რევოლუციურ თავისუფლებას. იმის შიშით, რომ არ დაკარგონ ლეგალური «კრებების თავისუფლება», რომელსაც მთავრობა მისცემს ხვალ პოლიციურად დამახინ-

ებულ. სახით, ისინი არ დაგვანებებენ ეს კრებები გამოვიყენოთ ჭეშმარიტად პროლეტარული მიზნებისათვის. სახელმწიფო სათათბიროს ბედიღბლით შეშფოთებულებმა, მათ უკვე გამოიჩინეს ბრძნული ზომიერება სექტემბრის ყრილობაზე და ახლაც იჩენენ მას, როცა იბრძვიან ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ; ნუ გვიშლით ხელს საქმე ვაკეთოთ სახელმწიფო სათათბიროშიო!

და სოციალ-დემოკრატიის სამარცხვინოდ უნდა აღვიაროთ, რომ აღმოჩნდნენ მის წრეში ოპორტუნისტები, რომელნიც მარქსიზმის უსიცოცხლო-დოქტრინიორული დამახინჯების გამო ამ ანკეტს წამოეგნენ! ეს რევოლუცია ბურჟუაზიულიაო, მსჯელობენ ისინი, და ამიტომ... ამიტომ უკან უნდა დავიხიოთ იმ წარმატების დაკვალად, რომელსაც მიაღწევს ბურჟუაზია ცარიზმის მხრით დათმობის საქმეშიო. თუ ახალისკრელები დღემდე ვერ ხედავენ სახელმწიფო სათათბიროს რეალურ მნიშვნელობას, ეს სწორედ იმიტომ, რომ, რაკი თვითონ უკან იხევენ, რასაკვირველია, ვეღარ ამჩნევენ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების უკუსვლითს მოძრაობას. ხოლო ისკრელებმა რომ უკან დაიხიეს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ კანონის გამოცემის დროიდან, ეს უდავო ფაქტია. სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე მათ არ უფიქრიათ დღის წესრიგში დაეყენებინათ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებთან შეთანხმების საკითხი. სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ მათ (პარვუსმა, ჩერევანინმა და მარტოვმა) ეს საკითხი დააყენეს არა მარტო თეორიული ფორმით, არამედ უშუალო პრაქტიკული ფორმითაც. სახელმწიფო სათათბირომდე ისინი საკმაოდ მკაცრ პირობებს უყენებდნენ დემოკრატებს (თვით ხალხის შეიარაღებისათვის ხელისშეწყობის მოთხოვნამდე და სხვ.). სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ მათ უცებ შეარბილეს პირობები და დასჯერდნენ შავრაზმული ანუ ლიბერალური სათათბიროს რევოლუციურ სათათბიროდ გადაქცევის დაპირებას. სახელმწიფო სათათბირომდე ისინი ოფიციალურ რეზოლუციაში იმ კითხვაზე — თუ ვინ უნდა მოიწვიოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, უპასუხებდნენ: ან დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ, ანდა ერთ-ერთმა წარ-

მომადგენლობითმა დაწესებულებამაო. სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ მათ ამოშალეს დროებითი რევოლუციური მთავრობა და ამბობენ: ან «ხალხის (?) დემოკრატიულმა (კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების მსგავსმა?) ორგანიზაციებმა», ანდა... ანდა სახელმწიფო სათათბირომაო. ამრიგად, სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რ ო გ ო რ იყენებენ ისკრელები თავიანთ საუცხოო პრინციპს: რევოლუცია ბურჟუაზიულია, — ფრთხილად, ამხანაგებო, ბურჟუაზია არ ჩამოგვშორდესო!

მოსკოვის ამბებმა სახელმწიფო სათათბიროს შემდეგ პირველად დაგვანახვეს, თუ როგორია ს ა ქ მ ი თ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების ტაქტიკა სერიოზულ პოლიტიკურ მომენტებში; ამ ამბებმა აგრეთვე დაგვანახვეს, რომ ჩვენს მიერ დასურათებული სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული კუდი აუცილებლად იქცევა ბურჟუაზიის უბრალო კუდად. ჩვენ ზემოთ ვთქვით: შავრაზმული ანუ ლიბერალური სახელმწიფო სათათბიროო. ისკრელს ეს სიტყვები საშინელებად ეჩვენებოდა, ვინაიდან იგი დიდს მნიშვნელობას აძლევს განსხვავებას შავრაზმულ და ლიბერალურ სახელმწიფო სათათბიროს შორის. მაგრამ სწორედ მოსკოვის ამბებმა გამოამჟღავნეს სიყალბე ამ «პარლამენტური» იდეისა, რომელიც პარლამენტისწინა ეპოქაში უადგილოდაა წამოყენებული. სწორედ მოსკოვის ამბებმა დაგვანახვეს, რომ მტრის მხარეზე გადასულმა ლიბერალმა ფაქტიურად ტრეპოვის როლი შეასრულა. უნივერსიტეტის დახურვა, რომელსაც გუშინ ტრეპოვი დაადგენდა, დღეს ბატონმა მანუილოვმა და ტრუბეცკოიმ განახორციელეს. ნუთუ ცხადი არაა, რომ «სათათბიროს» ლიბერალებიც აქეთ-იქით იწრიალებენ, ერთი მხრივ, ტრეპოვსა და რომანოვს, ხოლო მეორე მხრივ, რევოლუციურ ხალხს შორის? ნუთუ ცხადი არაა, რომ ლიბერალი მოღალატეებისათვის თუნდაც ოდნავი მხარისდაჭერა მხოლოდ პოლიტიკურ მიამიტთა შესაფერი საქმეა?

პარლამენტურ სისტემაში ხშირად აუცილებელია მხარი დაუჭირო უფრო ლიბერალურ პარტიას ნაკლებ ლიბერალურის წინააღმდეგ. მაგრამ პარლამენტური წყობილებისათვის

რევოლუციურ ბრძოლაში იმ ლიბერალ-მოღალატეთა მხარისდაჭერა, რომელნიც ტრეპოვსა და რევოლუციას «ათანხმებენ», ღალატია.

მოსკოვის ამბებმა საქმით დაგვანახვეს სოციალურ ძალთა ის დაჯგუფება, რომლის შესახებ ბევრს წერდა «პროლეტარი»: სოციალისტური პროლეტარიატი და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის მოწინავე რაზმი ბ რ ძ ო ლ ა ს ა წ ა რ მ ო ე ბ დ ა. ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა ს ა წ ა რ მ ო ე ბ დ ა. მაშ ისწავლეთ, ამხანაგო-მუშებო, მეტი ყურადღებით ისწავლეთ მოსკოვის ამბების გაკვეთილები. სწორედ ასე, უსათუოდ ასე წავა საქმე რუსეთის მთელ რევოლუციაშიც. ჩვენ უფრო მტკიცედ უნდა შევმჭიდროვდეთ ნამდვილ სოციალისტურ პარტიად, რომელიც მუშათა კლასის ინტერესების შეგნებული გამომხატველია და არა სტიქიურად მიჩანჩალებს მასების კუდში. ბრძოლაში მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის იმედი უნდა ვიქონიოთ, მხოლოდ მარტოოდენ მას უნდა ვუთანხმდებოდეთ, მხოლოდ ტრეპოვებისა და რომანოვის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე უნდა ვახორციელებდეთ ამ შეთანხმებებს. მთელი ძალღონით უნდა ვისწრაფოდეთ იქითკენ, რომ რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე რაზმის — სტუდენტობის — გარდა ავამხედროთ აგრეთვე ხალხის ფართო მასა, რომლის მოძრაობა არა მარტო დემოკრატიულია საზოგადოდ (დღეს ყოველი მოღალატე თავის თავს დემოკრატს უწოდებს), არამედ ნამდვილად რევოლუციურია. სახელდობრ, გლეხთა მასა. უნდა გვახსოვდეს, რომ ლიბერალები და კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები, რომლებიც მერყეობას შეიტანენ თვითმპყრობელობის მომხრეთა რიგებში, აუცილებლად ეცდებიან თვითეული თავიანთი ნაბიჯით ჩვენს რიგებშიც შემოიტანონ მერყეობა. სერიოზულ მნიშვნელობას, გადამწყვეტ მნიშვნელობას მიიღებს მხოლოდ აშკარა რევოლუციური ბრძოლა, რომელიც სანაგვეზე ჭადაყრის ყველა ლიბერალურ საქათმეს და ყველა ლიბერალურ სათათბიროს. მაშ ერთს წუთსაც ნუ დაჰკარგავთ და ემზადეთ ახალ-ახალი ბრძოლისათვის! შეიარაღდით, ვისაც რით შეუძლია, დაუყოვნებლივ შეადგინეთ მე-

ბრძოლთა რაზმები, რომელნიც მზად იქნებიან თავდადებული ენერგიით იბრძოლონ წყეული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, გახსოვდეთ, რომ ხვალ თუ ზეგ მოვლენები უეჭველად და აუცილებლად გაგიწვევთ აჯანყებისათვის, და ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, შესძლებთ თუ არა გამოსვლას მომზადებულნი და გაერთიანებულნი, თუ დაბნეულნი და დაქსაქსულნი!

მოსკოვის ამბებმა ერთხელ კიდევ და მეასედ გაამტყუნეს „ცირედმორწმუნენი. ამ ამბებმა დაგვანახვეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებ ვაფასებთ მასების რევოლუციურ აქტივობას. ისინი „ხელახლა ჩაუნერგავენ რწმენას მრავალს იმათგან, ვინც უკვე მერყეობას იჩენდა, ვინც ზავის ჩამოგდებისა და სათათბიროს ბოძების შემდეგ აჯანყების რწმენას კარგავდ. „არა, აჯანყება სწორედ ახლა იზრდება და მტკიცდება ჯერ არნახული სისწრაფით. მაშ დაე ყველა ჩვენგანი სადარაჯოზე შეხვდეს მომავალ აფეთქებას, რომელთან შედარებით ცხრა იანვარი და ოდესის ღირსსახსოვარი დღეები თამაშობად გამოჩნდება.

1905 წ. 24 (11) ოქტომბერი
«პროლეტარი» № 22,

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 464 — 475

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობა და რუსეთის რევოლუცია

მივარდნილი ადგილიდან მიღებულმა წერილმა, რომელიც ყველას მოუხმობს საზღვარგარეთიდან რუსეთში («პროლეტარი» № 19), გამოიწვია პასუხი ამხ. «რევოლუციონერისა». მან ბერნიდან წერილით მიმართა «პროლეტარის» რედაქციას. ამხ. «რევოლუციონერი» დაჟინებით იცავს თეორიის დიდ მნიშვნელობას მოძრაობაში, სერიოზული სწავლის აუცილებლობას და სხვ.. ჩვენ, რა თქმა უნდა, სავსებით ვეთანხმებით მას ამაში, და ჩვენი შენიშვნის აზრიც მივარდნილი ადგილიდან მიღებული წერილის გამო სწორედ ასეთი იყო[30]. ამხ. «რევოლუციონერი» პარტიას ურჩევს მოაწყოს სადმე, მაგალითად, ჟენევაში, უნივერსიტეტის მსგავსი რამ, რომ ახალგაზრდობას შეეძლოს სერიოზულად ისწავლოს. ამგვარი გეგმები არა ერთხელ წამოჭრილა, მაგრამ მათ განხორციელებას მრავალი პრაქტიკული სიძნელე ეღობება წინ.

«პროლეტარი» № 22,
1905 წ. 24 (11) ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 480

სტატიიდან «მენშევიზმის კრიზისი»

III.

პარტია-აპარატისა და პარტია-ავანგარდის დაპირისპირება, რასაც ლარინი სჩადის, ან პოლიციასთან მებრძოლთა პარტიის დაპირისპირება შეგნებულ პოლიტიკურ მებრძოლთა პარტიასთან, ღრმა და «წმინდა-პროლეტარული» სულისკვეთებით აღსავსე ჩანს. ნამდვილად კი ეს სწორედ ისეთივე ინტელიგენტური ოპორტუნიზმია, როგორიც იყო სათანადო დაპირისპირება, რასაც 1899 — 1901 წლებში რაბოჩაიამისლელები და აკიმოველები მიმართავდნენ[31].

ერთი მხრივ, როცა არსებობს ობიექტური პირობები მასების უშუალო-რევოლუციური შეტევისათვის, მაშინ «სტიქიის მომსახურება» პარტიის უმაღლესი პოლიტიკური ამოცანაა. ასეთი რევოლუციური მუშაობის დაპირისპირება «პოლიტიკასთან» იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკა პოლიტიკანობამდე დააქვეითო. ეს ნიშნავს იმას, რომ ქება შეასხა სათათბიროსეული ბრძოლის პოლიტიკას, უფრო მაღლა დააყენო იგი, ვიდრე მასების პოლიტიკა იყო ოქტომბერსა და დეკემბერში, — ე. ი. ნიშნავს სწორედ იმას, რომ პროლეტარულ-რევოლუციური თვალსაზრისიდან ინტელიგენტურ-ოპორტუნისტულ თვალსაზრისზე გადახვიდე.

ბრძოლის ყოველი ფორმა შესაფერ ტექნიკასა და შესაფერ აპარატს მოითხოვს. როცა ბრძოლის მთავარ ფორმად ობიექტური პირობების გამო პარლამენტური ბრძოლა ხდება, პარტიაში აუცილებლად ძლიერდება პარლამენტური ბრძოლისათვის განკუთვნილი აპარატის თვისებები. პირიქით, როცა ობიექტური პირობები წარმოშობენ მასების ბრძოლას მასობრივი პოლიტიკური გაფიცვებისა და აჯანყებების სახით, პროლეტარიატის პარტიას უნდა ჰქონდეს ისეთი «აპარატები», რომლე-

ბიც «მომსახურებას» გაუწევენ ბრძოლის სწორედ ამ ფორმებს, და თავისთავად იგულისხმება, რომ ეს უნდა იყოს განსაკუთრებული «აპარატები», რომლებიც პარლამენტურს არა ჰგავს. პროლეტარიატის დარაზმული პარტია, რომელიც აღიარებს სახალხო აჯანყებათათვის საჭირო პირობების არსებობას და შესაფერი აპარატისათვის არ ზრუნავს, მოლაყბე ინტელიგენტების პარტია იქნება; მუშები ჩამოშორდებიან მას და მიემხრობიან ანარქიზმს, ბურჟუაზიულ რევოლუციონიზმს და სხვ.

მეორე მხრივ, თვითეული კლასის, მათ შორის პროლეტარიატის, პოლიტიკური ხელმძღვანელი ავანგარდის შემადგენლობა დამოკიდებულია ამ კლასის მდგომარეობაზედაც და მისი ბრძოლის მთავარ ფორმაზედაც. ლარინი უჩივის, მაგალითად, იმას, რომ ჩვენს პარტიაში სჭარბობს მუშა ახალგაზრდობა, რომ ცოლშვილიანი მუშები ცოტანი გვყვანან, რომ ისინი შორდებიან პარტიას. რუსი ოპორტუნისტის ამ ჩივილმა მომაგონა ენგელსის ნაწერის ერთი ადგილი (მგონი, «ბინის საკითხში», «Zur Wohnungsfrage»). უპასუხებდა რა ვიღაც უხამს ბურჟუაზიულ პროფესორს, გერმანელ კადეტს, ენგელსი წერდა: განა ბუნებრივი არ არის, რომ ჩვენს პარტიაში, რევოლუციის პარტიაში, ახალგაზრდობა სჭარბობს? ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიდამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობაო.

არა, სჯობია კადეტებს დავუთმოთ 30 წლის ასაკის «დაღლილი» მოხუცების, «მოჭკვიანებული» რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატიის რენეგატების შემოკრება. ჩვენ მუდამ ვიქნებით მოწინავე კლასის ახალგაზრდობის პარტია!

თვითონ ლარინიც უნებურად და გულახდილად აღიარებს, თუ რატომ ასე ეგრალება მას ბრძოლით დაღლილი ცოლშვილიანი ხალხი. ასეთი დაღლილების ბლომად მოგროვება პარ-

ტიაში მას «უფრო ზანტს გახდიდა და მოსპობდა პოლიტიკური ავანტიურის ნიადაგს» (18 გვ.).

აი ასე სჯობია, კეთილო ლარინ! რა საჭიროა ცბიერება და თავის მოტყუება? თქვენ გესაჭიროებათ არა პარტია-ავანგარდი, არამედ პ ა რ ტ ი ა-ა რ ი ე რ გ ა რ დ ი, მოქმედებისათვის რომ ზანტი იყოს. ასე პირდაპირ უნდა ილაპარაკოთ!

...«მოსპობდა პოლიტიკური ავანტიურის ნიადაგს»... დამარცხებულა რევოლუციები ევროპაშიც, ყოფილა 1848 წლის ივნისის დღეები, მაისისა 1871 წელს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები, კომუნისტები, რომელთაც თავისი ამოცანა იმაში დაენახოთ, რომ რევოლუციაში მასების გამოსვლა «ავანტიურად» გამოეცხადებინოთ, — ეს ჯერჯერობით არ ყოფილა. ამისათვის საჭირო იყო, რომ რევოლუციურ მარქსისტებად ჩაწერილიყვნენ (იმედი უნდა ვიქონიოთ, არა დიდი ხნით) უხასიათონი და მხდალნი, თავის იმედის არმქონენი და რეაქციისკენ მოვლენათა ყოველი შეტრიალებით გულგატეხილნი— რუსეთის ფილისტერები, უკაცრაული პასუხია, «ინტელიგენციად» წოდებულნი.

...«მოსპობდა ავანტიურის ნიადაგს»! მაგრამ თუ ასეა, მაშინ პირველი ა ვ ა ნ ტ ი უ რ ი ს ტ ი თვითონ ლარინია, რადგან იგი «მცირე ბრძოლას» რევოლუციის ყ ო ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ გზას უწოდებს, რადგან მ ა ს ე ბ ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ზ რ დ ი ს რწმენას უ ნ ე რ გ ა ვ ს, უნერგავს რწმენას, რომ 2 — 3 წლის შემდეგ უკმაყოფილო სოფელი აავსებს ჯარს, «ძველი ხელისუფლება დაემხობა» «პირველივე სერიოზული განსაცდელისგან»!

მაგრამ ლარინი ავანტიურისტია კიდევ სხვა, გაცილებით უფრო ცუდი და უფრო წვრილმანი აზრითაც. იგი დამცველია მუშათა ყრილობისა და «უპარტიო პარტიისა» (მისი თქმაა!). სოციალ-დემოკრატიის ნაცვლად საჭიროა «სრულიად რუსეთის მუშათა პარტია», — «მუშათა» იმიტომ, რომ შიგ უნდა შევიყვანოთ წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერები, ს.-რ., პ. ს. პ., ბელორუსიის გრომადა[32] და სხვ.

ლარინი აქსელროდის თაყვანისმცემელია. მაგრამ სამსახური კი დათვური გაუწია მას. მან ისე შეაქო მისი «ახალგაზრ-

დული ენერგია», მისი «ჭეშმარიტი პარტიული მამაცობა» მუშათა ყრილობისათვის ბრძოლაში, ისე მხურვალედ ჩაიკრა გულში, რომ... ხვევნაში დაახრჩო! აქსელროდის ბუნდოვანი «იდეა» მუშათა ყრილობისა ჩაჰკლა გულუბრყვილო და გულმართალმა პრაქტიკოსმა, რომელმაც აიღო და ერთბაშად წამოროშა ყველაფერი ის, რაც დაფარული უნდა ყოფილიყო მუშათა ყრილობის წარმატებითი პროპაგანდისათვის. მუშათა ყრილობა ნიშნავს «აბრის მოხსნას» (მე-20 გვ. ლარინისა, რომლისათვისაც სოციალ-დემოკრატიზმი მარტოოდენ აბრაა), ნიშნავს ესერებთან და პროფესიულ კავშირებთან შეერთებას.

მართალია, ამხ. ლარინ! გულმართლობისათვის მაინც გმადლობთ! მუშათა ყრილობა მართლაც ნიშნავს ყოველივე ამას. სწორედ აქეთკენ წაგვიყვანდა იგი მის მომწვევთა ნების წინააღმდეგაც კი. და სწორედ ამიტომ მუშათა ყრილობა ახლა წვრილმანი ოპორტუნისტული ავანტიურაა! წვრილმანი, რადგან მას რაიმე ფართო იდეა კი არ უდევს სარჩულად, არამედ მხოლოდ ინტელიგენტის დაღლილობა მარქსიზმის გულისათვის შეუპოვარი ბრძოლის გამო. ოპორტუნისტული— ამავე მიზეზით და იმიტომ, რომ მუშათა პარტიაში ათასობით უშვებენ ჯერ კიდევ საბოლოოდ სრულიად გამოურკვეველ წვრილ ბურჟუებს. ავანტიურა, რადგან ახლანდელ პირობებში ასეთი ცდა მშვიდობას კი არ მოგვიტანდა, არც დადებით მუშაობას, არც თანამშრომლობას ესერებისა და სოციალ-დემოკრატებისას, რომლებსაც ლარინი თავაზიანად უთმობს «ფართო პარტიის შიგნით პროპაგანდისტულ საზოგადოებათა» როლს (გვ. 40), არამედ განუსაზღვრელად გააძლიერებდა ბრძოლას, უთანხმოებას, გათიშვას, იდეურ დაბნეულობას, პრაქტიკულ დეზორგანიზაციას.

ერთი საქმეა იწინასწარმეტყველო, რომ ესერების «ცენტრი», ენესებისა და მაქსიმალისტების ჩამოშორების შემდეგ, სოციალ-დემოკრატებთან უნდა მივიდეს *. სხვა საქმეა ხეზე ძვრებოდე ვაშლის მოსაწყვეტად, რომელიც ნწიფდება

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 11, გვ. 223. რედ.

მხოლოდ, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამწიფებულა. ან კისერს მოიტეხთ, ფრიად პატივცემულო, ან კუჭს გაიფუჭებთ მკვახე ხილით.

ლარინი ასაბუთებს «ბელგიით» — სრულებით ისე, როგორც 1899 წელს რ. მ. («რაბოჩაია მისლის» რედაქტორი) და ბ-ნი პროკოპოვიჩი (როცა იგი სოციალ-დემოკრატის «სტიქიურ აღტყინებას» განიცდიდა და იმდენად კიდევ არ «დაჭკვიანებულიყო», «რომ გეგმაზომიერად მოქმედი» კადეტი გამხდარიყო). ლარინის ბროშურას წესიერად აქვს დართული წესიერი თარგმანი ბელგიის მუშათა პარტიის წესდებისა! კეთილ ლარინს დავიწყებია რუსეთში გადმოეტანა ბელგიის სამრეწველო პირობები და ისტორია. მთელი რიგი ბურჟუაზიული რევოლუციების შ ე მ დ ე გ, პრუდონის წვრილბურჟუაზიული კვაზი-სოციალიზმის წინააღმდეგ ათეული წლების ბრძოლის შ ე მ დ ე გ, სამრეწველო კაპიტალიზმის გიგანტური, მთელ ქვეყნიერებაზე კინაღამ უმაღლესი, განვითარების პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, — მუშათა ყრილობა და მუშათა პარტია ბელგიაში არაპროლეტარული სოციალიზმიდან პროლეტარულზე გადასვლა იყო. რუსეთში, გაჩაღებული ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, რომელიც ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ამრავლებს წვრილბურჟუაზიულ იდეებსა და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგებს, გლეხობისა და პროლეტარიატის მომიჯნავე ფენებში მზარდი «ტრუდოვიკული» მიმდინარეობის არსებობის დროს, თითქმის ათი წლის ისტორიის მქონე ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მუშათა პარტიის არსებობის დროს, — მუშათა ყრილობა ცუდი გამოგონებაა, შეერთება ესერებთან (ვინ იცის? შეიძლება, 30 ათასი, შეიძლება 60 ათასიც იყოსო — გულუბრყვილოდ ამბობს ლარინი) ინტელიგენტური ახირებაა.

დიახ, დიახ, ისტორიამ იცის ირონიის გამოყენება! მრავალი წლის განმავლობაში ყურებს გვიჭედდნენ მენშევიკები ესეროებასთან ბოლშევიკების სიახლოვის შესახებ. და ი ბოლშევიკები უარყოფენ მუშათა ყრილობას, სხვათა შორის ს წ ო რ ე დ ი მ ი ტ ო მ, რომ იგი დაჩრდილავდა პროლეტარიატისა და წვრილი მეპატრონის თვალსაზრისთა განსხვავებას (იხ. პკ რეზოლუცია[33] «პროლეტარში» № 3). მ ე ნ შ ე ვ ი კ ი კი

მომხრეა ესერებთან შეერთებისა მუშათა ყრილობის დაცვასთან დაკავშირებით. ეს უბადლო რამ არის.

— მე არ მინდა პარტია კლასში გავთქვიფოო, — თავს იმართლებს ლარინი. — მე მინდა მხოლოდ ავანგარდი გავაერთიანო, 900 ათასი 9 მილიონიდანაო (17 და 49 გვ.).

ავიღოთ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის 1903 წლის ოფიციალური ციფრები. ფაბრიკა-ქარხნის მუშა სულ არის 1 640 406. აქედან ქარხნებში, სადაც 500-ზე მეტი მუშაა, — 797 997; ქარხნებში, სადაც 100-ზე მეტი მუშაა, — 1 261 363. მუშათა რიცხვი უდიდეს ქარხნებში (800 000) ცოტათი ნაკლებია იმ რიცხვზე, რასაც ლარინი იძლევა ესერებთან გაერთიანებული მუშათა პარტიისათვის!

ამრიგად, ლარინს იმედი არა აქვს, რომ ჩვენ რუსეთში, როცა უკვე ახლა გვყავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 150 — 170 ათასამდე წევრი, როცა უდიდეს ქარხნებში 800 ათასი მუშაა, როცა არსებობს მსხვილი სამთო საწარმოები (რომელნიც ამ ჯამში არ შესულან), როცა ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სხვაგან თავმოყრილია დიდძალი წმინდა პროლეტარული ელემენტი, — რომ ჩვენ მოკლე დროში შეგვეძლოს მოვუპოვოთ სოციალ-დემოკრატიას 900 ათასი პროლეტარი, როგორც პარტიის წევრი?? ეს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია.

მაგრამ ლარინის ურწმუნეობა ინტელიგენტის აზრის გაუბედაობაა და მეტი არაფერი.

ჩვენ საკვლევით გვწამს, რომ ასეთი ამოცანის განხორციელება შესაძლებელია. წინააღმდეგ «მუშათა ყრილობის» და «უპარტიო პარტიის» ავანტიურისა, ჩვენ ვაყენებთ ლოზუნგს: გაფართოება ხუთმაგად და ათმაგად ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, ოღონდ უპირატესად და თითქმის მხოლოდ და მხოლოდ წმინდა-პროლეტარული ელემენტებით და მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური მარქსიზმის იდეური დროშით*.

---

* პროფესიული კავშირების მოქცევა პარტიაში, რასაც ლარინი გვირჩევს, არ არის რაციონალური. ეს შეკვეცავს მუშათა მოძრაობას და მის

ახლა, დიდი რევოლუციის ერთი წლის შემდეგ, ყოველნაირი პარტიების სწრაფი განვითარების დროს, პროლეტარიატის გამოყოფა დამოუკიდებელ პარტიად უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ოდესმე. სათათბიროს არჩევნები ხელს შეუწყობს ამას (რასაკვირველია, თუ კადეტებთან ოპორტუნისტულ ბლოკს არ მოვაწყობთ). ღალატი ბურჟუაზიისა საზოგადოდ და წვრილი ბურჟუაზიისა განსაკუთრებით (ე ნ ე ს ე ბ ი) განამტკიცებს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას.

ჩვენ მივაღწევთ ლარინის «იდეალს» (პარტიის 900 ათასი წევრი) — ჩვენ ამ იდეალს გადავაჭარბებთ კიდეც იმავე გზაზე შეუპოვარი მუშაობით და არა ავანტიურების საშუალებით. პარტიის გაფართოება პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ელემენტით ახლა მართლაც საჭიროა. არანორმალურია, რომ პიტერში პარტიის მხოლოდ 6 ათასი წევრია (81 ათასი მუშა სპბ. გუბერნიის იმ ქარხნებში, სადაც 500 და მეტი მუშაა; სულ 150 ათასი მუშა), — რომ ცენტრალურ სამრეწველო რაიონში სულ პარტიის 20 ათასი წევრია (377 ათასი მუშა ისეთ ქარხნებში, სადაც 500 და მეტი მუშაა; სულ 562 ათასი მუშა). უნდა შეგვწევდეს უ ნ ა რ ი, რომ ასეთ ცენტრებში ხუთჯერ და ათჯერ მეტი მუშა ჩავაბათ პარტიაში *. ამაში ლარინი სავსებით და

ბაზას. მეპატრონეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ ყოველთვის გავაერთიანებთ მუშათა გაცილებით მეტ რიცხვს, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისათვის. ამიტომ (წინააღმდეგ ლარინის მ ც დ ა რ ი მტკიცებისა, რომ ბოლშევიკები უპარტიო პროფკავშირების წინააღმდეგ გამოდიოდნენ),— ამიტომ ჩვენ მომხრე ვართ უპარტიო პროფკავშირებისა, როგორც ამის მომხრე იყო ჯ ე რ კ ი დ ე ვ 1 9 0 2 წ ე ლ ს ავტორი «იაკობინური» (ოპორტუნისტების აზრით, იაკობინური) ბროშურისა: «რა ვაკეთოთ?». (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 5, გვ. 572 — 573. რ ე დ.)

* ვამბობთ: «უნდა შეგვწევდეს უნარი», რადგან სოციალ-დემოკრატი მუშების რიცხვი, უეჭველია, ბევრად აღემატება ასეთს ცენტრებში პარტიის წევრთა რიცხვს. ჩვენ გვაქვს რუტინა, ამას უნდა ვებრძოლოთ. უნდა მოვახერხოთ, სადაც საჭიროა, და გამოვიყენოთ lose Organisationen — უფრო თავისუფალი, ფართო, მისაწვდომი პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ორგანიზაციები. ჩვენი ლოზუნგია: ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ

ეთუოდ მართალია. მაგრამ ინტელიგენტურ სულმოკლეობასა და ინტელიგენტურ ნერვიულობას არ უნდა ავყვეთ. ამას მივაღწევთ ჩვენს სოც.-დემოკრატიულ გზაზე, უავანტიუროდ.

«პროლეტარი» № 9,
1906 წ. 7 დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 11, გვ. 421 — 428

მუშათა პარტიის გაფართოება წინააღმდეგ უპარტიო მუშათა ყრილობისა და უპარტიო პარტიისა!

ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი

(ნეკროლოგი)

ჩვენ ვცხოვრობთ წყეულ პირობებში, როცა შეიძლება მოხდეს ასეთი რამ: უგზო-უკვლოდ იკარგება დიდი პარტიული მუშაკი, პარტიის სიამაყე, ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად შესწირა მუშათა საქმეს. მისმა უახლოესმა ადამიანებმაც, როგორიცაა ცოლი და დედა, უახლოესმა ამხანაგებმაც წლების განმავლობაში არ იციან, რა მოუვიდა მას: სადმე კატორღაში იტანჯება, რომელიმე ციხეში დაიღუპა, თუ გმირულად მოკვდა მტერთან შეტაკების დროს. ასე მოუვიდა ივანე ვასილის-ძეს, რომელიც რენენკამპფმა დახვრიტა. მისი სიკვდილის ამბავი ჩვენ მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინათ გავიგეთ.

ივანე ვასილის-ძის სახელი ახლობელი და ძვირფასია არა ერთი სოციალ-დემოკრატისათვის. ყველას, ვინც კი მას იცნობდა, უყვარდა ის და პატივს სცემდა ივანე ვასილის-ძეს მისი ენერგიისათვის, იმისათვის, რომ მას არ სჩვეოდა ფრაზები, მასი ღრმა და მტკიცე რევოლუციურობისა და საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისათვის. პეტერბურგელი მუშა, იგი 1895 წელს, სხვა შეგნებული ამხანაგების ჯგუფთან ერთად, ენერგიულ მუშაობას ეწევა ნევის ზასტავის იქით მდებარე სემიანიკოვის, ალექსანდროვსკის, მინის ქარხნების მუშათა შორის, აარსებს წრეებს, აწყობს ბიბლიოთეკებს და თვითონაც მუდამ გატაცებით სწავლობს.

მთელი მისი აზრი იქითკენ არის მიმართული, რომ როგორმე გააფართოოს მუშაობა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სემიანიკოველი მუშებისადმი მიმართული ი მ პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ა ბ ი ტ ა ც ი ო ფ ურ ც ლ ი ს შედგენაში, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა 1894 წლის შემოდგომაზე, და პირადად ავრცელებს მას. როცა სანკტ-პეტერბურგში «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი» იქმნება, ივანე ვასილის-ძე მისი ერთ-ერთი უაღრესად აქტიური წევრი ხდება და დაპატიმრებამდე მუშაობს მასში. საზღვარგარეთ ისეთი პოლიტიკური გაზეთის შექმნის იდეა, რომელიც სამსახურს გაუწევდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისა და განმტკიცების საქმეს, მასთან ერთად განიხილეს პეტერბურგის მუშაობის დროინდელმა მისმა ძველმა ამხანაგებმა — «ისკრის» დამაარსებლებმა — და ამ იდეას მან უაღრესად მხურვალედ დაუჭირა მხარი. ვიდრე ივანე ვასილის-ძე თავისუფალი იყო, «ისკრას» წმინდა მუშური კორესპონდენციების ნაკლებობა არ განუცდია. გადასინჯეთ «ისკრის» პირველი 20 ნომერი, ყველა ეს კორესპონდენცია შუიდან, ივანოვო-ვოზნესკიდან, ორეხოვო-ზუევოდან და რუსეთის ცენტრის სხვა ადგილებიდან, — თითქმის ყველა ისინი გადიოდა ივანე ვასილის-ძის ხელში, რომელიც ცდილობდა უაღრესად მჭიდრო კავშირი დაემყარებინა «ისკრასა» და მუშებს შორის. ივანე ვასილის-ძე «ისკრის» მეტად გულმოდგინე კორესპონდენტი და მისი მხურვალე მომხრე იყო. ცენტრალური რაიონიდან ბაბუშკინი გადადის სამხრეთში, ეკატერინოსლავში, სადაც მას აპატიმრებენ და ალექსანდროვსკის საპყრობილეში ათავსებენ. ალექსანდროვსკიდან იგი გაიქცა სხვა ამხანაგთან ერთად, რისთვისაც გადახერხა ფანჯრის გისოსი. თუმცა არც ერთი უცხოური ენა არ იცოდა, მან მაინც მოახერხა ლონდონში ჩასვლა, სადაც მაშინ «ისკრის» რედაქცია იყო. ბევრი რამ ითქვა იქ, მრავალი საკითხი იქნა განხილული ერთად. მაგრამ ივანე ვასილის-ძეს საშუალება არ მიეცა დასწრებოდა პარტიის მეორე ყრილობას... საპყრობილემ და გადასახლებამ დიდი ხნით გამოიყვანა ის მწყობრიდან. აზვირთებულმა რევოლუციურმა ტალღამ ახალი მუშა-

კები, ახალი პარტიული მოღვაწეები წამოაყენა, ბაბუშკინი კი ამ დროს შორეულ ჩრდილოეთში, ვერხოლენსკში ცხოვრობდა, პარტიულ ცხოვრებას მოწყვეტილი. იგი დროს უქმად არ კარგავდა, სწავლობდა, საბრძოლველად ემზადებოდა, ამეცადინებდა მუშებს, გადასახლებაში მყოფ ამხანაგებს, ცდილობდა ისინი შეგნებული სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები გაეხადნა. 1905 წელს ამნისტიამ მოუსწრო, და ბაბუშკინი რუსეთისაკენ გაემართა. მაგრამ ამ დროს ციმბირშიც ბრძოლა იყო გაჩაღებული, და იქ საჭირო იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორც ბაბუშკინი. იგი ირკუტსკის კომიტეტში შევიდა და მუშაობაში გადაეშვა. მას უხდებოდა კრებებზე გამოსვლა, სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გაწევა და აჯანყების მოწყობა. მაშინ, როდესაც ბაბუშკინს ხუთ სხვა ამხანაგთან ერთად — მათ სახელებს ჩვენამდე არ მოუღწევია — ჩიტაში მიჰქონდა დიდძალი იარაღი ცალკე ვაგონით, მატარებელს დაესხა რენენკამპფის სადამსჯელო ექსპედიცია, და ექვსივე, სრულიად გაუსამართლებლად, მყისვე დახვრიტეს სახელდახელოდ გაჭრილი საერთო საფლავის პირას. მოკვდნენ ისინი როგორც გმირები. მათი სიკვდილის ამბავი მოიტანეს დამსწრე ჯარისკაცებმა და რკინიგზელებმა, რომლებიც იმავე მატარებელში იმყოფებოდნენ. ბაბუშკინი მეფის ოპრიჩნიკის მხეცური ძალადობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ, როცა კვდებოდა, მან იცოდა, რომ საქმე, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, არ მოკვდება, რომ ამ საქმეს გააკეთებენ სხვა ადამიანთა ათი, ასი ათასები, მილიონები, რომ ამ საქმისათვის თავს გასწირავენ სხვა ამხანაგი-მუშები, რომ ისინი იბრძოლებენ მანამდე, ვიდრე არ გაიმარჯვებენ...

* *
*

არიან ადამიანები, რომლებმაც შეთხზეს და ავრცელებენ ზღაპარს იმის შესახებ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია «ინტელიგენტური» პარტიაა, რომ მუშები მისგან მოწყვეტილი არიან, რომ მუშები რუსეთში არიან სოციალ-დემოკრატები უსოციალ-დემოკრატიოდ, რომ ასე იყო

განსაკუთრებით რევოლუციამდე და მნიშვნელოვანწილად — რევოლუციის დროს. ლიბერალები ამ სიცრუეს ავრცელებენ მასების იმ რევოლუციური ბრძოლისადმი სიძულვილის გამო, რომელსაც 1905 წელს რსდმპ ხელმძღვანელობდა, სოციალისტებიდან კი ამ ცრუ თეორიას ზოგი ვინმე სესხულობს უგუნურობით ან მოუფიქრებლობით. ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინის ბიოგრაფია, ამ მ უ შ ა-ი ს კ რ ე ლ ი ს ათი წლის სოციალ-დემოკრატიული მუშაობა თვალსაჩინოდ აბათილებს ლიბერალურ სიცრუეს. ი. ვ. ბაბუშკინი ერთი იმ მოწინავე მუშათაგანია, რომლებმაც რევოლუციამდე 10 წლით ადრე დაიწყეს მ უ შ ა თ ა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა. პროლეტარულ მასებში ა ს ე თ ი მოწინავეების დაუცხრომელი, გმირულ-ბეჯითი მუშაობა რომ არა, რსდმ პარტია არათუ ათ წელს, ათ თვესაც ვერ იარსებებდა. მხოლოდ ა ს ე თ ი მოწინავეების მოღვაწეობის მეოხებით, მხოლოდ მათი მხარდაჭერის მეოხებით, რსდმ პარტია 1905 წლისთვის გაიზარდა ისეთ პარტიად, რომელიც გ ა ნ უ უ რ ე ლ ა დ შ ე ე ს ი ს ხ ლ ხ ო რ ც ა პროლეტარიატს ოქტომბრისა და დეკემბრის დიად დღეებში, რომელმაც შეინარჩუნა ეს კავშირი არა მარტო II, არამედ აგრეთვე III, შავრაზმული, სათათბიროს მუშა დეპუტატების სახით.

ლიბერალებს (კადეტებს) უნდათ სახალხო გმირად აქციონ I სათათბიროს თავმჯდომარე ს. ა. მურომცევი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოკვდა. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, შემთხვევა არ უნდა გავუშვათ, რათა გამოვთქვათ ზიზღი და სიძულვილი მეფის მთავრობის მიმართ, რომელიც სდევნიდა ისეთ ზომიერ და უწყინარ მოხელეებსაც კი, როგორიც მურომცევი იყო. მურომცევი მხოლოდ ლიბერალი მოხელე იყო. იგი დემოკრატიც კი არ ყოფილა. მას ეშინოდა მასების რევოლუციური ბრძოლისა. იგი რუსეთისათვის თავისუფლებას მოელოდა არა ასეთი ბრძოლისაგან, არამედ მეფის თვითმპყრობელობის კეთილი ნებისაგან, რუსი ხალხის ამ უბოროტეს და ულმობელ მტერთან შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ. საკაცილოა ასეთ ადამიანებში ვხედავდეთ რუხეთის რევოლუციის სახალხო გმირებს.

ასეთი სახალხო გმირები კი მოიპოვებიან. ესენი არიან ბაბუშკინის მსგავსი ადამიანები. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც რევოლუციის წინ არა ერთი და ორი, არამედ მთელი 10 წელი სავსებით მოახმარეს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ერთეულების უსარგებლო ტეროორისტულ წამოწყებებს კი არ შესწირეს თავი, არამედ შეუპოვრად განუხრელად მოქმედებდნენ პროლეტარულ მასებში, ხელს უწყობდნენ მ ა თ ი შეგნების, მ ა თ ი ორგანიზაციის, მ ა თ ი რევოლუციური თვითმოქმედების განვითარებას. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ შეიარაღებულ მასობრივ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როცა კრიზისი დაიწყო, როცა რევოლუციამ იფეთქა, როცა მილიონები და მილიონები ამოძრავდნენ. ყოველივე ის, რაც მეფის თვითმპყრობელობას ბრძოლით წავართვით, წართმეულ იქნა მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმ მასების ბრძოლით, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ისეთი ადამიანები, როგორც ბაბუშკინი.

ასეთი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონების ხალხად, ყმების ხალხად. ასეთი ადამიანების მეოხებით რუსი ხალხი მოიპოვებს სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

უკვე განვლო 1905 წლის დეკემბრის აჯანყების მეხუთე წლისთავმა. ზეიმით აღვნიშნოთ ეს წლისთავი იმ მოწინავე მუშების მოგონებით, რომლებიც დაეცნენ მტერთან ბრძოლაში. ჩვენ თხოვნით მივმართავთ ამხანაგ მუშებს, ჰკრიბონ და გვიგზავნონ მოგონებანი მაშინდელი ბრძოლის შესახებ და დამატებითი ცნობები ბაბუშკინზე, აგრეთვე სხვა სოციალ-დემოკრატ მუშებზე, რომლებიც 1905 წლის აჯანყების დროს დაიღუპნენ. ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვცეთ ბროშურა, რომელიც მოგვითხრობს ასეთი მუშების ცხოვრებაზე. ამგვარი ბროშურა საუკეთესო პასუხი იქნება ყოველგვარ მცირედ-

მორწმუნეთა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამამცირებელთა მიმართ. ამგვარი ბროშურა საუკეთესო საკითხავი იქნება ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებიც მით შეისწავლიან, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს და მოქმედებდეს ყოველი შეგნებული მუშა.

«რაბოჩაია გაზეტა» № 2,
1910 წ. 18 (31) დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 16, გვ. 450 — 455

ინესა არმანდს

Dear friend! * ძალიან გირჩევთ ბროშურის გეგმა რაც შეიძლება დაწვრილებით დაწეროთ[34]. უამისოდ ძალიან ბევრი რამ გაურკვეველია.

ერთი აზრი ახლავე უნდა გამოვთქვა:

§ 3 — «სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა (ქალთა)» გირჩევთ სულ ამოაგდოთ.

ნამდვილად ეს პროლეტარული კი არა, ბურჟუაზიული მოთხოვნა გამოდის.

მართლაც, რას გულისხმობთ ამ მოთხოვნით? რა შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვიგულისხმოთ ამ მოთხოვნით?

1. სიყვარულის საქმეში თავისუფლება მატერიალური (ფინანსური) ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ს ა გ ა ნ?
2. აგრეთვე მატერიალური ზ რ უ ნ ვ ი ს ა გ ა ნ?
3. რელიგიური ცრურწმენებისაგან?
4. მამის მიერ აკრძალვისაგან etc.?
5. «საზოგადოების» ცრურწმენებისაგან?
6. წრის (გლეხური თუ მეშჩანური თუ ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული წრის) ვიწრო გარემოსაგან?
7. კანონის, სასამართლოს და პოლიციის ბორკილებისაგან?
8. სიყვარულში სერიოზულისაგან?
9. ბავშვების შობისაგან?
10. ადიულტერის თავისუფლება? და სხვ.

---

* — ძვირფასო მეგობარო! რ ე დ.

ზე ბევრი (რა თქმა უნდა, არა ყველა) ელფერი ჩამოვთვალე. თქვენ, რასაკვირველია, გულისხმობთ არა №№ 8—10, არამედ ან №№ 1—7-ს ანდა №№ 1—7-ის მ ს გ ა ვ ს ს.

მაგრამ №№ 1—7-სათვის სხვა აღნიშვნა უნდა ამოირჩიოთ, რადგან სიყვარულის თავისუფლება ზუსტად არ გამოხატავს ამ აზრს.

ხოლო ხალხი, ბროშურის მკითხველები «სიყვარულის თავისუფლებად» ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ იგულისხმებენ საერთოდ №№ 8—10-ის მსგავს რამეს, თ ქ ვ ე ნ ი ს უ რ ვ ი ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა ც კ ი.

სწორედ იმიტომ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე ყბედ, მოხმაურე და «ზემოთსაჩინარ» კლასებს «სიყვარულის თავისუფლებად» ესმით №№ 8—10, სწორედ ამიტომ ეს არის არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული მოთხოვნა.

პროლეტარიატისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია №№ 1—2, ხოლო შემდეგ №№ 1—7, ეს კი, უნდა ითქვას, «სიყვარულის თავისუფლება» როდია.

საქმე ის კი არ არის, თუ ამით ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ რა «გსურთ იგულისხმოთ». საქმეა სიყვარულის საქმეებში კლასობრივი ურთიერთობის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ლ ო გ ი კ ა.

Friendly shake hands!
W. I.*

დაწერილია 1915 წ. 17 იანვარს ბერნში პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 13

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 178—179

---

* — მეგობრულად ვართმევთ ხელს! ვ. ი. რ ე დ .

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ბოდიშს ვიხდი, პასუხი რომ დაგიგვიანეთ: გუშინ მინდოდა, მაგრამ დამაბრკოლეს და დრო აღარ დამრჩა წერილს ჩავჯდომოდი.

ბროშურის თქვენი გეგმის შესახებ ჩემი აზრი იყო, რომ «სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა» გაურკვეველია და — თქვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად (ამას ხაზს ვუსვამდი და ვამბობდი: საქმეა ობიექტური, კლასობრივი ურთიერთობა და არა თქვენი სუბიექტური სურვილები) — თანამედროვე საზოგადოებრივ გარემოში იქნება ბურჟუაზიული და არა პროლეტარული მოთხოვნა.

თქვენ თანახმა არა ხართ.

კარგი. საქმე ერთხელ კიდევ განვიხილოთ.

გაურკვეველი რომ გარკვეული გამეხადა, მე ჩამოვთვალე ათიოდე შ ე ს ა ძ ლ ო (და კლასობრივი შუღლის ვითარებაში აუცილებელი) სხვადასხვა განმარტება, ამასთან აღვნიშნე, რომ 1 — 7 განმარტებანი, ჩემი აზრით, ტიპიური ან დამახასიათებელი იქნება პროლეტარი ქალებისათვის, ხოლო 8—10 ბურჟუა ქალებისათვის.

თუ ამის უარყოფას დაიწყებთ, უნდა [illegible]ცხადყოთ (1) რომ ეს განმარტებანი სწორი არ არის (მაშინ უნდა შეცვალოთ ისინი სხვა განმარტებებით ან აღნიშნოთ ისინი, რომლებიც სწორი არ არის) ან (2) სრული არ არის (მაშინ დაუმატოთ რაც აკლია) ან (3) ისე არ იყოფა პროლეტარულ და ბურჟუაზიულ განმარტებებად.

არც ერთს, არც მეორეს, არც მესამეს თქვენ არ აკეთებთ.

1—7 პუნქტებს თქვენ სულაც არ ეხებით. მაშასადამე, ცნობთ მათს (საერთოდ) სისწორეს? (ის, რასაც თქვენ იწერებით პროლეტარი ქალების პროსტიტუციაზე და მათს დამოკიდებულებაზე: «არას თქმის შეუძლებლობაზე» სავსებით შეესაბამება 1—7 პპ-ს. აქ ჩვენს შორის უთანხმოებას ვერაფერში ვერ დავინახავთ.)

თქვენ სადავოდ არა ხდით იმასაც, რომ ეს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი განმარტებაა.

რჩება 8—10 პპ.

ისინი თქვენ «ცოტა არ გესმით» და «მედავებით»: «არ მესმის, როგორ **შ ე ი ძ ლ ე ბ ა** (სწორედ ასე სწერია!) **გავიგივეოთ** (!!??) სიყვარულის თავისუფლება» 10 პ-თან...

გამოდის, რომ მ ე «ვაიგივებ», თქვენ კი მ ე დამიპირეთ გაცამტვერება და შემუსვრა?

როგორ? რა?

ბურჟუა ქალები სიყვარულის **თავისუფლებად** გულისხმობენ 8—10 პპ. — აი ჩემი თეზისი.

თქვენ ამას უარყოფთ? მითხარით, ბ უ რ ჟ უ ა ქალები რას გულისხმობენ სიყვარულის თავისუფლებად?

თქვენ ამას არ ამბობთ. ნუთუ ლიტერატურა და ცხოვრება არ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ, რომ ბურჟუა ქალები სწორედ ამას გულისხმობენ? სავსებით ამტკიცებენ! თქვენ მდუმარედ ცნობთ ამას.

რაკი ასე არის, აქ საქმეა მათი კლასობრივი მდგომარეობა, **და მათი «უარყოფა»** არა მგონია შეიძლებოდეს და არა მგონია გულუბრყვილობა არ იყოს.

საჭიროა გარკვეულად ჩ ა მ ო ვ ა შ ო რ ო თ მათ, დ ა ვ უ პ ი რ დ ა პ ი რ ო თ, მათ პროლეტარული თვალსაზრისი. უნდა გავითვალისწინოთ ის ობიექტური ფაქტი, რომ უამისოდ **ისინი** სათანადო ადგილებს ამოგლეჯენ თქვენი ბროშურიდან, თავისებურად განმარტავენ მათ, თქვენს ბროშურას თავიანთთვის გამოსადეგად გახდიან, მუშების წინაშე დაამახინჯებენ თქვენს აზრებს, «შ ე ა შ ფ ო თ ე ბ ე ნ» მუშებს (ჩაუნერგავენ

იმის შიშს, უცხო იდეები ხომ არ **მიგაქვთ** თქვენ მათთან). ხოლო მათ ხელში აუარებელი გაზეთია და სხვ.

თქვენ კი სრულებით დაგვიწყნიათ ობიექტური და კლასობრივი თვალსაზრისი და «იერიშზე» გადმოდიხართ ჩემ წინააღმდეგ, თითქოს მე «ვაიგივებდე» . სიყვარულის თავისუფლებას 8—10 პპ-თან... საოცარია, ღმერთმანი, საოცარი...

«წუთიერი ვნება და კავშირიც კი» «უფრო პოეტური და წმინდაა», ვიდრე (უხამსი) ცოლ-ქმრის «უსიყვარულო კოცნა». თქვენ ასე წერთ. და ასე აპირებთ დაწეროთ ბროშურაში. ჩინებულია.

ლოგიკური დაპირდაპირებაა თუ არა? უხამსი ცოლ-ქმრის უსიყვარულო კოცნა ბიწიერია. გეთანხმებით. მას უნდა დავუპირისპიროთ... რა?... თითქოს: კოცნა სიყვარულით? თქვენ კი უპირდაპირებთ «წუთიერ» (რატომ წუთიერ?) «ვნებას» (რატომ სიყვარულს არა?) — ლოგიკის მიხედვით გამოდის, რომ თითქოს უსიყვარულო (წუთიერი) კოცნა უპირდაპირდება ცოლ-ქმრის უსიყვარულო კოცნას... უცნაურია. პოპულარული ბროშურისათვის უმჯობესი ხომ არ იქნება მეშჩანურ-ინტელიგენტურ-გლეხური (ვგონებ, ჩემი **6** პ. თუ 5 პ.) უსიყვარულო უხამსი და ბიწიერი ქორწინება დაუპირდაპირდეს სიყვარულზე აგებულ პროლეტარულ სამოქალაქო ქორწინებას (დაემატოს, **თუ მაინცადამაინც აუცილებლად გინდათ,** რომ წუთიერი კავშირი-ვნებაც შეიძლება ბიწიერიც იყოს და წმინდაც). თქვენ გამოგივიდათ არა კლასობრივი **ტიპების** დაპირდაპირება, არამედ «კაზუსის» მსგავსი რამ, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ განა საქმე კაზუსებია? თუ ავიღებთ თემას: **კაზუსი,** ინდივიდუალური შემთხვევა ბიწიერი კოცნისა ცოლ-ქმრობაში და წმინდა კოცნისა წუთიერი კავშირის დროს, — ეს თემა უნდა დამუშავდეს რომანში (ვინაიდან აქ მთავარია **ინდივიდუალური** გარემოება, **მოცემული** ტიპების **ხასიათებისა** და ფსიქიკის ანალიზი). ბროშურაში კი?

თქვენ ძალიან კარგად გაგიგიათ ჩემი აზრი შეუფერებელი ციტატის შესახებ კეიდან[35], რომ ამბობთ, «უაზრობაა» ვიკისროთ როლი «სიყვარულის პროფესორებისა». სწორედ რომ

ასეა. აბა რა, ვიკისროთ როლი წუთიერი სიყვარულის პროფესორებისა და სხვ.?

სწორე მოგახსენოთ, მე სულაც არ მინდა პოლემიკა. ხალისით გადავაგდებდი ამ ჩემს წერილს და გადავდებდი საქმეს საუბრამდე. მაგრამ მინდა, რომ ბროშურა კარგი იყოს, რომ არავის არ შეეძლოს ამოგლიჯოს იქიდან თქვენთვის არასასიამოვნო ფრაზები (ზოგჯერ საკმარისია ერთი ფრაზა, რომ ყველაფერი გააფუჭოს...), არ შეეძლოს გადაასხვაფეროს თქვენი აზრები. დარწმუნებული ვარ, რომ აქაც «ნების წინააღმდეგ» დაწერეთ, და ამ წერილს მხოლოდ იმიტომ გიგზავნით, რომ წერილებთან დაკავშირებით იქნებ უფრო დაწვრილებით გაარჩევთ გეგმას, ვიდრე საუბრების გამო, ხოლო გეგმა ხომ მეტად მნიშვნელოვანი რამ არის.

ხომ არა გყავთ ნაცნობი ფრანგი სოციალისტი ქალი? გადაუთარგმნეთ მას (ვითომდა ინგლისურიდან) ჩემი 1—10 პპ. და თქვენი შენიშვნები «წუთიერის» შესახებ და სხვ. და დააკვირდით მას, მოუსმინეთ ყურადღებით: პატარა ცდა, რას იტყვიან გარეშე ადამიანები, როგორია მათი შთაბეჭდილება, რას მოელოდნენ ბროშურისაგან?

ხელს გართმევთ და გისურვებთ ნაკლებად გაწუხებდეთ თავის ტკივილი და მალე გამოჯანმრთელდეთ.

ვ. უ.

P. S. ბოჟის[36] შესახებ არ ვიცი... შესაძლოა, რომ **my friend**-ი * გადაჭარბებულ რამეს დაჰპირდა... მაგრამ რას? არ ვიცი. საქმე გადადებულია, ე. ი. კონფლიქტი გადადებულია, აღმოფხვრილი **არაა**. უნდა ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთ!! მოვახერხებთ თუ ვერა გადავათქმევინოთ? თქვენი აზრი როგორია?

დაწერილია 1915 წ. 24 იანვარს ბერნში
პირველად დაიბეჭდა 1939 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 13

იბეჭდება ვ. ი. ლენინის
თხზულებათა ტექსტის მიხედვით,
მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 180—183

---

* — ჩემი მეგობარი. რედ.

სტატიიდან «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა»[37]

ჰოლანდიაში, სკანდინავიაში, შვეიცარიაში იმ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წრიდან, რომელნიც ებრძვიან სოციალ-შოვინისტების სიცრუეს «სამშობლოს დაცვის» შესახებ ახლანდელ იმპერიალისტურ ომში, გაისმის ხმები იმის სასარგებლოდ, რომ სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის ძველი პუნქტი: «მილიცია» ანუ «ხალხის შეიარაღება» შეიცვალოს ახლით: «განიარაღება». «**Jugend-Internationale**»-მ * ამ საკითხზე დისკუსია გამოაცხადა და მე-3 ნომერში მოათავსა სარედაქციო სტატია განიარაღების სასარგებლოდ. რ. გრიმის[38] უახლეს თეზისებში, სამწუხაროდ, ჩვენ აგრეთვე ვხვდებით დათმობას «განიარაღების» იდეისადმი. ჟურნალებში «**Neues Leben**»[39] და «**Vorbote**» ** გამოცხადებულია დისკუსია.

ჩავუკვირდეთ განიარაღების დამცველთა პოზიციას.

I

ძირითადი საბუთი ის არის, რომ განიარაღების მოთხოვნა წარმოადგენს ყოველგვარი მილიტარიზმისა და ყოველგვარი ომის წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად ნათელ, უაღრესად გადამჭრელ, უაღრესად თანამიმდევრულ გამოხატულებას.

მაგრამ სწორედ ამ ძირითად საბუთში მარხია განიარაღების მომხრეთა ძირითადი შეცდომა. სოციალისტები, თუ

---

* — «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი». რ ე დ.

** — «წინასწარმაუწყებელი». რ ე დ.

სოციალისტობას თავს არ დაანებებენ, ვერ იქნებიან ყოველგვარი ომის წინააღმდეგნი.

ჯერ ერთი, სოციალისტები არასოდეს არ ყოფილან და არც არასოდეს იქნებიან რევოლუციური ომების წინააღმდეგნი. «დიდი» იმპერიალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზია მთლად რეაქციული გახდა, და ომი, რომელსაც ახლა ეს ბურჟუაზია აწარმოებს, ჩვენ მიგვაჩნია რეაქციულ, მონათმფლობელურ და დანაშაულებრივ ომად. მაგრამ როგორ უნდა ვუყუროთ ომს ამ ბურჟუაზიის წინააღმდეგ? მაგალითად, ამ ბურჟუაზიის მიერ დაჩაგრულ და მისგან დამოკიდებულ ან კოლონიურ ხალხთა ომს თავისი განთავისუფლებისათვის? «ინტერნაციონალის» ჯგუფის თეზისებში, მე-5 პარაგრაფში, ჩვენ ვკითხულობთ: «ამ აღვირახსნილი იმპერიალიზმის ერაში უკვე არავითარი ნაციონალური ომები შესაძლებელი აღარაა» — ცხადია, ეს არ არის სწორი.

XX საუკუნის, ამ «აღვირახსნილი იმპერიალიზმის» საუკუნის, ისტორია აღსავსეა კოლონიური ომებით. მაგრამ ის, რასაც ჩვენ, ევროპელები, მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობის იმპერიალისტური მჩაგვრელები, ჩვენთვის ჩვეული საზიზღარი ევროპული შოვინიზმით, «კოლონიურ ომებს» ვუწოდებთ, ხშირად — ეს არის ამ ჩაგრულ ხალხთა ნაციონალური ომები ან ნაციონალური აჯანყებანი. იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი თვისება სწორედ ისაა, რომ იგი აჩქარებს კაპიტალიზმის განვითარებას უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყნებში და მით აფართოებს და აჭვავებს ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს — ფაქტია. და აქედან აუცილებლივ გამომდინარეობს, რომ იმპერიალიზმმა არა იშვიათად უნდა წარმოშვას ნაციონალური ომები. იუნიუსი, რომელიც თავის ბროშურაში იცავს აღნიშნულ «თეზისებს», ამბობს, რომ იმპერიალისტურ ეპოქაში ყოველგვარი ნაციონალური ომი ერთ-ერთი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ იწვევს მეორე სახელმწიფოს, პირველის მოქიშპე და ასევე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს ჩარევას, და, ამრიგად, ყოველი ნაციონალური ომი იმპერიალისტურ ომად იქცევაო, მაგრამ არც ეს

საბუთია სწორი. ეს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მრავალი კოლონიური ომი 1900 — 1914 წლებში ამ გზით არ წასულა. და პირდაპირ სასაცილო იქნებოდა, ჩვენ რომ გაგვეცხადებინა, რომ, მაგალითად, ახლანდელი ომის შემდეგ, თუ იგი მეომარი ქვეყნების უკიდურესი გამოფიტვით დამთავრდა, «არ შეიძლება» «არავითარი» ნაციონალური, პროგრესული, რევოლუციური ომები, ვთქვათ, ჩინეთის მხრივ ინდოეთთან, სპარსეთთან, სიამთან და სხვებთან კავშირში დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

იმპერიალიზმის დროს ნაციონალური ომების ყოველგვარი შესაძლებლობის უარყოფა თეორიულად სწორი არ არის, ისტორიულად აშკარად მცდარია, ხოლო პრაქტიკულად იგი ევროპულ შოვინიზმს უდრის: ჩვენ, ვინც ვეკუთვნით იმ ერებს, რომელნიც ასეულ მილიონ ადამიანებს ჩაგრავენ ევროპაში, აფრიკაში, აზიაში და სხვ., ჩვენ უნდა განვუცხადოთ ჩაგრულ ხალხებს, რომ მათი ომი «ჩვენი» ერების წინააღმდეგ «შეუძლებელია»!

მეორე. სამოქალაქო ომებიც — ომებია. ვინც კლასთა ბრძოლას აღიარებს, მას არ შეუძლია არ აღიაროს სამოქალაქო ომებიც, რომელნიც ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში წარმოადგენენ კლასობრივი ბრძოლის ბუნებრივ, განსაზღვრულ ვითარებაში აუცილებელ განგრძობას, განვითარებასა და გამწვავებას. ამას ადასტურებს ყველა დიდი რევოლუცია. სამოქალაქო ომების უარყოფა ან მათი დავიწყება — ეს იქნებოდა უკიდურეს ოპორტუნიზმში ჩავარდნა და სოციალისტური რევოლუციის უარყოფა.

მესამე, ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმი ერთბაშად როდი გამორიცხავს საზოგადოდ ყველა ომს. პირიქით, იგი მათ გულისხმობს. კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში უაღრესად უთანაბროდ ხდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დროს. აქედან — გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს გაიმარჯვოს ყ ვ ე ლ ა ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები რამდენიმე ხნის განმავლობაში დარჩე-

ბიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად. ამან უნდა გამოიწვიოს არა მარტო შეხლა-შემოხლა, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფებაც — გაანადგუროს სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატი. ამ შემთხვევაში ომი ჩვენი მხრივ კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა. ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისათვის, ბურჟუაზიისაგან სხვა ხალხთა განთავისუფლებისათვის. ენგელსი სავსებით მართალი იყო, როცა თავის წერილში კაუცკისადმი 1882 წლის 12 სექტემბერს[10] პირდაპირ აღიარებდა უკვე გამარჯვებული სოციალიზმის მხრივ «თავდაცვითი ომების» შესაძლებლობას. მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ გამარჯვებული პროლეტარიატის თავდაცვა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჩვენ დავამხობთ, საბოლოოდ დავამარცხებთ და მოვახდენთ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას მთელ მსოფლიოში, და არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ომები შეუძლებელი გახდება. მეცნიერული თვალსაზრისითაც სრულიად უმართებულო და სრულიად არარევოლუციური იქნება, თუ ჩვენ გვერდს ავუხვევთ ან მივჩქმალავთ სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანს: ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვას, რაც ყველაზე მეტად ძნელია, ყველაზე მეტად მოითხოვს ბრძოლას სოციალიზმზე გადასვლისას. «სოციალური» ხუცები და ოპორტუნისტები ყოველთვის მზად არიან იოცნებონ მომავალ მშვიდობიან სოციალიზმზე, მაგრამ ისინი სწორედ იმით განირჩევიან რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისაგან, რომ არ სურთ იფიქრონ და გულში გაივლონ რამე გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაზე და კლასობრივ ომებზე ამ მშვენიერი მომავლის განსახორციელებლად.

ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ სიტყვებით მოგვატყუონ. მაგალითად, ცნება «სამშობლოს დაცვა» ბევრს სძაგს, იმიტომ რომ აშკარა ოპორტუნისტები და კაუცკელები მით ფარავენ და ჩქმალავენ ბურჟუაზიის სიცრუეს ახლანდელ მტაცებლურ ომში. ეს ფაქტია. მაგრამ აქედან ის როდი გამომდინარეობს, რომ ჩვენ უნდა გადავეჩვიოთ ფიქრს პოლი-

ტიკური ლოზუნგების მნიშვნელობაზე. «სამშობლოს დაცვის» აღიარება ახლანდელ ომში — ნიშნავს ჩათვალო ეს ომი «სამართლიან», პროლეტარიატის ინტერესების შესაფერის ომად, — და მეტი არაფერი და კიდევ არაფერი, რადგან შესევა არც ერთ ომში არ არის გამორიცხული. აშკარა სისულელე იქნებოდა «სამშობლოს დაცვის» უარყოფა ჩაგრულ ხალხთა მ ხ რ ი ვ მათს ომში დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ანდა გამარჯვებული პროლეტარიატის მხრივ — მ ი ს ომში ბურჟუაზიული სახელმწიფოს რომელიმე გალიფეს წინააღმდეგ.

თეორიულად სრული შეცდომა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ყოველი ომი წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკის განგრძობას სხვა საშუალებებით; ახლანდელი იმპერიალისტური ომი წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა ორი ჯგუფის იმპერიალისტური პოლიტიკის განგრძობას, და ეს პოლიტიკა წარმოშობილია და საზრდოობს იმპერიალისტური ეპოქის ურთიერთობათა ერთობლიობით. მაგრამ ამავე ეპოქამ აუცილებლად უნდა წარმოშვას და ასაზრდოოს ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის პოლიტიკაც, და ამიტომ შესაძლებლობაც და აუცილებლობაც, ჯერ ერთი, რევოლუციური ნაციონალური აჯანყებებისა და ომებისა, მეორე, პროლეტარიატის ომებისა და აჯანყებებისა ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მესამეც, რევოლუციური ომების ორივე სახის შეერთებისა და ა. შ.

II

ამას ემატება კიდევ შემდეგი ზოგადი მოსაზრება.

ჩაგრული კლასი, რომელიც არ მიისწრაფვის იმისაკენ, რომ ისწავლოს იარაღის ხმარება, ჰქონდეს იარაღი, ასეთი ჩაგრული კლასი მხოლოდ იმის ღირსი იქნებოდა, რომ მას ეპყრობოდნენ, როგორც მონებს. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია, თუ არ გადავიქცევით ბურჟუაზიულ პაციფისტებად ან ოპორტუნისტებად, დავივიწყოთ, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და რომ მისგან არ არის და არც შეიძლება იყოს

სხვა გამოსავალი, გარდა კლასობრივი ბრძოლისა. ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში, — თუნდაც ის დამყარებული იყოს მონობაზე, ბატონყმობაზე ან, როგორც ეს ახლა არის, დაქირავებულ შრომაზე, — მჩაგვრელი კლასი შეიარაღებულია. არა მარტო ახლანდელი მუდმივი ჯარი, არამედ ახლანდელი მილიციაც — ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიაც კი, მაგალითად, შვეიცარიაში — წარმოადგენს ბურჟუაზიის შეიარაღებას პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ეს ისეთი ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ განსაკუთრებით მასზე შეჩერება არა გვგონია საჭირო იყოს. საკმარისია გავიხსენოთ ჯარის გამოყენება გაფიცულთა წინააღმდეგ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ბურჟუაზიის შეიარაღება პროლეტარიატის წინააღმდეგ არის თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი, ძირითადი, უმნიშვნელოვანესი ფაქტი. და ასეთი ფაქტის წინაშე რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატებს წინადადებას აძლევენ, რომ მათ წამოაყენონ «განიარაღების» «მოთხოვნა»! ეს უდრის სრულიად ხელის აღებას კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე, რევოლუციის შესახებ ყოველგვარი აზრის უარყოფას. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: პროლეტარიატის შეიარაღება იმისათვის, რომ დავამარცხოთ, ექსპროპრიაცია ვუყოთ და იარაღი ავუაროთ ბურჟუაზიას. ეს არის რევოლუციური კლასის ერთადერთი შესაძლებელი ტაქტიკა, ტაქტიკა, გამომდინარე კაპიტალისტური მილიტარიზმის მთელი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი დ ა ნ, ნაკარნახევი ამ განვითარებით. მხოლოდ იმის შ ე მ დ ე გ, რაც პროლეტარიატი ბურჟუაზიას იარაღს აჰყრის, მას შეუძლია, ისე, რომ არ უღალატოს თავის მსოფლიო-ისტორიულ ამოცანას, გადაყაროს დასამტვრევად საერთოდ ყოველგვარი იარაღი, და პროლეტარიატი, უეჭველია, ამას გააკეთებს, მაგრამ მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ დ ა ა რ ა ს-გ ზ ი თ ა რ ა უ ფ რ ო ა დ რ ე.

თუ ახლანდელი ომი იწვევს რეაქციულ ქრისტიანულ სოციალისტებში, მტირალა წვრილ ბურჟუებში მ ხ ო ლ ო დ ძრწოლასა და დაფრთხობას, მხოლოდ ზიზღს იარაღის ყო-

ველგვარი ხმარებისადმი, სისხლისადმი, სიკვდილისადმი და სხვ., მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ: კაპიტალისტური საზოგადოება იყო და ყოველთვის წარმოადგენს დაუსრულებელ საშინელებას. და თუ ახლა ამ საზოგადოებას ახლანდელი, ყველა ომზე უფრო რეაქციული ომი უმზადებს საშინელ დასასრულს, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს სასოწარკვეთილებას მივეცეთ. ხოლო არაფერს სხვას, თუ არ სახელდობრ სასოწარკვეთილების გამოხატულებას, არ წარმოადგენს, თავისი ობიექტური მნიშვნელობით, განიარაღების «მოთხოვნა» — უფრო სწორად რომ ვთქვათ: ოცნება განიარაღების შესახებ — იმ დროს, როცა ყველას თვალწინ თვით ბურჟუაზიის ძალებითვე მზადდება ერთადერთი კანონიერი და რევოლუციური ომი, სახელდობრ: სამოქალაქო ომი იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ვინც იტყვის, რომ ეს არის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორია, ჩვენ მას მოვაგონებთ ორ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს: ერთი მხრივ, ტრესტების და ქალთა საფაბრიკო მუშაობის როლს და, მეორე მხრივ, 1871 წლის კომუნას და 1905 წლის დეკემბრის აჯანყებას რუსეთში.

ბურჟუაზიის საქმეა — განავითაროს ტრესტები, შერეკოს ბავშვები და ქალები ფაბრიკებში, აწამოს ისინი იქ, გახრწნას, ჩააგდოს უკიდურეს გაჭირვებაში. ჩვენ არ «მოვითხოვთ» ამგვარ განვითარებას, მას არ «ვუჭერთ მხარს», ჩვენ ვიბრძვით მის წინააღმდეგ. მაგრამ როგორ ვიბრძვით? ჩვენ ვიცით, რომ ტრესტები და ქალების საფაბრიკო მუშაობა პროგრესულია. ჩვენ არ გვინდა მივდიოდეთ უკან, ხელოსნობისაკენ, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმისაკენ, ქალთა შინაოჯახური მუშაობისაკენ. წინ, ტრესტებისა და სხვ. გზით და მათზე უფრო წინ — სოციალიზმისაკენ.

ეს მსჯელობა შეიძლება მივუყენოთ, სათანადო ცვლილებებით, ხალხის ახლანდელ მილიტარიზაციასაც. დღეს იმპერიალისტური ბურჟუაზია ახდენს არა მხოლოდ მთელი ხალხის, არამედ ახალგაზრდობის მილიტარიზაციასაც. ხვალ ის, ალბათ, შეუდგება ქალთა მილიტარიზაციასაც. ჩვენ უნდა ვთქვათ ამის გამო: მით უკეთესი! უფრო ჩქარა წინ! რაც

უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უფრო მივუახლოვდებით შეიარაღებულ აჯანყებას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. როგორ შეუძლიათ სოციალ-დემოკრატებს თავი დააფრთხობინონ ახალგაზრდობის მილიტარიზაციით და სხვ., თუ ისინი არ ივიწყებენ კომუნის მაგალითს? ეს «ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორია» კი არ არის, ოცნება კი არ არის, არამედ ფაქტია. და ჭეშმარიტად მთლად ცუდად იქნებოდა საქმე, რომ სოციალ-დემოკრატებს, წინააღმდეგ ყველა ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტისა, დაეწყოთ ეჭვის შეტანა იმაში, რომ იმპერიალისტურმა ეპოქამ და იმპერიალისტურმა ომებმა აუცილებლად უნდა მიგვიყვანონ ასეთი ფაქტების განმეორებამდე.

კომუნის ერთი ბურჟუაზიული მეთვალყურე წერდა 1871 წლის მაისში ერთ ინგლისურ გაზეთში: «ფრანგი ერი მხოლოდ ქალებისაგან რომ შედგებოდეს, რა საშინელი ერი იქნებოდა იგი!». ქალები და 13 წლისა და მეტი ხნის ბავშვები კომუნის დროს მამაკაცების გვერდით იბრძოდნენ. სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს მომავალ ბრძოლებშიაც ბურჟუაზიის დასამხობად. პროლეტარი ქალები პასიურად არ დაუწყებენ ცქერას, თუ როგორ დახვრეტს კარგად შეიარაღებული ბურჟუაზია ცუდად შეიარაღებულ ან შეუიარაღებელ მუშებს. ისინი იარაღს ხელს მოჰკიდებენ ისე, როგორც 1871 წელს და ახლანდელ დამფრთხალ ერთაგან — უფრო სწორად: ახლანდელი მუშათა მოძრაობიდან, რომელიც დეზორგანიზებულია უფრო ოპორტუნისტების მიერ, ვიდრე მთავრობების მიერ, — უეჭველად აღმოცენდება ადრე თუ გვიან, მაგრამ აბსოლუტურად უეჭველად, რევოლუციური პროლეტარიატის «საშინელ ერთა» ინტერნაციონალური კავშირი.

ახლა მილიტარიზაციით გამსჭვალულია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. იმპერიალიზმი არის დიდ სახელმწიფოთა გააფთრებული ბრძოლა მსოფლიოს დანაწილებისა და გადანაწილებისათვის, — ამიტომ მან აუცილებლად უნდა გამოიწვიოს შემდგომი მილიტარიზაცია ყველა ქვეყანაში, ნეიტრალურშიც და პატარებშიც. რას გააკეთებენ ამის წინააღმდეგ პროლეტარი ქალები?? მხოლოდ დაწყევლიან ყოველგვარ ომს და ყველაფერ სამხედროს, მხოლოდ განია-

რაღებას მოითხოვენ? იმ ჩაგრული კლასის ქალები, რომელიც მართლაც რევოლუციურია, არასოდეს არ შეურიგდებიან ამგვარ სამარცხვინო როლს. ისინი ეტყვიან თავიანთ შვილებს: «შენ მალე დიდი გაიზრდები. შენ მოგცემენ თოფს. მოჰკიდე მას ხელი და კარგად ისწავლე სამხედრო საქმე. ეს მეცნიერება აუცილებლად საჭიროა პროლეტარებისათვის — არა იმისთვის, რომ ესროლო შენს ძმებს, სხვა ქვეყნის მუშებს, როგორც ეს ხდება ახლანდელ ომში და როგორც გირჩევენ შენ მოიქცე სოციალიზმის მოღალატენი, — არამედ იმისათვის, რომ იბრძოლო შენი საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ბოლო მოუღო ექსპლოატაციას, სიღატაკეს და ომებს არა კეთილი სურვილების გზით, არამედ ბურჟუაზიაზე გამარჯვებით და მისთვის იარაღის აყრით».

თუ უარს ვიტყვით ასეთი პროპაგანდის წარმოებაზე და სწორედ ასეთ პროპაგანდაზე ახლანდელ ომთან დაკავშირებით, მაშინ სჯობს სულ არ ვილაპარაკოთ დიდ-დიდი სიტყვები საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე, ომის წინააღმდეგ ომზე...

დაწერილია 1916 წლის სექტემბერში პირველად დაიბეჭდა 1917 წ. სექტემბერსა და ოქტომბერს გაზეთში «Jugend-Internationale» №№ 9 და 10
ხელმოწერა: N. Lenin
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1929 წ. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XIX

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 91 — 106.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალი[41]

(შენიშვნა)

ამ სათაურით გამოდის შვეიცარიაში 1915 წ. 1 სექტემბრიდან გერმანულ ენაზე «ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის საბრძოლო და პროპაგანდისტული ორგანო». სულ უკვე გამოვიდა 6 ნომერი ამ გამოცემისა, რომელიც საზოგადოდ საჭიროა აღვნიშნოთ და შემდეგ დაბეჯითებით მივაპყროთ მასზე ჩვენი პარტიის ყველა იმ წევრის ყურადღება, რომელთაც საშუალება აქვთ საქმე იქონიონ საზღვარგარეთულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებსა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან.

ევროპის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა ამჟამად დგას ყველაზე უსინდისო და უსაძაგლესი სოციალ-შოვინიზმისა და ოპორტუნიზმის პოზიციაზე. ასეთებია გერმანიის, საფრანგეთის პარტიები, ფაბიანური[42] და «მუშათა»[43] პარტიები ინგლისში, შვეიცის, ჰოლანდიის (ტრულსტრას პარტია), დანიის, ავსტრიისა და სხვ. პარტიები. შვეიცარიის პარტიაში, მიუხედავად უკიდურესი ოპორტუნისტების გამოყოფისა (დიდად საკეთილდღეოდ მუშათა მოძრაობისათვის), რომელნიც თავს იყრიან ა რ ა-პარტიულ «გრიუტლი-კავშირში», თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით დარჩნენ მრავალრიცხოვანი ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური და კაუცკური ყაიდის ბელადები, რომელთაც უ დ ი დ ე ს ი გავლენა აქვთ პარტიის საქმეებზე.

ევროპაში საქმის ამგვარი ვითარების დროს, ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციათა კავშირს ეკისრება უდიდესი, მადლიანი — მაგრამ ამიტომაც მძიმე — ამოცანა ბრძოლისა რევოლუციური ინტერნაციონალიზმის გულისთვის, ჭეშმარიტი სოციალიზმის გულისთვის გაბატონებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა. «ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» მოთავსებულია მთელი რიგი კარგი სტატიები რევოლუციური ინტერნაციონალიზმის დასაცავად, და მთელი გამოცემა გამსჭვალულია შესანიშნავი სულისკვეთებით უმძაფრესი სიძულვილისა სოციალიზმის მოღალატეებისადმი, რომელნიც «იცავენ სამშობლოს» ახლანდელ ომში, გამსჭვალულია უგულწრფელესი მისწრაფებით — გაიწმინდოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობა მისი მღრღნელი შოვინიზმისა და ოპორტუნიზმისაგან.

რა თქმა უნდა, თეორიული გარკვეულობა და სიმტკიცე ახალგაზრდობის ორგანოში ჯერ კიდევ არ არის, შეიძლება არც არასოდეს იქნეს, სწორედ იმიტომაც, რომ ეს არის ორგანო დაუდგრომელი, აბობოქრებული, მაძიებელი ახალგაზრდობისა. მაგრამ ასეთი ადამიანების არასაკმაო თეორიულ გარკვეულობას საჭიროა მოვეპყრათ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ჩვენ ვექცევით — და უნდა მოვექცეთ — თეორიულ დომხალს ჩვენი «ოკისტების», «სოციალ-რევოლუციონერების», ტოლსტოელების, ანარქისტების, მთელი ევროპის კაუცკელების («ცენტრის») და სხვათა თავში და რევოლუციური თანამიმდევრობის არარსებობას მათ გულში. ერთია — პროლეტარიატის გზის ამბნევი მოზრდილი ადამიანები, რომელნიც იმის პრეტენზიას აცხადებენ, რომ გაუძღვენ და ასწავლონ სხვებს: მათ წინააღმდეგ საჭიროა ულმობელი ბრძოლა. სხვა საქმეა — ახალგაზრდობის ორგანიზაციები, რომელნიც აშკარად აცხადებენ, რომ ისინი ჯერ კიდევ სწავლობენ, რომ მათი ძირითადი საქმეა — მოამზადონ მუშაკები სოციალისტური პარტიებისათვის. ასეთ ადამიანებს საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ, რაც შეიძლება მეტი მოთმინებით მოვეპყრათ მათ შეცდომებს, ვეცადოთ ეს შეცდომები გა-

ვუსწოროთ თანდათანობით და უმთავრესად დაჯერების საშუალებით, და არა ბრძოლით. ხშირად ხდება, რომ ხნიერი და მოხუცი თაობის წარმომადგენლებმა არ იციან მიდგომა, როგორც საჭიროა, ახალგაზრდობისადმი, რომელიც აუცილებლობით იძულებულია სოციალიზმს სხვანაირად მიუახლოვდეს, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, არა იმ ვითარებაში, როგორც მისი მამები. ამიტომ, სხვათა შორის, ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ჩვენ უსათუოდ უნდა დავუჭიროთ მხარი, და არა მარტო იმიტომ, რომ ოპორტუნისტებს ეშინათ ამ დამოუკიდებლობისა, არამედ არსებითადაც. ვინაიდან სრული დამოუკიდებლობის გარეშე ახალგაზრდობა ვერ შეძლებს ვერც კარგი სოციალისტების გამომუშავებას თავისთავისაგან, ვერც იმისათვის მომზადებას, რომ სოციალიზმი წინ წარმართოს.

ახალგაზრდობის კავშირთა სრული დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ მათი შეცდომების ამხანაგური კრიტიკის სრული თავისუფლებისთვისაც! ჩვენ არ უნდა ვეწეოდეთ პირმოთნეობას ახალგაზრდობის წინაშე.

ჩვენ მიერ მოხსენიებული შესანიშნავი ორგანოს შეცდომათა რიცხვს ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი სამი:

1) განიარაღების (ან «იარაღის აყრის») საკითხში დაკავებულია არასწორი პოზიცია, რომელსაც ჩვენ ვაკრიტიკებთ ზემოთ, განსაკუთრებულ სტატიაში.* საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შეცდომა გამოწვეულია მხოლოდ კარგი მისწრაფებით ხაზი გაესვას მისწრაფების აუცილებლობას «მილიტარიზმის სრული მოსპობისაკენ» (რაც სავსებით მართალია), მაგრამ დავიწყებულია სოციალისტურ რევოლუციაში სამოქალაქო ომების როლი.

2) საკითხში სოციალისტებისა და ანარქისტების განსხვავების შესახებ სახელმწიფოსადმი მათი დამოკიდებულების მხრივ ამხ. Nota-Bene-ს [44] სტატიაში (№ 6) დაშვებულია ძა-

---

* იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «განიარაღების» ლოზუნგის შესახებ», ტ. 23, გვ. 115 — 129. რედ.

ლიან დიდი შეცდომა (ისე როგორც რამდენიმე სხვა საკითხშიც, მაგალითად, «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის დასაბუთების შესახებ). ავტორს სურს მოგვცეს «ნათელი წარმოდგენა სახელმწიფოზე საერთოდ» (იმპერიალისტურ ავაზაკურ სახელმწიფოზე წარმოდგენასთან ერთად). მას მოჰყავს მარქსისა და ენგელსის რამდენიმე განცხადება. ის, სხვათა შორის, შემდეგ ორ დასკვნამდე მიდის:

ა) ...«სრულიად მცდარია სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის განსხვავების ძიება იმაში, რომ პირველნი არიან სახელმწიფოს მომხრენი, ხოლო მეორენი — მოწინააღმდეგენი. განსხვავება ნამდვილად ისაა, რომ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას სურს მოაწყოს ახალი საზოგადოებრივი წარმოება, როგორც ცენტრალიზებული, ე. ი. ტექნიკურად ყველაზე უფრო პროგრესული, მაშინ როცა დეცენტრალიზებული ანარქიული წარმოება იქნებოდა მხოლოდ ნაბიჯის უკან გადადგმა ძველი ტექნიკისაკენ, საწარმოთა ძველი ფორმისაკენ». ეს არ არის სწორი. ავტორი აყენებს იმ საკითხს, თუ რა განსხვავებაა სოციალისტებისა და ანარქისტების დამოკიდებულებაში სახელმწიფოსადმი, ხოლო უპასუხებს არა ამას, არამედ მეორე კითხვას, თუ რა განსხვავებაა მათ დამოკიდებულებაში მომავალი საზოგადოების ეკონომიური საფუძვლისადმი. ეს ძლიერ მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხია, რაღა თქმა უნდა. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ შეიძლება დავიწყებულ იქნეს მთავარი იმ განსხვავებაში, რომელიც არსებობს სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში. სოციალისტები ემხრობიან თანამედროვე სახელმწიფოსა და მისი დაწესებულებების გამოყენებას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე იმის აუცილებლობას, რომ სახელმწიფო გამოყენებულ იქნეს თავისებური გარდამავალი ფორმისათვის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. ასეთ გარდამავალ ფორმას, ასევე სახელმწიფოს, წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა.

ანარქისტებს სურთ სახელმწიფოს «გაუქმება», მისი «აფეთქება» («sprengen»), როგორც ამას ამბობს ერთ ადგილას ამხ. Nota-Bene, რომელიც შეცდომით მიაწერს ამ შეხედულებას სოციალისტებს. სოციალისტები — ავტორს ენგელსის სიტყვები ამის შესახებ, სამწუხაროდ, მეტად არასრულად მოჰყავს — აღიარებენ სახელმწიფოს «კვდომას», თანდათანობით «მიძინებას» ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის შ ე მ დ ე გ.

ბ) «სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც არის, ანდა ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს მასების აღმზრდელი, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, აუცილებელია ხაზი გაუსვას თავის პრინციპულ მტრობას სახელმწიფოსადმი... ახლანდელმა ომმა გვიჩვენა, თუ რა ღრმად შეჭრილა მუშათა სულში სახელმწიფოებრიობის ფესვები»; ასე წერს ამხ. Nota-Bene. იმისათვის, რომ «ხაზი გაუსვა» «პრინციპულ მტრობას» სახელმწიფოსადმი, საჭიროა ნამდვილად «გარკვევით» გაიგო ეს მტრობა; ხოლო ავტორს სწორედ გარკვეულობა აკლია. ფრაზა კი «სახელმწიფოებრიობის ფესვების» შესახებ უკვე სრულიად აბნეულია, არამარქსისტული და არასოციალისტურია. «სახელმწიფოებრიობა» კი არ შეეჯახა სახელმწიფოებრიობის უარყოფას, არამედ ოპორტუნისტული პოლიტიკა (ე. ი. ოპორტუნისტული, რეფორმისტული, ბურჟუაზიული დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი) შეეჯახა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას (ე. ი. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ დამოკიდებულებას ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი და სახელმწიფოს გამოყენებისადმი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის დასამხობად). ეს სრულიად, სრულიად სხვადასხვა საგანია. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენ იმედი გვაქვს დავუბრუნდეთ ცალკე სტატიაში [15].

3) «ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირის პრინციპულ განცხადებაში», რომელიც დაბეჭდილია მე-6 ნომერში, როგორც «სამდივნოს პროექტი», ცოტა როდია ცალკეული არასიზუსტენი და სრულიად არ არის მ თ ა ვ ა რ ი რამ: გარკვეული დაპირისპირება იმ ს ა მ ი ძირითადი მიმართულებისა (სოციალ-შოვინიზმი;

«ცენტრი»; მემარცხენეები), რომლებიც იბრძვიან ახლა მთელი მსოფლიოს სოციალიზმში.

კიდევ ერთხელ: ეს შეცდომები უნდა უარვყოთ და განვმარტოთ, ამავე დროს მთელი ძალღონით უნდა ვეცადოთ კავშირი გავაბათ და დავუახლოვდეთ ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ, მაგრამ მათ მ ო ხ ე რ ხ ე ბ უ ლ ა დ უნდა მივუდგეთ.

დაიბეჭდა 1916 წ. დეკემბერში «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი	იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 208 — 213

მოგსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ [46]

ახალგაზრდა მეგობრებო და ამხანაგებო!

დღეს მეთორმეტე წლისთავია «სისხლიანი კვირისა», რომელსაც სრული უფლებით უყურებენ როგორც რუსეთის რევოლუციის დასაწყისს.

რამდენიმე ათასი მუშა, — და მასთან არა სოციალ-დემოკრატიული, არამედ მორწმუნე, ერთგული ქვეშევრდომი ხალხი, თავს იყრის მღვდელ გაპონის წინამძღოლობით ქალაქის ყველა ნაწილიდან დედაქალაქის ცენტრში, მოედანზე ზამთრის სასახლის წინ, რომ მეფეს გადასცეს თავისი პეტიცია. მუშები მიდიან ხატებით, და მათი მაშინდელი ბელადი გაპონი მეფეს წერილობით არწმუნებდა, რომ ის უზრუნველყოფს მის პირად უშიშროებას და სთხოვს მას ხალხთან გამოვიდეს.

გამოიწვიეს ჯარები. ულანები და კაზაკები ცვივი იარაღით თავს ესხმიან ხალხს, ესვრიან უიარაღო მუშებს, რომელნიც მუხლებზე დაჩოქილნი ევედრებოდნენ კაზაკებს, რომ ისინი მეფესთან გაეშვათ. პოლიციის მოხსენების მიხედვით, მაშინ მოკლულ იქნა ათასზე მეტი, ორი ათასზე მეტი დაიჭრა. მუშათა აღშფოთება აუწერელი იყო.

აი მეტად ზოგადი სურათი 1905 წ. 22 იანვრის — «სისხლიანი კვირისა».

უფრო ცხადი რომ გავხადო თქვენთვის ამ მოვლენის ისტორიული მნიშვნელობა, წაგიკითხავთ რამდენიმე ადგილს მუშათა პეტიციიდან. პეტიცია შემდეგნაირად იწყება:

«ჩვენ, მუშები, მცხოვრებნი პეტერბურგისა, მოვედით შენთან. ჩვენ — უბედური, შეურაცხყოფილი მონები ვართ, ჩვენ დესპოტიზმისა და თვითნებობისაგან ვართ გასრესილი. როცა მოთმინების ფიალა აივსო, შევწყვიტეთ მუშობა და ჩვენს მეპატრონეებს ვთხოვეთ მოეცათ ჩვენთვის მხოლოდ ის, ურომლისოდაც ცხოვრება ტანჯვას წარმოადგენს. მაგრამ ყველაფერი ეს უარყოფილ იქნა, მეფაბრიკეებს ყველაფერი უკანონოდ მოეჩვენათ. ჩვენ აქ, მრავალ ათასეულს, ისე როგორც მთელ რუს ხალხს, არა გვაქვს არავითარი ადამიანური უფლებები. შენი მოხელეების მეოხებით ჩვენ მონებად ვიქეცით».

პეტიცია ჩამოთვლის შემდეგ მოთხოვნებს: ამნისტია, საზოგადოებრივი თავისუფლებანი, ნორმალური ხელფასი, მიწის თანდათანობით ხალხისათვის გადაცემა, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების ნიადაგზე და თავდება სიტყვებით: «ხელმწიფევ! შენს ხალხს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვი! დაანგრიე შენსა და შენს ხალხს შორის არსებული კედელი. უბრძანე და შემოგვფიცე, რომ ჩვენი თხოვნა შესრულდება, და შენ რუსეთს ბედნიერად გახდი; თუ არა, მაშინ ჩვენ მზადა ვართ მოვკვდეთ აქვე. ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს: თავისუფლება და ბედნიერება ან სამარე».

საოცარ გრძნობას განიცდი, როცა ა ხ ლ ა კითხულობ ამ პეტიციას გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი მუშებისას, რომელთაც ხელმძღვანელობდა პატრიარქალური მღვდელი. უნებურად გებადება პარალელი ამ გულუბრყვილო პეტიციასა და სოციალ-პაციფისტების, ე. ი. იმ ადამიანების თანამედროვე მშვიდობიან რეზოლუციებს შორის, რომელთაც სურთ სოციალისტები იყვნენ, საქმით კი მხოლოდ ბურჟუაზიული ფრაზირორები არიან. რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის შეუგნებელმა მუშებმა არ იცოდნენ, რომ მეფე გ ა ბ ა ტ ო ნ ებ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს მეთაურია, სახელდობრ იმ მსხვილ მიწათმფლობელთა კლასისა, რომელნიც უკვე ათასგვარი ძაფებით არიან დაკავშირებულნი მსხვილ ბურჟუაზიასთან და მზად არიან ძალმომრეობის ყველა საშუა-

ლებით დაიცვან თავისი მონოპოლია, პრივილეგიები და მოგება. თანამედროვე სოციალ-პაციფისტებმა, რომელთაც — ყოველგვარი ხუმრობის გარეშე! — სურთ «დიდად განათლებულ» ადამიანებად მოგვაჩვენონ თავი,, არ იციან, რომ «დემოკრატიული» ზავის მოლოდინი ბურჟუაზიული მთავრობებისაგან, რომელნიც იმპერიალისტურ მტაცებლურ ომს ეწევიან, ისეთივე სისულელეა, როგორც სულელურია აზრი, თითქოს შეიძლებოდეს სისხლიანი მეფე დაითანხმო დემოკრატიულ რეფორმებზე მშვიდობიანი პეტიციებით.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა მათ შორის დიდი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე სოციალ-პაციფისტები დიდად პირმოთნეები არიან, რომლებიც მშვიდობიანი შთაგონებებით ლამობენ რევოლუციური ბრძოლისაგან ხალხის ჩამოცილებას, მაშინ როდესაც რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის გაუნათლებელმა რუსმა მუშებმა საქმით დაამტკიცეს, რომ ისინი არიან პირდაპირი ადამიანები, რომელთაც პირველად გაიღვიძეს პოლიტიკური შეგნებისათვის.

და აი, პოლიტიკური შეგნებისა და რევოლუციური ბრძოლისათვის ხალხის უზარმაზარი მასების სწორედ ამ გამოღვიძებაში მდგომარეობს 1905 წლის 22 იანვრის ისტორიული მნიშვნელობაც.

«რუსეთში ჯერ კიდევ არ არის რევოლუციური ხალხი», — ასე წერდა «სისხლიანი კვირის» ორი დღით ადრე ბატონი პეტრე სტრუვე, რუსი ლიბერალების მაშინდელი ბელადი, რომელიც იმ დროს სცემდა არალეგალურ, თავისუფალ, საზღვარგარეთულ ორგანოს. ასეთ აბსურდად მიაჩნდა ბურჟუაზიული რეფორმისტების ამ «დიდად განათლებულ», ქედმაღალ და არქისულელ ბელადს იდეა, რომ წერა-კითხვის უცოდინარ გლეხურ ქვეყანას შეუძლია წარმოშვას რევოლუციური ხალხი! ასე ღრმა იყო მაშინდელი, — ისე როგორც ახლანდელი, — რეფორმისტების რწმენა ნამდვილი რევოლუციის შეუძლებლობისა!

1905 წლის 22 (ძველი სტილით 9) იანვრამდე რუსეთის რევოლუციური პარტია შედგებოდა ერთი მუჭა ადამიანები-

საკან, — მაშინდელი რეფორმისტები (სწორედ ისევე, როგორც ახლანდელნი) დაგვცინოდნენ და «სექტას» გვიწოდებდნენ ჩვენ. რამდენიმე ასეული რევოლუციური ორგანიზატორი, ადგილობრივი ორგანიზაციების რამდენიმე ათასი წევრი, ექვსიოდე რევოლუციური ფურცელი, რომლებიც თვეში ერთჯერ თუ გამოდიოდა, იბეჭდებოდა უმთავრესად საზღვარგარეთ და კონტრაბანდული გზით, წარმოუდგენელი სიძნელეებით, მრავალი მსხვერპლის გაღებით იგზავნებოდა რუსეთში, — ასეთი იყვნენ რევოლუციური პარტიები რუსეთში და, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია 1905 წლის 22 იანვრამდე. ეს გარემოება ფორმალურად აძლევდა უფლებას გონებაშეზღუდულ და თავგასულ რეფორმისტებს ემტკიცებინათ, რუსეთში ჯერ კიდევ არ არის რევოლუციური ხალხი.

მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში სურათი სრულიად შეიცვალა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ასეულები «უცბად» გაიზარდნენ ათასებად, ათასები კი ბელადები გახდნენ ორიდან სამ მილიონამდე პროლეტარისა. პროლეტარულმა ბრძოლამ გამოიწვია დიდი მღელვარება, ნაწილობრივ რევოლუციური მოძრაობაც, ორმოცდაათ — ასმილიონიანი გლეხთა მასის სიღრმეში; გლეხთა მოძრაობამ გამოძახილი პოვა არმიაში და გამოიწვია ჯარისკაცთა აჯანყებები, არმიის ერთი ნაწილის შეიარაღებული შეტაკებები მეორე ნაწილთან. ამრიგად, უზარმაზარმა ქვეყანამ 130 მილიონი მცხოვრებით ფეხი შედგა რევოლუციაში; ამრიგად, მთვლემარე რუსეთი გადაიქცა რევოლუციური პროლეტარიატისა და რევოლუციური ხალხის რუსეთად.

აუცილებლად საჭიროა შევისწავლოთ ეს გადასვლა, გავიგოთ მისი შესაძლებლობა, მისი, ასე ვთქვათ, მეთოდები და გზები.

უმთავრესი საშუალება ამ გადასვლისა იყო მასობრივი გაფიცვა. რუსეთის რევოლუციის თავისებურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის თავისი სოციალური შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო,

მაგრამ ბრძოლის საშუალებებით — პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი. ის იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, რადგან მიზანი, რომლისკენაც ის უშუალოდ მიისწრაფოდა და რომლისთვისაც მას შეეძლო მიეღწია უშუალოდ თავისი საკუთარი ძალებით, იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე, კოლოსალურად მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის კონფისკაცია, — ყველა ზომა, რომლებიც თითქმის მთელი მოცულობით განახორციელა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფრანგეთში 1792 და 1793 წლებში.

რუსეთის რევოლუცია იყო ამასთანავე პროლეტარულიც არა მარტო იმ აზრით, რომ პროლეტარიატი იყო ხელმძღვანელი ძალა, მოძრაობის ავანგარდი, არამედ იმ აზრითაც, რომ ბრძოლის სპეციფიკური პროლეტარული საშუალება, სახელდობრ გაფიცვა, წარმოადგენდა მასების ამოძრავების მთავარ საშუალებას და ყველაზე მეტად დამახასიათებელ მოვლენას გადამწყვეტი ამბების ტალღისებური აზვირთებ-ს დროს.

რუსეთის რევოლუცია არის მსოფლიო ისტორიაში პ ი რ ვ ე ლ ი, — მაგრამ, უეჭველია, ის იქნება არა უკანასკნელი, — დიდი რევოლუცია, რომელშიც მასობრივმა პოლიტიკურმა გაფიცვამ შეასრულა არაჩვეულებრივად დიდი როლი. შეიძლება კიდევაც ვამტკიცოთ, რომ შეუძლებელია რუსეთის რევოლუციის მოვლენებისა და მისი პოლიტიკური ფორმების შეცვლის გაგება, თ უ გ ა ფ ი ც ვ ა თ ა ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ი თ არ იქნება შესწავლილი ამ მოვლენებისა და ფორმათა ამ ცვლის ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი.

მე ძალიან კარგად ვიცი, რამდენად არ შეეფერება ზეპირ მოხსენებას მშრალი სტატისტიკური ციფრები, რამდენად შეუძლიათ მათ მსმენელის დაფრთხობა. მაგრამ მაინც არ შემიძლია არ მოვიყვანო რამდენიმე დამრგვალებული ციფრი, რათა შესაძლებლობა გვექნეს შევაფასოთ მთელი მოძრაობის ნამდვილი ობიექტური საფუძველი. გაფიცულთა საშუალო წლიური ციფრი რუსეთში 10 წლის განმავლობაში რევოლუციამდე უდრიდა 43 ათასს. მაშასადამე, გაფიცულთა საერთო რაოდენობა რევოლუციამდე მთელი ათი წლის

განმავლობაში შეადგენდა 430 ათასს. 1905 წლის იანვარში, რევოლუციის პირველ თვეში, გაფიცულთა რიცხვი უდრიდა 440 ათასს. მაშასადამე, მარტო ერთი თვის განმავლობაში უფრო მეტი იყო, ვიდრე მთელ წინა ათწლეულში!

მსოფლიოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნებშიც კი, როგორიც არიან, მაგალითად, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, მსოფლიოს არ უნახავს ისეთი გრანდიოზული საგაფიცვო მოძრაობა, როგორიც იყო რუსეთში 1905 წელს. გაფიცულთა საერთო რაოდენობა უდრიდა 2 მილიონ 800 ათასს, ფაბრიკების მუშათა საერთო რიცხვის ორჯერ მეტს! ეს, რა თქმა უნდა, არ ამტკიცებს, რომ ქალაქის ფაბრიკის მუშები რუსეთში იყვნენ უფრო განათლებულნი, ან უფრო ძლიერნი, ან უფრო მომზადებულნი ბრძოლისათვის, ვიდრე მათი ძმები დასავლეთ ევროპაში. მართალია სწორედ პირიქით.

მაგრამ ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი შეიძლება იყოს პროლეტარიატის მთვლემარე ენერგია. ეს მოწმობს, რომ რევოლუციურ ეპოქაში, — მე ამას ვამტკიცებ სრულიად გაუზვიადებლად, რუსეთის ისტორიის უაღრესად ზუსტი მონაცემების საფუძველზე, — პროლეტარიატს შეუძლია ბრძოლის ენერგია განავითაროს ასჯერ უფრო მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ მშვიდობიან დროს. ეს იმას მოწმობს, რომ კაცობრიობამ 1905 წლამდე კიდევ არ იცოდა, თუ რა დიდი, რა გრანდიოზული შეიძლება იყოს და იქნება პროლეტარიატის ძალთა დაძაბვა, თუ საქმე იმას შეეხება, რომ იბრძოლოს ნამდვილად დიადი მიზნებისათვის, იბრძოლოს ნამდვილად რევოლუციურად!

რუსეთის რევოლუციის ისტორია გვიჩვენებს, რომ სწორედ ავანგარდი, დაქირავებული მუშების რჩეული ელემენტები აწარმოებდნენ ბრძოლას უდიდესი სიმტკიცითა და უდიდესი თავგანწირულებით. რაც უფრო დიდი იყო ქარხნები, მით უფრო შეუდრეკელად ტარდებოდა გაფიცვები, მით უფრო ხშირად მეორდებოდნენ ისინი ერთსა და იმავე წელს. რაც უფრო დიდი იყო ქალაქი, მით უფრო მნიშვნელოვანი იყო ბრძოლაში პროლეტარიატის რო-

ლი. სამი დიდი ქალაქი, რომლებშიც ცხოვრობენ ყველაზე უფრო შეგნებული და ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მუშები, პეტერბურგი, რიგა და ვარშავა, იძლევიან გაფიცულთა შეუდარებლად მეტ რიცხვს მუშათა საერთო რიცხვთან შედარებით, ვიდრე ყველა სხვა ქალაქი, რომ აღარაფერი ვთქვათ სოფელზე.

მელითონელები წარმოადგენენ რუსეთში, — ალბათ ისევე, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, — პროლეტარიატის მოწინავე რაზმს. და აქ ჩვენ ვხედავთ შემდეგ საგულისხმო ფაქტს: რუსეთის ფაბრიკის მუშათა თვითეულმა ასეულმა, საზოგადოდ, 1905 წელს მოგვცა 160 გაფიცული. მაშინ როცა მ ე ლ ი თ ო ნ ე თ ა თვითეულმა ასეულმა იმავე წელს მოგვცა 320 გაფიცული! გამოანგარიშებათა მიხედვით ფაბრიკის თვითეული რუსი მუშა 1905 წელს საშუალოდ კარგავდა გაფიცვის შედეგად 10 მანეთს, — დაახლოებით 26 ფრანკს ომამდელი კურსის მიხედვით, — ასე ვთქვათ, სწირავდა მას ბრძოლისათვის. ხოლო მარტოოდენ მელითონელებს თუ ავიღებთ, ჩვენ მივიღებთ ს ა მ ჯ ე რ მ ე ტ თანხას! წინ მიდიოდნენ მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები, რომელთაც თან მიჰყავდათ მერყევნი, აღვიძებდნენ მძინარეთ და ამხნევებდნენ სუსტებს.

განსაკუთრებით თავისებური იყო რევოლუციის დროს ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვათა გადახლართვა. ეჭვს გარეშეა, რომ გაფიცვათა ამ ორი ფორმის მხოლოდ მეტად მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფდა მოძრაობის დიდ ძალას. ექსპლოატირებულთა ფართო მასების რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმა არასგზით არ შეიძლებოდა, რომ ამ მასებს ყოველდღე თვითონვე არ ენახათ მაგალითები, თუ როგორ აიძულებდნენ კაპიტალისტებს მრეწველობის სხვადასხვა დარგის დაქირავებული მუშები თავისი მდგომარეობის უშუალო, დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას. ამ ბრძოლის გამო რუსეთის ხალხის მთელ მასაში ახალმა სიომ დაჰბერა. მხოლოდ ახლა მოიშორა თავიდან ბატონყმურმა, დათვური ძილით შეპყრობილმა, პატრიარქალურმა, კეთილმორწმუნე და მორჩილმა რუსეთმა დახავსებული ადამი; მხოლოდ ახლა მიიღო

რუსეთის ხალხმა ნამდვილი დემოკრატიული, ნამდვილი რევოლუციური აღზრდა.

თუ ბურჟუაზიული ვაჟბატონები და მათი უკრიტიკო დამჭაშები, სოციალისტური რეფორმისტები, ასეთი ყოყოჩობით ლაპარაკობენ მასების «აღზრდის» შესახებ, მათ ჩვეულებრივ აღზრდა წარმოდგენილი აქვთ რაღაც სკოლურად, პედანტურად, ისეთ რამედ, რაც მასების დემორალიზაციას ახდენს, მათში ბურჟუაზიულ ცრურწმენებს ნერგავს.

მასების ნამდვილი აღზრდა არასოდეს არ შეიძლება დაცილებულ იქნეს თვით მასის დამოუკიდებელი პოლიტიკური და განსაკუთრებით რევოლუციური ბრძოლისაგან. მხოლოდ ბრძოლა აღზრდის ექსპლოატირებულ კლასს, მხოლოდ ბრძოლა უჩვენებს მას თავის ძალთა საზომს, აფართოებს მის ჰორიზონტს, ამაღლებს მის უნარიანობას, ანათლებს მის გონებას და ჭედს მის ნებისყოფას. და ამიტომ თვით რეაქციონერებიც კი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ 1905 წელმა, ბრძოლის წელმა, «გიჟმა წელმა». საბოლოოდ დაასამარა პატრიარქალური რუსეთი.

გავარჩიოთ უფრო ახლოს თანაფარდობა რუსეთის მელიტონეებსა და ფეიქრებს შორის საგაფიცვო ბრძოლის დროს 1905 წელს. მელითონეები წარმოადგენენ ყველაზე უკეთესი ხელფასის მქონე, ყველაზე შეგნებულ, ყველაზე კულტურულ პროლეტარებს. ფეიქარი მუშები, რომელთა რაოდენობა რუსეთში 1905 წელს ორნახევარჯერ და მეტად აღემატებოდა მელითონეთა რაოდენობას, წარმოადგენენ ყველაზე ჩამორჩენილ, ყველაზე ცუდი ხელფასის მქონე მასას, რომელსაც ხშირად ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გაუწყვეტია კავშირი საკუთარ გლეხ ნათესაობასთან სოფლად. და აქ ჩვენ ეხვდებით შემდეგ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას.

მელითონეთა გაფიცვები მთელი 1905 წლის განმავლობაში იძლევიან პოლიტიკური გაფიცვის გადაჭარბებას ეკონომიურთან შედარებით, თუმცა წლის დასაწყისს ეს გადაჭარბება ჯერ კიდევ არც იმდენად დიდია, როგორც წლის დამლევს. პირიქით, ფეიქრებში ჩვენ ვხედავთ 1905 წლის დასაწყისს ეკონომიური გაფიცვების კოლოსალურ გადაჭარბე-

ბას, რომელიც მხოლოდ წლის დამლევს იცვლება პოლიტიკური გაფიცვის გადაჭარბებით. აქედან სრული სიცხადით ვამომდინარეობს, რომ მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას, მხოლოდ თავისი მდგომარეობის დაუყოვნებლივ, უშუალო გაუმჯობესებისათვის ბრძოლას შესწევს უნარი აამოძრაოს ექსპლოატირებული მასის ქვეშეულაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები, იგი აძლევს მათ ნამდვილ აღზრდას და ხდის მათ — რევოლუციურ ეპოქაში — რამდენიმე თვის განმავლობაში პოლიტიკურ მებრძოლთა არმიად.

რა თქმა უნდა, ამისათვის საჭირო იყო, რომ მუშათა მოწინავე რაზმს არ მიეჩნია კლასობრივ ბრძოლად მცირეოდენი ზედაფენის ინტერესებისათვის ბრძოლა, როგორც ამის შთაგონებას მუშებისათვის ძალიან ხშირად ცდილობდნენ რეფორმისტები, არამედ საჭირო იყო პროლეტარები ნამდვილად გამოსულიყვნენ ექსპლოატირებულთა უმრავლესობის ავანგარდის სახით, ჩაებათ ბრძოლაში ეს უმრავლესობა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი 1905 წელს რუსეთში და როგორც უნდა მოხდეს ეს და, ყოველივე ეჭვს გარეშე, მოხდება ევროპაში მომავალი პროლეტარული რევოლუციის დროს.

1905 წლის დასაწყისს მოჰყვა საგაფიცვო მოძრაობის პირველი დიდი ტალღა მთელ ჩვენს ქვეყანაში. უკვე ამ წლის ცაზაფხულზე ჩვენ ვხედავთ რუსეთში **გლეხთა** პირველი დიდი, არა მარტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე პოლიტიკური **მოძრაობის** გამოღვიძებას. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს, რომელიც ძობრუნებას წარმოადგენდა ისტორიისათვის, შეუძლია მხოლოდ იმან გაიგოს, ვინც მოიგონებს, რომ გლეხობა რუსეთში მხოლოდ 1861 წელს განთავისუფლდა უმძიმესი ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, რომ გლეხები უმრავლესად წერა-კითხვის უცოდინარნი არიან, ცხოვრობენ აუწერელ გაჭირვებაში, მემამულეებისაგან დაჩაგრულნი, ხუცებისაგან გაბრუებულნი, ერთიმეორისაგან განცალკევებულნი უზარმაზარი მანძილით და ბიუქმის სრული უგზოობით.

1825 წელს რუსეთმა პირველად დაინახა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობა, და ეს მო-

ძრაობა წარმოდგენილი იყო თითქმის მხოლოდ თავადაზნაურებით. იმ მომენტიდან 1881 წლამდე, როცა ალექსანდრე II მოკლეს ტერორისტებმა, მოძრაობის სათავეში იდგნენ ინტელიგენტები საშუალო წოდებიდან. მათ უდიდესი თავგანწირვა გამოიჩინეს და თავისი ბრძოლის გმირული ტერორისტული მეთოდით მთელი მსოფლიოს განცვიფრება გამოიწვიეს. უეჭველია, ეს მსხვერპლი ტყუილ-უბრალოდ არ იყო გაღებული, უეჭველია, მან ხელი შეუწყო — პირდაპირ თუ არაპირდაპირ — რუსეთის ხალხის შემდგომ რევოლუციურ აღზრდას. მაგრამ თავის უშუალო მიზანს, სახალხო რევოლუციის გამოწვევას, მან ვერ მიაღწია და არც შეეძლო მიეღწია.

ეს შეძლო მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ. მხოლოდ მასობრივი გაფიცვების ტალღებმა, რომლებმაც მთელ ჩვენს ქვეყანაზე გადაიარა, რუსეთ-იაპონიის იმპერიალისტური ომის სასტიკ გაკვეთილებთან დაკავშირებით, გამოაღვიძა გლეხობის ფართო მასები ლეთარგიული ძილისაგან. სიტყვა «გაფიცულმა» მიიღო გლეხებში სრულიად ახალი მნიშვნელობა: იგი გამოხატავდა რაღაც მეამბოხის მაგვარს, რევოლუციონერს, რაც წინათ გამოითქმებოდა სიტყვა «სტუდენტით». მაგრამ რამდენადაც «სტუდენტი» ეკუთვნოდა საშუალო წოდებას, «მეცნიერებს», «ბატონებს», ის ხალხისათვის უცხო იყო. პირიქით, «გაფიცული» თვით ხალხიდან გამოვიდა, თვით ეკუთვნოდა ექსპლოატირებულთა რიცხვს. პეტერბურგიდან გადასახლებული, ის ძალიან ხშირად სოფელში ბრუნდებოდა და თავის სოფლელ ამხანაგებს უამბობდა იმ ხანძრის შესახებ, რომელიც ედებოდა ქალაქებს და რომელსაც უნდა გაენადგურებინა როგორც კაპიტალისტები, ისე თავადაზნაურები. რუსეთის სოფელში გამოჩნდა ახალი ტიპი — შეგნებული ახალგაზრდა გლეხი. მას «გაფიცულებთან» ურთიერთობა ჰქონდა, ის კითხულობდა გაზეთებს, ის უყვებოდა გლეხებს ქალაქებში მომხდარ ამბებს, ის უხსნიდა სოფლელ ამხანაგებს პოლიტიკურ მოთხოვნათა მნიშვნელობას, ის მოუწოდებდა მათ ებრძოლათ მსხვილი მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა, ხუცებისა და მოხელეთა წინააღმდეგ.

გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, იხილავდნენ თავიანთ მდგომარეობას და თანდათანობით ებმებოდნენ ბრძოლაში: გროვა-გროვად მიდიოდნენ ისინი მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ, წვავდნენ მათ სასახლეებს და კარმიდამოს ან ართმევდნენ მათ მარაგს, ეპატრონებოდნენ პურს და ცხოვრებისათვის საჭირო სხვა სურსათ-სანოვაგეს, ხოცავდნენ პოლიციელებს, მოითხოვდნენ თავადაზნაურთა უზარმაზარი მამულების მიწის გადაცემას ხალხისათვის.

1905 წლის გაზაფხულზე გლეხთა მოძრაობა მხოლოდ ჩანასახად იყო, იგი მოედო მხოლოდ მაზრების უმცირესობას, დაახლოებით მათ მეშვიდედ ნაწილს.

მაგრამ საკმარისი იყო ქალაქების პროლეტარული მასობრივი გაფიცვა შეერთებოდა სოფლის გლეხთა მოძრაობას, რომ შერყეულიყო ცარიზმის ყველაზე «მტკიცე» და უკანასკნელი დასაყრდენი. მე მხედველობაში მყავს ა რ მ ი ა.

იწყება ს ა მ ხ ე დ რ ო ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა თ ა ხანა ფლოტსა და არმიაში. რევოლუციის დროს საგაფიცვო და გლეხთა მოძრაობის ტალღის ყოველ აზვირთებას თან სდევს ჯარისკაცთა აჯანყებები რუსეთის ყველა კუთხეში. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია აჯანყება შავი ზღვის ჯავშნოსან «თავად პოტიომკინზე», რომელიც ხელში ჩაუვარდა აჯანყებულებს და მონაწილეობას იღებდა რევოლუციაში ოდესაში, ხოლო რევოლუციის დამარცხებისა და სხვა ნავსადგურთა (მაგალითად, ფეოდოსიისა ყირიმში) ხელში ჩაგდების ცდების მარცხით გათავების შემდეგ დანებდა რუმინეთის ხელისუფალთ კონსტანცაში.

ნება მომეცით დაწვრილებით გიამბოთ ერთი პატარა ეპიზოდი შავი ზღვის ფლოტის ამ აჯანყებიდან, რომ თქვენ მიიღოთ მოვლენათა კონკრეტული სურათი მათი განვითარების უმაღლეს წერტილზე:

«იმართებოდა რევოლუციური მუშებისა და მატროსების კრებები; კრებები სულ ხშირი და ხშირი ხდებოდა. რადგანაც სამხედრო პირებს არ უშვებდნენ მუშათა მიტინგებზე, მუშებმა მასობრივად იწყეს სამხედრო მიტინგებზე სიარული. იკრიბებოდნენ ათასობით. შეერთებულად

გამოსვლის-იდეამ ცოცხალი გამოძახილი პოვა. უფრო შეგნებულ ასეულებში ირჩევდნენ დეპუტატებს.

მაშინ სამხედრო სარდლობამ გადაწყვიტა ზომების მიღება. მიტინგებზე ცალკეული ოფიცრების მიერ «პატრიოტული» სიტყვების წარმოთქმის ცდები მეტად სავალალო შედეგებს იძლეოდა: დისკუსიებს მიჩვეული მატროსები თავიანთ უფროსებს სამარცხვინოდ უკუაქცევდნენ. ამგვარი მარცხის გამო გადაწყდა საერთოდ მიტინგების აკრძალვა. 1905 წლის 24 ნოემბერს დილით ფლოტის ყაზარმების ჭიშკართან დააყენეს საომრად დაწყობილი ასეული სრული საბრძოლო აღჭურვილობით. კონტრადმირალმა პისარევსკიმ ყველას გასაგონად გასცა ბრძანება: «არავინ გამოუშვათ ყაზარმიდან! დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ესროლეთ». იმ ასეულიდან, რომლისადმიც გაცემული იყო ეს ბრძანება, გამოვიდა მატროსი პეტროვი, ყველას თვალწინ გატენა თავისი შაშხანა, ერთი გასროლით მოკლა შტაბს-კაპიტანი შტეინი ბელოსტოკის პოლკიდან, ხოლო მეორე გასროლით დაჭრა კონტრადმირალი პისარევსკი. გაისმა ოფიცრის ბრძანება: «დააპატიმრეთ ის!». ადგილიდან არავინ დაძრულა. პეტროვმა თოფი მიწაზე დააგდო. «რას გაჩერებულხართ? წამიყვანეთ!». ის შეიპყრეს. ყოველი მხრიდან შეგროვილი მატროსები აღელვებულნი მოითხოვდნენ მის განთავისუფლებას, აცხადებდნენ, რომ ისინი მისთვის პასუხისმგებლობას კისრულობენ. მღელვარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

— პეტროვ, გასროლა შემთხვევითი იყო, ხომ? — ჰკითხა ოფიცერმა, რომ გამოენახა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი.

— რატომ შემთხვევითი! მე გამოვედი წინ, გავტენე შაშხანა და დავუმიზნე, განა ეს შემთხვევითია?

— ისინი შენს განთავისუფლებას მოითხოვენ...

და პეტროვი გაათავისუფლეს. მაგრამ მატროსები ამით არ დაკმაყოფილდნენ: ყველა მორიგე ოფიცერი შეიპყრეს, იარაღი აჰყარეს და კანცელარიაში წაიყვანეს... მატროსების დელეგატები დაახლოებით 40 კაცის რაოდენობით მთელ ღამეს თათბირობდნენ. გადაწყვიტეს ოფიცრები გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ყაზარმებში აღარ შეეშვათ»...

ეს პატარა სურათი ნათლად გიჩვენებთ, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები უმრავლეს შემთხვევაში სამხედრო აჯანყებათა დროს. რევოლუციური დუღილი ხალხში არ შეიძლებოდა ჯარსაც არ მოსდებოდა. დამახასიათებელია, რომ მოძრაობის ბელადებს იძლეოდნენ სამხედრო ფლოტისა და არმიის ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, რომელნიც გაწვეულნი იყვნენ უმთავრესად სამრეწველო მუშებიდან და რომლებისთვისაც სავალდებულო იყო უფრო მეტი ტექნიკური მომზადება, მაგალითად, მესანგრეები. მაგრამ ფართო მასები ჯერ კიდევ მე-

ტად გულუბრყვილონი იყვნენ, მეტად მშვიდად, მეტად გულკეთილად, მეტად ქრისტიანულად იყვნენ განწყობილნი. ისინი აენთებოდნენ ხოლმე საკმაოდ ადვილად, უსამართლობის ყოველგვარ შემთხვევას, ოფიცერთა მეტად უხეშ მოპყრობას, ცუდ კვებას და სხვ. შეეძლო აღშფოთება გამოეწვია. მაგრამ არ ყოფნიდათ გამძლეობა, არ ჰქონდათ ამოცანის ნათელი შეგნება: არ ყოფნიდათ იმის საკმაო შეგნება, რომ შეიარაღებული ბრძოლის მხოლოდ **მეტად ენერგიული** განგრძობა, მხოლოდ ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებაზე გამარჯვება, მხოლოდ მთავრობის ჩამოგდება და მთელ სახელმწიფოში ძალაუფლების დაპყრობა წარმოადგენს რევოლუციის წარმატების ერთადერთ გარანტიას.

მატროსთა და ჯარისკაცთა ფართო მასები ამბოხებას ადვილად იწყებდნენ. მაგრამ ასევე ადვილად სჩადიოდნენ ისინი იმ გულუბრყვილო სისულელეს, რომ ათავისუფლებდნენ შეპყრობილ ოფიცრებს; ისინი თავს აწყნარებინებდნენ უფროსებს აღთქმებითა და შეპირებებით; ამგვარად, უფროსები იგებდნენ ძვირფას დროს, ღებულობდნენ დამხმარე ძალებს, ამარცხებდნენ აჯანყებულთა ძალებს, და შემდეგ ამას მოსდევდა აჯანყების უსასტიკესი ჩაქრობა და ბელადების სიკვდილით დასჯა.

განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის 1905 წლის სამხედრო აჯანყებათა შედარება 1825 წლის დეკაბრისტების სამხედრო აჯანყებასთან. მაშინ პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელობა თითქმის მხოლოდ ოფიცრებს ეკუთვნოდა, და სახელდობრ თავადაზნაურ ოფიცრებს; ისინი გამსჭვალულნი იყვნენ ევროპის დემოკრატიული იდეებით, რომლებსაც გაეცნენ ნაპოლეონის ომების დროს. ჯარისკაცთა მასას, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ყმა გლეხები შეადგენდნენ, თავი პასიურად ეჭირა.

1905 წლის ისტორია სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს. ოფიცრები, მცირე გამონაკლისს გარდა, მაშინ განწყობილი იყვნენ ან ბურჟუაზიულ-ლიბერალურად, რეფორმისტულად, ანდა პირდაპირ კონტრრევოლუციურად, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მუშები და გლეხები აჯან-

ყების სული და გული იყვნენ; მოძრაობა ხალხური შეიქნა. პირველად რუსეთის ისტორიაში მან მოიცვა ექსპლოატირებულთა უმრავლესობა. თუ რაიმე აკლდა მას, ეს იყო, ერთი მხრივ, გამძლეობა, სიმტკიცე მასებისა, რომელნიც მეტად დაავადებულნი იყვნენ ნდობით; მეორე მხრივ, საკმაოდ არ იყვნენ დარაზმულნი სამხედრო მუნდირებში გამოწყობილი რევოლუციური სოციალ-დემოკრატი მუშები: მათ არ შესწევდათ უნარი ხელმძღვანელობა ეკისრნათ, რევოლუციურ არმიას სათავეში ჩასდგომოდნენ და გადაბულიყვნენ შეტევაზე მთავრობის ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქვე უნდა ვთქვათ, — შეიძლება უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ გვსურს, მაგრამ სამაგიეროდ უეჭველად, — ეს ორი ნაკლი მოისპობა არა მხოლოდ კაპიტალიზმის საერთო განვითარებით, არამედ ახლანდელი ომითაც...

ყოველ შემთხვევაში, რუსეთის რევოლუციის ისტორია, ისე როგორც 1871 წლის პარიზის კომუნის ისტორია, გვაძლევს უტყუარ გაკვეთილს, რომ მილიტარიზმი არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამარცხდეს და მოისპოს სხვა რაიმე საშუალებით, თუ არა მხოლოდ საბალნო არმიის ერთი ნაწილის ძლევამოსილი ბრძოლით მისი მეორე ნაწილის წინააღმდეგ. არ კმარა მხოლოდ სიტყვით შემუსრა, შეაჩვენო, «უარყო» მილიტარიზმი, გააკრიტიკო ის და დაასაბუთო მისი მავნებლობა; სისულელეა მშვიდობიანად თქვა უარი სამხედრო სამსახურზე, — ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაძაბული შეგინარჩუნოთ პროლეტარიატი, რევოლუციური შეგნება და ამასთან არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კონკრეტულად ვამზადოთ მისი საუკეთესო ელემენტები იმისათვის, რომ ხალხში უღრმესი მღელვარების მომენტში ისინი სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ არმიას.

ამასვე გვასწავლის ჩვენ ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფოს ყოველდღიური გამოცდილება. თვითეული «პატარა» კრიზისი, რომელსაც ასეთი სახელმწიფო განიცდის, მინიტიურულად გვიჩვენებს იმ ბრძოლების ელემენტებსა და ჩანასახებს, რომელნიც დიდი კრიზისის პერიოდში აუცილებლად უნდა განმეორდნენ დიდი მასშტაბით. და სხვას რას წარმოად-

ვენს, მაგალითად, რომელიმე გაფიცვა, თუ არ კაპიტალისტური საზოგადოების პატარა კრიზისს? განა მართალი არ იყო პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ფონ პუტკამერი, როცა წარმოთქვა თავისი ცნობილი გამოთქმა: «ყოველი გაფიცვიდან გამოიყურება რევოლუციის გველეშაპიო». ჯარისკაცთა გამოწვევა გაფიცვების დროს ყველგან, თვით — უკაცრავად პასუხია — ყველაზე მშვიდობიან, ყველაზე «დემოკრატიულ» კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, განა არ გვიჩვენებს, თუ როგორი იქნება საქმის ვითარება ნამდვილად დიდი კრიზისების დროს?

მაგრამ კვლავ ვუბრუნდები რუსეთის რევოლუციის ისტორიას.

მე ვცადე დამეხატა თქვენთვის, თუ როგორ შესძრეს მუშათა გაფიცვებმა მთელი ქვეყანა და ექსპლოატირებულთა ყველაზე ფართო, ყველაზე ჩამორჩენილი ფენები, თუ როგორ დაიწყო გლეხთა მოძრაობა, როგორ თან სდევდა მას სამხედრო აჯანყებები.

1905 წლის შემოდგომაზე მთელმა მოძრაობამ მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს. 19 (6) აგვისტოს გამოიცა მეფის მანიფესტი წარმომადგენლობითი დაწესებულების შესახებ. ეგრეთწოდებული ბულიგინის სათათბირო უნდა შექმნილიყო იმ საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც გულისხმობდა ამომრჩეველთა კურიოზულად მცირე რაოდენობას და არ ანიჭებდა ამ თავისებურ «პარლამენტს» არავითარ საკანონმდებლო უფლებას, გარდა სათათბირო, საკონსულტაციო უფლებებისა!

ბურჟუაზია, ლიბერალები, ოპორტუნისტები მზად იყვნენ ორივე ხელით ჩაბღაუჭებოდნენ დამფრთხალი მეფის ამ «ნაჩუქარს». მსგავსად ყველა რეფორმისტისა, 1905 წლის ჩვენმა რეფორმისტებმა ვერ გაიგეს, რომ არის ხოლმე ისეთი ისტორიული სიტუაციები, როცა რეფორმები, განსაკუთრებით კი რეფორმების დაპირებანი, ისახავენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს: შეაჩერონ ხალხის მღელვარება, აიძულონ რევოლუციური კლასი შეწყვიტოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეასუსტოს ბრძოლა.

რუსეთის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ კარგად გაიგო ჭეშმარიტი ხასიათი მოჩვენებითი კონსტიტუციის ამ ბოძებისა, ამ ჩუქებისა 1905 წლის აგვისტოში. და ამიტომაც მან ერთი წუთითაც არ დააყოვნა, და გადმოისროლა ლოზუნგი: ძირს რჩევითი სათათბირო! ბოიკოტი სათათბიროს! ძირს მეფის მთავრობა! რევოლუციური ბრძოლის განგრძობა ამ მთავრობის ჩამოგდების მიზნით! არა მეფემ, არამედ დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ უნდა მოიწვიოს რუსეთში პირველი ჭეშმარიტი სახალხო წარმომადგენლობა!

ისტორიამ დაამტკიცა რევოლუციური სოციალ-დემოკრატების სიმართლე იმით, რომ ბ უ ლ ი გ ი ნ ი ს ს ა თ ა თ ბ ი რ ო არასოდეს არ ყოფილა მოწვეული. იგი წალეკა რევოლუციურმა ქარტეხილმა უფრო ადრე, ვიდრე ის მოწვეული იქნებოდა; ამ ქარტეხილმა აიძულა მეფე გამოეცა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ადიდებდა ამომრჩეველთა რაოდენობას, და ეღიარებინა სათათბიროს საკანონმდებლო ხასიათი.

1905 წლის ოქტომბერი და დეკემბერი მოასწავებენ რუსეთის რევოლუციის აღმავალი ხაზის უმაღლეს წერტილს. ხალხის რევოლუციური ძალების ყველა წყარო აჩქეფდა ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე წინათ. გაფიცულთა რაოდენობამ, რომელიც 1905 წლის იანვარში, როგორც უკვე გაცნობეთ, შეადგენდა 440 ათასს, 1905 წლის ოქტომბერში ნახევარ მილიონს გადააჭარბა (დაიხსომეთ, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში!). მაგრამ ამ რაოდენობას, რომელიც შეიცავს **მ ხ ო ლ ო დ ფაბრიკის** მუშებს, უნდა მიემატოს კიდევ რამდენიმე ასეული ათასი რკინიგზის მუშა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე და სხვ.

რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვამ შეაჩერა რკინიგზის მოძრაობა და ყველაზე გადამწყვეტი სახით დამბლა დასცა მთავრობის ძლიერებას. გაიღო უნივერსიტეტების კარები, და აუდიტორიები, რომელნიც მშვიდობიან დროს მხოლოდ იმას ემსახურებოდნენ, რომ გაებრუებიათ ახალგაზრდა ადამიანები პროფესორული კათედრული სიბრძნით და

გადაექციათ ისინი ბურჟუაზიისა და ცარიზმის მორჩილ მსახურებად, ახლა იქცნენ შესაკრებ ადგილებად მრავალი ათასი მუშებისა, ხელოსნებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც აშკარად და თავისუფლად მსჯელობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე.

მოპოვებულ იქნა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. ცენზურა პირდაპირ გაუქმდა. ვერც ერთი გამომცემელი ვერ ბედავდა წარედგინა ხელისუფალთათვის სავალდებულო ეგზემპლარი, ხოლო ხელისუფალნი ვერ ბედავდნენ მიეღოთ ამის საწინააღმდეგოდ რაიმე ზომები. პირველად რუსეთის ისტორიაში თავისუფლად გამოჩნდნენ პეტერბურგში და სხვა ქალაქებში რევოლუციური გაზეთები. მარტო პეტერბურგში გამოდიოდა სამი ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი 50-დან 100 ათას ეგზემპლარამდე ტირაჟით.

პროლეტარიატი მოძრაობის სათავეში მიდიოდა. მან თავის ამოცანად დაისახა 8 საათიანი სამუშაო დღის მოპოვება რევოლუციური გზით. მაშინ პეტერბურგის პროლეტარიატის საბრძოლო ლოზუნგი იყო: «8 საათიანი დღე დაიარაღი!». მუშების სულ უფრო და უფრო მზარდი მასებისათვის აშკარა ხდებოდა, რომ რევოლუციის ბედის გადაწყვეტა შეუძლია და მას გადაწყვეტს მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლა.

ბრძოლის ცეცხლში შეიქმნა თავისებური მასობრივი ორგანიზაცია: სახელოვანი მუშათა დეპუტატების საბჭოები, ყველა ფაბრიკის დელეგატთა კრებები. ეს მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთის რამდენიმე ქალაქში სულ უფრო და უფრო მეტად იწყებდნენ დროებითი რევოლუციური მთავრობის როლის, აჯანყებათა ორგანოებისა და ხელმძღვანელების როლის შესრულებას. იყო ცდები ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოების შექმნისა და მათი შეერთებისათვის მუშათა დეპუტატების საბჭოებთან.

რუსეთის ზოგიერთი ქალაქი იმ დღეებში განიცდიდა პერიოდს სხვადასხვა ადგილობრივი პატარა «რესპუბლიკებისას», რომლებშიც მთავრობის ხელისუფლება გადაყენებულ იქნა და მუშათა დეპუტატების საბჭო ნამდვილად მოქმე-

დებდა როგორც ახალი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. სამწუხაროდ, ეს პერიოდები მეტად ხანმოკლე იყო, «გამარჯვებანი» მეტად სუსტი, მეტად იზოლირებული.

1905 წლის შემოდგომაზე გლეხთა მოძრაობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. მაზრების მესამედზე მეტი მთელ ქვეყანაში მაშინ მოცული იყო ეგრეთწოდებული «გლეხთა არეულობებით» და გლეხთა ნამდვილი აჯანყებებით. გლეხებმა გადაწვეს 2 ათასამდე კარმიდამო და ურთიერთშორის გაინაწილეს თავადაზნაურ მტაცებელთა მიერ ხალხისაგან ნაძარცვი საარსებო საშუალებანი.

სამწუხაროდ, ეს მუშაობა ძალიან ნაკლებ საფუძვლიანი იყო! სამწუხაროდ, გლეხებმა მაშინ მოსპეს მხოლოდ მეთხუთმეტედი წილი თავადაზნაურთა კარმიდამოების საერთო რაოდენობისა, მხოლოდ მეთხუთმეტედი ნაწილი იმისა, რაც მათ უნდა მოესპოთ, რათა ბოლომდე აღეგავათ პირისაგან რუსეთის მიწისა სამარცხვინო მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა. სამწუხაროდ, გლეხები მოქმედებდნენ მეტად დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, ვერ იჩენდნენ სათანადო შეტევითს უნარს, და ეს არის რევოლუციის დამარცხების ერთი ძირითადი მიზეზთაგანი.

რუსეთის ჩაგრულ ხალხთა შორის იფეთქა განმათავისუფლებელმა ნაციონალურმა მოძრაობამ. რუსეთში მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თითქმის სამი მეხუთედი (ზუსტად: 57 პროც.) განიცდის ნაციონალურ ჩაგვრას, ისინი არ სარგებლობენ დედაენის თავისუფლებითაც კი, მათ ძალმომრეობით არუსებენ. მაგალითად, მუსლიმანებმა, რომელნიც რუსეთის მოსახლეობის ათეულ მილიონებს შეადგენენ, გასაოცარი სისწრაფით მოაწყვეს მაშინ — ეს იყო საერთოდ ეპოქა სხვადასხვა ორგანიზაციების კოლოსალური ზრდისა — მუსლიმანთა კავშირი.

კრებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომ მიეცეს იმის მაგალითი, თუ მაშინდელ რუსეთში ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობა როგორ მიიწევდა ზევით მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით. მე მოგიყვანთ ერთ პატარა მაგალითს.

1905 წლის დეკემბერში ასობით სკოლებში პოლონელმა მოწაფეებმა დაწვეს ყველა რუსული წიგნი, სურათები და მეფის პორტრეტები, სცემეს და სკოლებიდან გააძევეს რუსი მასწავლებლები და რუსი ამხანაგები. ყვირილით: «დაიკარგეთ აქედან, რუსეთში!». საშუალო სკოლების პოლონელი მოწაფეების მოთხოვნები, სხვათა შორის, შემდეგი იყო: «1) ყველა საშუალო სკოლა უნდა დაემორჩილოს მუშათა დეპუტატების საბჭოს; 2) მოწვეულ იქნეს მოწაფეთა და მუშათა გაერთიანებული კრებები სკოლის სადგომებში; 3) გიმნაზიებში წითელი ხალათების ტარების ნებართვა ნიშნად იმისა, რომ მოწაფეები ეკუთვნიან მომავალ პროლეტარულ რესპუბლიკას» და ა. შ.

რაც უფრო ზვირთდებოდა მოძრაობის ტალღები, მით უფრო მეტი ენერგიითა და სიმტკიცით იარაღდებოდა რეაქცია რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთის 1905 წლის რევოლუციაში გამართლდა ის, რასაც კ. კაუცკი წერდა 1902 წელს თავის წიგნში «სოციალური რევოლუცია» (აქვე უნდა ვთქვათ, რომ მაშინ ის ჯერ კიდევ რევოლუციური მარქსისტი იყო და არა სოციალ-პატრიოტებისა და ოპორტუნისტების დამცველი, როგორც ამჟამად არის). ის შემდეგს წერდა:

...«მომავალი რევოლუცია... უფრო ნაკლებად დაემსგავსება მთავრობის საწინააღმდეგო უეცარ აჯანყებას და უფრო მეტად — გაჭიანურებულ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ს».

ასეც მოხდა! უეჭველია, ეს ასეც იქნება ევროპის მომავალ რევოლუციაში!

ცარიზმის სიძულვილი წარიმართა განსაკუთრებით ებრაელების წინააღმდეგ. ერთი მხრივ, ებრაელები იძლეოდნენ რევოლუციური მოძრაობის ბელადების განსაკუთრებით მაღალ პროცენტს (ებრაელი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით). და ახლაც ებრაელებს აქვთ, შევნიშნავთ აქვე, ის დამსახურება, რომ ისინი იძლევიან ინტერნაციონალისტური მიმდინარეობის წარმომადგენელთა შეფარდებით მაღალ პროცენტს სხვა ხალხებთან შედარებით. მეორე მხრივ, ცარიზმი შესანიშნავად იყენებდა მოსახლეობის ყვე-

ლაზე უფრო უმეცარი ფენების უსაძაგლეს ცრურწმენებს ებრაელების წინააღმდეგ, რათა მოეწყო დარბევები, თუ უშუალოდ არ გაუწევდა მათ ხელმძღვანელობას, — 100 ქალაქში ამ ხნის განმავლობაში ითვლიან 4 000-ზე მეტ მოკლულს, 10 000-ზე მეტ დასახიჩრებულს, — მოეწყო მშვიდობიანი ებრაელების, მათი ცოლებისა და ბავშვების ეს საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რამაც ასეთი ზიზღი გამოიწვია მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში. მე მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, ზიზღი ცივილიზებული მსოფლიოს ნამდვილად დემოკრატიული ელემენტებისა, ასეთებს კი წარმოადგენენ მხოლოდ სოციალისტური მუშები, პროლეტარები.

ბურჟუაზია, დასავლეთ ევროპის თვით ყველაზე თავისუფალი, თვით რესპუბლიკური ქვეყნებისაც კი, ახერხებს «რუსულ მხეცობათა» შესახებ თავისი პირმოთნე ფრაზების შესანიშნავად შეთავსებას მეტად უსირცხვილო ფულად გარიგებებთან, განსაკუთრებით ცარიზმისადმი ფინანსურ დახმარებასთან და რუსეთის იმპერიალისტურ ექსპლოატაციასთან კაპიტალის ექსპორტის მეოხებით და სხვ.

თავის მწვერვალს 1905 წლის რევოლუციამ მიაღწია დეკემბრის აჯანყებით მოსკოვში. აჯანყებულთა, სახელდობრ შეკავშირებულ და შეიარაღებულ მუშათა, მცირე რაოდენობა — ისინი იყვნენ არა უმეტეს რვა ათასისა — 9 დღის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა მეფის მთავრობას, რომელიც მოსკოვის გარნიზონს ვერ ენდობოდა, — პირიქით, იძულებული იყო ის ჩაკეტილში ყოლოდა, — და რომელმაც მხოლოდ პეტერბურგიდან სემიონოვის პოლკის მოსვლის მეოხებით შეძლო აჯანყების ჩახშობა.

ბურჟუაზიას უყვარს მოსკოვის აჯანყებას რაღაც ხელოვნური უწოდოს და დასცინოს მას. მაგალითად, გერმანულ ეგრეთწოდებულ «მეცნიერულ» ლიტერატურაში ბატონმა პროფესორმა მაქს ვებერმა თავის დიდ შრომაში რუსეთის პოლიტიკური განვითარების შესახებ მოსკოვის აჯანყებას უწოდა «პუტჩი». «ლენინის ჯგუფი — წერს ეს «დიდად განსწავლული» ბატონი პროფესორი — და ესერების ნაწილი უკვე დიდი ხანია ამზადებდნენ ამ უაზრო აჯანყებასო».

სათანადოდ რომ შეეფასოთ მშიშარა ბურჟუაზიის ეს პროფესორული სიბრძნე, საკმაოა მხოლოდ აღვადგინოთ მეხსიერებაში გაფიცვების სტატისტიკის მშრალი ციფრები. 1905 წლის იანვარში რუსეთში იყო მხოლოდ 123 ათასი წმინდა პოლიტიკური გაფიცული, ოქტომბერში — 330 ათასი, დეკემბერში მიღწეულ იქნა მაქსიმუმი, სახელდობრ 370 ათასი წმინდა პოლიტიკური გაფიცული ერთი თვის განმავლობაში! მოვიგონოთ რევოლუციის აზვირთებები, გლეხთა და ჯარისკაცთა აჯანყებები, და ჩვენ მაშინვე მივალთ რწმენამდე: ბურჟუაზიული «მეცნიერების» მსჯელობა დეკემბრის აჯანყების შესახებ არა მხოლოდ სისულელეა, ის წარმოადგენს სიტყვიერ თავდაძვრენას იმ მშიშარა ბურჟუაზიის წარმომადგენლების მხრივ, რომელიც პროლეტარიატში ხედავს თავის ყველაზე საშიშ კლასობრივ მტერს.

სინამდვილეში რუსეთის რევოლუციის მთელი განვითარება აუცილებლობით უბიძგებდა შეიარაღებული გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მეფის მთავრობასა და კლასობრივად შეგნებულ პროლეტარიატის ავანგარდს შორის.

ჩემს ზემოთ გადმოცემულ მოსაზრებებში მე უკვე აღვნიშნე, თუ რაში მდგომარეობდა რუსეთის რევოლუციის სისუსტე, რომელმაც მიიყვანა ის დროებით დამარცხებამდე.

დეკემბრის აჯანყების ჩახშობით იწყება რევოლუციის დაღმავალი ხაზი. და ამ პერიოდშიც არის მეტისმეტად საინტერესო მომენტები; საკმარისია მხოლოდ მოვიგონოთ მუშათა კლასის ყველაზე უფრო მებრძოლი ელემენტების ორგზისი ცდა შეეჩერებინათ რევოლუციის უკანდახევა და მოემზადებინათ ახალი შეტევა.

მაგრამ ჩემი დრო თითქმის უკვე გავიდა, და მე არ მსურს ბოროტად გამოვიყენო ჩემი მსმენელების მოთმინება. ხოლო ის, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია რუსეთის რევოლუციის გასაგებად: მისი კლასობრივი ხასიათი და მისი მამოძრავებელი ძალები, მისი ბრძოლის საშუალებები, მე მგონია, უკვე დავასურათე, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია ასეთი გიგანტური თემის ამოწურვა მოკლე მოხსენებაში.

კიდევ მხოლოდ რამდენიმე მოკლე შენიშვნა რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ.

რუსეთი გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ისტორიულად ეკუთვნის არა მხოლოდ ევროპას, არამედ აზიასაც. და ანიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის რევოლუციამ მიაღწია არა მარტო იმას, რომ მან სამუდამოდ გამოაღვიძა ძილისაგან ევროპის ყველაზე დიდი და ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა და შექმნა რევოლუციური ხალხი, რომელსაც რევოლუციური პროლეტარიატი ხელმძღვანელობს.

მან არა მარტო ამას მიაღწია. რუსეთის რევოლუციამ გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება მ რ ა ვ ა ლ ი ა ს ე უ ლ ი მილიონი ადამიანის წინმსწრაფ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას.

რუსეთის რევოლუციამ არაპირდაპირი გზით გავლენა მოახდინა იმ ქვეყნებზედაც, რომელნიც დასავლეთით მდებარეობენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც კი 1905 წლის 30 ოქტომბერს ვენაში მივიდა დეპეშა მეფის კონსტიტუციური მანიფესტის შესახებ, ამ ცნობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების საბოლოო გამარჯვების საქმეში.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობის სხდომის დროს, როცა ამხანაგი ელენბოგენი — მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო სოციალ-პატრიოტი, მაშინ ის კიდევ ამხანაგი იყო — აკეთებდა თავის მოხსენებას პოლიტიკური გაფიცვის შესახებ, მის წინ მაგიდაზე დადვეს ეს დეპეშა. კამათი მაშინვე შეწყდა. ჩვენი ადგილი ქუჩაშია! — აი რა ხმა გაისმა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის დელეგატთა სხდომების დარბაზში. და უახლოესმა დღეებმა იხილეს უდიდესი დემონსტრაციები ვენის ქუჩებში და ბარიკადები პრაღაში. ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების გამარჯვება გადაწყდა.

ძალიან ხშირად გვხვდებიან დასავლეთ-ევროპელნი, რომელნიც რუსეთის რევოლუციაზე მსჯელობენ იმგვარად,

თითქოს მოვლენებს, დამოკიდებულებებსა და ბრძოლის საშუალებებს ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში ძალიან მცირე მსგავსება აქვთ დასავლეთ-ევროპულ დამოკიდებულებებთან და ამიტომ საეჭვოა, რომ შეეძლოთ ჰქონდეთ რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობაო.

არა არის რა უფრო მცდარი, ვიდრე ამგვარი აზრი.

უეჭველია, მომავალი ბრძოლების ფორმები და საბაბნი ევროპის მომავალ რევოლუციაში მრავალ მხრით იქნებიან განსხვავებულნი რუსეთის რევოლუციის ფორმებისაგან.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის რევოლუცია — სწორედ თავისი პროლეტარული ხასიათის გამო ამ სიტყვის იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომლის შესახებაც მე უკვე ვილაპარაკე, — რჩება ევროპის მომავალი რევოლუციის პ რ ო ლ ო გ ა დ. უეჭველია, ეს მომავალი რევოლუცია შეიძლება იქნეს მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია და ისიც ამ სიტყვის კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობით: პროლეტარული, სოციალისტური თავისი შინაარსითაც. ეს მომავალი რევოლუცია გვიჩვენებს კიდევ უფრო მეტად, ერთი მხრივ, რომ მხოლოდ მძაფრ ბრძოლებს, სახელდობრ სამოქალაქო ომებს, შეუძლიათ კაცობრიობის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, ხოლო მეორე მხრივ, რომ მხოლოდ კლასობრივად შეგნებულ პროლეტარებს შეუძლიათ გამოვიდნენ და გამოვლენ ექსპლოატირებულთა უდიდესი უმრავლესობის ბელადებად.

ჩვენ არ უნდა გვატყუებდეს ახლანდელი სამარისებური სიჩუმე ევროპაში. ევროპა ფეხმძიმედაა რევოლუციით. იმპერიალისტური ომის გასაოცარი საშინელებანი, სიძვირის წამებანი ყველგან ბადებენ რევოლუციურ განწყობილებას, და გაბატონებული კლასები — ბურჟუაზია, და მათი ნოქრები — მთავრობები, სულ უფრო მეტად და მეტად ეჭცევიან ჩიხში, საიდანაც უდიდეს შერყევათა გარეშე მათ საერთოდ გამოსავლის მონახვა არ ძალუძთ.

მსგავსად იმისა, როგორც 1905 წელს რუსეთში პროლეტარიატის ხელმძღვანელობით დაიწყო სახალხო აჯანყება მეფის მთავრობის წინააღმდეგ, დემოკრატიული რესპუბლი-

კის მოპოვების მიზნით, ასევე უახლოესი წლები სწორედ ამ მტაცებლურ ომთან დაკავშირებით მიგვიყვანს ევროპაში სახალხო აჯანყებებამდე პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ფინანსური კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ, მსხვილი ბანკების წინააღმდეგ, კაპიტალისტების წინააღმდეგ; და ეს შერყევანი არ შეიძლება დამთავრდნენ სხვაგვარად, თუ არ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით, სოციალიზმის გამარჯვებით.

ჩვენ, მოხუცებმა, შეიძლება, ვერ მივაღწიოთ ამ მომავალი რევოლუციის გადამწყვეტ ბრძოლებამდე. მაგრამ, მე მგონია, შემიძლია დიდი რწმენით გამოვთქვა იმედი, რომ ახალგაზრდობას, რომელიც ასე მშვენივრად მუშაობს შვეიცარიისა და მთელი მსოფლიოს სოციალისტურ მოძრაობაში, ბედნიერება ექნება არა მხოლოდ იბრძოლოს, არამედ კიდევაც გაიმარჯვოს მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში.

დაწერილია გერმანულ ენაზე 1917 წ. 9 (22) იანვრამდე
პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 22 იანვარს გაზეთ «პრავდაში», № 18
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 310 — 333.

წერილები შორიდან[47]

წერილი 3

პროლეტარული მილიციის შესახებ

ის დასკვნა, რომელიც მე გუშინ გამოვიტანე ჩხეიძის 'მერყევი ტაქტიკის შესახებ, სავსებით დადასტურდა დღეს, 10 (23) მარტს, ორი დოკუმენტით. პირველი დოკუმენტია — «ფრანკფურტის გაზეთისათვის»[48] სტოკჰოლმიდან ტელეგრაფით გადმოცემული ერთი ადგილი ჩვენი პარტიის — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის — ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისა, რომელიც პიტერში გამოუციათ. ამ დოკუმენტში არ მოიპოვება არც ერთი სიტყვა არც გუჩკოვის მთავრობისათვის მხარის დაჭერის, არც მისი დამხობის შესახებ; მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდებენ მუშათა დეპუტატების საბჭოს გარშემო დარაზმვისაკენ, საბჭოში წარმომადგენლების არჩევისაკენ, რათა იბრძოლონ ცარიზმის წინააღმდეგ რესპუბლიკისათვის, 8 საათიანი სამუშაო დღისათვის, 'ბემამულეთა მიწების და პურის მარაგის კონფისკაციისა და, რაც მთავარია, მძარცველური ომის შეწყვეტისათვის. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით სადღეისოა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ის სავსებით მართებული აზრი, რომ ზავისათვის აუცილებლად საჭიროა ურთიერთობის დამყარება ყველა მეომარი ქვეყნისპროლეტარებთან.

ბურჟუაზიულ მთავრობათა მოლაპარაკებიდან და ურთიერთობიდან ზავის მოლოდინი — თავის მოტყუება და ხალხის მოტყუება იქნებოდა.

, მეორე დოკუმენტი — ესაა სტოკჰოლმიდან აგრეთვე ტელეგრაფით მეორე გერმანული გაზეთისათვის («ფოსის გაზე-

თი»[49]) მოწოდებული ცნობა იმაზე, რომ სათათბიროს ჩხეიძის ფრაქციას 2 (15) მარტს თათბირი გაუმართავს შრომის ჯგუფთან (? **Ardeiterfraction**) და მუშათა 15 კავშირის წარმომადგენლებთან და მეორე დღეს გამოუქვეყნებიათ მოწოდება. ამ მოწოდების 11 მუხლიდან ტელეგრაფი მხოლოდ სამს გადმოსცემს: პირველი— რესპუბლიკის მოთხოვნა, მეშვიდე — ზავისა და საზავო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების მოთხოვნა და მესამე, რომელიც მოითხოვს «მთავრობაში რუსეთის მუშათა კლასის წარმომადგენელთა საკმაო მონაწილეობას».

თუ ეს მუხლი სწორადაა გადმოცემული, მაშინ მე კარგად მესმის, თუ რატომ აქებს ბურჟუაზია ჩხეიძეს. მესმის, თუ რატომ მიემატა «**Times**»-ში («ტაიმზში»)* მოთავსებულ ინგლისელ გუჩკოველთა ჩემ მიერ ზემომოყვანილ ქებას ფრანგი გუჩკოველების მხრივ ქება «**Le Temps**»-ში**. საფრანგეთის მილიონერთა და იმპერიალისტთა ეს გაზეთი 22 მარტს წერს: «მუშათა პარტიების ბელადები, განსაკუთრებით ბ-ნი ჩხეიძე, მთელ თავიანთ გავლენას ხმარობენ, რათა მუშათა კლასების სურვილები შეანელონ».

მართლაცდა, გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობაში მუშათა «მონაწილეობის» მოთხოვნა თეორიულად და პოლიტიკურად უაზრობაა: თუ მონაწილეობას მიიღებ, როგორც უმცირესობა, სხვისი მაჩანჩალა იქნები; «თანაბარი» მონაწილეობაც შეუძლებელია, რადგან არ შეიძლება ომის განგრძობის მოთხოვნა შეარიგო დროებითი ზავის დადებისა და საზავო მოლაპარაკების დაწყების მოთხოვნასთან; ხოლო თუ გინდა, რომ «მონაწილეობდე» როგორც უმრავლესობა, ძალა უნდა შეგწევდეს გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობის დ ა ს ა მ ხ ო ბ ა დ. «მონაწილეობის» მოთხოვნა — პრაქტიკაში უცუდესი სახის ლუიბლანელობაა; ე. ი. კლასობრივი ბრძოლისა და მისი რეალური ვითარების დავიწყება, ცარიელი მყვირალა ფრაზით გატაცება, მუშებში ილუზიების გავრცელებაა; ეს არის მილიუკოვთან ან კერენსკისთან მოლაპარაკებაში ძ ვ ი რ ფ ა სი

---

* — «დროება». რ ე დ.

** — «დრო». რ ე დ.

დროის დაკარგვა, იმ დროისა, რომელიც უნდა მოვახმაროთ ნ ა მ დ ვ ი ლ ი კლასობრივი და რევოლუციური ძალის, პროლეტარული მილიციის შექმნას. მხოლოდ ასეთი მილიცია მ ო ი პ ო ვ ე ბ ს ნ დ ო ბ ა ს მოსახლეობის **ყველა** უღარიბეს ფენაში, რომლებიც ამ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ; იგი დ ა ე ხ მ ა რ ე ბ ა მ ა თ დ ა რ ა ზ მ ვ ა შ ი, დაეხმარება **მათ** პურისა, ზავისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ჩხეიძისა და მისი ჯგუფის მოწოდების ეს შეცდომა (მე არას ვამბობ ო. კ-ის, ორგანიზაციული კომიტეტის პ ა რ ტ ი ა ზ ე, ვინაიდან ჩემთვის ხელმისაწვდომ წყაროებში ორგანიზაციული კომიტეტის შესახებ კრინტიც არ არის დაძრული)— ეს შეცდომა მით უფრო უცნაურია, რომ 2 (15) მარტის თათბირზე ჩხეიძის უახლოეს თანამოაზრეს, სკობელევს, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შემდეგი უთქვამს: «რუსეთი მეორე, ნამდვილი (**wirklich**, სიტყვასიტყვით: ნამდვილი) რევოლუციის წინაშე დგასო».

აი, ეს კი მართალია. მაგრამ ამ სიმართლიდან პრაქტიკული დასკვნების გამოტანა სკობელევსა და ჩხეიძეს დავიწყებიათ. მე არ შემიძლია განვსაჯო აქ, ამ წყეული სიშორიდან, თუ რამდენად ახლოა ეს მეორე რევოლუცია. სკობელევი იქ, ადგილობრივ, ამას უფრო კარგად ხედავს. ამიტომ მე არ ვაყენებ ისეთ საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს კონკრეტული მასალები. მე მხოლოდ ხაზს ვუსვამ იმას, რომ «გარეშე მოწმემ», ე. ი. სკობელევმა, რომელიც ჩვენს პარტიას არ ეკუთვნის, დაადასტურა ის ფ ა ქ ტ ი უ რ ი დასკვნა, რაც მე გამოვიტანე პირველ წერილში, სახელდობრ: თებერვალ-მარტის რევოლუცია მხოლოდ პ ი რ ვ ე ლ ი ე ტ ა პ ი იყო რევოლუციისა. რუსეთი განიცდის რევოლუციის შემდგომ ეტაპზე ან, სკობელევის სიტყვით რომ ვთქვათ, «მეორე რევოლუციაზე» გ ა დ ა ს ვ ლ ი ს თავისებურ ისტორიულ მომენტს.

თუ გვსურს მარქსისტები ვიყვნეთ და მთელი მსოფლიოს რევოლუციათა გამოცდილებით ვისწავლოთ, ჩვენ უნდა შევეცადოთ გავიგოთ, სახელდობრ რაშია ამ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი

მომენტის თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა და რანაირი ტაქტიკა გამომდინარეობს მის ობიექტურ თავისებურებათაგან.

ვითარების თავისებურება ისაა, რომ გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობამ პირველი გამარჯვება არაჩვეულებრივად ადვილად მოიპოვა შემდეგი სამი უმთავრესი გარემოების გამო: 1) ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კაპიტალისა და მისი აგენტების დახმარება; 2) არმიის ზედაფენების ნაწილის დახმარება; 3) მთელი რუსეთის ბურჟუაზიის მზამზარეული ორგანიზაცია საერობო და საქალაქო დაწესებულებებში, სახელმწიფო სათათბიროში, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში და სხვ.

გუჩკოვის მთავრობა მუხრუჭებშია ჩაჭედილი: კაპიტალის ინტერესებით შებორკილი, იგი იძულებულია ცდილობდეს განაგრძოს მძარცველური, უაჩაღური ომი, დაიცვას კაპიტალისა და მემამულეთა უზარმაზარი მოგებანი, ეცადოს მონარქიის აღდგენას. იგი შებორკილია თავისი რევოლუციური წარმოშობით და ცარიზმიდან დემოკრატიაზე მკვეთრი გადასვლის აუცილებლობით; მასზე ზეგავლენას ახდენენ დამშეული მასები, რომელნიც ზავს მოითხოვენ; ამიტომ მთავრობა იძულებულია იცრუოს, იტრიალოს, დრო მოიგოს, რაც შეიძლება მეტი «გამოაცხადოს» და დაპირდეს (დაპირება — ერთადერთი რამაა, რაც გაშმაგებული სიძვირის ხანაშიც კი ძალიან იაფია), რაც შეიძლება ნაკლებად შეასრულოს დანაპირები, ერთი ხელით გასცეს დათმობანი, მეორეთი კი — წაართვას ისინი.

განსაზღვრულ გარემოებაში, მისთვის საუკეთესო შემთხვევაში, ახალ მთავრობას შეუძლია რამდენიმე ხნით დააყოვნოს კრახი, თუკი იგი დაეყრდნობა მთელი რუსეთის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მთელ ორგანიზატორულ უნარს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი მას ა რ ძ ა ლ უ ძ ს კრახის თავიდან აცილება, რადგან **შეუძლებელია** თავი დააღწიოთ მსოფლიო კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი იმპერიალისტური ომისა და შიმშილის საშინელი მაჯლაჯუნას ბრჭყალებს, თუ ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგი არ დასტოვეთ, თუ რევოლუციური ღონისძიებანი არ გამოიყენეთ,

თუ რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდეს ისტორიულ გმირობას არ მიმართეთ.

აქედან დასკვნა: ჩვენ ვერ შევძლებთ ერთი დარტყმით ჩამოვაგდოთ ახალი მთავრობა, ანდა, თუ ამას შევძლებთ (რევოლუციურ ხანებში შესაძლებელის ფარგლები ერთიათასად ფართოვდება), ჩვენ ვერ მოვახერხებთ ხელისუფლების შენარჩუნებას ისე, თუ მთელი რუსეთის ბურჟუაზიისა და მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მშვენიერ ორგანიზაციას არ დავუპირისპირეთ ასევე მშვენიერი ორგანიზაცია პროლეტარიატისა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქისა და სოფლის ღარიბთა, ნახევრადპროლეტარიატისა და წვრილ მეპატრონეთა მთელ უზარმაზარ მასას.

სულერთია, უკვე იფეთქა პიტერში «მეორე რევოლუციამ» (მე ვთქვი, რომ სრული უაზრობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, თითქოს შეიძლებოდეს საზღვარგარეთიდან გავითვალისწინოთ, თუ როგორია მისი მომწიფების კონკრეტული ტემპი), თუ იგი რამდენიმე ხნით გადადებულია, ან კიდევ უკვე დაწყებულია რუსეთის ზოგიერთ ცალკე ნაწილში (ამის ერთგვარი ნიშნები, როგორც ჩანს, არსებობს), — ყოველ შემთხვევაში ახალი რევოლუციის წინა დღესაც, მის დროსაც და მის მეორე დღესაც მომენტის ლოზუნგი უნდა იყოს პროლეტარული ორგანიზაცია.

ამხანაგო მუშებო! თქვენ გამოიჩინეთ სასწაულებრივი პროლეტარული გმირობა გუშინ, როდესაც მეფის მონარქიას ამხობდით. თქვენ ასე თუ ისე ახლო მომავალში აუცილებლად მოგიხდებათ (შეიძლება გიხდებათ უკვე ახლა, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ) კვლავ გამოიჩინოთ ასეთივე სასწაულებრივი გმირობა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დასამხობად, რომელნიც იმპერიალისტურ ომს აწარმოებენ. თქვენ ვერ შეძლებთ მტკიცე გამარჯვების მოპოვებას ამ შემდგომს, «ნამდვილ» რევოლუციაში, თუ არ გამოიჩინეთ სასწაულებრივი პროლეტარული დარაზმულობა!

მომენტის ლოზუნგია — ორგანიზაცია. მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილება თავისთავად სრულიად არაფერს ნიშნავს, რადგან, ერთი მხრივ, ორგანიზაცია ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს საჭიროა, მაშასადამე, მარტო იმის აუცილებლობაზე მითითება, რომ საჭიროა «მასების ორგანიზაცია», ჯერ კიდევ სრულიად ვერაფერს განმარტავს; მეორე მხრივ კი, ვინც მარტო ამით დაკმაყოფილდება, ის ლიბერალების უბრალო მაჩანჩალა იქნება, რადგან ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ს, თავისი ბატონობის განსამტკიცებლად, **სწორედ** სურთ, რომ მუშები ა რ გ ა ს ც ი ლ დ ნ ე ნ («ნორმალური» ბურჟუაზიული საზოგადოების თვალსაზრისით) **ჩვეულებრივ,** «ლეგალურ» ორგანიზაციებს, ე. ი. სურთ, რომ მუშები მ ხ ო ლ ო დ ჩაეწერონ თავის პარტიაში, თავის პროფესიულ კავშირში, თავის კოოპერატივში და სხვ. და სხვ.

მუშები თავისი კლასობრივი ინსტინქტით მიხვდნენ, რომ რევოლუციურ ხანაში მათ სჭირდებათ სულ სხვანაირი ორგანიზაცია, ა რ ა მ ა რ ტ ო ჩვეულებრივი ორგანიზაცია. ისინი მართებულად დაადგნენ ჩვენი 1905 წლის რევოლუციისა და 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილებით ნაჩვენებ გზას; მათ შექმნეს მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს საბჭო, ისინი შეუდგნენ მის განვითარებას, გაფართოებას, განმტკიცებას ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დეპუტატების და, უეჭველია, აგრეთვე სოფლის დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მუშათა დეპუტატების, შემდეგ კი (ამა თუ იმ ფორმით) მთელი ღარიბი გლეხობის დეპუტატების მიზიდვით.

ამგვარი ორგანიზაციების შექმნა რუსეთის გამოუკლებლივ ყველა კუთხეში, პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მოსახლეობის უკლებლივ ყველა პროფესიისა და ფენისათვის, ე. ი. ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთათვის, თუ ვიხმართ ეკონომიურად უფრო ნაკლებად ზუსტს, მაგრამ უფრო პოპულარულ გამოთქმას, — აი, ასეთია უპირველესი მნიშვნელობის გადაუდებელი ამოცანა. ცოტა წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ მთელ გლეხთა მასას ჩვენმა პარტიამ (ახალი ტიპის პროლეტარულ ორგანიზაციებში მისი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი როლის შესახებ იმედი მაქვს გესა-

უბროთ ერთ-ერთ შემდგომ წერილში) განსაკუთრებით უნდა ურჩიოს შექმნას დაქირავებულ მუშათა ცალკე საბჭოები და შემდეგ — შეძლებულ გლეხთა წრიდან გამოსულ იმ წვრილ მიწათმოქმედთა ცალკე საბჭოები, რომელნიც პურს არ ყიდიან: თუ ეს პირობა არა, ისე არ შეიძლება არც ჭეშმარიტად პროლეტარული პოლიტიკის წარმოება, საზოგადოდ რომ იფქვას*, არც მართებულად მიდგომა მილიონობით ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული საკითხისადმი: პურის მართებულად განაწილებისადმი, მისი წარმოების გადიდებისადმი და სხვ.

მაგრამ კითხვა ისმება, რა უნდა აკეთონ მუშათა დეპუტატების საბჭოებმა? ისინი «განხილულ უნდა იქნან, როგორც აჯანყების ორგანოები, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები», ვწერდით ჩვენ ენენევის «სოციალ-დემოკრატის» 47-ე ნომერში 1915 წლის 13 ოქტომბერს**.

ეს თეორიული დებულება, რომელიც გამოყვანილია 1871 წ. კომუნისა და 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გამოცდილებიდან, განმარტებულ და უფრო კონკრეტულად განვითარებულ უნდა იქნეს რუსეთის სწორედ მიმდინარე რევოლუციის სწორედ ახლანდელი ეტაპის პრაქტიკულ მითითებათა საფუძველზე.

ჩვენ გვესაჭიროება რევოლუციური ძალაუფლება, ჩვენ გვესაჭიროება (განსაზღვრული გარდამავალი პერიოდისათვის) სახელმწიფო. ამით განვსხვავდებით ჩვენ ანარქისტებისაგან. რევოლუციურ მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის განსხვავება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ პირველნი მომხრენი არიან ცენტრალიზებული, მსხვილი, კომუნისტური წარმოებისა, ხოლო მეორენი — დაქუცმაცებული, წვრილი წარმოებისა. არა, განსხვავება სწორედ ძა-

---

* სოფლად ახლა გაჩაღდება ბრძოლა წვრილი და ნაწილობრივ საშუალო გლეხობისათვის. მემამულენი, შეძლებულ გლეხებზე დაყრდნობით, შეეცდებიან ის ბურჟუაზიას დაუმორჩილონ. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ სოფლის დაქირავებულ მუშებსა და ღარიბ გლეხებს და უაღრესად მტკიცედ დავუკავშიროთ ის ქალაქის პროლეტარიატს.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 491. რედ.

ლაუფლების, სახელმწიფოს საკითხში ის არის, რომ ჩვენ მ ო-
მ ხ რ ე ნ ი ვ ა რ თ სოციალიზმისათვის ბრძოლაში სახელმწი-
ფოს რევოლუციური ფორმების რევოლუციური გამოყენები-
სა, ანარქისტები კი ამის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ნ ი ა რ ი ა ნ.

ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ გვესაჭირო-
ება ა რ ა ი ს ე თ ი სახელმწიფო, რანაირიც ის ბურჟუაზიას
შეუქმნია ყველგან, დაწყებული კონსტიტუციური მონარქი-
ებით და დამთავრებული ფრიად დემოკრატიული რესპუბლი-
კებით. და ამით განვსხვავდებით ჩვენ ძველი, გახრწნის გზა-
ზე დამდგარი სოციალისტური პარტიების ოპორტუნისტებისა
და კაუცკელებისაგან, რომლებმაც დაამახინჯეს ან დაივიწყეს
პარიზის კომუნის გაკვეთილები და ამ გაკვეთილების ანალიზი
მარქსისა და ენგელსის მიერ*.

ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო, მაგრამ **არა** ისეთი, რო-
გორიც ესაჭიროება ბურჟუაზიას, არა ისეთი, სადაც ხელის-
უფლების ორგანოები პოლიციის, არმიის, ბიუროკრატიის (მო-
ხელეთა) სახით ხალხისაგან ჩამოცილებულნი და ხალხისად-
მი დაპირისპირებულნი არიან. ყველა ბურჟუაზიული რევო-
ლუცია მხოლოდ აუმჯობესებდა **ამ** სახელმწიფო მანქანას,
მხოლოდ გადასცემდა **მას** ერთი პარტიის ხელიდან მეორე
პარტიის ხელში.

პროლეტარიატმა კი, თუ მას სურს დაიცვას ახლანდელი
რევოლუციის მონაპოვარი და გასწიოს წინ, თუ მას სურს
მოიპოვოს ზავი, პური და თავისუფლება, უნდა **«დაამსხვ-
რიოს»**, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს «მზამზარეული»
სახელმწიფო მანქანა და შეცვალოს იგი ახალით, შ ე ა დ უ-

---

* ერთ-ერთ შემდგომ წერილში ან ცალკე სტატიაში მე დაწვრილებით შევჩერდები ამ ანალიზზე, რომელიც მოცემულია, კერძოდ, მარქსის წიგნში — «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», ენგელსის წინასიტყვაობაში ამ ნაშრომის მე-3 გამოცემისათვის და მარქსის 1871 წლის 12 აპრილისა და ენგელსის 1875 წლის 18—28 მარტის წერილებში. მე შევეხები აგრეთვე მარქსიზმის სრულ დამახინჯებას კაუცკის მიერ იმ პოლემიკის დროს, რომელიც ამ უკანასკნელს ჰქონდა 1912 წელს პანეკუკთან ეგრეთწოდებულ «სახელმწიფოს დამსხვრევის» საკითხზე.[50]

ღ ო ს პოლიცია, არმია და ბიუროკრატია ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა-ო დ შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ხ ა ლ ხ თ ა ნ. 1871 წლის პარიზის კომუნისა და 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გამოცდილებით ნაჩვენები გზით მიმავალმა პროლეტარიატმა უნდა დარაზმოს და შეაიარაღოს მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა უღარიბესი, ექსპლოატირებული ნაწილი იმისათვის, რომ მათ უშუალოდ თ ვ ი თ ო ნ აიღონ ხელში სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოები, თ ვ ი თ ო ნ ვ ე შ ე ა დ გ ი ნ ო ნ ამ ძალაუფლების დაწესებულებანი.

და რუსეთის მუშები უკვე პირველი რევოლუციის პირველი ეტაპის დროსვე, 1917 წლის თებერვალ-მარტში, დ ა ა დ გ ნ ე ნ ამ გზას. მთელი ამოცანა ახლა ის არის, რომ ნათლად გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ახალი გზა, გაბედულად, მტკიცედ და მედგრად ვიაროთ წინ ამ გზით.

ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთის კაპიტალისტებს სურდათ «მხოლოდ» გადაეყენებინათ ან «ცოტა შეეშინებინათ» კიდეც ნიკოლოზ II და ხელუხლებლად დაეტოვებინათ ძველი სახელმწიფო მანქანა, პოლიცია, არმია, მოხელეობა.

მუშები უფრო შორს წავიდნენ და ეს მანქანა დაამსხვრიეს. და ახლა არა მარტო ინგლის-საფრანგეთის, არამედ გერმანიის კაპიტალისტებიც სიბრაზისა და შიშისაგან ღ მ უ ი ა ნ, როდესაც ხედავენ, მაგალითად, იმას, თუ როგორ დახვრიტეს რუსეთის ჯარისკაცებმა თავიანთი ოფიცრები, თუნდაც თვით გუჩკოვისა და მილიუკოვის მომხრე ადმირალი ნეპენინი.

მე ვთქვი, რომ მუშებმა დაამსხვრიეს ის, ძველი სახელმწიფო მანქანა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: მათ დ ა ი წ ყ ე ს მისი დამსხვრევა.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი.

პოლიციელები პიტერსა და ბევრ სხვა ადგილას ნაწილობრივ დახოცეს, ნაწილობრივ გადააყენეს. გუჩკოვ-მილიუკოვის მთავრობა ვ ე რ შ ე ძ ლ ე ბ ს ვერც მონარქიის აღდგენას, ვერც საერთოდ ხელისუფლების შენარჩუნებას, თ უ ა რ ა ღ ა დ გ ი ნ ა პოლიცია, როგორც ბურჟუაზიის მბრძანე-

ბლობაში მყოფ შეიარაღებულ პირთა განსაკუთრებული, ხალხისაგან ჩამოცილებული და ხალხისადმი დაპირისპირებული ორგანიზაცია. ეს ისე ნათელია, როგორც ნათელია ნათელი დღე.

მეორე მხრივ, ახალი მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს რევოლუციურ ხალხს, კვებოს იგი ნახევრული დათმობებითა და დაპირებებით, იძულებულია დრო გააჭიანუროს. ამიტომ იგი თანხმდება ნახევრულ ზომას: იგი აარსებს «სახალხო მილიციას», რომელსაც არჩეული უფროსები ეყოლება (ეს ჟღერს ფრიად ლაზათიანად! ფრიად დემოკრატიულად, რევოლუციურად და ლამაზად!) — **მაგრამ... მაგრამ,** ჯერ-ერთი, იგი მას საერობო და საქალაქო თვითმმართველობათა კონტროლქვეშ აყენებს, მათ უმორჩილებს, ე. ი. იმ მემამულეთა და კაპიტალისტთა განკარგულებაში გადასცემს, რომელნიც არჩეული არიან ნიკოლოზ სისხლიანისა და სტოლიპინ-ჩამომხრჩობის კანონთა მიხედვით!! მეორეც, უწოდებს რა მილიციას «სახალხოს», რათა «ხალხს» თვალი აუხვიოს, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ იგი არ მოუწოდებს ხალხს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ ჩაებას ამ მილიციაში და ა რ ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ს მეპატრონეებსა და კაპიტალისტებს გ ა დ ა უ ხ ა დ ო ნ მოსამსახურეებსა და მუშებს ჩვეულებრივი ხელფასი ი მ ს ა ა თ ე ბ ი ს ა და დ ღ ე ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რომელთაც ისინი ახმარენ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ს ა მ ს ა ხ უ რ ს, ე. ი. მილიციას.

აი, სად მარხია ძაღლის თავი. აი, რა გზით აღწევს გუჩკოვებისა და მილიუკოვების მემამულური და კაპიტალისტური მთავრობა იმას, რომ «სახალხო მილიცია» ქაღალდზე რჩება, ნამდვილად კი ნელ-ნელა და ჩუმ-ჩუმად აღადგენენ ხალხის საწინააღმდეგო, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ მილიციას, რომელიც ჯერჯერობით «8 000 სტუდენტისა და პროფესორისაგან» შედგება (ასე აგვიწერენ საზღვარგარეთული გაზეთები პიტერის ახლანდელ მილიციას) — ეს აშკარა სათამაშოა! — მაგრამ შემდეგ თანდათანობით ძველი და ახალი პ ო ლ ი ც ი ი თ შეივსება.

ნუ მისცემთ პოლიციის აღდგენის ნებას! ნუ გაუშვებთ ხელიდან ადგილობრივ ძალაუფლებას! შეადგინეთ ნამდვილად

საერთო სახალხო, საყოველთაო მილიცია, რომელსაც პროლეტარიატი უხელმძღვანელებს! — აი, რა არის სადღეისო ამოცანა, აი, რა არის მომენტის ლოზუნგი; იგი თანაბრად უპასუხებს შემდგომი კლასობრივი ბრძოლის, შემდგომი რევოლუციური მოძრაობის მართებულად გაგებულ ინტერესებსაც და ყოველი მუშის, ყოველი გლეხის, ყოველი მშრომელი და ექსპლოატირებული ადამიანის დემოკრატიულ ინსტინქტსაც, ადამიანისა, რომელსაც არ შეიძლება არ სძულდეს პოლიცია, ჩაფრები, ურიადნიკები, მემამულეთა და კაპიტალისტთა მბრძანებლობა იმ შეიარაღებული ადამიანების მიმართ, რომლებსაც ხალხზე ბატონობის უფლება ეძლევათ.

რანაირი პოლიცია ესაჭიროებათ მ ა თ, გუჩკოვებსა და მილიუკოვებს, მემამულეებსა და კაპიტალისტებს? ისეთივე, როგორიც მეფის მონარქიის დროს არსებობდა. მსოფლიოს ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ფრიად ხანმოკლე რევოლუციური პერიოდების შემდეგ, შექმნა ან აღადგინა ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი პოლიცია, განსაკუთრებული ორგანიზაცია ხალხისაგან ჩამოცილებული და ხალხისადმი დაპირისპირებული შეიარაღებული ადამიანებისა, რომელნიც, ასე თუ ისე, ბურჟუაზიას ემორჩილებიან.

რანაირი მილიცია გვესაჭიროება ჩვენ, პროლეტარიატს, ყველა მშრომელთ? ნამდვილად ს ა ხ ა ლ ხ ო, ე. ი., ჯერ-ერთი, იგი უნდა შედგებოდეს გ ა მ ო უ კ ლ ე ბ ლ ი ვ მთელი მოსახლეობისაგან, ო რ ი ვ ე სქესის ყველა მოზრდილ მოქალაქეთაგან; ხოლო, მეორეც, იგი სახალხო არმიის ფუნქციებს უნდა აერთებდეს პოლიციის ფუნქციებთან, სახელმწიფო წესრიგისა და სახელმწიფო მმართველობის მთავარი და ძირითადი ორგანოს ფუნქციებთან.

იმისათვის, რომ უფრო ნათელვყო ეს დებულებანი, ავიღებ წმინდა სქემატურ მაგალითს. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პროლეტარული მილიციის რაიმე «გეგმის» შედგენაზე ფიქრი უაზრობა იქნებოდა: როდესაც მუშები და მთელი ხალხი, როგორც ნამდვილი მასა, პრაქტიკულად ხელს მოჰკიდებენ საქმეს, ისინი ასკეც უკეთესად დაამუშავებენ და მოაწყობენ

მას, ვიდრე რომელიც გნებავთ თეორეტიკოსები. მე «გეგმას» როდი გაწვდით, მე მინდა მხოლოდ დავასურათო ჩემი აზრი.

პიტერში დაახლოებით 2 მილიონი მოსახლეა. მათგან ნახევარზე მეტი 15—65 წლისანი არიან. ავიღოთ ნახევარი — 1 მილიონი. გამოვაკლოთ თუნდაც ერთი მეოთხედი ავადმყოფნი და სხვანი, რომელნიც საპატიო მიზეზების გამო ამჟამად საზოგადოებრივ სამსახურს არ ეწევიან; რჩება 750 000 კაცი, რომელნიც იმუშავებდნენ მილიციაში, ვთქვათ, 15 დღეში 1 დღეს (და მეპატრონეთაგან კვლავ მიიღებდნენ ამ დღის ხელფასს) და შეადგენდნენ 50 000-კაციან არმიას.

აი, რ ა ნ ა ი რ ი ტ ი პ ი ს «სახელმწიფო» გვესაჭიროება ჩვენ!

აი, რანაირი მილიცია იქნებოდა ნამდვილად, და არა მარტო სიტყვით, — «სახალხო მილიცია».

აი, რა გზით უნდა ვიაროთ ჩვენ იქითკენ, რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ყ ო ს განსაკუთრებული მილიციის და ხალხისაგან გამოთიშული განსაკუთრებული არმიის აღდგენა.

ასეთ მილიციაში 100-დან 95 იქნებოდა მუშა და გლეხი და იგი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გამოხატავდა ხალხის უდიდესი უმრავლესობის აზრსა და ნებისყოფას, ძალასა და ძალაუფლებას. ასეთი მილიცია მართლაც უკლებლივ მთელ ხალხს შეაიარაღებდა და შეასწავლიდა სამხედრო საქმეს; იგი ბუჩკოვისებურად და მილიუკოვისებურად კ ი ა რ უზრუნველგვყოფს რეაქციის აღდგენის ყოველგვარი ცდებისაგან, მეფის აგენტების ათასგვარი ხრიკებისაგან. ასეთი მილიცია იქნება «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების» აღმასრულებელი ორგანო, მას ექნება მოსახლეობის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი პატივისცემა და ნდობა, ვინაიდან თვითონ იგი იქნება გამოუკლებლივ მთელი მოსახლეობის ორგანიზაცია. ასეთი მილიცია გადააქცევდა დემოკრატიას, — რომელიც ახლა მხოლოდ ლამაზ აბრას წარმოადგენს, მალავს რა ხალხის დამონებას კაპიტალისტების მიერ და მათ მიერ ხალხის აბუჩად აგდებას, — გადააქცევდა დემოკრატიას მ ა ს ე ბ ი ს ნამდვილ ა ღ ზ რ დ ა დ, რათა ამ მასებმა მონაწილეობა მიიღონ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

ასეთი მილიცია პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაითრევდა მოზარდებს, გაწვრთნიდა მათ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, მ უ შ ა ო ბ ი თ. ასეთი მილიცია განავითარებდა იმ ფუნქციებს, რომელნიც, მეცნიერული ენით რომ ვილაპარაკოთ, მიეკუთვნებიან «კეთილდღეობის პოლიციის» გამგებლობას, განავითარებდა სანიტარულ ზედამხედველობას და სხვა, ჩააბამდა რა ამგვარ საქმეებში უკლებლივ ყველა მოზრდილ ქალს. ხოლო თუ ქალები არ ჩავაბით საზოგადოებრივ მუშაობაში, მილიციაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ ქალები არ გამოვგლიჯეთ ოჯახისა და სამზარეულოს გარემოს, რომელიც მათ გონებას უხშობს, ისე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ნამდვილი თავისუფლების უზრუნველყოფა, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა თვით დემოკრატიის შენება, სოციალიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ასეთი მილიცია პროლეტარული მილიცია იქნებოდა, რადგან სამრეწველო და ქალაქის მუშები მასში ისევე ბუნებრივად და აუცილებლად მოიპოვებდნენ ხელმძღვანელ გავლენას ღარიბთა მასაზე, როგორადაც ბუნებრივად და აუცილებლად მოიპოვეს მათ ხელმძღვანელი ადგილი ხალხის მთელ რევოლუციურ ბრძოლაში 1905—1907 წლებშიც და 1917 წელსაც.

ასეთი მილიცია უზრუნველყოფს აბსოლუტურ წესრიგს და ამხანაგურ დისციპლინას, რომელსაც თავდადებით დაიცავენ. ამავე დროს კი იგი მძიმე კრიზისის ხანაში, რომელსაც ამჟამად ყველა მეომარი ქვეყანა განიცდის, საშუალებას მოგვცემს მართლაც დემოკრატიულად ვებრძოლოთ ამ კრიზისს, მართებულად და სწრაფად განვახორციელოთ პურისა და სხვა სურსათის განაწილება, ცხოვრებაში გავატაროთ «საყოველთაო შრომითი ბეგარა», რომელსაც ფრანგები ახლა «სამოქალაქო მობილიზაციას», ხოლო გერმანელები «სამოქალაქო სამსახურის ვალდებულებას» უწოდებენ და ურომლისოდაც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა — დიახ, ა ღ მ ო ჩ ნ დ ა რ ო მ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, — იმ ჭრილობების მოშუშება, ყაჩაღურმა და საზარელმა ომმა რომ მოგვაყენა და ახლაც გვაყენებს.

ნუთუ რუსეთის პროლეტარიატი მხოლოდ იმისთვის ღვრიდა სისხლს, რომ მარტოოდენ პოლიტიკურ დემოკრატიულ რეფორმათა საზეიმო დაპირებანი მიეღო? ნუთუ იგი არ მოითხოვს და არ მიაღწევს იმას, რომ ყ ო ვ ე ლ მ ა მშრომელმა ა ხ ლ ა ვ ე დაინახოს და იგრძნოს თავისი ცხოვრების გარკვეული გაუმჯობესება? რომ ყოველ ოჯახს ჰქონდეს პური? რომ ყოველ ბავშვს ჰქონდეს ერთი ბოთლი კარგი რძე და რომ მდიდარი ოჯახის არც ერთმა მოზრდილმა წევრმა არ გაბედოს ზედმეტი რძის წაღება, ვიდრე ბავშვები უზრუნველყოფილი არ არიან? რომ სასახლეები და მდიდრული ბინები, რომელნიც მეფესა და არისტოკრატიას დარჩათ, ტყუილუბრალოდ არ ცდებოდეს და იქ უსახლკარონი და ღარიბ-ღატაკნი ჩავასახლოთ? ვის შეუძლია განახორციელოს ეს ღონისძიებანი, გარდა საყოველთაო სახალხო მილიციისა, რომელშიაც მამაკაცების თანაბრად აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალებმაც?

ასეთი ღონისძიებანი ჯ ე რ კ ი დ ე ვ სოციალიზმს რ ო დ ი ნიშნავს. ისინი ეხებიან მოხმარების განაწილებას და არა წარმოების გარდაქმნას. ეს ჯერ კიდევ არ იქნება «პროლეტარიატის დიქტატურა», არამედ იქნება მხოლოდ «პროლეტარიატისა და უღარიბესი **გლეხობის** რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა». ამჟამად **საქმე** ის კი არ არის, თუ თეორიულად ამის რანაირ კლასიფიკაციას მოვახდენთ. უდიდესი შეცდომა იქნება, ჩვენ რომ **რევოლუციის** რთული, არსებითი და სწრაფად განვითარებადი პრაქტიკული ამოცანები მოვათავსოთ ვიწროდ გაგებული «თეორიის» პროკრუსტეს სარეცელზე, იმის მაგივრად, რომ თეორია უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად მივიჩნიოთ **მოქმედების** ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო დ.

აღმოაჩნდება თუ არა რუსეთის მუშათა მასას იმდენი შეგნება, გამობრძმედილობა, გმირობა, რომ მათ გამოიჩინონ «სასწაულებრივი პროლეტარული დარაზმულობა» მას შემდეგ, რაც უკვე გამოიჩინეს სასწაულებრივი გამბედაობა, ინიციატივა, თავგანწირვა პირდაპირი რევოლუციური ბრძოლის დროს? ეს ჩვენ არ ვიცით და ამაზე მკითხაობა ფუჭი

საქმე იქნებოდა, ვინაიდან ამნაირ კითხვებზე პასუხს მ ხ ო ლ ო დ პრაქტიკა იძლევა.

რაც ჩვენ მტკიცედ ვიცით და რაც ჩვენ, როგორც პარტიამ, მასებს უნდა განვუმარტოთ, ეს, ერთი მხრივ, არის ის, რომ საქმე გვაქვს უდიდესი ძალის ისტორიულ მამოძრავებელთან, რომელიც წარმოშობს გაუგონარ კრიზისს, შიმშილობას, უამრავ უბედურებას. ეს მამოძრავებელია ომი, რომელსაც ო რ ი ვ ე მეომარი ბანაკის კაპიტალისტები აწარმოებენ ყაჩაღური მიზნებისათვის. ამ «მამოძრავებელმა» მთელი რიგი უმდიდრესი, თავისუფალი და უგანათლებულესი ერები უფსკრულის პირამდე მიიყვანა. იგი ა ი ძ უ ლ ე ბ ს ხალხებს უკიდურესად დაძაბონ მთელი ძალები, იგი მათ აუტანელ მდგომარეობაში აგდებს, იგი დღის წესრიგში აყენებს არა რაიმე «თეორიების» განხორციელებას (ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება და ამ ილუზიისაგან მარქსი სოციალისტებს ყოველთვის აფრთხილებდა), არამედ ფრიად უკიდურეს, პრაქტიკულად შესაძლებელ ღონისძიებათა გატარებას, ვინაიდან თ უ ა რ ა ეს უკიდურესი ზომები, რამდენიმე მილიონ ადამიანს დაღუპვა, შიმშილისაგან დაუყოვნებლივი და უეჭველი დაღუპვა მოელის.

მტკიცებაც არ ესაჭიროება იმას, რომ მოწინავე კლასის რევოლუციურ ენთუზიაზმს ისეთ პირობებში, როდესაც ობიექტური მდგომარეობა მთელი ხალხისაგან უკიდურეს ღონისძიებებს მ ო ი თ ხ ო ვ ს, ბ ე ვ რ ი რ ა მ შეუძლია. საქმის ა მ მხარეს რუსეთში ყველა თვალნათლივ ხედავს და გ რ ძ ნ ო ბ ს.

საჭიროა შევიგნოთ, რომ რევოლუციურ ხანებში ობიექტური სიტუაცია ისევე სწრაფად და მკვეთრად იცვლება, რა სისწრაფითაც საზოგადოდ ცხოვრება მიმდინარეობს. ჩვენ კი უნდა შ ე გ ვ ე ძ ლ ო ს ჩვენი ტაქტიკა და ჩვენი უახლესი ამოცანები შ ე ვ უ გ უ ო თ ყოველი შექმნილი სიტუაციის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ს. 1917 წლის თებერვლამდე დღის წესრიგში იდგა გაბედული რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური პროპაგანდა, მასების მოწოდება ბრძოლისაკენ, მათი გამოღვიძება. თებერვალ-მარტის დღეებში საჭირო იყო თავ-

განწირული და გმირული ბრძოლა, რათა დაუყოვნებლივ გაგვესრისა უახლოესი მტერი — ცარიზმი. ახლა ჩვენ განვიცდით რევოლუციის ამ პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას, ცარიზმთან «შეტაკებიდან» გუჩკოვ-მილიუკოვის, მემამულურ და კაპიტალისტურ იმპერიალიზმთან «შეტაკებაზე» გადასვლას. დღის წესრიგში დგას ორგანიზაციული ამოცანა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს შაბლონურ მუშაობას მხოლოდ შაბლონური ორგანიზაციებისათვის, არამედ იგი უნდა ნიშნავდეს ჩაგრული კლასების გაუგონრად ფართო მასების ჩაბმას ორგანიზაციაში და თვით ამ ორგანიზაციის მიერ სამხედრო, საერთოსახელმწიფოებრივი და სახალხო-სამეურნეო ამოცანების განხორციელებას.

ამ თავისებურ ამოცანას პროლეტარიატი სხვადასხვა გზით მიუდგა და მომავალშიც მიუდგება. რუსეთის ზოგ ადგილას თებერვალ-მარტის რევოლუცია მას ხელთ აძლევს თითქმის მთელ ძალაუფლებას, — სხვა ადგილებში მან შეიძლება «დაპყრობითი» გზით შექმნას და გააფართოვოს პროლეტარული მილიცია, — სხვაგან კიდევ ის, ალბათ, მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს ქალაქთა საბჭოებისა და ერობათა არჩევნები საყოველთაო და ასე შემდეგ საარჩევნო უფლების საფუძველზე, რათა მათგან შეიქმნას რევოლუციური ცენტრები და სხვა, ვიდრე პროლეტარული დარაზმულობის ზრდა, ჯარისკაცთა დაახლოება მუშებთან, გლეხობის მოძრაობა, გუჩკოვისა და მილიუკოვის სამხედრო-იმპერიალისტური მთავრობის გამოსადეგობაზე მრავალთა და მრავალთა გულის გატეხა არ მოგვიახლოებს იმ საათს, როდესაც ამ მთავრობას მუშათა დეპუტატების საბჭოს «მთავრობა» შეცვლის.

ნუ დაგვავიწყდება აგრეთვე, რომ პიტერის გვერდით ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე, ფაქტიურად რესპუბლიკური ქვეყანა, ფინეთი, რომელმაც 1905 წლიდან 1917 წლამდე, რუსეთში მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების მფარველობით, შედარებით მშვიდობიანად განავითარა დემოკრატია და სოციალიზმს ხალხის უმრავლესობა მოუპოვა. რუსეთის პროლეტარიატი უზრუნველყოფს ფინეთის რესპუბ-

ლიკისათვის სრულ თავისუფლებას, გამოყოფის თავისუფლებასაც კი (ახლა, არა მგონია, თუნდ ერთი სოციალ-დემოკრატიც კი მერყეობდეს ამ საკითხში, როდესაც ხედავს, თუ რა უღირსად ვაჭრობს ჰელსინგფორსში კადეტი როდიჩევი ველიკოროსებისათვის ცოტაოდენი პრივილეგიების მისანიჭებლად), — და სწორედ ამით მოიპოვებს ფინეთის მუშათა სრულ ნდობასა და ამხანაგურ დახმარებას სრულიად რუსეთის პროლეტარული საქმისადმი. ძნელსა და დიდ საქმეში შეცდომები გარდუვალია, ამ შეცდომებს ვერც ჩვენ ავიცილებთ თავიდან. ფინეთის მუშები საუკეთესო ორგანიზატორები არიან, ისინი ამ დარგში დაგვეხმარებიან, ისინი თავისებურად წინ წასწევენ სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების საქმეს.

რევოლუციური გამარჯვებანი თვით რუსეთში, — მშვიდობიანი ორგანიზაციული წარმატებანი ფინეთში ამ გამარჯვებათა მფარველობით, — რუსეთის მუშათა გადასვლა ახალი მასშტაბის რევოლუციურ-ორგანიზატორულ ამოცანებზე, — პროლეტარიატისა და მოსახლეობის უღარიბესი ფენების მიერ ძალაუფლების დაპყრობა, — სოციალისტური რევოლუციისთვის ხელის შეწყობა და მისი განვითარება დასავლეთში, — აი ის გზა, რომელიც ზავსა და სოციალიზმთან მიგვიყვანს.

ნ. ლენინი

ციურიხი, 1917 წ. 11 (24) მარტი

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალ «კომმუნისტიჩესკი ინტერნაციონალში» № 3 — 4

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 423 — 440

გარეშეს რჩევანი

ამ სტრიქონებს ვწერ 8 ოქტომბერს და ვეჭვობ, რომ ისინი უკვე 9-ს ხელთ ექნეთ პიტერელ ამხანაგებს. შესაძლებელია, მათ დააგვიანდეთ, რადგან ჩრდილოეთის საბჭოების ყრილობა 10 ოქტომბრისათვისაა დანიშნული. მაგრამ მე მაინც შევეცდები ჩემი «გარეშეს რჩევებით» გამოვიდე იმ შემთხვევისათვის, რომ პიტერისა და მთელი მისი მიდამოების მუშათა და ჯარისკაცთა მოსალოდნელი გამოსვლა მოხდება მალე, მაგრამ ჯერ კიდევ არ მომხდარა.

მთელი ძალაუფლება რომ საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს, ეს ცხადია. ასევე უდავო უნდა იყოს ყოველი ბოლშევიკისათვის, რომ რევოლუციურ-პროლეტარული (ანუ ბოლშევიკური — ეს ახლა ერთი და იგივეა) ხელისუფლებისთვის უზრუნველყოფილია უდიდესი თანაგრძნობა და თავდადებული მხარისდაჭერა საერთოდ ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მხრივ მთელ მსოფლიოში, კერძოდ მეომარ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთის გლეხობის მხრივ. ამ, მეტისმეტად საყოველთაოდ ცნობილ და დიდი ხანია დამტკიცებულ, ჭეშმარიტებაზე შეჩერება არა ღირს.

შეჩერება საჭიროა იმაზე, რაც არა მგონია ყველა ამხანაგისთვის სავსებით ნათელი იყოს, სახელდობრ: რომ ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში ახლა პრაქტიკულად შეიარაღებულ აჯანყებას ნიშნავს. თითქოს, ეს ცხადია, მაგრამ ყველა როდი ჩაფიქრებია და უფიქრდება ამას. ახლა შეიარაღებულ აჯანყებაზე უარისთქმა — ეს იქნებოდა ბოლშევიზმის მთავარ ლოზუნგზე (მთელი ძალაუფლება საბჭოებს) და საერ-

თოდ მთელ რევოლუციურ-პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე უარისთქმა.

მაგრამ შეიარაღებული აჯანყება პოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული სახეა, დაქვემდებარებული განსაკუთრებული კანონებისადმი, რომელთაც ყურადღებით უნდა ჩავუფიქრდეთ. ეს ჭეშმარიტება შესანიშნავი სიცხადით გამოხატა კარლ მარქსმა, როცა დასწერა, რომ შეიარაღებული «აჯანყება, ისევე როგორც ომი, ხელოვნებაა».

ამ ხელოვნების მთავარი წესებიდან მარქსმა წამოაყენა:

1) არასოდეს არ ეთამაშოთ აჯანყებას, ხოლო, თუ დაიწყებთ, მტკიცედ იცოდეთ, რომ ბოლოშდე უნდა მიხვიდეთ.

2) აუცილებელია დააგროვოთ ძალთა დიდი უპირატესობა გადამწყვეტ ადგილას, გადამწყვეტ მომენტში, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი, რომელსაც უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულთ.

3) რაკი აჯანყება დაწყებულია, უნდა იმოქმედოთ უდიდესი გაბედულებით და უეჭველად, უსათუოდ გადახვიდეთ შეტევაზე. «თავდაცვა სიკვდილია შეიარაღებული აჯანყებისა».

4) უნდა ეცადოთ მოულოდნელად დაესხათ თავს მტერს, შეურჩიოთ მომენტი, სანამ მისი ჯარები დაქსაქსულია.

5) უნდა ცდილობდეთ ყოველდღე მიაღწიოთ თუნდაც მცირე წარმატებებს (შეიძლება ითქვას: ყოველ საათს, თუ საქმე ერთ ქალაქს ეხება) და შეინარჩუნოთ, რადაც უნდა დაჯდეს, «მორალური უპირატესობა».

მარქსმა შეაჯამა ყველა რევოლუციის გაკვეთილები შეიარაღებული აჯანყების შესახებ «ისტორიაში რევოლუციური ტაქტიკის უდიდესი ოსტატის — დანტონის სიტყვებით: გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა»[31].

რუსეთისა და 1917 წლის ოქტომბრისადმი შეფარდებით ეს ნიშნავს: ერთდროისი, რაც შეიძლება უფრო უეცარი და

სწრაფი შეტევა პიტერზე, უსათუოდ გარედანაც და შიგნიდანაც, მუშათა უბნებიდანაც, ფინეთიდანაც, რეველიდანაც და კრონშტადტიდანაც, მ თ ე ლ ი ფლოტის შეტევა, დაგროვება ძალთა გ ი გ ა ნ ტ უ რ ი ს ი ჭ ა რ ბ ი ს ა ჩვენი «ბურჟუაზიული გვარდიის» (იუნკრებისა), ჩვენი «ვანდეის ჯარების» (კაზაკების ნაწილი) და სხვათა 15—20 ათასი კაცის (და შეიძლება მეტის) მიმართ.

გაწესრიგდეს ჩვენი ს ა მ ი მთავარი ძალა: ფლოტი, მუშები და ჯარის ნაწილები ისე, რომ აუცილებლად დაიკავონ და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი ს გაღებით შეინარჩუნონ: ა) ტელეფონი, ბ) ტელეგრაფი, გ) რკინიგზის სადგურები, დ) ხიდები პირველ რიგში.

გამოიყოს ყ ვ ე ლ ა ზ ე გ ა ბ ე დ უ ლ ი ელემენტები (ჩვენი «დამკვრელები» და მ უ შ ა თ ა ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა, აგრეთვე საუკეთესო მატროსები) პატარ-პატარა რაზმებად მათ მიერ ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტის დასაკავებლად და მათი ყველგან, ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს მ ი ს ა ღ ე ბ ა დ, მაგალითად:

პიტერის გარემოცვა და მოწყვეტა, ფლოტის, მუშებისა და ჯარის კომბინირებული იერიშით მისი აღება, — ასეთია ამოცანა, რომელიც ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს ა დ ა ს ა მ მ ა გ გ ა ბ ე დ უ ლ ე ბ ა ს მოითხოვს.

შედგეს თოფებითა და ყუმბარებით შეიარაღებული საუკეთესო მუშების რაზმები მტრის «ცენტრების» (იუნკერთა სკოლის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხვათა) საიერიშოდ და გარემოსაცავად ლოზუნგით: გ ა ვ წ ყ დ ე თ ყ ვ ე ლ ა ნ ი, მ ტ ე რ ი კ ი ა რ გ ა ვ უ შ ვ ა თ.

იმედი ვიქონიოთ, რომ თუ ვინიცობაა გამოსვლა გადაწყდება, ხელმძღვანელები წარმატებით გამოიყენებენ დანტონისა და მარქსის დიად ანდერძებს.

როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო რევოლუციის წარმატება ორი-სამი დღის ბრძოლაზეა დამოკიდებული.

დაწერილია 1917 წ. 8 (21) ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1920 წ. 7 ნოემბერს გაზეთში «პრავდა» № 250.

ხელმოწერა: გ ა რ ე შ ე

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 203—206

სოციალისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობისა და ახალი ადამიანის აღზრდის შესახებ

სიტყვები პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ

1918 წ. 16 აგვისტოს [52]

საოქმო ჩანაწერი

1

იგრძნობა ძალების დიდი ნაკლებობა, მასაში კი არის ძალები, ისეთი ძალები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. მეტი ნდობით უნდა მოვეპყროთ მუშათა მასას და შევძლოთ იქიდან ძალების მოკრება. ღონისძიებანი ამისათვის: თანამგრძნობთა ჩაბმა პარტიაში ახალგაზრდობიდან, პროფესიული კავშირებიდან. დაე იყოს დაყოვნება საწევროს გადახდაში,— ეს სრულიადაც არ არის საშიში. თუ 6 ათასს გამოვყოფთ ფრონტისათვის, ნაცვლად კი ავიყვანთ 12 ათას ახალს, დიდი საშიშროება არ იქნება. მორალური გავლენა უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პარტიის წევრთა გამრავლებით.

ჩვენს მიტინგებზე ძალიან ნაკლებად გამოდიან ახალი ძალები, მათი გამოსვლა კი მეტად სასურველი იქნებოდა, რადგან მათ ნათქვამში ცოცხალ სიტყვას გავიგონებთ. რამენაირად უნდა მოვაწყოთ გამოცდა. ახალგაზრდობა უნდა ავიყვანოთ მუშათა წრიდან, ისე, რომ იყოს მუშათა მასის კონტროლი. თვითონ ცხოვრება მოითხოვს, რათა პარტიის ძალიან ბევრი წევრი წავიდეს ფრონტზე, ვიდრე იაპონელები და ამერიკელები ჯერ კიდევ არ გამაგრებულან ციმბირში. ძველების ნაცვლად უნდა შევიმატოთ ახალი ძალები — ახალგაზრდები.

2

პარტიის წევრებმა გაძლიერებული აგიტაცია უნდა განავითარონ მუშებს შორის. კანცელარულ სამუშაოზე არ უნდა

დავტოვოთ ის ამხანაგები, რომლებსაც თუნდაც რაიმეს გაკეთება შეუძლიათ.

უნდა გავაფართოოთ მუშათა მასაზე ჩვენი გავლენის სფერო. უჯრედები ძალიან ცოტა ინიციატივას იჩენენ, მათი გამოსვლები ადგილობრივ მეტად სასარგებლო იქნებოდა უპარტიოებზე ზეგავლენის აზრით. უნდა მივაქციოთ ყურადღება კლუბებს, წამოვწიოთ პარტიული მუშაკები მასებიდან.

არ შეიძლება მივიღოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც ადგილების გამო შემოდიან პარტიაში, ისინი უნდა განვდევნოთ პარტიიდან.

პირველად დაიბეჭდა 1928 წ. 22 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 19

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 28, გვ. 53 — 54

რკპ(ბ) პროგრამის პროექტიდან

9

პროგრამის მუხლი სახალხო განათლების დარგში

სახალხო განათლების დარგში რკპ ამოცანად ისახავს ბოლომდე მიიყვანოს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დროიდან დაწყებული სკოლის გარდაქმნის საქმე ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღიდან ამ ბატონობის დანგრევის იარაღად, აგრეთვე საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულიად მოსპობის იარაღად. სკოლა უნდა გახდეს პროლეტარიატის დიქტატურის იარაღად, ე. ი. არა მარტო საერთოდ კომუნიზმის პრინციპების გამტარებლად, არამედ აგრეთვე გამტარებლად პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი ზეგავლენისა მშრომელი მასების ნახევრადპროლეტარულ და არაპროლეტარულ ფენებზე ექსპლოატატორების წინააღმდეგობის მთლიანად დათრგუნვისა და კომუნისტური წყობილების განხორციელების ინტერესებისათვის. ამჟამად უახლოეს ამოცანებს ამ გზაზე წარმოადგენენ:

(1) მუშებისა და მშრომელი გლეხების თვითმოქმედების შემდგომი განვითარება განათლების დარგში, საბჭოთა ხელისუფლების ყოველმხრივი დახმარებით;

(2) საბოლოოდ დაუფლება მასწავლებელთა პერსონალის არა მარტო ერთი ნაწილისა ან მისი უმრავლესობისა, როგორც ეს ამჟამად არის, არამედ მთელი პერსონალისა გაუსწორებელი ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური ელემენტების მოკვეთისა და კომუნისტური პრინციპების კეთილსინდისიერად განხორციელების უზრუნველყოფის აზრით; (პოლიტიკისა)

(3) უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში ბავშვს აცნობს წარმო-

ების ყველა მთავარ დარგს) განათლების გატარება ორივე სქესის ყველა ბავშვისთვის 16 წლამდე;

(4) სწავლების მჭიდრო კავშირის განხორციელება ბავშვის საზოგადოებრივ ნაყოფიერ შრომასთან;

(5) ყველა მოსწავლის მომარაგება საჭმლით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე;

(6) მშრომელი მოსახლეობის მიზიდვა სახალხო განათლების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის (სახალხო განათლების საბჭოების განვითარება, წიგნიერთა მობილიზაცია და სხვ.);

ან ad * 2) (7) მასწავლებელთა პერსონალის მჭიდრო კავშირი რკპ აგიტაცია-პროპაგანდის აპარატთან.

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 141 — 142

* — სადმი. რ ე დ.

სიტყვა კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 17 აპრილს [53]

ძალიან მოხარული ვარ მოგესალმოთ. არ ვიცი, რამდენი გუბერნიაა აქ წარმოდგენილი და საიდანა ხართ ჩამოსულნი. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა, კომუნისტური ახალგაზრდობა ირაზმება. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა იკრიბება, რათა ახალი სკოლის შენება ისწავლოს. ახლა თქვენს წინაშე ახალი სკოლაა. ძველი, ათვალწუნებული, სახაზინო, საძულველი და თქვენთან დაუკავშირებელი სკოლა უკვე აღარ არის. მუშაობა ჩვენ მიერ ძალიან დიდი ხნისთვისაა ნავარაუდევი. მომავალი საზოგადოება, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, საზოგადოება, რომელშიც მარტოოდენ მუშაკები უნდა იყვნენ, საზოგადოება, რომელშიც არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს,— ეს საზოგადოება დიდხანს უნდა ვაშენოთ. ამჟამად ჩვენ მომავალ საზოგადოებას მხოლოდ საძირკველს ვუყრით, ხოლო შენება თქვენ მოგიხდებათ, როცა დავაუკაცდებით. ახლა კი იმუშავეთ თქვენი ძალ-ღონის მიხედვით, ხელს ნუ მოჰკიდებთ ისეთ სამუშაოს, რაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, იმუშავეთ უფროსების ხელმძღვანელობით. ერთხელ კიდევ მივესალმები ყრილობას და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას თქვენს საქმეში.

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 375

სიტყვა წითელ მოედანზე 1919 წ. 1 მაისს

საძრონიკო ჩანაწერი

2

დამსწრეთა უმეტესობა, — ამბობს ლენინი, — რომელიც 30—35 წლის ასაკს არ გადასცილებია, მოესწრება კომუნიზმის აყვავებას, რომლისგანაც ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ.

მიუთითებს რა ბავშვებზე, ლენინი ამბობს, რომ ისინი, რომლებიც ახლა შრომის განთავისუფლების დღესასწაულში იღებენ მონაწილეობას, სრულად ისარგებლებენ რევოლუციონერთა მიერ გაწეული შრომისა და მსხვერპლის ნაყოფით.

— ჩვენს შვილიშვილებს უცნაურ რამედ მოეჩვენებათ კაპიტალისტური წყობილების ეპოქის დოკუმენტები და ძეგლები. ისინი ძლივს წარმოიდგენენ, თუ როგორ შეიძლებოდა კერძო პირის ხელში ყოფილიყო პირველი საჭიროების საგნების ვაჭრობა, როგორ შეიძლებოდა ფაბრიკები და ქარხნები ცალკეულ პირებს ჰქონოდათ საკუთრებად, როგორ შეეძლო ერთ კაცს მეორის ექსპლოატირება, როგორ შეიძლებოდა არსებულიყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შრომობდნენ. დღემდე, როგორც ზღაპარზე, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი ბავშვები იხილავენ, მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საძირკველი — უტოპია როდია. კიდევ უფრო გულმოდგინედ შეუდგებიან ამ შენობის აგებას ჩვენი შვილები. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1919 წ. 2 მაისს
მოსკოვის საბჭოს გაზეთში
«ვეჩერნიე იზვესტია» № 230

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 381

ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად!

(რკპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის წერილიდან პარტიის ორგანიზაციებისადმი)

არასამხედრო სამუშაოს შეკვეცა

იმ სამუშაოთა ნაწილის შესასრულებლადაც კი, რომლებიც მოკლედ არის დასახული ზემოთ, საჭიროა ახალ-ახალი მუშაკები, ამასთან ყველაზე საიმედო, თავდადებული, ენერგიული კომუნისტები. მერე სად უნდა ვიშოვოთ ისინი, როცა ყველგან უჩივიან ასეთ მუშაკთა ნაკლებობას და მეტისმეტ დაღლას?

ეჭვი არ არის, რომ ეს ჩივილი ბევრი მხრივ სამართლიანია. ვინმემ რომ ზუსტად გამოიანგარიშოს, მოწინავე მუშებისა და კომუნისტების რა თხელი ფენა მართავდა რუსეთს უკანასკნელი 20 თვის განმავლობაში მუშათა და გლეხთა მასის მხარის დაჭერით და თანაგრძნობით, ეს პირდაპირ წარმოუდგენლად მოეჩვენება. ჩვენ კი ვმართავდით უდიდესი წარმატებით, ვქმნიდით სოციალიზმს, ვძლევდით გაუგონარ სიძნელეებს, ვამარცხებდით ყველგან თავწამოყოფილ მტრებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იყვნენ ბურჟუაზიასთან. და ჩვენ უკვე დავამარცხეთ ყველა მტერი, გარდა ერთისა: გარდა ანტანტისა, გარდა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის მსოფლიო მასშტაბის მძლავრი იმპერიალისტური ბურჟუაზიისა, ამასთან ამ მტერსაც მოვტეხეთ უკვე ცალი ხელი — კოლჩაკი; ჩვენ გვემუქრება მხოლოდ მისი მეორე ხელი — დენიკინი.

სწრაფად იზრდება მუშათა ახალი ძალები სახელმწიფოს სამართავად, პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების განსახორციელებლად იმ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის საზით, რომელიც ყველაზე უფრო გულწრფელად, მხურვალედ,

თავდადებით სწავლობს, ითვისებს ახალი წყობილებიდან მიღებულ ახალ შთაბეჭდილებებს, თავიდან იშორებს ძველი, კაპიტალისტური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენის ნაჭუჭს, იბრძმედება უფრო მტკიცე კომუნისტებად, ვიდრე მათი ძველი თაობა იყო.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი ფენა სწრაფად იზრდება, სწრაფად სწავლობს და მწიფდება სამოქალაქო ომის და ბურჟუაზიის გააფთრებული წინააღმდეგობის ცეცხლში, მას მაინც არ შეუძლია უახლოეს თვეებში მოგვცეს მ ო მ ზ ა ღ ე ბ უ ლ ი მუშაკები სახელმწიფოს სამართავად. საქმე კი ეხება სწორედ უახლოეს თვეებს, 1919 წლის ზაფხულსა და შემოდგომას, რადგან დენიკინთან ბრძოლის საკითხი დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ უნდა გ ა დ ა წ ყ დ ე ს.

სამხედრო მუშაობის გასაძლიერებლად მომზადებულ მუშაკთა დიდი რაოდენობის მისაღებად საჭიროა შ ე ვ ა მ ც ი რ ო თ მოელი რიგი არასამხედრო დარგები და დაწესებულებები, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არა უშუალოდ სამხედრო, საბჭოთა სამუშაო, საჭიროა ამ მიმართულებით (ე. ი. შემცირების მიმართულებით) გ ა რ დ ა ვ ქ მ ნ ა თ ყველა დაწესებულება და საწარმო, რომლებიც კი უ ს ა თ უ ო დ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა რ ა რ ი ს...

დაწერილია არა უგვიანეს 1919 წ. 3 ივლისისა. დაიბეჭდა 1919 წ. 9 ივლისს «რკპ (ბ) ც. კ.-ის იზვესტიაში» № 4

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 518 — 519

საბჭოთა ხელისუფლების ოარი წელი

სიტყვიდან ოქტომბრის რევოლუციის ოარი წლისთავისადმი მიძღვნილ სრ. რუს. ცაკ-ის, მოსკოვის მუშ. და გლეხ. დეპ. საბჭოს, პროფ. კავშ. სრ. რუს. ცენტრ. საბჭოს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 7 ნოემბერს

... ამხანაგებო! უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვიხილეთ ომის განსაკუთრებით ბრწყინვალე მაგალითი, თუ როგორი წარმატება ჰქონდა ჩვენს მუშაობას. ჩვენ ვიცით, როგორ ფართოდ გავრცელდა შეგნებულ მუშებში შაბათობები. ჩვენ ვიცნობთ შიმშილით და სიცივით დიდად განაწამებ კომუნიზმის წარმომადგენლებს, რომლებსაც ზურგში არანაკლები სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე წითელ არმიას ფრონტზე; ჩვენ ვიცით, თუ კრიზისულ მომენტში, როცა მტერი პეტროგრადს უტევდა, ხოლო დენიკინმა ორიოლი აიღო, როცა ბურჟუაზიამ ფრთები შეისხა და მიმართა თავის უკანასკნელ ჩვეულ იარაღს — პანიკის გავრცელებას, როგორ გამოვაცხადეთ ჩვენ მაშინ პარტიული კვირა. ასეთ მომენტში მუშა-კომუნისტები მიდიოდნენ მუშებთან და მშრომელებთან, იმათთან, ვისაც ყველაზე მეტად აწვებოდა იმპერიალისტური ომის ტვირთი და ვინც შიმშილით და სიცივით იტანჯებოდა, იმათთან, ვისზედაც ყველაზე მეტ იმედს ამყარებდნენ პანიკის ბურჟუაზიული გამავრცელებელნი, იმათთან, ვინც ყველაზე მეტი სიმძიმე გადაიტანა საკუთარი ზურგით, — მათ მივმართავთ ჩვენ პარტიული კვირის დროს და ვეუბნებით: «თქვენ გაშინებთ მუშური ხელისუფლების სიმძიმე, იმპერიალისტებისა და კაპიტალისტების მუქარა; თქვენ ხედავთ ჩვენს მუშაობას და სიძნელეებს; ეროგიწოდებთ თქვენ, და მხოლოდ თქვენ, მხოლოდ მშრომელთა წარმომადგენლებს ფართოდ ვუღებთ ჩვენი პარტიის კარს. მძიმე მომენტში თქვენზე ვამყარებთ იმედს და მოგიწოდებთ

ჩვენს რიგებში, რათა იტვირთოთ სახელმწიფო მშენებლობის მთელი სიმძიმე». თქვენ იცით, რომ ეს საშინლად მძიმე მომენტი იყო როგორც მატერიალური მხრივ, ისე მტრის საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო წარმატების მხრივ. და თქვენ იცით, როგორი გაუგონარი, მოულოდნელი და წარმოუდგენელი წარმატებით დამთავრდა ეს პარტიული კვირა მარტო მოსკოვი რომ ავიღოთ, სადაც ჩვენ პარტიის 14 ათასზე მეტი ახალი წევრი შევიძინეთ. აი იმ პარტიული კვირის შედეგი, რომელიც სრულიად გადაახალისებს, გარდაქმნის მუშათა კლასს და ბურჟუაზიული ხელისუფლების, ექსპლოატატორების, ბურჟუაზიული სახელმწიფოს უმოქმედო, უნებისყოფო იარაღიდან მუშაობის გამოცდილებით ქმნის მომავალი კომუნისტური საზოგადოების ნამდვილ შემოქმედთ. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ათეულ და ასეულ ათასობით რეზერვები, რომელთაც უნახავთ და იციან მემამულური და ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ძველი ჩაგვრა, რომელთაც უნახავთ მშენებლობის გაუგონარი სიძნელეები, რომელთაც უხილავთ, როგორი გმირები მოგვცა მუშაკთა პირველმა გაწვევამ 1917 და 1918 წლებში, მუშაკებისა, რომლებიც ჩვენთან მოდიან მით უფრო ფართოდ, მით უფრო თავდადებით, რაც უფრო მეტად გვიჭირს. ეს რეზერვები სრულ რწმენას გვინერგავენ, რომ ჩვენ ორი წლის მანძილზე მივაღწიეთ მტკიცე, აღმოუფხვრელ სიმაგრეს და შევიძინეთ წყარო, რომლიდანაც კიდევ დიდხანს შეგვიძლია მივიღოთ ახალი ძალები კიდევ უფრო ფართო მასშტაბით, რათა მშრომელთა წარმომადგენლებმა თვითონ მოჰკიდონ ხელი სახელმწიფო მშენებლობის საქმეს. ამ მხრივ ორი წლის მანძილზე ჩვენ მუშური მართვა-გამგეობის გამოყენების ისეთი გამოცდილება გვქონდა ყველა სფეროში, რომ აქ თამამად და სრულიად გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩა, რომ განვაგრძოთ ის, რაც დავიწყეთ, და საქმე ისე წავა, როგორც ამ ორი წლის განმავლობაში მიდიოდა, და უფრო და უფრო ჩქარი ტემპითაც...

«პრავდა» № 251, 1919 წ.
9 ნოემბერი.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 30, გვ. 140 — 142

ჩვენს ცვლას“

მივესალმები პეტროგრადის გუბერნიის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას წითელი კვირის ჩატარების დღეებში.

გააძლიერეთ, ახალგაზრდა ამხანაგებო, თქვენი მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მჩქეფარე ახალგაზრდული ძალ-ღონით მოჰკიდოთ ხელი ახალი, ნათელი ცხოვრების მოწყობას.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«სმენა» № 1, 1919 წ.
18 დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 30, გვ. 326

სიტყვა მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1920 წ. 6 მარტს

ამხანაგებო, მე ძალიან ვწუხვარ, რომ, ალბათ, ვერ მოვახერხებ იმ მოვალეობათა შესრულებას, რომელთა შესახებ ახლა შენიშნა ამხანაგმა თავმჯდომარემ, როცა ჩემი მოსკოვის საბჭოს წევრობა[55] ახსენა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს მივესალმო მოსკოვის საბჭოს ახალ შემადგენლობას. ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ იმ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით ეკისრება განსაკუთრებით მოსკოველ მუშებსა და ყველაზე უფრო მეტად და უწინარეს ყოვლისა მოსკოვის საბჭოს.

ამხანაგებო, ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, მთელი ქვეყნის კაპიტალისტებთან კავშირში, როგორც ყველაფრით ჩანს, ძალიან დიდი იმედი გვაქვს უახლოეს მომავალში დავამთავროთ სრული წარმატებით. მე დღეს ეს-ეს არის მივიღე დეპეშა კავკასიის ფრონტის, ყველა, ჯერ კიდევ დარჩენილ ფრონტთა შორის უკანასკნელი სერიოზული ფრონტის, რევ. სამხ. საბჭოს წევრისაგან. ამ დეპეშით ის გვატყობინებს, რომ მტრის წინააღმდეგობა ყველა მიმართულებით მოტეხილია (ტ ა შ ი), ასე რომ ახლა, კოლჩაკის ფრონტისა და არხანგელსკის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, ჩანს, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც დენიკინის ფრონტიც საბოლოოდ მოისპობა. მაგრამ, ამხანაგებო, თუმცა სამოქალაქო ომის შედეგები და საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენთვის ხელსაყრელი გახდა, თუმცა იმპერიალისტური სახელმწიფოები აშკარად იმის წინაშე იმყოფებიან, რომ საბო-

ლოოდ მოტეხილ იქნენ, თუმცა ყველა მათი ცდა — გაეერთიანებინათ ვინც უნდა ყოფილიყო ჩვენ წინააღმდეგ საომრად — კრახით დამთავრდა, — რაც უნდა ხელსაყრელი იყოს ეს მდგომარეობა, უნდა ვთქვათ, რომ საფრთხე, თვით გარეშე საფრთხეც კი, ჯერ კიდევ არ გამქრალა. ჯერ კიდევ ცდილობენ, განსაკუთრებით იმპერიალისტური საფრანგეთის მხრივ, რომ პოლონეთი ჩააბან რუსეთის წინააღმდეგ ომში. თქვენ ყველამ იცით, რასაკვირველია, პრესიდან, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან, ყველა იმ განცხადებიდან, რომლებიც გაკეთებულ იქნა კაზაკთა და მრავალ სხვა ყრილობაზე, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ ყოველი შესაძლებელი გააკეთა თავის მხრივ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ეს ომი, რომ ჩვენ არა მარტო ოფიციალურად, არამედ ყოვლად შეგობრული წესითაც შევთავაზეთ პოლონელ ხალხს ზავი, ყოვლად საზეიმო წესით ვცანით პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, გავაკეთეთ რა ამ მხრივ უაღრესად გარკვეული განცხადებანი. ჩვენ სამხედრო თვალსაზრისით ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ხელი შეგვეშალა პოლონელი მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის განეხორციელებინათ თავიანთი განზრახვები — შეიძლება, არა იმდენად თავიანთი, რამდენადაც იმპერიალისტური საფრანგეთის განზრახვები, რომელიც მათ ზურგს უკან ზის და რომლის ვალებშიც ისინი ყელამდე არიან ჩაფლული. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ხელი შეგვეშალა ამ კაპიტალისტთა და მემამულეთა განზრახვების განხორციელებისათვის ჩაებათ პოლონელი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ ომში. თუმცა ჩვენ ყოველი შესაძლებელი ღონისძიება ვიხმარეთ, მაგრამ შემდგომი მაინც ჩვენზე არაა დამოკიდებული. პოლონელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა თვითონაც არ იციან, რას გააკეთებენ ხვალ. პოლონეთის შინაგანი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ სწორედ კლასობრივი მდგომარეობის აშკარა საფრთხის გამო, გრძნობენ რა მხოლოდ თავიანთ დაღუპვას, მათ შეუძლიათ ამგვარ

ავანტიურას მიმართონ. ამიტომ საგარეო უშიშროების თვალსაზრისითაც, თუმცა ჩვენ უკვე მრავალი გამარჯვება მოვიპოვეთ, ჩვენ არავითარი გარანტია არა გვაქვს და ფხიზლად უნდა ვიყოთ, უნდა დავიცვათ, განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი სამხედრო მზადყოფნა, რათა განვახორციელოთ ის ამოცანა, რომელიც მუშათა კლასის წინაშე დგას. თუ, წინააღმდეგ მთელი ჩვენი ღონისძიებებისა, პოლონეთის იმპერიალისტები, საფრანგეთის დახმარებით, რუსეთის წინააღმდეგ გამოილაშქრებენ და თავიანთ სამხედრო ავანტიურას განახორციელებენ, მაშინ მათ უნდა მიიღონ და მიიღებენ კიდეც ისეთ საპასუხო დარტყმას, რომლითაც მათი გამოფიტული კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი საბოლოოდ გაცამტვერდება.

ჩვენ სრულიად არ ვუმალავთ ჩვენს თავს და პირველ რიგში მოსკოველ და სხვა რუს მუშებს, რომ ახლა ჩვენ გვჭირდება ძალთა ახალი დაძაბვა, ახალი უდიდესი მსხვერპლის გაღება, რასაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ის გარემოება, რომ ახლა სწორედ ზამთრის მიწურულია — თებერვალ-მარტი, რომელთაც თან მოგვიტანეს ჩვენი ტრანსპორტის მოშლილობასთან დაკავშირებული გაჭირვების, შიმშილისა და ტანჯვა-წამებათა ახალი გამწვავება. და უნდა გითხრათ, რომ თუ ომი სისხლიან ფრონტზე, იმპერიალისტების წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო ომი, როგორც ჩანს, მთავრდება, და, ყოველ შემთხვევაში, მტერს აღარ შეუძლია სერიოზულად დაგვემუქროს, იმიტომ რომ ანტანტამ გადამწყვეტი დამარცხება განიცადა ჩვენ წინააღმდეგ საერთო ომის მოწყობის თავის ცდაში,— სამაგიეროდ, ყოველ შემთხვევაში, გრძელდება და დიდხანს გაგრძელდება ომი უსისხლო ფრონტზე, რადგან, რაც უფრო დავშორდით ომის საფრთხეს, მით უფრო მეტად გვაწვებიან შინაგანი მშენებლობის ამოცანები, და ისინი არ შეიძლება არ იქნეს გადაჭრილი მუშათა კლასის მიერ, რომელმაც იკისრა მშრომელთა მასების ხელმძღვანელობის მისია. ეს ამოცანები — დანგრეული ქვეყნის, დანგრეული მეურნეობის აღდგენა, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია — ვერ განხორციელდება უსისხლო ფრონტზე ომის გარეშე. აი რა უნდა ჩაინერგონ ყველაზე

უფრო მტკიცედ თავის შეგნებაში მოწინავე მუშებმა, რომლებიც ახლა ქმნიან მოსკოვის ახალ საბჭოს, იმიტომ რომ მოსკოველი მუშები ყოველთვის იყვნენ და აუცილებლად რამდენიმე ხანს დარჩებიან ნიმუშად, რომელსაც გაჰყვებიან სხვა ქალაქების მუშები.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვახორციელებთ სოციალისტური რევოლუციის ამოცანას ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს გლეხობა. ახლა ჩვენ შემოგვიერთდა ციმბირის გლეხობის მასა, სადაც გლეხებს აქვთ პურის ნაჭარბი, სადაც ისინი გარყვნილი არიან კაპიტალიზმის მიერ, ვაჭრობის ძველებურ თავისუფლებას ებღაუჭებიან და თავიანთ წმინდა უფლებად თვლიან, ამ მხრივ მათ გზას უბნევენ მენშევიკები და ესერები, — ეს უკვე მათი საკალალო ხვედრია, მათ სხვა აღარაფერი დარჩენიათ საკეთებელი, — თავიანთ წმინდა უფლებად თვლიან განახორციელონ თავისუფალი ვაჭრობა პურის ნაჭარბით, და ფიქრობენ, რომ ეს უფლება მათ შეიძლება შერჩეთ. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ეს ვითომდა მოქალაქეობრივი თანასწორობა ნიშნავს მაძღრის მიერ მშივრის ექსპლოატაციას, ვინაიდან ის გლეხები, რომელთაც ნაჭარბი პური აქვთ და არ სურთ იგი მშივრებს მისცენ, კაპიტალისტური ურთიერთობის საფუძვლებს ახორციელებენ. ისინი წარმოადგენენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც, ასეულ წლობით მათი ექსპლოატაციის შემდეგ, პირველად ეწევიან მეურნეობას თავიანთთვის და თავიანთი ნაჭარბი პურით შეუძლიათ დაიმონონ მუშები, რომელთაც, მრეწველობის დანგრევის გამო, შესაძლებლობა არა აქვთ ეკვივალენტი მისცენ პურში. ამიტომ ჩვენი ამოცანა ამ წვრილბურჟუაზიული მესაკუთრეების მიმართ, წვრილი სპეკულანტების მიმართ დამოკიდებულებაში, რომელთა რიცხვი მილიონია და რომლებსაც, რაკი ნაჭარბი პური აქვთ, ჰგონიათ, რომ რაც უფრო წინ წავალთ ჩვენ, მით უფრო მეტად გამდიდრდებიან ისინი, და რაც უფრო ძლიერია შიმშილი, ეს მით უფრო ხელსაყრელია პურის მქონეებელთათვის, — ჩვენი ურთიერთობა მათდამი საომარი ურთიერთობა იქნება. ამას ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, და ეს საფუძვლად

უდევს პროლეტარიატის დიქტატურას; პროლეტარიატი აშკარად ეუბნება ყველა მუშასა და გლეხთა მასებს: «გლეხი-მაშვრალი — ჩვენი მოკავშირეა, ჩვენი ძმა და მეგობარია, მაგრამ როდესაც გლეხი გამოდის როგორც მესაკუთრე, რომელსაც ნაჭარბი პური აქვს, რომელიც მას არ ჭირდება მეურნეობისათვის, და ჩვენ გვექცევა ისე, როგორც მესაკუთრე, როგორც მაძღარი მშიერს, ასეთი გლეხი — ჩვენი მტერია, და ჩვენ მას შევებრძოლებით მთელი გაბედულებით, მთელი დაუნდობლობით». წვრილ მესაკუთრეზე, წვრილ სპეკულანტზე გამარჯვება — ძნელია. მათი მოსპობა ერთ წელიწადში არ შეიძლება, მათ მოსასპობად საჭიროა ხანგრძლივი რიგი წლებისა, საჭიროა ორგანიზებული შეუპოვრობა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მედგარი, განუხრელი, თანდათანობითი მუშაობა, განუწყვეტელი ყოველდღიური ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით ძნელია და ყოველ ნაბიჯზე სპეკულანტ გლეხს აძლევს გამარჯვებას მუშაზე. **მაგრამ ჩვენ ვიბრძოლებთ უსისხლო ფრონტზე, რათა მშიერმა მიიღოს მაძღრისაგან ის ნაჭარბი, რომელიც ამ უკანასკნელს აქვს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ესერებისა და მენშევიკების სურვილისა გაატარონ თავისუფალი ვაჭრობა და მაძღარს დაუტოვონ ეს ნაჭარბი.**

ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში ჩავატარეთ უდიდესი მუშაობა. ამ მუშაობაში ჩავაბით გლეხთა და მუშათა მასა, შევძელით ყველგან მიგვეღო ის, რაც გვჭირდებოდა. იმ დროს, როდესაც თეთრი ოფიცრები, მეფის ყოფილი ოფიცრები, ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩვენი მტრების მხარეზე, ამ სპეციალისტთა ათეულები და ასეულები ჩავაბით და გადავხარშეთ ჩვენს მუშაობაში. ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ ჩვენს კომისრებთან ერთად მუშაობაში. ისინი თვითონ სწავლობდნენ ჩვენგან მუშაობას და სამაგიეროდ გვაძლევდნენ თავიანთ ტექნიკურ ცოდნას. და მხოლოდ მათი დახმარებით შეძლო წითელმა არმიამ მოეპოვებინა ის გამარჯვებანი, რომელთაც მან მიაღწია. ამჟამად მთელი ეს მუშაობა სხვა კალაპოტში უნდა გადავიყვანოთ. ეს სამუშაო უნდა იყოს მშვიდობიანი ხასიათის სამუშაო, ჩვენ ყველაფერი უნდა გადავი-

ტანოთ შრომის ფრონტზე მუშაობისათვის. ჩვენ უნდა ვუ-ხელმძღვანელოთ ჩვენს ყოფილ მესაკუთრეებს, რომლებიც ჩვენი მტრები იყვნენ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ყველა შრომისუნარიანის მობილიზაცია და ვაიძულოთ ისინი ჩვენთან ერთად იმუშაონ. ჩვენ რადაც უნდა დაჯდეს უნდა აღვგავოთ პირისაგან მიწისა კვალი მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკისა, რომელიც პირად და სხვ. თავისუფლებაზე ლაპარაკობს, იმიტომ რომ ეს პოლიტიკა გვწირავს საშიმშილოდ. ეს დამოკიდებულება გატარებული უნდა იქნეს მთელ ჩვენს მუშაობაში. პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი კისრულობს დანარჩენი მოსახლეობის ხელმძღვანელობას და ამბობს: «ჩვენ უნდა მიგიყვანოთ თქვენ ჩვენი იდეების სრულ გაგებამდე და ცხოვრებაში გატარებამდე ისე, როგორც ჩვენ მიგიყვანეთ თქვენ იქამდე, რომ თქვენ სულ უფრო და უფრო მეტად დგებით ჩვენს მხარეზე».

უწინარეს ყოვლისა აქ ჩვენ წინაშე დღის წესრიგში დგას ამოცანა—გავწმინდოთ მოსკოვი იმ ჭუჭყისა და გავერანებისაგან, რომელშიც ის მოჰყვა. ჩვენ უნდა გავატაროთ ეს, რომ მაგალითი გავხდეთ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, რომელშიც სულ უფრო ძლიერ და ძლიერ იკიდებს ფეხს ეს ჭუჭყი, რასაც თან სდევს ეპიდემიები და სნეულებანი. უნდა ვაჩვენოთ ეს მაგალითი აქ, მოსკოვში, მაგალითი, როგორიც არა ერთხელ უჩვენებია მოსკოვს.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ წინაშე დგას ტრანსპორტის აღდგენის ამოცანა. გაზაფხულიდან ჩვენ უნდა განვახორციელოთ მუშათა მასების კონტროლი. ჩვენ უნდა გავატაროთ ეს იმ მებოსტნეების მიმართ, რომლებიც მოსკოვის ირგვლივ მოსახლეობენ და რომლებიც, სარგებლობენ რა იმით, რომ მათ გვერდით ცხოვრობს მშიერი ძმა, მილიონებით ისქელებენ ჯიბეებს. იმის წყალობით, რომ ყოველ მდიდარ მებოსტნეს შეუძლია თავისი ღარიბი მეზობლის ხარჯზე საარაკოდ ბევრი ფული მოიხვეჭოს, იქმნება საზიზღარი უსამართლობა, რომელსაც ჩვენ ვერ დავუშვებთ.

რა უნდა გავაკეთოთ? საჭიროა, რომ სპეციალისტებმა მოგვცენ თავიანთი ცოდნა ჩვენი იდეების ცხოვრებაში გასა-

ტარებლად. საჭიროა, რომ კლასი, რომელმაც ამჟამად განაახლა მოსკოვის საბჭო, დაეწაფოს ამ სამუშაოს. საჭიროა, რომ ეს სამუშაო უფრო რეალურად და უფრო დეტალურად განხორციელდეს, ვიდრე უწინ ხდებოდა.

ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატის რიცხვი არც ისე დიდია, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ პეტროგრადის მუშები, რომლებიც წითელი არმიის პირველ რიგებში მიისწრაფოდნენ, საუკეთესო ძალებს გვაძლევდნენ იმ მომენტებში, როდესაც ეს ჩვენთვის საჭირო იყო, გვაძლევდნენ მტერთან საბრძოლველად, გვაძლევდნენ იმაზე მეტს, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით, თუ რამდენის მოცემა შეეძლოთ მათ. ჩვენ ვამბობდით, რომ პეტროგრადმა, მოსკოვმა, ივანოვო-ვოზნესენსკმა დიდი რაოდენობით მოგვცა ადამიანები, მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არაა: მათ უნდა მოგვცენ იმდენი, რამდენიც ჩვენ გვჭირდება. ამჟამად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ის ბურჟუაზიული სპეციალისტი, რომელთაც წარსულში თავიანთი ცოდნა დაუგროვებიათ და ახლა ვალდებული არიან ამ ცოდნით გადაიხადონ ვალი. აი ამ სპეციალისტების დახმარებით უნდა ჩავატაროთ სწორედ ჩვენი სამუშაო, მათი დახმარებით უნდა ვძლიოთ ყველაფერი, რაც კი ჩვენთვის საჭიროა, ვძლიოთ და შევქმნათ ჩვენი მუშათა საბრძოლო რიგები, რომლებიც მათგან ისწავლიდნენ და მათ წარმართავდნენ, რომლებიც ყოველთვის მიმართავდნენ ფართო მუშათა წრეს ამ გამოცდილების განსამარტებლად. აი სწორედ მოსკოვის საბჭოს, როგორც მნიშვნელობით ერთ-ერთ ყველაზე მოწინავეს, ყველაზე უფრო დიდ პროლეტარულ საბჭოს, მოუხდება რადაც უნდა დაჯდეს მისი განხორციელება.

მოსკოვის საბჭოს ათას ხუთასი წევრი, ამას მიუმატეთ მათი კანდიდატები, — აი ის აპარატი, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ ფართო მასიდან მიიღოთ ძალა და დაუღალავად ჩააბათ იგი ჯერ კიდევ გამოუცდელი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

მუშათა და გლეხთა მასებმა, რომლებმაც უნდა შექმნან მთელი ჩვენი სახელმწიფო, ახლა უნდა შექმნან სახელმწიფო კონტროლი. თქვენ მიიღებთ ამ აპარატს მუშათა და გლეხთა

მასების საშუალებით, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საშუალებით, რომელშიც არნახული სიძლიერით გაიღვიძა დამოუკიდებელმა სურვილმა, მზადყოფნამ და გადაწყვეტილებამ თვითონ მოჰკიდოს ხელი სახელმწიფო მართვა-გაძგეობის საქმეს. რაკიღა ომის გამოცდილებამ შეგვძინა ამის გაგება, ჩვენ დავაწინაურებთ ათასობით ადამიანებს, რომელთაც საბჭოთა სკოლა გაიარეს, უნარი შესწევთ მართონ სახელმწიფო. მუშათა ინსპექციაში თქვენ უნდა ჩააბათ ყველაზე მორიდებული და განუვითარებელი, ყველაზე მორცხვი მუშები და წინ წასწიოთ ისინი. დაე ამაღლდნენ ისინი ამ მუშაობაში. დაინახავენ რა იმას, თუ როგორ მონაწილეობს მუშათა ინსპექცია სახელმწიფო საქმეებში, დაე ისინი უმარტივესი სამუშაოებიდან, რის უნარიც კი მათ გააჩნიათ, — თავიდან მხოლოდ დამსწრეთა სახით, — შემდეგ თანდათანობით გადავიდნენ უფრო მნიშვნელოვან როლებზე სახელმწიფო საქმეებში. ფართო წყაროებიდან თქვენ მიიღებთ თანაშემწეებს, რომლებიც იკისრებენ სახელმწიფოებრივ ტვირთს, დაგეხმარებიან და იმუშავებენ. საჭიროა ათეულ ათასობით ახალი მოწინავე მუშა, დაეყრდნეთ უპარტიო მუშებს და გლეხებს, დაეყრდნეთ მათ, იმიტომ რომ ჩვენი პარტია უნდა დარჩეს ვიწრო პარტიად, რაკი ყოველი მხრიდან მტრებით არის გარშემორტყმული. იმ პერიოდში, როდესაც მტრული ელემენტები ბრძოლის, მოტყუებისა და პროვოკაციის ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ მიეტმასნონ პარტიას და გამოიყენონ ის ერთგვარი შეღავათიანი მდგომარეობა, რასაც მთავრობის პარტია იძლევა, უნდა ვიმოქმედოთ უპარტიოებთან კავშირში. კანონები მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ უფლებას იძლევიან სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში ჩავაბათ უპარტიო მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები და მათი კონფერენციები. ამ აპარატის სახით თქვენ გაქვთ ერთ-ერთი ისეთი საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ გაადიდოთ მუშათა და გლეხთა რაოდენობა, რათა რიგი წლების განმავლობაში გამარჯვება მოვიპოვოთ შინაურ ფრონტზე. ეს გამარჯვება ჯერ კიდევ დიდხანს ვერ იჩენს თავს ისე მარტივად, ისე გადაჭრით და ცხადად რო-

გორც სამხედრო ფრონტზე. ეს გამარჯვება მოითხოვს სიფ-ხიზლესა და ძალ-ღონის დახარჯვას, და თქვენ შეძლებთ მის უზრუნველყოფას იმით, რომ შეასრულებთ მოსკოვისა და მისი მიდამოების მშენებლობის ამოცანებს და დაეხმარებით ტრანსპორტის აღდგენის საერთო საქმეს, იმ საერთო სამეურ-ნეო ორგანიზაციის აღდგენის საქმეს, რომელიც დაგვეხმა-რება, რომ თავი დავაღწიოთ სპეკულანტების პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას და დავამარცხოთ კაპიტალიზმის ძველი ტრადიციები. დასანანი არაა, თუ ამას რამდენიმე წელს მოვანდომებთ. ასეთი პირობების დროსაც კი ამგვარი საზოგადოებრივი გარდაქმნები ჯერ კიდევ არნახულ რამედ აღმოჩნდება, და აქ ისეთი ამოცანების დასახვა, რომლებიც მოკლე დროისთვისაა გათვალისწინებული, დიდი შეცდომა იქნებოდა.

ნება მომეცით დავამთავრო იმ იმედისა და რწმენის გა-მოთქმით, რომ მოსკოვის განახლებული საბჭო, გაითვალის-წინებს რა მთელ იმ გამოცდილებას, რომელიც მოიპოვა წინა შემადგენლობამ სამოქალაქო ომის პროცესში, ახალ ძალებს მიიღებს ახალგაზრდობიდან და სამეურნეო მშენებლობის საქმეს ისე ენერგიულად და მტკიცედ, ისეთი შეუპოვრობით მოკიდებს ხელს, როგორითაც ჩვენ სამხედრო საქმეს ვკიდებ-დით ხელს, რათა მოვიპოვოთ არა ბრჭყვიალა, მაგრამ სამა-გიეროდ უფრო საფუძვლიანი და არსებითი გამარჯვებანი.

დაიბეჭდა 1921 წ. წიგნში: «მუშათა, გლეხთა და წითელარ-მიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები». მოსკოვი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზუ-ლებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 30, გვ. 494 — 502

ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები

(სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე) 1920 წ. 2 ოქტომბერი

(ლენინს მთელი ყრილობა მქუხარე ოვაციით შეხვდა.) ამხანაგებო, მე მინდა დღეს გესაუბროთ თემაზე, თუ როგორია კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძირითადი ამოცანები და, ამასთან დაკავშირებით — როგორი უნდა იყოს საზოგადოდ ახალგაზრდობის ორგანიზაციები სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ამ საკითხზე მით უფრო უნდა შევჩერდეთ, რომ გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას: სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა. ვინაიდან ცხადია, რომ მუშაკების ის თაობა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაშია აღზრდილი, უკეთეს შემთხვევაში შეძლებს გადაჭრას ექსპლოატაციაზე აგებული ძველი კაპიტალისტური ყოფაცხოვრების საფუძველთა მოსპობის ამოცანა. უკეთეს შემთხვევაში იგი შეძლებს გადაჭრას ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის ამოცანები, რომელიც პროლეტარიატსა და მშრომელ კლასებს დაეხმარებოდა თავიანთ ხელში შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და შეექმნათ მტკიცე საძირკველი, რომელზედაც შეუძლია შენება მხოლოდ იმ თაობას, რომელიც მუშაობას იწყებს უკვე ახალ პირობებში, ისეთ ვითარებაში, როცა ადამიანთა შორის ექსპლოატატორული ურთიერთობა აღარ არსებობს.

და აი, ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით ახალგაზრდობის ამოცანების საკითხს, უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ახალგაზრდობის და კერძოდ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირთა და ყოველგვარ სხვა ორგანიზაციათა ეს ამოცანები

შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოგვეხატა: ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვისწავლოთ.

გასაგებია, რომ ეს მხოლოდ «ერთი სიტყვაა». იგი ჯერ კიდევ არ გვაძლევს პასუხს მთავარ და ყველაზე არსებით კითხვებზე — რა ვისწავლოთ და როგორ ვისწავლოთ? აქ კი მთელი საქმე ის არის, რომ ძველი კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნასთან ერთად არ შეიძლება არ გარდაიქმნას და ძველებური დარჩეს იმ ახალ თაობათა სწავლა, აღზრდა და განათლება, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას შექმნიან. ახალგაზრდობის სწავლა, აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა. მხოლოდ მაშინ, თუ ძირფესვიანად გარდავქმნით სწავლის საქმეს, ახალგაზრდობის ორგანიზაციას და აღზრდას, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ ახალი თაობის მეცადინეობას შედეგად მოყვეს ძველისაგან განსხვავებული საზოგადოების, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების შექმნა. ამიტომ ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ იმ საკითხზე, რა უნდა ვასწავლოთ და როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ, თუ მას ნამდვილად სურს გაამართლოს კომუნისტური ახალგაზრდობის სახელწოდება, და როგორ უნდა მოვამზადოთ იგი, რათა მან შეძლოს ბოლომდე ააშენოს და დაასრულოს, ის რაც ჩვენ დავიწყეთ.

მე უნდა გითხრათ, რომ, თითქოს, პირველი და ყველაზე უფრო ბუნებრივი პასუხი ის არის, რომ ახალგაზრდობის კავშირმა და საზოგადოდ მთელმა ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, უნდა ისწავლოს კომუნიზმი.

მაგრამ ეს პასუხი — «ისწავლოს კომუნიზმი» — მეტად ზოგადი პასუხია. რა გვესაჭიროება ჩვენ იმისათვის, რომ კომუნიზმი ვისწავლოთ? რა უნდა გამოვყოთ საერთო ცოდნათა ჯამიდან, რომ კომუნიზმის ცოდნა შევიძინოთ? აქ ჩვენ

მოგველის მრავალი საფრთხე, რომელიც ძალიან ხშირად იჩენს ხოლმე თავს, როგორც კი კომუნიზმის სწავლის ამოცანას არასწორად აყენებენ, ანდა როდესაც იგი მეტად ცალმხრივად აქვთ გაგებული.

ბუნებრივია, რომ პირველი შეხედვით ადამიანს ის აზრი ებადება, თითქოს კომუნიზმის სწავლა ნიშნავდეს ცოდნათა იმ ჯამის შეთვისებას, რაც გადმოცემულია კომუნისტურ სახელმძღვანელოებში, ბროშურებსა და შრომებში. მაგრამ კომუნიზმის შესწავლის ასეთი განსაზღვრა მეტად უხეში და არასაკმარისი იქნებოდა. კომუნიზმის შესწავლა რომ მარტო იმის შეთვისება იყოს, რაც კომუნისტურ შრომებში, წიგნაკებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მაშინ ძალიან ადვილად მივიღებდით კომუნისტურ მედავითნეებს ან მკვეხარებს. ეს კი ყოველ ნაბიჯზე ვნებას და ზიანს მოგვიტანდა, რადგან ეს ადამიანები, რომელნიც ისწავლიდნენ და გადაიკითხავდნენ იმას, რაც კომუნისტურ წიგნებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მთელი ამ ცოდნის შეერთების უნარს მოკლებული იქნებოდნენ და ვერ იმოქმედებდნენ ისე, როგორც ამას ნამდვილად მოითხოვს კომუნიზმი.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება და უბედურება, რაც ჩვენ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან დაგვრჩა, — ეს არის წიგნის სრული გათიშვა ცხოვრების პრაქტიკისაგან, ვინაიდან ჩვენ გვქონდა წიგნები, სადაც ყველაფერი საუცხოოდ იყო შეფერადებული, და ეს წიგნები, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენდნენ უსაზიზღრეს თვალთმაქცურ სიცრუეს, რომელიც ყალბად გვიხატავდა კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ამიტომ უბრალო მწიგნობრული შეთვისება იმისა, რაც ნათქვამია წიგნებში კომუნიზმის შესახებ, მეტისმეტად არასწორი იქნებოდა. ახლა ჩვენს სიტყვებსა და სტატიებში არაა იმის უბრალო განმეორება, რასაც წინათ კომუნიზმის შესახებ ამბობდნენ, რადგან ჩვენი სიტყვები და სტატიები დაკავშირებულია ყოველდღიურ და ყოველმხრივ მუშაობასთან. მუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის მწიგნობრული ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერები-

დან სრულებით არაფრად არა ღირს, რადგან ის განაგრძობ-და ძველებურ გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის. იმ ძველებურ გათიშვას, რომელიც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე საძაგელ თვისებას შეადგენდა.

კიდევ უფრო საშიში იქნებოდა, მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების შეთვისება რომ დაგვეწყო. თუ ჩვენ ამ საშიშროებას თავის დროზე ვერ შევიგნებდით და მთელ ჩვენს მუშაობას ამ საშიშროების მოსპობისაკენ არ მივმართავდით, მაშინ ნახევარი მილიონი თუ მილიონი ისეთი ადამიანის — ახალგაზრდა ვაჟებისა და ქალიშვილების — არსებობა, რომელნიც კომუნიზმის ასეთი შესწავლის შემდეგ თავისთავს კომუნისტებს უწოდებდნენ, მხოლოდ უდიდეს ზიანს მოუტანდა კომუნიზმის საქმეს.

აქ ჩვენს წინაშე დგება საკითხი: როგორლა უნდა შევაერთოთ ყოველივე ეს კომუნიზმის შესასწავლად? რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან, ძველი მეცნიერებიდან? ძველი სკოლა აცხადებდა, რომ მას სურს შექმნას ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, რომ ის ასწავლის მეცნიერებებს საზოგადოდ. ჩვენ ვიცით, რომ ეს მთლიანად სიცრუე იყო, ვინაიდან მთელი საზოგადოება ადამიანების კლასებად, ექსპლოატატორებად და ჩაგრულებად დაყოფაზე იყო დაფუძნებული და დაყრდნობილი. ბუნებრივია, რომ მთელი ძველი სკოლა, მთლიანად და სავსებით კლასობრივი სულით გაჟღენთილი, ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის შვილებს აძლევდა. ყოველი მისი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესებისადმი იყო შეგუებული. ამ სკოლებში მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობას იმდენად არ ზრდიდნენ, რამდენადაც იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ გეშავდნენ. მათ ზრდიდნენ ისე, რომ შეექმნათ ბურჟუაზიისათვის გამოსადეგი მსახურნი, რომელნიც მას მოგებას მისცემდნენ და ამავე დროს არ შეაშფოთებდნენ მის მოსვენებასა და უსაქმურ ცხოვრებას, ამიტომ, უარვყავით რა ძველი სკოლა, ჩვენ ამოცანად დავისახეთ ავიღოთ მისგან მხოლოდ ის, რაც გვჭირდება იმისათვის, რომ ნამდვილ კომუნისტურ განათლებას მივაღწიოთ.

აქ მე მივადექი ძველი სკოლის მიმართ იმ საყვედურს, იმ ბრალდებებს, რაც მუდამ გვესმის და რაც ხშირად სრულიად მცდარ გაგებას იწვევს. ამბობენ, ძველი სკოლა დასწავლის სკოლა, წვრთნისა და ზეპირობის სკოლა იყოო. ეს მართალია, მაგრამ მაინც უნდა შეგვეძლოს იმის გარჩევა, თუ რა იყო ძველ სკოლაში ცუდი და რა იყო სასარგებლო ჩვენთვის, უნდა შეგვეძლოს იქიდან იმის ამორჩევა, რაც საჭიროა კომუნიზმისათვის.

ძველი სკოლა დასწავლის სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა. მაგრამ თქვენ უდიდეს შეცდომას ჩაიდენდით, თუ აქედან იმ დასკვნის გამოყვანას შეეცდებოდით, თითქოს კომუნისტად გახდომა შეიძლებოდეს იმის შეუთვისებლად, რაც კაცობრიობის ცოდნას დაუგროვებია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საკმარისი იყოს მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების, კომუნისტური მეცნიერების დასკვნების შეთვისება, იმ ცოდნათა ჯამის შეუთვისებლად, რომელთა შედეგიცაა თვით კომუნიზმი. იმის ნიმუშს, თუ როგორ წარმოიშვა კომუნიზმი კაცობრიობის ცოდნათა ჯამიდან, წარმოადგენს მარქსიზმი.

თქვენ წაგიკითხავთ და გაგიგონიათ, რომ კომუნისტური თეორია, კომუნისტური მეცნიერება, რომელიც უმთავრესად მარქსის მიერ არის შექმნილი, მარქსიზმის ეს მოძღვრება აღარ არის XIX საუკუნის ერთი, თუნდაც გენიალური, სოციალისტის შემოქმედება, რომ ეს მოძღვრება იქცა მთელი მსოფლიოს მილიონობით და ათეულ მილიონობით პროლეტართა მოძღვრებად, რომელნიც ამ მოძღვრებას იყენებენ თავიანთ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. და თქვენ რომ ასეთი კითხვა დაგესვათ: რატომ შეძლო მარქსის მოძღვრებამ ყველაზე რევოლუციური კლასის მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანთა გულის დაპყრობა, — მიიღებდით ერთადერთ პასუხს: ეს მოხდა იმიტომ, რომ მარქსი ემყარებოდა კაპიტალიზმის

დროს მოპოვებული კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს; შეისწავლა რა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები, მარქსმა გაიგო გარდუვალობა კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყავართ, და, რაც მთავარია, მარქსმა ეს მხოლოდ იმით დაამტკიცა, რომ უაღრესად ზუსტად, უაღრესად დეტალურად, უაღრესად ღრმად შეისწავლა ეს კაპიტალისტური საზოგადოება, სრულად შეითვისა ყოველივე ის, რაც წინანდელმა მეცნიერებამ მოგვცა. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არც ერთი პუნქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანის გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მუშათა მოძრაობით შეამოწმა და გამოიყვანა ის დასკვნები, რომელთა გამოყვანაც არ შეეძლოთ ბურჟუაზიული ჩარჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუაზიული ცრურწმენებით შებოჭილ ადამიანებს.

ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში, როცა ჩვენ, მაგალითად, პროლეტარულ კულტურაზე ვლაპარაკობთ. თუ ნათლად არ შევიგნეთ ის, რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. პროლეტარული კულტურა არ არის საიდანღაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელეური საზოგადოების უღელქვეშ. ყველა ამ გზასა და ბილიკს მივყავდით, მივყავართ და კვლავაც მიგვიყვანს პროლეტარულ კულტურასთან ისევე, როგორც მარქსის მიერ გადამუშავებულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა ის, თუ სად უნდა მივიდეს ადამიანთა საზოგადოება,

მიგვითითა გადასვლა კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარული რევოლუციის დასაწყისზე.

როცა ჩვენ ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შორისაც და ახალი განათლების ზოგიერთ დამცველთა შორისაც ხშირად გვესმის ძველი სკოლის ძაგება — ძველი სკოლა ზეპირობის სკოლა იყოო, ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ ძველი სკოლიდან უნდა ავიღოთ ის, რაც მასში კარგი იყო. ჩვენ არ უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან ის, რაც ახალგაზრდა ადამიანის მეხსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი — დამახინჯებული; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ კომუნისტური დასკვნებით და დავიზეპიროთ მარტო კომუნისტური ლოზუნგები. ამით კომუნიზმს ვერ შექმნი. კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ჩვენთვის ზეპირობა საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყოველი მოსწავლის მეხსიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით, ვინაიდან კომუნიზმი უშინაარსობად გადაიქცევა, ცარიელ აბრად გადაიქცევა, კომუნისტი მხოლოდ უბრალო მკვეხარა იქნება, თუ მის შეგნებაში არ გადამუშავდა მთელი მიღებული ცოდნა. თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის, არამედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად მიუდგეთ, კი არ დატვირთოთ თქვენი გონება იმ ხარახურით, რომელიც საჭირო არაა, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც შეუძლებელია იყოს თანამედროვე განათლებული ადამიანი. კომუნისტმა რომ განიზრახოს კომუნიზმით ტრაბახი მზამზარეულად მიღებული დასკვნების საფუძველზე, უაღრესად სერიოზული, ძნელი და დიდი მუშაობის გაუწევლად, იმ ფაქტებში გაურკვევლად, რომელთაც ის ვალდებულია კრიტიკულად მოეპყრას, — ასეთი კომუნისტი მეტად შესაბრალისი იქნებოდა. და ასეთი ზერელობა პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა. თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივაღწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგ-

რამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც არის საჭირო რაიმე მტკიცედ ვიცოდეო, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამოვა რა.

ძველი სკოლა ქმნიდა კაპიტალისტებისათვის საჭირო მსახურთ, ძველი სკოლა მეცნიერების მუშაკებს ისეთ ადამიანებად აქცევდა, რომელთაც ისე უნდა ეწერნათ და ელაპარაკნათ, როგორც კაპიტალისტებს ნებავდათ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ეს სკოლა თავიდან უნდა მოვიშოროთ. მაგრამ ჩვენ თუ ის თავიდან უნდა მოვიშოროთ, ჩვენ თუ ის უნდა დავანგრიოთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არ უნდა ავიღოთ მისგან ყოველივე ის, რაც კაცობრიობას დაუგროვებია ადამიანთათვის საჭირო? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ვერ უნდა გავარჩიოთ, რა იყო საჭირო კაპიტალიზმისათვის და რა არის საჭირო კომუნიზმისათვის?

ძველებური წვრთნის ნაცვლად, რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ტარდებოდა უმრავლესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ჩვენ ვაყენებთ მუშებისა და გლეხების შეგნებულ დისციპლინას, რომელნიც ძველი საზოგადოებისადმი სიძულვილთან ერთებენ გამბედაობას, უნარსა და მზადყოფნას — გააერთიანონ და დარაზმონ ძალები ამ ბრძოლისათვის, რათა დაქსაქსული, დაქუცმაცებული, უზარმაზარი ქვეყნის სივრცეზე გაფანტული მილიონებისა და ასეული მილიონების ნებისყოფისაგან შექმნან ერთიანი ნებისყოფა, ვინაიდან ეს ერთიანი ნებისყოფა თუ არ იქნა, ისე ჩვენ აუცილებლად დავმარცხდებით. თუ არ იქნა მუშათა და გლეხთა ეს დარაზმულობა, ეს შეგნებული დისციპლინა, ისე ჩვენი საქმე უიმედოა. უამისოდ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებისა და მემამულეების დამარცხებას ჩვენ ვერ შევძლებთ. უამისოდ ჩვენ საძირკველსაც კი ვერ დავამაგრებთ, არათუ ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას ავაშენებთ ამ საძირკველზე. ამნაირადვე, როცა ჩვენ უარვყოფთ ძველ სკოლას, როცა ვგრძნობთ სრულიად კანონიერ და აუცილებელ სიძულვილს ამ ძველი სკოლისადმი, როცა ვაფასებთ ძველი სკოლის დანგრევისათვის მზადყოფნას, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ძველი სწავლის, ძველი ზეპირობის, ძველი წვრთნის ნაცვლად უნდა დავა-

ყენოთ უნარი კაცობრიული ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, ისე შეთვისებისა, რომ კომუნიზმი რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოგივიდეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ თქვენ მიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით.

აი როგორ უნდა დავაყენოთ ძირითადი ამოცანები, როცა კომუნიზმის შესწავლის ამოცანაზე ვლაპარაკობთ.

ეს რომ განგიმარტოთ და ამავე დროს იმ საკითხს მივუახლოვდეთ, თუ როგორ ვისწავლოთ, მე ავიღებ პრაქტიკულ მაგალითს. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენს წინაშე სამხედრო ამოცანების, რესპუბლიკის დაცვის ამოცანების შემდეგ მაშინვე სამეურნეო ამოცანა დგება. ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია, თუ არ აღვადგინეთ მრეწველობა და მიწათმოქმედება, ამასთანავე ისინი უნდა აღვადგინოთ არა ძველებურად, ისინი უნდა აღვადგინოთ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ თანამედროვე საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ეს საფუძველი ელექტრობაა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ყველა დარგის ელექტროფიკაცია მოხდება, როცა თქვენ ამ ამოცანას აითვისებთ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ ააშენოთ თქვენთვის ის კომუნისტური საზოგადოება, რომლის აშენებას ვერ შეძლებს ძველი თაობა. თქვენს წინაშე დგას მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ამოცანა, რეორგანიზაცია, აღდგენა მიწათმოქმედებისაც და მრეწველობისაც თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას, ტექნიკას, ელექტრობას ეყრდნობა. თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ელექტროფიკაციისათვის წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი არ გამოდგება, და აქ უბრალო წერა-კითხვის ცოდნა არ კმარა. აქ საკმარისი არაა იცოდეთ, თუ რა არის ელექტრობა; უნდა იცოდეთ, ტექნიკურად როგორ გამოიყენოთ იგი მრეწველობაშიც, მიწათმოქმედებაშიც, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკეულ დარგებშიც. ეს თვითონ უნდა ის-

წავლოთ, ეს უნდა ასწავლოთ მთელ მოზარდ მშრომელ თაობას. აი რა ამოცანა დგას ყოველი შეგნებული კომუნისტის, ყოველი ახალგაზრდა ადამიანის წინაშე, რომელიც თავს კომუნისტად თვლის და რომელსაც ნათლად აქვს შეგნებული, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში შესვლით მან იკისრა ამოცანა — დაეხმაროს პარტიას კომუნიზმის შენებაში და დაეხმაროს მთელ ახალგაზრდა თაობას, კომუნისტური საზოგადოების შექმნაში. მან უნდა შეიგნოს, რომ -მხოლოდ თანამედროვე განათლების საფუძველზე შეუძლია მას ამის შექმნა, და თუ მას ეს განათლება არ ექნება, კომუნიზმი მარტო სურვილად დარჩება.

წინა თაობის ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიის დამხობა. მაშინ მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიის კრიტიკა, მასებში მისდამი სიძულვილის გაღვივება, კლასობრივი შეგნების, თავისი ძალების დარაზმვის უნარის განვითარება. ახალი თაობის წინაშე უფრო რთული ამოცანა დგას. არ კმარა, რომ მთელი თქვენი ძალები უნდა გააერთიანოთ, რათა მხარი დაუჭიროთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ. ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. ეს თქვენ ჩინებულად გაიგეთ, ეს ნათლად აქვს წარმოდგენილი კომუნისტს. მაგრამ ეს საკმარისი არაა. თქვენ უნდა ააშენოთ კომუნისტური საზოგადოება. საქმის პირველი ნახევარი მრავალი მხრივ გაკეთებულია. ძველი დანგრეულია ისე, როგორც საჭირო იყო მისი დანგრევა; ის წარმოადგენს ნანგრევებს ისე, როგორც საჭირო იყო მ-სი ნანგრევებად ქცევა. ნრადაგი გაწმენდილია, და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტურმა თაობამ უნდა აშენოს კომუნისტური საზოგადოება. თქვენს წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, თუ დაეუფლებით მთელ თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ, — რომ კომუნიზმი მზამზარეული დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევა-დარიგებებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადააქციოთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

აი თქვენი ამოცანა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეთ თქვენ მთელი ახალგაზრდა თაობის განათლების, აღზრდის, ამაღლების საქმეში. თქვენ უნდა იქნეთ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებელნი იმ მილიონობით მშენებელთა შორის, რომელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი ახალგაზრდა კაცი, ყოველი ახალგაზრდა ქალი. თუ კომუნიზმის ამ მშენებლობაში არ იქნა ჩაბმული მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მთელი მასა, ისე თქვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვერ ააშენებთ.

აქ მე ბუნებრივად ვუახლოვდები იმ საკითხს, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ კომუნიზმი, რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი ხერხების თავისებურება.

აქ უწინდრეს ყოვლისა კომუნისტური მორალის საკითხზე შევჩერდები.

თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები. საჭიროა რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.

მაგრამ არსებობს თუ არა კომუნისტური მორალი? არსებობს თუ არა კომუნისტური ზნეობა? რა თქმა უნდა, არსებობს. ხშირად საქმეს ისე წარმოიდგენენ, თითქოს ჩვენ არ გვქონდეს ჩვენი მორალი, და ძალიან ხშირად ბურჟუაზია ბრალს გვდებს, თითქოს ჩვენ, კომუნისტები, უარვყოფდეთ ყოველგვარ მორალს. ეს ცნებათა აღრევის ხერხია, მუშებისა და გლეხებისათვის თვალისახვევაა.

რა აზრით უარვყოფთ ჩვენ მორალს, უარვყოფთ ზნეობას?

იმ აზრით, რა აზრითაც ქადაგებდა მას ბურჟუაზია, რომელსაც ეს ზნეობა ღვთის ნებიდან გამოყავდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ვამბობთ, რომ ღმერთი არა გვწამს, და ძალიან კარგად ვიცით, რომ ღმერთის სახელით ლაპარა-

კობდა სამღვდელოება, ლაპარაკობდნენ მემამულენი, ლაპარაკობდა ბურჟუაზია, რათა გაეტარებინათ თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები. ანდა, ნაცვლად იმისა, რომ ეს მორალი გამოეყვანათ ზნეობის კარნახიდან, ღმერთის ნებიდან, მათ ის გამოყავდათ იდეალისტური თუ ნახევრადიდეალისტური ფრაზებიდან, რომლებიც ყოველთვის იმასვე ნიშნავდა, რაც ძალიან მიაგავს ღმერთის ნებას.

ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ასეთ ზნეობას, რომელიც აღებულია გარეშეკაცობრიული, გარეშეკლასობრივი ცნებიდან. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მოტყუებაა, გაბრიყვებაა, მუშათა და გლეხთა ჭკუის დაჩლუნგებაა მემამულეებისა და კაპიტალისტების სასარგებლოდ.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ზნეობა სავსებით ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან.

ძველი საზოგადოება ემყარებოდა მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ ყველა მუშისა და გლეხის ჩაგვრას. ჩვენ ეს უნდა დაგვენგრია, საჭირო იყო ჩამოგვეგდო ისინი, მაგრამ ამისათვის საჭიროა გაერთიანების შექმნა. ღმერთი ასეთ გაერთიანებას ვერ შექმნის.

ასეთი გაერთიანება შეეძლოთ შეექმნათ მხოლოდ ფაბრიკებს, ქარხნებს, მხოლოდ პროლეტარიატს, გაწვრთნილს და დიდი ხნის ძილისაგან გამოღვიძებულს. მხოლოდ მაშინ, როცა ეს კლასი შეიქმნა, მხოლოდ მაშინ დაიწყო მასობრივი მოძრაობა, რომელსაც მოყვა ის, რასაც ახლა ვხედავთ: პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ქვეყანაში, რომელიც სამი წელიწადია თავს იცავს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის შემოტევისაგან. და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იზრდება პროლეტარული რევოლუცია მთელ მსოფლიოში. ჩვენ ახლა გამოცდილების საფუძველზე ვამბობთ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო შეექმნა ისეთი დარაზმული ძალა, რომელსაც მიყვება დაქსაქსული, დაქუცმაცებული გლეხობა და რომელმაც გაუძლო ექსპლოატატორთა ყველა შემოტევას. მხოლოდ ამ კლასს შეუძლია

დაეხმაროს მშრომელ მასებს — გაერთიანდნენ, შეკავშირდნენ და საბოლოოდ დაიცვან, საბოლოოდ განამტკიცონ კომუნისტური საზოგადოება, საბოლოოდ ააშენონ იგი.

აი რატომ ვამბობთ ჩვენ: ჩვენთვის არ არსებობს ზნეობა, აღებული ადამიანთა საზოგადოების გარეშე; ეს მოტყუებაა. ჩვენთვის ზნეობა ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.

ხოლო რაში მდგომარეობს ეს კლასობრივი ბრძოლა? ესაა — მეფის ჩამოგდება, კაპიტალისტების ჩამოგდება, კაპიტალისტთა კლასის მოსპობა.

ხოლო რა არის კლასები საერთოდ? ეს ისაა, რაც საზოგადოების ერთ ნაწილს საშუალებას აძლევს მიითვისოს მეორე ნაწილის შრომა. თუ საზოგადოების ერთი ნაწილი ითვისებს მთელ მიწას, მაშინ ჩვენ გვყავს მემამულეთა და გლეხთა კლასები. თუ საზოგადოების ერთ ნაწილს აქვს ფაბრიკები და ქარხნები, აქვს აქციები და კაპიტალი, ხოლო მეორე ნაწილი მუშაობს ამ ფაბრიკებში, — მაშინ ჩვენ გვყავს კაპიტალისტთა და პროლეტართა კლასები.

მეფის გაგდება ძნელი არ იყო, — ამას სულ რამდენიმე დღე დასჭირდა. ძალიან ძნელი არ იყო მემამულეების გაგდება, — ეს შეიძლებოდა რამდენიმე თვეში გაკეთებულიყო; ძალიან ძნელი არც კაპიტალისტების გაგდებაა. მაგრამ კლასების მოსპობა შეუდარებლად უფრო ძნელია; მუშებად და გლეხებად დაყოფა ისევ დარჩენილია. თუ გლეხი ზის მიწის ცალკე ნაკვეთზე და ითვისებს ზედმეტ პურს, ე. ი. პურს, რომელიც არ სჭირდება არც მას, არც მის პირუტყვს, ხოლო ყველა დანარჩენი უპუროდ რჩება, — მაშინ გლეხი უკვე ექსპლოატატორი ხდება. რაც უფრო მეტ პურს იტოვებს ის, მით უფრო ხელსაყრელია მისთვის, სხვებმა კი დაე იშიმშილონ: «რაც უფრო მეტს შიმშილობენ ისინი, მით უფრო ძვირად გავყიდი ამ პურსო». საჭიროა, რათა ყველა მუშაობდეს ერთი საერთო გეგმით საერთო მიწაზე, საერთო ფაბრიკებსა და ქარხნებში და საერთო განრიგით. მერედა, ადვილია ამის გაკეთება? თქვენ ხედავთ, რომ აქ საქმის მოგვარება ისე ადვილი არ არის, როგორც მეფის, მემამულეებისა და კაპი-

ტალისტების გაგდება. აქ საჭიროა, რათა პროლეტარიატმა ხელახლა აღზარდოს, გარდაქმნას გლეხების ნაწილი, თავის მხარეზე გადმოიყვანოს ისინი, ვინც მშრომელი გლეხებია, რათა მოსპოს იმ გლეხების წინააღმდეგობა, რომელნიც მდიდრები არიან და ჯიბეს ისქელებენ დანარჩენების გაჭირვებით. მაშასადამე, პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა იმით, რომ მეფე ჩამოვაგდეთ, მემამულეები და კაპიტალისტები განვდევნეთ, და სწორედ მის დამთავრებაში მდგომარეობს იმ წყობილების ამოცანა, რომელსაც ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურას ვუწოდებთ.

კლასობრივი ბრძოლა გრძელდება; მან მხოლოდ თავისი ფორმები შეიცვალა. ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა იმისათვის, რომ ძველი ექსპლოატატორები ვეღარ დაბრუნდნენ, რომ ერთ კავშირში გაერთიანდეს შეუგნებელი გლეხობის დაქსაქსული მასა. კლასობრივი ბრძოლა გრძელდება, და ჩვენი ამოცანაა მთელი ინტერესები დავუმორჩილოთ ამ ბრძოლას. და ჩვენც ამ ამოცანას ვუმორჩილებთ ჩვენს კომუნისტურ ზნეობას. ჩვენ ვამბობთ: ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ქმნის.

კომუნისტური ზნეობა — ეს ის ზნეობაა, რომელიც ემსახურება ამ ბრძოლას, რომელიც მშრომელებს აერთიანებს ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ყოველგვარი წვრილი საკუთრების წინააღმდეგ, ვინაიდან წვრილი საკუთრება ერთ პიროვნებას აძლევს იმას, რაც მთელი საზოგადოების შრომას შეუქმნია. მიწა ჩვენში საზოგადო საკუთრებად ითვლება.

მაგრამ თუ მე ამ საზოგადო საკუთრებიდან განსაზღვრულ ნაკვეთს ვიღებ, მომყავს მასზე ორჯერ მეტი პური, ვიდრე მესაჭიროება, და ნაჭარბი პურით სპეკულაციას ვეწევი? თუ მე ვმსჯელობ, რომ რაც უფრო მეტი იქნება მშიერი, მით უფრო მეტს მომცემენ? განა მაშინ მე ისე ვიქცევი, როგორც კომუნისტი? არა, ისე ვიქცევი, როგორც ექსპლოატატორი,

როგორც მესაკუთრე. ამას უნდა ვებრძოლოთ. თუ ამას ასე დავტოვებთ, მაშინ ყველაფერი უკან დაქანდება, კაპიტალისტების ხელისუფლებისაკენ, ბურჟუაზიის ხელისუფლებისაკენ, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა წინანდელ რევოლუციებში. და შეუძლებელი რომ გავხადოთ კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების კვლავ აღდგენა, ამისათვის საჭიროა აღარ დავუშვათ ჩარჩობა, ამისათვის საჭიროა, **რათა ცალკე** პირები არ მდიდრდებოდნენ დანარჩენების **ხარჯზე,** ამისათვის საჭიროა, რათა მშრომელნი მჭიდროდ შეუკავშირდნენ პროლეტარიატს და შეადგინონ კომუნისტური **საზოგადოება.** სწორედ ეს არის მთავარი თავისებურება იმისა, **რაც** კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა და ორგანიზაციის ძირითად ამოცანას შეადგენს.

ძველი საზოგადოება დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა. და გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებენ ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას — ან მონათმფლობელი, ან მონა, ან წვრილი მესაკუთრე, წვრილი მოსამსახურე, წვრილი მოხელე, ინტელიგენტი, — ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელიც მარტო იმაზე ზრუნავს, რომ თავისი ჰქონდეს, სხვისი ჯავრი კი არა აქვს.

თუ მე მეურნეობას ვეწევი ამ ნაკვეთ მიწაზე, სხვას აღარავის დავეძებ; თუ სხვა იშიმშილებს, მით უკეთესია, — უფრო ძვირად გავყიდი ჩემს პურს. თუ მე მაქვს ჩემი ადგილი, როგორც ექიმს, ინჟინერს, მასწავლებელს, მოსამსახურეს, — სხვას აღარავის დავეძებ. ძლიერთათვის ხელის შეწყობით, მათი გულის მოგებით იქნებ შევინარჩუნო ჩემი ადგილი, დავწინაურდე კიდეც, ბურჟუა გავხდე. ასეთი ფსიქოლოგია და ასეთი სულისკვეთება შეუძლებელია კომუნისტს ჰქონდეს. როდესაც მუშებმა და გლეხებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენ საკუთარი ძალ-ღონით შეგვიძლია თავი დავიცვათ და ახალი საზოგადოება შევქმნათ, აი სწორედ მაშინ დაიწყო ახალი კომუნისტური აღზრდა, აღზრდა ექსპლოატა-

ტორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აღზრდა პროლეტარიატთან კავშირში, ეგოისტებისა და წვრილი მესაკუთრეების წინააღმდეგ, იმ ფსიქოლოგიისა და იმ ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომელიც ამბობს: მე ჩემს მოგებას ვესწრაფვი, დანარჩენთან კი არა მესაქმება რაო.

აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა სწავლობდეს კომუნიზმს მოზარდი ახალი თაობა.

მას მხოლოდ იმით შეუძლია ისწავლოს კომუნიზმი, თუ თავისი სწავლის, აღზრდისა და განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტართა და მშრომელთა განუწყვეტელ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ. როდესაც გველაპარაკებიან ზნეობის შესახებ, ჩვენ ვამბობთ: კომუნისტისათვის მთელი ზნეობა ამ შეკავშირებულ სოლიდარულ დისციპლინაში და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შეგნებულ მასობრივ ბრძოლაში მდგომარეობს. ჩვენ მარადიული ზნეობა არა გვწამს და ვააშკარავებთ ზნეობის შესახებ ყოველგვარი ზღაპრების სიცრუეს. ზნეობა იმას ემსახურება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს, განთავისუფლდეს შრომის ექსპლოატაციისაგან.

ამის განსახორციელებლად საჭიროა ახალგაზრდობის ის თაობა, რომელმაც შეგნებულ ადამიანებად გახდომა იწყო ბურჟუაზიასთან თავგანწირული დისციპლინირებული ბრძოლის პირობებში. ამ ბრძოლაში აღზრდის ის ნამდვილ კომუნისტებს, ამ ბრძოლას უნდა დაუმორჩილოს და დაუკავშიროს მან ყოველი ნაბიჯი თავისი სწავლის, განათლებისა და აღზრდის საქმეში. კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ მას მოასმენინონ ყოველგვარი დამტკბობელი სიტყვები და წესები ზნეობის შესახებ. ეს არ არის აღზრდა. როდესაც ადამიანები ხედავდნენ, როგორ გმინავდნენ მათი მამები და დედები მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელქვეშ, როცა ისინი თვითონ მონაწილეობდნენ იმ ტანჯვა-წვალებაში, რომელიც თავს ატყდებოდა იმათ, ვინც ბრძოლას იწყებდა ექსპლოატატორების წინააღმდეგ, როცა ისინი ხედავდნენ, თუ რაოდენ მსხვერპლს მოითხოვდა ამ ბრძოლის განგრძობა მონაპოვრის შესანარ-

ჩუნებლად, რა გააფთრებულ მტერს წარმოადგენენ მემამულენი და კაპიტალისტები, — მაშინ ამგვარ პირობებში ეს ადამიანები კომუნისტებად იზრდებიან. კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რა არის კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლის საფუძველიც. აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ რანაირად უნდა ვისწავლოთ კომუნიზმი.

ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას, ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი. სანამ მუშები და გლეხები დაჩაგრული არიან მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ, სანამ სკოლები მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელშია, ახალგაზრდა თაობა ბრმა და ბნელი რჩება. ჩვენი სკოლა კი ახალგაზრდობას უნდა აძლევდეს ცოდნის საფუძვლებს, აძლევდეს უნარს თვითონ შეიმუშაოს კომუნისტური შეხედულებანი, უნდა ჰქმნიდეს მათგან განათლებულ ადამიანებს. ჩვენმა სკოლამ იმ ხნის განმავლობაში, როცა ადამიანები იქ სწავლობენ, ისინი ექსპლოატატორთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილეებად უნდა გახადოს. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას, — რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია, — თუ იგი თავისი სწავლის, აღზრდის, განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ყველა მშრომელის საერთო ბრძოლაში მონაწილეობას. ვინაიდან თქვენ მშვენივრად იცით, რომ სანამ რუსეთი ერთადერთ მუშურ რესპუბლიკად რჩება, ხოლო მთელ დანარჩენ მსოფლიოში ძველი ბურჟუაზიული წესწყობილება არსებობს, ჩვენ მათზე სუსტნი ვართ; რომ ყოველთვის გვემუქრება ახალი შემოტევა; რომ მხოლოდ მაშინ, თუ ვისწავლით მჭიდროდ შეკავშირებას და ერთსულოვნებას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ შემდგომ ბრძოლაში, და, გავმაგრდებით რა, მართლაც უძლეველნი გავხდებით. ამრიგად, კომუნისტად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ რაზმავდე და აერთიანებდე მთელ მოზარდ თაობას, აღზრდისა და დისციპლინის მაგალითს აძლევდე ამ ბრძოლაში. მაშინ

შეძლებთ თქვენ დაიწყოთ და ბოლომდე მიიყვანოთ კომუნისტური საზოგადოების შენობის აგება.

ეს რომ უფრო ნათელი გახდეს თქვენთვის, მოვიყვან მაგალითს. ჩვენ კომუნისტებს ვეძახით ჩვენს თავს. რა არის კომუნისტი? კომუნისტი ლათინური სიტყვაა. კომუნის — ნიშნავს საზოგადოს. კომუნისტური საზოგადოება ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი საზოგადოა: მიწა, ფაბრიკები, საერთო შრომა, — აი რა არის კომუნიზმი.

ხოლო შეიძლება კი შრომა საზოგადო იყოს, თუ თვითეული ადამიანი თავის მეურნეობას განცალკევებულ ნაკვეთ მიწაზე ეწევა? საერთო შრომას ერთბაშად ვერ შექმნი. ეს შეუძლებელია. ეს ციდან არ ვარდება. ეს ჯაფით, ტანჯვით უნდა მოიპოვო, შექმნა. ეს ბრძოლის მსვლელობაში იქმნება. ეს ძველი წიგნი როდია — წიგნს არავინ დაუჯერებდა. აქ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებაა. როდესაც კოლჩაკი და დენიკინი ციმბირიდან და სამხრეთიდან მოდიოდნენ, გლეხები მათ მხარეზე იყვნენ. ბოლშევიზმი მათ არ მოსწონდათ, რადგანაც ბოლშევიკებს პური მტკიცე ფასებში მიაქვთ. ხოლო როცა გლეხებმა ციმბირსა და უკრაინაში გამოსცადეს კოლჩაკისა და დენიკინის ხელისუფლება, მათ შეიგნეს, რომ გლეხს არჩევანი აღარ დარჩენია: ან წადი კაპიტალისტთან და ის მემამულეს მისცემს მონად შენს თავს, ან გაყევი მუშას, რომელიც, მართალია, რძის მდინარეს და თაფლის ნაპირებს არ გპირდება, რომელიც მოითხოვს შენგან რკინისებურ დისციპლინას და სიმტკიცეს მძიმე ბრძოლაში, მაგრამ განთავისუფლებს შენ კაპიტალისტებისა და მემამულეების მონობისაგან. როდესაც შეუგნებელმა გლეხებმაც კი გაიგეს და დაინახეს ეს საკუთარი გამოცდილებით, მაშინ ისინი კომუნიზმის შეგნებული, მძიმე სკოლაგამოვლილი მომხრეები გახდნენ. სწორედ ასეთი გამოცდილება უნდა დაუდვას საფუძვლად მთელ თავის მოღვაწეობას ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა.

მე ვუპასუხე იმ კითხვებზე, თუ რა უნდა ვისწავლოთ, რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან და ძველი მეცნიერებიდან. მე ვეცდები იმ კითხვაზეც ვუპასუხო, თუ როგორ უნდა ვის-

წავლოთ ეს: მხოლოდ იმით, რომ თვითეული ნაბიჯი ჩვენი მოქმედებისა სკოლაში, აღზრდის, განათლებისა და სწავლის თვითეული ნაბიჯი განუყრელად დავუკავშიროთ ყველა მშრომელის ბრძოლას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ახალგაზრდობის ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან აღებული რამდენიმე მაგალითით მე თქვენ თვალსაჩინოდ დაგანახვებთ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს კომუნიზმის ეს აღზრდა. ყველა ლაპარაკობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. თქვენ იცით, რომ წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენება არ შეიძლება. არ კმარა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძანოს, ან პარტიამ მისცეს განსაზღვრული ლოზუნგი, ან ამ საქმეში ჩავაბათ საუკეთესო მუშაკების განსაზღვრული ნაწილი. ამისათვის საჭიროა, რათა თვით ახალმა თაობამ მოკიდოს ამ საქმეს ხელი. კომუნიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდობამ, იმ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებმა, რომელნიც ახალგაზრდობის კავშირში არიან, თქვან: ეს ჩვენი საქმეა, ჩვენ შეევერთდებით და წავალთ სოფლად, რომ მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, რომ ჩვენს მოზარდ თაობას აღარ ჰყავდეს წერა-კითხვის უცოდინარნიო. ჩვენი მისწრაფებაა, რომ მოზარდი ახალგაზრდობის თვითმოქმედება ამ საქმეს მოხმარდეს. თქვენ იცით, რომ ბნელი, წერა-კითხვის უცოდინარი რუსეთის მოკლე ხანში გადაქცევა წერა-კითხვის მცოდნე ქვეყნად შეუძლებელია; მაგრამ თუ ამ საქმეს ხელს მოკიდებს ახალგაზრდობის კავშირი, თუ მთელი ახალგაზრდობა იმუშავებს ყველას სასარგებლოდ, მაშინ ამ კავშირს, რომელიც აერთიანებს 400 000 ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, უფლება აქვს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელი ატაროს. კავშირის ამოცანას ისიც შეადგენს, რომ, შეითვისებს რა ამა თუ იმ ცოდნას, დაეხმაროს იმ ახალგაზრდობას, რომელსაც თვითონ არ შეუძლია განთავისუფლდეს უცოდინარობის სიბნელისაგან. ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს — საქმე ისე წარმართო, რომ მთელი შენი შრომა, მთელი შენი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდა. მხო-

ლოდ ამნაირი მუშაობით იქცევა ნამდვილ კომუნისტად ახალგაზრდა კაცი თუ ქალი. მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან ისინი კომუნისტებად, თუ ამ მუშაობით შეძლებენ პრაქტიკულ წარმატებათა მიღწევას.

მაგალითისათვის აიღეთ საგარეუბნო ბოსტნებში მუშაობა. განა ეს საქმე არ არის? ეს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი ამოცანაა. ხალხი შიმშილობს, ფაბრიკებსა და ქარხნებში შიმშილია. თავი რომ ვიხსნათ შიმშილისაგან, უნდა გავაშენოთ ბოსტნები, მაგრამ მიწათმოქმედება ძველებურად წარმოებს. და აი საჭიროა, რათა საქმეს ხელი მოკიდონ უფრო შეგნებულმა ელემენტებმა, — მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ბოსტნები გადიდდება, მათი ფართობი მოიმატებს, შედეგები გაუმჯობესდება. ამ საქმეში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს. თვითეული კავშირი თუ კავშირის თვითეული უჯრედი ამ საქმეს თავის საქმედ უნდა თვლიდეს.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას. კავშირი ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველი მუშა ხედავდეს მასში ისეთ ადამიანებს, რომელთა სწავლა, შესაძლებელია, მისთვის გაუგებარი იყოს, რომელთა სწავლას მან, შეიძლება, ერთბაშად არც დაუჯეროს, მაგრამ მათი ცოცხალი მუშაობით, მათი მოქმედებით მან უნდა დაინახოს, რომ ესენი მართლა ის ადამიანები არიან, რომლებიც მას სწორ გზას უჩვენებენ.

თუ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა ყველა დარგში ვერ მოახერხა თავისი მუშაობის ასე მოწყობა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ფეხი უცდება ძველი, ბურჟუაზიული გზისაკენ. ჩვენი აღზრდა უნდა შევუერთოთ მშრომელთა ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ, რათა პირველთ დავეხმაროთ იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც კომუნიზმის მოძღვრებიდან გამომდინარეობენ.

კავშირის წევრებმა თავიანთი ყოველი თავისუფალი საათი უნდა მოახმარონ იმას, რომ გააუმჯობესონ ბოსტანი,

ანდა რომელიმე ფაბრიკაში თუ ქარხანაში მოაწყონ ახალგაზრ-
დობის სწავლა და სხვ.. ჩვენ გვინდა რუსეთი ღატაკი და
უბადრუკი ქვეყნიდან მდიდარ ქვეყნად გადავაქციოთ. და სა-
ჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა თავი-
სი განათლება, თავისი სწავლა და აღზრდა შეაერთოს მუშათა
და გლეხთა შრომასთან, რომ ის არ ჩაიკეტოს თავის სკოლებ-
ში და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომუნისტური წიგნები-
სა და ბროშურების კითხვით. მხოლოდ მუშებსა და გლეხებ-
თან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნის-
ტები. და საჭიროა ყველამ დაინახოს, რომ ყველა, ვინც კი
ახალგაზრდობის კავშირში შედის, მცოდნეა და ამავე დროს
მას მუშაობაც შეუძლია. როცა ყველა დაინახავს, რომ ძველი
სკოლიდან ჩვენ განვდევნეთ ძველებური წვრთნა, შევცვალეთ
რა იგი შეგნებული დისციპლინით, რომ ყოველი ახალგაზრდა
ადამიანი მონაწილეობას იღებს შაბათობაში, რომ ისინი
იყენებენ თვითეულ საგარეუბნო მეურნეობას მოსახლეობისა-
თვის დახმარების გასაწევად, მაშინ ხალხი ისე აღარ შეხ-
დავს შრომას, როგორც მას წინათ უყურებდნენ.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამოცანა ისაა,
რომ სოფლად ან თავის უბანში მოაწყოს დახმარება ისეთ
საქმეში, — ვიღებ პატარა მაგალითს, — როგორიცაა სისუფ-
თავის დაცვა ან საჭმლის განაწილება. როგორ ხდებოდა ეს
ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში? თვითეული მხოლოდ
თავისთვის მუშაობდა, იმას კი არავინ დაეძებდა, არიან თუ
არა აქ მოხუცები ან ავადმყოფები, ან შეიძლება მთელი
მეურნეობა კისერზე აწევს მარტო ქალს, რომელიც ამის გამო
დაბეჩავებულ და დამონებულ მდგომარეობაში იმყოფება.
ვინ უნდა ებრძოდეს ამას? ახალგაზრდობის კავშირები, რომ-
ლებმაც უნდა თქვან: ჩვენ ამას გადავაკეთებთ, შევქმნით
ახალგაზრდათა რაზმებს, რომელნიც სისტემატურად ჩამოივ-
ლიან სახლებს და ხელს შეუწყობენ სისუფთავის დაცვას ან
საჭმლის განაწილებას, რომელნიც ორგანიზებულად იმოქმე-
დებენ მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, წესიერად
გაანაწილებენ ძალებს და ყველას დაანახვებენ, რომ შრომა
ორგანიზებული შრომა უნდა იყოს.

იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები ახლა დაახლოებით 50 წლისა არიან, არ შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას. ეს თაობა მანამდე გადავა. ხოლო ის თაობა, რომელიც ახლა 15 წლისაა, აი ის მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონ იქნება ამ საზოგადოების მშენებელი. და მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცხოვრების მთელი ამოცანა — ამ საზოგადოების მშენებლობაა. ძველ საზოგადოებაში შრომა წარმოებდა ცალკეულ ოჯახად, და არავინ არ აერთიანებდა მას, გარდა მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომელნიც ხალხის მასებს ჩაგრავდნენ. ყოველი შრომა, როგორი ჭუჭყიანი და ძნელიც უნდა იყოს იგი, ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეული მუშა და გლეხი თავისთავს უყურებდეს ამგვარად: მე ნაწილი ვარ თავისუფალი შრომის დიადი არმიისა და თვითონ შევძლებ მოვაწყო ჩემი ცხოვრება უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ, შევძლებ დავამყარო კომუნისტური წესწყობილება. საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი შეგნებულ და დისციპლინირებულ შრომაში ზრდიდეს ყველას ახალგაზრდობიდანვე. აი რანაირად შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ამჟამად დასმული ამოცანები გადაწყვეტილ იქნება. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ არა ნაკლებ 10 წელი დაგვჭირდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, რათა ჩვენს გაღატაკებულ ქვეყანას მომსახურება გაეწიოს ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით. და აი, იმ თაობამ, რომელიც ახლა 15 წლისაა და რომელიც 10—20 წლის შემდეგ კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებს, თავისი სწავლის ყველა ამოცანა ისე უნდა დააყენოს, რომ ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას. იმისდაკვალად, რამდენადაც ეს მოხდება თვითეულ სოფელში, იმისდაკვალად, რამდენადაც განვითარდება კომუნისტური შეჯიბრება, იმისდაკვალად, რამდენადაც ახალგაზრდობა დაამტკიცებს, რომ მას შესწევს თავისი შრომის გაერთიანების უნარი, ამისდაკვალად უზრუნველყოფილი იქნება კომუნისტური

მშენებლობის წარმატება. მხოლოდ იმით, რომ თვითეულ თავის ნაბიჯს ამ მშენებლობის წარმატების თვალსაზრისით შეხედავს, მხოლოდ იმით, რომ მუდამ შეეკითხება თავისთავს: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა იმისათვის, რომ გაერთიანებული, შეგნებული მშრომელები ვიყოთო, მხოლოდ ამით გააკეთებს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იმას, რომ ნახევარ მილიონ თავის წევრს შრომის ერთ არმიად გააერთიანებს და საყოველთაო პატივისცემას დაიმსახურებს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«პრავდა» №№ 221, 222 და 223; 1920 წ. 5, 6 და 7 ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 338 — 360.

პოლიტექნიკური განათლების შესახებ

შენიშვნები ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის თეზისებზე[57]

არ შეიძლება ასე წერა პოლიტექნიკურ განათლებაზე: **აბსტრაქტული**, შორეული მომავლისათვის დაწერილი გამოდის, მხედველობაში არ არის მიღებული საარსებო, დღევანდელი, მწარე სინამდვილე.

საჭიროა

1) დაემატოს ერთი ან ორი თეზისი პოლიტექნიკური განათლების პრინციპული მნიშვნელობის შესახებ

{ მარქსის მიხედვით
{ რკპ ჩვენი პროგრამის მიხედვით }

2) გარკვევით ითქვას, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია უარი ვთქვათ პოლიტექნიკურ განათლების პრინციპზე და მის შეძლებისდაგვარად ახლავე განხორციელებაზე.

მე-17 თეზისი ამოღებულ იქნას.

მეორე საფეხურის (12—17) შესახებ ითქვას:

რესპუბლიკის უაღრესად მძიმე მდგომარეობა მოითხოვს ამჟამად უსათუოდ და დაუყოვნებლივ

მე-2 საფეხურის შეერთებას* პროფტექნიკურ სკოლებთან,

მე-2 საფეხურის გარდაქმნას* პროფტექნიკურ სკოლებად, მაგრამ ამასთან, რათა ადგილი არ ექნეს ხელოსნუ-

---

* (გასწორდეს: შეერთდეს არა მთლიანად მე-2 საფეხური, არამედ 13, 14 წლის ასაკიდან პედაგოგთა მითითებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე).

რობაში გადასვლას, შემოღებულ უნდა იქნას შემდეგი ზუსტი წესები:

1) თავი ავარიდოთ ნაადრევ სპეციალიზაციას; ამის შესახებ შემუშავებულ იქნას ინსტრუქცია.

2) გაფართოვდეს ყველა პროფტექნიკურ სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნები.

პროგრამა შედგეს წლების მიხედვით:

(თუ ასეთი პროგრამები ჯერ კიდევარ არის, მაშინ ლუნაჩარსკი ჩამოხრჩობილი იქნეს)	კომუნიზმი ისტორია საერთოდ » რევოლუციისა » 1917 წ. რევოლუციისაა	გეოგრაფია ლიტერატურა და ა. შ.

3) აუცილებელ ამოცანად დავსახოთ პოლიტექნიკურ განათლებაზე დაუყოვნებლივ გადასვლა, ან უკეთ რომ ვთქვათ, პოლიტექნიკური სწავლებისაკენ იმ მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა, რომელთა განხორციელება ახლავე შეგვიძლია, ასეთებია:

გოელრო-სთან ერთად

ა) ახლომდებარე ელექტროსადგურის დათვალიერება და მთელი რიგი ლექციების წაკითხვა ამ სადგურში ცდების ჩატარებასთან ერთად; მთელი რიგი პრაქტიკული სამუშაოების შესრულება, რაც კი შესაძლებელია შესრულდეს ელექტრობაში; ახლავე დამუშავდეს დეტალური პროგრამები (ერთი დათვალიერებისათვის; 5—10 ლექციისაგან შემდგარი კურსისათვის; 1, 2 თვისათვის და ა. შ.),

ბ) იგივე გაკეთდეს თვითეულ რიგიანად დაყენებულ საბჭოთა მეურნეობაში,

გ) თვითეულ რიგიანად დაყენებულ ქარხანაში,

დ) მობილიზაცია (ლექციებისთვის ელექტრობაზე და პოლიტექნიკურ განათლებაზე, პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელობის შესახებ და სხვა) ყველა ინჟინერისა, აგრონომისა და იმათი, ვინც დაამთავრა ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტი,

ე) პოლიტექნიკური განათლების ხაზით პატარა მუზეუმების, მატარებლების, გემებისა და სხვათა მოწყობა.

მე-2 საფეხურის სკოლების (უფრო სწორად: მე-2 საფეხურის სკოლების უფროსი კლასების) (12—17) ამოცანაა: მოგვცეს ისეთი დურგალი, ხურო, ზეინკალი და სხვ., რომელსაც სავსებით ეცოდინება თავისი საქმე, ექნება უნარი გახდეს ოსტატი და პრაქტიკულად მომზადებული იქნება ამისათვის მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ «ხელოსანს» ჰქონდეს ფართო ზოგადი განათლება (იცოდეს ამა და ამ მეცნიერების საფუძვლების minimum; ზუსტად აღინიშნოს, თუ რომელი მეცნიერებებისა);

იყოს კომუნისტი (ზუსტად აღინიშნოს, რა უნდა იცოდეს);

ჰქონდეს პოლიტექნიკური ჰორიზონტი და პოლიტექნიკური განათლების საფუძვლები (საწყისები)

სახელდობრ:

(აა) ძირითადი ცნებები ელექტრობაზე (ზუსტად აღინიშნოს რა ცნებები),

(ბბ) მექანიკურ მრეწველობაში ელექტრობის გამოყენების შესახებ,

(გგ) მექანიკურ იგივე ქიმიურ მრეწველობაში,

(დდ) იგივე რ. ს. ფ. ს. რ ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ,

(ეე) დათვალიერებული ჰქონდეს 1—3-ჯერ მაინც ელექტროსადგური, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა,

(ვვ) იცოდეს ესა და ეს საფუძვლები აგრონომიისა და ა. შ.

დეტალურად დამუშავდეს ცოდნათა მინიმუმი.

ეს არქიმნიშვნელოვანია. ჩვენ ლატაკნი ვართ. ჩვენ გვჭირდება დურგლები, ზეინკლები, ახლავე. ყოველ მიზეზს გარეშე. **ყველამ** უნდა იცოდეს დურგლობა, ზეინკლობა და სხვ., მაგრამ განსაზღვრული საერთო განათლებისა და პოლიტექნიკური მინიმუმის ერთგვარი დამატებით.

დაწერილია 1920 წ. დამლევს. პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „На путях к новой школе“ № 2, 1929 წ.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, ტ. XXX, მე-3 გამოც., გვ. 418 — 419

ცენტრალური კომიტეტის დირექტივები განსახკომის მუშაკ კომუნისტებს

1. უთუოდ დგას რა იმ პოზიციაზე, რომელიც რკპ პროგრამით არის განსაზღვრული პოლიტექნიკური განათლების მიმართ (იხ. განსაკუთრებით §§ 1 და 8 პროგრამის იმ განყოფილებისა, რომელიც მიძღვნილია სახალხო განათლებისადმი), პარტია უნდა უყურებდეს ასაკობრივი ნორმის შემცირებას საერთო და პოლიტიკური განათლებისათვის 17-დან 15 წლამდე მხოლოდ და მხოლოდ როგორც დროებით პრაქტიკულ აუცილებლობას, რომელიც გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის სიღატაკით და მისი გაჩანაგებით იმ ომების შედეგად, რაც ანტანტამ ჩვენ თავს მოგვახვია.

15 წლის და მეტი ასაკის პირთათვის პროფესიული განათლების «კავშირის» განხორციელება «საერთო პოლიტექნიკურ ცოდნასთან» (§ 8 რკპ პროგრამის ხსენებული განყოფილებისა) სავალდებულოა უთუოდ და საყოველთაოდ, როგორც კი საამისოდ ოდნავი შესაძლებლობა შეიქმნება.

2. განსახკომის ძირითადი ნაკლია საქმიანობისა და პრაქტიკულობის ნაკლებობა, პრაქტიკული გამოცდილების არასაკმაოდ გათვალისწინება და შემოწმება, სისტემატურობის უქონლობა ამ გამოცდილების მითითებათა გამოყენებაში, ზოგადი მსჯელობისა და აბსტრაქტული ლოზუნგების სიჭარბე. სახალხო კომისრისა და კოლეგიის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ნაკლოვანებებთან ბრძოლას.

3. განსახკომში საერთოდ და პროფგანათლების მთავარ სამმართველოში კერძოდ არასწორად არის დაყენებული ცენტრში სპეცების სამუშაოდ მოზიდვის საქმე, ე. ი. თეო-

რიული და ხანგრძლივი პრაქტიკული მომზადების მქონე პედაგოგებისა და იმ პირებისა, რომლებსაც ასეთი მომზადება აქვთ პროფესიულ-ტექნიკური (მათ შორის აგრონომიული) განათლების დარგში.

აუცილებელია დაუყოვნებლივ მოეწყოს ასეთი მუშაკების აღრიცხვა, მათი სტაჟის შესწავლა, მათი მუშაობის შედეგების შემოწმება და მათი სისტემატური მოზიდვა პასუხსაგებ პოსტებზე ადგილობრივ და განსაკუთრებით ცენტრში სამუშაოდ. არც ერთი სერიოზული ღონისძიება არ უნდა ტარდებოდეს ასეთი სპეციების დასკვნისა და მუდმივი მონაწილეობის გარეშე.

იგულისხმება, სპეციების მოზიდვა უნდა ხორციელდებოდეს 2 აუცილებელი პირობით: ჯერ ერთი, არა კომუნისტი სპეციები უნდა მუშაობდნენ კომუნისტების კონტროლქვეშ. მეორეც, სწავლების შინაარსი, რამდენადაც საქმე ეხება ზოგად-საგანმანათლებლო საგნებს, განსაკუთრებით კი ფილოსოფიას, საზოგადოებრივ მეცნიერებებს და კომუნისტურ აღზრდას, უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ კომუნისტების მიერ.

4. უნდა შემუშავდეს და კოლეგიისა და სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებულ იქნეს ძირითადი ტიპების სასწავლებელთა პროგრამები, ხოლო შემდეგ — კურსების, ლექციების, კითხვა-საღამოების, საუბრებისა და პრაქტიკული მეცადინეობისა.

5. ერთიანი შრომითი სკოლის განყოფილებამ და შემდეგ განსაკუთრებით პროფესიული განათლების მთავარმა სამმართველომ გაძლიერებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა შესაფერისი ტექნიკური და აგრონომიული ძალების უფრო ფართოდ და სისტემატურად ჩაბმას პროფესიულ-ტექნიკურ და პოლიტექნიკურ განათლებაში ყოველი ცოტათი მაინც რიგიანად დაყენებული საფაბრიკო-საქარხნო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გამოყენებასთან დაკავშირებით (საბჭოთა მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური, კარგი მეურნეობა და სხვ., ელექტროსადგურები და ა. შ.).

პოლიტექნიკური განათლებისათვის სამეურნეო საწარმოთა და დაწესებულებათა გამოყენების ფორმები და წესი დადგენილ უნდა იქნეს სათანადო სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით ისე, რომ ამან წარმოების ნორმალური მსვლელობა არ დაარღვიოს.

6. უნდა შემუშავდეს ანგარიშგების პრაქტიკული, მეტად მოკლე, მაგრამ ნათელი და ზუსტი ფორმები, რათა შესაძლებელი იყოს მუშაობის სიდიდისა და შედეგების აღრიცხვა და შემოწმება. ამ მხრივ საქმის დაყენება განსახკომში მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელია.

7. მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლადაა აგრეთვე დაყენებული გაზეთების, ბროშურების, ჟურნალებისა და წიგნების განაწილება ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მიხედვით, როგორც სკოლებთან, ისე არა სკოლებთან. აქედან გამომდინარეობს ის, რომ გაზეთი და წიგნი ხელთ უვარდება საბჭოთა მოსამსახურეების მცირე ფენას და მეტისმეტად მცირე რაოდენობით აღწევს მუშებამდე და გლეხებამდე. აუცილებელია მთელი ამ საქმის ძირფესვიანად რეორგანიზაცია.

«პრავდა» № 25, 1921 წ.
5 თებერვალი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 138 — 140

სტატიიდან «განსახკომის მუშაობის შესახებ»

5 თებერვლის «პრავდაში» № 25 დაბეჭდილია «რკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივები განსახკომის მუშაკ კომუნისტებს (კომისარიატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით)».

სამწუხაროდ, პირველ პუნქტშივე აღმოჩნდა სამჯერ განმეორებული, აზრის დამამახინჯებელი ბეჭდვითი შეცდომა: ნაცვლად «პოლიტექნიკური» განათლებისა დაბეჭდილია: პოლიტიკური!!

მე მინდა მივაქციო ამხანაგების ყურადღება ამ დირექტივებზე და გამოვიწვიო აზრთა ურთიერთგაზიარება ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პუნქტის გამო.

1920 წლის დეკემბერში შედგა პარტიული თათბირი სახალხო განათლების საკითხებზე. თათბირში მონაწილეობდა 134 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 29 დელეგატი სათათბირო ხმით. ხუთ დღეს თათბირობდნენ. ამ თათბირის ანგარიშს იძლევა «საბჭოების VIII ყრილობის ბიულეტენის დამატება, მიძღვნილი სახალხო განათლების საკითხებზე მოწვეული პარტიული თათბირისადმი» (გამოცემა სრ. რუსეთის ცაკისა, 1921 წლის 10 იანვარი). თათბირის რეზოლუციებიდან, მისი ანგარიშიდან, ხსენებულ «ბიულეტენის დამატებაში» მოთავსებული ყველა სტატიიდან — გარდა ამხ. ლუნაჩარსკის შესავალი სტატიისა და ამხ. გრინკოს სტატიისა — ჩანს პოლიტექნიკური განათლების საკითხის არასწორად დაყენება. ჩანს ის ნაკლი, რომელთან ბრძოლისაკენაც მიაქცევს ცენტრალური კომიტეტის დირექტივები სახალხო

კომისრისა და კოლეგიის «მთავარ ყურადღებას», სახელდობრ: ზოგადი მსჯელობითა და აბსტრაქტული ლოზუნგებით «გატაცება».

პოლიტექნიკური განათლების საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია ჩვენი პარტიის პროგრამით, პროგრამის იმ განყოფილების 1 და 8 §§-ში, რომელიც მიძღვნილია სახალხო განათლებისადმი. ცენტრალური კომიტეტის დირექტივაც პროგრამის სწორედ ამ პუნქტებზე მიგვითითებს. § 1-ში ლაპარაკია პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ ურ გ ა ნ ა თ ლ ებ ა ზ ე 17 წლამდე, § 8-ში კი ნათქვამია: «ფართო განვითარება პროფესიული განათლებისა ყველასათვის, დაწყებული 17 წლის ასაკიდან და ზევით, ზ ო გ ად პ ო ლ ი ტ ი კ ურ ც ო დ ნ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ებ ი თ».

ამრიგად, საკითხი პარტიის პროგრამით სავსებით ნათლად არის დასმული. მსჯელობა იმაზე, «პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ ურ ი თ უ მ ო ნ ო ტ ე ქ ნ ი კ ურ ი გ ა ნ ა თ ლ ებ ა» (სწორედ ამ ფრჩხილებში აღებულ და ჩემ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს, მთელი მათი საოცარი უაზრობით, ვხვდებით ჩვენ დასახელებული «ბიულეტენის დამატების» მე-4 გვერდზე!) — ეს მსჯელობა ძირიანად მცდარია, კომუნისტისათვის პირდაპირ შეუწყნარებელია და გვიჩვენებს პროგრამის არცოდნასაც და აბსტრაქტული ლოზუნგებით ყოვლად ფუჭ «გატაცებასაც». თუ ჩვენ იძულებულნი ვართ დ რ ო ებ ი თ შევამციროთ ასაკი (ზოგადი პოლიტექნიკურიდან პროფესიულ-პოლიტექნიკურ განათლებაზე გადასვლისა) 17-დან 15 წლამდე, «პ ა რ ტ ი ა უ ნ დ ა უ ყ უ რ ე ბ დ ე ს» ასაკობრივი ნორმის ამ შემცირებას «მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ» (პუნქტი 1-ლი ც. კ-ის დირექტივებისა) როგორც პრაქტიკულ აუცილებლობას, როგორც დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოწვეულია «ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ი ღ ა ტ ა კ ი თ ა დ ა გ ა ჩ ა ნ ა გ ებ ი თ»...

«პრავდა» № 28, 1921 წ.
9 თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 141 — 142

განაწესი სამეურნეო მუშაობის საკითხებზე, მილებული საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის მიერ 1921 წ. 28 დეკემბერს

საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა, განიხილა რა სახალხო კომისარიატთა მოხსენებები და ანგარიშები სამეურნეო საქმიანობის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში, იძლევა, სამეურნეო მუშაობის ცალკეულ საკითხებზე საბჭოების ყრილობის დადგენილებათა შესავსებად და განზოგადებისათვის, ცენტრსა და ადგილებზე ყველა საბჭოთა დაწესებულების მიერ ურყევად შესასრულებლად, შემდეგ სახელმძღვანელო მითითებებს:

1. ყველა სამეურნეო ორგანოს მთავარ და გადაუდებელ ამოცანად საბჭოების ყრილობა ბრძანებს მიჩნეულ იქნეს: უმოკლეს ვადაში, რადაც უნდა დაჯდეს, მტკიცე პრაქტიკული წარმატებების მიღწევა გლეხობის მომარაგების საქმეში დიდძალი საქონლით, რაც აუცილებლად საჭიროა მიწათმოქმედების აღმავლობისათვის და გლეხობის მშრომელი მასის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

2. ეს უმთავრესი მიზანი მხედველობიდან არ უნდა გაუშვან მრეწველობის მმართველმა ორგანოებმა, რასაკვირველია, იმ ვარაუდით, რომ ოდნავ არ შესუსტდეს წითელი არმიის საჭიროებათა 100 პროცენტით მომარაგების ამოცანა, რაც პირველ რიგში უნდა დაისვას საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების გულისათვის.

3. ამავე მიზანს უნდა ემორჩილებოდეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება იმ მხრივ, რომ ყველა მუშათა ორგანიზაციას (და პირველ რიგში პროფკავშირებს) ევალებათ იზრუნონ მრეწველობის ისე დაყენებაზე, რომ იგი სწრაფად

და სრულად აკმაყოფილებდეს გლეხობის მოთხოვნილებებს, ამასთან ამ მხრივ მიღწეულ წარმატებებზე უშუალოდ უნდა იყოს დამოკიდებული ხელფასის გადიდება და მრეწველობის მუშების საარსებო პირობების გაუმჯობესება.

4. ამავე მიზანს უნდა ემორჩილებოდეს ფინსახკომის მუშაობა, რომელსაც საბჭოების IX ყრილობა ავალებს ძალთა უდიდესი დაძაბვით და უდიდესი სიჩქარით განახორციელოს ემისიის შემცირება და შემდეგში მისი შეწყვეტა და ოქროს ვალუტის საფუძველზე სწორი ფულადი მიმოქცევის აღდგენა. ურყევად უნდა გატარდეს, ოდნავი გაჭიანურების დაუშვებლად, ემისიის შეცვლა გადასახადებით.

5. იგივე მიზანი ქვაკუთხედად უნდა გაიხადონ ყველა იმ ორგანომ და დაწესებულებამ, რომლებიც განაგებენ საშინაო და საგარეო ვაჭრობას, ე. ი. «ცენტროსოიუზმა», საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და სხვ.. მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის განვითარების საქმეში მხოლოდ სწრაფი პრაქტიკული შედეგების მიხედვით გაზომავს საბჭოების ყრილობა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებსაც ავალებს გაზომონ ამ დაწესებულებათა წარმატებები. კერძოდ, საბჭოების ყრილობა ბრძანებს რაც შეიძლება ფართოდ მოიშველიონ კერძო სამეურნეო საწარმოები ნედლეულის შოვნის, მისი გამოტანისა და ვაჭრობის ყოველნაირად განვითარების საქმეში, ამასთან სახელმწიფო ორგანოების როლი გაგებულ იქნეს როგორც კონტროლის გამწევი და წარმმართველი ორგანოებისა, და დაუნდობლად ებრძოლონ ცოცხალი საქმის ხელისშემშლელ ყოველგვარ გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს.

6. ყველა ორგანოსა და დაწესებულებისაგან, რომლებიც სამეურნეო მუშაობას განაგებენ, საბჭოების IX ყრილობა მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ ყურადღებასა და ენერგიას, ვიდრე დღემდე მოითხოვდა, სახელმწიფო მუშაობის ამა თუ იმ სფეროში უპარტიო მუშათა და გლეხთა რიგებიდან ყველა რამდენადმე გამოჩენილ ძალთა ჩაბმის საქმეში.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩით; — რომ ამ მხრივ არ ვიჩენთ საკმაო სისტემატურობასა და შე-

უპოვრობას; — რომ ამ მხრივ სამეურნეო და სახელმწიფო მუშაკთა წრის გაფართოება უსათუოდ და უეჭველად აუცილებელია; — რომ, კერძოდ, ყოველგვარი წარმატება მეურნეობის აღმავლობის საქმეში უფრო რეგულარულად უნდა ჯილდოვდებოდეს როგორც შრომის დროშის ორდენით, ისე ფულადი პრემიებით.

საბჭოების ყრილობა ყველა სამეურნეო ორგანოს და ყოველგვარი კლასობრივი, არა წმინდა სახელმწიფო ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ უთუოდ აუცილებელია კიდევ უფრო მეტი შეუპოვარი მუშაობა სამეურნეო მშენებლობის საქმეში სპეციალისტების ჩასაბმელად, ასეთებად მიაჩნია რა როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენლები, ისე ის ადამიანები, რომლებსაც პრაქტიკული მუშაობით შეუძენიათ გამოცდილება და ცოდნა ვაჭრობის საქმეში, მსხვილი საწარმოების მოწყობის, სამეურნეო ოპერაციების კონტროლის საქმეში და სხვ.. სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ხელმძღვანელობით მუშათა და გლეხთა ფართო წრის სწავლება რსფს რესპუბლიკის ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებების მუდმივი მზრუნველობის საგანი უნდა გახდეს.

7. იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან საბჭოების IX ყრილობა მოითხოვს გაცილებით მეტ ენერგიას ორი მხრივ:

ჯერ-ერთი, რომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები სასტიკად ადევნებდნენ თვალყურს კერძო ვაჭრებისა და მეწარმეების საქმიანობას, ოდნავადაც არ ზღუდავდნენ მათ საქმიანობას, მაგრამ ამასთანავე უმკაცრესად უნდა სჯიდნენ რესპუბლიკის კანონების განუხრელად დაცვისაგან გადახვევის ოდნავ ცდას და მუშათა და გლეხთა ფართო მასებს ზრდიდნენ ისე, რომ დამოუკიდებელი, სწრაფი და საქმიანი მონაწილეობა მიიღონ კანონიერების დაცვის მეთვალყურეობის საქმეში;

მეორე, რომ სახალხო სასამართლოები მეტ ყურადღებას აქცევდნენ ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, სამეურნეო უთაურობის სასამართლოს წესით დევნას. ამგვარი საქ-

მეების გამო პროცესების მოწყობა აუცილებელია როგორც პასუხისმგებლობის გასადიდებლად იმ ბოროტებისათვის, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასე ძნელია ჩვენს პირობებში, ისე მუშათა და გლეხთა მასების ყურადღების მისაპყრობად ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი და პრაქტიკული მიზნის: მეტი სამეურნეო წარმატებების მისაღწევად.

IX ყრილობას მიაჩნია, რომ განსახკომის ამოცანა ახალ პერიოდში იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში შექმნას სპეციალისტების კადრი ყველა სფეროში გლეხთა და მუშათა წრიდან, და წინადადებას აძლევს განსახკომს კიდევ უფრო გააძლიეროს კავშირი სასკოლო და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუშაობასა და როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე ამა თუ იმ ოლქის და ამა თუ იმ ადგილის საჭირბოროტო სამეურნეო ამოცანებს შორის. კერძოდ, საბჭოების IX ყრილობა აღნიშნავს, რომ რუსეთში ელექტროფიკაციის გეგმის პროპაგანდის შესახებ საბჭოების VIII ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, და მოითხოვს, რომ ყოველ ელექტროსადგურთან ყველა გამოსადეგი სპეციალისტის მობილიზაციის გზით რეგულარულად მოეწყოს საუბრები, ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობა მუშებისა და გლეხებისათვის ელექტრობის, მისი მნიშვნელობისა და ელექტროფიკაციის გეგმის გასაცნობად; იმ მაზრებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის არც ერთი ელექტროსადგური, უნდა აშენდეს, რაც შეიძლება სასწრაფოდ, თუნდაც წვრილი ელექტროსადგურები, რომლებიც უნდა გადაიქცნენ ამ სფეროში პროპაგანდის, განათლებისა და ყოველგვარი თაოსნობის წახალისების ადგილობრივ ცენტრად.

დაწერილია 1921 წ. 25—27 დეკემბერს, დაიბეჭდა 1921 წ. 30 დეკემბერს სრ. რუს. ცაკ-ის გაზეთ «იზვესტიაში» № 295

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 201—204

წინასიტყვაობა ი. ი. სტეპანოვის წიგნისა: «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით»

მთელი სულითა და გულით მივაქცევ ყველა კომუნისტის ყურადღებას ამხ. სტეპანოვის ამ ნაშრომზე.

ავტორმა შესძლო შესანიშნავი ოსტატობით გადმოეცა უძნელესი და უმნიშვნელოვანესი საკითხები. ავტორი ძალიან კარგად მოიქცა, რომ გადაწყვიტა ეს წიგნი დაეწერა არა ინტელიგენტებისთვის (როგორც ჩვენში მიღებულია წიგნის წერა ბურჟუაზიულ მწერალთა უცუდესი მანერების მიბაძვით), არამედ მშრომელებისათვის, ხალხის ნამდვილი მასისათვის, უბრალო მუშებისა და გლეხებისათვის. დამატებად ავტორმა მოათავსა ლიტერატურული საძიებელი როგორც იმათთვის, ვისთვისაც ძნელი იქნებოდა ამხ. სტეპანოვის გადმოცემის ზოგიერთი ადგილის განუმარტებლად გაგება, ისე იმათთვის, ვისაც სურს იცოდეს, რა და რა მთავარი ნაშრომებია საერთოდ რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში ამ საკითხზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს VI თავის დასაწყისი, სადაც ავტორი მშვენივრად გადმოსცემს ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობას და შემდეგ ჩინებულად უარყოფს გაცვეთილ «ზერელე» სკეპტიციზმს ელექტროფიკაციის შესახებ; ეს სკეპტიციზმი ჩვეულებრივ ფარავს საგანზე სერიოზული დაფიქრების უუნარობას (თუ ეს სკეპტიციზმი არ წარმოადგენს, რაც ზოგჯერ აგრეთვე ხდება, თეთრგვარდიელების, ესერებისა და მენშევიკების საერთოდ ყოველგვარი საბჭოთა მშენებლობისადმი მტრობის დაფარვას).

სახალხო განათლების სფეროში ნამდვილი (და არა მოხელურ-უმაქნისო) მუშაობისათვის ჩვენ ყველაზე მეტი გვაკ-

ლია სწორედ აი ასეთი «სასკოლო სახელმძღვანელოები» (საერთოდ ყველა, უეჭველად ყველა სკოლისთვის). ყველა ჩვენი მარქსისტი ლიტერატორი იმის ნაცვლად, რომ თავის ძალ-ღონეს ანდომებდეს ყველასათვის მობეზრებულ საგაზეთო და საჟურნალო პოლიტიკურ ლაქლაქს, ჩაუჯდებოდეს ასეთი სახელმძღვანელოების ან დამხმარე წიგნების წერას გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ საკითხზე, მაშინ ალარ გვექნებოდა ისეთი სამარცხვინო მდგომარეობა, რომ თითქმის ხუთი წლის შემდეგ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებიდან, მ ი ს, პროლეტარიატის, სახელმწიფო სკოლებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდობას ასწავლიან (უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რყვნიან) ძველი ბურჟუაზიული მეცნიერები ძველ ბურჟუაზიულ ხარახურას.

საბჭოების მერვე ყრილობამ დაადგინა, რომ ელექტროფიკაციის გეგმის სწავლება სავალდებულოა რსფს რესპუბლიკის ყველა — გამოუკლებლივ ყველა — სასწავლებელში [58]. ეს დადგენილება, როგორც ბევრი სხვაც, ქაღალდზე დარჩა ჩვენი (ჩვენი, ბოლშევიკების) უკულტურობის გამო. ახლა, როცა გამოქვეყნდა ამხ. სტეპანოვის ეს «სასკოლო სახელმძღვანელო», უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ — და კიდევაც მივაღწევთ! — იმას, რომ ყოველ სამაზრო (შემდეგ კი ყოველ საგოლოსტო) ბიბლიოთეკაში იყოს ამ «სახელმძღვანელოს» რამდენიმე ეგზემპლარი; — რომ რუსეთის ყოველ ელსადგურთან (მათი რიცხვი კი 800-ზე მეტია) არათუ იყოს ეს წიგნი, არამედ უსათუოდ ეწყობოდეს საყოველთაოდ მისაწვდომი სახალხო კითხვა ელექტრობაზე და რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაციაზე და საერთოდ ტექნიკაზე; — რომ ყოველმა სახალხო მასწავლებელმა ყოველ სკოლაში წაიკითხოს და შეითვისოს ეს «სახელმძღვანელო» (ამ საქმის დასახმარებლად ყოველ მაზრაში უნდა მოეწყოს ინჟინერთა და ფიზიკის მასწავლებელთა წრე ან ჯგუფი), და არათუ წაიკითხოს, გაიგოს და შეითვისოს თვითონ, არამედ უნდა შესძლოს ამის უბრალოდ და გასაგებად გადაცემა სკოლის მოწაფეებისათვის და საერთოდ გლეხური ახალგაზრდობისათვის.

ამის მიღწევას ცოტა შრომა როდი დასჭირდება. ჩვენ ღატაკი და უკულტურო ადამიანები ვართ. არა უშავს რა. ოღონდ შეგნება იყოს იმისა, რომ საჭიროა სწავლა. ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა. ოღონდ ნათლად შევიგნოთ ის, რომ ახლა მუშასა და გლეხს სწავლა ესაჭიროებათ არა იმისთვის, რომ «სარგებლობა» და მოგება მოუტანონ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, არამედ საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ეს კი ჩვენ გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვისწავლით და კიდევაც შევისწავლით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1922. 18. III.

«პრავდა» № 64, 1922 წ.
21 მარტი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 285 — 287

გაზეთ «პუტ მოლოდეჟის»[59] რედაქციას

ძვირფასო მეგობრებო! მხურვალედ გმადლობთ მოსალმებისათვის. ჩემს მხრივ გიძღვნით საუკეთესო მისალმებასა და სურვილებს.

თქვენი ულიანოვი (ლენინი)

6. X. 1922.

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით: В. И. Ленин. Статьи и речи 1922 — 1923 гг. стр. 319. Партиздат ЦК ВКП(б), 1935 г.

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მეხუთე ყრილობას[60]

ძვირფასო მეგობრებო! ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პირადად მოგესალმოთ. ყოველგვარ წარმატებას ვუსურვებ თქვენი V ყრილობის მუშაობას. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობა შეძლებს ისეთი წარმატებით განვითარდეს, რომ მსოფლიო რევოლუციის შემდგომი მომენტის მომწიფების დროისთვის სავსებით აღმოჩნდეს ამოცანის სიმაღლეზე.

მხურვალე კომუნისტური სალამით.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922. 11/X.

«პრავდა» № 230,
1922 წ. 12 ოქტომბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 440

განათლების მუშაკთა ყრილობას [61]

მადლობას გიძღვნით მოსალმებისათვის, ამხანაგებო, და გისურვებთ თავი გაართვათ თქვენზე დაკისრებულ დიდ და პასუხსაგებ ამოცანას — ახალგაზრდა თაობის მომზადებას ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წ. 26 ნოემბერს
დაიბეჭდა 1922 წ. დეკემბერში
ჟურნალ «რაბოტნიკ პროსვეშჩენიაში» № 10

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 526

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო კონგრესს მოსკოვში[62]

1922 წ. 4. XII.

ძვირფასო ამხანაგებო!

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პირადად მოგესალმოთ. გიძღვნით მუშაობაში წარმატების საუკეთესო სურვილებს. იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად დიდი სახელისა, არ დაივიწყებთ უმთავრესს — ახალგაზრდობის მომზადებისა და სწავლის საქმიანად წინ წაწევის აუცილებლობას.

საუკეთესო კომუნისტური სალამით

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«პრავდა» № 275,
1922 წ. 5 დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 527

ფურცლები დღიურიდან

ამ დღეებში გამოსული ნაშრომი რუსეთის მოსახლეობის წიგნიერობის შესახებ 1920 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით («წიგნიერობა რუსეთში», მოსკოვი, 1922 წ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სახალხო განათლების სტატისტიკური განყოფილება) მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ქვემოთ მომყავს რუსეთის მოსახლეობის 1897 და 1920 წლების წიგნიერობის ცხრილი, რომელიც ამოღებულია ამ ნაშრომიდან:

	1 000 მამაკაცზე წიგნიერი იყო:		1 000 დედაკაცზე წიგნიერი იყო:		სულ 1 000 მცხოვრებზე წიგნიერი იყო:	
	1897 წ.	1920 წ.	1897 წ.	1920 წ.	1897 წ.	1920 წ.
1. ევროპული რუსეთი.....	326	422	136	255	229	330
2. ჩრდილო კავკასია	241	357	56	215	150	281
3. ციმბირი (დასავლეთი)..	170	307	46	134	108	218
ს უ ლ.....	318	409	131	244	223	319

მაშინ, როდესაც ჩვენ პროლეტარულ კულტურაზე და ბურჟუაზიულ კულტურასთან მის თანაფარდობაზე ვლაყბობდით, ფაქტებმა გადაგვიშალა ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ბურჟუაზიული კულტურაც კი ჩვენში მეტად სუსტი ყოფილა. აღმოჩნდა, როგორც მოსალოდნელიც იყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილი ვართ საყოველ-

თაო წიგნიერობას, და თვით ჩვენი პროგრესიც კი მეფის დროსთან (1897 წელთან) შედარებით მეტად ნელი აღმოჩნდა. ეს მრისხანე გაფრთხილება და საყვედურია იმათ მიმართ, ვინც «პროლეტარულ კულტურაზე» ოცნებობდა **და** ოცნებობს. ეს გვიჩვენებს, რა თავდადებული შავი მუშაობა გვმართებს კიდევ, რომ დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივი ცივილიზებული სახელმწიფოს დონეს მივაღწიოთ. შემდეგ ეს გვიჩვენებს, რა უამრავი სამუშაო მოგველის ახლა იმისათვის, რომ ჩვენ პროლეტარულ მონაპოვართა ნიადაგზე მართლაც მივაღწიოთ რამდენადმე კულტურულ დონეს.

საჭიროა არ დავჯერდეთ ამ უდავო, მაგრამ მეტად თეორიულ დებულებას. საჭიროა ჩვენი კვარტალური ბიუჯეტის უახლოესი გადასინჯვის დროს საქმეს პრაქტიკულადაც მოვკიდოთ ხელი. რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა შევამციროთ არა განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯები, არამედ სხვა უწყებების ხარჯები, იმ ანგარიშით, რომ განთავისუფლებული თანხები განათლების სახალხო კომისარიატის საჭიროებებს მოხმარდეს. არ უნდა ვიძუნწოთ მასწავლებელთათვის პურის ულუფის გადიდების საქმეში ისეთ წელს, როგორიც არის მიმდინარე წელი, როდესაც პურით შედარებით გვარიანად ვართ უზრუნველყოფილი.

ის მუშაობა, რომელიც ამჟამად სახალხო განათლების დარგში წარმოებს, საერთოდ თუ ვიტყვით, შეუძლებელია მეტად ვიწრო მუშაობად ჩაითვალოს. ძალიან ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ძველი მასწავლებლობა დაძრულ იქნეს ადგილიდან, რომ იგი ეზიაროს ახალ ამოცანებს, დაინტერესდეს პედაგოგიკის საკითხების ახალი დაყენებით, დაინტერესდეს ისეთი საკითხებით, როგორიც არის რელიგიის საკითხი.

მაგრამ მთავარ რამეს მაინც არ ვაკეთებთ. ჩვენ არ ვზრუნავთ ან ნაკლებად ვზრუნავთ იმაზე, რომ სახალხო მასწავლებელი დავაყენოთ იმ სიმაღლეზე, ურომლისოდაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე კულტურაზე: არათუ პროლეტარულზე, ბურჟუაზიულზედაც კი. ლაპარაკი უნდა იყოს იმ ნახევრადაზიურ უკულტურობაზე, რომლისთვისაც დღემ-

დე თავი ვერ დაგვიღწევია და ვერც დავაღწევთ თავს, თუ სერიოზულად თავს არ გამოვიდებთ, თუმცა შესაძლებლობა გვაქვს თავი დავაღწიოთ, იმიტომ რომ ხალხის მასები არსად ისე არ არიან დაინტერესებული ნამდვილი კულტურით, როგორც ჩვენში; არსად ამ კულტურის საკითხები არ ისმება ისე ღრმად, ისე თანამიმდევრად, როგორც ჩვენში; არსად, არც ერთ ქვეყანაში, სახელმწიფო ძალაუფლება არ არის მუშათა კლასის ხელში, რომელსაც მასობრივად მშვენივრად ესმის თავისი, არ ვიტყვი კულტურულობის, ვიტყვი მხოლოდ — წიგნიერობის ნაკლი; არსად ეს კლასი არ არის მოწადინებული გაიღოს და არც იღებს ხოლმე იმდენ მსხვერპლს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ამ მხრივ, როგორც ჩვენში.

ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა, მეტისმეტად ცოტა კეთდება იმისათვის, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი პირველ რიგში გადავწიოთ პირველდაწყებითი სახალხო განათლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. თვით განსახკომშიც კი ჩვენში ძალიან ხშირად იპოვით რომელიმე სახელმწიფო გამომცემლობის მეტისმეტად გაბერილ შტატებს, იმაზე კი სრულიად არავინ იწუხებს თავს, რომ პირველ რიგში სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს არა გამომცემლობაზე, არამედ იმაზე, რომ იყოს მკითხველი, რომ რაც შეიძლება მეტს შეეძლოს კითხვა, რომ მომავალ რუსეთში გამომცემლობას მეტი პოლიტიკური გაქანება ჰქონდეს. ტექნიკურ საკითხებს, მსგავსად გამომცემლობის საკითხისა, ჩვენ ძველი (ცუდი), ჩვეულებისამებრ ბევრად მეტ დროსა და ძალას ვანდომებთ, ვიდრე ხალხის წიგნიერობის ზოგად პოლიტიკურ საკითხს.

თუ ავიღებთ პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს, იქაც, დარწმუნებული ვართ, ძალიან, ძალიან ბევრს ვიპოვით ზედმეტს, გაბერილს უწყებრივი ინტერესით, შეუხამებელს ფართო სახალხო განათლების მოთხოვნილებებთან. პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოშიც ყველაფერი როდია გამართლებული იმ კანონიერი სურვილით, რომ თავდაპირველად ავამაღლოთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნის ახალგაზრდობის განათლება და პრაქტიკული მიმართულება მივ-

ცეთ ამ განათლებას. თუ გულდასმით გავსინჯავთ პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს შტატებს, იქ ამ თვალსაზრისით ბევრი, ძალიან ბევრი რამ აღმოჩნდება გაბერილი და ფიქციური, რაც უნდა დაიხუროს. პროლეტარულ-გლეხურ სახელმწიფოში ხალხის წიგნიერობის გავრცელებისათვის კიდევ დიდი, ძალიან დიდი მომჭირნეობა შეიძლება გავწიოთ და კიდევაც უნდა გავწიოთ ისეთი რამეების დახურვით, რაც ან სანახევროდ ბატონკაცური ტიპის გასართობია, ან ისეთი დაწესებულებაა, ურომლისოდაც ჯერ კიდევ დიდხანს შეგვიძლია გავძლოთ და უნდა გავძლოთ კიდეც ხალხის წიგნიერობის ისეთი მდგომარეობის დროს, რომლის შესახებაც სტატისტიკა მეტყველებს.

სახალხო-მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. საქმის ასეთი ვითარებისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ სისტემატური, განუხრელი, შეუპოვარი მუშაობით იმისათვის, რომ ავამაღლოთ იგი სულიერად, ყოველმხრივ მოვამზადოთ იგი თავისი ნამდვილად მაღალი მოწოდებისათვის და, რაც ყველაზე მთავარი, მთავარი და მთავარია — გავაუმჯობესოთ მისი მატერიალური მდგომარეობა.

სისტემატურად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სახალხო მასწავლებელთა დასარაზმავად, რათა ბურჟუაზიული წყობილების დასაყრდენიდან, რასაც ისინი დღემდე წარმოადგენენ გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, გადავაქციოთ საბჭოთა წყობილების დასაყრდენად, რათა მათი მეშვეობით ჩამოვაშოროთ გლეხობა ბურჟუაზიასთან კავშირს და დავუკავშიროთ იგი პროლეტარიატს.

მოკლედ აღვნიშნავ, რომ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სისტემატურმა მგზავრობამ სოფლად, რაც უკვე ტარდება და რაც გეგმაზომიერად უნდა მოეწყოს. ასეთ მგზავრობათა მოწყობაზე არ უნდა დავიშუროთ ფული, რომელსაც ძალიან ხშირად ფუჭად ვხარჯავთ

ისეთ სახელმწიფო აპარატზე, რომელიც თითქმის მთლად ძველ ისტორიულ ეპოქას ეკუთვნის.

მე ვაგროვებდი მასალას იმ სიტყვისათვის, რომელიც უნდა წარმომეთქვა და ვერ წარმოვთქვი საბჭოების ყრილობაზე 1922 წლის დეკემბერში; სიტყვა შეეხებოდა ქალაქელი მუშების შეფობას სოფლის მცხოვრებლებზე. ზოგიერთი მასალა ამის შესახებ ამხ. ხოდოროვსკიმ მომაწოდა; ახლა ამ თემას ამხანაგების წინაშე ვაყენებ დასამუშავებლად, რაკი მე თვითონ ვერ მოვასწარი მისი დამუშავება და საბჭოების ყრილობაზე წარმოთქმა.

აქ ძირითადი პოლიტიკური საკითხია ქალაქის დამოკიდებულება სოფელთან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი რევოლუციისათვის. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოს მთელი ძალ-ღონე სისტემატურად მიმართულია იქითკენ, რომ გამოაყეყეჩოს ქალაქის მუშები და ამ მიზანს უფარდებს მთელ იმ ლიტერატურას, რომელიც იცემა სახელმწიფოს ხარჯზე, მეფისა და ბურჟუაზიული პარტიების ხარჯზე, ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ მთელი ჩვენი ძალაუფლება მოვახმაროთ იმას, რომ ქალაქის მუშა ნამდვილად გავხადოთ კომუნისტური იდეების გამტარებლად სოფლის პროლეტარიატში.

მე ვთქვი «კომუნისტური» და ვიჩქარი განვმარტო, რადგან ვშიშობ გაუგებრობა არ გამოვიწვიო ან მეტისმეტად პირდაპირ არ ვიქნე გაგებული. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ეს ისე, თითქოს ერთბაშად უნდა შევიტანოთ სოფლად წმინდა და ვიწრო კომუნისტური იდეები. ვიდრე სოფლად არ არსებობს მატერიალური საფუძველი კომუნიზმისათვის, მანამდე ეს, შეიძლება ითქვას, მავნებელი იქნება, ეს, შეიძლება ითქვას, დამღუპველი იქნება კომუნიზმისათვის.

არა. უნდა დავიწყოთ იმით, რომ დავამყაროთ ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის, ამასთან არავითარ შემთხვევაში წინასწარ არ დავისახოთ მიზნად სოფლად კომუნიზმის დანერგვა. ასეთი მიზნის მიღწევა ამჟამად შეუძლებე-

ლია. ასეთი მიზანი დროული არ არის. ასეთი მიზნის დასახვა სარგებლობის ნაცვლად ვნებას მოგვიტანს.

ხოლო ურთიერთობის დამყარება ქალაქის მუშებსა და სოფლის მუშაკებს შორის, მათ შორის ამხანაგობის ისეთი ფორმის დამყარება, რომლის შექმნაც ადვილია მათ შორის, — ეს ჩვენი მოვალეობაა, ეს ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამისათვის საჭიროა დავაარსოთ ფაბრიკა-ქარხნის მუშების მთელი რიგი გაერთიანებები (პარტიული, პროფესიული, კერძო), რომელთა სისტემატურ მიზანს უნდა შეადგენდეს დახმარების გაწევა სოფლისათვის კულტურული განვითარების საქმეში.

შევძლებთ თუ არა ქალაქის ყველა უჯრედის «მიწერას» სოფლის ყველა უჯრედზე იმისათვის, რომ მუშათა ყოველმა უჯრედმა, რომელიც «მიწერილი» იქნება სოფლის სათანადო უჯრედზე, სისტემატურად გამოიყენოს ყოველი გარემოება, ყოველი შემთხვევა, რომ დააკმაყოფილოს თავისი თანაუჯრედის ესა თუ ის კულტურული მოთხოვნილება? ან იქნებ შესაძლებელი გახდეს კავშირურთიერთობის სხვა ფორმების გამოძებნა? მე აქ ვჯერდები მხოლოდ საკითხის დაყენებას, რომ ამას მივაქციო ამხანაგების ყურადღება, რომ მივუთითო დასავლეთ ციმბირის გამოცდილებაზე (ამ გამოცდილებაზე მე მიმითითა ამხ. ხოდოროვსკიმ) და მთელი მოცულობით წამოვაყენო ეს გიგანტური მსოფლიო-ისტორიული კულტურული ამოცანა.

ჩვენ თითქმის არაფერს ვაკეთებთ სოფლისათვის გარდა ჩვენი ოფიციალური ბიუჯეტისა, ან გარდა ჩვენი ოფიციალური ურთიერთობისა. მართალია, კულტურული ურთიერთობა ქალაქისა სოფელთან ჩვენში თავისთავად იღებს და აუცილებლად იღებს სხვა ხასიათს. კაპიტალიზმის დროს ქალაქი სოფელს აძლევდა იმას, რაც მას რყვნიდა პოლიტიკურად, ეკონომიურად, ზნეობრივად, ფიზიკურად და სხვ.. ქალაქი ჩვენ დროს თავისთავად აძლევს სოფელს პირდაპირ საწინააღმდეგოს. მაგრამ ყოველივე ეს კეთდება სწორედ თავისთავად, სტიქიურად, და ყოველივე ეს შეიძლება გაძლიერებულ იქნეს (ხოლო შემდეგ ასწილ გადიდებულიც) ამ

მუშაობაში შეგნების, გეგმაზომიერებისა და სისტემატურობის შეტანით.

ჩვენ მხოლოდ მაშინ დავიწყებთ წინსვლას (ხოლო მაშინ ჩვენ უეჭველად ასწილ უფრო სწრაფად დავიწყებთ წინსვლას), როდესაც ამ საკითხის შესწავლას შევუდგებით, დავაარსებთ მუშების ყოველგვარ გაერთიანებას — ყოველნაირად მოვერიდებით მათ ბიუროკრატიზაციას — იმისათვის, რომ დავაყენოთ ეს საკითხი, განვიხილოთ იგი და საქმედ ვაქციოთ.

1923 წ. 2 იანვარი.

«პრავდა» № 2, 1923 წ.
4 იანვარი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 544 — 550

შენიშვნები

1 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი გახდა ლიბერალური ნაროდნიკების ორგანოდ და გამოდიოდა ს. ნ. კრივენკოს და ნ. კ. მიხაილოვსკის რედაქციით. ჟურნალი ქადაგებდა მეფის მთავრობასთან შერიგებას და მასთან ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ და სდევნიდა რუს მარქსისტებს. — გვ. 7.

2 «ს ა მ ა რ ს კ ი ვ ე ს ტ ნ ი კ» — გაზეთი, გამოდიოდა სამარაში (ამჟამად კუიბიშევი) 1883-დან 1904 წლამდე. წარსული საუკუნის 90-იან წლებში მასში იბეჭდებოდა რუსი მარქსისტების ცალკეული სტატიები. — გვ. 16.

3 «რ ა ზ ე ფ ი ქ რ ო ბ ე ნ ჩ ვ ე ნ ი მ ი ნ ი ს ტ რ ე ბ ი?» — ერთ-ერთი სტატია, რომელიც უნდა მოთავსებულიყო პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» მიერ გამოსაცემად მომზადებულ გაზეთ «რაბოჩეე დელოში». «რაბოჩეე დელოს» პირველი ნომერი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა ლენინმა. მანვე დასწერა ყველა ძირითადი სტატიაც: მოწინავე «რუს მუშებს», «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები», «ფრიდრიხ ენგელსი», «იაროსლავლის 1895 წლის გაფიცვა». გაზეთის პირველი ნომრის შინაარსის შესახებ ლენინი «რა ვაკეთოთ?»-ში წერს შემდეგს: «ეს ნომერი სრულიად გამზადებული დასაბეჭდად, ჟანდარმებმა 1895 წლის 8 დეკემბერს ღამით თავდასხმის დროს უპოვნეს ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ანატოლ ალექსის-ძე ვანეევს, და პირველი ფორმაციის «რაბოჩეე დელოს» აღარ ეღირსა დღის სინათლის ხილვა. ამ გაზეთის მოწინავე სტატია (რომელიც, შესაძლოა, 30 წლის შემდეგ აღმოაჩინოს რომელიმე «რუსსკაია სტარინამ» პოლიციის დეპარტამენტის არქივებში) გვიხატავდა მუშათა კლასის ისტორიულ ამოცანებს რუსეთში და ამ ამოცანების სათავეში აყენებდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას. შემდეგ იყო სტატია «რაზე ფიქრობენ ჩვენი

მინისტრები?», რომელიც შეეხებოდა პოლიციის მიერ წერა-კითხვის კომიტეტების დარბევას, და მთელი წყება კორესპონდენციებისა არა მარტო პეტერბურგიდან, არამედ რუსეთის სხვა ადგილებიდანაც (მაგ., მუშების ცემა-ტყეპის შესახებ იაროსლავლის გუბერნიაში)». ამ სტატიების ხელნაწერები დღემდე არ არის ნახული. 1924 წლის იანვარში პოლიციის დეპარტამენტის საქმეში «ბრძოლის კავშირის» შესახებ ნახულია მხოლოდ ასლი სტატიისა «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?».— გვ. 17,

4 სტატია «ნაროდნიკული პროექტერობის მარგალიტები» ლენინმა დაწერა ციმბირში გადასახლების დროს 1897 წლის დამლევს ჟურნალ «ნოვოე სლოვოსათვის», რომლის დახურვა მთავრობის მიერ 1897 წლის დეკემბერში ლენინმა ჯერ კიდევ არ იცოდა.
1898 წელს ეს სტატია ლენინმა შეიტანა კრებულში «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები». — გვ. 22.

5 «მოწაფეები» — მარქსისა და ენგელსის მიმდევრები. ამ ტერმინს XIX საუკუნის 90-იან წლებში ხმარობდნენ როგორც მარქსისტების ლეგალურ სახელწოდებას. — გვ. 23.

6 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 546. — გვ. 32.

7 დიდი რუსი უტოპისტი — ნ. გ. ჩერნიშევსკი (1828 — 1889), გამოჩენილი რევოლუციონერი-დემოკრატი, დიდი რუსი მეცნიერი და კრიტიკოსი. ჩერნიშევსკი ჟურნალ «სოვრემენიკში», რომელსაც იგი რედაქტორობდა, «მიუხედავად ცენზურის მხრივ დაბრკოლებისა და ხელის შეშლისა, ატარებდა გლეხური რევოლუციის იდეას, ყველა ძველ ხელისუფალთა დამხობისათვის მასების ბრძოლის იდეას» (ლენინი, სტატია «საგლეხო რეფორმა»). რევოლუციურ პროკლამაციაში «მებატონეთა გლეხებისადმი», რომელიც დაწერილია გლეხთა «განთავისუფლების» (1861 წელს) მანიფესტის შემდეგ, ჩერნიშევსკი გლეხთა მასებს მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. მარქსი ჩერნიშევსკის უწოდებდა დიდ რუს მეცნიერსა და კრიტიკოსს, რომელმაც ოსტატურად გამოააშკარავა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრება. «ჩერნიშევსკი, — წერდა ლენინი, — ერთადერთი ნამდვილი დიდი რუსი მწერალია, რომელმაც შესძლო 50-იანი წლებიდან თვით 88 წლამდე მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის დონეზე დარჩენა... მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ შესძლო, უფრო სწორად: მას არ შეეძლო, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, ამაღლებულიყო მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე» (ლენინი. «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი»). 1862 წელს მეფის მთავრობამ დააპატიმრა

ჩერნიშევსკი და მიუსაჯა 7 წლის საკატორღო მუშაობა და ციმბირში სამუდამოდ დასახლება. მაგრამ ცარიზმის მხრივ ასეთმა დევნამ ვერ გასტეხა ჩერნიშევსკი. ის სიკვდილამდე გაბედულად ებრძოდა თვითმპყრობელობას. — გვ. 48.

8 პროექტი სიტყვისა «ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს» მოამზადა ლენინმა სათათბიროში ბოლშევიკი დეპუტატის გამოსასვლელად. ეს სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ა. ე. ბადაევმა 1913 წლის 4 (17) ივნისს სათათბიროში სახალხო განათლების სამინისტროს 1913 წლის გასავლის ხარჯთაღრიცხვის გამო საბიუჯეტო კომისიის მოხსენების განხილვის დროს. ლენინის პროექტის მეტი ნაწილი ბადაევმა გამოაქვეყნა თოთქმის სიტყვა-სიტყვით, მაგრამ სიტყვა არ დაუმთავრებია. გამოთქმისათვის: «განა ეს მთავრობა ღირსი არ არის იმისა, რომ ხალხმა გააგდოსო?» — ბადაევს სიტყვა წაერთვა. — გვ. 51.

9 ლენინს მხედველობაში აქვს «ლ ე ი ფ ც ი გ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი» («Leipziger Volkzeitung») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ორგანო. გაზეთი გამოდიოდა ყოველდღიურად 1894-დან 1933 წლამდე; მთელი რიგი წლების განმავლობაში რედაქტორობდნენ ფ. მერინგი და რ. ლუქსემბურგი. 1917-დან 1922 წლამდე «Leipziger Volkzeitung» გერმანელ «დამოუკიდებელთა» ორგანო იყო; 1922 წლის შემდეგ — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ორგანო. — გვ. 69.

10 ლენინს მხედველობაში აქვს ბოლშევიკ დეპუტატის ფ. ნ. სამოილოვის განცხადება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის სახელით სახელმწიფო სათათბიროს 1913 წლის 26 ნოემბრის (9 დეკემბრის) სხდომაზე დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლების საღვთო სჯულის მასწავლებლებისათვის ჯამაგირის მომატების კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით. — გვ. 76.

11 პერედონოვის დახასიათებას ლენინი იძლევა ნაშრომში «სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის» (იხ. ეს კრებული, გვ. 51). — გვ. 76.

12 1899 წლის 29 ივლისის დროებითი წესები «სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ, რომლებიც ამ სასწავლებლებიდან გაირიცხებიან უწესობათა ერთად ჩადენის გამო» მიზნად ისახავდნენ დაეშინებინათ სტუდენტობა და აეძულებინათ ისინი ხელი აეღოთ მეფის სკოლის რეჟიმის წინაღმდეგ ყოველგვარ პროტესტზე. «უწესრიგობანი», რომელზედაც აქ ლაპარაკია, წარმოიშვნენ 1899 წლის დასაწყისში ახალი საუნივერსიტეტო წესდებით სტუდენტობის

უკმაყოფილების ნიადაგზე. უნივერსიტეტებში იმართებოდა კრებები და მიტინგები ახალი წესდების წინააღმდეგ გამოსვლებით. ერთ-ერთი ასეთი მიტინგი, 1899 წლის 20 თებერვალს, პეტერბურგში დამთავრდა პოლიციის მიერ სტუდენტობის დარბევით, რამაც დასაწყისი მისცა დიდ სტუდენტურ მღელვარებას რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში. სტუდენტური მღელვარების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევისა და მათ წინააღმდეგ ღონისძიებათა გამომუშავებისათვის მთავრობამ დანიშნა კომისია. კომისიის მოხსენების საფუძველზე გამოცემულ იქნა ზემომითითებული «დროებითი წესები». მაგრამ მთავრობის ვარაუდი არ გამართლდა — მღელვარება შემდეგშიც გაგრძელდა. 1900 წლის ზაფხულში ოდესაში მიმდინარეობს საერთო სტუდენტური ყრილობა, ხოლო ამავე წლის ნოემბერ-დეკემბერში კიევში ეწყობა სტუდენტობის დემონსტრაციები, რომელთაც აღწერს ლენინი ამ სტატიაში. მაშინ მთავრობამ გადაწყვიტა გამოეყენებინა «დროებითი წესები» და 1901 წლის 11 იანვარს ჯარისკაცად გაგზავნა კიევის 183 სტუდენტი. — გვ. **89.**

13 ლენინს მოჰყავს პოლკოვნიკ სკალოზუბის — ა. ს. გრიბოედოვის კომედიის «ვაი ჭკუისაგან» პერსონაჟის სიტყვები (იხ. ა. ს. გრიბოედოვი. თხზულებანი, 1945, გვ. 94). — გვ. **91.**

14 «მ წ ვ ა ნ ე ქ უ ჩ ი ს» წ ა მ ე ბ ა ნ ი — ჯარისკაცთა ფიზიკური სასჯელი, რომელსაც მიმართავდნენ ბატონყმური რუსეთის არმიაში. თოფზე მიკრულ მსჯავრდებულს ატარებდნენ ჯარისკაცთა «მწყობრში», ჯარისკაცები მას სცემდნენ ჯოხებით ან მწვანე წკეპლებით (შპიცრუტენებით). ამ სასჯელს განსაკუთრებით ფართოდ მიმართავდნენ ნიკოლოზ I დროს (1825 — 1855 წლებში). — გვ. **91.**

15 «ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი ს ფ ი ც ი» — მხატვრული გამოთქმა, რაც ნიშნავს ბოლომდე ბრძოლის უარყოფ გადაწყვეტილებას. წარმოსდგება კართაგენის მხედართმთავრის ჰანიბალის სახელისაგან. — გვ. **92.**

16 1876 წლის 6 (18) დეკემბრის დემონსტრაცია მოაწყეს მუშებმა და სტუდენტებმა თვითმპყრობელობის თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გ. ვ. პლეხანოვმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა დემონსტრაციაში, რევოლუციური სიტყვა წარმოთქვა, დემონსტრაცია პოლიციამ გარეკა. ბევრი მისი მონაწილე დაატატიმრეს და მიუსაჯეს გადასახლება ან საკატორღო მუშაობა. — გვ. **96.**

17 ლაპარაკია სტუდენტ კარპოვიჩის მიერ სახალხო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის მოკვლაზე 1901 წლის თებერვალში. ბოგოლეპოვის ნაცვლად სახალხო განათლების მინისტრად დაინიშნა ყოფილი სამხედრო მინისტრი გენერალი ვანოვსკი. — გვ. **101.**

18 ლენინს მოჰყავს ციტატი ლ. ნ. ტოლსტოის «წერილებიდან შიმშილზე», რომლებიც ცენზურის მიერ შეკვეცილი სახით პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «ჟნიჟკი «ნედელის»» 1892 წლის იანვრის ნომერში სახელწოდებით «დახმარება დამშეულებს». — გვ. **107.**

19 «ს ა შ უ ა ლ ო ს კ ო ლ ე ბ ი ს მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ს» — ლენინის მიერ «ისკრის» რედაქციის სახელით დაწერილი შენიშვნა საშუალო სკოლების მოსწავლეთა სამხრეთ რუსეთის ჯგუფის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების გამო. მოწოდება და შენიშვნა დაიბეჭდა გაზეთ «ისკრაში» № 29, 1902 წლის 1 დეკემბერს.

ხელნაწერს სათაური არა აქვს. დასათაურებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ. — გვ. **109.**

20 პ რ ო ე ქ ტ ი «რ ს დ მ პ I I ყ რ ი ლ ო ბ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს ა მ ო ს წ ა ვ ლ ე ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა ს თ ა ნ დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ» დაწერა ლენინმა და წარუდგინა რსდმპ II ყრილობას (1903 წლის ივლისი — აგვისტო). რეზოლუციის მეორე პუნქტმა, რომელიც აფრთხილებდა ახალგაზრდობას «ყალბი მეგობრებისაგან», ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილის მხრივ დავა გამოიწვია. ამ პუნქტის წინააღმდეგ გამოვიდნენ მარტოვი და ტროცკი, რომლებიც მოითხოვდნენ მის ამოღებას რეზოლუციიდან. ლენინმა სპეციალურ სიტყვაში დაიცვა ეს პუნქტი, რომელსაც უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ლენინი მოითხოვდა ახალგაზრდობის აღზრდას პროლეტარული სოციალიზმის მტრულ მიმდინარეობათადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. — გვ. **110.**

21 პ ე ტ რ ა შ ე ვ ე ლ თ ა წ რ ე შეიქმნა პეტერბურგში XIX საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში. მის შემადგენლობაში შედიოდნენ რუსეთის მოწინავე უაზნო ინტელიგენციის წარმომადგენლები: ლიტერატორები, მასწავლებლები, სტუდენტები, წვრილი მოხელეები, ოფიცრები და სხვ.. წრის მეთაური იყო მ. ვ. ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკი — ფრანგი სოციალისტ-უტოპისტის ფ. ფურიეს მიმდევარი.

პეტრაშეველთა პოლიტიკური შეხედულებანი ერთგვაროვანი არ იყო, მაგრამ პეტრაშეველთა უმრავლესობა გამოდიოდა მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

პეტრაშეველთა წრესთან დაკავშირებული იყვნენ მწერლები მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, თ. მ. დოსტოევსკი და პოეტები ა. ნ. პლეშჩეევი, ა. ნ. მაიკოვი, ტ. გ. შევჩენკო და სხვ. — გვ. **114.**

22 სტატიას «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი» აქვს ქვესათაური «წერილი პირველი». მაგრამ შემდგომი წერილები არ გამოქვეყნებულა. სტატია დაიბეჭდა აგრეთვე ცალკე ბროშურად

მიმეოგრაფზე სათაურით «სტუდენტებისადმი. რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები (სოციალ-დემოკრატია და ინტელიგენცია)».

პოლიციის დეპარტამენტის 1904 — 1905 წლების დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებათა და ჩხრეკის დროს ლენინის ბროშურა ნახულ იქნა ეკატერინოსლავში, ნ.-ნოვგოროდში, ყაზანში, ოდესაში, არზამასში, სმოლენსკისა და მინსკის გუბერნიებში, — გვ. 115.

23 «ს ტ უ დ ე ნ ტ ი» — რევოლუციური სტუდენტობის გაზეთი. გამოვიდა სამი ნომერი: №1 — აპრილში, №2 — 3 — 1903 წლის სექტემბერში. — გვ. 115.

24 «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე» — ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის ორგანული ჟურნალი; გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. შემდეგ «ოსვობოჟდენიელები» გახდნენ რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — კადეტების პარტიის — ბირთვი. — გვ. 115.

25 სტატია «სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა» ლენინმა დაწერა 1908 წლის სტუდენტობის მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლის წერილის საპასუხოდ. იმ დროის სტუდენტობის მოძრაობა მიმართული იყო სახალხო განათლების მინისტრის შვარცის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა უნივერსიტეტის თვითმმართველობის ნაშთებს და მიისწრაფოდა მოესპო 1905 წელს მოპოვებული სტუდენტობის ყველა «თავისუფლება».

სტუდენტობის ამ მოძრაობას სათავეში ედგნენ სტუდენტობის კოალიციური საბჭოები, რომლებშიც სოციალ-დემოკრატები თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს. მაგრამ რიგ შემთხვევებში ეს საბჭოები არ ასახავდნენ სტუდენტთა მასების განწყობილებას და ცდილობდნენ მიეყრუებინათ მათი მოთხოვნები. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა პეტერბურგში. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრებამ 1908 წლის 13 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიუთითებდა უმაღლესი სკოლის მიმართ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ სტუდენტთა პროტესტის აუცილებლობაზე და მოუწოდებდა რუსეთის საყოველთაო გაფიცვისაკენ. (ამ რეზოლუციის ნაწყვეტები დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის». იმავე ნომერში, რომელშიც ლენინის სტატია იყო დაბეჭდილი). პეტერბურგის სტუდენტობის კოალიციურმა საბჭომ კი ეს გადაწყვეტილება შეცვალა მიმართვით «საზოგადოებას და სტუდენტობას», რომელშიც წერდა მხოლოდ «განათლებისა და კულტურის» დაცვის აუცილებლობაზე.

იმ დროს, როცა პეტერბურგში სტუდენტმა სოციალ-დემოკრატებმა კადეტურ-ოქტიაბრისტულ ელემენტებს შესაძლებლობა მისცეს გაეყვანათ

თავიანთი მიმართვა, მოსკოვში სოციალ-დემოკრატი სტუდენტების ჯგუფმა დაიკავა მცდარი პოზიცია გაფიცვის მიმართ, ჩასთვალა რა, რომ გაფიცვას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი. და სწორედ ამ შეცდომათა კრიტიკისადმი არის მიძღვნილი ლენინის სტატიის დიდი ნაწილი. — გვ. **138.**

26 იგულისხმება რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილება, გამოქვეყნებული გაზეთ «პროლეტარის» № 36-ში, განყოფილებაში «პარტიიდან», 1908 წლის 3 (16) ოქტომბერს. პეტერბურგის კომიტეტი მოუწოდებდა სტუდენტობის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს საჯაროდ გამიჯნოდნენ სტუდენტთა კოალიციური საბჭოს მიმართვას და დაემორჩილებინათ სტუდენტთა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის ამოცანებისადმი ცარიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლაში. — გვ. **143.**

27 «ზაპროსი ჟიზნი» — ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა 1909 — 1912 წლებში პეტერბურგში. ჟურნალში თანამშრომლობდნენ კადეტები, სახალხო სოციალისტები და მენშევიკი-ლიკვიდატორები. — გვ. **146.**

28 «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» 1902 წელს დაიბეჭდა ჰექტოგრაფზე და ფართოდ გავრცელდა პარტიულ ორგანიზაციებში. 1903 წლის ივნისში იგი გამოსცა ციმბირის სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა სახელწოდებით «რევოლუციური მუშაობის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციებში (წერილი ამხანაგს)». 1904 წლის იანვარში რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა «წერილი ამხანაგს» გამოაქვეყნა ცალკე ბროშურად ლენინის წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით. ბროშურა დასაბეჭდად მოამზადა ლენინმა. ბროშურის ნაბეჭდი გამოცემის წინასიტყვაობაში ლენინი აღნიშნავდა, რომ საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ, ერთი მხრივ, ორგანიზაციულ საკითხებზე «ისკრაში» მოთავსებული სტატიები, «რა ვაკეთოთ?» და პარტიის წესდება, მიღებული რსდმპ მეორე ყრილობის მიერ, ხოლო მეორე მხრივ, «წერილი ამხანაგს», რათა ცხადი გახდეს მათში გადმოცემული ორგანიზაციული იდეების სრული იგივეობაო. — გვ. **151.**

29 ლაპარაკია ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გაზეთზე «რუს», რომელიც 1903 — 1908 წლებში გამოდიოდა პეტერბურგში დროდადრო და სხვადასხვა სახელწოდებით: «რუს», «მოლვა», «XX ვეკ». — გვ. **190.**

30 გაზეთ «პროლეტარის» № 19-ში 1905 წლის 3 ოქტომბერს (20 სექტემბერს) დაიბეჭდა «ღია წერილი საზღვარგარეთელი ამხანაგების მიმართ». ამ წერილში ვოლგისპირეთის გუბერნიებში მომუშავე სოციალ-დემოკრა-

ტები აღნიშნავდნენ რუსეთში სამუშაოდ მეტი ამხანაგების გამოყოფის საჭიროებას. წერილს დართული ჰქონდა «პროლეტარის» რედაქციის შენიშვნა, რომელშიც ნათქვამი იყო: «ჩვენ არ ვიზიარებთ ავტორთა მეტად მკვეთრ აზრს საზღვარგარეთ «სწავლის» უსარგებლობის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია უფრო ხშირად მოვაგონოთ საზღვარგარეთელ ამხანაგებს და მთელ პარტიას რუსეთის მივარდნილი ადგილების შესახებ». დადგენილი არ არის, თუ ვის ეკუთვნოდა ფსევდონიმი «რევოლუციონერი». — გვ. **198.**

31 «რაბოჩაია მისლელები» — «ეკონომისტების» გაზეთის «რაბოჩაია მისლის» (გამოდიოდა 1897 — 1902 წლებში) მომხრენი. «რაბოჩაია მისლის» შეხედულებათა, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობის კრიტიკა ლენინმა მოგვცა მთელ რიგ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნდა «ისკრაში», და წიგნში «რა ვაკეთოთ?».

აკიმოველები — «ეკონომიზმის» ერთ-ერთი წარმომადგენლის, ვ. პ. აკიმოვის (მახნოვეცის) თანამოაზრენი. — გვ. **199.**

32 ბელორუსიის სოციალისტური გრომადა — ნაროდნიკული ტიპის წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 1903 წლის ყრილობაზე. — გვ. **201.**

33 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია მუშათა ყრილობის შესახებ, მიღებული პეტერბურგის სხვადასხვა რაიონის მუშათა კრების მიერ 1906 წლის სექტემბრის დამდეგს. კრება მოიწვია რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა. — გვ. **203.**

34 ლაპარაკია ბროშურაზე მუშა ქალებისათვის, რომლის დაწერასაც აპირებდა ი. არმანდი. ბროშურა არ დაწერილა. — გვ. **213.**

35 ელენ კეი — შვედი ბურჟუაზიული მწერალი ქალი, რომელიც წერდა ქალთა მოძრაობისა და ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. — გვ. **217.**

36 იგულისხმება «ბოჟის» ანტიპარტიული ჯგუფი (ბუხარინი, როზმიროვიჩი, კრილენკო), რომელსაც ასე უწოდეს მისი ადგილსამყოფელის — დაბა ბოჟის (შვეიცარია) მიხედვით.

1915 წლის დამდეგს «ბოჟის» ჯგუფი გამოვიდა გეგმით — გამოეცა თავისი ფრაქციული გაზეთი — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» საწინააღმდეგოდ. ამ გეგმის გატარება «ბოჟელებმა» სცადეს რსდმ პარტიის საზღვარგარეთის სექციების კონფერენციაზეც, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 27 თებერვალს —

4 მარტს (ახ. სტ.) ბერნში. კონფერენციამ უარყო ბუხარინელთა ანტი-პარტიული პრეტენზიები. — გვ. **218.**

37. სტატია «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» დაიწერა გერმანულ ენაზე 1916 წლის სექტემბერში სკანდინავიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების პრესისათვის, რომლებმაც მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) გაილაშქრეს სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მუხლის — «ხალხის შეიარაღების» — წინააღმდეგ და წამოაყენეს «განიარაღების» იცდარი ლოზუნგი.

1916 წლის დეკემბერში სტატია გადამუშავებული სახით დაიბეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-2 ნომერში სათაურით ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 115 — 129).

1917 წლის აპრილში (ახ. სტ.), რუსეთს გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, ლენინმა სტატიის ტექსტი გერმანულ ენაზე გადასცა გაზეთ **«Jugénd-Internationale»**-ს რედაქციას. სტატია დაიბეჭდა 1917 წელს ამ გაზეთის მე-9 და მე-10 ნომრებში.

«Jugénd-Internationale» («ახალგაზრდობის ინტერნაციონალი») — ორგანო ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირისა, რომელიც ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს ემხრობოდა; გამოდიოდა 1915 წლის სექტემბრიდან 1918 წლის მაისამდე ციურიხში. **«Jugénd-Internationale»**-ს შეფასება იხ., შენიშვნაში «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი» (ეს კრებული, გვ. 228), — გვ. **219.**

38 იგულისხმება თეზისები სამხედრო საკითხზე, რომლებიც შეადგინა რ. გრიმმა (შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა) 1916 წლის ზაფხულში შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ამ ყრილობის მოწვევა განზრახული იყო 1917 წლის თებერვლისათვის ომისადმი შვეიცარიის სოციალისტების დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად. — გვ. **219.**

39 **«Neues Leben»** («ახალი ცხოვრება») — ყოველთვიური ჟურნალი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდიოდა ბერნში 1915 წლის იანვრიდან 1917 წლის დეკემბრამდე. ჟურნალი ატარებდა მემარჯვენე ციმერვალდელთა შეხედულებებს; 1917 წლის დამდეგიდან დაიკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — გვ. **219.**

40 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 356 — 357. — გვ. **222.**

41 იხ. 37 შენიშვნა 219-ე გვერდზე. — გვ. **228.**

42 ფ ა ბ ი ა ნ უ რ ი პ ა რ ტ ი ა («ფაბიანელთა საზოგადოება») — რეფორმისტული, უაღრესად ოპორტუნისტული ორგანიზაცია, რომელიც დააარსა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა ინგლისში 1884 წელს. საზოგადოებას ეწოდა სახელი რომაელ მხედართმთავარ ფაბიუს კუნქტატორისა («დამყოვნებლისა»), რომელიც ცნობილი იყო თავისი ლოდინის ტაქტიკით, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის თავის არიდებით. ფაბიანური საზოგადოება, ლენინის გამოთქმით, წარმოადგენს «ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ყველაზე დამთავრებულ გამოხატულებას». ფაბიანელები პროლეტარიატს აშორებდნენ კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას რეფორმების გზით. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ფაბიანელებს ეჭირათ სოციალ-შოვინიზმის პოზიცია. ფაბიანელთა დახასიათება იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 12, გვ. 451 — 452), «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 202 — 203), «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 21, გვ. 311 — 312) და სხვ. — გვ. **228.**

43 მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა (**Labour Party**) დაარსდა 1900 წელს როგორც მუშათა ორგანიზაციების — ტრედუნიონების, სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების — გაერთიანება მუშათა წარმომადგენლობის შექმნის მიზნით პარლამენტში. ამ გაერთიანებას ეწოდებოდა «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი», რომელმაც 1906 წელს სახელი შეიცვალა და მუშათა (ლეიბორისტული) პარტია დაირქვა. ლეიბორისტული პარტია, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ტაქტიკით ყველაზე, ოპორტუნისტულ «თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიულ» (ლ ე ნ ი ნ ი) ორგანიზაციას წარმოადგენს, ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკას ატარებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირათ, ისინი, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, «იმპერიალისტური ბანდიტიზმის თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი» იყვნენ. — გვ. **228.**

44 **Nota-Bene** — ბუხარინის ფსევდონიმია. — გვ. **230.**

45 1916 წლის დამლევს — 1917 წლის დამდეგს ლენინი მუშაობდა მასალების შესასწავლად სახელმწიფოს შესახებ. მაშინ შეადგინა მან გეგმა სტატიისა სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების შესახებ.

მას განზრახული ჰქონდა ეს სტატია დაებეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატის» მეოთხე ნომერში. «სბორნიკის» გამოცემა არ განხორციელდა მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო; სტატია არ დაწერილა.— გვ. **232.**

46 «მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ» ვ. ი. ლენინმა წაიკითხა გერმანულ ენაზე 1917 წლის 9 (22) იანვარს ციურიხის სახალხო სახლში შვეიცარიის მუშა ახალგაზრდობის კრებაზე. — გვ. **234.**

47 «წერილები შორიდან» — ხუთი წერილი, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ შვეიცარიაში 1917 წლის მარტის დამლევს — აპრილის დამდეგს (ახ. სტ.) ბოლშევიკურ გაზეთ «პრავდისათვის», რომლის გამოცემა განახლდა პეტროგრადში თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

«წერილი პირველი. პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი» დაიბეჭდა «პრავდის» მე-14 და მე-15 ნომრებში 1917 წლის 21 და 22 მარტს დიდი შემოკლებებითა და შესწორებებით. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე — მესამე გამოცემებში წერილი დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, მეოთხე გამოცემაში კი ის იბეჭდება მანქანაზე გადაღებული პირის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია «პრავდის» ტექსტთან. დანარჩენი ოთხი წერილი გამოქვეყნდა 1924 წელს. — გვ. **258.**

48 «ფრანკფურტის გაზეთი» (**«Frankfurter Zeitung»**) — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მაინის ფრანკფურტში 1856 წლიდან 1943 წლამდე. — გვ. **258.**

49 «ფოსის გაზეთი» (**«Vossische Zeitung»**) — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; დაარსდა ბერლინში 1704 წელს. — გვ. **259.**

50 ამის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის შრომაში «სახელმწიფო და რევოლუცია» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25). — გვ. **265.**

51 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», 1940, გვ. 99 — 100. — გვ. **276.**

52 რკპ (ბ) მოსკოვის კომიტეტის 1918 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე ლენინის ინიციატივით განხილულ იქნა თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის საკითხი. ლენინი ორჯერ გამოვიდა კამათში. ლენინის წინადადებათა საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შედგომოდნენ მუშაობას თანამგრძნობთა ჯგუფების შესაქმნელად და შეემუშავებინათ ამ ორგანიზაციის წესდება. — გვ. **281.**

53 კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 15 — 21 აპრილს. ყრილობას დაესწრო 200-მდე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ კომუნისტ-მოსწავლეთა კავშირის 8 000 წევრს. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტ-მოსწავლეთა კავშირის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. რკპ (ბ) ც. კ.-ის მიერ 1919 წლის 11 მაისს დამტკიცებული დებულების თანახმად მთელი მუშაობა როგორც მუშურ-გლეხურ, ისე მოსწავლე ახალგაზრდობაში დაეკისრა ახალგაზრდობის რუსეთის კომუნისტურ კავშირს. — **285.**

54 მისალმება, დაწერილი ლენინის მიერ «ნაშა სმენასადმი», გაეგზავნა პეტროგრადის გუბერნიის ახალგაზრდობას პეტროგრადის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ «ახალგაზრდობის კვირის» ჩატარებასთან დაკავშირებით. — **291.**

55 ლენინი 1920 წლის თებერვალში არჩეულ იქნა მოსკოვის საბჭოს დეპუტატად ორი ორგანიზაციისაგან: სახელმწიფო № 3 საკანდიტრო ფაბრიკისაგან (ამჟამად ფაბრიკა «ბოლშევიკი») და ნიკოლაევსკის რკინიგზის სადგურ ხოვრინოს მუშა-მოსამსახურეებისაგან. — გვ. **292.**

56 რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობა მიმდინარეობდა 1920 წლის 2—10 ოქტომბერს მოსკოვში; ყრილობას ესწრებოდა 600-მდე დელეგატი. ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა ყრილობის პირველ სხდომაზე, 2 ოქტომბერს საღამოს. — გვ. **301.**

57 ნ. კ. კრუპსკაიას თეზისები პოლიტექნიკური განათლების შესახებ, რომლის გამოც დაწერა ლენინმა ეს შენიშვნები, შედგენილი იყო მოხსენებისათვის სახალხო განათლების საკითხების გარშემო პარტიულ თათბირზე, რომელიც მოიწვია რკპ (ბ) ც კ-მა, 1920 წლის 31 დეკემბერს, საბჭოების VIII ყრილობის დამთავრებისთანავე. — გვ. **324.**

58 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია ელექტროფიკაციის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობისა, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 31, გვ. 654). — გვ. **338.**

59 გაზეთს «პუტ მოლოდიოჟი» სცემდა რაკკ ბაუმანის რაიკომი მოსკოვში 1922 წელს. 1922 წელს გაზეთის რედაქციამ გაუგზავნა ლენინს გაზეთის ნომერი მილოცვით. ვლადიმერ ილიას-ძემ გულთბილად უპასუხა კომკავშირელებს მათ მილოცვაზე. — გვ. **340.**

60 რაკკ-ის სრულიად რუსეთის V ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 11 — 17 ოქტომბერს. ყრილობაზე იდგა საკითხები: კიაღ-

მასკომის მოხსენება; რ ა კ კ ც კ-ის ანგარიში; ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ძირითადი ამოცანები ნეპის პირობებში; ახალგაზრდობის განათლების შესახებ; სოფლად მუშაობის შესახებ; ნორჩ პიონერთა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შექმნის შესახებ. V ყრილობაზე კომკავშირმა იკისრა სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეფობა. ლენინის მისასალმებელი დეპეშა წაკითხულ იქნა ყრილობის გახსნისას — 11 ოქტომბერს.

მისალმების საპასუხოდ ყრილობამ გაუგზავნა ლენინს შემდეგი წერილი:

«ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძევ! რაკკ-ის სრულიად რუსეთის V ყრილობამ სასიხარულო მღელვარების უდიდესი გრძნობით მოისმინა თქვენი მეგობრული მოლოცვა. ჩვენი კავშირის სახელით ყრილობა მხურვალედ გილოცავთ გამოჯანმრთელებას. უკანასკნელი თვეების მანძილზე, რომელიც დაგვიმწუხრა თქვენმა ავადმყოფობამ, ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა წარიმართა აღმავლობის ნიშნით. ჩვენ არ ვაზვიადებთ ჩვენს წარმატებებს, შეგნებული გვაქვს ყველა სიძნელე, რომელიც არის მუშათა კლასისა და მის ახალგაზრდობის გზაზე. და მაინც გვწამს, რომ შეეძლებთ დავძლიოთ ეს სიძნელეები და საჭირო დროს ჩვენს პოსტზე ვიქნებით. პროლეტარულმა რევლუციამ გააღვიძა მშრომელი ახალგაზრდობა, პოლიტიკური ცხოვრების გზაზე გამოიყვანა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ისეთი მასები, რომ ჩვენს რიგებში დაგროვდა დიდი რევოლუციური ძალა და ენერგია. ჩვენი ამოცანა იმაშია, რომ წარვმართოდ ეს ენერგია სწორი გზით, შევაიარაღოდ იგი მკაფიო კლასობრივი შეგნებით.

ყრილობა გთხოვთ, ვლადიმერ ილიას-ძევ, და მტკიცე იმედს ამყარებს იმაზე, რომ თქვენ ამ თხოვნას შეასრულებთ: თვალი ადევნოთ კომუნისტური არმიის ჩვენი რაზმის მუშაობას და დაეხმაროთ მას რჩევა-დარიგებებით ძნელ საქმეში — ახალგაზრდობის უფართოესი მასების კომუნისტურ აღზრდაში. სალამი საერთაშორისო პროლეტარიატის სახელოვან ბელადს. კომკავშირული რუსეთი ყოველთვის მზად იქნება თქვენი მოწოდებით «ზეცას შეუტიოს». — გვ. **341.**

61 გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ უ შ ა კ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს სრ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს I V ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 21 — 26 ნოემბერს. ყრილობამ ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მას. ლენინის საპასუხო წერილი წაკითხულ იქნა ყრილობის დილის სხდომაზე 1922 წლის 26 ნოემბერს. — გვ. **342.**

62 ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 4—16 დეკემბერს. კონგრესს დაესწრო 121 დელეგატი სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის 38 ორგანიზაციისაგან. ლენინის მისასალმებელი წერილი წაკითხულ იქნა კონგრესის გახსნის დღეს. კონგრესმა საპასუხო წერილი გაუგზავნა ლენინს. — გვ. **343.**

ქრონოლოგიური საძიებელი

ქრებულში შესული ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისა

1895 წ.

გიმნაზიის მეცურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები («რუსსკოე ბოგატსტვო») 7
რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები? 17

1897 წ.

სტატიიდან «ნაროდნიკული პროექტერობის მარგალიტები (ს. ნ. იუ-ჟაკოვი. განათლების საკითხები. პუბლიცისტური ცდები. — საშუალო სკოლის რეფორმა. — უმაღლესი განათლების სისტემები და ამოცანები. — გიმნაზიის სახელმძღვანელოები. — საყოველთაო-სახალხო სწავლების საკითხი. — ქალი და განათლება. სპბ. 1897. გვ. VIII 283. ფასი 1 მან. 50 კაპ.) 22

1901 წ.

183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად . . . 89
დემონსტრაციების დასაწყისი 96

1902 წ.

გაკოტრების ნიშნები 101
წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ . 151
საშუალო სკოლების მოსწავლეებს 109

1903 წ.

პროექტი რსდმპ II ყრილობის რეზოლუციისა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ 110
სიტყვა რსდმპ II ყრილობაზე მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხზე 10 (23) აგვისტო 112
გეგმა წერილებისა რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ 113
რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები. წ ე რ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი . 115

1905 წ.

წერილი ა. ა. ბოგდანოვსა და ს. ი. გუსევს 174
ს. ი. გუსევს. 15 თებერვალი 180
სანქ-პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მებრძოლ კომიტეტს . . 182
მოსკოვის ამბების გაკვეთილები 186
საზღვარგარეთელი ახალგაზრდობა და რუსეთის რევოლუცია . . 196
რევოლუციური რიგის ულტიმატუმი 133
მდგომარეობის გამწვავება რუსეთში . . . 135

1906 წ.

სტატიიდან «მენშევიზმის კრიზისი» . 199

1908 წ.

სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა 138

1910 წ.

ივან ვასილის-ძე ბაბუშკინი (ნ ე კ რ ო ლ ო გ ი) . 207

1912 წ.

პარტიულობის საკითხი დემოკრატიულ სტუდენტობაში . 146

1913 წ.

სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის. (დ ა მ ა-
ტ ე ბ ა ნ ი ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს) 51
ბავშვის შრომა გლეხურ მეურნეობაში 64
პროსტიტუციასთან ბრძოლის მეხუთე საერთაშორისო ყრილობა . . 69
ებრაული სკოლის ნაციონალიზაცია 71
მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში . . . 74

1915 წ.

ინესსა არმანდს. 17 იანვარი . . . 213
ინესსა არმანდს. 24 იანვარი . . . 215

1916 წ.

სტატიიდან «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» . . 219
ახალგაზრდობის ინტერნაციონალი (შ ე ნ ი შ ვ ნ ა) 228

1917 წ.

მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ 234
«წერილები შორიდან». წერილი 3. პროლეტარული მილიციის შე-
სახებ 258
ბროშურიდან «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის» 78
გარეშეს რჩევანი 275

1918 წ.

სიტყვები პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ 1918 წ. 16 აგვისტოს. საოქმო ჩანაწერი 281

1919 წ.

რკპ (ბ) პროგრამის პროექტიდან. პროგრამის მუხლი სახალხო განათლების დარგში 283
სიტყვა კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 17 აპრილს 285
სიტყვა წითელ მოედანზე 1919 წ. 1 მაისს. საქრონიკო ჩანაწერი . . 286
ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად! (რკპ (ბოლშევიკების) ც. კ.-ის წერილიდან პარტიის ორგანიზაციებისადმი) 287
საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი. სიტყვიდან ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავისადმი მიძღვნილი სრ. რუს. ცაკ-ის, მოსკოვის მუშ. და გლეხ. დეპ. საბჭოს, პროფ. კავ. სრ. რუს. ცენტრ. საბჭოს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 7 ნოემბერს 289
ჩვენს ცვლას . . 291

1920 წ.

სიტყვა მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1920 წ. 6 მარტს 292
ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები. (სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე) 1920 წ. 2 ოქტომბერს 301
პოლიტექნიკური განათლების შესახებ. შენიშვნები ნადეჟდა კონსტანტინოვნას თეზისებზე . 324

1921 წ.

ც. კ.-ის დირექტივები — განსახკომის მუშაკ კომუნისტებს . 328
სტატიიდან «განსახკომის მუშაობის შესახებ» 331
განაწესი საშეურნეო მუშაობის საკითხებზე, მიღებული საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის მიერ 1921 წ. 28 დეკემბერს 333

1922 წ.

წინასიტყვაობა ი. ი. სტეპანოვის წიგნისა: «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით» 337

გაზეთ «პუტ მოლოდიოჟის» რედაქციას . . 340
რაკკ მეხუთე ყრილობას 341
განათლების მუშაკთა ყრილობას 342
ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო
კონგრესს მოსკოვში 343

1923 წ.

ფურცლები დღიურიდან 344

შინაარსი

გამომცემლობისაგან 3

ბავშვებისა და ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ კაპიტალიზმის დროს

გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები («რუსსკოე ბოგატსტვო») 7
რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები? 17
სტატიიდან «ნაროდნიკული პროექტერობის მარგალიტები» (ს. ნ. ი ე ფ ი მ ო ვ ი. გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი. პუბლიცისტური ცდები. — საშუალო სკოლის რეფორმა. — უმაღლესი განათლების სისტემები და ამოცანები. — გიმნაზიის სახელმძღვანელოები. — საყოველთაო-სახალხო სწავლების საკითხი. — ქალი და განათლება. **სპბ. 1897**. გვ. VIII + 283. ფასი 1 მან. 50 კაპ.) 22
სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის. (დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს) 51
ბავშვის შრომა გლეხურ მეურნეობაში 64
პროსტიტუციასთან ბრძოლის მეხუთე საერთაშორისო ყრილობა . 69
ებრაული სკოლის ნაციონალიზაცია 71
მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში . . 74
ბროშურიდან «მასალები პარტიული **პროგრამის გადასინჯვისათვის**» 78

მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ მეფის რუსეთში

183 **სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად** . . 89
დემონსტრაციების დასაწყისი . . . 96
გაკოტრების ნიშნები 101
საშუალო **სკოლების** მოსწავლეებს . 109

პროექტი რსდმპ II ყრილობის რეზოლუციისა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ 110
სიტყვა რსდმპ II ყრილობაზე მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხზე 10 (23) აგვისტო 112
გეგმა წერილებისა რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ 113
რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები. წ ე რ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი 115
რევოლუციური რიგის ულტიმატუმი . 133
მდგომარეობის გამწვავება რუსეთში 135
სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა 138
პარტიულობის საკითხი დემოკრატიულ სტუდენტობაში 146

მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ რევოლუციურ ბრძოლაში. ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდის შესახებ

წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ 151
წერილი ა. ა. ბოგდანოვსა და ს. ი. გუსევს . . 174
ს. ი. გუსევს. 15 თებერვალი 180
სანქ-პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მებრძოლ კომიტეტს 182
მოსკოვის ამბების გაკვეთილები 186
საზღვარგარეთელი ახალგაზრდობა და რუსეთის რევოლუცია 198
სტატიიდან «მენშევიზმის კრიზისი» . . 199
ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი (ნ ე კ რ ო ლ ო გ ი) . 207
ინესსა არმანდს. 17 იანვარი 213
ინესსა არმანდს. 24 იანვარი 215
სტატიიდან «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» . . 219
ახალგაზრდობის ინტერნაციონალი (შ ე ნ ი შ ვ ნ ა) . . 228
მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ 234
წერილები შორიდან. წერილი 3. პროლეტარული მილიციის შესახებ 258
გარეშეს რჩევანი . . . 275

სოციალისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობისა და ახალი ადამიანის აღზრდის შესახებ

სიტყვები პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ 1918 წ. 16 აგვისტოს. საოქმო ჩანაწერი 281
რკპ (ბ) პროგრამის პროექტიდან. პროგრამის მუხლი სახალხო განათლების დარგში 283

სიტყვა კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 17 აპრილს 285
სიტყვა წითელ მოედანზე 1919 წ. 1 მაისს. საქრონიკო ჩანაწერი . . 286
ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად! (რკპ (ბოლშევიკების) ც. კ.-ის წერილიდან პარტიის ორგანიზაციებისადმი) 287
საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი. სიტყვიდან ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავისადმი მიძღვნილი სრ. რუს. ცაკ-ის, მოსკოვის მუშ. და გლეხ. დეპ. საბჭოს, პროფ. კავ. სრ. რუს. ცენტრ. საბჭოს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 7 ნოემბერს 289
ჩვენს ცვლას 291
სიტყვა მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1920 წ. 6 მარტს 292
ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები.(სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე) 1920 წ. 2 ოქტომბერი 301
პოლიტექნიკური განათლების შესახებ. შენიშვნები ნადეჟდა კონსტანტინოვნას თეზისებზე 324
ც. კ-ის დირექტივები — განსახკომის მუშაკ კომუნისტებს . 328
სტატიიდან «განსახკომის მუშაობის შესახებ» 331
განაწესი სამეურნეო მუშაობის საკითხებზე, მიღებული საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის მიერ 1921 წ. 28 დეკემბერს . 333
წინასიტყვაობა ი. ი. სტეპანოვის წიგნისა: «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით» 337
გაზეთ «პუტ მოლოდიოჟის» რედაქციას . 340
რკკ მეხუთე ყრილობას 341
განათლების მუშაკთა ყრილობას 342
ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო კონგრესს მოსკოვში 343
ფურცლები დღიურიდან . 344
შენიშვნები 351
კრებულში შესული ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ქრონოლოგიური საძიებელი 367

გადაეცა წარმოებას 15/V — 1956 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 14/IX—1956 წ. ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$.
ქაღალდის ზომა $94 \times 108^1/_{32}$. ნაბეჭდი თაბახი 19,27.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 15,6. ტირაჟი 10.000.
შეკვ. № 445. ფასი 5 მ. 60 კ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.

•

1-я Типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

В. И. ЛЕНИН

О МОЛОДЕЖИ

(На грузинском языке)
Госиздат Грузинской ССР.
Тбилиси 1958

შეცდომების გასწორება

გვ.	ზემ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
4	5	პოლიტიკური	პოლიტექნიკური
61	19	და	ამ
328	8	პოლიტიკური	პოლიტექნიკური
332	12	პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი	პ ო ლ ი_ტ ე ქ ნ ი კ უ ̆ რ ი